

114
1962



მეტეოროლოგია



10

1

9

6

2

1962/5

გნათობი

საქართველოს
საბჭოთა მწერალთა
კავშირი

საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 39-ე

№ 10

ოქტომბერი, 1962 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

8705

შინაარსი

გიორგი ლომიძე — ციწკარო. ლექსი	3
დავით კვაციანიძე — აღმართა. რომანი. დასასრული	5
ალექსანდრე ჭუთათყელი — ლექსები	26
ორლე დგებუაძე — ხელმოწერული ბარათი. მოთხრობა	28
შალვა ამისულაშვილი — ლექსები	40
ლადო მრღლაშვილი — ყაზახი. რომანი. გაგრძელება	42
ელადიშერ იაჭაშვილი — სპირალი. მოთხრობა	60
ვალერიან კანდელაკი — ჭართლის ზირაღდნები. პიესა	67
ონ სტივისბეგი — ზამთარი ჩვენი მღელვარებისა. რომანი. თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ კელიძისა	101

პრობლემა და ლიტერატურისმცოდნეობა

გიორგი ლომიძე — დავა საპკოთა ერთნული კვლევების შემდგომი განვითარების გზების შესახებ	120
შალვა წულუპიძე — მანიჭველობა საქართველოში და რუსთაველის შემოქმედება	131
ოენგიზ ბუანიძე — ლევ ტოლსტოი	140

1812 მიგრაცია შატალი ახუნდოვი 1862

მახვილ კანიშვილი — დიდი აზერბაიჯანელი მწერალ-განმანათლებელი	140
ამირან ავალიანი — შირზა ფათალი ახუნდოვის ერთი ლეალოს გარშემო	155

ხელნაწილები

თამარ ვახუშტისძე — კოტე მარჯანიშვილის დადგმა „კაკალ გულში“	159
--	-----

(იხ. მე-2 გვ.)



სიმონ ციციშვილი — გონგოტის ბრძოლა

წარსულიდან

სიმონ სხირტლაძე — აკაკი შრავალაძე

სეთ იაშვილი — ნახელი და ვავონილი. გაგრძელება

წიგნების მიმოხილვა

სიმონ არველაძე — „აქანუბული გული“	182
გრ. ზარდალიშვილი — მონოგრაფია ქუთაისის შესახებ	184
შალვა დღონდი — აფხაზი პოეტის რჩეული ლექსები ქართულ ენაზე	186
გიორგი დოლაძე — აფრიკელი მწერლის მაღალი მისია	187
სიმონ ყაუხჩიშვილი — ლია წერილი „მნათობის“ რედაქციის	190
ასკანი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. ვამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. უდენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბუჭდად 23/X-62 წ. ქალაქის საბჭო 70x108. ანაწევობის ზომა 7 1/4 x 12 1/4
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 125 პირი ბით ფორმათა რაოდენობა 16. უე 09246
ტარაჯი 6000 შეკვეთა № 1755.

საქ. კა. 12-ის გამოცემლობა „კომუნისტის“ სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.

გიორგი ლონია

ც ი ვ წ ყ ა რ ო

ფ ს ა ლ მ უ ნ ი

სურით,
ჯამით,
თუ პეშვით,
შენ უნდა შემეწყალო!
ჩამისვი ლურჯ უბეში,
წყაროსთვალს,
ციფწყარო!
რომ გვალვამ არ მამასწროს,
გული გადამიქანოს,
მიწის ლურჯო ვარსკვლავო,
უწრობელო ჯიქანო!

2

მოწკრიანებ უჩუმრად,
ხეები თავს გიბრიან,
ფერისულა,
ლუსუმა
თაეზე ვადაგიყრია!
იას თუ დაეწიე,
ია თუ დაგეწია?
იას, ბროლსაც, ფირუზსაც
ერთად შეუძერწიბარ;
კიდევ ცხრა ცისარტყელას
თუ გინდ მკერდში დაიტყე-
ბმით დაგადნა მზეწვია,
რიტრაზე რომ გეწვია
ცისკრის მემარგალიტე!
ქვის აკვნიდან სიმართლით,
ხალხში დაიფანტები,
სიადრით და სინათლით,
იმედებით ნამტყენი.
შენ თითონ ხარ - მტრედის ფრთა,
ერის გულში გოგმანობ;
თუ წინ კრემლი გე+ვირთა,
მინდა მღერით მოგბანო!
ხალხის გულში მიგელავ,

ვარსკვლავების თვალთებრ,
უწყვეტელო სიმღერავ,
სიცოცხლეს არ ათავებ!
გამისრიე ბურუსი,
მაღერე უჩვეულოდ,
ფარფრით და ფუსფუსით
ამოფუნფუნებულს.

3

რა იცოდი, ცინცხალო,
გული მემხზრვალემა,
რა იცოდი, ციფწყარო,
ჩენი დამწყურვალემა?
რა იცოდი, მიყვარდა
მე შენსავით ლურჯთვალა;
გზა ვინ გადამიხლართა,
გული ვინ აბურთალა?
ალარ გეტყვი ამის მეტს,
და-იმა ვიყვნეთ მე და შენ!
სურა დავდგი, ამივსე,
ჩემო ლექსის ზედაშეგ!

4

განა შთის ნეკნებიდან,
კიაგების განებით?
ცხოვრების ეკლებიდან
მოხვალ, მოქიანები!
დამიშხეფავ საყანეს,
ფირუზებს აწკრიანებ,
ბალებს ამილადანებ,
ფურცელს დაამცვრიანებ!

5

დღე იღლებო, ღამე წვეს,
ალბათ, ძილი ჰკლებიათ.
მზე ისვენებს,

მთვარე და...
 ვარსკვლავები ჰქრებიან,—
 წამითაც არ ისვენებ,
 არ იღლები, არ წვები,
 სახეს ცრემლით ისველებ,
 ნალარი გაქვს ლაწვები.
 შენ არასდროს გდებია
 საქმე მოსაყიფინები,—
 ზღვები იყინებიან,
 შენ არ გაიყინები...
 იები იძინებენ,
 ვერ მოგდევნ გვერდს ხლებით,
 მუხა წავა სიზმარში,
 მიფრინავენ შერცხლები!
 შენ კი კერას არ ტოვებ,
 ოჯახს ვერ უღალატებ,
 თუმცა გძულს სიმარტოვე,
 მარტოობით ანათებ...
 და თუ მტერმა ვერაგმა,
 არ მოგწამლა ბალღამით,
 გასძლებ ჩითის პერანგით,
 ძველი წამოსასხამით,
 ერთი მჭადის ნატებით,
 ერთი ძველი ქალამნით;
 დროთ ზარტებილს გაუძლებ,
 როგორც შოთას კალამი!



გული ჩემი გასწმინდე
 მორაკრაკე ალერსით,
 შემავედრე მთაწმინდელთ,—
 უვიცი, უარესი!
 მაპატიონ, ვუსუსტე
 ერის მწყობრს და გალობას;
 ჩემმა სიტყვის ძუძუს-მტემ,
 მომცეს რძის უმწრალობა!
 შემავედრე სამშობლოს,
 თუ მისი ხმა არ მახსოვს,
 მიწის ძარღვის ნაწობო,
 თავ-ფეხამდის აღმასო!
 ბალს ნუ გადამიქელავ,
 მინდა,—გადამიქარგო;
 შემინახე სიმღერა,
 ლექსი არ დამიქარგო!
 ვველა ცრემლი დამიშრე
 შენი სხივის რიყრაყით,
 იყავი მეხვიაშენ
 ცის და მიწის წინაშე,
 დამანახე ხვალის დღე
 შენი სარკის მინაში...
 მომავალში გამიძებ
 ცისფერ ზვირთთა მტრე ღებით...
 სიმღერები დამირწყე
 ვიდრე ავიმტვერდები!

ღავეთ კვიზარიძე

ა ლ მ ა რ თ ი *

შოთა ხუთიოდე ნაბიჯში ღობეს მოფარებოდა. ამ საუბარს ისმენდა და მზად იყო, თუ ლადო გადააქარბებდა, საქმეში ჩარეულიყო. მელიამ ჭიბიდან ქალაქის ფული ამოიღო და ლადოს გაუწოდა.

— წაიღე, გენაცვა, რა ვუყოთ, ახალგაზრდა კაცი ხარ, ფული გჭირდება, ქეიფი გინდა, ქალი გინდა... წაიღე.

ლადომ სილა გააწნა.

— რა ბარათი მიუტანე გიორგი ლომიძეს?

— რაო, ბარათიო?—ოდნავ დამშვიდდა სანდრო და იმავე წამს ფული ჭიბეში იტაცა.

— რა ბარათი მიუტანე ლომიძეს?

—მე, მე... არაფერი ვიცი!

—თქვი!—და ერთხელ კიდევ სთხლიშა სახეში.

—პო, პო, მივუტანე, მე მივუტანე, მაგრამ არ ვიცი, ბარათში რა ეწერა, ვფიცავარ, არ ვიცი, საცოდავად აწყმუტუნდა მელია, წელში მოიხარა. თვალებში შესჩერებოდა ლადოს, ეშინოდა, კიდევ არ გაერთყა ხელი.

— ენდე ჩემს კაცობას, გეფიცები, არაფერი ვიცი...

— შენ კაცობას ვენდო? მერე სადა გაქვს კაცობა! — ერთხელ კიდევ მოუნაცვლა სახეში.

შოთა იდგა და იღიმოდა. ჭერჭერობით სამართლიანად იქცეოდა გორდაძე და რატომ უნდა გამოჩენილიყო!

— ვისგან იყო ბარათი?

— ლალისამ, ლალისა ბერიძემ გამა-

ტანა. ღმერთმანი, არ ვიცი, რა ეწერა შიგ!

— ვინ არის ლალისა?

— მე ვიცნობ, ლადო! ეყოფა ამ გარეწარს!

— შენ საიდან გაჩნდი?

— ეს მართლა მელია, ჭულელს უნდა მიეგვართ ამ წუთში, ეს ჩვენი მოვალეობაა!

— მე ვიცი, რაც არის ჩემი მოვალეობა—ლადო ორივე ხელებით ეცა მელიას და, შოთა დროზე რომ არ მიშველებოდა, უთუოდ დაახრჩობდა.

ძლივს გამოგლიჯა ხელიდან. ძალინებით გაიგდეს წინ.

— გიორგი ლომიძე მიწაში იწვეს და ეს დაბობღავდეს ქვეყანაზე! — ვერ ისვენებდა გორდაძე.

დიდხანს ეძებეს ჭულელა. რთგორც იქნა, იპოვეს ქარხანაში და სანდრო მელია წარუდგინეს.

იმ ღამით გოგის ოჯახში ეძინათ მეგობრებს.

თითქოს დამშვიდებულიყო გოგი, მაგრამ ვინ ჩახედავდა გულში...

თავი მეთერთმეტე

ჩინარი ზეიანგადა დაღის საფლავზე

ნამუდღღევის ხუთი საათი იქნებოდა. ივლისის მზე სწვავდა ყველაფერს. სულისშემბუთველად ცხებოდა. მწვანეში ჩაფლულ თბილისის ქუჩებში თითქმის აღარავინ ჩანდა. მირიხინობდნენ ნახევრადცარიელი ტრამვაის ვაგონები. მისრიალებდნენ ტროლეიბუსები, ავტობუსები, მსუბუქი ავტომანქანები.

აქა-იქ ატყეილიყო ასფალტი და გეგონებოდათ, ნაწვიმარიაო, ისე იყო დამბალი ქუჩები. ქუჩისპირ ჩარიგებულ ხეები ოდნავადაც არ ირხებოდნენ. ასეთ დროს წყნეთსა და კიკეთის მწვანე ავარაკებს ეტანებიან თბილისელები.

წყნეთის გზაზე, თითქოს ერთმანეთს გადაბმოდნენ, განუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდა მანქანები.

თვით დედაქალაქში კი, მართლაც, უზომოდ ცხელოდა, მაგრამ ჭავჭავაძის პროსპექტზე უზარმაზარი მანქანა გამოჩნდა. მიდიოდა ნელა და მთელი ამ ფართოდ პროსპექტის სივანეზე საამოდ იღვრებოდა წყალი. წუთით ცოცხლებოდნენ ქადრები, ყვავილები, ირეცხებოდა ასფალტი და იფანტებოდა ბული.

ვარაზის ხეებთან ტაქსი შემოსრიალდა, ტაქსიში მხოლოდ ერთი მგზავრი იჯდა. გვერდის ფანჯარა გამოეღო და ყველაფერს საოცარი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა.

— ნელა იარეთ, გთხოვთ! — დროვამოშვებით მიმართავდა მგზავრი შოფერს. შოფერიც გაიღიმებდა და სვლას უკლებდა, თავის მხრივ ისიც ცნობისმოყვარეობით გადახედავდა მგზავრს.

მანქანამ უნივერსიტეტის შენობას ჩაუარა. მგზავრი ფანჯრიდან გადმოვიცა. ჯერ შენობას ვერ მოსწყვიტა თვალი, მერე უნივერსიტეტის წინ გაშენებულ ბაღს.

სადგურიდან მოყოლებული ერთი ათჯერ კი შეანელებინა მანქანის სვლა. თავიდანვე მორიდების გრძნობით განიმსპეჯალა შოფერი მისდამი. აჯერ, რამდენი ხანია, რაც სადგურიდან გამოვიდნენ, ამ დროში მთელ თბილისს შემოივლიდა, მაგრამ საყვედური მაინც ვერ გაუბედა. პირველად ჩელუსკინელების ხიდზე თხოვა მანქანის შეჩერება. ეს თხოვნა, რა თქმა უნდა, ვერ შეუსრულა: ხიდზე არ აქვს მანქანის გაჩერების უფლება. სვლა საგრძნობლად შეანელა და მიზეზიც განუარტა.

დაყინებით მისჩერებოდა ქალი მტკვრის ტალღებს. გარინდებულიყო,

გეგონებოდათ, მტკვრის დუღუნს უსმენსო.

ხიდს გასცდნენ.

ქალმა ცირკის შენობას ახედა და შოფერსაკენ გადმოიხარა, მაგრამ თქმით აღარაფერი უთქვამს. შოფერი მიუხვდა და თერთმეტსართულიანი სახლის წინ მანქანა დაამუხრუჭა.

მადლობის მაგიერი იყო მგზავრის ღიმილი. გადმოვიდა, ჯერ სანაპირო ქუჩას გახედა, მერე ცირკის შენობას. ასე იდგა ცოტა ხანს და ეტყობოდა კმაყოფილი იყო.

— არ წავიდეთ, ქალბატონო?

— წავიდეთ, შეგაწუხებთ და არ მიწყინოთ!

— რას ბრძანებთ, თქვენი ნებაა.

ქალი მანქანაში ჩაჯდა.

— თქვენ, მგონი, უნივერსიტეტის ქუჩა მითხარით, არა?

— დიახ!

— ახლა იმ ქუჩას ჭავჭავაძის პროსპექტი ჰქვია.

მანქანა დაიძრა და ვარაზისხევეში ასრიალდა.

— ეს?

— ახალი გაყვანილია ეს გზა. როგორც ჩანს, თბილისში კარგა ხანია არ ბრძანებულხართ!

— დიახ, კარგა ხანია არ ვყოფილვარ თბილისში...

უნივერსიტეტს გასცდნენ.

— რომელ ნომერში მიბრძანდებით?

ქალმა ხელჩანთა გახსნა, უბის წიგნაკი ამოიღო და ჩახედა, მერე ფანჯარაში თვალი გაჰყო და სახლის ნომრებს დაუკვირდა.

— მგონი, მოვედიო!

„ვოლგა“ დადგა.

მგზავრმა შოფერს ფულთან ერთად მადლობაც გადაუხადა და მანქანიდან ჩამოვიდა.

ფეხდაფეხ გაჰყვა გამზირს სიციხისაგან და მღელვარებისაგან აღმოდებული.

თეთრი კაბა და თეთრი საზაფხულო ტუფლები ეცვა. ჰადრის ძირას შეჩერ-

და, ერთ ხანს სიყვარულით ათვალიერებდა ქუჩას, სახლებს, მოქალაქეებს.

არავის არ იცნობს და ყველა უყვარს. სიკეთე, სათნოება და სიყვარული ახატია სახეზე.

გზა განაგრძო. ისევ გულდაგულ უცვირდებოდა სახლებზე ნომრებს.

ცხელოდა. ცხვირსახოცი ხელში ეჭირა და ყოველ წამს ოფლს იწმენდდა. მხრებზედაც დანამოდა კაბა, მაგრამ არ წუხნდა. სახიდან ღიმილოდ არ შორდებოდა.

მიდიოდა და ფიქრობდა:
 „აქ, ამ ქუჩაზე, გაიზარდა მისი გოგო, აქ ამ ქალაქში იშვილეს, უპატრონეს და დედობა გაუწიეს მის მარიას. აქ დაქალიშვილდა უღედოდ, მისი, თამარა როდიონოვას გარეშე“.

გრძნობდა დედის გული, რომ ახლო იყო წუთი დიდე ხნის უნახავ შეილთან შეხვედრისა.

„რატომ არ მივწერე გიორგის, რატომ არ შევაცუობინე ჩამოსვლის დღე? თუშეცა იქნებ ასეც სჯობს! ჯერ შეილი და მერე... მხოლოდ ჯერ შეილი“.

ხელმარჯვნივ, ორსართულიანი სახლის წინ შედგა და ნომერს ახედა. ისევ ამოიღო უბის წიგნაკი, მისამართი შეამოწმა. სწორედ ეს სახლია, მაგრამ ამ სახლს უპატრონო ბავშვთა სახლის არაფერი ატყვია. ეს საცხოვრებელი ბინაა მხოლოდ, კარგა მოზრდილი ლამაზი ბინა.

ვისმეს უნდა ჰკითხოს.

შემობრუნდა და მოპირდაპირე მხრიდან შავებში ჩაცმულ ქალის შოახლოებას დაუცადა. ქალი ნელა მიაბიჯებდა, როგორც იქნა, მიაღწია.

ბოდიში მოუხადა, შეაჩერა. ქალს გაეღიმა. ესამოგნა წამიერი შესვენება. იქნებ, ფიქრი გააწყვეტინა. ვინ იცის, რაზე, ან ვისზე ფიქრობდა ამ გაგანია სიტყვში შავებში გახვეული მანდილოსანი.

ქადრის ძირას იდგა ორი ქალი, თითქმის ერთი სიმაღლისანი, მაგრამ მკვეთ-

რად განსხვავებულნი ერთ მეორისაგან.

ერთი შავთმიანი ქალაქიშვილი, შავი თვალებით, შავი კაბით, შავი ტუფლებითა და შავი თავსაფრით. მეორე კი თეთრად, თავიდან ფეხებამდე თეთრად გამოწყობილი...

თამარ როდიონოვა დაჟინებით უცქერდა ქალს და ამიტომ კითხვა დაუგვიანა.

— აქ, ამ შენობაში, — ხელი გაიშვირა მან სახლისაკენ, — მგონი, უპატრონო ბავშვთა სახლი უნდა იყოს. იქნებ მიმასწავლოთ, როგორ შევიდე? — ოდნავ კანკალებდა როდიონოვას ხმა.

— უპატრონო ბავშვთა სახლი?

— დიახ!

— არა, გენაცვალე, უპატრონო ბავშვთა სახლი აქ დიდი ხანია აღარ არის...

საღღაც შეკრდში გულის ძარღვი ჩაუწყდა თამარს.

— რას ბრძანებთ! მე ზუსტად ამ მისამართზე მიმითითეს! რაღა ვქნა? — უიმედოდ გააქნია ხელები.

— აგერ, ამ მხრიდან, — ახლა შავებში გამოწყობილმა ქალმა გაიშვირა ხელი სახლის უკან, — საბავშვო ბაღია, ასე ჩაბრძანდით, იქ ეცოდინებთ, იქ უთუოდ ეცოდინებთ... — უფრო თამარის გასამხნეველად თქვა ქალმა და საბავშვო ბაღში შესასვლელისაკენ წარუძღვა როდიონოვას.

თამარს იმედი მოეცა.

— აქ საბავშვო ბაღია?

— დიახ, მოზრძანდით, მიგასწავლით, როგორ ჩახვიდეთ! — ქალი თამარს წინ გაუძღვა. მაღალი შენობის გვერდით უკანა მხრიდან ცისფრად შეღებილი რკინის ჭიშკარი გამოჩნდა.

— ამ ჭიშკარში ჩაბრძანდით და შიგეზოშია ბაღი!

— გმადლობთ, მამაკითხე შეწუხებისათვის!

— იცოცხლეთ! — ქალმა ოდნავ დაუყრა თავი და გაბრუნდა. ჭიშკარს მიაღწია, შეაღო და ღია ჭიშკრიდან გახედა

ეზოს. მოშორებით მოზრდილი სახლი იდგა. ჩავიდა და, სანამ სახლთან მივიდოდა, ეზო შეათვალიერა. მწვენიში ჩამალულიყო მთელი ეზო. ნაძვები, ხეხილი... სათამაშო მოედნები... საქანელები... მაგრამ ბავშვები არ ჩანდნენ.

საბავშვო ბაღი.

„ნეტავ პირველად ვის მოაგონდა ეს სახელწოდება? საბავშვო ბაღი, ხეხილის ბაღი, მცენარეთა ბაღი, ყვავილების ბაღი და საბავშვო ბაღი“... გაიფიქრა თამარმა.

ბაღის შენობას მიუახლოვდა. კიბეზე ავიდა და ხელმარცხნივ იმ ოთახის კარებს ფრთხილად მიუკაკუნა, რომელზედაც „საბავშვო ბაღის გამგე“ ეწერა.

იმ წამსვე გაიღო კარები. ხანშიშესულმა ტანსქელმა ქალმა გამოიხედა.

— მობრძანდით!

— უნდა შეგაწუხოთ! — ვედრების კილოთი უთხრა თამარმა და ოთახში შეაბიჯა. მოწოდებულ სკამზე დაჯდა და ისევ მოიწმინდა ოფლი.

— მე ამ საბავშვო ბაღის გამგე მინდოდა!

— მე გახლავართ!

— შეიძლება? — წყლისკენ ხელი წაიღო თამარმა. გამგემ გრაფინიდან ცივი წყალი დაუსხა და მიაწოდა.

შესევა, სული მოითქვა და მადლობა გადაუხადა.

დამხედური თვალს არ ამორებდა.

თამარმა ხელის ჩანთიდან პატარა წითელი წიგნაკი ამოიღო და გამგეს გაუწოდა. თვალის ერთი გადავლებით ამოიკითხა გამგემ სტუმრის ვინაობა და მოწმობა უკან დაუბრუნა.

— გისმენთ, რით შემიძლია გემსახუროთ?

— ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, უნდა შეგაწუხოთ, აღარც კი ვიცი, საიდან დაეწყო. მითხარით, გეთაყვა, აქ უპატრონო ბავშვთა სახლი იყო, არა?

— დიახ, იყო!

— ახლა?

— ახლა, როგორც ხედავთ, საბავშვო ბაღია!

თამარმა ისევ დაისხა წყალი და მოსვა.

გაიკონუსული

— მე შეილს დავეძებ, ჩემს ქალიშვილს. დიდი ხნის წინათ დაეკარგე იგი, როგორც იქნა, მოვაკელი ამ ადგილს და...

— უპატრონო ბავშვთა სახლში იყო?

— დიახ, ასე დამიხუსტეს!

— რა ვქნა, რით ვიშველოთ უპატრონო ბავშვთა სახლი დიდი ხანია აქ აღარ არის, გააუქმეს... — შეწუხდა მასპინძელი.

მცირე ხანს ორივე სდუმდა. ცრემლიანი თვალეზით მისჩერებოდა თამარ ბაღის გამგეს. თავის მხრივ დიდად შეწუხებული ჩანდა დამხედურიც. თავს იტეხდა, უნდოდა რითიმე გაეწია სამსახური საპატიო სტუმრისათვის.

— ნუთუ ამ უპატრონო ბავშვთა სახლიდან ყოფილ თანამშრომელს არავის იცნობთ, იქნებ თქვენთანაც მუშაობს რომელიმე!

— ჩვენი ბაღის თანამშრომლები ბავშვებთან ერთად ბორჯომის ხეობაში არიან ამჟამად. მეც ამ დილით ჩამოვედი საქმეების გამო. თუმცა, როგორც მახსოვს, ჩვენთან არავინ არ უნდა იყოს მასეთი, მაგრამ... დაიცით! — ქალი ოთახიდან გავიდა და ვილაყას გასძახა.

თამარი შეშფოთებული და დაბნეული იჯდა. რალა ქნას, ვისლა მიაკითხოს. მზად იყო ეტირა, მაგრამ ამ დროს ქალების საუბარი მოესმა აივნიდან.

— აბა მოიგონე, მოიგონე, ჩემო სონია!

— ვიცი, როგორ არ ვიცი, არც თუ ისე შორს ცხოვრობს, თუ ვინდა ახლაც წავალ!

— აბა, გვიშველე და ჩემზე იყოს, ჩემო სონია!

თამარი აივანზე იმ დროს გამოვიდა, როცა იმ ქალმა, რომელსაც გამგე ესაუბრებოდა, ქიშკარი გაიარა. თვალი გააყოლა თამარმა მას.

— მგონი, გვიხსნას ჩვენმა დამლაგებელმა.

— მართლა? ოპ, როგორი მადლობელი ვარ...

— ჩვენი ერთ-ერთი აღმზრდელი, რომელიც აქამდე პენსიაზეა, აქვე ცხოვრობს, ჩხაიძე გვარად. იგი წლების მანძილზე მუშაობდა იმ უპატრონო ბავშვთა სახლში და არ შეიძლება არ იცოდეს რაიმე თქვენს შვილზე... დამშვიდდით, ქალბატონო, ნაღია ჩხაიძეს მოვიყვანთ, თუ ჩვენთვის საჭირო და სასურველი ვერაფერი გვითხრა, სხვა საშუალებასაც ვიპოვიან!

— საქმეს მოგაციდინეთ, მაგრამ ნუ დამზრახავთ, ჩემი მდგომარეობა ვაგაგებინეთ და მიაბატინეთ!

— საქმე? ვანა ამაზე დიდი საქმე იქნება! თქვენ ნუ სწუხხართ, ქალბატონო...

— თამარ! — შეაგება როდინოვამ.

— ნუ სწუხხართ, ქალბატონო თამარ, აგერ ბაღში ჩავიდეთ, დავსხდეთ, სულა მოვითქვით.

ქალები ეზოში ჩავიდნენ და ნაძვის ძირას სკამზე ჩამოსხდნენ.

— დამუნჯებულაა მთელი ეზო, ჩვენი პატარები როცა აქ არ არიან.

— დიდი ეზოა!

— ბავშვებს უფრო დიდი და უფრო უკეთესი ეზო შეჰდერით!

— ბოდიში, თქვენი სახელი?

— ნუთუ ჯერ არ მითქვამს? ნამდვილად საპენსიოდ ვარ გამზადებული. ქეთო, ქეთევანი მქვია! — გაიცინა მან.

— ჯერ ადრეა, ქალბატონო ქეთევანი! თქვენ მხნედ გამოიყურებით!

— მადლობთ, გეთაყვა. ერთი რამ მაკვირს და არ შემიძლია, რომ არ გკითხოთ!

— ბრძანეთ!

— რუსის ქალმა ასე ჩინებულად როგორ ისწავლეთ ქართული ენა?

— ვისწავლე! მინდოდა და ვისწავლე! — მოკლედ მოუჭრა თამარმა.

— ჰოდა, ძალიან კარგადაც მოქცეულხართ!

— თამარს გაეღიმა. თანდათან უფრო და უფრო მოსწონდა ეს სავეს სახის, გულწრფელი ქალი.

— ჩემგან არაფერი ვესწავლებათ, მეტის ცოდნა საზიანო რომ არ იქნება, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. მეც, აგერ უკვე დავბერდი ქალი და ახლაც არ ვიტყვოდი უარს იმისათვის, რომ სხვა ენაც ვესწავლა, მაგრამ საღადაო მაგის თავი. თქვენ კი ძალიან მასია მოვნეთ თქვენი ქართულით. თბილისში პირველად ბრძანდებით?

— არა, მეორედ, მაგრამ პირველად დიდი ხნის წინათ ვიყავი აქ, ახლა ძნელი საცნობია თბილისი. რამდენი ახალი სახლი, ქუჩა და პროსპექტი გაშენებულა მას შემდეგ. თბილისში ჯერ კიდევ ომამდე ვახლდით!

— შევითხვებით გაუხებთ, თქვენ კი ვიცი, ცუცხლი გიყიდიან გულზე. შეილი ალბათ ომის დროს დაკარგეთ!

— ომის დროს, დასავლეთ ბელორუსიაში დავკარგე ჩემი გოგონა. მოსკოვში მივემგზავრებოდით ბელოსტოკიდან ომის დაწყებამდე პირველ დღეს. დაგვბომბეს გარეწრებმა. მე თვითონ იმ საღამოს მიბოვეს იქაურმა მცხოვრებლებმა უგრძობლად ჩამარხული ორმოში... იქვე დამელუპა უფროსი და, დისშვილი. ოკუპირებულ ტერიტორიაზე შემოვრჩიე მძიმედ დაჭრილი. კეთილმა აღამიანებმა შემისახლეს, მიწამლეს, მომიარეს და გადავრჩიე, როგორც იქნა. მერე ვიბრძოდი კიდევ, პარტიზანებთან ვიყავი...

— თქვენ, პარტიზანებში?

— ჰო, პარტიზანებში დავყავი 1944 წლამდე! ეპ, ქალბატონო ქეთევანი! ჩემოდენა უბედურება აღარ ვიცი, თუ ვისმეს მოუტანა იმ ომში. მე დავკარგე ყველა და ყველაფერი, თუ კი რამ ძვირფასი გამაჩნდა, თუ კი რამ ძვირფასი იყო ჩემს გარშემო. დავრჩიე მარტოდ-მარტო. ამბობენ, ბედი აღამიანს ერთხელ მაინც მოხედავსო ცხოვრებაში, მე ამ სიბერეში მომავნო ბედმა... თუ შეილი ვიპოვე, აღარაფრად ჩავთვლი სხვა უბედურებას. ისაა ერთადერთი იმედი ჩემი და მეტი აღარაფერი მაინტერესებს...

— თქვენს ქალიშვილს ვიპოვეთ, რაკი აქ, თბილისში იყო, ვიპოვეთ! იქნებ შვილიშვილებიც კი დაგახვედროთ თქვენმა ქალიშვილმა, ა? რას იტყვით?

— ღმერთმა გისმინოთ და შექარი თქვენს პირს! — ორივეს გაეცინათ. თამარი გაჩუმდა და გაირინდა.

თვალწინ მისი მარია დაუდგა. მალალი, სახიერ, ძალზე ლამაზი... ბუთხუზა შაგვრემანი ბიჭი მკერდზე მიუხუტებია (მხოლოდ შაგვრემანი) და იცინის ბედნიერად. რატომ მიუხუტებია? იქნებ დიდი ბიჭიც კი ჰყავს, რატომაც არა... ოცნებში ჩაიძირა თამარა როდიონოვა. ქეთევანმა ერთი გადახედდა მიუხუტვდა და აცალა ფიჭრი.

ქიშკრის ხმაურმა გამოაფხიზლა. ქალები წამოდგნენ. ქიშკართან მიეგებენ მოსულებს.

ეზოში ჯერ სონია ჩამოვიდა, მერე — ძალზე მოხუცი, გამხდარი ქალი.

— მობრძანდი, ჩემო ნადია, მობრძანდი! — ხელი გაუწოდა ქეთევანმა.

— საღამო მშვიდობისა, ქალებო! — ჯერ ქეთევანს ჩამოართვა ხელი, მერე თამარს. თამარს ერთხანს მოწინებით ეჭირა მისი დამარღველი პატარა თითები და თვალბში ჩასკეკროდა. ამ თვალბში ეძებდა იმედის სხივს, ნუგეშს...

ნადიაც დაკვირვებით ათვალერებდა სტუმარს. ერთის შეხედვით, მოეწონა თამარი, როცა როდიონოვამ ქართულად დაილაპარაკა, მოხუცი გაოცდა.

— თქვენ რუსი ხართ, შვილო?

— რუსი ვარ, ქალბატონო! — გაიღმა თამარმა.

— ქართული ვინ გასწავლათ?

— ვისწავლე, რად გიკვიროთ, ეს არც თუ ისე საძნელო საქმეა...

— შენ გაგახარა ღმერთმა.

სკამზე ჩამოსხდნენ. ნადიამ თავსაფარი მოიხსნა, ორივე ხელით შეისწორა თეთრი თმები და ქეთევანს მიუბრუნდა.

— რაო, ქეთევან, რაზე დაგპირდა ჩემი ბებერი თავი?

— შეგაწუხე, ჩემო ნადია და ბოდიშ-

საც აღარ ვიხდი, მაგრამ ისეთ საქმეზე მოგიწვიეთ, შენ თვითონ გესიამოვნებდა. ეს ჩვენი სტუმარი მოსკოვიდანაა, დოქტორია!

— ექიმი ხარ, დედა?

— თამარს გაეცინა.

— არა, ნადია. ექიმი კი არა, მეცნიერი, — თამარის მაგიერ უპასუხა ქეთევანმა.

— მერე მე რაში დაგპირდი, შვილო?

— სონიამ არაფერი გითხრა?

— ქეთევანს სჭირდება, მთხოვა, უნდა წამოხვიდეო, ასე მითხრა. სხვა თქვი რამე? — მიუბრუნდა ნადია სონიას, რომელიც სკამის ბოლოს იჯდა და გულდასმით უსმენდა ქალების საუბარს.

— არა, მეტი არაფერი მითქვამს!

— ჰო და მე გეტყვი! — სიტყვა გააწყვეტინა ქეთევანმა, — ჩვენს თამარს...

— თამარი ჰქვია?

— დიახ!

— უიმე, მთლად ჩვენიანი არ ყოფილა!

— ომის დროს ბავშვი დაუკარგავს, ნადია! მერე უძებნია თავისი გოგო და, როგორც იქნა, აღმოუჩენია მისი კვალი. აქ ყოფილა, უპატრონო ბავშვთა სახლში...

მოხუცი ქალი დიდის ყურადღებით უსმენდა ქეთევანს, უპატრონო ბავშვთა სახლს გაგონებაზე სახე მოედრებულა, მერე და მერე გადაიწმინდა სახიდან ღრუბელი, თამარს მიუბრუნდა, გაულიმა და უთხრა:

— ჩვენთან ბევრნი იყვნენ უპატრონო გოგოები და ბიჭები. დაეზარდეთ, შვილო, გზა მივეციოთ. დღეს ზოგი ეჭიმი, ზოგი ჩნეინერი, ზოგი ბედაგოგი და ასე. ზოგიც დაცოლშვილებულია და ზოგიც ქმარშვილიანი.

— გოგო იყო შვილო, თუ ბიჭი?

— გოგო, ქალბატონო!

— რა ერქვა, დედა?

— მარია!

თამარი პასუხობდა, მაგრამ ვაი, ასეთ პასუხს, თრთოდა, მთელი სხეული უცახცახებდა, მოხუცი დინჯად და აუ-

ლელვებლად აძლევდა კითხვებს და ეს უფრო ანერვიულებდა.

— მარია? — თითქოს რაღაცას იგონებდა, ისე თქვა ეს სახელი მოხუცმა.

— ექვსი წლის იყო მაშინ, ჩემი მარია, ლამაზი გოგონა იყო, წაბლისფერი თმა, ოდნავ ხვეული, თაფლისფერი თვალები, პო, თაფლისფერი თვალები, ენა ტიტინა, კიდევ... — თამარი ჩქარობდა, ეძებდა, იქნებ კიდევ რაიმე ნიშანი დაე-სახელებინა, ხელებს იმტვრევდა და ცრემლი სდიოდა თვალთაგან.

მოხუცი წამოდგა. ამ წამსვე წამოდგნენ ყველანი.

— ჯერ დარწმუნებით ვერაფერს გეტყვი, შვილო. ჩემს სახლამდე უნდა წამოხვიდე... — მოხუცი წამოდგა, წამოდგა თამარიც.

— ასე ვერ გაგიშვებთ! — ორივე ხელები გაშალა ქეთევანმა. — სონია, აბა დაგვიტრიალდი თუ ქალი ხარ! — სონია წავიდა.

— მადლობა, ქალბატონო ქეთევან. ახლა ლუკმა გადამიცა ყელში? თქვენი დიდი მადლობელი ვარ.

უბის წიგნაკი ამოიღო, თავის მისამართი დასწერა, ფურცელი ამოხია და ქეთევანს გადასცა, მერე გადაეხვია და გადააკონა. ქუჩაში გამოვიდნენ.

— ტაქსი გავაჩეროთ! — თქვა თამარმა.

— არაა საჭირო, აქვე ვცხოვრობ.

ფეხს აუჩქარეს. მალე ჭუჩის პირას სადარბაზო შესასვლელში შევიდნენ. ნადია ნელა შეუყვამ კბეებს, თამარი ჩქარობდა. შევიდნენ თუ არა ოთახში, პირდაპირ კედელთან დაკიდებულ სურათთან მიიყვანა სტუმარი ნადიამ.

— აბა კარგად დაუყვირდი, იქნებ გამოიცილო შენი გოგო!

თამარმა სურათი ფრთხილად ჩამოიღო, სავარძელში ჩაქდა და დაუყვირდა. ორმოცამდე პატარა შემოსხლოდა აღმზრდელებს, მათ შორის ნადიაც იყო. ნადიას გვერდით მოხუცი ქალი იჯდა და სწორედ ამ მოხუცი ქალის ფეხებთან

ჩაცუცქულ გოგონას დააკვდა თვალებით.

— მარია, შვილო, ჩემო სიხარულო! — ის არის, ის... — შეპყვირა თამარმა.

ნადიამ სათვალე მოირგო და სურათს დახედა.

— შეც ასე გავიფიქრე, ის არის... ახლა კი უნდა მოგილოცო შვილო, შენი მარია ცოცხალია!

— ცოცხალია? სად არის?

— ნუ ლეღვ, სატირლად აღარ გაქვს საქმე, სატირლად კი არა საქორწილოდ პოეზზადე.

— რას ამბობთ! სიცილ-ტირილი ვერთმანეთში აერია როდინოვას.

— დამშვიდდი და მისმინე. მახსოვს. შენი გოგონა მოიყვანეს ლამით. ნამტორალევი იყო და მალე მიეძინა. პირველ ხანებში სულ ტიროდა, ბავშვებს გამოეყოფოდა და იყო მარტოდ ხის ძირას მობუხული. ეტყობა, რაღაცას იგონებდა და ბავშვი. აბა დარდისთვის ვინ მოაქლიდა, შეეუძახებდით და ისიც ჩიტივით წამოფრთხილდებოდა.

ჩვენთან ერთი მოხუცი ქალი მუშაობდა აღმზრდელად, აგერ აა, ხედავთ? მახფხებთან ზის მარია, — თამარმა სურათს დახედა.

— დარეჯანი ერქვა უბედურს, — განაგრძო ნადიამ. — მარტოხელა ქალი იყო, ერთადერთი შვილი ომში დაედუპა, კარგი ადამიანი იყო. პოდა, იმან იშვილა შენი გოგო — საშუალო სასწავლებელი გაათავებია და მერე აგერ იმ უნივერსიტეტში შეიყვანა, მაგრამ...

— ვერ ისწავლა?

— დარეჯანი გარდაიცვალა. მარია მთილისი მიატოვა და ქუთაისში გადასახლდა. მუშაობა დაიწყო და უმალღესი დაუსწრებლოდ დაამთავრა. ახლა სადღროფლოდაა გამზადებული...

— თქვენ საიდან იცით?

— ბარათი მომწერა ამას წინათ. ბედნიერი ქალი ვარ, მიყვარს და ვუყვარვარ, ჩემი საქმრო ავტოინჟინერია, ძალიან კარგი ვაჟაკიაო, სამამამთილოც ინეთნერი მყავსო, რა იქნებოდა საწყალი დე-

დაჩემი მოსწრებოდა ჩემს ბედნიერებასო. თავის გამზრდელ დარეჯანსაც იგონებდა, ის მაინც მყავდეს ცოცხალი... უბედური დარეჯანი, რა ხანია არ დამიხედავს მისი საფლავისათვის...

თამარი ისმენდა და ტიროდა. ნადიამ სასმელი და ხილი გამოიტანა. თამარმა სასმისი აიღო.

— სინარული არ მოგაკლდეთ, მადლობთ, ყველაფრისათვის მადლობელი ვარ...

შესვა და განაგრძო.

— ქუთაისში როგორ უნდა წავიდე?

— მატარებლის მეტი რაა, შვილო! როცა გინდას...

— ქალბატონო ნადია, თქმაც მივირს და უთქმელობაც, მაგრამ მაინც თქმას ვეძებოვინებ. ერთხელ კიდე უნდა შეგაწუხოთ...

— არ მომერიდოთ, შვილო, თუ კი რამ შემიძლია...

— იქნებ წამყვეთ იმ ადამიანის საფლავზე, იქნებ რამდენიმე წუთით მაინც ვიტირო ის კეთილი მოხუცი, ვინც ჩემს შვილს... გამოიგებთ...

— კი, დედა, კი შვილო, მაგაზე უარს როგორ გეტყვი, მეც კი ვაპირებდი წასვლას, მაგრამ მოვიგონებ? კარგა ხანია არ ვყოფილვარ და რა ვიცი. მოვხუციდი. შვილო, მოვტყდი, ჯანს კი არ დავეძებ, მაგრამ მასხოვრობა აღარ მაქვს... მიგნება კი გამიპირდება, მაგრამ წავიდე, იქნებ, მივაგნო...

ხელშორედ სასმისების შევსება აღარ დაანება მისპირძელს. აღარც მოხუცმა დაიჟინა, რადგან კარგად გრძნობდა იმ უსახლვრო მღელვარებას, რომელსაც მისი სტუმარი განიცდიდა. თამარი ერთხელ კიდე მივიდა კედელთან და ერთხელ კიდე ახედა უკვე თავის ადგილზე დაკიდებულ სურათს. მადლობა გადაუხადა ჩხაიძის ქალს და მასთან ერთად ქუჩაში გამოვიდა.

ტაქსი დაიჭირა. ჩასხდნენ. საყვავილო მალაზიაში ცოცხალი ყვავილების დიდი თაიგული შეიძინა.

ვაკის სასაფლაოსაკენ წავიდნენ.

გზადაგზა ალტაცებას ვერ ფარავდნ თამარა როდიონოვა.

— რამდენი რამ აშენებულა თბილისში, კიდეც უფრო გალამაზებულა და გამშვენიერებულა თქვენი დედაქალაქი.

ნადიამ მანქანის ჩქარვა სვლამ ატყინა თავი და თითო-ოროლა სიტყვით უპასუხებდა.

ვაკის ახალ ბარკთან შეაჩერებინა მანქანა.

— აქეთობას გამოვიაროთ, შვილო! ბარკში ჩავიდეთ და დავისვენოთ ცოტა! თამარი ჩხაიძის ქალს მიუბრუნდა. ფერი დაეკარგა მოხუცს. თამარი შემოფოთდა.

— ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს!

— არაფერია, სასაფლაომდე ვაგვლებს — ნაძალადევად გაიღიმა ნადიამ.

სასაფლაოზე როცა შევიდნენ, იქვე მხარმარჯვნივ ნაძვის ხესთან შედგა როდიონოვა. თვალი მოავლო მწვანეში ჩაფლულ საფლავებს. იმ წამსვე რაღაც უცნაური ზემოქმედება იგრძნო, აღბათ ასე ემართება ყველას, რადგან სასაფლაო სწეწავს სულს, აღუნებს სხეულს და საფიქრალს უმატებს ადამიანის გულს...

ჩხაიძის ქალიც დგას დაბნეული. ფიქრობს და იგონებს საით წარუძღვეს სტუმარს.

„ღმერთო. რამდენი საფლავი შექმნებია აქაურობას, როგორ მივაგნო იმ უბედურს“, — თითქოს მიუხედა თამარი მოხუცს სადარდელს, მხარზე ხელი გადაჰხვია და უთხრა.

— თქვენ ნუ სწუხართ, ქალბატონო ნადია, ცოტა ხანს ვიაროთ, ვეძებოთ და თუ ვერ მივაგენით, არა უშავს. ამ თაიგულს სხვა საფლავზე დაეტოვებ, მე იმიტაც მოვისვენებ მცირედს.

— კი, დედა, კი შვილო, ვიაროთ, იქნებ მივაგნო, მართლა მთლად ასე გამოჩერჩეტებული არ გგვონო!

დაიძრნენ.

წინ ნადია მიამიჯებს, ფრთხილად დგამს ყოველ ნაბიჯს.

უკან მიჰყვება თამარა როდიონოვა. თეთრ ტანსაცმელში მორთული, თოვლი-

ვით თეთრი ქალი და ყოველ საფლავს, შავი მარმარილოს ქანდაკებით დამშვე- ნებულს თუ ისე უბრალოდ ამობურ- ცულს და ბალახებით დაფარულს უკვი- რდება დაქინებით.

ახე იარეს კარგა ხანს. ოდნავ შემალ- ლებულ ბორცვთან შედგა მოხუცი. თა- ვისთვის ჩურჩულებს და ხელებსაც იშ- ველებს გზის გასაკლევად. შემალღუ- ბაზე ავიდა და მხარმარჯვნივ გაჰყვა სა- ფლავებს შორის გათელილ ბილიკს. უხ- მოდ მიაბიჭებენ ქალები. სასაფლაოზე არც ერთი ადამიანი არ შეხვედრიათ. თამარს უნდა ჰკითხოს მიზეზი და ერი- დება, მაგრამ მერე თავად პოულობს პა- სუხს. ოთხშაბათია და ასეთ დღეს არ კრძალავენ მიცვალებულს. ისევე ავიდნენ მალა და შეჩერდნენ. აქედან ხელისგუ- ლივით მოჩანდა საბურთალოს ახალი და- სახლება. ერთ ხანს იდგა და უცქირა ამ გადსახედს თამარმა. იდგა უცნობ საფ- ლავთა შორის, უცხო ქალი საკუთარი ცხოვრების სიმძიმით დატვირთული და გათეთრებული.

მოხუცი ნელა განაგრძობს წინსვლას. თამარი უკვირდება და ხედება, რომ მას უჭირს. ძლივს მიათრევს ფეხებს..

თამარს უნდა დაუძახოს, მოაბრუნოს, ებრალება და ერცხვინება მისი.

მოხუცი კი მიდის, ნელა, მაგრამ მა- ინც მიდის, ფიქრობს და იგონებს...

იქნება თვით მიცვალებული ეხმარე- ბა, ეძახის და მის იღუმალ ხმას გუმანით მიჰყვება ჩხაიძის ქალი. ეძახის ძველი მეგობარი...

მოხუცი შედგა. თავსაფარი მოიხსნა და შუბლი ნიავს მიუშვირა.

სრულიად განცალკევებით ბალახით დაფარული საფლავი ჩანდა. თავთან კარ- გა მაღალი ჩინარი შრიალებდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი ამ წუთს...

საფლავზე შეგებში გახვეული ქალი დამხობილიყო და მოთქვამდა გულსაკ- ლავად.

ქალებმა სუნთქვა შეწყვიტეს, ერთ- მანეთს გადახედეს და გაირინდნენ.

ხმამალა მოთქვამდა შავოსანი. იგი ვერ ამჩნევდა ხუთიოდე ნაბიჯზე ქანდა-

კებასავით გაქვავებულ ქალებს. ორივე ხელებით წიწყინდა ბალახებს და მთელი ტანით გადამხოზოდა საფლავს.

— მაპატიე, ჩემო საწყალო ღედა- ღეთის ანამარა მივატოვე მე უბედურმა. ვერ გავიხარე ამ ქვეყნად, ღედა... ყველა უბედურებამ ჩემთვის მოიკალა. ახლა მივდივარ, თავი ვერ გავიმეტე და მივ- დივარ, შენი საფლავის ნახვა, შენთან ტირილი მომინდა, გინახულე უკანასკნე- ლად. მშვიდობით, მაპატიე, მივდივარ ღედაჩემთან, ჩემს ღვიძლ ღედასთან, მე მეძახის იგი...

ტიროდა ახალგაზრდა ქალი და ჰკოც- ნიდა საფლავის ბალახებს.

ნაღია და თამარი კი იდგნენ, მართ- ლაც როგორც საფლავებზე წამომდგარი ქანდაკებები.

ახალგაზრდა ქალმა თითებით მოფხა- წნა მიწა და გულდაგულ შეხვია ცხვირ- საბოცში, ერთხელ კიდევ აკოცა საფ- ლავს, მერე წამოიწია, მოიხედა და...

კიდევ ერთი ქანდაკი დადგა საფლავ- ზე.

— ის არის, ის! — წამოიყვირა მოხუ- ცმა.

თამარიც შეტორტმანდა, ჭერ რაღაც სქელი, ბინდის მაგვარი გადაეფარა თვა- ლებზე, მერე ნელა გაფანტა ბინდი, თვა- ლი გაახილა და...

— შეილო, მარია!

— ე!

— ღედა!

თამი მითოვამბაძე

მუხნარი ტყეში

მუხნარის ტყეს, რომელსაც ძველად სალორიას ეძახდნენ, თითქმის ზუსტად შუაზე ჰყოფს მოასფალტებული, მშვე- ნიერი გზატკეცილი. ქუთაისიდან იწყება ეს გზა, სადგურ „რიონთან“, რკინიგზის მთავარ მაგისტრალს გადაჰყვით, მერე ვარციხე, აჯამეთის ტყე, აქაც მუხნარი, უფრო შორს, ბაღდათი, — განთქმული ვენახებითა და პურმარლით...

მაგრამ შორს წავსულვარ...

მუხნარი.

ხელმარცხნივ არხი, ჩვენი რიონი

საგულდაგულოდ შებორკილი, უღელ-
დადგმული...

ხელმარჯვნივ სამთო და სატყეო ტექ-
ნიკუმების მშენებელი კორპუსები.

სატყეო ტექნიკუმის პირდაპირ ხიდი
არხზე და ჰიპოდრომი. იქვე ტრაქ-
ტორ „რიონის“ ახალი ქარხანა...

დიახ, ახალი ქარხანა... დიდი საავტო-
მობილო ქარხნის შეიღობილი...

ასე უცებ?

დიახ, ჩვენ ხომ საოცარი დროის ადა-
მიანები ვართ. სასწაულების ქვეყანაში
ვცხოვრობთ და ნუ გიკვირთ! ეს კი არა
და ხიდადღე, რომელზედაც ცოტა ზე-
ვით გვექონდა საუბარი, ქუთაისიდან სა-
ტროლებიუსო ხაზიც გაიყვანეს.

ახლა ქუთაისიდან მომავალი ტრო-
ლებიუსები ამ ხიდს გადაიარს და ისევ
ქალაქისაკენ ბრუნდება. არ გაივლის
დიდი დრო და სატროლებიუსო ხაზს
რკინიგზის სადგურ „რიონამდე“ მიიყვან-
ნენ და მერე ვინა იტყვის ქუთაისზე, —
„ჩიხში მომწყვედელი ქალაქიაო“.

თავისთავად ძალზე უბრალო და ერ-
თის შეხედვით უმნიშვნელო რამ არის
ტრაქტორი „რიონი“, გოგი ლომიძის
„რიონი“, მაგრამ ერთი ახალ ქარხანა-
შიც შეიხედეთ ჩამწყობებულან ახალ-
თახალი. გამრიალებული მანქანები, თუ-
ხთუხებენ მოტორები და ელიან საკოლ-
მეურნეო ფართობებში გასვლას.

დიდი უბედურება დაატყდა თავს გო-
გი ლომიძეს, სწორედ „რიონის“ გამოც-
დის წინა დამეს...

ამ ქვეყნიდან წაივდა გიორგი ლომი-
ძე. დადუმდა ბევრის ვადამტანი, მრავ-
ალგზის ნახუსხარი და დაკოდილი გუ-
ლისცემა.

ვერ დაესწრო შეილის სიხარულს,
„რიონის“ გამოცდისა და გამარჯვების
ზეიმს.

...გიორგი ლომიძის დაკრძალვის შემ-
დეგ რამდენიმე დღე გავიდა. გოგი თით-
ქმის ყოველდღე დადიოდა მამის საფ-
ლაგზე. საათობით იჯდა და ისედაც სიტ-
ყვაძვირი ვაჟაკი, ახლა მთლად დამუნ-
კებულყო.

რკინის ლოზე შემოავლო სამარეს. სა-

განგებოდ გაათლევინა ორი ქვა, ერთი
დედისათვის, მეორე მამისათვის, ორი
პატარა ნაძვი და ყვავილებიც... დარგა
მოვიდოდა, საფლავს გაწმენდა, ყვავი-
ლებს წყალს მოუსხამდა, მერე იქვე ჩა-
მოჯდებოდა და ფიქრობდა. ხანდახან
გივი ჩხეიძე, ლადო გორდაძე, ან შოთა
ვარდანიძე გამოვლამარაკებოდნენ, მაგ-
რამ გოგი მეგობრებსაც უგულოდ პასუ-
ხობდა.

სახლში კი ნიდაგ საწერ მაგიდას
უჯდა. კედელზე კედლის საათის
გვერდით უკვე გადიდებულ, დიდ შეგ-
ჩარჩოში ჩასმულ მამის სურათს შესც-
ქეროდა ნაღვლიანი და გულმკვდარი.
თითქოს იღიმებოდა გიორგი ლომიძე
და არც იღიმებოდა...

მესამეჯერ გადაიკითხა გოგი მამის
დღიურები.

ყოველ სტრიქონს მთელის გულისყუ-
რით სწონიდა და უკვირდებოდა ლომი-
ძის ნათქვამს, მის ყოველ ნაბიჯს...

ვერა, ვერაფერში შეასწრო, ვერსად
უნახა ნაყლი, ვერაფერში ვერ გაამტყუ-
ნა მამა...

კითხვის დროს, როცა გოგი ხელებ-
ში თავჩარგული თვალებით მისდევდა
გაყვითლებულ და დაფლეთილ ფურც-
ლებზე თითქმის გადაშლილ სტრიქო-
ნებს, დროგამოშვებით დარეკავდა კედ-
ლის საათი...

დარეკავდა გოგის გულიც...

ერთ საღამოს გოგი ვლადიმერ ჭუ-
ღელმა ინახულა. საწერ მაგიდას უჯდა
გოგი ჩვეულებრივ. ვლადიმერის შე-
მოსვლაზე წამოდგა და მიესალმა.

— ეს კი აღარ თომწონს, გოგი!

ნელა ასწია თავი, მაგრამ მამის
ტოლს თვალი ველარ გაუმართა.

ჭუღელი გოგის წინ სკამზე ჩამოჯდა.
ერთხანს სდუმდნენ.

ტაქ-ტუქ, ტაქ-ტუქ! ისმოდა კედლის
საათის რიტმული ხმაური.

ბოლოს ისევ ვლადიმერმა დაარღვია
სიჩუმე.

— კარგი მამა დაპყარგე, შეილო!
კარგი მამა... მამაშვილობას გეფიცები,
მეც აღარა ვარ ჩემს ჰუჯზე გიორგის

სიკვდილის შემდეგ, თითქოს რაღაც მაკლია, მაგრამ რა უნდა ვქნათ? წინ დიდი საქმეა, დიდი ცხოვრება... ჩვენ კი ვარდა პირადულისა, სხვა უფრო მეტი ვალიც გვადევს, ბევრად უფრო მეტი... შენ რომ იცოდე, გოგი, რა ვაღამზომია თავს, რა ვაღამიტიანია ჩემს არც თუ ისე საინტერესო სიცოცხლეში, ვაკვირდები და მაშინ საკუთარი მწუხარება ველარ შეგაწუხებებს...

ისევ ააწია თავი გოგიმ. კარგა ხანს უცქირა ვლადიმერის სახეს. ჭულელის თვალები მამის თვალებს შეადარა და თითქოს მსგავსებაც იპოვა...

— რა მოულოდნელად მოხდა ყველაფერი, მარინე მომიწამლეს, მე თითქმის ქვტიდან შემშალეს, მაგრამ მამა ჩემს რაღას ერჩოდნენ, ვის რას უშავებდა, ვის დასჭირდა მისი სიკვდილი...

— ეპ, შეილო, სამწუხაროდ დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც ნასესხები ფულით ნაყიდ ნავთს ჩაასხამენ ლამფაში, მიუჭლებიან და მთელს ღამეს სხვის ძვირზე იფიქრებენ.

— მინც ვისგან იყო, ან რა ეწერა იმ ბარათში, ბატონო ვლადიმერ?

ჭულელმა პასუხი დააკოვინა. ეგონა, რომ გოგიმ უკვე იცოდა ბარათის შინაარსი, ეგონა, რომ გივი ან ლადო შეატყობინებდნენ ყველაფერს, მაგრამ... ყოჩაღ, ბიჭებო!

— არაფერი გაიკვირვო, შეილო! და სიტყვაც მომეცი გიორგისებური, რომ არ აჩქარდები. შენ ახლა უფრო დიდი საქმე გელოს, დიდი სიხარული...

მწარედ გაელიმა ლომიტეს. „დიდი სიხარულიო, რა უცნაური კაცია ჭულელი... დიდი სიხარული კმ! ალბათ „რიონს“ გულისხმობს: ჩემი „რიონი“, ჩემი პატარა ტრაქტორი — მართლაც დიდი სიხარულია, მაგრამ...

ისევ შეხედა ჭულელს და ისევ მიუბრუნდა თავის ფიქრებს:

„რა უნდა მექნა, ვისღა ახსოვდა ტრაქტორი. იქნებ სწყინთ, იქნებ მატყუებენ კიდევ... იქნებ მიწუნებენ საქციელს!“

თვალებში ჩახედა ვლადიმერს.

„არა, ვლადიმერ ჭულელი, ვიცი, გამოგებს, ყველანი გამოგებენ“

— სანდრო მეღია მოგხსენიო! მე მარცხი ვიცი, აქამდე როგორ ითმენდნენ ამ მართლაც მეღიასა და გაიძვერას წარმოებაში. ამ საქმეში იგი ბრმა იარაღად გამოუყენებიათ და მეტი სასჯელიც ვერ მოუენახე.

— ვის გამოუყენებია?

— ბერიძის ქალს!

ოღნავ შეკრთა ლომიძე. თითზე იცბინა და გაირინდა. „სადღაც იქნებ ისიც მართალია, მაგრამ საიდან იცოდა მამა ჩემის წარსული, საიდან?“

— მე ვესაუბრე ბერიძეს, და...

— ვიცი, რასაც გეტყობდათ! — სიტყვა ჩამოართვა გოგიმ.

— გამიკვირდა, შეილო, ნამდვილად გამიკვირდა. ყველაფერს მოველოდი, მაგრამ ასეთ უბედურებას, ასეთ დამთხვევას...

ჭულელი წამოდგა, მხარზე ხელი მოხვია გოგის და უთხრა:

— დაეანებოთ თავი ბერიძის ქალს. შენ აი, ეს წაიკითხე! ოღონდ დინჯად და რაც შეიძლება მშვიდად, იცოდე... მართლა უკუღმა კი არ წასულა საქმე... ნახე!

ვლადიმერმა გოგის მოზრდილი კონვერტი გაუწოდა. ფრთხილად ჩამოართვა იგი ლომიძემ, თავდაც ასადგომად იწვია, მაგრამ ვლადიმერმა დაუშალა.

ჭულელიც დაჭდა.

„ქუთაისი, საავტომობილო ქარხანა, ვლადიმერ შალვას ძე ჭულელს“.

თითქოს იცნო ხელწერა, თითქოს...

ხელის კანკალით ამოიღო ბარათი და სანამ კითხვას შეუდგებოდა კარგა მოზრდილი ფურცელი ხელში შეატრიალა.

მარინე როდიონოვა...

— ბატონო ვლადიმერ!

— სსს! — საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა ვლადიმერმა.

— დინჯად! ხომ გითხარი, და, რაც შეიძლება მშვიდად წაიკითხე, მე გელოდები.

გოგომ ბარათი წინ დაიდო, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და კითხვას შეუდგა.

პატივცემულო ვლადიმერ!

თქვენ გწერთ ამ ბარათს. თქვენ, მამასავით საყვარელს, გამგებს. გიორგი ლომიძის ოჯახის მეგობარს. გწერთ, თან წინასწარ ვთხოვთ მამატივით ყველაფერი. მამატივით, რომ გაწუხებთ, დროს ვართმევთ, მაგრამ, აბა რა ექნა!

ჩვენს ამბავს მალე შეიტყობდით... ნუ მიწყენთ, ყველაფერი თავიდან უნდა გაიმბოთ.

იმ საღამოს („რიონის“ გამოცემის წინა საღამოს) თეატრში უნდა წავსულიყავით მე და გოგი. შვიდი საათისათვის გოგი მელოდა, მე უნდა გამეკვლო...

შეიღს გადასცილდა. მე უკვე მზად ვიყავი. კარები გამოვალე და იქვე ჩემს წინ კონვერტი დავარაღე. ეტყობა, საგანგებოდ ჩაემალა ვიღაცას კარებში.

ავიღე, გაგხსენი და სულმოუთქმელად წავეიკითხე...

აბა, როგორ ვითხრათ, როგორ გადმოგცეთ, თუ რა მომივიდა! კიდეც რომ მოვიწოდო, მაინც აღარაფერი მახსოვს. მე მაშინ ნამდვილად ჭკუიდან შევიშალე.

თვითონ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ბატონო ვლადიმერ, თუ რა დღეში ჩავვარდებოდი.

მე მივდიოდი საქმროსთან, ერთადერთ ადამიანთან, რომელიც ყველაფერს წარმოადგენდა ჩემთვის, ის იყო ჩემი ბედნიერება, ყველა სიხარული და უცებ...

ღმერთო, ახლაც მზარავს იმ სიტყვის გახსენება...

გიყვით გავეარდი ქუჩაში და გავიქეცი, საით?

თქვენთან არ შემიძლია გულახდილი არ ვიყო, არ შემიძლია რაიმე დავიმართლო, რატომ? ნუ მკითხავთ ამას, ისედაც გამიგებთ.

...ვერა, ვერ გავიმეტე თავი. ისედაც საკმაოდ ბევრი მწუხარება გადავიტანე

ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე და ასე მალე, ასე უფერულად ვერ დავეტოვე ცხოვრება... თბილისში აღმოვჩნდი.

დედაქალაქთან ბევრი რამ მაერთებდა. ჩემი ბავშვობა, ყმაწვილქალობა, დაუვიწყარი ხანა და, რაც მთავარია, ჩემი დედობილის საფლავი...

უპატრონო ბავშვთა სახლში გაზრდილი ვარ, ბატონო ვლადიმერ!

ომის დროს ჩამომიყვანეს თბილისში, მერე ერთმა მოხუცმა ქალმა მიშვილა და მზრდიდა როგორც საკუთარ შვილს. ჰოდა მის საფლავზე მივედი. დედობილის სამარესთან გამოვიტოვებ ჩემი ახალგაზრდობა. ყველაფერი ვუთხარი მას, დედის მაგიერს, მაგრამ მე იმ ბარათიდან უკვე ვიცოდი, რომ მყავდა ღედა, ნამდვილი ღედა. ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორი, თამარა როდიონოვა.

მე მივდიოდი დედაჩემთან, მიგრბოდი რუსეთში, ვტოვებდი ყველას და ყველაფერს, რაც კი მაერთებდა თბილისთან, ქუთაისთან... ვტოვებდი სიყვარულს, ვტოვებდი გოგის...

და სრულიად მოულოდნელად ჩემი გამზრდელის საფლავზე თავს წამადგა დედაჩემი, თამარა როდიონოვა...

გიკვირთ? რა თქმა უნდა, გოცდებით. თურმე სასწაულებივც ხდება ამ ქვეყნად, მაგრამ ასეთი? თითქოს წარმოუდგენელია, თითქოს ზღაპარია, მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა. მე შევხვდი დედაჩემს, ჩემს მშობელს, ჩემს საძებრად ჩამოსულს მოსკოვიდან.

როცა სული მოვითქვეთ, როცა პირველმა ელდამ ორივეს გავვიარა, პირველად ხმა მე ამოვიღე:

— დედა, დედა! ჩემო დაკარგულ დედა! მითხარი, ყველაფერი მიაშვე, ვისი შვილი ვარ მე, ვინ არის გიორგი ლომიძე, რა ურთიერთობა გქონდა მასთან, მითხარი დედა, მითხარი, თორემ აღარ მინდა სიცოცხლე!

დედაჩემმა სრულიად დამშვიდებით მოუხსინა ჩემს ნაამბობს. მე მისმა სიმშვიდემ კიდეც უფრო გადამრია, რაჟი

არ გაიკვირვა, რაჲი პასუხი ვერ მოახერხა, მე სიმაართლედ მივიჩნიე იმ დასაწყვეი ბარათის შინაარსი.

ძლივს მომაბრუნა დედაჩემმა და მერე თითქმის მთელი ღამე მიაშობდა თავის თავგადასავალს.

ბატონო ვლადიმერ!

გრძელო და მწარე ამბავი გავიგე დედაჩემისაგან. მწარეა იგი მისთვის, მაგრამ ჩემთვის... ო, ჩემთვის კი ხსნაა ნამდვილი... გამოგიტყდებით, როცა დედამ სათქმელი დაამთავრა, მე იმ წუთში აღრაფრად ვაგდებდი, აღრაფრად მიმანდა მისი ტანჯვა, მისი შორეული დარდი, შეიძლება დღემდე გამოყოლილი დარდი...

ისევე დედაჩემმა მიხსნა.

მე... მე მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი. ვეძებდი წამალს, ყოველ მის სიტყვას ხარბად ვიქერდი. ვისრუტავდი, და როცა ამბის მოყოლა დაამთავრა, სიცილ-ტირით მოვეხვეე დედას. ვეკითხებოდი ორივე...

მერე მე ვუამბე, რაც გადამხდა და ახლა თქვენც გაგიმხილეთ ყველაფერი. ბატონო ვლადიმერ!

მე და გოგი არაფერში ვყოფილვართ დამნაშავენი. ჩვენ უბრალონი ვართ. შევხვდით, შევეყვარეთ ერთმანეთი უმწიკლოდ, პატიოსნად და ამ წუთში ბედნიერიცა ვარ...

უამბეთ გოგის. ვინ იცის, რა მოუფიქრა იმ საღამოს. ალბათ წიკითხა ჩემი ბარათი და...

იქნებ სჯობდა, არ დამეწერა არაფერი, მაგრამ, ვის ჰქონდა მაშინ განსჯის უნარი!

უამბეთ, უთხარით, რომ ჩვენ... არა, ნულარ მათქმევიანებთ ამ სიტყვას...

მე მჯერა დედაჩემის. მას არ შეეძლო ჩემთვის რაიმე დაემალა. მან ყველაფერი...

რაჲი ასეა, რატომ უნდა გავუბედურდეთ!

უამბეთ გოგის და პატიებაც თხოვეთ ჩემს მაგიერ და თუ თქვენ მომწერთ... თუ თქვენ მეტყვიით...

...გიორგი ლომიძის სიკვდილი გავიგე

მე უბედურმა. რა შექნა... იმ მძიმე წუთებში ვერ დავდექი გოგის გვერდით, მაშინ არ შემეძლო, შევხვებოდი არ მქონდა...

მაპატიეთ, ბატონო, ვლადიმერ. თქვენ ასე დიდი საქმე გაბარიათ და ჩვენ პატარა ადამიანები, ჩვენი პირადული წუხილის მოზიარეთ გზდით. ესეც თქვენი გულის ბრალია და ამიტომ გავბედე მეც ბარათის მოწერა.

მარინე როდიონოვა.

ბარათი წაიკითხა გოგამ. ცეცხლი წაჰკიდებოდა სახეზე. თვალები უბრწყინავდა უცნაურად, მაგრამ მაინც ერთი რამ გაუყვირდა ჭულელს.

არ ეგონა, თუ ასე აუღელვებლად შეხვდებოდა გოგი, მისი და მარინეს ურთიერთობის საბედნიერო ამოხსნას.

— რას იტყვი?

პასუხის მაგიერ გოგამ საწერი მაგიდის შუა უჯრა გამოაღო, გიორგი ლომიძის ყვეთელი რვეული ამოიღო და ვლადიმერს გაუწოდა.

ვლადიმერმა ჩამოართვა და დღიურები გადაფურცლა.

— ამ რვეულში ყველაფერია ნათქვამი. ახლა უკვე ვიცი, რომ მე და მარინე უბრალონი ვართ. კარგია, რომ მარინემ უჩემოდ გაიგო ყველაფერი, კარგია, რომ დედაც უნახავს და...

— და შენც დაგიბრუნდა!

?!

— დღესვე მიეწერ და, ალბათ, ხვალ ზეგ აქ იქნება...

— ბატონო ვლადიმერ! — ფეხზე წამოდგა გოგი. — ყველაფრისათვის მადლობელი ვარ, თქვენს ამავე ვერ გადავიხდი, მაგრამ ერთში შეგიძლიათ მენდოთ; არ შევარცხვენ მამის სახელს. იქნებ კიდევ უფრო უკეთესი რამ შეგქმნა, ვიდრე „რიონია“. რაც შეეხება მარინეს, რა თქმა უნდა, მისწერეთ. გნებავთ მე თვით მიეწერ, ჩამოვიდეს, მაგრამ... მაგრამ ჯერ ვერ დავასრულებ ჩვენს საქმეს. რაჲი ცოცხალია და დედაც გვერდით ყავს, მე ამითაც ბედნიერი ვარ... იცით, ახლა აღარც კი ვიცი როგორ შევხვდე. სჯობია, პირ...

8795



ბორჯომის ხეობაში ჩავიდეს თავის საბავშვო ბაღთან... მე მგონია, გამოვებთ, ბატონო ვლადიმერ!

— ვიცი, რასაც ფიქრობ გოგი ვიორგი ლომიძის შვილი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა, მაგრამ ერთი გახსოვდეს, მამაშენის მოგონების გვირგვინი უნდა გახდეს თქვენი ბედნიერება! მე, მე კი თუ მამად მიმიღებ, აი, ჩემი ხელი!

გოგიმ მკლავები გაშალა.

— ამ ქვეყნად საკუთარი ოჯახი აღარ გამაჩნია... — განაგრძო ვლადიმერმა.

— მეც მყავდა ცოლი, შვილი... და აღარა მყავს. იქნებ დავაშავე, რომ ახალი ოჯახი ვერ შევქმენი. ყველა ერთნაირი გულის როდია, შვილო, და რა ვქნა... არც ვნანობ... აი, ჩემი ხელი!

— ბატონო ვლადიმერ!

— დღეს შემდეგ მამა დამიძახე!

...

მეორე დღით ჩვეულებრივ საყვირის ხმაზე წამოდგა გოგი. ქარხანაში რომ მივიდა, პირდაპირ თავის ტრაქტორისაკენ გაემართა.

ჩართო, სახელურებში ხელები ჩაკიდა და ააგუგუნა.

გოგიმ გული მოიძღო მეგობრებთან საუბრით და ქარხნის დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართა.

მიდიოდა, გულში ნადველი ოდნავ გამჟანტოდა და თვალებშიც ჩადგომოდა სინათლის სხივი.

დირექტორისა და მთავარი ინჟინრის მოსაცდელი ოთახის კარები რომ შეაღო, რაღაც გაახსენდა და ღია კარებში შეჩერდა.

ისევ დაენისლა სახე. ისევ გაქრა სინათლის სხივი თვალებიდან. მცირე ხანს ასე იდგა უძრავად. კარის სახელური-სათვის ხელი ჩაეყიდებინა და ფიქრობდა:

შევიდეს თუ არა!

ალბათ, იქ თავის მაგიდასთან ზის ბერიძის ქალი...

რა უთხრას!

ორიოდე წუთი ებრძოდა საკუთარ გულს და კარებიც შეაღო.

ოთახის კუთხეში თავის მაგიდასთან საცოდავად მოზუზული იჯდა ბერიძის ქალი. ეშმაკურ თვალებში ძველებურად აღარ ენთო ცეცხლი. დაღუულიყო. თვალები ჩაცვენოდა. იჯდა თავნადუნული. ტიროდა.

თავადაც არ იცოდა, თუ რას მისტიროდა ზელმოცარული.

გოგის შემოსვლისას თავიც არ აღწევია. არც კარების ღრქილაზე შეტოკებულა ბედს შეგუებული.

გოგიმ ერთი გადახედა, უბრაოდ ჩაუარა გვერდი და ჭიქურ შეაღო დირექტორის კაბინეტის კარები.

ისევ ალბათი

სულ ზევით და ზევით მიიკლაკენბა სოფლის ვიწრო გზა. აქაიქ ხრეში პური, მაგრამ ჭერ არავის უცდია მისი მოსწორება. გამხმარ ტალახზე ბორბლების კვალი ამჩნევია. ნაურმალი ორ ზოლად მიიწევეს მალა. გზას ორივე მხარეზე ეკლიანი მავთულის ღობე გასდევს, ღობეს იქით მეურნეობის ვენახებია.

სადღესასწაულო აღლუმზე მოწყობილ ჯარისკაცებივით ჩამწყრივებულან ვაზები. გვიანი შემოდგომაა, თუმცა ჭერ კიდევ არ დამთავრებულა ყურძნის კრეფა. ზოგან ქარვისფერი, ზოგან მუქ-შავი მტენები გამხმარ და უკვე გაყვითლებულ ფოთლებიდან იწყობებიან. გზის პირად სახელდახელოდ შეკრული საყარაულო კოშკი დგას. ოთხ ბოძზე უბრალოდ გაუწყვიათ ფიცრები, ზედ ხმელ ბალახი დაუფენიათ და საწოლის მაგვარი რაღაც მოუწყვიათ.

შელმართზე მოჩანს ქვეთვირის ორსართულიანი თეთრი სახლი. უფრო ზევით სკოლის აგურის დიდი შენობა, მის უკან ძველთაძველი ეკლესია, ირგვლივ ხეხილში ჩაფლული ოდა-სახლები.

შემოდგომის მიწურულია.

უბერავს სუსტი ქარი და შრიალებენ

ვენახის კიდეზე, გზის პირას ჩარიგებული ტანშალალი ჩინარები.

გზა საურმეა.

გოგი ლომიძე და გივი ჩხეიძე მოაბიჯებენ უხმოდ. ლომიძე სადღაც შორს, აღმართის ბოლოზე გაშენებულ ვენახს ვასკქერის დაინებით. გივი ერთხანს თავის სოფლის აშბებს უყვებოდა გოგის, ახლა ისიც სდუმს, ხანდახან ლომიძეს გადახედავს, უნდა წამოიწყოს, რაღაც უთხრას, ითმინა, ითმინა და ბოლოს მაინც თქვა:

— დაილაღე, გოგი?

— არა!

— კოლმეურნეობის კანტორამდე ჩვენც მანქანით შეგვეძლოს მისვლა, შენ არ ჰქენი და...

— იმ მხარეზე ერთხელ ვიყავი, გივი. სოფლის ეს უბანი უფრო საინტერესოა. აქეთ უფრო მეტი გორაკებია. ხედავ, სკოლის ზევით დამრეცილ ფართობს, პირდაპირ თითქოს ვერტაკალურადაა დაფერდებული, ალბათ იქ მოგვიწევს ჩვენი „რიონის“ გამოცდა.

გოგიმ ხელი გაიშვირა, მაგრამ გივის თვალი არ გაუყოლებია მისი ხელისათვის, გაეცინა მხოლოდ.

— ბავშვობა ამ გორაკებზე ხეტიალში გვატარე, ის ფართობიც სწორედ ჩვენი ეზოს გვერდითაა, გვერდით კი არა და ოდესღაც მამაჩემის იყო ის ადგილი, მახსოვს, როგორ ვწვალობდი მის დაბნეა-დათესვაზე.

— ჰო და ძალიან კარგი... — ისე უბრალოდ თქვა გოგიმ.

— ცოტა აქეთ მოიწიე გოგი, ამ შუა გზას რომ დაადგე, ხომ იცი ეს არგვეთაა. არგვეთის ტალახი რა ვინდგვალვა იყოს, მაინც მოგეწებება სადმე... ა, ხომ გითხარი სულ დაგსვრია შარვალო...

— ეჰ, ერთი შენც, შარვალს დავეძებ!

— ჩვენი გლეხები პრაქტიკული ხალხია, შენ ნუ დეღავ, ტრაქტორი უკვე აღად, მოეწონებათ...

გოგიმ არაფერი არ უბასუხა.

ვაკე ჩაათავეს და აღმართს შეუდგ-

ნენ, ქვეთკირის თეთრ სახლს ჩაუარეს, მერე თხილით შემოდობილად, ცხელ ვარდაიარეს და საცალფეხო მიღწევს დაადგენ.

— როცა პატარა ტრაქტორის შექმნა გადავწყვიტე, მაშინაც ამ სოფელში ამოვედი, პირველსავე შემხვედრ გლეხს ვესაუბრე, ცეცხლზე წყალი გადამახა, ჩანაფიქრი არ მოეწონა, — წამოიწყო გოგიმ.

— რაო, რა თქვა?

— ტუქილა ირჩები, არაფერი არ გამოგივაო!

— ალბათ კარგად ვერ აუხსენი, ეს ერთი, და მეორეც, გლეხის ამბავი ხომ იცი, ნათქვამს და ნაოცნებარს არ მოგიწონებს, უნდა დაანახო, ხელი უნდა შეავლოს, იგრძნოს, მაშინ არ გიპასუხებს ასე...

სკოლის ეზოს რომ მიუახლოვდნენ, გივი შეჩერდა, ვიღაც ბიჭს ხელი დაუქნია. ბიჭმა კისრისტეხით მოიბრინა და გივის კისერზე ჩამოეკიდა.

— მამა სახლშია?

— კი!

— აბა გაიქეცი, შეატყობინე, სტუმრები მომყავს! ბიჭმა გოვის გადახედა, მეჩხერი კბილები გამოაჩინა და მოკურცხლა.

— ჩემი ძმამ! — მიუბრუნდა გოგის ჩხეიძე.

— მივხედი, ძალიან გგავს!

გზა განაგრძეს, ეკლესიის ეზო გადაიარეს და კოლმეურნეობის კანტორასთან გავიდნენ. კანტორის წინ გლეხები შეჯგუფულიყვნენ. უხარმახარ თვითმცლელზე ტილო გადაფარებული „რიონი“ იდო. აქვე მსუბუქი მანქანები იდგა. კანტორის აივანზე ვლადიმერ ჯუღელი და ქარხნის დირექტორი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ესაუბრებოდა.

გივი თვითმცლელთან მივიდა და გლეხებს საუბარი გაუბა.

— ბიჭო! ე, ბავშვების სათამაშო რომ ჩამოგიტანიათ, იმოდენა ქარხანაში უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ?

გაგზუმრა ჩხეიძეს ერთი კოლმეურნე, რომელიც ყოველ წუთში შეთხლებულ უღვაშებზე ისვამდა ხელს. გლეხებმა გაიცინეს.

— ასე რად ამბობ, თეოფილე ბიძა, ჯერ ნახეთ და მერე გაიცინეთ! — იწყონა გვიმ.

— აგერ, ა მამაშენიც მოდის და იმასაც ჰკითხე...

შელმართზე დინჯად მოაბიჯებდა გვიჩხეიძის მამა, იასონი, შვილი მიეგება, მთელი თვე არ ენახა მამა და უნდოდა გადახვეოდა, მაგრამ დაირცხვინა და ხელი ჩამოართვა მხოლოდ.

— რა ჰქვინთ, მოიტანეთ ყოვლისშემძლე ტრაქტორი? იმარჯვეთ არა? აბა ერთი მაჩვენე!

იასონი ტანმაღალი, ჯანგაუტეხელი მოხუცი ჩანდა, ფეხისწვერებზე მაინც აიწია და თვითმკვლეზე „რიონს“ დახედა, ტილო გადახადა და გაიცინა.

ორფრად, წითლად და ყავისფრად შეეღებათ ტრაქტორი, ერთის შეხედვით, იგი მართლაც ბავშვის სათამაშო მანქანას ჰგავდა.

მთა გორაკებზე შეფენილიყო სოფელი არგვეთა, ირგვლივ მხოლოდ აღმართები და დაღმართები, ბორცვები და გორაკები. ზოგან ოდნავ გაშლილი, ზოგან კი მართლაც ხელისგულისოდენა ფართობები მოჩანდა.

იასონმა გოგი ლომიძეს გადახედა, რომელიც შოფრის კაბინას ზურგით მიყრდნობოდა და საუბარს ისმენდა.

— გაიცანი, მამა, ინჟინერი ლომიძე: ამ ტრაქტორის შემქმნელი! — უთხრა გვიმ იასონს.

— ვიცნობ, ჩვენ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს! გამარჯობა, ბიძა, შენი, მაინც არ დაიშალე ხომ, შეხედე ამ სოფელს, ეგერ ვ, ხელავე? — ხელი გაიშვია იასონმა აღმოსავლეთისაკენ. — ხელავე იმ გორას, ცას წვდება იქ დათესილი სიმინდი და შენი ტრაქტორი უშველის ჩვენს საქმეს?

მოსაუბრეთ ვლადიმერ ჯუღელი, სერგო და კოლმეურნეობის თავმჯდომარე

შეუერთდნენ. სერგოს წინადადებით „რიონი“ მოწინებთ ჩამოიღეს თვითმკვლელიდან.

პატარა ტრაქტორი რეზინის ბორბლებზე იდგა, სახელურებს შორის ტყავგადაკრული დასაჯდომი დაეტანებოდა. „რიონი“ ლამაზი შესახედავიყო, მაგრამ გლეხებისათვის მის სილამაზეს არაფერითაა მნიშვნელობა არ ჰქონდა.

გოგიმ ტრაქტორი ჩართო.

მძლავრად გაისმა ძრავის გუგუნო. კოლმეურნეებმა ყურები დაქცვიტეს, ასე პატარა მანქანიდან ასე ძლიერ ხმას, ეტყობა, არ მოელოდნენ.

ლომიძემ გვიის ანიშნა. ჩხეიძე ტრაქტორზე დაჯდა, სახელურებს ორივე ხელი ჩაჰკიდა, მარჯვენა ხელი უკან დასწია, და ტრაქტორიც დაიძრა. ვილაცამ ხმამალა გაიცინა, ვილაცამ ტანშიც კი დაუჯრა, „რიონი“ შეღმართს შეუდგა. ყველანი მას მიჰყვნენ.

ვიწრო, დახვეულ ბილიცზე მიდიოდა და მიქანხანებდა პატარა ტრაქტორი, მიდიოდა სრულიად თავისუფლად, არაფრად ადგებდა აღმართს, რომელიც სულ მაღლა და მაღლა მიიწვედა. გვიითავმოშწონედ მართავდა მანქანას, ხანდახან უკან მოიხედავდა, პირველი შთაბეჭდილება კარგი იყო და უხაროდა.

ტრაქტორი თანდათან უმატებდა სვლას, ხალხი კარგა მანძილზე ჩამორჩა, ხეებსა და ჩირგვეს შორის მიძვრებოდა და მალე გაუჩინარდა.

მხოლოდ გოგი ლომიძე არ ჩამორჩენილა, იგი გვერდით მისდევდა გვიის და რაღაცას უყვიროდა.

როცა ყველანი საცდელ ფართობში ავიდნენ, გვიის ტრაქტორი უკვე კვალში ჩაეყენებინა. მანქანა მორჩილად იდგა და თუხთუხებდა.

— აბა, რას მიბრძანებთ, დავხნი თუ დავეთსო? — გადმოსძახა გვიმ გლეხებს.

— ჩააქრე! — უთხრა გოგიმ.

გვიმ სახელური მოსწია, ძრავი გაი-

თიშა, „რიონმა“ ერთი კიდეე გაიხრია-
ლა და ჩაჩუმდა.

გოგი ქარხნის დირექტორთან მივიდა.

— შეიძლება, დავიწყო?

სერგოც ლელავდა, გოგის თავი დაუქ-
ნია მხოლოდ, ეს თანხმობის და გამხნე-
ვების ნიშანი იყო. გოგიმ გლუხებს გა-
დახედა და ხმადაბლა დაიწყო:

— მეგობრებო! — თქვა და ერთხანს
ვაჩუმდა. იდგა ეს ვეება ვაეკაცი, ხე-
ლებს ისრესდა, გულით უნდოდა სათქ-
მელი უბრალოდ ეთქვა, მაგრამ უქირდა.

— ვფიქრობ, ამ პატარა მანქანას მა-
ღალმითან სოფლებისათვის სარგებლო-
ბის მოტანა შეუძლია. თქვენთან ხომ
ჩვეულებრივი ტრაქტორი ვერ მუ-
შაობს. ტრაქტორი კი არა, ზოგან ხარებ-
საც უქირით... ასეთ შემთხვევაში ჩვენი
„რიონი“ გამოვადგებათ. მისი მართვა
ძალზე მარტივია, ყოველ კოლმეურნეს
შეუძლია რამდენიმე წუთში დაჭდეს და
წაიყვანოს... სხვა... სხვა რაღა გითხ-
რათ... აბა, გივი, დანარჩენი „რიონმა“
თქვას!

ვიღაცამ ჩხვიძეს კალათით დაფშენი-
ლი სიმინდი მოუბრუნინა. გივიმ კალა-
თი მუხლებშუა ჩაიდგა, ტრაქტორი ჩარ-
თო, ერთი მაინც მოიხედა უკან და
დასძრა. ტრაქტორი ნელა ვაჰყვა კვალს.
გივი სიმინდის მარცვლებს კვალში
ჰყრიდა. პირველ წუთებში სამარისე-
ბური სიჩუმე ჩამოვარდა. გლუხები
თვალდაუყვებელი მისჩერებოდნენ პა-
ტარა მანქანას, რომელიც ზომიერი სიჩ-
ქარით მიიწევედა მაღლა. როცა „რიონი“
უკიდურეს აღმართზე ავიდა თითქ-
მის, ყველანი ერთად მოსწყდნენ აღ-
გილიდან და ჩხვიძეს გამოუდგნენ. ფარ-
თობის ბოლოზე გივიმ ტრაქტორი მოხ-
დენილად შემოაბრუნა, გამართა და,
სწორედ ამ დროს, მის წინ იასონი გაჩნ-
და. გივიმ მამას გაუღიმა მხოლოდ,
თქმით კი არაფერი უთხრა და თესვა
ვანავარძო. „რიონის“ უკან ორი ზომიე-
რი კვალი რჩებოდა. შუაგზაზე ვიღაც
ყმაწვილი პირდაპირ გადაუდგა ტრაქ-
ტორს. ახლაგაზრდას ორი თითი კისერ-

თან მიეტანა, რაღაცას ყვიროდა, ეტყო-
ბა, გივის თხოვდა, მე დაწყვიტულდონ
წაიყვანო. ლომიძემ გივის... მთელი
ჩაუტრა, გივი ტრაქტორიდან ჩამოხტა.
ყმაწვილი მანქანას მიუახლოვდა, ცალი
ფეხი ისე ასწია, თითქოს ცხენზე შეჭ-
დომას აპირებს და ფეხი უზანგში უნდა
გაჰყოსო. გივიმ უჩვენა, ასწავლა და
ყმაწვილი „რიონზე“ დასვა. მან სა-
ხელურებს ხელები ჩაჰკიდა და გაიცილა.

— ჩამოდი, ბიჭო, ძირს! არაფერი
გაუფუქო! მართლა სათამაშო ნუ კი
გგონია! — დაუცაცხანა ყმაწვილს
თეოფილემ.

— მართვა იოლიაო, ხომ თქვეს! —
შიშნარევი ხმით უპასუხა ყმაწვილმა
და ლომიძეს მუდარის თვალთ შეხედა.
გივი და გოგი ერთმანეთს ასწრებდნენ
ყმაწვილს აუხსნეს, განუმარტეს, თუ
როგორ წაიყვანა ტრაქტორი. წუთიც
და, ყმაწვილმა „რიონი“ დასძრა. მთე-
ლი სახე გაბადროდა, იცინოდა, უხა-
როდა, აქეთიქით იყურებოდა და ერთი
ორჯერ „რიონი“ კვალიდანაც ამოადგო,
მაგრამ თავიდანვე იმარჯვა, გაასწორა
და „რიონი“ საბოლოოდ დაიმორჩილა.
როცა კვალი ჩათავდა, ლომიძესთან პირ-
ველად იასონი მივიდა და ხელი ჩამოარ-
თვა. კოლმეურნეები იცინოდნენ, ზოგი
კვალის სიღრმეს ზომავდა, ზოგი
ტრაქტორს უქვრეტდა, ბორბლებსა და
სახელურებს უსინჯავდა.

— შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა,
მართლა კაი რამეა, ხომ იცი შენი! —
ულვაშებს იგრებდა თეოფილე.

— ე, ბიჭო, მგონი, დაგვადგეს საშვე-
ლი, ხომ დანახე, კაცო, რაღა თხასავით
აძერა იმ სიმალეზე! — თქვა ვიღაცამ.

— არა, ბოლოში ცოტა კი გაუქირ-
და, მაგრამ იასონის ბიჭი მიაწვა და აახ-
ტუნა... — ჩაიქირქილა ისევ თეოფი-
ლემ და ახლა იმ ყმაწვილს მიუბრუნ-
და, რომელიც გივის შემდეგ მართავდა
ტრაქტორს, — რავარია, ბიჭო, ა?

— კაი რამეა სწორედ, ასე მეგონა,
„ვოლგაში“ ვიჯექი! — გაიცილა მან.

— ამ მანქანით, კაცო, დათესვა და

გამარგვლა კი არა, სხვა რამეს გაკეთებაც შეიძლება, ხომ იცი შენ! — არ ცხრებოდა თეოფილე.

— ნამეტანი მუახე ხმა აქვს, არ გააყრუა მთელი სოფელი? ასე პატარა მანც არ იყოს! — შენიშნა ვილაძემ.

— ყოველ პატარას რომ დიდი გული აქვს, არ იცი? — იმ წამსვე უბასუხა თეოფილემ.

ვლადიმერ ჯულელი და ქარხნის დირექტორი გლეხების საუბარს ისმენდნენ.

ყველანი კმაყოფილი იყვნენ.

იასონი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან შვიდა.

— ებიფანე, ახლა სახლში შევიდეთ და თითო ჭიქა ღვინით დავლოცოთ ეს კაი საქმე!

— ამ! კარგი მასპინძელი ხარ, ჩემო იასონ, მაგრამ დღეს სტუმრებს ვერ დაგიტობ, შენ ჩემთან უნდა წამოხვიდე, — უცებ უბასუხა ებიფანემ და თავისი სიტყვისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, თავიც კი გადააქნია.

— ეს პატროსანი ადამიანები ჩემი ბიჭის უფროსები არიან, მეორეც, აგერ ჩემს ეზოში ვართ, თავს ნუ მომჭრი, აქედან თქვენი წასვლა არ ივარგებს...

ებიფანეს უნდოდა შეჰკამათებოდა, მაგრამ ღობეს იასონის მეუღლე მოადგა და ისეთი გულწრფელობით მიიპატიცა სტუმრები, რომ უარისთქმა ვერც ერთმა ვერ მოახერხა.

გლეხები წავიდ-წამოვიდნენ. ზოგი იასონმა არ გაუშვა და სტუმრებთან ერთად ყველას სახლისკენ წაუძღვა. სუფრას აიჯნუ აწყობდნენ. გვიმ დედასთან მიიბრინა, ჩაკოცნა, ხომ არა ფერში გჭირდებო, მაგრამ ყველაფერი უკვე მზად იყო. იასონი ჭურს ხდიდა, სტუმრებიც მას შემოხვეოდნენ.

— თეოფილე, შენ რამდენი ჩაასხი წელს? — ჰკითხა ებიფანემ.

— სუფთაი?

ყველას გაეცინა, თითონ თეოფილევ გულიანად ხარხარებდა და გაფშვკილ უღვაშებზე ხელს ისობდა.

— რაეა, კაცო, შენც იკადრე შეჭრით ღვინის გაკეთება? — გაიკვირვა თავმჯდომარემ.

— ნუ იკადრებ, თუ გინდა შენ, შარშან ქუთეისს წვეილე ღვინო გასაყიდად, ისე ჩემმა ცოლშვილმა იღლეგარქელოს, როგორც ეს ღვინო სუფთა იყო, რად გინდა მერე... რასაც სხვებს გაიმასწენ-ბულ ღვინოში აღლევენ, იგი მაძლიეს მეც. ერთი ჩემსავით თხელი კაცი არ მომეშვა, გინდა თუ არა, ბოთლი ღვინო სამოცდაათ კაპიკად მომყიდო, ვერაფრით ვერ მოვიშორე. მეტს მაინც ვერ აიღებო, ჩამაჯინდა. თუ არ ავიღებ, ჩემო ძამია, წვეილებ უკან, დავჯდები ჩემთვის და ვწრუბავ და ვწრუბავ მეთქი, ვუთხარი და, როგორც იქნა, წავიდა.

ისევ გაიცინეს.

— მერე, მერე? — ჩაეძრა ებიფანე.

— მერე, ვიფიქრე, ერთი მეც ვსინჯავ მეთქი, ფხვნილი შეჭარი ვერ ვიშოვე და თხლეში კვინიტი ჩავყარე, ჯერ გადნობა არ ეშველა, მერე ქე გაატკობ, ხომ იცი შენ? მაგრამ დღეიღუპა მაგისი გამკეთებელიც და მაგისთანა ღვინოც... თეოფილე ამბავს ყვებოდა, თან ცალი თვალით იასონისაკენ იკვირებოდა. იასონს ხელში გათლილი ჭიქა ეჭირა, საგულდაგულოდ დაბანილ ხელს ჭიქიანად ჭურში ურევდა. მერე ერთბაშად ამოსწია და ჭიქას გახედა...

... საღამო ხანი იყო, იასონ ჩხვიძის სტუმართმოყვარე ოჯახი რომ დასტოვებს მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო, გრილოდა. კოლმეურნეობის კანტორაშიდ ფეხით ჩავიდნენ. „რიონი“ ასევე თვითმკლულზე შემოედოთ და ტილო გადაეფარებინათ. მანქანებში ჩასხდნენ და ქუთაისისაკენ დაეშენენ.

გოგი ლომიძე ვლადიმერ ჯულელის გვერდით იჯდა და ფიქრობდა:

„დახნავს, დათესავს, გამარგლის; კიდევ კიდევ რა შეიძლება გააკეთოს „რიონმა“?..“

სულ მალე მუხნარის ტყის მარცხენა მხარეს, ჰიპოდრომის მახლობლად აბა-

ლი ქარხნის მშენებლობა გაჩაღდა.

ხშირად ნახავდით მშენებლობაზე დასახმარებლად მოსულ კომკავშირულ ახალგაზრდობას. დღე არ გავიდოდა, რომ ქალაქკომის მდივნები ორჯერ, სამჯერ არ მოსულიყვნენ.

მშენებლებიც დიდის ენთუზიზმით მუშაობდნენ. საოცარი სისწრაფით იზრდებოდა კედლები, ჩნდებოდა ახალი საამქროები. მშენებლებს ჯერ კიდევ გადახურვა არ მოუსწრაიათ, რომ ქარხნის დამონტაჟებაც დაიწყეს.

ასე დაიბადა მუხნარის ტყეში ახალი ქარხანა, ქუთაისს ერთი საწარმოო შეემატა, მცირეგაბარითიანი ტრაქტორის „რიონის“ ქარხანა.

დიდი სავტომობილო ქარხნის შეილობილი.

თავი მცხამხამ

ცარეშავი

მთელი დღის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა. ქუჩებში წყლის გუბეები იდგა. წვიმამ გააცოცხლა ქალაქი. ყვავილებმა და ნარგავებმა თვალში გამოიხედეს.

მხოლოდ საღამო ხანს, სწორედ ჩასვლის წინ გამოიხედა მზემ. ერთხელ მიანათა ქვეყანას და სადღაც შავი ზღვის ახლო ჩაბრძანდა.

ცა მოიწმინდა ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანდა.

გოგი ლომიძემ გასულ კვირას მამას საწლო პანაშვიდი გადაუხადა.

რა მალე გაიარა ერთმა წელმა!

წინ გრძელი გზა უდევს ლომიძეს. პატარაა ტრაქტორი „რიონი“. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო მისი დიდი ფიქრებისა და, მეორეც, რაც მამამ ვერ მოასწრო, თვითონ გოგიმ უნდა შესძლოს.

დღეს გოგისთვის გამოანათა მზემ.

ახლა მის ბინაში ათიოდე მეგობარი მრგვალ მაგიდას შემოსხდომია. აქ არიან ვლადიმერ ჭულელი, გივი ჩხეიძე, ლადო გორდამე, ნანა, ნანას გვერდით შოთა ვარდანიძეა.

შოთა კერძებს სთავაზობს. ნანა მარილებულად იცინის, თავის მხრივ ჭიქას ღვინით უქსებს.

თამარა როდიონოვა მარინესა და გოგის ახლოს ზის რბილ სკამზე.

ვლადიმერ ჭულელი თამადობს. ცდილობს გაამხიარულოს სუფრა, მაგრამ არა და არა. არ ჰვავს ეს ქორწილს, არც საგანგებო წვეულებას...

უკვე მერამდნე სადღეგრძელოს იდებს ვლადიმერი.

მარინე და გოგი დალოცა. ცალკე საპატიოდ ადღეგრძელა თამარა როდიონოვა. ახალგაზრდებსაც უსურვა ბედნიერება. ხანდახან სადღეგრძელო რომ ჩამოთავდებოდა, ჭულელი გივი ჩხეიძეს გადახედავდა, თვალს ჩაუკრავდა მრავალგმიერის დაწყებას ანიშნებდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაჰხედა სიმღერის თქმა გივიმ... გოგის ერიდებოდა და არც თავად უნდოდა პირველად მას გეტეხა ნავსი.

ერთად ადღეგრძელა გივი და ლადო თამადამ.

ახლა ფეხზე დგას, მოზრდილი ჭიქა ხელში უქირავს. ყველანი ვლადიმერს მისჩერებიან.

— გიორგი ლომიძის სადღეგრძელო იყოს, მეგობრებო! დიახ, სადღეგრძელო!

გოგი გაფითრდა. მარინემ თავი ჩაღუნა.

ვლადიმერმა განავრძო:

— დღევანდელ ბედნიერებას, — მარინესა და გოგის ბედნიერებას ჩვენი გიორგის დალოცვა აკლია მხოლოდ... მაგრამ, რა ვუყოთ, ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

იგი წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, შეურცხვენელი და მუდამ თავაწეული. წავიდა, მაგრამ დაგვიტოვა შვილი, გიორგი ლომიძე...

ყველანი ფეხზე წამოდგნენ, მხოლოდ თამარა როდიონოვა იჯდა და კედლის საათის გვერდით დაკიდებულ გიორგის სურათს უცქერდა.

ილიმებოდა გიორგი ლომიძე თავისი გაუმეტებელი და უცნაური ღიმილით- არასოდეს არ წაიშლება გიორგი ლომიძის სახელი!

უსიტყვოდ შესვეს სადღეგრძელო და დასტუნენ.

მხოლოდ ლადო გორდაძე იდგა ერთხანს ფეხზე. ეტყობოდა რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ყველანი თამარა როდიონოვას მისჩერებოდნენ, რომელიც ნელა წამოდგა და როიალთან მივიდა. ასევე ნელა ახადა სახურავი, დაჯდა, სკამზე შესწორდა, მოიხედა და გაიღიმა.

თვალი შეასწრო ლადოს, რომელიც ისევ ფეხზე იდგა.

— თქვი, ჩემო კეთილო, მე ვისმენთ!

— ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო თამარ! მაპატიეთ! ორიოდ სიტყვა მეც მიხდა ეთქვა. გიორგი ლომიძემ ამომიყვანა წუმბედან, გიორგი ლომიძემ დამაფიქრა და გამხადა კაცად. დღეს თქვენს გვერდით ვზივარ, ჩემი მეგობრების სიხარულს ვიზიარებ და, რა ვქნა, გული მტყავა... თქვენს წინ ვფიცავ... სიკვდილამდე ვუძმო ვოგის, ჩემს მეგობარსა და ხელმძღვანელს.

მთელი ტანით კანკალებდა გორდაძე, ჭიქა ტუჩთან მიიტანა და სანამ შესვამდა, წაიჩურჩულა:

— ნათელი დაგადგეს, ბატონო გიორგი, — და შესვა.

იმე წამს როიალის კლავიშებზე წყნარად გადაიზინეს როდიონოვას თითებმა. თითქმის სუნთქვა შესწვევითა ყველამ და სმენად იქცნენ.

ძველ რომანსს უკრავდა თამარა როდიონოვა, შორეულსა და ნაღვლიანს: მერე ხმაც ააყოლა წყნარად:

Проходят годы вереницей,
А мы храним в душе своей.
Те сны и радостные страницы
Далеких, но чудесных дней.

მხოლოდ ლომიძეს ესმოდა ამ სიტყვების შორეული გამოძახილი. მამის დღიურები გაახსენდა. ბელოსტოკი, არ-

კადი პეტრეს-ძე ტიაპკინის ოჯახი და გიორგი ლომიძის შეხვედრები თამარა როდიონოვასთან.

Те сны и радостные страницы
Далеких, но чудесных дней...

მღეროდა თუ ტიროდა როდიონოვა. მღეროდა თუ ტიროდა! მღეროდა, მაგრამ დიდრონი, თავლისფერი თვალებიდან მაინც დაგორდა ორადორი ცრემლი.

აოლოთხა

თენდებოდა.

ბურუსში ჩაძირულ ქალაქს აღმოსავლეთიდან ნათელი წამოებარა.

შორს მტრედისფერი ცა გამოჩნდა, ჭერ მკრთალად, ძალიან მკრთალად, მერე იმარჯვა ცისკარმა და ციდან ბურუსი ერთბაშად გადაწმინდა. მხოლოდ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს ყაბალახით შემორჩენოდა ნისლი.

მზე მოდგომოდა აღმოსავლეთს და წითლად შეეღება თვალსაწიერი. მეგზურივით მოუძლოდა ნიავე განთიადს.

ვაჟას აღმართზე ძელქვები შრიალებდნენ და ძველისძველ ბაღში ბებერი ცაცხვები იმეორებდნენ მათ ჩურჩულს.

ეთერი საყვირის ხმამ გაჰკვეთა. ხან ერთი კუთხიდან ისმოდა ეს ხმა, ხან მეორედან. მერე ისე მიყუჩდებოდა მთელი ქალაქი, რომ რიონის წყნარი ღუღუნიც კი მოისმოდა.

შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინოს რიონი უქუთაისოდ და ქუთაისი ურიონოდ.

უხსოვარ დროიდან ძმობენ და ერთგულებენ ერთმანეთს.

რამდენი განსაცდელის მომსწრეა ქუთაისი. რამდენჯერ წითლად შეღებილა მისი ქუჩები და რიონის ტალღებს ჩაურეცხია მტრების თუ მამულიშვილების სისხლი. დუღუნით მოგორავენ რიონის ტალღები.

თენდებოდა.

ქალაქში შემოდის და სიცოცხლის ერთი დღე. ქუჩები თანდათან ივსებოდა მოქალაქეებით.

თეთრ ხიდზე ტროლეიბუსი ტროლეიბუსს მისდევდა.

მორიხინებდნენ ავტობუსები.

უფრო ხშირად და გარკვევით ისმოდა საყვიარის ხმები. საწარმოები ეძახდნენ შრომელებს. ჭგუფ-ჭგუფად მიდიოდნენ ქუჩებში მტუშები. უსმენდნენ საყვიარებს და ხმით ცნობდნენ თავიანთი ქარხნების ძახილს. ზოგნი ტროლეიბუსებში სხდებოდნენ, ზოგნი ავტობუსებში, ზოგნიც ფეხდაფეხ მიიბიჯებდნენ ქუჩებში.

თენდებოდა.

სიცოცხლე იღვიძებდა ქალაქში.

ალბათ ასეა ყველგან. ასე ცოცხალი, ასე ლამაზია მზის ამოსვლა ქვეყნის ყველა კუთხეში, მაგრამ სულ სხვანაირად იწყებოდა დილა ავტოქარხნელთა უბანში. ახალი საწარმო, ახალი დასახლება. თითქმის მთელი ქალაქი, ახლადგაშენებული ხეივანები, სკვერები, ახალი და დიდი სურვილები. ქარხნის მისასვლელთან, იქ, სადაც რკინიგზის ლიანდა-

გი მთავარ ქუჩას ჰკვეთს; ახლა ზევიდან გადადის ტროლეიბუსის ზონის ერთმანეთს მისდევენ ტროლეიბუსები. მოგვარდა და ზევრი რამ შეემატა ამ ხნის მანძილზე ქალაქ ქუთაისს.

გაშენდა და დაშშვენდა ახალი ქუჩები.

წულუკიძის სკვერიდან საბაგრო გზით მიდიან შრომელები კულტურისა და დსავენების პარკში, ზევით, ვაჟას აღმართზე. საავტომობილო ქარხანაში კი ყურის წამლებად გრუხუნებენ მანქანები. ვაცოცხლდნენ საამქროთა უზარმაზარი კორპუსები. მთავარი კონვეიერიდან განუწყვეტლივ გამოდიან ახალ-ახალი ავტომანქანები. დიდები, თავისებურად ლამაზები. გადმოდიან ქუთათური მარკის ავტომობილები.

გადმოდიან და ქვეყნის ყოველ კუთხეში იგზავნებიან.

ქარხნის ეზოს ხეივანში გაბნეულ ბილიკებზე კვლავ უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ლურჯხალათიანი ქალიშვილები და ქაბუკები.

ამ ნაკადში მიიბიჯებს გიორგი ლომიძე...



აღმოსავლელი მათათელი

ჩემი ხელი და სამეზერი

ცისკარი

ეს ჩვენი სახლი, მაღალ აივანით,
ქალარა თბილისს დაჰყურებს მთიდან.
ივლისის ღამე მაღელ გაივლის.
დილის ცისკარი ვიხილო მინდა,
წუთიც და, ჩადვა ცაში ნათელი,
გამოისახა შორს მთაგრეხილი
და გამოცოცხლდა ღამენათელი,
ბაღში მთვლემარე ხელად ხეხილი...

აგერ მერცხალი ეხლება ზეცას,
ბაღში მამალი შაშვი. ჭახჭახებს:
ციცკრის მშვენიერების ვლდა თუ ეცა
და მაჭახელის მკერდში მაჯახებს!
ეკ სილამაზე რომ დამენაბა
და შეესწრებოდე ცისკარს ამდაგვარს,—
შენ მოჰყვლინე კეთილ ვენახად
და ვერ გივინწყებ ჩემს ძველ ამადარს.

ჰეპვილნარი

დილით აივანს მზემ მიანათა,
აბღღანა უცხო ბაღნარი,
ია-უცუქუნით სავსე კალათა,
სვეტზე ცისვანი, ვაზი—მაღლარი,
ხარობს ზამზაბი ძალისძალადა,
სხივთა ბაღში ბანზე ვაჩრილა
ნაზმა ნარგისმა, სათნო სიანათამ
უნნო კაკტუსი ეშხით დაჩრდილა.

მილიმის წითელ ასულის მსგავსად
ზარისებური უცხო ყვავილი,
რომ არ მენახა ამდენხანს არსად
ბაღიდან ბანზე ამოყვანილი.
აგერ შროშანი, აღსაესე ეშხით,
უსურვაზეთ თუ ხვიარები...
და ვით მებაღე, სარწყავით ხელში.
მათ შორის ისე დავიარები.

ლიმონი ბაღში

დილით, ქვიტკირის ღობით შეკრული
ბაღის ბილიკებს ნელა გაივლი,
სადაც ლიმონი არის შემკული
ვარსკვლავისმავარ. სურნელ ყვავილით,
მთლად დაჰხვევოდა ყვავილს ფუტკარი,
შივ ჩამძვარაღიყო ვაუხმძლარი,
ზამთრით მწუხარი და ნაფუტარი,
მე რომ სარწყავით ხიდან დავძარი.

ძირს ჩამოჰყარა და ჩამოდენა,
წყალმა ყვავილის თეთრი ფურცელი
და მყის ვიხილე ხორბლისოდენა,
ციცკნა ნაყოფის მზა საფუძველი.
მტრისგან იცავდა ეკლის ბურძვალს,
მზისგან კი — მწვანე პოთოლის ფაქსს
და მე მომადგა თვალზე კურცხალი,
ვით იმ ფოთოლზე კამეამა ცვარი.

ბუნების ძალა

როცა ლიმონი ნაყოფს იღებდა
და სასწაული ხდებოდა დიდი,—
ბაღში ერთხელაც არ გამიხედავს,
ძილმა ჩატეხა ჩვენს შორის ხიდი.
ახლა, ბუნების ძალით გრძნეული,
მივალ, ლიმონი დილითვე ვნახო

და შევიმოწმო—არის სნეული,
თუ ზრდა, ჯანლონე დაეტყო ნაყოფს.
მზიბლავს ხე იგი, აღსაესე ეშხით,
დაფნა, ნარინჯი და ხვიარები.
ამიტომ არის, სარწყავით ხელში,
ბაღში დილითვე დავიარები.

მ ც ნ ბ ა

ეს ჩვენი სახლი, მაღალ აივნით,
ქალარა თბილისს დაჰყურებს მთიდან,
წინ თვითმფრინავი გრგვინვით გაივლის
და შორს ქვეყნებში გაფრენა მინდა.
შოდი, გავუყვებ, მხო, ამ ზეცას,
გადავიფრინოთ მთასა და ბარზე,
წარმოვიდგინოთ თავი რამზესად,
დავდგეთ ეგვიპტის სასახლის ბანზე,
სად ფარაონებს უყვარდათ ვრცელი,
თვალშეუდგამი აზიის ჭერეტა,
სადაც სახარა—უდაბნო ცხელი
მოღის ნილოსის გადასაშრეტად...

კავკასიონზე ვნახოთ ღრუბელი,
იასამანის ზეინი—მტევნები,
სად განისვენებს ისევ ვრუბელის
მწირი დემონი, შმაგი ვნებებით.
ზის და იკონებს გაფრენას გიგურს
სული ობოლი და ნაწვალები.
გამტერებია თამარის მიჯნურს
ცრემლმორეული, ლურჯი თვალები.
არვინ უხუჰავს იმ თვალბს კოცნით,
ყურს ვუგდებ თერგის რბენას და გრიალს
და ვხედავ მასში მგზნებარე მგონის
დაუდგრომელი ცხოვრების ტრიალს.

ბ ა ბ ნ ი

ეს ჩვენი სახლი, მაღალ აივნით,
ქალარა თბილისს დაჰყურებს მთიდან
და ხშირად, სანამ ღამე გაივლის,
დედაქალაქთან ბაასი მინდა.
ვუთხრა, რომ მარტო არც შაჰ აბაზი,
არც შაჰზად-ხანი და თემურ-ლენგი
იყვნენ მნგრეველნი ჩვენი ღამაზი
მშობლიურ მიწის, ხალხის და ნერგის.
მუღანის უნდო უდაბნოს ბული
ვლიდა სამგორზე ირანიდანა,—

ქართლში ჩაექრო სიცოცხლე უხვი
და გულს დაესო ფირალის დანა...
მაგრამ დაამხო ხალხმა მტარვალი
პირსისხლიანი, ომით მავალი,
თან შეიხერა ქართლის კარებთან
ცხელი უდაბნოს ავი მოქნარება.
წინ გადაუდგა ბუნებას ხალხი
ბალით შეჰმოსა დანწვარი მიწა,
ზღვა შეგაგუბა იორის არხით
და ქართლს ახალი ცხოვრება მისცა.

შქრობი კიბა

დედაქალაქო, შენს დიდ მომავალს
ასრულებული ნატვრა ატყვია!
შენი ტრფილის ერთი მონა ვარ,
შენებრ ვიშუშებ ათას ნატყვიარს.

ალსრულდა! მორბის მტკვარი ბუბუნით.
მთაწმინდის ბალში უსტვენს ბუბუნული,
ყრმა და მოხუციც დამდგარა ფარად,
რომ ქართლის კერა ღვივოდეს მარად.

აივანი—მეზბანი

ეს ჩვენი სახლი, მაღალ აივნით,
ქალარა თბილისს დაჰყურებს მთიდან,
წინ თვითმფრინავი გრგვინვით გაივლის
და შორს ქვეყნებში გაფრენა მინდა.
ეს აივანი, ბალში გაჭირილი,
კავკასიონის ქედებს უყურებს,

ქვეშ ქალაქია მტკვარზე გაშლილი
და აციმციმებს ღამით შუქურებს.
ეს აივანი, როგორც გემბანი,
თითქო მისცურავს მისკენ მხარულით
და ვით კაკალში მწიფე ლებანი,—
გულში ზის ტრფობა და სიყვარული.

ორი მგაგაძე

ხედოუწერილი ბარათი

პატარა ქვეყანა იმ სოფლის ბიჭის სამშობლო, რომლის ხანმოკლე, მაგრამ დამაფიქრებელ ცხოვრებაზე მინდა მოგითხროთ.

ჭურეთი უხსოვარ დროიდან დამპყრობთა ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი, მაგრამ ბოლოს, როცა ზღვებზე თვითმავალი ხომალდები გამოჩნდნენ, ღრუბლებში ფოლადის მერცხლებმა გაინაგარდეს და აღამიანმა დედაპირის ყოველ კუთხეს ჯადოსნური სიგვრით ხმა მიაწვდინა, პატარა ჭურეთიც ხელისგულივით გამოჩნდა და, მთელს ქვეყნიერებას ემცნო, რომ ის, მარგალიტის თვალივით მშვენიერი და დედის ძუძუსავით ნოყიერი იყო.

აღმოსავლეთით დიდებული მთები ზამთარ-ზაფხულ თოვლს ვერ იტევს და ჭურეთს იღუპალებით საესე მყუდროებით დასთვალთვალებს. ჩრდილოეთითა და სამხრეთით ცაღ აბჯენილი ზეგები შრიალდებენ. ძირს ლორთქი ბალახი ისე შარბურთობს, როგორც ჭურეთის ლანისფერი ზღვა.

აქ, ბარში, დეკემბერშიც ენძელა ჰყვავის. მთაში ყინვარს ფეხქვეშ ჭაჭი-ჭაჭი გააქვს, მაგრამ მზე სითბოს ისე სათუთად აფრქვევს, თითქოს ბუნების ამ დიდმა ჯადოქარმა დედა-მირას არც თოვლი უნდა მოაკლოს და არც საამო სითბოთი. ტყეში, ნიაბორი თუ არჩვი, ჩვირანი თუ შველი, ადამიანს არ უფრთხის; ცაში, ორბი თუ არწივი ლაღად დაჰქრის, მდინარე თევზით არის საესე, მთა — მადნეულით, ბედელი — ხორბლით, იალალები — ნახირით.

გულადნი არიან ჭურეთელები. ზალბი, პურადი და სიკეთით გულსასესე,

ერთ დროს სტუმარს გაშლილი გულოთა და პურ-ღვინოთი ეგებებოდა.

სამშობლოსათვის სიკვდილი აქ უკვდავება, იქ — სამარადისო სასუფეველი იყო.

საამო აღნაგობის ჭურეთელს კანის ფერი მაცვალოვით შავი აქვს. ჭაღებს ზოგი უცხოელი მწუხრის ვარსკვლავს ადარებს, ზოგი — დაცვარულ ჩაის ვარდს, განთიადისას ცისკარს რომ გაუღიბებს ხოლმე.

წალკოტი იყო ჭურეთი. მაგრამ იმას, ვინც წელში წყდებოდა, არც კი ეცალათვისი ნაჯახირალი ეგება.

დიდხანს, უკეთესი მერმისის მოლოდინში, დუმდა ეს ხალხი, მერე აქა-იქ, ფიცხნი და გულადნი ტყეს შეეფარნენ, შეუტრეს სულოს მტრებს. დღეებმა და წლებს აბალი აზრები მოჰქონდა. ჭეკდა მყარბი, ბრიალებდა ტყეში კოცონი, ჭურეთი ყალუხე დგებოდა. მაგრამ უფალო სადავე მაგრად ეჭირათ.

და ამ პატარა სამთავროთი მოხიბლულ მეზობელ ქვეყნებში ატყდა ჩოჩოლი, — ჭურეთელ ზალს შველა უნდაო, — გაჰკიოდნენ ერთ ხანს, და მერე იმ ქვეყანამ, რომელმაც მოასწრო ურიცხვი ჯარები დაძრა ჭურეთისაკენ, ფიცხელი ომი გაჩაღდა. ბევრი სიმწარე აგემეს მომხდურს, მაგრამ ბოლოს ზღვას მდინარე დიდხანს ვერ შეეცინა, და ეს წალკოტი გამარჯვებულთა ჯარით აიგსო.

• • •

იმ ბიჭს, რომლის სოფელი მთიდან ფხიზლად თვალერაილ ორბის თვალვით იშორება, იმარუტს ეძახდნენ.

სწორედ იმ დღეს, რა დღესაც თეთრ-კანიანთა ჯარები ამ სოფლის ახლოს დაბანაკდნენ, იმარუგს თექვსმეტი წელი შეუსრულდა.

დედამ დევხელი დროზე გამოაცხო, თექვსმეტი ცალი თაფლის სანთელი დროზე ჩამოქნა, ადრე ნაყიდი ერთი ბოთლი ღვინოც ჩამოვდა.

დიდხანს უცდიდა უფროსს ჯალაბი. ისიც მოვიდა. ქოხში თექვსმეტი სანთელი აინთო. დაილოცა ოჯახის იმედი. დევხელი სამად გაიყო. ინათა კიდევ და მთის ძირში აქა-იქ სროლა გაისმა. იმარუგის მამამ თოფი მხარზე გადაიკიდა და ჩქარი ნაბიჯით ფერდობზე დაეშვა. შინ ვერ დგებოდა ლომგული კაცი. ვერ დგებოდა, რადგან სჭეროდა, რომ უცხონი მისი დღევგრძელობისათვის არ მოსულან მახვილით.

...მზე გადაიხარა. იმარუგი თავისი ეზოს კიშკართან, დიდ მუხის ქვეშ იდგა და ჰალას გასცქეროდა ნაღვლიანი თვალებით. იქიდან თეთრკანიანთა თეთრი კარები ისე მოჩანდნენ, როგორც ნაწვიმარზე, სოკოები.

და ჰაბუცი მამას ელოდა, მამას, რომელიც ნახევარ საუკუნეს მხრებით მსუბუქად ატარებდა.

აბასს მუხლი მგლისა ჰქონდა, თვალი — შავარდნისა. როგორც მისმა თანასოფლელებმა, ამ კაცმაც კარგად იცოდა, მეუფეს, დედა-მიწა რომ მარცხენა ხელში ებყრო, და მზე მბრძანებელს გარს ევლებოდა. იცოდა, რომ აღამაინს ავი სულები ავებენ და რომ უფალმა მიწის შვილს ამ შათელთა შესამუსრად თილისმა მისცა. იცოდა ისიც, თავის ქვეყნის დედაქალაქში დიდებულები ძალზე რომ განებივრდნენ და ახლა ერთმანეთს ენით კი არა, აბრეშუმით შრილა ქაღალდებით ემუსიაფებოდნენ. აბასის აზრით, ეს შრილა თილისმა კარგის მომასწავებელი არ უნდა ყოფილიყო...

იმარუგმა აღმართზე დალანდა ვილაც. დააკვირდა. იცნო მშობელი. აბასს ხელში თოფი ყავარჯენივით ეჭირა და ძლივს მოალაჯებდა. შეკრთა ჰაბუცი.

მგელმუხლა, აღმართზე ასე ბლანტე ნაბიჯით მომავალი, ჯერ არ ეჩვენებოდა დაეშვა.

როცა შვილი მიუახლოვდა, აბასმა თოფი ხელიდან გაავდო, ტირიფის ტოტი ჩაბლუჯა და შედგა, — გველები. შვილო, იმარუგო, — ამოიგმინა. გულის ფიციარზე შეზრდილივით მიკრული მარჯვენა სხეულს ჩვარივით დაეკიდა. მუხლმოკვეთილს მკერდიდან სისხლი თქრი-ალით გადმოდიოდა.

იმარუგს ცივი ოფლით დაცვარულ შუბლზე ნახშირით შავი თმა ჩამოშლოდა, შიშჩამდგარი თვალებით მომაკვდავ მამის სახეს მიშტერებოდა ერთხანს, მერე თვალეში საშინელებამ გაუელვა; გაბედულად გვიმართა და მამას წაეტანა. არცკი გასჭირვებია ვეება ვაყკაცის ხელში აყვანა. აღმართი წელგამართულად მოილია, ჰიშკრის ზღურბლს გადაალაჯა, მაგრამ მამის უილაჯო სუნთქვამ წელში გაწყვიტა. მუხის ძირას მოიკეცა. მშობელმა ჩაფერფლილი თვალეში ძლივს გაახილა, ვალიმება სცადა, მაგრამ სურვილი ბაგეთა ცახცახმა დაჩრდილა. გაიზმორა. ქანცმილულ სუნთქვას მიღებული ხმა ამოჰყვა.

— თავს უშველე, მოდიან, იმარუგ! დევკაცს თვალეში სიბნელე ჩაუდგა.

ქოხის კართან იმარუგის მშობელი გამოჩნდა. იკვილა. დედაქალის ლოყაზე სისხლმა გამოჟონა.

შვილმა მამის უსულო გვაში ხის ქვეშ დაასვენა; გაირინდა ერთხანს, მერე ცხედართან პირქვედამზობილ დედას შეხედა, გააყრეოლა. ცოტა ხანი და ნაბიჯის გადადგმა სცადა, მაგრამ თითქოს წყალი ჩაუდგაო მუხლებში, ტერფი მიწას ვერ წაართვა. მერე, როგორც იყო, დედის გულშემზარავმა ჰკითინმა უბიძგა და იმარუგიც ადგილიდან ისე დაიძრა, თითქოს ფეხი ახლა აიდგაო. ჰიშკრამდე ძლივს მიაღწა. ისევ მოთქმა დედისა. შედგა, მაგრამ უკან დაბრუნებაზე გულმა უარი უთხრა. უკან დაბრუნება კი არა, შურისძიებლად იზმობდა მამის სიყვარული. და იმარუ-

ვიც იმ ტრიფისავენი ვაიჭრა, რომლის ტოტი ჩაბლუჯა მომაკვდავმა მშობელმა. მუხლებში საოცარი ძალა ჩაუდგა, რამდენიმე ნახტომი და ის უკვე ტრიფთან იდგა, თვალები გაფაციცებით ეძებდნენ რაღაცას, და მალე, სულ მალე, ბალახებში მშვიდად ჩაწოლილ თოფს წააწყდნენ. იმარუგმა „ფრანგულა“ აიღო. სავაზნე ყუთს ერთი გასროლა აკლდა. გავარჯერებულმა გულმა დაბლობისკენ გაიწია, ნაბიჯიც კი გადადგა, მაგრამ კვლავ მოესმა ვოდება დედისა. კენტად დარჩენილი მშობელი შვილს იხმობდა. შურისძიებისა და სიბრალულის გრანობები შეემა ერმანეთს, და შვილმაც ქოხისკენ იბრუნა პირი.

იმარუგი ნელი ნაბიჯით აჰყვა ბილიკს. თავჩაქინდრული ისე ზანტად მიალაჭებდა, თითქოს ნაბიჯებს ითვლისო. სულ ცოტა ხანი და გულდამწვარი დედის ნუგეში მამის ცხედართან უნდა ჩამუხლულიყო, მაგრამ ზურგს უკან კაწიწი გატყდა. ცაცხვის ტოტიდან დამფრთხალი შაშვი აფრინდა. იმარუგმა თავი ასწია, მიბრუნდა. ორი კაცი მოჰყვებოდა ბილიკს. ორნი იყვნენ ისინი, მაგრამ ერთმანეთს ტყუბებივით ჰგავდნენ. თეთრხალათიანებს მოკლე შარავლები ეცვათ. თავზე ფართეფარფლებიანი ქუდები ეხურათ, ხელში მოკლე დოფები ეჭირათ და ისე მოდიოდნენ, როგორც უღრან ტყეში ნადირის კვალს გამოყოლილი აბასი ახსოვს შვილს. ერთმა მათგანმა იმარუგს შეხედა და გაღიმებულმა ხელი ისე დაუქნია, თითქოს ნაცნობი ყოფილიყო, მეგობარი. მეორემ ჰურეთული ნიშანი ამოიღო და რაღაც გაუგებარი სიტყვა ქვასავით ესროლა. იმარუგმა არ დააყოვნა თოფის აწევა, და ტყვია სწორედ იმ უდიერს მოხვდა, რომელიც მას ხელს უტიფრად უქნევდა.

იმარუგს კარგად დაამახსოვრდა, ვაეკაცი რომ მიწაზე მოწყვეტით დაეცა. მერე საღდაც თოფმა იგრიალა და მერე...

...საპყრობილეს საავადმყოფოში გამოვლენიდა იმარუგს. სცადა, მაგრამ მარცხენა ხელი ვერ წამოწია. იყუჩეო, —

ანიშნა ვილაც ბირმლიმარე, სათნო გოგონამ და რაღაც რძისფერა...
ხე აგემა.

ყოველ დილით დარბაისელი კაცი მონახულვებდა ჰურეთელს. მაჯაზე ხელს წაავლებდა და გაიყუჩებოდა, ითვლიდა რაღაცას. სამოთხე დღეში ერთხელ ძუძუს ზემოთ ჭრილობას გაუსინჯავდა. სათნო გოგონას რაღაცას ეტყოდა, მერე დაქირის ლოყაზე ხელს მოუტაცუნებდა და დინჯი ნაბიჯით სტოვებდა ოთახს. როგორც იმარუგის მომვლელი გოგონა, ეს კაციც კეთილ ადამიანს ჰგავდა. კეთილი რომ არ ყოფილაყო, აბა, ვინ რჯიდა, ვილაც უპატრონი ბიქისათვის ზშირად რაღაც ძალზე ტყბილი, ძალზე საამო ფილა მიეცა, ფილა, რომელსაც სათნო გოგონა შოკოლადს ეძახდა.

როცა ჭრილობა მოშუშდა და იმარუგი წამოდგა, ახალი ტანსაცმელი მოუტანეს, ქუდიც და ფეხსაცმლებიც უხმარი იყო, ხელუხლები.

ერთ ხანს საავადმყოფოს დერეფანზე იმართავდა მოდუნებულ მუხლებს ჰაბტუცი. ბალატებშიც შედიოდა. ყველგან თავისი მიწაწყლის ხალხს ხედავდა აბასის ვაეი. ეს ხალხი ენამახვილი და მხიარული იყო ადრე, მაგრამ ახლა მათ სახეზე ღიმილს ვერ მოჰკრა თვალი. ასეთი მკმუნვარე ადამიანები მხოლოდ სატირალში უნახავს იმარუგს.

ერთ დღეს დედის გამომცხვარი ღვეზელი, ქალით ცოტა არაქანი და საბანი მოუტანეს ტუსალს.

სიხარულისაგან ცას ეწია ბიჭი.

ფანჯრიდან ეზოში გადაახედეს. შორს, ციხის გალავნის ჩრდილქვეშ დედამისი იდგა შავებში და ფანჯრებს ისე ათვალეირებდა, თითქოს აფრენას აპირებდსო. იცნო ქალმა შვილი, გაუღიმა, ხელი დაუქნია, მერე მარჯვენა მუშტად შეკრა, მალა ასწია, ანიშნა, მაგრად იყავიო.

მთელი დღე ბორგავდა იმარუგი. დედის ნახვამ საღდაც გულის საღრმეში მიყუჩული დარდი ყვაგებივით წამოაფრინა.

ახლა მას საავადმყოფოს კედლები, საავადმყოფოსი კი არა, ციხის განიერი ეზოს გაღაღანიც სულს შემხუთველ სიფრთხილად ეჩვენებოდა. დიდხანს დანა პარს არ უსწინდა, იჭდა კუთხეში პოკუნტული, დამუწვებული.

პატიმრებს არც კი შეუხედავთ იმპრუვისათვის. ყველას თავისი გაპირებება აწუხებდა, სხვისთვის არავის ეცალა.

ახლაც სათნო გოგონამ და დარბაისელმა მამაკაცმა მოიკითხეს. ანუგეშეს, მოეფერნენ, ფილა შოკოლადი ჩაუდეს ჯიბეში.

ფეხი აიღვა ქაბუქმა, ენა ამოიღო, მალე აღიღინდა ჭიდიც.

იმარუგი საპატიმროს შენობაში გადაიყვანეს და ერთ საერთო საკანში დააბინავეს. ორსართულიან სარეცელზე ქვედა საწოლი მიუჩინეს.

ღია იყო საკანი. კარებს ღამე ჰკეტავდნენ. გვიან, როცა პატიმრებს ავაზ-შემებდნენ, საღდაც შორს ზარს სამჭერ ჩამოჰკრავენდნენ.

ციხის გაღაღანის ყოველ კუთხეში პატარა ჩიხური იდგა. შიგ ჯარისკაცი იჭდა თოფით ხელში და ეზოს ისე გადმოჰყურებდა, თითქოს თუთიყუში შემოასკუპესო თარხზე.

უქმად არ აყენებდნენ პატიმრებს. ამუშავებდნენ.

თორმეტი საათი ისმოდა ზერხისა და ჩაქუნის ხმა საღურგლო საამქროში. ბევრ ფეხსაცმელს კერავდნენ. ბევრი ხალხი იქსოვებოდა. ძალზე ბევრ თოჯინებს ჰგზავნიდა ციხე სხვადასხვა ქალაქებში.

იმარუგმა საკანში სამი დღე უქმად გაატარა. მეოთხე დღეს, მეტად საამო აღნაგობის ახალგაზრდა კაცმა გამოიძახა. ეზო გადაატარა, ერთ პატარა, ცისფერ სახლში შეუძღვა და კოხტად მორთულ ოთახში შეიპატავა.

ამ კაცმა ბევრი რამ ჰკითხა ჰურეთელს, ისიც კი, რომელ თვესა და რომელ დღეს დაიბადა.

ბოლოს, ახალგაზრდა კაცმა იმარუგს სამი ჯვარი დაასმევინა ქაღალდის პატარა ფურცელზე. მერე, ამ ქაღალ-

დიდან ამოიკითხა, რომ ჰურეთელი შეგზარაღს და ხუთი წლით პატიმრობა აქ მარეს. ის ჯარისკაცი, რომ მთმეცდარიყო, რომელსაც შენ ტყვია ესროლე, ჩამოგაზრხობდნენ, უთხრა.

— მამა? — ჰკითხა იმარუგმა.

— მამა... მამა თავისი ქვეყნის მტრებს ამოუღდა გვერდით. ის ეზრძოდა იმით, რომლებიც ჰურეთში წესრიგის დასამყარებლად მოვიდნენ.

დაქვედა იმარუგი უცხო კაცებს ჩვენში წესრიგის დამყარებას ვინა ჰკითხავდაო, — გაუელვა თავში, მაგრამ თქმას სიჩუმე ამჯობინა.

მეორე დღეს ხელმეორედ გამოიძახეს, მაგრამ არა იმ საამო აღნაგობის ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც ქაღალდის პატარა ფურცელზე სამი ჯვარი დაასმევინა. არა, ეს კაცი უფრო ხნიერი იყო, რაღაცნაირად ცივი, არასანდომიანი სახისა. ვიწრო შუბლს ქღალი თმა უფარავდა. სქელი ტუჩები ნაჯახით გაჩხილს უჯავდა. ნესტოებგანიერ, ამაყად აბზეკოლ მსუქანი ცხვირის კეხიდან, უშველებელი შავი სათვალე, ფრთავაშლილ ყვავივით იმზირებოდა. ჰოდა, ამ მაღალმა, კაფანდარა კაცმა იმარუგს ახედ-დახედა და ცივ სახეზე, როგორც იყო, უფერული ღიმილი აიკოდა. ქაბუქის სხეულის თითოეულ ნავეთზე შეაჩერა მზერა. აშკარად შეეტყო, რომ მოეწონა ეს შავ წამწამწარბა, ტანადი ქაბუქის დამარღველი გულმკერდი, მისი ცოცხალი, დამესაგით შავი, მოუსვენარი თვალები. იმარუგის სახეს დიდხანს შეჰყურებდა იგი. მოსწონდა. ნამდვილად მოსწონდა ჰურეთელის სახის, მზით შერუჯული ნახშირის ფერი და წინწამოწყული, შუაში ოდნავ ჩაჩვრტილი ნიკაბი, რომელიც მის ნებელობაზე მეტყველებდა.

— წერა-კითხვა არ იციო, მართალია? — უთხრა კაფანდარა კაცმა იმარუგს დამტვრეულ ჰურეთულ ენაზე და გისოსიან ფანჯარას მშვიდად გახედა. მქრქალ მინაზე მაგნოლიის ფოთლების ჩრდილი მშვიდი ზღვის ტალღასავით ირხეოდა.

გახარდა ჭაბუკს მის მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე უცხოელი რომ ნახა, თვალეზი გაუბრწყინდა, სიამაყის გრძობამ წელში თამამად გამართა — მართალი უთქვამთ, აბა, წერა-კითხვის რა ვიცი, — უბასუხა და ისე გაუღიმა უცხოს, როგორც დიდხინის ნაცნობს, — ვინ იცოდა ჩვენს სოფელში წერა-კითხვა, მე რომ მცოდნოდაო, — გაკვირვებით დასძინა და უხერხულად შეიშმუშნა.

რახან მოვედით, გიატრონებთ. თქვენში მშვიერი და წერა-კითხვის უცოდინარი არავინ დარჩებოა, ჩაილაპარაკა სათვალეებიანმა ისე, რომ იმარტვისათვის არც კი შეუხედავს.

ჭურეთელი თვალდაუხამამებლად მიშტერებოდა მოულოდნელი ბედნიერების მახარობელ კაცს.

იმარტვის აქამდე თუ ეს კათანდარა უცხოელი არასანდომიანი სახისა და აღნაგობის კაცად ეჩვენებოდა, ახლა, რატომღაც, მისი ცქერა გულს მალამოდ ეცხებოდა, თითოული სიტყვა მისი, ტყბილი და საამო იყო.

უცხოელმა თავი დინჯად მიბარუნა, პატიმარს ეშმაყური ღიმილით ახედდა-ხედა და მერე მდიდურად უთხრა. — ჰო, ახლა წადი. დიდღობით ხალიჩების საამქროში ივლი, იმუშავებ, ხელობას ისწავლი. საღამოობით კი, აგერ — ხელი მარჯვენე გაიშვირა, — მეორე ოთახში მოხვალ და სწავლას შეუდგები. გასაგებია?

იმარტვმა გაბრწყინებული სახით თავი დაუქნია უცხოელს, მერე უკან დაიხია. როგორც იყო, თვალი მოწყვიტა ბედნიერების მახარობელს.

ახლა ჭაბუკი არც სათვალეებიან კაცს ხედავდა და არც მის განიერ მაგიდას, არც უცხო ადამიანების პორტრეტებს, კედლიდან რომ უხმოდ და დინჯად დაცქეროდენ იმარტვის. არც გისოსიანი ფანჯარა ჭრიდა თვალებს, რომლის მიწებზე მავნოლიის ფოთლების ჩრდილი სარწყველასავით ქანაობდა. ახლა თვალწინ წიგნი ედგა ჭაბუკს, წიგნი გაშლილი, წიგნი ისეთი, როგორც მისი სოფლის მეპატრონეს ქალიშვილს

ეჭირა ერთხელ, ჩრდილქვეშ, მდინარის ნაპირზე.

დაცარიელებულ საკანში — ფეხსაკრებ ფით შევიდა ჭაბუკი და თავის საწოლისაკენ ისე გაეშარა, თითქოს მძიმე ავადმყოფის საჩუქელს უახლოვდებო. პირალმა წამოწვა, ხელები გულზე დაიკრთა, თვალეზი დახუჭა:

— რად ებრძოდა ამ კეთილ ადამიანებს მამაჩემი?!

ჰმ, რას არ ამბობდნენ ჩვენები: ტყბილი ენით მოდიან, მაგრამ მწარე ბედს გვიმზადებენო. მათ ჩვენი მდინარეები, ტყეები, ჩვენი მადნეული უნდათ, თორემ ჭურეთელებზე ისე ფიქრობენ, როგორც ჩვენ ცის დასალიერში დარზე თუ ავადარზეო.

საოცარია! მე თუ შევიგნე ამ ადამიანთა სიკეთე, რა ღმერთი გაუწყრათ ჩვენ თავკაცებს? აბა, ვინ მეტყოდა მე, სოფლის ბიჭს, გინდა თუ არა, წერა-კითხვა უნდა ისწავლოო?...

და იმარტვი ათრუს მთის კენწეროზე არწივივით შემოქდა. კენჭებივით მოჩანდა გვირითა და ლენქაშით გადახურული ქოხები. ჭაბუკმა თავის სოფელს დაადგა თვალი, ეზო მისი... მაგრამ არ ეძებს იმ ქოხს, სადაც დაიბადა და გაიზარდა. იცის, რომ დედამისი ცოცხალია. დედამისი და... ქოხი? ქოხი რაა, აქ წერა-კითხვას შეისწავლის და მერე ციხიდან გამოსული ისეთ სახლს წამოქმედებს, ისეთს, რომ ბატონ უთაბუსაც შეშურდეს.

სულ სხვა ეზოს დააცქერდა ჭაბუკი, სულ სხვა სახლს, სოფლის განაპირას რომ დგას, დიდი, განიერი, ორი ზორბა საკვამლე მილი სახურავიდან აქლემის კუხივით რომ იშორება. დიას, სწორედ ის არის ბატონი უთაბუს სახლი. ის არის, მაგრამ იმარტვის არც ამ სახლის ნახვა სწყურია და არც ბატონი უთაბუს გახსენება. არა, მას ამ სახლისა და ეზოსი აღმასი უდევს გულის ბუდეში. ეს აღმასი პატარა ქალბატონია, უთაბუს გოგონა — ანახა.

მინდვრის ყვავილივით მიმზიდველია ეს ქალწული. იგი, ბევრჯერ შეხვედრია იმარტვის. შეხვედრია, მთვარესავით გაუ-

ლიმა და ბროლის კბილებს ელვარებით, ვინ იცის, რამდენჯერ მოუნუსხავს...

ტანმოჩინო, მაგრამ ვერცხლისწყალივით ცქრილა, ვარსკვლავით მოციმციმე ლურჯი თვალებით. ლოყები ფუნთუშა პქონდა ამ გოგონას, ფუნთუშა, მაგრამ არა ისეთი ყარაჩი, არა პურეთული, არა, სულ სხვაგვარი, რაღაც ნაირად მიმზიდველი, ისეთი ფერისა, როგორაც პურის მწიფე თავთავსა აქვს შებინდებისას. ბურბულელასავით ნახვევი, უკუნეთით შავი თმები ლამაზ შებლზე სათუთად ეყარა.

ღიას, ლამაზი იყო ეს კეთილად მოზლიმარი გოგონა, მაგრამ მარტო მისი ხილაპაზე და ზარითი წყრილა ხმა კი არ აღეღებდა იმარუგს. მას ანახას უბრალოება და კეთილგონიერება აღაფრთოვანებდა. უბრალოება და კეთილგონიერება, მაგრამ ასეთი რჩეული შეიძლება კიდევ სხვა ვინმე ყოფილიყო ითრუს მიღამოვებში, რომ ეს პატარა ქალბატონი, წერეთისხვას — ამ ჯადოსნურ საოცრებას არ დაუფლებოდა.

ღრ ბატონს — უთაბუს ეს ციციკნა გოგონა უკითხავდა, დედაქალაქის კაზის კალთასავით განიერ, უცნაურად აქრელებულ ქალღს და, როგორც ამბობდნენ, ამ ქალღს აგებინებდა შორეული ქვეყნების ამბებს.

ეს საოცნებო ძალი ზაფხულობით ცისკარივით გამოჩნდებოდა სოფელში, და ჰაბუკსაც სიმშვიდე ეკარებოდა.

ერთხელ იმარუგი ამ გოგონას ზამბუკის ტბის პირას წააყვდა. ანახას ხელში ჩოვანბადე ექირა და პეპლებს დასდევდა. გაირინდა ბიჭი. გაქცევაც კი დაპარა, მაგრამ აკისკისდა გოგონა, რამ შეგაშინა, მგელი ხომ არა გგონივარ, მოდი, პეპლების ქერაში მიშველეო, — უთხრა და მკლავზე ხელი ჩასჭიდა, გაიყოლია.

ბევრი პეპლა დაიჭირეს.

მეორე დღეს იმავ ადგილას შეხვდნენ ერთმანეთს.

პეპლებს სდიეს დიდხანს. მერე ითევზავეს. იმარუგი კარგი მეთევზე გამოდგა. წყალში დიდი ხნით უჩინარდებოდა,

სადღაც ფოთქვეშ ძვრებოდა და ექრდნ ანახას მკლავების სისხო თევზები ამოჰყავდა. სიცილით იგუდებოდა ლურჯთვალება, როცა პირში თევზაჩრელ ბიჭის უბეში ქანარი და კალმახი, მახშიში გაბმული ჩიტბებივით აფართხალდებოდნენ.

დალილებმა ყაყაჩოთი და არაბულათი მოფენილ ტყის ყურეს მიაშურეს. დაისვენეს. იმარუგი ხმას არ იღებდა. ყურები ყაყაჩოსავით უღაქღაქებდა, ტუჩები არაბულასავით პქონდა დანაცრული. მერე გოგონა აკისკისდა, — რამ დაგამუნჯა, ენა ხომ არ ჩაგიყლაპავსო — უთხრა და მარჯვენას ცერი ცხვირთან მიუტანა. ფრჩხილზე მხეველა იჭდა და იხმოვებოდა. გოგონამ იმარუგს თმამი ხელი ჩასჭიდა. — აბა მხეველას სულა შეუბერე. ჰაბუკმა აცახცახებული ტუჩებით შეუბერა ქალწულის ცერს, ჰია მარია მფრთები გაშალა და აფრინდა.

პატარა ქალბატონს თვალები სიხარულით გაუბრწყინდა. — რაც გინდა ინატრე და აგისრულდება, მხოლოდ ჩქარა, ჩქარა, ხანამ მხეველი მიიმალეზაო, — კისკისებდა ანახა, და ბიჭმა იმ გოგონას თავი შესთხოვა უხმოდ ზეციერს, რომელიც გვერდით ეჭდა და გულში სითბოსა და სიხარულს უღვრიდა.

როცა მზე დასაბუღს მიუხალოვდა, ქალვავი საცალფეხო ბილიკით სოფლისკენ წავიდა.

პატარა ქალბატონმა იმარუგს ხელი გაუწოდა, — ხელ ქალაქს მივდივარ, ოთხი თვე ვერ ვნახავო, — უთხრა და გაუღიმა. გაუღიმა და ამ ღიმილში სოფლის ბიჭის გამოუცდელმა თვალბმაც კი შენიშნეს რაღაც შეჭირვების მაგვარი, შეჭირვებისა, რომელსაც თითქოს სინანულის ნისლა წამოპარკოდა.

ოთხი თვე, — აცახცახებული მარჯვენის აწვეას მოერიდა ჰაბუკი, თავი დახარა, იღვა და ფეხის ცერით ლორთქო ბალახს სრესდა.

ოთხი თვე, მერე რა! — გოგონამ თავზე ხელი გადაისვა, გაბრწყინებული თვალბებით ახედა ჰაბუკს. — სულ მა-

ლე გაივლის, მანამდე, შენ ლამაზ-ფრთიანი პეპლები დაიჭირე და შემო-ნახე, ითევეხვე... მაგრამ, უი, რა სულე-ლი ვარ, აწი, მალე სიცივე ჩამოწეება და პეპლებიც დიხოცებიან.

— არა, — ვაჟმა თავი ასწია, თვალი თვალში გაუყარა ანახას, — შენთვის ვიშოვი, მოვნახავ.

გოგონა შეხტა, გადაიკისკისა, — აბა, სიცივეში პეპლებს სად მონახავო, — უთბრა და ციბრუტყვით დატრიალდა.

შერცხვა იმარუგს, წამოქარხლდა. ისე დახარა თავი.

სადღაც ძროხამ იბღაღლა. ძაღლმა შეუტია ვიღაცას.

— ჰაუ, ანახა, — ოდნავ ვასაგონად მოიტანა ხმა ნიავმა საიდანღაც და გოგონაც გაიღურსა წამით, მერე ვაჟის მარჯვენას სწვდა, მაგრად ჩამოართვა ხელი. მშვიდობით გნახე, გახსოვდე... წერა რომ იცოდე, მომწერდი; კითხვა რომ იცოდე, ბარათით ბევრ რამეს გე-ტყუოდი....

— ჰაუ, ანახა — ახლა, შეუკაში გაის-მა ღედაკაცის ხმა და პატარა ქალბატონიც გაიქცა. მოსახვევში, თეთრად დანა-ოქებულ კაბის ტოტებმა ციციანთულა-სავით გაიღვრეს, და ეგ იყო, იმარუგის ოცნება გუჩინარდა.

...იმ ბედნიერ დღიდან მთელმა წე-ლიწადმა განვლო, ანახა სოფელში არ გამოჩენილა. ჰაბუჯს გულში პატარა ქალბატონის დარდი საქედარივით ეგდო. მის სახელს შინ თუ გარეთ, ტყეში თუ მთაში უგონოსავით ბუტბუტებდა. დროს იხელთებდა და ჩოგანბადით ხელში პეპლებს დასდევდა.

ელოდა და ელოდა იმარუგი ანახას გამოჩენას, მაგრამ სანამ მის გულში ნათელი ჩადგებოდა, უცხოელები მო-ვიდნენ. მერე... მამის სიკვდილი... საა-ვადმყოფო... საპატიმრო. და ყველაფე-რი ეს სიცოცხლის დასასრული ეგონა, მაგრამ ნუ იტყვით, ეს ხალხი კაციკა-მეუბი არ ყოფილან. შემცდარა უბედუ-რი მამამისი. სიცოცხლის დასასრული კი არა, როგორც ჩანს, ახლა იწყება სი-ცოცხლე.

იმარუგმა თვალი გაახილა, კმაყოფი-ლების ღიმილი ვარდის ფოთოლივით ეფინა სახეზე. წამოდგა, ~~ქმად~~ თვეშე-მართული, ბეჭებში ლაზათიანად გაშ-ლილი ისე წავიდა ფანჯრისაკენ, პატი-მარი კი არა, თითქოს მეფე ყოფილიყო, მბრძანებელი ამ ქვეყნისა.

...გაზაფხულის მზე დასაველეთით რძისფერ ცის კიდურზე ეკიდა და სა-კანში, ვისოსიდან, უხვად აბნევედა მთელეშარე სხივებს. გლავანს იქით, გო-რაქზე, ცხვრის ფარა ისე მოჩანდა, თით-ქოს ბოყი მოაბნეისო ფერდობზე. იქვე, ობლად მდგომ ჭუჭა ცაცხვის ქვეშ, მწყემსი იჯდა და ავლს აკვნესებდა.

იმარუგის მამა აბასი მთელი სიცოცხ-ლე ასიოდე ცხვარზე ოცნებობდა. აბა-სი კი არა, იმარუგიც. ცხვარი ასი! და მერე, წელიწადი ორი, სამი და... ეპ, რამდენჯერ უნატრია იმარუგს ხელში კომბლითა და ერთგული ნაგაზებით ცხვრის ფარასთან, საკუთარ ფარასთან ტრიალო. ეპ, ვინ იცის, მარიაშვილის აფ-რენისა, ნატვრა რომ მოესწრო იმა-რუგს და, მართლაც, ასიოდე ცხვრის პატრონი გამხდარიყო, გული სიხარულს დაიტევდა?

ეს მაშინ, გარეთ, თავისუფლებაში მყოფს, მაგრამ ახლა? თურმე ნუ იტყ-ვით, გული ყველაფერს ეჩვევა, ყვე-ლაფერს უძლებს. ათასი წელიწადი რომ ეცხოვრა, ჰურეთში რაც ცხვარია, მისი საკუთრება რომ გამხდარიყო, მაინც ვერ იგრძნობდა ისეთ ბედნიერე-ბას, როგორსაც დღეს, ამ ოთხ კედელ-შუა. დიახ, ამ ოთხ კედელში უნდა გახ-დეს კაცი, აქ უნდა ისწავლოს წერა-კითხვა, აქედან უნდა გაუგზავნოს ანა-ხას, ღედას, საკუთარი ხელით დაწერი-ლი ბარათი და მერე, როცა ციხიდან გავა...

იმარუგი თითქოს იმ ღრუბლის ნაფ-ლეთს ამოჰყვა, გორაკიდან რომ ამო-ცოცდა და ცხვრის ფარას უქმაქურის ჩრდილად რომ დაადგა. ამოჰყვა და ჰუ-რეთის ამ უძველეს ქალაქს ბატონკა-ცურად გადახვდა.

...მეორე დღეს, იმარუგი დიდი მონ-
დომებით შეუღდა საქმეს.

დილით ხალიჩის საქსოვ საამქროში
ტრიალებდა. საღამოს თვალსაამოდ გა-
ნათებულ, მოზრდილ ოთახში წერა-კი-
თხვას სწავლობდა. ქაბუკის გარდა, კი-
დედ ბევრი ჰურეთელი იჭდა ამ ოთახში.
იყვნენ ხანდაზმულებიც. წერა-კითხვა
ყველამ უნდა იცოდესო, — ამბობდნენ
იმარუგის კეთილის მსურველები.

დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს. წე-
ლიწადიც უკან დარჩა და დარბი აბა-
სის შვილი ასოს ასოზე კრეფდა, კა-
ლამს ეუფლებოდა, ნიჭითა და სიბეჭი-
თით მასწავლებელს აკვირებდა.

ხალიჩის ქსოვაში მონდომება ვერ გა-
მოიჩინა, მაგრამ რაღაც სამოთხ თვეში
კარგად წერდა და კითხულობდა. მალე
ციხის პატარა სამკითხველოს ხშირი
სტუმარი გახდა და კიდევ მალე სქელ-
ტანიანი წიგნის სტრიქონებს თვალი თა-
ვისუფლად ჩააყოლა. საქმეც სწორედ
ეგ იყო, თორემ ფარდავი რა ჰქირად უნ-
დოდა. ხალიჩა-ფოჩების ქსოვით გაა-
ვირებდა ანახას?! აბა, რა სახსენებელი
იყო ორხავე და ქუნთა, რომლებსაც
ჰურეთელი დედაკაცებიც კი თვალდა-
ხუტული ხლართავდნენ.

იმარუგი ძილშიც კი იმაზე ფიქრობ-
და, თუ როგორი სიღამაზით გამოეძერ-
წა ჯადო ასოები, თუ როგორ აემღე-
რებინა ბარათი ისე, რომ ანახას ეგრძნო
მისდამი უსაზღვრო სიყვარული ამ,
ერთ დროს უფიცო და დარბი, ბიჭისა.

• • •

იმ დღეს გაღაგანს იქით ახალი სავა-
რაჯოები გაჩნდნენ. ჭიხურებზე გუშა-
გები უფრო ხშირად იცკლებოდნენ, უფ-
რო გაფაციცებულნი ტრიალებდნენ
ბუდრუგანებში. სამუშაოდ ციხის კედ-
ლებს გარეთ არ გაჰყავდათ პატიმრები.
— დილეგების კარები ჩარაზეს.

საღამოს, ათიოდე პატამარი მოიყვა-
ნეს, მაგრამ ჩვეულებრივად სხვადასხვა
საკანში არ განაწილეს, არაფერ გაა-
რეს. მერე დაღამდა, და ტუსალები
ციხის შენობის იმ ფლიგელისაკენ წაი-
ყვანეს, რომელშიც ადრე დასახვრეტ

თუ ჩამოსახრჩობ დამნაშავეებს, ან-
ცალკეებდნენ.

ეს ათეული საიმედოდ განაშორებდა,
მაგრამ მათი საყნის კედლებიდან იმ
ღამესვე ახალმა ამბავმა გამოჰონა:
ჰურეთელები მოძალადე უცხოელებს
აუჩანყდნენო მთაში. შეაპზოხენი ბარ-
შიც ჩამოვიდნენ, მაგრამ დამპყრობ-
ლებმა სძლიეს და ახლა ხალხზე შურს
იძიებენო — ციხეში ზოგი ატირდა,
ზოგმა სამუშაოზე გასვლაზე უარი თქვა,
ზოგმა პირში ლუქმა არ ჩაიღვია.

იმარუგსაც დაეწვა გული. მეორე
დღეს საამქროში აჩრდილივით დაბო-
რიალობდა, ხელი არ მიუღიოდა საქმე-
ზე.

სად არის ანახა? ხიფათს ხომ არ გა-
დაეკიდა, ვინ იცის დედას რა მოუვი-
დათ, ფიქრობდა.

ხანდახან, მხოლოდ ხანდახან, გაფ-
რენილი შავარდნის ლანდივით გადაუქ-
როლებდა გულზე დარდი თავის ქვეყა-
ნაზე, და... ისევ ანახა... ანახა. ეს, ყვე-
ლაზე შკუიანი, ყველაზე ლამაზი, ნას-
წავლი გოგონა ძილშიც კი სასთქმალ-
თან ეჭდა და მადლიან ღიმილს აფრქ-
ვევდა.

აქამდე იმარუგს სწავლით თუ ჯობდა
პატარა ქალბატონი, მაგრამ ახლა, გულ-
მშვიდათაა ქაბუკი. ხვალ, ზევ, მისი ხე-
ლით დაწერილი ბარათი განაფხულის
მახარობელი მერცხალივით რომ გადა-
უქროლებს ათრუს, მაშინ? მაშინ ანახას
გული სიხარულით აუფართხალდება და
იტყვის, — ახლა კი, იმარუგი ნამდვი-
ლად არის ჩემი ღირსიო.

ჰურეთა? აჯანყება? სამშობლო? სამ-
შობლო იმარუგის ლოცვის გარეშეც
ჩადგება კალაპოტში.

...ერთმა კვირამ გაიარა. ამბობდნენ:
დამარცხებული აჯანყებულები მთებში
მიტვეალ ადგილებს შეებზინენო. გაგლე-
ნიან ჰურეთელებს აპატიმრებენ, ხერე-
ტნო.

იმარუგს არ სჯეროდა ეგ ამბავი.
მთაში აჯანყება მოხდა, ბარში რად
უნდა დახვრიტონ უდანაშაულო ადა-
მანებიო, — ფიქრობდა.

იმარუგი კვირა დილით გულშევიდად შეუდგა ბარათის წერას. მთელი დღე არაფერი ჩასვლია პირში. არც დაღლილობა უგრძნია. თეთრ ქალაღზე კობტად გამოყვანილ თითუელ ასოს გულში უტევი, რალაცნაირი, ახალ, ჭერ შეუგრძნობი სიხარული მოჰქონდა. მისი კალმის წვერიდან თავი სუფლად ჩამოდიოდნენ ასოები და ისე ლამაზად დგებოდნენ მწკრივში, როგორც ბუკის ხმაზე გლავანს იქით მეციხოვნე ჭარსკაცები.

საკვირველებავ! და ეს ასოები ისე გულწრფელად ისე აღფრთოვანებით იციოდნენ, კისკისებდნენ, როგორც ბამბუკის ტყეში პებლებზე მონადირე ანახა.

საქნის ვიწრო მაგიდასთან იმარუგი ისე იჯდა, როგორც მბრძანებელი და ყოველ ამოქარგულ ასოს ადგამდა თვალს, როგორც ახალნაკურთხი თვითმპყრობელი ადამატით მოოკვილ სამეფო გვირგვინს.

„...ხოდა, ჩემო ბატარა ქალბატონო, ამ ბარათის გამოგზავნა შენმა სიტყვებმა გამაბედვინა. ვახსოვს, სოფელში, როცა მემშვიდობებოდი, მითხარი: წერა რომ იცოდე, წერილს მომწერდიო. მე, ახლა ვიცი წერა. წერა კი არა, კარგადაც ვკითხულობ. ეჰ, რომ იცოდე, რამდენი წიგნი მაქვს წაკითხული და რამდენს ვკითხულობ და ვკითხულობ. ხომ კარგია „გულივერის თავგადასავალი“, „რობინზონ კრუზო“, „ბიძია თომას ქოხი?“ ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენი ასეთი საინტერესო წიგნი წავიკითხე. მართალი გითხრა, ახლა მივირის, ღმერთს გეფიცები, მე, უზირი ბიჭი, როგორ ვავხლდები შენი ყურადღების ღირსი. ახლაც ვახსოვარ, ნეტავ? კიდევ ისურვევ ჩემთან პებლების ჭერას? ეჰ, რამდენი ფარვანა მქონდა შენთვის შენახული. ალბათ, ისიც გემახსოვრება, რომ მითხარი, — კითხვა რომ იცოდე, ბარათით ბევრ რამეს გეტყობდიო. ახლა ხომ ვიცი კითხვა? იქნებ, მადლი ქნა და ერთი ბარათი გაიმეტო. ეს ბა-

რათი იქნება ჩემთვის უძვირფასესი საჩუქარი. რამდენი რამ მინდა! მოგწერთო, გითხრა, მაგრამ მეშინია, ვაითუ იწყებო და, რომ შეგხვდე, ზურგი შემაქციო...

გარეთ უკვე ბნელოდა. საკანში ყველას ეძინა. კიდევ დიდხანს წერდა იმარუგი ბარათს.

— გეყოფა, დაწევიო, — უთხრა ვილაკამ. ქაბუციც წამოდგა, ბარათს გადახედა. წერილი ხელმოუწერელი იყო ისევ მიწვევა კალამს, მაგრამ სამელნეს ხალათის ტოტი წამოედო და წყუელი შავი საღებავი, მთელი დღის ნაჭათარის ერთ კუთხეს სულარასავით გადაუფარა. ფერწასულმა ქაბუკმა მომაცვდავით ამოიგვინა და მერე ისე გახევედა თითქოს სული განეთიშაო მშვიდად ჩამწკრივებულმა ასოებმა ფეხი აიდგეს, სამინელი ღრიანცელი ატეხეს, მერე მოსისხლე მტრებივით დაერივნენ ერთმანეთს.

ნაცვლად შავად აჭრელებული ქალღიას ფურცლისა, სისხლისფრად შეღებილი ბარათი ეგდო მაგიდაზე. იმარუგი ერთ ხანს ქანდაკებასავით იდგა, მერე გამოერკვა, დაცვარულ შუბლზე ხელი გადაისვა, სამელნეს ბრაზით წაეტანა, პარაშასკენ გაიწია, მაგრამ დადგა რატომღაც. ალბათ, გასაღების ხმაურმა შეაჩერა.

ზღურბლზე დარაჯი იდგა. ენაკაპალა, მუღამ მომღიმარე სახის ზემდეგი დაღვრემილი იხედებოდა საკანში და, თითქოს ენა ჩაუვარდაო, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. მერე ორ თანმხლებს სათითაოდ გადახედა, მძიმედ ამოიოხრა, იღლიაში ამოჩრილი კაბრა გაშალა.

— რა იყო! რად არ გვაძინებ, ბატონო ზემდეგი! — ერთმა ხანდაზმულმა პატიმარმა, თავი წამოკყო.

არ შეესიტყვა ზემდეგი, გაშლილ კაბრაში თავი ჩარგო, სამი პატიმრის სახელი და გვარს ამოიკითხა:

— მოემზადეთ.

— სად მივყევართ? — ჰკითხა ვილა ცამ.

— აქვე, ათიოდე კილომეტრის სიშორეზე, ახალ საპატიმროში.

ზემდეგი სწრაფად შებრუნდა, კარი მიიხურა. ორი პატიმარი ბარგის შეკვრას შეუდგა. იმარუგს არაფერი ჰქონდა შესაკრავი, გარდა წითელი ფოთლებით მოხატული ერთი საბნისა. ეს საბანიც ისეთივე ძვირფასი იყო მისთვის, როგორც ხელმოუწერელი ბარათი. ეს საბანი ურთაღებრი ზედახური იყო მის ოჯახში და ისიც საწყალმა დედამ მას გამოუგზავნა ციხეში.

• • •

საგვ მთვარე ხარის ნავალს უღიმოდა ლურჯ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავები ისე ახლო ჭერ არ უნახავს იმარუგს. ფრთებგაშლილი ცთომილები გადმოსაფრენად შემართულებსა ჰგვანდნენ. შემოდგომის გრილი ნიავი ტყეში ფოთლებს აშრიალეზდა, თითქოს ნინველას, სიყვარულზე ეჩურჩულებოა მშობელი. მდინარის ჰავლის ანარეკლი, ცადაზიდული ხეების ტოტებს ელამუნებოდა და ფარვანის ფრთებივით მოფარფატე ფოთლებს, მრავალ ფერებით მოსავდა ლორთქო ბალახის გამაბრუებელი სურნელება იდგა მდინარის უგზო ნაპირზე.

სულგანაბულ ოცდაათ კაცს ზანტად მოსიარულე ზემდეგი მიუძღოდა.

სადღა ახალი საპატიმრო! — გაფიქრა წამით გზაში დალილიმა იმარუგმა და ისევ დიად მომავალზე ფიქრს გაჰყვა.

ამ ტყეში ერთი პატარა ფაცხაც კი ეყოფა იმარუგს. ამ მდინარის თევზითა და ამ ურმანაში ნანადირევით ბედნიერად იცხოვრებს, ოღონდ გვერდით ანახა ჰყავდეს.

ეჰ, ეს ორი წელი რომ არ ამოვარდნილიყო მისი ცხოვრებიდან... მაგრამ საპატიმროში რომ არ მოხვედრილიყო, წერა-კითხვა არ ესწავლა, ანახაზე ფიქრიც ხომ არ შეეძლო?

ჰაბუკმა გულისჯიბე მოისინჯა. შიგ ბარათი ელო, ბარათი ხელმოუწერელი მაგრამ მინც საუნჯე მისი

ზემდეგი შედგა. ხელი ასწია, შეისვენეთო, გადმოუგლო სიტყვა პატიმრებს და თითონ გზა ვინაგრძო.

ტუსალები მოლზე მოიკეცნენ.

სამხრეთით, გორაკს ქვემოლ, სათიკენაც მდინარე მოედინებოდა, პატარა დუბე ადგილი მოჩანდა. ამ უკაცრიელ ტაფობზე იმარუგმა ტირიფის ტოტებით დაკიდულ მთვარის შუქზე რამდენიმე კაცის ლანდი შენიშნა. ზემდეგიც სწორედ იმ ტაფობისკენ წავიდა. რატომღაც შეძრწუნდა ჰაბუკი. ხანდაზმულ ბედის თანაზიარს შეხედა, უნდოდა ეკითხა, თუ რას ნიშნავდა ყველაფერი ეს, მაგრამ ისიც სწორედ იმ ადგილს მიშტერებოდა, სადაც ლანდები მოურიდებლად დაბორილობდნენ.

— ეჰ, ყველაფერი გასაგებია, — მოესმა ჩავარდნილი ხმა იმარუგს.

შეკრთა ჰაბუკი, რა არის გასაგებობი ეკითხა.

— დაგვხერტენ.

— რატომ?

— მთაში აჯანყდნენ ჩვენები.

— მერე, ჩვენ რა?! ჩვენ ხომ იმ დროს პატიმრები ვიყავით?

— სამაგიეროდ ჩვენს სისხლს, ხალხი მორჩილებაში ეყოლება ერთ ხანს.

ჰაბუკმა აჯანკალეზული ხელი ჭიბისკენ წაიღო, ხელმოუწერელი ბარათი ამოიღო. შეგება იგრძნო. ჩუ! გულიც იმედიანი ხმით ეჩურჩულება რალაცას. ყური მიუგლო: მხნედ იყავი, ხვალინდელი დღეც ისე გაგითენდება. როგორც გუშინდელი და მალე, სულ მალე შენი ცხოვრება ლამაზი, საინტერესო და ხალისიანი იქნება. და, ჰაბუკმაც ბარათი მაგრად ჩაბლუჯა, გულზე მიიკრა კარგად იცოდა, ეს მაცოცხლებელი იმედი, რწმენა, სწორედ ამ ბარათიდან მოდიოდა, რომ ეს ოთხად დაკეცილი, ლამაზად გამოყვანილი ასოებით მოქარგული ქაღალდი თილისმა იყო, მფარველი ჭადო, და ახლა, ამ წუთს, როცა ეს ჭადო ხელში ეჭირა, არც ის

საეკვო ლანდები აშინებდა და არც იღუპალებით მოცული ტაფობი.

გული კი ისევ ისე ტკბილი ხმით ეჩურჩულებოდა: — განა შეიძლება მკვლელი იყოს ის, მეტად საამო აღნაგობის ახალგაზრდა კაცი, რომელმაც იმარუფი საკნიდან პირაგოდ გამოიძახა და, ჩვენ პურეთში წესრიგის დასამყარებლად მოვედითო, რომ უთირა. მერე, მას ხომ წერა-კითხვა ასწავლეს — მართლაც, იმარუფი დასახვრეტი რომ ყოფილიყო, წერა-კითხვას ვინ ასწავლიდა?

ზემდეგი ტაფობს გამოეყო, ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა პატიმრებს, და ადგეითო, — დაიძახა, ჩახლეჩილი, რადაცნაირად შემზარავი ხმით. პატიმრები ზეზე წამოიშალნენ. მომყევით, — ისევ ხმა შემზარავი და, ფოთლების შრიალსა და მდინარის ბუტბუტს, პატიმრებისა და ბაღრაგის ფეხის ყრუ ხმა შეუერთდა. მიდიოდა ოცდაათი უსინათლო თვალები და ყველა მათგანს დედეები და მამები, ძმები და დები, ცოლები და შვილები, ტოლ-მეგობრები მოსდევდნენ. ზოგი მოსთქვამდა, ზოგი სტიროდა, ზოგი ლოყებს იკაწრავდა. დამუშტულ ხელებს გულში იცემდა. იმარუფმაც შენიშნა დედა. ის საწყალი ქალაჩა თმებს ჩასქიდებოდა. დაკაწრულ ლოყებს კისრამდი წითელი ზოლები დასდევდა. ბარბაცებდა, მაგრამ მზარში ანახა ამოსდგომოდა და სიარულში ეხმარებოდა. ანახაც სტიროდა რატომღაც.

— დადგეით, — ისევ გაიქმა ხმა ზემდეგისა, და ოცდაათმა კაცმა ერთხმად ამოიგმინა.

საშინელი სიღრმისა და სიგანის ორმოს პირი ვეშაბივით დაეღო.

ოცდაათი კაცი ვახვევებულებით იღგა ერთხანს და ისე დაცქეროდა ორმოს, თითქოს — აჟ, შენთან, რა გვინდაო, ეკითხებოდნენ.

უგულო, ყინულებით ცივად მომზირალი ორმო კი, სდუმდა.

ბაღრაგმა პატიმრები მიატოვა და სალდაც გაუჩინარდა.

ზემდეგი იღგა მარტო და ერთ ხანს რატომღაც ხმას არ იღებდა. მერე, — ჩემკენ შემობრუნდითო, — იყვირა; მაგრამ ახლა უფრო გაბედულად, ომახიანად.

პატიმრები შებრუნდნენ, ორმოს ზურგი შეაქციეს.

ისევ ფოთლების შრიალი, მდინარის ღუღუნი.

სიჩუმე ზემდეგმა დაარღვია: იქნებ, ვინმეს სათქმელი ჰქონდეს რამე? — როგორც იყო მოახერხა ეთქვა და ორაკს ახედა, ნიკაბი მოისრისა.

ხმას არავინ იღებდა.

ისევ განმეორდა ზარდამცემი შეკითხვა.

ისევ ღუმილი.

— მამ არავის...

ვილაცამ, მე მაქვს სათქმელიო, — დაიძახა და წინ წამოდგა.

— თქვი.

— შინ ერთი საბანილა გვექონდა, წითელი ფოთლებით მოხატული საბანი, — ოდნავ აკანკალებული ხმით დაიწყო იმარუფმა. — ისიც მე გამომიგზავნეს. ახლა საწყალი დედაჩემი, აღბათ, მაჩემის გაცვეთილ მაზარას ინურავს. ეს საბანი დედაჩემს დაუბრუნეთ, — ზემდეგის ფეხებთან მოზრდილი ნაკრავული დაეარდა.

— გასაგებია, — მშვიდად უბასუხა ზემდეგმა. ბოხჩას ფეხი ჰქრა, იმარუფს ანიშნა ისევ რიგში ჩამდგარიყო, — სხვას არაფერი აქვს სათქმელი?

ისევ ღუმილი.

ზემდეგი შებრუნდა. გორაკისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა. წავიდა და სიბნელეში გადნა, გადნა და მალე, სულ მალე ტყეში ცეცხლის ენები აენთო. ტყვიამფრქვევის ლულებზე სიკვდილი. გველის ნესტარით, აცახცახდა. დაჯარულივით მდგარი ოცდაათი კაცი შეტორტმანდა. იღრიალა ვილაცამ. მერე გუნდი აირია. შემდეგ, წუთი და, აღამიანები ისე გადაეკედნენ ერთმანეთს. თითქოს ბაგირად უნდა დაიგრიხონო. თავს უშველეთო, — გაისმა კივილი, და

ჩერ კიდეც ცოცხალი გროვა, ქარმონა-
ბერი ფეტვივით გაიფანტა. ტყვიამფრ-
ქვევები კი ციციანათელებივით ენთე-
ბოდნენ და კაკანებდნენ.

ტყვიების ზუზუნი შეწყდა.

ზემდეგი სიბნელეს გამოეყო.

მიწაქრილში გვამები ეყარა.

ზოგი ხაროს კიდეზე ჩვარივით ეკო-
და.

ჯურღმულში კენესოდა ვიღაცა.

ზემდეგი ხაროზე გადადგა. დანოცი-
ლებს ვიღაც გამოეყო, წამოდგა. გულ-
გაღვლილს მკერდიდან სისხლი სდიო-
და. მუხლებმა უმტყუნა. ორმოს კიდეც
წაეტანა მარცხენა ხელით ცეცხლის
ალივით ბრიალა თვალეები მიანათა ზემ-
დეგს — რატომ, რისთვისო, — ამოა-

ყოლა სისხლს და მერე ოთხად დიკვი-
ლი წითლად შეღებილი ქალაღი გაუ-
წოლა, — ეს მაინც ანახას... კიდეც რა-
ღაც უნდაეთქვა, მაგრამ პირს სისხლი
მოეძალა და დაადუმა. ზემდეგმა დამ-
ბაჩა გაუმართა ქაბუკს. იმარუგმა, ახ-
ლა უკვე მბეჭუტავი, მაგრამ ნაღვლით
დაბინდული თვალეები მიაპყრო უც-
ხოელს. ქაბუკმა გაღიმება სცადა, სცა-
და და ზემდეგმაც თვალი დახუჭა, დამ-
ბაჩას ფეხი გამოუშალა. და მერე, რო-
ცა უცხოელმა უსულო ჰურეთელი
გვამებზე გაშხლართული დაინახა, პირ-
ჯვარი გადაისახა: — მადლობა ღმერთს,
ეს საცოდავი, სატანჯველისაგან ვიხსე-
ნით, წაიჩურჩულა და ჯიბეში სივარას
სწვდა.



შალვა ამისიელაშვილი

მარჯანიშვილის გახსენება ღურუჯთან

აპრილის თვეა და, ყვარულში უკვე
ტირიან ვაზები, ტირიან. ტირიან.
მზე კვირტებს ზეციურ საკეველს
უამაგს
და ახლა აქ ყოფნა ისეთი ტკბილია,—
მეც სიხარულის ცრემლებად ვიცლები.

ჩიტბატონები დახტიან, დახტიან
ბელტიდან ბელტზე, ლერწიდან
ლერწზე...
თითქოს ყველა ეზო ზურმუხტის
ტახტია,—
ზედ ვადუშხვართიათ ჩრდილები
ლერწმებს,
აღებებს და ძეწნებს, სხვათა და სხვათა...

ო, იმდენ სიღბოს და სინაზეს იტევს
მზეზე გამოსული ზერმუხის ფესვიც,
რომ ასე მგონია: დაცქვიტილ კვირტებს
თვით ჭიანჭველების ფეხის ხააც ესმით,
ესმით და, ლოცავენ პატარა ღურუჯსა...

ლოცავენ... ღურუჯი იცინის, იცინის
ცივ ზარნიშინი ჭაფლები ციმციმით.
იცინის... და გვერდით პიტალო
კლდესავით
ლოდი რომ დაუდგამს
მებნანაკვესარი—
ოდესღაც მთებიდან აქ ჩამოტანილი —

იცინის ის ლოდიც, იცინის, იცინის:
რატომ არ გვერათო ღურუჯის
ჯან-ლონე?!
ნორჩ კვირტებს უეცრად დაუფლის
სიციფე,—
და შეშინებული ჯაგრობენ, ჯაგრობენ:
რას გვედიდგულება მთის მონაგლეჯიო?!

ლოდს ამოტვიფრული ატყვი
წარწერა,—
ზედ მარჯანიშვილის ცოცხლდება
ლიმილი...
ვით აფანცენაზე, ღურუჯის
საკეკრლად,
ვინ იცის, რამდენჯერ შემდგარა
ლოდინით
ამ ლოდზე—ღურუჯივით მღელგარე
კოტე?!

მე რომ ნიკოლაძის მარჯვენა მქონდეს,
ნიკოლაძესავით ვიყო გამბედავი,
დღეს ამ უსაშველო ლოდსა თუ კბოდეს
უდაფოდ კოტეს სულთქმას
შთაგებრადი,—
და თეთრ კავკასიონს პარტერში
დავსვამდი...

შეხვედრა შუა აზიში

ამირანაშვილს შეეხვდი თბილისში,—
და გამახსენდა სულ სხვა შეივედრა;
იქნებ მას არც კი ახსოვს, ვინ იცის,
მე კი, ზედ სულის ფრთაზე მეხება.
ეს იყო ტაშკენტს, რუსთველის ქუჩით—
გზას ვიმოკლებდი ნავოის იეგლთან,
როცა ის—ჩვენი თერგივით ურჩი,
გზაჯვარედინზე ანაზღად შემხვდა...

ბეტრე ამირანაშვილს
სად მიხვალთ-მეთქი, მივმართე
კრძალვით,
თუმცა თავს ახლოს ვკრძნობდი
სრულიად;
ტარიელივით ასწია წარბი,—
მსურს, ვესტუმროვო გაფურ გულიამს...
ჩემს ალტაცებას არ ჰქონდა ზღვარი,
რადგან გაფურის გახლდით სტუმარი;

ავთანდილივით მივეცი მხარი,—
 და გულიამთან გავჩნდი თუმალვე...
 მას მეთარენი, მედათრენი
 დაესხა უკვე მუხის ტახტებზე,—
 და ტურსუნ ზადე მკერდგანიერი
 თამადურ სიტყვის ელვას არხვედა,
 მაგრამ უეცრად სიტყვა გაუწყდა,
 თვალი რომ მოჰკრა ქართველ
 რაინდსა,—
 და ფერმკრთალ გაფურს ჩუმად აუწყა:
 დამაკათ, სათქმელს ვიტყვი მაინცა!..
 და სადღეგრძელო დაიძრა კიდევ
 ამირანაბანთ დევის საქებრად;
 მე მთვარეულის ცალივით ვიდექ,—
 და ყურს ვუგდებდი ჯამთა ჯახებას.
 მაშინ გაფური ზეზე წამოდგა,
 ქართველ მომღერალს სიმღერა
 სთხოვა...
 — თუ ღმერთმა ახლა ხმა მიწყალობა,

მართლაც რომ, ბიჭო, სიმღერის
 დროა!
 მითხრა პეტრემ და, აზიურ ღამის
 შესძრა ხეატი და პაპ-ნაქება;
 შეწყდა, ჩანელდა უბრალო ჩქამიც,
 მოვრჩით სუფრაზე დაბანაკებას...
 არავითარი ფორტებიანო,
 არავითარი დაირა, თარი...
 — დამისხით ღვინო ოხერტიალი! —
 დაიწყო პეტრემ ხათქით და ზარით...
 — მორზის არაგვი არაგვიანი! —
 ასხლტა მეორე სიმღერა მისი;
 ასხლტა და, ცეცხლად აგვებრილა,
 ვინც კი სიმღერის ვიყავით ღირსნი...
 მე ახლაც მესმის, ძმაო, იმ ღამის
 გახურებული ტაშის გრიალი...
 გქონია მართლაც ვაეკაცს იღბალი,
 რომ უდაბნოშიც რიზით შეიჭრა
 შენი „არაგვი არაგვიანი“!..

ტიციან ტაბიძის

მე მიყვარს შენი სიტყვის მოქნევა,
 სულმოუთქმელი ფეთქვა გულისა,
 განწყვე ფიქრის აბიბოქრება,
 შენი კრილობა, შენი წყლულიცა...
 მე მიყვარს შენი თვალები, როცა
 მკრღღზე თამბაქოს ბოლი გადაგდის;
 საკუთარ სულში ჩაბირულ ბგოსანს
 როცა გახელებს პოვნა მადანის...
 მე მიყვარს შენი რითა, რომელიც
 აწიხინებულ სტრიქონს ვერ უძლებს,—
 და ლექსის დღღგმა დაუდგრომელი
 ელვას აკვებსებს შენსავე სხეულზე...
 მე მიყვარს შენი თხელი ქოჩორი
 ჩამოფაბტული შუბლზე მეჩხერად;

შენი ყვავილის მცირე კოცონი,
 რომ არ ჩამქრაილა დღემდე ვრთხელაც.
 მე მიყვარს შენი „მაშ გამარჯვება“,
 „რია-რია“ და „წიწვერი მეწყერს“,
 უბერებელი შენი მარჯვენა,
 ციკლოპურ ლოდებს მუტტით რომ
 ლეწდა.
 — იალბუში ხომ მალალი არი,
 არც მყინვარია მასზე დაბალი! —
 სთქვი და, ბაჯალლო იღამიანი
 ძირს როდი დარჩი ცეცხლის დადართ...
 თუ პირველ მწვერვალს ვერ ააღწიე,
 იმ მეორეს ხომ დაადგი ტერფი...
 იქაც შეპყრებ ამაყ არწივეს
 რაზიკაულის ფილტვების ფეთქვით...



ღამ მკვლავილი

ყ ა ბ ა ხ ი *

თავმჯდომარე გაბრუნდა, თავის სკამზე ჩამოვდა და თითქოს თავისთვის წაიბურტყუნაო:

— ეხლა კაციც გადაირევა და საქონელიც. — მერე მქედელს გახედა და სთხოვა დამჯდარიყო. — განა გამტყუნებ, გიორგი, მაგრამ ეხლა მაგისი დრო არ არი. მასალა ხომ არა გვაქვს და გინდაცა გვექონდეს, მუშა ხელს სად იშოვი ამ ცეცხლის კედლებში.

მქედელი წამოხტა.

— მასალაო? მასალის მეტი რა არი? იმოდენა კირი იგრე ყრია და ქვითა და აგურით სავსეა კვლების ეზო.

თავმჯდომარე მოლბა.

— კარგი, ეგ ეგრე, მაგრამ რალა გინდა დახურო თავზე? კოჭი გინდა, თავზე და პოწოლ-კაეები გინდა, კავ-კრამიტი გინდა, სად უნდა იშოვო.

მქედელმა წარბი შეიკრა.

— კვლებიდან მუხის კოჭები და კავი სად წავიდა საშქედლოს არ ეყოფოდა? ან კრამიტი ვიღამ გაზიდა? თუმცა იმდენი კიდევ არი დარჩენილი, რომ ერთ საშქედლოს ეყოს.

ნიკო მოიღრუშა და მარჯვენა ხელის პეშვი ვეება უღვაშების ძირში მიიბჯინა.

— კოჭები და კავი დავით აღმაშენებლის დროისა იყო, დამპალ-დაღუტუროვებულნი გამოდგა და ამ ზამთარს კანტორაში მონაგაროებებმა დაწვეს... კრამიტიც ბევრი დაიმტვრა... ბევრი დაიმტვრა, მაგრამ, შენი თქმისა არ იყოს, ერთ საშქედლოს მაინც ეყოფა. ძველია.

მაგრამ ახალს კიდევ ვასცევთავს, ეს კრამიტი უკვდავია. ეხლა ქვიშა და მუშა ხელილა დარჩა, — უცებ მობრუნდა და ჭიქურ შეეკითხა: — სად უნდა ვიშოვოთ?

ფეშტამალმა უხეშად გაეშმაშურა, მქედელმა მუხლები განზე გასწია, მაგიდაზე მყერდით წინ გადმოიხარა და ბინდისფერ სახეზე თეთრმა კბილებმა ისე გამოანათა, როგორც საწვიმარი ღრუბლებიდან გამომტყვრალმა ელვამ.

— შენ აშენება გვიოხარი და ხალხს მე მოვიყვან, ნიკო. მარტო ჩვენა და ეს მქედლები, რომლებიც ეხლა გარე-გარე დადიან, ერთ კვირაზე ავაგდებთ კედლებს.

— ერთი კვირა გვიანია, ქურას ვერ გავაჩერებ. ეხლა მქედლის მოცდენა არ შეიძლება.

გიორგის იმედი გაუტრუვედა, აქეთ-იქით მწარედ გადაირწა და თვალის თეთრონებიც რამოდენიმეჯერ გამოაჩინა და გააქრო.

— მასალას შიტანა უნდა და ქვიშას გაცხავება, ნიკო. უფრო ადრე არ მოხერხდება.

— უნდა მოახერხოთ.

— ძალიან გაგვიკირდება, ნიკო.

ოთახის კარი გაიღო, ვიღაცამ შემოიხედა და ისევ მიხურა.

ნიკოს არ გამოეპარა ეს მოძრაობა და უწადინოდ გასძახა უკან გაბრუნებული.

— მოდი, სად ეშმაკებში მიდიხარ? მოდე აქ!

კაბინეტში პირნაყვაილარი, შავ ხალათზე წვრილ ბალთებიან ქაპარზე-

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 9.

მორტყმული გლეხი შემოვიდა, შეაჯაგარა უღვაშები ააცმაცუნა, წვრილი შავი თვალები სწრაფად მოაფლო იქაურობას და კედელთან მიდგა.

—რა ვიცი, ხელი არ შევეშალო-მეთქი.

თავმჯდომარე უცებ მიუბრუნდა მჭედელს და უცბადვე დაუბოლოვა.

— წარაფებს დაბლა რომ ქვიშაა გაცხავებული, იცი?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, სამ დღეს აცხავებდნენ მასწავლებლები, ახალი კლუბის ასაშენებლად გვინდაო. ცხავი ძველი ჰქონდათ და მე გავუბლანდე მათუღით.

— რამდენი იქნება ის ქვიშა?

— გამოვა ხუთი-ექვსი მანქანა.

— რას იტყვი, გეყოფა ახალი სამჭედლოსთვის?

მჭედელი შეეყოყმანდა.

— მასწავლებლებმა გააცხავეს, ნიკო, კლუბისთვის გვინდაო. მე თვითონ გავუბლანდე ცხავი.

— ჩანდაბაში წასულან ის უენი მასწავლებლები!

ნიკომ გაშლილი ხელის გული ძლიერად დაჰკრა მაგიდის მინახზე და ცივად წამოდგა.

— კლუბი საკოლმეურნეოა და ის ქვიშაც ჩემთვის გააცხავეს. რაზედაც გინდა, იმაზე მოვიხმარებ. ჭერჭერობით სამჭედლოა საჭირო და უკლუბოდაც კარგად მივდივართ ცოლას... რას მიკეთებს საწარმოო ბრიგადა? ყველა ხელოსანი გარეთ მუშაობს. სამჭედლო ორ-სამ დღეში უნდა იყოს მზად. წადი-შიოს უთხარი და აქ მომგვარე, თორემ დავშლი იმ ბრიგადასა და ყველა დურგალსა და კალატოზს, ვინც კიდევ გაბედავს გარეთ მუშაობას, საკარმიდამო ნაკვეთს ჩამოვაჭრი. აბა, დაუდე ეხლა! დაიცა, ქალაღს დაგიწერ და საშრობის დარაჟს გადაეცი. ღობის პირას კაკალთან რომ ცხრა ადლიანი შორები ყრია, ისინი საკოვედ ჩამოხერხოს დღესვე ლუვანამ.

მჭედელმა მაგიდიდან განხაპნილი

ქალაღი მოიტაცა და „ბათინეების“ ბრაგუნით გაეარდა აივანზე.

— დაგიბარებია, ნიკო, რაშმა! საჭემე? — შეახსენა მოსულმა თავი.

ნიკომ ფანჯრისკენ გასწია და დაბალი ხმით მშრალად გადმოუფგლო.

— ილუა ნახე, ორვედროიანი კასრი ტომარაში ჩადოს და ამოგიტანოს. თავანჯარი ღვინით გაავსე. საღამოთი სერგო ამოვა და მოსკვიჩში ჩაუდე.

მოსულმა ფეხე მოინაცვლა და ქამარში ცერები მორჩილად გაიყარა.

— მეტი არაფერი?

— არაფერი.

— ბატონი ბრძანდება.

და გავიდა.

თავმჯდომარე კვლავ ლერწმების რაყას დააკვირდა და ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა:

— თუ ურემს ღერძი არ გაუპოხე, ჭრიაღს დაიწყებს.

2

შველგომ გეკო მხარზე გადაიკიდა. ანკესი ჯოხზე დაახვია და თავქვე დაეშვა.

სოფლის ბოლოში რიყე გადასჰრა და კლდის თავზე ავიდა.

ნელა მიუყვებოდა იონჯაში ჩაკარგულ წვრილ ბილეს, თან თვალს აყოლებდა დროდადრო ჰაერში ქორებულ მორიალე კვირიონებს.

— კვირ! კვირ! კვირ! — იძახდნენ კვირიონები და თითქმის თითო დაძახებახე თითო ბუზს, პეპელას, ქინქლას, ბურნასა და ფუტყარს იჭერდნენ.

ბილიკამდე გადმოეწიათ თავიანთი სწრაფმხარდი ტოტები კლდის პირზე ამოსულ მავლებს და რბილ ნახნავში წაეყათ წვეტიანი წვეროები. აქ ახალ ფესვთა სისტემა შეექმნათ და ზედ მიმავალ კაცს ფეხებზე ებლაუქებოდნენ მოღუნული გელებით.

გადაწვერილი მზისთვის მიეპყროთ თავიანთი ოქროსფერი სახეები ბერსევის ვაღმა დაფენილ მზესუმზირებს და დამქვანარი ყვავილები ყვითელ ფოჩე-

ბად შემოველოთ განიერკალთიან თავებზე.

ბერხევას გამოღმა მავთულზე გამბული ვენახები გარინდულიყვინ და ჩასაფრულ ხეატში შაბიამნისაგან ცისფრად დაფოროჭებული ფოთლების განძრევაც კი ეხარებოდათ. მხოლოდ მზრუნველი და გამრჯე ხელი არ ებუებოდა მზის საყრეს. მწკრივებში მოჩანდნენ თავსაფრიანი ქალები და დედაკაცები, რომლებიც თავს აპირდნენ რქათამამ ვაზებს. დროდადრო აქა-ქ ავარდებოდა ლურჯი ნაბუარი, რაც იმის უტყუარი საბუთი იყო, რომ ბორდოს სითხეს ასწურებდნენ ნოეს საყვარელ ხეს.

ვენახის პირას ძველი ქოხი წამოყუნტულიყო შარშანდელი წალმითა და ჩამპალი შალაფით ვადაბურული. ცალი გვერდი თავგადაკაფული თელისთვის მიეყრდნო და ნაღვლიანი თვალთ უმზერდა მოშორებით მდგარ ცემენტით შეღესილ ობხკუთხ თალარს.

თელის ჩრდილსვე შეფარებოდა ჯიშინ კისერზე გრძელ თოკმობმული ზერდავი ცხენი და აბეზარი ბუხებისაგან შეწუხებული სიცხით მოთენთილ თავს წარამარა იქნევდა. დროდადრო გამწარდებოდა თავხედი ბორასაგან ნაკბენი, მოუსვენრად შეტოკდებოდა. მუქართ ჩახივებინებდა და ნანესტრიალ ადგილს კბილებით დასწვდებოდა. ზოგჯერ ტლინკებსაც შეჰყრიდა და გრძელსა და ხშირ ძუას შხივლით იწნავდა წაბლისფერ ფერდებზე.

თალართან თავზე ყვითელი ნამჭის შლიაპიანი კაცი გამოვიდა და დაცლილი სასხურებელი აპარატი მოიხსნა. იქვე, კიდევ მდგარი კირისა და შაბიამნის ხსნარით შეთხვრილი ცალყურით დაუწყო ამოდება წამალს.

მიახლოვებულმა შველეგომ ძლივს იცნო წამალში მოზუნზლული მევენახე. მიესალმა, ანკესის ჯოხი ქოხზე მიაყუდა და ყურდაცქვეტელ ცხენთან მივიდა.

ცხენმა თავი მალა ასწია, თვალები

დააბრიალა, დაიფრთქვინა და უკანაუკან დაიხია.

შველეგომ თოკს ხელი სტაცდა, თვლებში ჩახედა და გრძელსა და ყავისფერ ფაფარზე ხელი ალერსით დაუსვა.

ცხენს ხელის გაყოლებით ჯიდალოდან გავამდე წვრილმა, ტალღისებურმა თრთოლვამ გადაურბინა.

— მიცნო, — გაიღმა შველეგომ,

— აქ უყურე! — უყურე! — მიუბრუნდა მევენახეს. — კისერი მაღალი, თავი პატარა, ფეხები წვრილი, გრძელი და ძლიერი, მკერდი კუნთოვანი და ღონიერი, სხეული გაძაბული, ხოლო ნესტოები თხელი და ფართო. მშვენიერი ცხენია.

ცხენი კვლავ თრთოდა და ჩუმად ხეხეინებდა.

აპარატიანს სავსე ცალყურა კვლავ თალარის ნაპირზე ჩამოედგა და კაცსა და ცხენს გადაბმულ წარბებქვევიდან უცნაურად უცქეროდა. მერე ერთბაშად აპარატში უკრა წამალს თავი და ცხენთან მყოფს უთხრა:

— ვისაც პარტუყვები ეგრე ემორჩილებიან, იმას ქალები გაურბიან.

შველეგომ ცხენს თავი ანება და თალარისკენ წამოვიდა.

— სამწუხარო სიმართლეა, რევზ, იქნებ იმიტომაც დავრჩი დღემდე მარტოხელა... — ხოლო ნაგვიანევედ გაშლილი ვარდი ადრე ჰქნება.

რევზმა აპარატის საცერში ჩავარდნილი იონჯის ფოთოლი ამოიღო და გვერდზე მიაგდო.

— შენ ძევე ხარ ვარდი, როგორც მე გვირილა.

— გვირილა არა და მხესუმზირას კი ძალიან გავხარ მაგ შლიაპით. მხოლოდ იი, ღერო გაქვს ცოტა მსხვილი.

— არ მოგწყინდა სოფელში ამდენ ხანს ყოფნა?

— რად უნდა მომწყინდეს, ეხლაც სათევზაოდ მივდივარ.

— თევზაობა დღით უკეთესია, — დაიხარა, სავსე ცალყურა კვლავ აპა-

რატში ჩაცალა და მერე კარგა ხანს აკვირდებოდა მის ხელებს.

შაულეგო მიხვდა.

— არ მოგწონს?

— პატარა და ნაზი ხელები გაქვს. იშვიათია გოლიათის მკლავებზე ეგეთნი.

— შრომას უჩვევნი და უძლურნი.

— ამგვარ ხელებში საშინელი ძალაა დაფარული, ხოლო ქალებს კი ძალიან უყვართ.

შაულეგოს გაელშია.

— საიდან იცნობ ქალებს ასე კარგად?

— ქალისას ეშმაკიც ვერას გაივებს.

— მაინც?

— იყო ოდესღაც ერთი კეთილი ფრაუ.

— ახალგაზრდა და ლამაზი.

— ოცდაათ წელს იქნებოდა მიღწეული და მართლაც ლამაზი.

— ეგ როდის?

— ომის დამთავრებდს შენდევ ბერლინში ერთ ხანს კიდევ დაერჩი. მეტყუოდა ხოლმე:

„პერ ლეიტენანტ, თქვენ ქალს ძლიერ ძნელად შეუყვარდებით.“

„რატომ, ფრაუ ვულფ?“

„იმიტომ, რომ ქალთა საზოგადოებაშიც კი მეტად პირქუში ხარო.“

შაულეგომ თავი დაიქნია.

— ქალს კატასავით სითბო და ალერსი უყვარს.

მერე ბრეგადირის მხეზე დამწვარი ვეება მარჯვენა აიღო, გადმოაბრუნა და დახედა.

ხელის გული გაუხეშებული იყო ხოლო წერისა და უთანაბრო ხაზებში შაბიამანი ჩამკვდარიყო ღია-ლურჯად.

რევაზმა ხელი გაითავისუფლა.

— მკითხობას ხომ არ აპირებ?

შაულეგომ ცალი ფეხი თაღარს დააბჯინა და ზედ იდაყვი ჩამოღო.

— მართალი ყოფილა ის შენი ფრაუ, შენ ხელი კი არა, უფრო ტორი გაქვს. უცნაურია: შრომა ქმნის თუ მემკვიდრეობა. ასეთ ხელს გამანადგურებელი

დარტყმა ექნება. შენ მოკრივე უნდა ყოფილიყავ.

რევაზმა აპარტი აავსო და გვერდზე გადადგა.

— არ მიყვარს კრივე, რინგს გარეთაც ექავება ამგვარ კაცს ხელი.

— ხელი საერთოდ ბევრს ექავება, მაგრამ, ვისაც ხელი ექავება, იმან თავი უნდა შეიცოდოს. ხელის დანაშაული ნშირად თავს გადახდება ხოლმე.

ქოსს პატარა ბიჭი მიუახლოვდა, უეცრად შედგა, დაიხარა, იქვე ამოსულ ძირტბილას ფოთოლს დაუწყო წიწკნა და თან შაულეგოს ქვეშ-ქვეშ გამოხედა.

— ძია რევაზ ძია იოსებამა თქვა, გუთანი ამოვიტანე და ამოდიო.

შაულეგო მობრუნდა.

— შენ აქ რა გინდა, ბიჭო?

ბიჭს ხმა არ გაუცია.

— შენ ქართული არ გესმის?

ბიჭს თავი არ აუღია, ისე უპასუხა:

— ჯონ-ბული უნდა შევებათ გუთანში და გავხედნოთ.

შაულეგო გაოცდა.

— რა ჯონ-ბული, ვინ ჯონ-ბული, ბიჭო?

ბიჭმა ნიკაბის აქნევით უჩვენა თელის ქვეშ მდგარ ზერდაგზე და ისევ ძირტბილას მიუბრუნდა.

შაულეგომ ცხენს შეხედა და გაეცინა.

— შენ რომელი ცხენთამხედნელი ხარ, ბიჭო?

— მე კი არა, ანდე, ძია რევაზა და აოსება გახედნიან და მე კიდევ წინ გავუძღვები.

— აბა, ეხლავე მოუსვი სახლში, გამოვიდა წინამძღოლი! მაგან რომ ტორი დგკეს, შენს ბუმბულსაც ვეღარ იპოვნიან მერე.

ბიჭმა ფეხი გაიდგა.

— არ წავალ.

— წადი, თორემ წიხლს მოგარტყამს, ან გიკბენს.

— არ წავალ.

— ვეტყვი პაპას და მიგბერტყავს, თამაზ.

— მიმბერტყოს.

რევას გაელიძა.

— ეგრე როგორ დაგემსგავსათ, გადარეულია ცხენებცსთვის.

შავლეგომ წარბი შეიკრა.

— მაშინ მე თითონ მიგტყეპავ, თუ არ წახვალ.

— აქედან წავალ, მაგრამ შინ არ წავალ, უნდა ვუყურო, როგორ გახედნიან.

— ცალული გაუკეთებია? — ჰკითხა რევამ.

— ცალული გაუკეთებია და გაგლეჯილი თასმაც გადაუბია.

ბიჭმა უკანასკნელი ფოთოლი შეაცვალა ძირტკბილას და უკან გაბრუნდა.

— უთხარი, ერთი აპარატილა დამრჩა, ამასაც შევასხამ და მოვალ-თქო,

— დაადევნა უკან რევამ.

ვენახიდან კიდევ ერთი კაცი გამოვიდა, უკანასკნელ ვაზს შეაფრქვია შაბიამინის ხსნარი და მერე თაღარისკენ წაშვიდა.

ძლივს მობანცალებდა ბერიკაცი, ძალა დაღუეული მუხლები მოხრით მოჰქონდა და მოკლე ნაბიჯზე ფეხებს ისე ადგამდა, გეგონებოდა, მიწას სძეკავსო.

მოვიდა, მოიხსნა დაცლილი აპარატი, თაღარის კიდზე ჩამოდგა მეორე მხრიდან, მერე დამქნარ-დახავსებულ შუბლზე დაკოჭრილი ხელი მოიჩრდილა და კარგა ხანს უტყერდა შავლეგოს ასე.

— ვერ იცან ზური? შენი ძმაცაცის შეილიშვილია.

მოხუცმა ხელი ჩამოიღო და უწამწამო და უფერული თვალები ახლა რევას მიაბურთ.

— რომელი ძმაცაცისა, ბიჭო?

— შამრელანთ გოდერძისა.

ბერიკაციმა ისევ შავლეგოს ახელა და გაიკვირვა.

— აპა-პა-პა! კყანტში ხომ არ იდექი, შვილო, სად გაიზარდე ეგეთი. რა ჯიში გაქვთ, თქვენ დედას შესარჩენებო. მერე ერთი ამოიხზრა და ნაშაბიამნარი შავი წინსაფრის კალთა წირპლიან თვალებში ამოისვა. — შენი სახლიკაციც ეგეთი

ბაბრი იყო. პაი დედისა, რა ბიჭები დაჯვარეთ, რა ბიჭები!

— შენ უფრო დიდი ხარ, ზური, თუ ამისი პაპა?

ზურია ჩაფიქრდა და უკბილო პირში თხელი ტუჩები შეიკეცა.

— აბა, გოდერძი ჩემზე ხუთი-ექვსი წლით უმცროსი იქნება.

— მეტით არა? — გაოცდა რევანი.

— გოდერძი ნამთვეი კაცია, შვილო, ჯანგაუტეხელი. ეგ ერთ ახალგაზრდობას კიდევ ვასცევთავს და სამას წელიწადს მაინც იცოცხლებს.

— თქვენ რამდენი წლის იქნებით, პაპა? — იკითხა შავლეგომ.

— აბა, რა ვიცი, შვილო, — კვლავ ჩაფიქრდა ზურია, — თელავში რომ პირველად მოვიდა რუსის სალდათი, მაშინ ცამეტ-თოთხმეტე წლის ბიჭი ვიყავი. ნადიკრის ძირში დასცეს კარვები და სულ გარმონის ჭყვიტინითა და მუზიკით აიკლეს იქაურობა.

ზურია დაიხარა და აპარატის ავსება დაიწყო.

— კი, მაგრამ როგორღა სძრავ სავესე აპარატს, პაპა. სანამ დასცლი, მანამ ხომ ზურგზე უნდა გეკიდოს. არა გწყინდება მაინც? — შეიკვირვა შავლეგომ.

მოხუცს გახუნებულ თვალებში ღიმილი ჩაუდგა.

— ეჰ, შვილო, ვაზმა სხვა სიყვარული იცის! წინანდლის თელიანი ხომ იცი? იცი? ჰოდა, ის თელიანი სულ ჩემი გატეხილია. წინათ იმ ადგილას გაუვალი ტყე იყო. აბა, ეხლა გახედე, თვალუწვდენი ვენახებია... მას მემრე შემეყვარდა ვაზი.

ზურია დაიხარა, თაღარის პირზე შემოდგმულ სავესე აპარატს მიუჯდა ზურგით, ზედ მიბმულ მარცხენა თასმამი მარცხენა ხელი გაეყარა წვალბით. მეორე თასმა კობტად გადაიტანა მარჯვენა მხარზე და რკინის კაუჭით აპარატის ძირს ამოსდო.

— აბა, ერთი ცოტა ამიქავრეთ, — უთხრა იქ მყოფთ და წამოიწია.

შავლეგომ ხელი აუკრა და ბერიაკი ფეხზე წამოაყენა.

ზურია წამოდგა, ჯერ როგორც იყო გამაგრდა ფეხებზე, მერე ერთი მძიმედ შეიბერტყა და წელში მოხრილი ბაჯბაჯით გაუყვა ვენახის კიდეს. მარცხენათი აპარატის მკლავი მიჰქონდა, ხოლო მარჯვენა სატუმბის გრძელ რკინაზე ჩამოედო და ზევით-ქვევით აქანავებდა უნიათოდ.

რევაზმა ნაღვლიანი თვალი გააყოლა მოხუცს.

შავლეგომ თავი აიქნია და ცხენზე უჩვენა.

— მართლა გუთანში აპირებთ ამის შებმას?

— რად გაიკვირე?

— ეს ცხენი კი არა, მიმინოა.

რევაზს მარცხენა ტუჩის მხარე დიმილმა დაუბრია.

— ჯერ მექანიზაცია იგრე არ არი ჩვენში, რომ ერთბაშად შეცვალოს ცხენი მანქანამ.

— მექანიზაციას სულ არ იყენებთ?

— ყველგან არ გამოდგება. ძველად ჩაყრილი ვაზთა მწკრივები ახლო-ახლოა და, რადგანაც ტრაქტორი შიგ ვერ გაივლის, კულტივაციას ცხენით ვატარებთ.

— მერე ამ ცხენს გუთნისთვის როგორ იმეტებთ? რას ამბობს თავმჯდომარე?

— რას უნდა ამბობდეს? რაც თელავში გამართულ ჯირითში ჩაფლავდნენ, აუხირებია: ეს ცხენები არ ვარჯიანან წმინდა სისხლის ინგლისური უნდა გავიჩინოო.

— მერე რად უნდათ ქალისპირელებს წმინდა სისხლის ინგლისური?

— ქალისპირელებს კი არა, თავმჯდომარეს უნდა, — რევაზმა აღმაცერად ახედა მოსაუბრეს, დაიხარა, უკანასკნელი ცალყურა ჩაცალა აპარატში, მსუბუქი მოძრაობით ზურგზე მოიგდო, ბოდიში მოეხადა მიტოვებისათვის და მსუბუქი ნაბიჯით ვენახში შევიდა.

შავლეგო ისევ ცხენთან მივიდა, ჩუმი

ხმით ახვინვინებულს ყურის ძირებში მოფხანა და მერე რბილად დაუხვეწროდოვან ნესტოებსა და ლამაზებზე წხელი ნაზად მოუტაცუნა. გაახსენდა თავისი „ანტონიუსი“ და ორპოცდაოთხი წელი, გიბკას ტყესთან რომ დახვინვინებდა და გარშემო ურბენდა თქომში დაქრილს. რამდენიმეჯერ ფრთხილად რომ დასწვდა პირით ფარაჯაში და სცადა ფეხზე წამოეყენებინა თოვლში გართხმული პატრონი... როგორა ჰგავდა ამ ზერდაგს! სიმაღლეთაც ოდნავ მაღალი თუ იქნებოდა, ძალიან ოდნავ. დიდხანს მაინც შემორჩენოდა მის მერე ვინ იცის, ვის დაატარებდა თავისი რბილი ზურგით და სად წააწყდა ბრმა ტყვიას. იქნებ დღესაც ცოცხალია, ზუთი-ექვსი წლისა თუ იქნებოდა მაშინ. ვინ იცის, ცოცხალიც არი და ახლა ამ ზერდაგივით გუთანში უნდა შეაბან... ცოლოა.

შავლეგომ თავი სინანულით გადაიქნია, ქოხზე მიყუდებული ანკესი აიღო და თავივე დაეშვა.

— სახელი კი უცნაური დაურქმევიათ, საიდან მოიგონეს ჯონ-ბულე?

ბუქწინარზე მიმავალი გზა ჩაათვა და მარცხნიდან ჩაუყვა ჯაგრცხილის ტყეს, რომელიც საკმაო სიფართისა იყო და „დიდ ტყედ“ იწოდებოდა. ესეც გაიარა და მინდორზე გავიდა. ბალახი გადატუსულიყო და მარტო ქვებიდა ვარვარებდნენ ზედ. ეს ადგილი ოდესღაც ბერხევის ნაკალაპორარი იყო, რომელიც დიდი ხნის წინათ მიეტოვებინა. აქეთ-იქით კი ნაყანობები გაშლილიყვნენ ღია-ყვითელ ფრად და თითქმის ალაზნის ბოლომდე მიდიოდნენ. აწოწილიყვნენ მწკრივებზე კომპაინის ნალექი ნამჯის პატარა ბულულები და პირქვე დამხობილი მეცხვარული ქუდებივით იქტირებოდნენ ნამკალიდან.

ნამკალში ვიღაც მოცილილს ძაღლი გაეშვა და უკან თოფაწყებილი მიჰყვებოდა გულდაგულ.

„მწყერზე, ნადირობს,“ — გაიფიქრა და თვალი გააყოლა თავზე მსუბილით გადავილი მტრედებს.

მტრედებმა მოუხვიეს და ნაყანებში აზიდულ თელაზე ჩამოსხდნენ.

შველევომ თოფი მოიხსნა და მიპარვა სცადა.

არ გამოუვიდა.

„ალაზნზე იქნებიან ბლომად“, და ისევ გზაზე გამოვიდა.

პატარა ქალა დაიწყო და მგზავრს მცირე რამ სივრილე შემოაგება.

აქ გზა ხელმარცხნივ უხვევდა სჭრი- და ორიოდ ნაბიჯის სივანე ქალას, ისევ საყანე მინდორზე გადიოდა და ალაზნამდე მისდევდა გვერდით ტყიანს.

გაუჩქარებელიყო იქაურობა და მართლა ახლო-მახლოდან ცხენის ფლოქვების თანაბარზომიერი ტყაბა-ტყუბი ისმოდა ყრულ.

უეცრად გაეცმა კაცის ხმა და მას ქალის მორიდებული სიცილიც აედევნა.

ქალაში პატარა, წაბლა ცხენშებმული ორთულა შემოვიდა და ნელი სვლით გამოემართა მისკენ.

მხოლოდ ერთი წამით შეხედეს ერთმანეთს თვალეებში შემხედვრებმა. ქალმა უმალვე იცნო თოფ-ანკესში „ჩამაჯდარა“ ნინოს მახლე და უეცრად წაერეცხა სახიდან სიცილის კვალი, დაწებზე აღსდგარმა იჭარბა და დიდი მბრწყინავი თვალეებიც დაიბინდნენ.

შველევომ თაფი მძიმედ დაუტრა და თავაზიანად მიდგა გვერდზე, რათა ორთვალს დაუბრკოლებლად გაეგლო.

ქალმა სალამზე ცივი სალაში გადმოაგდო და მზედაკრული ლამაზი ხელით ნაჭერი სადავე უტბუნა ზურგზე ტაატით მიმაჯალ იაბოს.

„მზე მოკიდებია აგრონომს“, ვიფიქრა შველევომ, თოფი მხარზე შეისწორა, ქალიდან გავიდა და სტვენით ჩაუყვავა ახალგაჭირლ ყანას.

ალაზნის პირას კარგა ხანს აბრუნა კეები და ეძება ქიაყელა ანკესზე წამოსაცემელად და როდესაც სამიოდე ძლიეს იპოვა, გასწია პირდაპირ მდინარისაკენ. აქ, წყალზე გადაბრირლ მერყენის ძირას ჩამოჯდა დაბალ ძეწნებს იქით და მისატყუარი მორევეში ჩაუშვა.

კარგა ხანს იცადა ასე და მეტად გაევირეებული დარჩა, როცა არც კი შეუტოკებია თევზს ანკესი. მხოლოდ შდინარებას გაელუნა ოდნავ ზედ მიბმული ცხენის ძუა და წადმა-უკულმა ტრიალებდა ზედაპირზე ბოთლის ძველი საცობი.

ამოიღო და გასინჯა, ნაკენი არ ჩანდა. არც თუ ცუდად იყო წამოცმული ზედ ქიაყელა.

გვერდზე გადაინაცვლა.

არც აქ მოჰყოლია რაიმე შედეგი.

ძეწნება იქიდან ხარხარი მოისმა.

— ოჰ, შენ მოუკვდი შენს დედას, ჩასაბერო!

შველევომ წამოიწია და ხმაურის მხარეს გაიხედა.

ათიოდ ტიტლიკანა ბიჭი წამოგორებულიყო შლამზე, გადაწვენილ მზის სხივებზე იხუხებოდა და თან ფართო მოედანზე გასულ მოჭიდავეთ უცქეროდა.

მეტოქენი ძალიან შეუფერებელნი იყვნენ. ერთი საკმაო სიმაღლეზე აწოწილი, ზოლო მერე თითქმის ჭუჯა დატაკებულიყვნენ და შიშველი ფეხის გულეებით ცხელ შლამზე მტერის ბუღს აყენებდნენ.

მალალს მხრებთან მკლავებში ჩაეელო ხელი დაბალისთვის, ძალის საფენი ჩულივით დაათრევდა საჭიდაოზე და თან ისეთ სასაცილო ილეტებს უქეთებდა, რომ მაყურებელნი სიცილით იფხრიწებოდნენ ზოგჯერ ფეხის საეცეში მოსადებ სარმას კისერზე მოდებდა, ეთომ დაბლა ვერა ვწვდებიო, ზოგჯერ წელზე უნდოდა ხელების მოხვევა, თავს ზევით ჰაერში აკეთებდა ამ მოძრაობას და როდესაც მეტოქე ამ შემთხვევით იპარგებლებდა და თითონ ის შეუძვრებოდა ილლისქვეშ, მალალი ვითომ ვერ ამჩნევდა, ეძებდა და გაოცებული სახით აქეთ-იქით იტყობოდა. ზოლო ზოგჯერ არაფრით არ უშვებდა წელამდე. მიაბჯენდა გრძელ ხელს ლავიწზე და აჩერებდა. დაბალი მთელი ძალით ცდილობდა ისევ წელ-

ში შევიარნას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავღორი ზაქივით აწვეებოდა. მასინ მაღალი უცებ მოაცილებდა მიბჩენილ ხელს, გვერდზე გადახტებოდა და გაქანებული ჭუჭა რაკი თავს ვეღარ იკავებდა, პირქვე წაქაფული, გაცურდებოდა და აბზეკლ ცხვირს სახნისივით გაქონდა კვალი რუხ შლამში.

ბიკები აღტაცებისაგან ტაშს სცემდნენ, მტკერში ყირაზე გადადიოდნენ და თან დაბალს აქეზებდნენ: შემთხვევით მოგივიდაო.

შაველგომ ბიკების ცქერაში თვალი ჰკიდა, რომ გაღმა კლდეზე გადმომდგარ ხმელ მუხანზე მტრედები დასხდნენ. მობრუნდა უმაღლე, ანკესის ჯოხი მორევის პირს მაგრად ჩაარკო, შარვალი გაიხადა, ფეხსაცმელებთან მიაგლო, დაავლო გეკოს ხელი, მოძებნა თავთხელი და გაღმა გავიდა.

გადასჭრა ნაშე, საქონლისაგან აკინქლულ ბილიკს გაჰყვა ქალაში და მუხისკენ გასწია.

ეხამუშებოდა სიშიშველე გადაჩვეულ ფეხისგულებს და ალაგალაგ წაიკოჭლებდა გამოგვალულ ნაფეხურებსა და გაქვავებულ გორახებზე.

სამიოდე ნაბიჯზე ცეცხლისფერი გველი გამოვიდა. მაღლა აღერილი მოქონდა გლუვად გარანდული და დაკუთხული თავი. გველმა ამაყად მოაბრუნა წვრილი კისერი, შავი მძივებით მზრწყინავი თვალებიდან ცივი მურა ესროლა თოფოსანს და ნაბირის ლიჭიანში ზოხინით შეიტანა ქიგოს სიმსხო ტანი.

— რა ლამაზია, წყეული, მოკვლა დაგენანება. რატომ უნდა ბუდობდეს ბოროტება მასში?

ბევრი ეცადა მონადირე მუხასთან მისვლას, მაგრამ სადაც კი თავი შერგო, დაქაწრული გამოვიდა.

გადაბმულიყო ბუწქნარი ერთმანეთში და მწვანე ფარდასავით გასდევდა ბილიკის ნაპირს.

მეტე გზა არ იყო, ბილიკის ბოლოს კლდეზე უნდა ჩასულიყო, წნორების

რაცადან წამოჰპარვოდა და მუხის ქვეშ აღმოჩნდებოდა.

ბილიკმა მინდორზე გაეყენა, დაწინა მინდის ყანა გადასჭრა. ნასიცხარ მცენარეს შუბებივით აეშვირა მზეზე დახვეული ბრტყელი ფოთლები და ხორკლიანი ქვედაპირით უსიამოვნოდ ეხახუნებოდა ტიტველა ბარძაყებზე შიგ მიმავალს.

კარგა ხანს მოუნდა კლდეზე ჩასვლას. მერე როგორც იყო გადასჭრა ქყანტა-ბალახასა და ყინტორას შამბნარი და წელში მოხრილი წნორებში შეერია.

ფრთხილად მიდიოდა და კატასავით რბილად ზღვამდა შიშველა ფეხის გულებს.

ბოლოს შეჩერდა, ივარაუდა უკვე მოვედიო, უჩუმრად გააძვინა თოფის ლულა წნორის წვრილ ფოთლებს შორის, ტუჩი მაღლა უქნა და ზევით აიხედა.

ორი გვრიტი დამჯდარიყო კლდეზე გადმომდგარი მუხის გამხმარ ტოტზე. გვერდი-გვერდს მისხლომოდნენ ერთმანეთს და აღერსობდნენ.

გაგოგმანდებოდა გვერდზე ერთი, ფრთებგაფარხხული, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით ისევ უკან მოგოგმანდებოდა და მივიდოდა ოდნავ ბუმბულაშლილს, გაფუყულსა და მხრებში კისერ ჩარგულ მეორესთან. მერე ორივენი მციკრედ აიბურძკლებოდნენ, ფრთებს თითქმის გადახვევდნენ ერთმანეთს, ნისკარტს ნისკარტზე აღერსით უსვამდნენ და თან ისეთი სულის წამლებად კრულ-გრუტუნებდნენ, რომ მონადირემ სისროლად სამჯერ გაწვდილი თოფი, სამჯერვე ძირს დაუშვა.

შეოთხედ ასწია და აღარც დაუშვია. როგორც გაასწორა, ისევე შეაცვივდა ხელში კონდახი.

და მონადირის მახვილმა თვალმა შეამჩნია, გვრიტებიდან სამი-ოთხი მტკავლის მოშორებით როგორ შეიჩხა ერთი მოკლე ხმელი როკი და ორყაბაზზე ცეცხლის ფერმა გველმა ხუ-

თიოდე გოჭხე თავი გადმოყრ. შეჩერდა, ორად გაყოფილი, შავი ვრძელი ენა რამდენიმეჯერ გაასარსალა ჰაერში და გაშეშდა.

ალარ დააყოვნა მონადირემ, დააწვა სასხლეტს და გაისმა მოკლე ტყაცუნის გვრიტები შეერთნენ, ელვის უმაღლრთა ფრთას შემოჰკრეს და ჰაერს მიაშურეს.

თავგახვერტილი მცურავი უკან გადავარდნის მაგიერ ღვედივით გადმოეკიდა წინ, ორყაბაზზე ნელ-ნელა ჩამოცურდა და კლდის ძირას მოადინა ტყაპანი. იკლავნებოდა საცოდავად, გამწარებული ურტყამდა კუდს სველ შლამს და ბაგირის ნაწყვეტივით იხლართებოდა რთულ ზეულებად.

— „ეტყობა, სროლა კიდევ არ დამვიწყნია“, — „უკანასკნელად დახედა სულთმობრძავ უხსენებელს, ერთი ტყვია კიდევ უთავაზა ჰერელ, მოძრავ გორგალს და უკან გამობრუნდა.

წინორების რაყადან გასულმა ფშის წყალში შეტობა და ერთხანს შეჩერდა. ცივი წყალი სასაიმოვნოდ ეჩვენა. პირზე შეისხა, მერე პეშვით მოსვა მცირეოდენი და კუნძულზე გავიდა.

დიდრონი ოფის ქვეშიდან სუფთა შლამი წაეღოთ და ნასანგრალივით მოჩანდა დარჩენილი ორმო.

შავლეგომ თოფი შიგ ჩააყუდა და ჩრდილში წამოწვა.

ირგვლივ ყველაფერს სახე შეეცვალა: კუნძული წინათ მხოლოდ შლამით იყო დაფარული და აქა-იქ მოჩანდა მწვანე ბალახი, ახლა ვეებერთელა წინორები დაზრდილა ზედ და აშაბმებულა კიდევ. ამ ადგილას მოდიოდა მასინ მთელი ალაზანი დახევებული და იმ ადგილას, სადაც ახლა მომაკვდავი გველი დაფავდა სულს, უზარმაზარი მორევი ტრიალებდა.

მცირე ხნის წინ კი ალაზანს გაუგულჯია მისაქციელთან ყარაჯალელთა მიწები, კალაპოტი პირდაპირ დაუდგია, ხოლო ვერხვიანი ჭალის ნაწილი კუნძულად დაუტოვებია.

დიდი იყო ამ მოკლე დროის მონაკვეთში ცვლილება, ხოლო რამდენი რამ უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც პირველი სულიერი ამოვიდა წყლიდან ხმელეთზე?

ეშმაკმა წაიღოს! აი, ვაჟაკი, რომელიც სიზიფეს შრომას ეწევა და თავის მაგრამ შუბლს ამ საიდუმლოს საკეტზე ამტერევს. შენ კი, შავლეგო, ჭერაც რიგიანად ვერ გაგირკვევია საგუნდო ლირიკიდან მოდის ბალადა თუ ცალკეულ ბარდთა და მენესტრელთა ენაშემების ნაყოფია.

მხოლოდ მზის ჩასვლისას გაახსენდა მეთევზეს, რომ შეიძლებოდა ანკეაზე თევზი მობშულიყო. წამოდგა, თოფი კომბალივით გაიღო მხარზე, გადაელო კუნძული და გაღმა გავიდა.

მიუხრებულოყო „საქიდაო“, მოჭიდავენიც გაკრეფილიყვნენ და ჩამოჩუმიც ალარ ისმოდა მორევის პირას. გადახრილ მურყანს ჩრდილი დაეკარგნა, წყალს გაჰქრობოდა წინანდელი ელვარება, ხოლო ვერხვიანში აგრილებულიყო.

მურყნის ქვეშ შესული შავლეგო შედგა და გაკვრავებით მიიხედ-მოიხედა.

ალარსად ჩანდა ალარც ჭოხი და ალარც ანკისი.

ნუთუ იმოდენა თევზი მოეკიდა, რომ, მოგლიჯა ჭოხი და თან გაიყულა? მაგრამ იყო ჩარჭმული შლამში. თუმცა ვინ იცის, იქნებ ორაგული ჭერ არ გამჭირალა ამ დალოცვილ წყალში.

მაგრამ შარავლი და ფესხაკმელები სადღა წავიდა? განა თევზები ხმელეთზეც გამოდიან და შურს ძიობენ მეთევზეზე?

ეშმაკმა წაიღოს! მგონი აქ, დააწყოს, ამ მურყნის ძირას.

შავლეგომ ხშირ ბინდამდის გადაქოთა იჭაურობა, მორევშიაც შეტობა, მაგრამ ერთი ძაფიც კი ვერ იბოვა დაკარგულისა.

სველ შლამზე მხოლოდ მისი ნათეხურები ეტყობოდა.

„იმ ბიჭების მაიმუნობაა“, — გაიფიქრა და საკუთარ თავზე დაცინევით ჩაიღიმა. მაგრამ ვინ იყვნენ: სანიორელნი თუ ნაფარეულელები? ქალისპირელნი თუ ართანელები? იქნებ ლაფანყურელები იყვნენ? ფშაველები აქ ვერ მოვიდოდნენ.

აი, ხუმრობა თუ გინდა ეს არი!
და მონადირემ მხოლოდ ღამის ორ საათზე მიაღწია სოფლის ბოლოს.

3

მოსავლის აღება დასასრულს უახლოვდებოდა. ხორბლით დატვირთული მანქანები განუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდნენ სარკინიგზო სადგურისაკენ და იცეხებოდა „ზაგოტურნოს“ ბელლები ახალი, სურნელოვანი ზევეებით.

ქალისპირმა წელსაც გამოიჩინა თავი. დრომდე შეასრულა გეგმა და ახლაც დიდობდა გადაეჭარბებინა, რათამთელი რაიონისათვის და მისი თავაკუბინისათვის დაენახებინა, თუ როგორი სიუხვე ჰქონდა წელს ხორბლისა.

დღეს მეორე გზას აკეთებდა „გაზ-51“ და, როდესაც ტვირთადნენ, გაბრაზებული არტყამდა მძლოლი ფეხს საკმაოდ გაცვეთილ უკანა გარე საბურავს და სასწორთნ მოტრიალე ლეოს უყვიროდა:

— რა ჯიბრში მიდგხარ, კაცო, გინდა სადმე გზაში გასკდეს საბურავი და ღამე იქ მათეინო? აჰა, ეს მკვდარძაღლისა, აბა, ნახე, სამ ტონა ნახევარს ეს გაუძლებს? არა, მითხარი ეს გაუძლებს? შენ ფეხებზე გკიდია და ზოგი მე მკითხე?!

— შენ, ლექსო, მაგის დამტვრევა რომ გაბატეო, იმან ხომ არ გაგათამაშა? წელან აქ ძია ნიკო იყო და დამიბარა: დღესვე მოათავეთ ჩაბარებო, მამ ცარიელს ხომ არ გაგზავნი სადგურში?

ლექსოს საწყობის გამგის მშვიდი ტონი უფრო აცეცხლებდა.

— ეს სამტონანახევარი კი არა, ოთ-

ხიცი იქნება. კარგი, კაცო, კაცი არა ხარ? ხომ ხედავ, რესორები როგორ დაჭდა!

— რა საჭიროა ყვირილი? — საწყობებს აწყობდა საწყობის გამგე სასწორის ენაზე, — წონა აქ არ არი? ერთი ტომარაც დაეაყართ და სამტონანახევარი გამოვა.

და სანამ შოთა და დათა ამ ერთ ტომარას უტრიალებდნენ და სასწორზე შეაგდებდნენ, მანამდე გააფთრებული ეცა ლექსო მანქანას, შევარდა კაბინაში, დაქოჭა და კალოდან უეცრად, მოწყვეტილი გრიალით გაიყვანა ტიშკრამდე.

მტვირთავეებს ხელში შეაცივდათ აწონილი და ძარაზე შესაგდებად მოქნეული ტომარა.

ლეო დამშვიდებით აესებდა ქვითარს და სრულიად აუმღვრევლად შეიტანა დარჩენილი ტომარის წონაც მანქანაზე დატვირთული ხორბლის საერთო წონაში. მერე მშვიდადვე მოაწერინა დათას ხელი, მოხია, ერთი ცალი გადასცა და მოკლე ხელების ქნევით კაცლის ჩრდილისკენ გაბაჯბაჯდა იმ კაცის შეგნებით, რომელმაც პატიოსნად მოიხადა თავისი მოვალეობა.

ახლა მტვირთავეები გაწყურნენ მძლოლზე და ამრეზილმა შოთამ დაძვია ისედაც გრძელი კისერი.

— რას ილურსები! — გაღმოვიდა ლექსო კაბინიდან, — სულ ერთია მაგას აღარ დაეუღებ, ტყუილად არ მოგაქვს?

დათა მიუახლოვდა, ქვითარი აჩვენა და ხმადაბლა შეუტია.

— წონაში შეიტანა იმ ბრუციანმა, მა რა ვქნათ?

— თავშიამც ქვა უხლია, რა ჩემი საქმეა. ამ მანქანაზე ეგ კი არა, მე ვაგებ პასუხს. თქვენ, მიდი, დასხედით, თორემ დღეს ერთის მეტს ვეღარ მოვასწრებთ.

კიდევ დიდხანს იღავეს ბიჭებმა, სანამ მძლოლს „პირს დააბანინებდნენ“ და დაითანხმებდნენ. მერე კი, როგორც იყო, მოტანილი ხორბალი ჩაცალეს ძა-

რაში, ცარიელი ტომარა ლეოსკენ ისროლეს და თითონაც მაღლა აბობდნენ.

— ბრალი თქვენი, რომ დატვირთვა გადმოტვირთვაზე ბევრს იწვალებთ, თორემ, მე—როგორც იქნება, ვაეუძლებ, — მოლბა ბოლოს მძლოლი.— ამ შობელძალდს ტომრები მაინც ჰქონდეს ბევრი, იმითი ატანა-ჩამოტანა ადვილია. წამოტყლარქულა კაკაღქვეშ და ბუზებსაც არ იგერიებს. თფუ!

და კაბინაში ჩამჯდარმა ლექსომ კარი ღონივრად მიიჯახუნა.

— თუ ვინდათ, ერთ-ერთი ჩამოდით კაბინაში,— და დათამაც არ დააყოვნა ძირს ჩამოხტომა.

მანქანა ორიოდ კილომეტრს არ იყო გაცდენილი სოფელს, რომ წინ სამი ბაჟი გადაუდგა და გააჩერებინა.

— ჰეი, ლექსო, წაგვიყვანა სადგურამდის.

ლექსომ იუარა.

— ძალიან ბევრი მიდევს, ბიჭებო.

— დიდი რაჲე, თუ სამი კაცი ჩამოგდა ძარაზე. აი, ნოდარი ერთი მამალი ინდაურის წონაც არ იქნება.

მაღლა მარტო დარჩენილ შოთას გაუხარდა თანამგზავრების გაჩენა და ძირს გადაიხარა.

— მაგას რას ეღრიჯები, ჩასაბერო, მოიტა ხელი!

— მანქანა შენი საკუთარი კი არ არი, ჰალისპირისაა, — შეუბღვირა სოსომ და ეტაკა ძარას.

— რა ხელი მინდა?— იწყინა ჩასაბერმა და ერთი მოქნევით მასპინძლის გვერდზე აღმოჩნდა, — აბა, ივაკაცე, ნოდარ!

ლექსო გაბრაზდა და კაბინიდან ვაღმოვიდა.

— თუ არ ჩამოხვალთ, არ წაგიყვან მანქანას.

ნოდარი როგორც იყო აცოცდა ზევით და გვერდით მიუჯდა მეგობრებს.

ლექსომ პაპიროსი ამოიღო, ზურგით წინა თვის ფრთაზე მიეყუდა, ფეხი-ფეხზე შემოიღო და არხენინად გააბოლა.

სოსომ თავი გამოყო და გაპრანქულად გააბრტყელა.

— მძლოლო, გთხოვთ, ^{ნაკრინულე} ~~დატვირთვაზე~~ რიგის მიხედვით.

ლექსომ არაფერი უპასუხა.

ჩასაბერი შეეხვეწა.

— გვიგვიანდება, ბიჭო, კურდღელაურს ვეჯიბრებით ფეხბურთში და თუ ვერ ჩავეუსწართ, ჩვენები წააგებენ. სხვები უკვე წაიდინენ და სამნილა დავრჩით. მიდი, გარეკე, თუ ძმა ხარ.

ლექსოს ყურიც არ გაუბერტყია.

— გაუშვი, სიცხე მაინც არ შეაწუხებს? — წამოგორდა ნოდარი ხორბალზე.

ჩასაბერმა ხალასი ხორბალი აიღო მუკით, ჩხრიალით ძირს ჩამოაბნია და გაყუჩდა. მერე შარას თვალი გააყოლა შაქრიანის ხილამდე, ალაზნის პირას ხეებში ჩაფლულ მაღალ შენობას მოჰკრა თვალი და ჩაფიქრდა. უცებ, წარბები ასწია და თვალი გაუბრწყინდა.

— ლექსო,— გადმოიხარა და უჩურჩულა, — ლექსო.

ლექსომ ბოლის რგოლები გამოეშვა: პირიდან და ზევით აისხდა.

— ოღონდ ეხლა აქ ნუ დამარჩენ, ლექსო, და თუ ძალიან მოგწონს გაჩერება, ზიდთან გააჩერე. უთავოდ ჩამთვალე, თუ შენი ხელით პური არ გაქამო.

ლექსო მოცოცხლდა, ზევით ურწმუნოდ აიხედა, პაპიროსის ნამწვი ისროლა გზაზე, ფეხით მოსრისა და ძარადან გადმოყუდებულს მეჩხერი კბილები დაანახა.

— ეს იქნება? — ყანყრატოზე წკიპურტი მიირტყა.

— აბა, უმაგისოდ რა მაღლი ექნება პურის ჰამას — გაიოცა შაქრიამ.

ლექსო ეცა მანქანას, აამუშავა და ჩააგლო სიჩქარეში.

შაქრიანის ხილზე ფრთხილად გავიდნენ, რადგან რამდენიმე ადგილას ფიცარი იყო აგლეჯილი, ზოლოთ ორგან ჩატეხილიც.

— ოხ, მე ამათი...— იგინებოდა ხა-

ქესთან მჯდომი,—ნეტა, როცა რაიკო-
მიდან აქ ვინმე გამოივლის მან-
ქანით, მაშინ ჩატყდეს ეს ტიალი ხიდი
და წყალში ჩაიხრჩოს ვინმე, იქნებ მა-
შინ მაინც იტიქრონ შეეკეთება.

გზის პირზე გადააყენა მანქანა ლექ-
სომ და კაბინიდან გადმოვიდა.

— აბა, როგორა ხარ გუნებაზე, ჩასა-
ბერო.

— მკითხაზე კარგად.

— არ ჩამოდიხარ?

ჩასაბერმა მიიხედ-მოიხედა და ლექ-
სოს დანანებით ჩამოხედა.

— შოფერი კაცი და არიფი? აქ რომ
აჩერებ, ჰკუა სად გაგიფრინდა? მთელი
ავტონისპექტორები და ყველა ჯურის
მამაძაღლები ამ გზაზე ადი-ჩადიან. შე-
იყუა ეზოში, ვადი იმ ბოგირზე და სად-
მე ხეებში გააჩერე, რომ ავმა თვალმა
ეგრე ადვილად ვერ დაინახოს.

ლექსოს ჰკუაში დაუჯდა შეგონება და
სასადილოს ეზოში შევიდა.

და როცა ბოგირზე გავიდა და ქალა-
ში ხეებს მოეფარა, ჩასაბერმა ყველანი
მიიბატრია საპურმარაილოდ.

ქეშმარიტად გემოვნებიან კაცს მოე-
ფიქრებინა აქ, ალაზნის მარჯვენა ნა-
პირზე, ყვარლისა და ნაფარეულის გზის
გასაყართან სასადილოს აშენება. ზედ
მომდგარი დაბურული ქალა და მწვანე
ბალახში ყვავილთა ნაირფერობა საუც-
ხოო გუნებაზე აყენებდა „პურის მკა-
მელთ“. ატოტილიყვნენ ძირბებერი
წნორები და უზარმაზარი ვერხვები ეზო-
ში, იქაურობა ჩრდილქვეშ მღვქცივნათ
და დიდბუნებოვნად იტანდნენ მათ ქვეშ
გამართულ მაგიდებთან ყბადაუღლეულ
მოთარეშეთ.

ქალის სამხრეთიდან ალაზნის ტოტი
გამოდიოდა, ორიოდ მეტროს სიღრ-
მის კალაპოტით სასადილოს ეზოს ჰრი-
და შუაზე, ზურგზე გადმოდგმული ბო-
გირის ქვეშ თვალ აუშლერეველად მიცუ-
რავდა და მერე უხმაუროდ ძვრებოდა
თავზე წამოდგმული მურყენებისა და
ლაფნების ჩარდახში. ჩარდახის მწვანე
გუმბათიდან რუხ-მოშავო ბაგირებივით

დაშვებულიყვნენ მოქნილი ღვედკეცე-
ბი და ლივლივა, წყალში ჩაიჭყუშა-
ლე ხეთა ფესვებში ინლართბოლნენ
დარანებში თავწარგული გველებივით.

ბოგირზე შედგა ლექსო და იკითხა.

— გარეთ დაესხდეთ, თუ შიგ შევი-
დეთ?

— ეხლა შიგნით ეგრილება და თანაც
იქ უფრო კარგად მოეყუჩდება.

სასადილოს ვეება დარბაზში გაფან-
ტულ მაგიდებს სამ-სამ ოთხ-ოთხი კა-
ცი შემოსხდომოდა, ციე „წინანდალს“
მიირთმევდნენ და თან ნელი ხმით სა-
უბრობდნენ. მხოლოდ ერთ ადგილას მი-
ედგათ ორი მაგიდა ერთმანეთისთვის.
მკერდგაღელი ბიჭები მოსხდომოდ-
ნენ და ახალ მოტანილ მწვადს ხელდა-
ხელ გლეჯდნენ.

ბიჭებმა თავისუფალი მაგიდა მოძებ-
ნეს და შემოუწყრიდნენ. მხოლოდ
ჩასაბერი წავიდა და მომტანი გაიხმო
სამზარეულოში კერძების შესაკვეთად.

როგორც კი უსაშიშრო ადგილას და-
იგულა თავი, ჩასაბერმა ერთიკ მიმოი-
ხედა სიფრთხილით და იკითხა.

— რამე ტომარა არა გაქვს?

მიმტანმა ვერ გაიგო.

— ცარიელი ტომარა არ გექნება—
მეთქი? — გაიმეორა შაქრიამ.

მიმტანმა ვაკვირვებით ახედ-დახედა.
მზეზე დამწვარ ბიქს და დატარებული
ულვაშები უკმაყოფილოდ აცემაცუნა.

ჩასაბერმა წარბი შეიკრა, დაჩაჩხულ
თვალებს ჩიქური მზერა შეაგება, უკან
გასაბრუნებლად გამზადებულს პირი
ბალნიან ყურთან მიუტანა და აჩურ-
ჩულდა.

მიმტანს თვალები კალაპოტში ჩაუღ-
და, აშლილი ნაკვთები დაულაგდა სახეზე
და ულვაშებმაე წინანდელი დიდსულო-
ვანი გამომეტყველება მიიღო.

მალე ჩასაბერმა ვახეთში გახვეული
ტომარა ილღიაში ამოიღო, სამზარეუ-
ლოს უკანა კარით გავიდა ეზოში, ბო-
გირს გვერდი აუქცია და ქალაში შევი-
და.

ბიჭებს უკვე დაწყებული ჰქონდათ სმა, როცა შაქრია დაუბრუნდა სუფრას.

— სად იყავ, ჩასაბერო, ამდენ ხანს?

— იკითხა კმაყოფილმა ლექსომ და საე-სე ჰიქა მიუწია.

— დედა უტირე ტოროლიანთ ნიკუ-ას, ზედ თავზე დავადექი და სანამ ყვე-ლაზე კარგი ნაჭრები არ ავაგებინე და ჩემ გუნებაზე არ შევაწვევინე, არ მო-ვეშვი. ეხლა დავლიოთ, რამდენიც გზნ-დათ.

— აბა, იმ გრძელ სუფრას გაჰხედე, — ანიშნა ნოდარმა, — ვერა სცნობ?

ჩასაბერმა გაიხედა და თითონაც გა-იკრიჭა. რადგან იქიდან „მოკლეს“ გოგ-რის თესლივით გადმოყრილი კბილები დაინახა.

— აბა, ფირუზ, მონადირე კაკოსი და-უკარ, — უთხრეს თანამესუფრეთ და ფეხზე წამოდგარი „მოკლეს“ პერამ-დე ამაღლდა.

— დაუკარ, მაგისი რჯულიც არ იყოს!

ფირუზამ ცალი ფეხი წინ გადაგა, გა-ცვეთილი კეები შუბლზე გაიმავრა და ქამრიდან უენო სალამური იძრო. თვლებზე გრძელი შავი თითები დააწ-ყო, გადმობრუნებულ ვეებერთელა ტუ-ჩებზე მიიღო, გადმოკარკულული თვა-ლებით სუფრაზე მსხდომთ გახედა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაჰბერა.

სალამურმა ერთი ამოიქშინა და მერე ისე დაუსტვინა, თითქოს ჰალაში გასუ-ლი მონადირე ძაღლებს ეძახისო.

სტვენა ერთ-ორ წუთს გაგრძელდა, მერე ნელ-ნელა მისწყდა და მოისმა რბილ ბალახებზე გადადგმული ფრთხი-ლი ფეხის ფაჩუნი, ხმელი წოწყების მტვრევა და ძაღლის სუნსული ჩირგვებ-ში.

უეცრად ფირუზამ ცალი ფეხი ასწია, სკამს ალმაცერად მიაბჯინა, თითონაც წელში ოდნავ მოიხარა, გვერდზე შებ-რუნდა და სალამურში ისე ჩაჰბერა, რომ კარგა ხანს გაჰქონდა შრილაჩხრი-ალი.

— ეს, მეძებარი ჯავთან მივიდა და

უკანა ცალი ფეხი ასწია, — უხსნიდა ერ-თი დანარჩენებს და მთელ სუფრაც სიცილისგან აქეთ-იქით სისე-წყებრდა, როგორც ქარის დროს ალაზნის პირზე ამოსული ლელი.

ისევ გასწორდა ფირუზა, ისევ შეუ-ტია სალამურმა, ისევ ნელი ხმით ამ-რიალდა და ბოლოს ისე აწკავეწკავდა. როგორც ეს კურდღელს დადევნებულ-მა მეძებარმა იცის ხოლმე.

— მიაგნო, აი, მიაგნო!

— წამოავდო, ნამდვილად წამოავ-დო!

— აბა, მიდი, ფირუზ, მიდი, არ გა-უშვია!

სალამურმა უმატა წკავწკავეს, ხმას თანდათან აუწია, თანდათან აუჩქარა. მერე უცებ დაიქუხა ერთხელ, მეორედ და მოსხლეტით გაყუჩდა.

— მოარტყა!

— მოკლა!

— სალოლ, ფირუზ!

— ალალია შენზე ეს დალოცვილი! „მოკლეს“ საესე ჩაის ჰიქა შეაჩეჩეს ხელში.

და როდესაც თამიამ ახალი სად-ლეგრძელთ წამოიწყო, შაქრიამ დრო იხელთა და ფირუზა თავისთან მიიხმო.

— დანარჩენი ბიჭები სად არიან — წარბი შეიკრა და ჰკითხა ახლოს მო-სულს.

— ნაფარეულის მანქანას გაჰყენენ.

— შენ რალად დაანებე თავი იმათ?

— ამით დამიჭირეს და აღარ გამი-შვეს, — თვალთ ახლახან მიტოვებულ სუფრაზე ანიშნა.

— შენი ბრალია. რა ყველგან დაათ-რეე მაგ სალამურს?

— ყველა ხელობის კაცს თავისი იარა-ღი თან უნდა ჰქონდეს.

— გაგახელობებ შენი აბა, ეხლავე აითესე აქედან და ზევით, ქალის იქით გზის პირას დამხედი. ხომ იცი, რომ უშენოდ მოგება გაგვიჰირდება. ბარემ ჩვენც ავიშალოთ, ბიჭებო, მიუბრუნდა დანარჩენებსაც, — გაღით გზაზე და იქ

დამიცადეთ. მე „ხაზინებს“ გავუსწორებ.

საუცხოო გუნებაზე დამდგარმა შოთამ აიწია და დათაც ააყენა.

ლექსოს დაენანა ბოთლში ჩარჩენილი რვა ნომერი, უკანვე მობრუნდა, ერთი მოყულებით გამოწრება და წინ წასულებს დაედევნა.

ფეხბურთის გუნდის ჩამორჩენილმა წევრებმა სადგურის მოსახვევთან დატოვეს მანქანა და კურდღელაურის მალაჩის ზემოთ გადაუხვიეს ორღობეში.

ლექსომ „ზაგოტზერნოს“ საწყობთან შეაბრუნა თავისი „გაზი“ და გააჩერა.

მთელი ორი საათი ელოდნენ თავიანთ რიგს ჰალისპირელები და, ბოლოს, როგორც იყო, მოერგათ.

და ჩვენი შოთა დიდად გაოცებული დარჩა, როცა მოტანილ ხორბალს აწონის შემდეგ სამოცდასამი კილო და აკლდა.

— ჩვენ ის ერთი ტომარა დავყარეთ თუ არა?—დაძვინა შოთამ კისერი.

— დავყარეთ, მაშ!—დაუდასტურა დათამ.

— აკი დავყარეთ, კაცო!—კვერი დაპყრა ლექსომაც.

— თუ დავყარეთ, მაშ რა იქნა? გზაში არ დაგვბნევი.

— არა, ძმაო, რაც იმ მილებმა დამიბტვრიეს ძარა და ახალი გააკეთეს, მას შემდეგ მარცვალი არ გავარდება,—თავი გამოიღო ლექსომ.

— მაშ ხორბალი რა იქნა? ამას წონაში არ მოვეუტყუებოვართ,—„ზაგოტზერნოს“ საწყობის მწონაზე ანიშნა.

ლექსომ და დათამ მხრები აიჩქეს გაშტერებით.

4

ძია ნიკომ ყვითელ კანზე შავ წინწკლებდაყრილი ჭერამი აიღო ბადიდან, შუა გაჩხა, კურკა ცარიელ თევშზე ისროლა, წაპობები — პირში და მაგიდის კიდესთან მჯდარს მიუბრუნდა.

— აი, შეილო, რას გეტყვი: დაუჭერებელ კაცს მცირე საგზალი აქვს. გახსოვს, რომ გითხარი, მგლის ხახაში ხელს

ნუ ჩაყოფ-მეთქი? შენ არ დამიჯერე და თავთხლის მაგივრად ჩანჭქერში შეტეპე. ღმერთმა აცხონოს, მამაჩემმა სიტყვა და ხოლმე, როცა გავაჯერებდი და გვექცეოდი: სადამდე ივლი, აქ მოგიყვანს ჩემი პურის კიღობანიო. სადამდე ივლიდი? კატის მანძილი საბძელია. ხუთი წელი დაკარგული იყავი და შენი ასავალ-დასავალი ეშმაკმაც არ იცოდა. მხოლოდ გაზეთიდან გავიგე დაფნის ფოთლის შესახებ...

მაგიდის კიდესთან მჯდარ ახალგაზრდას თვალის კილოებთან შეყრილი ნაოჭი შეუკრთა და ალკოპოლისა და ეროტიული ვარჯიშის ხშირ მოყვარულთათვის დამახასიათებელი ქვედა ქუთუთოთა ნაადრევად დამქვანარი კანის აბლაბულა უსიამოდ შეუთრთოლდა. შემდეგ ხრინწიანი ხმით ჩაიციხა და „ყაზბეგის“ კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო.

— მინც დაეუძვერი... ბევრი ჩაცვივდა...—თამბაქოიანი ნაწილი თითებში ოდნავ მოსრისა, ტარი მარცხენა ცერის ფრჩხილზე დაბერტყა და ყვითელ, მაგარ კბილებში მოიგღო.

ძია ნიკომ ასანთიანი საფერფლე მიუწია.

— შენ როგორ გადარჩი? ახალგაზრდამ პაპიროსს მოუყიდა, მაგრად მოქაჩა და ხელი მოლღუშით ჩაიქნა.

— გრძელი ამბავია. არა ღირს ლაპარაკად... საქონელი სარფიანია, მაგრამ ყოველი დღე სარისკოა... მომამბეზრა თავი სოფელ-სოფელ წაწწალმა და კილოობით იმისმა გროვებამ. პირველად თოქმის სულ მუქთად გშოოლობდი, მაგრამ მერი გლეხობიც გაწუწადნენ და ფასი ბლომად აუწიეს... აიღარა ღირს მეოქი და გამოვირიდე.

— კარგი გიქნია, შენი ბაღდადი თელავია, რა გინდა სხვაგან?

ძია ნიკო ბადიას მიეძალა და სტუმარსაც ურჩია, მისთვის მიეძამნა. მაგრამ მან მოღრეცილი ნესტოებიდან ბოლი იარ ნაკადად გამოუშვა და თავი გაიქნია.

— არ მიყვარს ზილი ნაბახუსეგზე.

— ეგ ცხვირი როდის გაგისწორებს? სტუმარმა კითხვის კილოში და დაწყურულ თვალებში დაცინვა შეამჩნია და წარბი შეიკრა.

— ეილაც დაძთხვეული დამეტაკა მოსკოვში.

— ქუჩაში?

— რესტორანში.

— მთვრალი იყო?

სტუმარმა მოკლედ შეიგინა.

— იმისი ღელაც... ერთი შეხედვით შევხედე და მერე არც მახსოვს.

— რაუ, რა მინდაო?

— გიყისას რას გაიგებ?—სტუმარმა კბილებით ნერვიულად წააგლიჯა ბოლო პაპიროსს, ფერფლი დაბერტყა და მერე წანაგლეჯი საფერფლეზე გამოაღურთხა.—ხუთნი ჩავედით რესტორანში. იმ დღეს კაი მოგება ვნახეთ და გვინდოდა. კაი პური გვეჭამა. შევეჭიფიანდით. მერე საქართველოს სადღეგრძელო დავლიეთ. იქვე ახლო ორი აკი იჭდა მაგიდასთან. ერთი პატარა, სათვალეებიანი. მეორე ახმახი. ახმახმა გამოაჩინა ჩვენკენ, დაიღრჩია და სათვალეებიანს ეუბნება.

— წელან დაფნასა ჰყიდიდნენ და გოჭირვებულ მუშტარს ტყავს აძრობდნენ ეს მუქთაბორები. ეხლა კი იმ ქვეყნის სადღეგრძელოს სვამენ, ვის სახელსაც თავიანთი ძალღურთი საქციელით არცხვენენო.

აუპ, წამოხტნენ ბიჭები (მაინც ეს მგერელები რა დიცხი ხალხია!), სულთამხუთავებიჯით დაადგნენ თავზე და უთხრეს:

— შენ ქართველებზე რაცა თქვი, ეხლა გაიმორთო.

სათვალისა ვილა გაუსკდა შიშისაგან, ახმახს ყურიც არ გაუბღერტია. დინჯად ჩაუტრტო ჩანგალი შემწვარ კატლეტს, დინჯადვე აიღო და ერთი მოქნევით გადაყლაპა მთელ-მთელი...

ძია ნიკო დაინტერესდა.

— მარტო ორნი იყენენ?

— ორნი... ბიჭები ეუბნებიან, გაიმეორეო. ახმახმა ჩანგალი დადო, ხელი

აუჩქარებლად გაიწმინდა და ქართულად უთხრა:

— როგორც მოხვედით, ისევე წადით აქედან, თორემ მეც ქართველი ვარო. მომივიდა ბრაზი.

— რას ელოლიავებით, მაგისი ღელაც-მეთქი? ავდექი, პირველად ხელში ის სათვალისანი მომხვდა და გვერდზე ვისროლე. მერე მივაღდექი ახმახს, მაგრამ იმან დამასწრო... როცა აზრზე მოვედი, წამოვიწიე იატაკიდან და მივიხედ-მოვიხედე. ჩვენი ბიჭები ქერებებით ვრდის ძირსა და ოფიციატებიც ცუვი წყლით ასულიერებენ... როცა მოგონდნენ, შევეკითხე: თავი ისევ ზედ მამია-მეთქი? ოფიციატები იფიცებოდნენ: ერთხელს მეტად არავისთვის არ მოუქნევიაო.

ახლაგაზრდამ რაღაც უხერხულად ჩაიცინა და წინა სამი ოქროს კბილი გამოაჩინა.

— მაშინდელია? — შეეკითხა ძიანიკო.

სტუმარმა თავი დაუქნია.

— ვერ გაიგე, ვინ იყო?

— ვერა.

— ეგ არაფერია. ვაიზრდები, დაგავიწყდება.

მოსაუბრემ უსიამოვნოდ შეიკრა წარბი.

— გაზრდისა რა მოგახსენო და დავიწყებით კი არ დამავიწყდება. ათას კაცში ვიცნობ იმის ხმასა და სიფათს. თუ სადმე გადავეყარე...

— სისულელეა. ახლა ყური დამიგდე: რას აპირებ ამის შემდეგ?

— არაფერს. ცოტაოდენი ფული მოვაგროვე და მინდა ჰქვიანურად დავხარკო.

— მაინც?

ახლაგაზრდამ ერთბაშად არ უბასუხა. პაპიროსი ტუჩის ერთი კუთხიდან მეორეში ღეჭვა-ღეჭვით გადაიტანა და დაფიქრა.

— მანქანა მინდა ვიყიდო.

— და ხალტურაზე იარო?

— შეიძლება.

— შენ მიქარვებს თავი დაანებე, ვახტანგ. წუთისოფელი კაცმა ჰკუთით უნდა მოჰამო. რაც შენ ავტონისპექტორებთან და ათასი სხვა ჯურის მამაძაღლთან დაგხარჯება, სხვა მეტს რას შეიძენ? თანაც რაიონის თვალში ცუდად გამოჩნდები. აი, შეილო, რას გეტყვი: ეს სოფელი დუშაა. იგრე უნდა მოთალო, რომ სარგებელი გქონდეს და შეტყობით არა შეეტყოს რა, მგელმა იცის: როცა ნახირს ვერ მიწვდება, მობრუნდება დამშეული და იმით ნებესა ჰამს. შენ სამაგისო არა გპირს რა. სოფელი ღონიერიო, ჩვენზე ჰკვიან ხალხს უთქვამს. და ამაში საკუთარი გამოცდილებით დაერწმუნდი.

ძია ნიკო ერთხანს ჩაფიქრდა, მერე უცებ ასწია თავი და ჩქიქურ შეხედა თვალეზში სტუმარს.

— ცოდო გატეხილი სჯობს, ერთ ღროს ვფიქრობდი შენზე, რატო ხელიდან არ გამივარდა, როცა ვნათლავდი-მეთქი, მაგრამ ეხლა დაარწმუნებულნი ვარ, რომ გამოდგები... ამ შემოდგომიდან ერთ საქმეს ვაპირებ და მინდა შენ ჩაგაბარო. მაქანას კი მე თითონ მოგყიდი.

ვახტანგი სკამზე გადმოიწია.

— „პოხელას“ ყიდი?

— უნდა გავყიდო.

— მერე შენა? თავმჯდომარე კაცი ფეხით ივლი?

ძია ნიკოს გაეცინა.

— მოვხუციდი, შეილო, რაღა ღროს ჩემი ფეხით სიარულია.

— მაშ რატორ?

— იგრე, რომი კოლექტივის საქმეზე ჩემს საკუთარ მანქანას ვერ დავანგრევ-ხომ ნახე, სახლს აივანი აქვს გასაკეთებელი და ერთი უკანა ოთახიც გასამართია. მე რომ მანქანაც მქონდეს და ესეც გავაკეთო, ხალხი იტყვის, კოლექტივის ქონებას არ შეუძლიანო? — უნდა გავყიდო.

— მერე შენთვის მანქანა?

— ლუარსაბ სოლომონიჩი შემპირდა; თუ აღრე და უღანაკარგოდ აიღებ მო-

სავალს, თქვენს კოლმეურნეობას მსუბუქი მანქანით დავაჯილდოებო.

— მეუთად?

— მეუთად რათა.

— მაშ რაღა ჯილდოა?

— ყველა თავმჯდომარეს უნდა მანქანა. რაიონში კი ერთი ან ორი თუ მოვა წელიწადში. გაანაწილებენ და ჩვენი კოლმეურნეობა იყიდის. მაინც ჩემი არ იქნება?

ვახტანგმა პაპიროსის ნამწვი მოსრისა საფერფლეზე.

— საბურავები როგორი აქვს, ხომ იცი, რომ არ იშოვება?

— ფიქრი ნუ გაქვს. გუშინ მოანგარიშე წავიდა თბილისში და ახალთ-ახალს ჩამოიტანს.

— კეთილი. ფასი რა იქნება?

ძია ნიკომ ოფლიანი შუბლი მოიწმინდა და კისერიც შეიმშრალა.

— ფასში მოვრიგდებით.

— ეხლა?

— ეხლა?! — ძია ნიკო წამოდგა, მივიდა წიგნების თაროსთან, იქვე დადებულ რკვეულს ერთი ფურცელი ამოხია, მელან-კალამს მისწვდა და მაგიდასთან მჯდარს სამივე წინ დაუღაგა. — ეხლა დაჩქეი და განცხადება დაწერე ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობის სახელზე, რომ წვერად მიგიღონ.

სტუმარი ფეხზე წამოიჭრა.

— წვერად მიმიღოთ? — იკითხა და სახე ზიზლით დაეღრიჯა. — წვერად მიმიღოთ, რომ მერე მზეზე და ქარ-წვიმაში სახედარივით გადამაღლიტოთ ზურგი? რომ თონისა და ბარის ჰერით დამიხეთქოთ ზელის გულები? მაღლობელი ვარ, მაგრამ მე რაღაცნაირად არ ვგავარ იმ ჯურის კაცს, რომელიც თავისი ნებით ყოფს კისერს ტაბიკებშუა.

მოძებნა თავისი ქუდი და ისე მაგრადა ჩამოიფხატა დახურვისას, რომ თხელი წარბები თვალეზზე გადმოექანა.

— მაღლობა მომიხდია პატივისცემისთვის, არამი იყოს მამჩემის ამაგი შენზე.

ახალგაზრდა საჩქაროდ შებრუნდა და

ზორბა ტანი კარებში გვერდულად გაიტანა.

ძია ნიკოს არც წარბი შეუხრია, არც ადგილიდან დაძრულა და არც გარეთ გამსვლელი შეუჩერებია. ირიბად გახედა კიბეზე ჩამავალს და დინჯად მიაწვდინა.

— წადი, მაგრამ იცოდე, აქ მოგიყვანს ჩემი პურის კიდობანი.

5

ალვის ხეები გაზრდილიყვნენ და წვეროები ცისთვის მიებჯინათ. სწორსა და ნაცრისფერ-მოთეთროს ტანს უხვად შემორტყმოდა მწვანე რტოთა ხშირი ნაყარი. მათი ძირების ახლოს ორლობის პირას ტრიფოლიატი გაბმულიყო მწკრივზე და ზევიდან ისე ლამაზად იყო გადაჭრილი, რომ კაცს ზედ წამოწოლა და გადაგორებ-გადმოგორება მოუნდებოდა. თვალისათვის სასიამოვნო იყო, ხოლო ღორებისთვის და სოფლის ბიჭბუჭებისთვის მეტად სახიფათო და საშიში თავისი დიავითლად აჯაგრული მკლებით.

ალვებს მუქი-მწვანე საბურავივით შემორტყმოდა ფათალო და ხის ქერქს კლანჭაცდენილი მისი წვრილი ყლორტები აქეთ-იქიდან უნასებვივით გადმოკიდულიყვნენ.

ღობის პირას მსხვილძირა ვაზი აგრეხილიყო შავი, კორძებიანი ბაგირივით და ხეებშუა ისე გაბარჯდულიყო თავისი ხშირი რქებით, რომ ტრიფოლიატის შემდეგ ორიოდ მეტრამდე მწვანე საფარველს ქმნიდა. ბრტყელსა და კუწუბიან ფოთოლთა შორის ცნობისმოყვარე თვალთ იშხირებოდნენ მსხვილმარცვალა და გუნჯალ-გუნჯალი დაისგრიმებული მტევნები.

ძალუმად სცემდა ყნოსვას ბალიდან მონადენი ყვავილთა ნაზი სურნელი და შემწიფებული გარგარისა და ზაფხულის მსხლის მადის გამადინიანებელი ტბილი სუნი.

შავლეგომ ღობეს შემოუარა, პატარა ქიშკარს მიდგა და შიგ გადაიხედა.

აყუფდა ვაშლის ქვეშ მიწოლილი ნა-

გაზი, წამოხტა, წინ გაიწია და რაკი ყელზე მობმულმა ჯაჭვმა არ გაუშვაა შედგა უჯანა ფეხებზე და წინა თათებს ჰაერში დააწყებინა თამაში.

ისევ ის პატარა ფიცრული სახლი ნუშის ქვეშ, ისევ ის დაკრიალებული დერეფანი და ზედ მოდგმული კოხტა სათონე, ისევ ის ფიჩხის დასაჭრელი სამფეხა კუნძი შიგ ჩარჭობილი მოკლე ტარიანი წაღლითა და ისევ ის სუფთა, ხშირ მოლიანი მწვანე ეზო ქიშკრიდან ფიცრულისაკენ ირიბად მიმავალი რუხი ბილიკით.

ძალი ღრინავდა და მუქარით იყუფებოდა. დროდადრო საძულველ ჯაჭვს კბილთა ღრქენით მისწვდებოდა, გაფთრებული ღრღინდა გრილ რკინისა და მოლიბრო ლაშებიდან გადმოდენილი ღორბლი ქვედა ყბის მოკლე ბალანზე ბრჭყვილა მძივებივით ეკიდებოდა ჩამომავალი.

შავლეგოს ძაღლისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ხელში დაჭერილი და გახეთში შეზვეული ნახევარ ლიტრიანი ქილა ბოშზე შემოდგა, ზედ აკრულ მალა ფიცრებს ხელემა ჩასკიდა და ბაღს დაუწყო თვალთერება.

ვაზის თალარს იქიდან დაბალი მოხუცი გამოვიდა, ჭერმის ქვეშ გაჩერდა, მარჯვენა ხელის პეშვი შუბლზე მიიფარა და რაკი ქიშკართან კაცი დაინახა, ლურჯი წინსაფარა აიწია და ზედ დიდი ყვისფერი ხელეზის წმენდით წამოვიდა.

ჭერ კიდევ მაგარი ხელი ჰქონდა ბერიკაცს. შავლეგომ სიამოვნებით დახედა ძარღვისნსა და დაკოტილ სახსრებს, უხეშსა და ნაცრისფერ ნებსა და მოხრილ მხრებზე თითები მეგობრულად მოუთათუნა.

— ჯანზე მაგრადა ხარ, ძია თომავ, უღვაშები კი უკვე გაგთეთრებია.

თომავ ქიშკარი ისევ მიკეტა, ძაღლს შეუწყრა და ბაღში შეიწვია.

— რაღა ღროს ჩემი ჯანია, შვილო, ოთხმოცს მივეახლე. სიბერემ კი იგრე მომიჭირს, როგორც ქირხლმა შემოდგომურას.

შველგო ფრთხილად ადგამდა ფეხს რბილი შოლის ფარდაცს და თან აღტაცებული ათვლიერებდა ყვავილთა ლამაზად დაყოფილ კვლებს.

ვაშლების ხეივანში შეუძღვა თომა მოსულს და ჩრდილში თხოვა ჩამოჯდომა.

— ეს რა გაგიკეთებია, ძია თომა! — გაოცდა შველგო და შეთავაზებულ სეარძელს დაუწყო თვალერება.

ეს იყო, ათი-თორმეტობდე წლის ვაშლის ხე, რომლის ერთი მთავარი ტოტი მიწის პირიდან ორი, ორნახევარი მტკაველის სიმაღლეზე რულივით დაეხვევნა ბერიკაცის ფანტახიას. დანარჩენი ტოტები სახურგესა და სახელურებს ქმნიდნენ ისე ლამაზად და გემოვნებით, რომ სანამ ცქერით არ გაძღა, არ ჩაუძებნია სტუმარს.

ღობის პირას ვაშების მაღალი ხეივანი გასდევდა მთელ სიგრძეზე, ორ დიუმიანი წყლის მილები ეშოვნა მოხუცს და ისინი შეეყენებინა წვრილი რკინითა და მავთულით დაბლანდული ზედა ნაწილისათვის.

— ეს ხარისთვალა და ბუდეშურია, ესენი კი თეთრი და შავი თითა, — ეუბნებოდა დაინტერესებულ სტუმარს მებადე და აღერსით უსვამდა დაკორძებულ ძირებზე ამ ვაშებივით დაკორძებულსავე თითებს. — სულ ბოლოს უწიბწოებია და საქიმშიშე: ათი წლისაა და ერთი ვენახის მოსავალს იძლევა. ძღავეს მოვიყვანე პაპაშენი ქვუაზე. მთელი წინა ეზო ცარიელი აქვს და მარტო ღორს აჩიჩქინებებს. ეხლა კაცმა ერთი მტკაველი მიწა არ უნდა დატოვო გამოუყენებელი. შენ სახლს უკან გინახავს როგორ არი? არა? გინდა გაჩქენო? აბა, გამოვიყ.

თომა გაძვრა ხეივან ქვეშ და სახლს უკან გაიყვანა სტუმარი.

— აბა, შეხედე. ჩემი ხელით დავამყნე და ჩემივე ხელით დავარგე.

შველგომ შეხედა და სიამის ღიმილი გადაეკრა მაგრად მუკუდმუკუდ ტუჩებზე: ორღობე მაღალ ბოძებზე და ზედ გადებულ ხარხებზე ამძვრალ ვაშებს შეეკრათ აქეთ-იქიდან და ერთიან გვირაბს ქმნიდნენ ასიოდე ნაბიჯზე.

— ერთად ვუვლით მე და ტობაკა. საბოძეებიც მაგათ ჩამოიტანეს. ხედავ, გზაც კი გამოუყენებელი არ დავტოვეთ. ვაზი ღობის ძირას არის, საკვები არე საქმარის აქვს და რქის გასატანად და მტენის დასაყოლებლად მშვენივრად გამოდგა ორღობე.

ქეშმარიტად არა ტყუოდა ბერიკაცი: მთელ მის ბაღში გარდა ბილიკებისა, პირსახოცის ოდენა ადგილსაც ვერ იპოვიდით გამოუყენებელს. მსხალი ზაფხულისა და ზამთრისა ედგა, ვაშლი უამრავი ჯიშისა, ქლიავიც, აგრეთვე, და თითქმის თითო ძირი შინც ისეთი ხილისა, რომლის სათუთი რტო და ნაყოფი ღიბს იქითურ რბილ ჰავას უფრო ირჩევს. მათგან ორი ცალკე ნაკვეთი იყო გამოყოფილი სანერგედ. ერთი ყვავილებისათვის, ხოლო მეორე — ხენილისათვის. სავსე იყო ორივე ყვავილებითა და პანტა-მაკალოსა და ქერამ-ატმების საძირებით. მხოლოდ ერთ ადგილას იყო შუა ბაღში საუცხოო თალარი, რომლის ერთ მხარეს მხოლოდ ცივი წყარო ამოეყვანა ბაღის პატარნს პატარა მილით. ახალ მოვდებულ საიასავით მოწინწყარებდა გამჟვირვალე ნაკადი და პატარა აუზში იმტერეოდა წინწკალ-ნაპერწყლად.

— თევზი მინდოდა გამეშვა შიგ, მაგრამ კატა არ უშვებს. წყეულია, ღამით შეპარება ხოლმე და ერთხელ სულ ამოჭამა. ხომ არ გწყურიან, ჭიქას მოგიტან.

— ჭიქა არ მინდა, მუკით დავლევ. აუჰ, ცოტა კი შემთბარა. მეტი არ მოდის?

(გავრძელება იქნება).

პალიოპი იაქაშვილი

ს პ ი რ ა ლ ი

წვიმამ ის-ის იყო გადაიღო. უნაბს ტოტებიდან ჯერ ისევ ცვიოდა წვეთები. უნაბი ლოჯის წინ იდგა, ეზოში, და წვიმის შემდეგ ახლად პირდაბანილს გაედა. ლოჯიდან ხელის გულივით მოჩანდა პატარა მოედანი, რომლის დიდი ნაწილი ქალაქის ბაღის რკინაბეტონის შეეთეთრებულ მესერს შემოეზღუდა. მესერს იქით ნეკერჩხლებსა და ცაცხვებს გადაეხერგათ სივრცე. ლოჯიდან მოჩანდა ქუჩის ერთი კუთხე, ძველებური ბრტყელი აგურით ნაშენი სახლით. ამ სახლს წითლად შეღებილი დარბაზები და შუშაბანდით გაწყობილი მოჩუქურთმებული აივანი ჰქონდა. აივანი სიძველისაგან მოღრეცილიყო, მთელ ტროტუარს ფარავდა და წვიმაში საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. მოასფალტებული მოედანი წვიმიასაგან ჩამუქებულიყო, აქა იქ შხის სხივებზე გუბებზე ბრწყინავდნენ. მზე არა ჩანდა.

აკაკი ბურღული ლოჯში გამოტანილ პატარა სკამზე იჯდა. თავს უხერხულად გრძნობდა, რადგან შუშაბანდიდან არეკლილი სხივი სახეზე უღიბინებდა. ზურგით კედელზე მიყრდნობოდა. ამ აღდგოლას ცარცგადაცლილი, გაჯით შეღესილი კედელი ხორბლისფრად კრიალებდა. სახეს ხან აქეთ და ხან იქით აბრუნებდა, რომ სხვისთვის თვალი აერიდებინა.

ბურღულმა დაინახა, როგორ გადირბინა მოედანი საწვიმარ წამოსხმულმა მოხუცმა. ახლა ამ მოხუცს გაჰყავა ფიქრი: მიცუნდრუქებს და იქნებ ბედის უქმაყოფილოცაა. იქნებ არც მოსწონს საწვიმარი მოედანი და ნესტით გაელენთილი ჰაერი. რომ შეივინო, რამდენად

ბედნიერი ხარ, თუ შეგიძლია ერთი ტროტუარიდან მეორეზე გადირბინო, ორივე ფეხით დამბლადაცემული ლოჯში უნდა იჯდე და, პატარა სკამზე მიჯაჭვული, ზევიდან დასცქეროდე მოედანს. აღამიანი მხოლოდ იმას აფასებს, რასაცა ჰკარგავს. თითქოს პირველად სწვდება ამ აზრის ნამდვილ შინაარსს, აკვირებს მისი სიღრმე და უღმობლობა, იმეორებს: „მხოლოდ იმას, რასაცა ჰკარგავს... რასაცა ჰკარგავს... ჰკარგავს...“ ახლა ქუჩის კუთხე შეათვალევინა. ძველებური სახლის აივნის ქვეშ ქალაქი ისევ იდგა ისინი იქ იდგნენ აღრეც. როცა წვიმა შხაპუნებდა და მოედანზე სხვა არავინ ჩანდა. ნეტავ რა აქვთ ამდენი სალაპარაკო?! ბურღულს სხვა წვიმა გაახსენდა, ასეთივე შხაპუნა და ჭექა-ქუხილიანი, მხოლოდ დიდი ხნის წინათ გადავლილი. გაახსენდა ქუჩაში გადმოზნექილი მსგავსი აივანი, ჩანჩქერებით დასერილი მიწა და ყურთასმენის წამლები შხაპუნა. წვიმა მაშინაც ასეთი იყო.— მიწას სველი კორიანტელი ასდიოდა. ბევრი რამ იცვლება დროთა ბრუნვაში, მაგრამ ბევრი მეორდება, მუდმივად მეორდება ბევრი რამ.

ჯარისკაცული, ქონით გაბოხილი ჩექმები და მამისეული წყალშვეულწვეი საწვიმარი ეცვა. თავსხმაში დაუღვევრად მიაბოტებდა. აჩქარებული ნაბიჯით გაბობოდნენ ქუჩაში წვიმისაგან დამფრთხალი აღამიანები, ზოგნიც ტროტუარზე გადმოშვერილ ლავგარდანებს, აივნებსა და საღარბაზოთა წინაფრებს შეფარებოდნენ. იმ აივნის ქვეშ რამდენიმე ქალი და კაცი მიცუნქულიყო. რატომღაც

მხოლოდ ის მოხვდა თვალში, შეხედა და მზერა ვედარ მოაცილა. იმანაც შეხედა, თუმცა რაღაც შორეული, ბუნდოვანი მზერით. სამოადე ნაბიჯით გასცილდა და შეჩერდა. ქალი ზურგს უკან დარჩა, მაგრამ ბავშვური სახე და დიდი შავი თვალები წარმოდგენიდან არ მოსცილდა. მოტრიალდა, საწვიმარი შეიბერტყა და ისიც აივანს შეეფარა. ოცი წლის იქნებოდა, მაშინდელ მოდაზე შეკერილი შალის გრძელი კაბა ეცვა. ძლივს უჩანდა წვივები ამ კაბაში. ფეხსაცმელებიც მოდაზე ეცვა — მაღალქუსლიანი. ფეხსაცმელები ახალი ჰქონდა, ალბათ, პირველად ჩაცმული; წარამარა იყურებოდა ზედ და ნერვული მოუსვენრობით გასცქეროდა ქვაფენილზე გაფანტულ კოკისპირულის შეხედვებს. ბურღული ქალს ქურღულად ათვალეოვებდა და სულ უფრო და უფრო მოსწონდა. უნდა გამოველაპარაკო, გადასწყვიტა და მიუახლოვდა. თითქოს ქალსაც შეესმა ვაჟის გულის ბაგიბუგი, მოიხედა თავით ფეხებამდე ჩაათვალიერა. ენა მუცელში ჩაუფარდა ბურღულს, თვალები დახარა, გვერდზე გადაგა. „რა ვუთხრა, რითი წამოვიწყო?“ იმეორებდა გუნებაში და გაცნობის საბაზად გამოსადეგი ხეირიანი სიტყვა ვერ მოენახა. ხან რას იგონებდა, ხან რას: „ბოდიში, ჩვენ, მგონი, სადღაც შევბევედრილვართ ერთმანეთს“. ის ნახვად გაიღიმებს და უპასუხებს: არ მახსოვს, ნეტავ სად?“ დანარჩენი თავისთავად აეწყობა. მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, რომ უკმეხად მიახალოს: „ასეთ თავხედს დღემდე არ შევბევედრივარ“. ამის წარმოდგენა ბორკავდა. გულს ბაგიბუგი გაჰქონდა. წვიმა განუწყვეტელ ნაკადად განაგრძობდა დენას, დაცრეხული ქავლი ქვაფენილს უზაპუნებდა და შეხედებად მტვერდებოდა, ტროტუარის მიღმა აჭაფებული წყალი ნიაღვრად მოქვხდა. შუა ქუჩაზე თავსხმა უფრო ბობოქარი ჩანდა. წყლის მტვერი აივანქვეშაც შემოჰქონდა ნიავს, აღამიანებს სახეზე ეკვროდა და ტანსაცმელს უსვე-

ლებდა. ქალიშვილის ბეჯითად დაუთხოვ ბული კაბა მოთონთლოვდა, სხეულზე ჩამოეკიდა. ახალთ ახალი ფეხსაცმელი წვივებით დაინამა. მერე წვიმამ იკლო, თუმცა მთლად არ შეწყვეტილა ვილაცამ გაბედა, შარვლის ტოტები აიკეცა. პიჯაკის საყელო აიწია, თავზე გახეთილიფარა და ხტომახტომით გადასკრა ქუჩა. მას მეორემ მიზამა. სხვები მოთმინებით იცდიდნენ, ქალიშვილი მოუსვენრობდა, მალი-მალ საათზე იხედებოდა და სახლის სახურავეებზე ჩამოწოლილ ზეცას გასცქეროდა. უკმეხ აღამიანს სულაც არა ჰგავდა. პირიქით, ახლა ბურღულს თითქოს ინტერესითაც უმზერდა, რაღაც მახლობლური თვალით, აი, ისე, ერთ ბედქვეშ მყოფი აღამიანები რომ შეხედავენ ერთმანეთს. „სადღაც მიგეჩქარებთ, თუ არ იუკადრისებთ, საწვიმარს გათხოვებთ, ხვალ დამიბრუნეთ... გინდათ ზეგ“... გულში სთავაზობდა ქალს აკაკი, ხმაშლლა კი სიტყვა ვერ დაეძრა. შინაბერა ქალების მთელი ხროვა მისჩერებოდა პირში. რა ეშმაკად ღვანან აქ? რატომ არ მიდიან?! წვიმამ თითქოს იკლო. წარბშეკრული ათვალეოვებდა აივანქვეშ შეფარებულ ქალებს და ბრაზობდა, რომ წასვლას არც კი ფიქრობდნენ. ისე შესცქეროდნენ, გეგონებათ, ციან, რაღაცის თქმას რომ აპირებს და ეშინიათ ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ დასცდეთ. წვიმამ კი მართლა იკლო. გოგონამ მოიხედა. ახლა მისი თვალები მხიარულად გამოიყურებოდნენ. რამდენიმე ქალი და კაცი გავიდა თავშესაფარიდან. ბურღული ახლო მივიდა გოგონასთან და გაჩერდა. გოგონა არ შემობრუნებულა, ისე გადმოხედა ცერად. გამოხედვაში ანცი შუქი კიაფობდა, ნიშნის მომგები. თითქოს ეუბნებოდა — მაინც ვერ გაბედავ ხმის ამოღებასო. ბურღული გაუბედავობისთვის თავსა სტუქსავდა. დეღავდა. უკანასკნელი „შინაბერაც“ წავიდა. მარტონი დარჩნენ. ქალთან მართოდ მყოფი კიდევ უფრო დაიბნა. მზის სხივმა ღრუბლის ბელტა-ბელტა ქულე-

ბში ღრეჩო გასჭრა და სიფრიფანა სვეტად დაეშვა მიწახე. ქალი წასასვლელად ეშხადებოდა. სახელოდან ცხვირსახოცი გამოიძრო და სახე შეიმშრალა. საფეთქელთან ჩამოშლილი თმაც შეისწორა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა. ერთი წამი კიდევ და წავა. წავა და დაიკარგება. ბურღულმა საწვიმარი გაიხადა. ხელში ეჭირა საწვიმარი, იდგა და ტოკავდა. კიდევ უფრო ძლიერად ტოკავდა გული. ქალმა საათს დახედა, ნაბიჯი გადადგა...

— თუ არ იუყადრისებთ, საწვიმარს გათხოვებთ.

— საწვიმარს?! — გაიკვირვა ქალმა, გაიკვირვა და გაიცინა. — საწვიმარი რაღა საქიროა, გამოიდარა!

— აღრეც მინდოდა, მაგრამ...

— გმადლობთ ამისთვისაც.

— დამცინით?

— როგორ გეკადრებათ!

— მაშინ ჩამომართვით. აქვე ვცხოვრობ, ლერმონტოვის თოთხმეტში. ხვალ გამოატანეთ ვისმეც, — საწვიმარი მხრებზე წამოასხა და წავიდა.

— გვარი, გვარი მაინც მითხარით, — დაადევნა გაოცებულმა ქალიშვილმა.

— ბურღული. აკაკი ბურღული. თქვენ რა ჰქვიათ?

— ნანა.

ოცდაათი წელი მოდიან ერთად, მხარდამხარ, ერთ უღელში, აკაკი და ნანა. ასე იყო: მაშინ მათთვის წვიმდა, მზეც მათთვის იხედებოდა. ახლა კი, ახლა, აგერ, იმათი ჭერია. ახალგაზრდა ქალვანი ისევ იდგა აივნის ქვეშ.

აკაკის ისევ მაშინდელი წვიმა გაახსენდა. ლაგარდნიებიდან და გადატებილსაწრეტ მიღებიდან თქრიალით ჩამოდიოდა წყალი. ტროტუარს მიღმა ნიაღვარი მოქუნდა. ჰაერში აყვავებული აკაციის და იასამნის სუნი ტრიალებდა. ეს სუნი თითქოს წყალს მოჰქონდა. წყალს გაზაფხულის სუნი მოჰქონდა, სიცოცხლის მადის გამაღიზიანებელი სუნი. წვიმა აქცევდა ქვეყანას, ყოველი წვეთი კი სიხარულის მომგვრელი სხივითა ბრწყინა-

ვდა. წვიმა აქცევდა ქვეყანას, გულში კი უცნაური სიხარული იდგა. რა დიდი ბედნიერებაა, როცა სიცოცხლესა გრძნობ!

მოედანზე სამი ბიჭი გამოჩნდა. ნაცრისფერი მაუდის მოწაფურ ფორმებზე ლითონის ლილები და ქაპრის ოთხკუთხი ბალთები უბრწყინავდათ. აკაკის სანთლისფერ სახეს ნათელი დაადგა. თბილი გრძნობა მალამოსავით მოედო გულზე. ბოროლა მოხვერევით მოჩიტული შვილი დაუდგა თვალწინ. მართლაც, მოკრქინალ მოხვერს დაამსგავსა ჩვიდმეტი წლის ასაკმა ნაგვიანევი და ერთადერთი ვაჟიშვილი. აიწოწა, გამაგრდა. ხმა დაუბოხდა. ხავერდის შავმა ღინღმა შეუშურა ტუჩი. ბურღულმა საათს შეხედა. სამი სრულდებოდა. დაიგვიანა ბიჭმა. რატომ დაიგვიანა ნეტავ? მოსწავლეები მოედანზე აღარ იყვნენ. წვიმის შემდეგ ქუჩაში ხალხი აირია. შიმშილი იგრძნო. მერე მაგიდაზე ვაზის ქვეშ ამოდებულ ქალაღის ნახევს შეავლო თვალი. იცოდა ბურღულმა, ბარათში ეწერა: „გურამიკო! რძის ფლავი მაცივარშია, შეათბე და მამა დააწყარე. შენც დაწყარდი. თუ არ გეყოს, ერბოკვერცხი შეიწვი. დედა“. „რატომ დაიგვიანა ნეტავ?“ რძის ფლავის სუნი იგრძნო. ტუჩები ააცმაცურა და ნერწყვი გადაყლაპა. მოედანს გახედა. „სად ჯანდაბაში დაიკარგა ამდენხანს!“ რის ვაივაგლახით აწვია ჭერ კიდევ ძალა შერჩენილი მარჯვენა და ბრაზით მოუცაცუნა უმწეოდ გაშეშებულ მუხლებს. „ანჩხლობას ვიწყებ“, გაიფიქრა და შეეცადა დამშვიდებულიყო. „დაწყველილი დამბლის ბრალია“. აივნის ქვეშ ეაქმა პიჯაკი გაიხადა და გოგონას წამოასხა. „ღროზე კი გაახსენდა, სულელა!.. — დასცინა ბურღულმა. მერე გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა. გურამი იცნო. „სად დაღლაბუცობს, უყურეთ!“.. გურამი და გოგონა წამოვიდნენ. გოგონას აღისფერი კაბა ეცვა და შავი, ხვეული თმები ჰქონდა. ხშირი დალაღები მხრებზე ეყარა. მოედანზე გოგობიჭები შემოხვდნენ და მასლაათი გააბეს. მერე ხროვად დაიძრა

ყველა ასევე ხროვად შემოლაგდნენ წინა ოთახში. გურამმა გოგო-ბიჭები სასტუმროში გაიყვანა და ლოჯში შემოვიდა. ჭერ მამას აკოცა შუბლზე, მერე ვაზის ქვეშედან ბარათი გამოაძრო და ჩაიკითხა.

— ახლავე გავთბობ სკამებს და დანაყრებ. მე კი არა მშია.

ბურღულს არ გამოპარვია, შევიღმა ლოჯში შემოსვლისთანავე კარი მჭიდროდ რომ გამოიკეტა: არ უნდა დამბლადაცემული მამა ამხანაგებს დაანახოს, ეთაილებს.

— მზე თვალბში მიჭვრიტინებს, იქნებ შემატრიალო როგორმე.

— ფარდას ჩამოვაფარებ.

— არა. სკამით გამაჩოჩე, აგერ იქ.

შვილმა მამას თხოვნა შეუსრულა და გავიდა. კარი ისევ მჭიდროდ მოხურა. ახლა ბურღული პირით კარისკენ იჯდა თხელ ფარდებს იქით ყველაფერი ჩანდა. მაგნიტაფონი ჩართეს და ცეკვა გააჩაღეს. გურამი ისევ გამოვიდა ლოჯში.

— ხმაური ხომ არ გაწუხებებს?

— არა. იცეკვით, — გაუღიმა შვილს და ახლო მიიხმო. გვერდზე გაიჩერა. დამკვანარი, უღონო თითები ხელზე მოუცაყუნა. ნეტარების ყრუანტელმა დაუარა, მალაჰოდ წაეცხო შვილის აღერსი გულს და სიხარულით აამღერა. დავეიწყდა ავადმყოფობაც და ყველა სხვა გულის მღრღნელი უბედურება. შვილის მაჯისცემასა გრძნობდა და ასე ეგონა, კუნთმაგარი ხელიდან ახალგაზრდული ხლისათა და მომავლის რწმენით მოჩუხჩუხე სისხლის ნაკადი ესხმოდა მოდუნებულ ძარღვებში. მტრედივით განაბული იდგა გურამი. კარს იქით ოთახიდან ვალსის ამაფორიაქებელი გუგუნის ისმოდა. მზით განათებულ ოთახში თავბრუდამხვევად ცეკვავდნენ გოგო-ბიჭები. ცეკვის ორომტრიალში მატადორის წამოსასამივით ელაგდა ალისფერი კაბა. ბურღული გრძნობდა, როგორ ცდილობდა გურამი მამის ხელიდან ხელის განთავისუფლებას. ვერც გაებდნა. ორკო-

ფობდა. ბოლოს მაინც დააძვრინა და კარისკენ წავიდა, თან წილაპარაკა:

— წავალ, სკამებს გავაფარებ.

— კარგს იზამ. — დამკვანარი თითები ერთმანეთს მოუსვა, შვილს თვალი გააყოლა. კარიდანვე გაიტაცა ალისფერმა კაბამ ოთახში შესული ვაჟი, ცეკვის მორევში დაატრიალა. ბურღულმა თვალეზი დახუჭა. ცრემლი ლოჯაზე ჩამოცურდა და შეშრა. შორს გაიტაცა მოგონება ამ აკაი ბურღული.

... მისუსტებული, სახეგაფითრებული მამა სარეცელზე იწვა. წურბლებსაგან ნაჭრილობევ ყურის ძირებზე მიმხმარი სისხლისა და იოდის ლაქები ემჩნეოდა. ოთახში წამლის სუნი და დიდი ხნით ჩამოსახლებული მძიმე ავადმყოფობის ატმოსფერო იდგა. არაჩვეულებრივი სიციხალით დაუდგა თვალწინ ოცდაათი წლის წინანდელი სურათი. უცებ მოეჩვენა, თითქოს იმ სარეცელზე მამის მაგივრად თვითონ იწვა. „ნუთუ ჩემი აღსასრულიც დადგა!“ სწრაფად გააბილა თვალეზი. ზურგზე მომდგარი მზე კარს ანათებდა. საცეკვაო მუსიკის გუგუნზე მინები ზანზარებდნენ. ხუთი-ექვსი წელი კიდევ, სანამ გურამი ფეხზე დადგება და ცხოვრების გზაზე გავა, მერე სიკვდილიც შეიძლება. მაშინ აკაი უფრო დავაჟაკებული იყო. ინსტიტუტს ამთავრებდა. ლელოს გატანა მაინც გაუჭირდა. გურამისათვის კი უმამობა საცოდაობა იქნება. ნამეტანი უმწეოა, მთლად ბავშვია. წარმოიდგინა დაობლებული შვილი და გული აუტუყდა, მერე გაიმაგრა: იქნებ, ყველა მამას ასე ეჩვენება— უმწეო ბალღად წარმოუდგენია, რა ასაკისაც არ იყოს შვილი. ალბათ, მამამუსიც ასე ფიქრობდა.

... მამა სარეცელზე იწვა. მაგიდაზე წამლის ბოთლები ეწყო. იქვე იდო ასკილის გამონახარშით სავსე ჭილა, ვარდის მურაბა და მაწონგადასხმული უმაროლო კარტოფილი. იმ დღეს ავადმყოფმა სკამებს პარი არ დააკარა. ენა უკვე წართმეოდა, თუმცა გონზე იყო— მზერა ჭერ ისევ აზრიანი ჰქონდა. აკაიმ ერთა

წუთით შემოიბრინა სახლში, ნანა გარეთ უცდიდა. ახლადგაცნობილი ჰყვებოდა და იმ საღამოს პირველად მისდევდა თუბატრში. კამოდის უჭრა გამოაღო, თეთრეულიდან ოთხად დაკეცილი ქათქათა ცხვირსახოცი ამოარჩია, მერე ფრთხილად ქრაკუნით რომ არ დაეწყო, მისწია უჭრა და მამას გადახედა: ორი ცრემლით შესველებული, სიყვარულით სავსე თვალი თავისკენ იხმობდა შვილს. სარეცელთან მივიდა, გაუცემა, დაქვეით, თვალით ანიშნა მამამ. შვილი საწოლის კიდებზე ჩამოჯდა. მერე ავადმყოფმა როგორღაც მოახერხა და ძვალტყავა ხელი შვილს ხელზე დაადო, დაადო და ოდნავ კიდევაც მოუჭირა. უმზერდა შვილი მამის სანთლისფრად გაცრეცილ დანაოქებულ სახეს, უბებში ჩაყარდნილ ქუთუთოებს, უცნაური აღერსით, სიყვარულით და კიდევ რაღაც სხვა გამოუცნობი გრძნობით სავსე თვალებს და ფიქრობდა ქუჩაში გაჩერებულ ქალიშვილზე, მოუთმენლად რომ დაბაკუნებდა ქვაფენილზე ელნათურებით გაჩახახებულ საშაქარლამოს ვიტრანის წინ. ფიქრობდა იმაზე, რომ ახლა უკვე რვას ოცდახუთი წუთი აკლდა, სპექტაკლი კი რვაზე იწყებოდა, ხოლო მანძილი თეატრამდე საკმარისად დიდი იყო. მამას თვალებში არ უყურებდა. ბოლმად აწევებოდა ყელში ავადმყოფის პირვეულობა — გინდა თუ არა, გვერდით მეჯექიო. გარეთ კი ნანა უცდიდა და ახლა უკვე რვას ოცი წუთი აკლდა. ამდენხანს იქნებ არც მოიცადოს, იქნებ, გაჯავრდეს და მიატოვოს, წაივდეს. ფრთხილად გამოაცალა ხელიდან ხელი და ფეხზე წამოდგა. მალე მოვბრუნდებით, განახავო, წაილულულა და გაუღიმა. სიყვარულით, სევდით და საყვედურიან შემოხედვს ცრემლით შენამულმა თვალებმა. აუტანელი ექვნიული გახდი მამაჩემო, ბოლო დროს. უსიტყვოდ უსაყვედურა და წავიდა. თეატრიდან რომ მობრუნდა, მამაცოცხალი აღარ დახვდა. შვილის სახელი ეხსენებინა სიკვდილის წინ ენაწართმეულს, ისე დაელოა სული... ადრე იმ-

ვითად ფიქრობდა ამაზე. ათასში ერთხელ გაიხსენებდა და მაშენჯერ სადღაც სულის შორეულ კუნძულში ქვეყნით გაღვივებული სინდისის მუგუზალს დაუდევრობის ნაცარს აყრიდა, ბოლო ხანს უფრო ხშირად იხსენებდა. ახლაც ხელახლა, არაჩვეულებრივი სიციხადით დაუდგა თვალწინ სასთუმალზე მისვენებელი მისუსტებული სახე. შუბლზე დანაოქებული, სანთლისფრად ჩაყვითლებული კანი თვალის ქუთუთოებთან და ყბებთან დაკლილი ტომრებივით ეკიდა. მიმხმარი სისხლითა და იოდის ლაქებით ჩამუქებოდა ყურის ძირებთან ნაწურბელავი ადგილები. პერანგი მკერდთან გაღვლოდა და ბამბასავით თეთრ კანქვეშ ლავიწი და ზედა ნეკნები მკვეთრად გამოსახოდა. დამბლადაცემული, ენაწართმეული აღსასრულსა გრძნობდა და შვილის ხელზე ხელჩაკიდებული თითქოს სიციოცხლეს ეკიდებოდა. შვილის ხელი რომ ხელთ ეკავა, ასე ეგონა მისი სხეული შვილის სხეულს შეერთებოდა და სიციოცხლის ფესვებიც შვილის მომავალში გაედგა. შვილის სიახლოვესთან სიკვდილსაც ძალა დაეარგოდა, თუმცა თავად შვილი უმწეოდ და უსუსურად ებრუნებოდა. შვილის მომავალი აშინებდა, გულს უჩუყებდა და ცრემლებს ჰგვრიდა. რა ეშველება დაობლებულს?... ვინ შეაშველებს ხელს, ვინ დააირიგებს, ვინ გაუნათებს გზას?... ასე ეგონა, ცხოვრების ეკალბარდიან უღრანში გასასვლელად სულაც არ იყო შვილი მომზადებული. ნაზი კანი ჰქონდა და ყოველი ეკალი სასიკვდილო ლახვარივით დაესობოდა. ხან უსულგულო უფროსის წინაშე ბეჩავად გაჩერებულს წარმოიდგენდა, ხანაც ულუქვამპუროდ დაჩენილ შვილებზე ფიქრით სასოწარკვეთილებამდე მისულს... გულში სურდა ჩაეკრა, მიაღერებოდა, რომ გაემხნეებინა... ადამიანი ჰქონდა ამის ძალა, მხოლოდ ხელს უჭერდა ხელზე, თვალებში კი სიყვარულით და სევდით სავსე ცრემლი უციმციმებდა.

კარს იქით მუსიკის გუგუნმა და გოგო-ბიჭების გნიასმა იმატა.

აკაკიმ თვალი გაახილა.

სიზმარი იყო თუ ფიქრი, თუ მოგონება!... ასე ეგონა, სასიკვდილო სარეცეულზე მამაკი არა, თავად იწვა, ხოლო წინ გურამი ედგა.

ისევ გაიტაცა ფიქრმა, ახლაც მამის ნაცვლად, საყინულეში ჩასვენებული საკუთარი ცხედარი დინახა, ხოლო ცხედარს გურამი უწყობდა ყინულს. გაპოცდილი კაცის მოხერხებულობით საქმიანობდა, თუმცა ჩქარობდა კი, როგორც ჩქარობს ხოლმე ადამიანი ბნელში, საშინა ადგილზე როცა მიდის. გაშეშებული სხეული ფიცრის შთაბეჭდილებას სტოვებდა და გურამიც ცხედარს ფიცარივით ატრიალებდა, საქმიანობდა და როდი. ფიქრობდა, რომ ეს უსულო, ცივი სხეული იმ კაცის ნეშტი იყო, ათეული წლების განმავლობაში რომ ელოლიავებოდა. ის იყო, ვინც საკუთარ სურვილს იოკებდა, მისი სურვილის ასრულებისთვის, ვინც სიცოცხლეს მის ერთ სუნთქვას ანაცვალებდა. გააქრჯოლა ბურღულს. თავი დაარხია, რომ ზმანება მოეცილებინა. გაშიშვლებული და ფიცარივით ხისტი ცხედარი თვალიდან ვერ მოიშორა.

მუსიკა მოულოდნელად შეწყდა. ვილაკამ დაიძახა: „ბიჭებო, დავიგვიანეთ, პირველი ტაიმი ხუთზე იწყება!“ „ახლა რომელია?“ — „ხუთის ათი წუთია“. „სტადიონამდე ვეღარც მივალთ“. „აბა, ჩქარა!“ და ისევე მოულოდნელად ვალაგდნენ ოთახიდან, როგორც შემოღვდნენ. გურამიც მათ გაჰყვა.

სული აემღვრა ბურღულს. ამობოჭრდა. მოწოლილი ბოღმა გორგლად გაეხიდა ყელში. შიმშილმა უფრო შეაწუხა. ბოლოს ანწხლობამ მოღალა და დაასუსტა. კეფაზე მომდგარმა მზემ მოთენთა. თავი ჩაქინდრა, თვალი მილულა. თოვლით დაფარული თვალუწყვდენელი ტრამალი გადაეშალა წინ. განთიადი იყო. დედამიწა ყინულს შეებოჭა და სივრცეს ცივი ელვარება დაუფლებოდა. ირგვ-
5. „მნათობი“, № 10.

ლივ თეთრი მღუმარება იდგა. ცეცხლთან მჭდარი მოხუცი კოსკუში ფეხებთან დახვეებულ წკიშალს, ითვლიდა და მცირე ხმაურსაც ხარბად უგდებდა ყურს. სიტ-კუმ-ტო-ხა, კოსკუმის ქალიშვილის ქალიშვილი, გამკვიანი ყვირილით კაზმავდა ძაღლებს, ხოლო კოსკუმის შვილი, ტომის ბელადი და განთქმული მონადირე ბარგი-ბარხანის მკრეფავ ქალებს აჩქარებდა. ტომი ბინიდან იყრებოდა. წინ დიდი გზა იყო, პატარა დღე კი არ იცდიდა. ყველა მიდიოდა, ვისაც ფეხში ძალა ედგა; აღსასრულის შესახებ ვედრად ის ერთი რჩებოდა მხოლოდ. ტომს არ შეეძლო დავრდომილის თრევა. მოკასინებქვეშ თოვლი ახრამუნდა, მის წინ შვილი იდგა:

— კარგად გრძნობ თავს? — ჰკითხა შვილმა.

და მოხუცმა უბასუხა:

— ჰო, კარგად.

— შენს გვერდით წკიშალია, — განაგრძო უმაწვილმა, — კოცონი ძლიერად ანთია. ნაკრისფერი დილაა, ყინვა სუსტდება. მალე თოვლს დადებს. აი, ბარდნის კიდევ.

— კი, უკვე ბარდნის.

— ხალხი ჩქარობს. მათი ფუთები მძიმეა, ხოლო მუცლები შიმშილისაგან თასმა გაჭერილი. გზა გრძელია და ისინი მიიჩქარიან. მე მივდივარ. კარგად გრძნობ თავს?

— კარგად.

კოსკუმმა თავი დახარა და ასე იჭდა, სანამ ხრამუნა თოვლის საცოდავი ხმა შორს სადღაც არ მიჩუმდა; ახლა იცოდა, რომ მის ძახილს შვილი ვეღარ გაიგებდა. კოსკუში მარტო დარჩა, მასთან დარჩა თეთრი მღუმარება, ცეცხლი და ერთი კონა წკიშალი. მხოლოდ წკიშლის ეს კონა აცილებდა ხახადაფჩენილ მარადისობისაგან. ერთი-ერთმანეთზე მიყოლებით დაიწვის წკიშალი და ასევე ნაბიჯ-ნაბიჯით მოხოხდება სიკვდილი. როცა უკანასკნელი ფიჩხი გამოსცემს სითბოს, ყინვა შეუდგება საქმეს. ჯერ ფეხები დამორჩილდებიან, მერე ხელები

და მთელი ტანი გაშეშდება. ეს ადვილია სიკვდილი ყველას ზვედრია.

დედამიწა ყინულს შეებოჭა და სივრცეს ცივი ელვარება დაუფლებოდა. მიფერფლილ კოცონთან კოსკუში კი არა, ბურღული იჭდა. გურამი, რახანია, წავიდა. მას მოკასინები ეცვა და ირმის ტყაპუჭზე ნედლი ტყავის თასმა გაეჭირა. თავზეც ირმის ბეწვის ქუდი ეხურა სიტკუმ-ტო-ხას ალისფერი კაბა და შავი, ხვეული თმები ჰქონდა; წინა მარხილზე იჭდა, შოლტს ატყალაშუნებდა და კიბილით მიერეკებოდა ძაღლებს. ზოგჯერ უკან მოახედავდა, მომაჯადოებელ ლომილს ესროდა ტომის ბელადს და სრიალით მიჰქროდა დათოვლილ მიწაზე. ალისფერი კაბა ფრიალებდა, ქარზე გაშლილი თმები ყინულის ელვარებით ბრწყინავდნენ. თეთრმოლურჯოდ მოკამკამე სივრცემ შთანთქა სიტკუმ-ტო-ხა. თეთრმოლურჯოდ მოკამკამე სივრცემ შთანთქა ქალს გამოკიდებული ტომის ყმაწვილი ბელადიც. თეთრი მდუმარება დაეფულა გარემოს. ბურღულმა დუმილს მიაყურა. იქნებ შეურბილდეს შვილს გული და ძაღლებიანად მობრუნდეს უკან, რათა ტომთან ერთად მოხუცი მამაც წაიყვანოს იქ, სადაც მრავლობენ მსუქანი ირმები? ბურღულმა სმენა დაძაბა. შეაეროლა. სადღაც ახლო გაიხმა ღმუილი. ცივი დინგი შეეხო ლოყას. მგლების დორბლიანი ხახების რკალი შეიკრა კოცონის გარშემო. ბურღულს სული გაეყინა და სწორედ ამ დროს შეშლზე თბილი ტუჩების შეხება

იგრძნო. თვალი გაახილა. დამნაშავეს ღიმილით შემოსცქეროდა გურამი.

— მაპატიე მამა, ვინ ხეცის, მოგშივდა.

— მომშივდა?!.. არც ისე, შენ სად იყავი?

— ფეხბურთზე დავაპირე წასვლა, გზაში გამახსენდა, დასადაყრებელი რომ დამრჩი. გამოვიქეცი.

— შერე ფეხბურთი?

— ტელევიზორში ვუყუროთ. შენც ხომ გინდა. ახლავე გამოვიტან; მხოლოდ ჭერ რძის ფლავს გავაცხელებ.

რძის ფლავი მსუყე იყო და ტკბილი. ჩაის პატარა კოვზით აწვდიდა გურამი რძის ფლავს მამას, აი ისე, პატარა ბავშვებს რომ კვებავენ.

— ნანა რაღა იქნა?

— ნანა, ვინ ნანა?!


— აი, ის ალისფერკაბიანი გოგონა.

— ლია?... სტადიონზე წავიდა ვთხოვე, მაგრამ არ წამომყვა. დამცინა, ტელევიზორით ფეხბურთს მხოლოდ დედაბრები უყურებენო.

ტელევიზორმა დაიქუხა, დაიპეკა და გამაყრუებულ გრგვინვად იქცა.

— შეაგდეს, შეაგდეს, ჩვენებმა შეაგდეს, — დაიძაბა აღფრთოვანებულმა გურამმა.

კედელზე ზურგმიყრდნობილი ბურღული, თვალეზაბუნებული ლეჭდა რძის ფლავს. რძის ფლავი ისევ მსუყე და ტკბილი იყო, ოღონდ ახლა რაღაც უცნაური სიმლაშე შეპარვოდა.



პალიკან კანელიანი ქართლის ჩირაღდნები

(პიესა 3 მოქმედებად, 6 სურათად)

მოქმედი პიესები

ბუენ ქარციაძე — მე-11 არმიის ქვედანაყოფის კომისარი, შემდეგ ზაქესის მშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, 32 წლის.

პლატე თიანაძე — ნაყოფანაირი ბიჭი, ზაქესის აქტიური მშენებელი, 17—19 წლის.

თედო მალაღაშვილი — ცნობილი ინჟინერი, ზაქესის კონსულტანტი, 45 წლის.

თამარ — ამის ქალიშვილი, 15—16 წლის.

რევაზ მალაღაშვილი — მენშევიკების არმიის ლეიტენანტი, შემდეგ სამხატურის გარეშე მყოფი, 30 წლის.

ნინო — მალაღაშვილების და, 28 წლის.

პლატონ რაშინპირელი — ქურნალისტი, ანტისაბჭოთა ვაჭეთის კორესპონდენტი.

მუნასხია — ყოფილი როტმისტრი.

ქაკია ახმახი — ყველა არმიის დეზერტირი.

ალექსია სურბეული — ნაყაბლარი, შემდეგ ზაქესის მშენებლობის მუშა.

ხადგურის მორივე.

ხაგანგებო მატარებლის უფროსი.

ზორაბა და ბარაბა.

გარისკაცები, მუშები, მგზავრები, ყოფილი ოფიცრები და სხვა მნიშვნელოვანი პირები რეინგვის ბაქანზე, შავ ბაზარსა და ზაქესის მშენებლობაზე.

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

რეინგვის სადგური დასაყრდენი საქართველოში. ბაქანს ეფინება ვაზის ლამიონის ღერჯ-მოყვითალო სინათლე. მგზავრები სხედან თავიანთ ხელბარგზე, უბარგონი სარკმლის რაფაზე ჩამოსვენებულან, ან კარის კუთხეში აირიან მიუყვებენ. ყავარჩენზე დაყრდნობილი ქარისკაც-თამბაქოს ახვეეს. სუსი ძვალბილში ატანს. შილიფად ჩაცმული მოქალაქე, საცივებს აუტანა, მას კარტუზი ახტრავს და ვაცრეცილი პალტო აცვია. იგი ბოლოსა სცემს, ლინდავის გასწვრივ ორივე მხარეზე იშხირება, თითქოს სულ ერთიან, საიდანაც არ უნდა გამოჩნდეს მატარებელი, იმოგზავრებს ვანტრეკელად მიმართულებსა. ახლა ერთ-ერთი ცუბიანი ამოტარავდა, ბაქანი ჩაიარა და კვლავ ძველ ადგილს მიაშურა. პატარა სადგური დადუმებულა. კუნძულში ორი ებრაელი მიუყვებულა. ერთი მათგანი ისეთი სიფრთხილით მღერის, რომ სიმღერა ავადმყოფის კრუსუნს ჰგავს. ყოველი მგზავრის შემოხედვაზე ებრაელი სიმღერას სწყევტს. მეგობარი ურჩევს:

— შალაში, ბიჭო, შენი ხმა მომცა, შრომელ ხალხს ვეახარებდი...

— შავისთანა სიმღერა, სიმონა, კომუნისტური მანიფესტი...

— ხმა გაიშინდა, ახლა გაქცეული და მღევარიც კეუზა აწეული...

სამორიგეო ოთახიდან კვერთხის აპარატის ლირიტი საერთო დემილს არღვევს და ხან-გამოშვებით ყურადღებას იყრობს. ტელეფონის ზარმა გაიწყობა. სამორიგეო ოთახიდან სადგურის მორიგე გამოვიდა, ხელს ფარანი შეამოწმა, მის უკან სადგურის მუშა გამოიზღახნა.

მორივე — (მუშის მიუბრუნდა) ავჯი პირამდე ავსე. ომიონბაში ორტქლმავალი კაცეითაა გაიცეხლებული, წყალს მოგვთხოვს.

მუშა — მატარებელი ზევიდან მომავალია თუ ქვევიდან?..

მორივე — ზევიდანაც და ქვევიდანაც, სველე ტრიბუნალი თან მოხდევს.

მუშა — ტრიბუნალი მენშევიკებისა თუ ბოლშევიკების?..

მორიგე — ორივე ჩახმხსნეა შეყენებულა... (დაუყვავებს) ამ ღამეს თუ გადავტრიალთ, მერე სამშვიდობოს ვართ.

მუშა — (ბელუნით ვაღის) ასე გვეპირდებიან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ...

ქალი — (ხელში უპირავს შეფუთვნილი ძუძუთა ბავშვი) კიდევ დიდხანს მოგვიწევს ყურყურტი?..

მორიგე — საით მიემგზავრებით?

ქალი — ბათუმში.

მორიგე — (კარტუხიანს) თქვენ?..

— ნატანებში...

მორიგე — (პალტოიანს) თქვენ?..

— თბილისს მიმართლებით...

მორიგე — უცნაურია...

— რა არის უცნაური?

მორიგე — თბილისი ზაფანგია.

შავნაბალახიანი — ესე იგი ბოლშევიკებმა თბილისში ზაფანგი მოაწყეს? — თქვით პირდაპირ.

მორიგე — ზაფანგია, რაგვი... ისტორიული მტრები ერთმანეთს ებრძვიან... თუ სიშარტლე გენებათ, სწორედ ბოლშევიკებია სიშიში, გათავისუფლებული შონები!

სურბელი — (ნაბღღან თავი ამოყო) ძამია, შენ არც შენშევიკი ხარ და არც ბოლშევიკი, ენის ჭკვილს თავს ნუ ვადაყოლებ. (კვლავ ნაბაღში ჩაძვრა).

მორიგე — ეს ბაქანი ჩემი ტრიბუნაა...

სურბელი — ტრიბუნადან ორატორება ჩამორეკეს. ამ ბედურას არ უყურებთ?!

მორიგე — ვინ არის ბედურა?!

სურბელი — ბაქანს ნუ აბინძურებ... (მგზავრები გამოიკოცხდნენ, მორიგე მამალივით გაფხვრა. მოისმის პილატეს ხმა:)

— მიშველეთო..

(ბიჭმა ხის მოაქირს ხელი დაქრა და სწრაფად შუა ბაქანზე აღმოჩნდა. ხელში ფუთა უპირავს. მდევარიც არ ჩამოჩა, მოაქირი მგელავით გადმოაქირითა, პილატეს თავს დააცხრა, შუა ბაქანზე ააყირავა).

მდევარი — სანამდე ირბენ, შე ძაღლიშვილო..

პილატე — მიშველეთო..

— რა ამბავია?!

(აჩოჩქოლდნენ მგზავრები).

პილატე — მიშველეთო..

მდევარი — სახლში, შე ძაღლიშვილო..

— რა ამბავია მოჭალაქვეს..

— ხელი გაუშვით... (პყვირიან მგზავრები).

მდევარი — ჩემია, ჩემი!..

პილატე — ტყუფს, არავისიცი არა ვარ, დამოუტივებელი კაცი ვარ, უღვაწია ამომღის..

შავნაბალახიანი — მოჭალაქვე, გავეგებინეთ, რად ერჩოლებით ამ ბიჭს?..

მდევარი — (წაქცეულ პილატეს ქორავით თავს დატრიალებს) ვერ იყო და, რუსეთ-თურქეთის ომში მიიპარებოდა, ვილაც შეჩვენებულმა თურქეთის ძალმომრეობაზე წინა წააკითხა და, თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლოდ მომართული ლიხურის გზაზე დავიჭირე...

პილატე — მაშინ იმისთანა ჩამარტვა, რომ თურქეთის ფრონტი თავიდან ამომივლო...

მდევარი — ახლა, ეს ძაღლიშვილი, ბოლშევიკებთან ვარბის!..

პილატე — დაესიზმრა?.. მე ჩემი საქმე მაქვს, აღარ მინდა შენთან ყოფნა.

ჯუბიანი — თქვენი რა არის ეს ბიჭი!..

მდევარი — ვაზრდილი...

პილატე — ტყუფს, მოჭამავრე ვარ!..

მდევარი — ღეთის პირიდან დაკარგული!.. ბატონებო, შარშან რაღაცაზე ვეიბარაზე და ტყეში ვარბოდა, ტყეში, სურბელთან!..

ხმები — ფირალებთან!..

მდევარი — (ვაზვადებით) სურბელთან ბატონო, აღფსია სურბელთან!

სურბელი — რომელია მანდ, სურბელთან რომ ვარბოდა?..

(ყველამ მიიხედა, სურბელმა ნაბდიდან თავი ამოყო, ორომტრილაში ჩაერია).

- ველანი — სურებელი.. (სურებელი თითქმის მთელმა ბაქანმა იცნო).
- სურებელი — გამარჯობა, ძამა, ბოლშევიკებს თუ უერთდები, მითხარი და უმეტროვ ხელს ვერ გაზღებენ.
- პილატე — რა ვიცი, ბიძია, ამდენი მიღეთის ხალხში... ბოლშევიკებთან მიიღის და, ვინმემ კორინთსავეთ რომ მიმწყობტოს...
- სურებელი — აგერ არა ვარ!.. (სურებელმა დოინჯა შემოიწყო, ნახალი გიხსნა, ყველა სახის იარაღი გამოიჩინა. ბიჭის პატრონის მიუბრუნდა).
- ძამა, შენ შემამულე ხარ?..
- მდევარი — რის შამული, ათი დესეტინა მიწის პატრონი ვარ.
- სურებელი — აბა, მოჯამავირე არად გინდა?..
- მდევარი — მოჯამავირე კი არა, ვაზრდილია.
- პილატე — ტყუის, მოჯამავირედ გამზარდა.
- სურებელი — (მდევარს) ძამა, ქვეყანა გადატრიალდაო, — ტყუში შევიტყე, შენ აქ არ იყერებ?..
- მდევარი — ბიჭი ჩემია!..
- სურებელი — ძამა, მთელმა ქვეყანამ იცის, სამი წელიწადია კაცი არ მომივლავს, ამ იარაღს რომ უყურებ (ხის ბუდიან მთუზერს ხელი წყვება) ასე დახუთილი გამატანე თბილისში... მდევარი — ბიჭი?..
- სურებელი — (თავისაზე) ამის ხელახლა დაზეთვის თავი არა მაქვს...
- პილატე — ესროლე, ბიძია, ესროლე და შე დაგიზეთავ, ტატილასავეთ გაგიპრალებ...
- მდევარი — (პილატეს) ო, შე ქურდო, ბაცაკო, გამძარცვე ხომ? რაც ხელში მოგვხვდა ყველა მოხვეტე?! ფულს, ოქროს, მამის სათის... გაჩხრიკეთ!..
- ბა — ვაგნხრიკოთ!..
- პილატე — გამჩხრიკეთ. (მდევარი ფუთას ჩხრეკს).
- მდევარი — კოთხო!..
- პილატე — ფრთხილად, კოთხოში ტყემლია, დედაჩემმა შოადღლა.
- მდევარი — ტკბილი კვერები!..
- პილატე — ესეც დედაჩემისაა!.. (გაცრეცილპალტოიანი ინტელიგენტი ორ წიგნს შეამჩნევს).
- პალტოიანი — ოპო, „წმინდა გონების კრიტიკა“!..
- პილატე — (თავის მართლების კილოზე) ეს ერთხელ, სამი წლის წინ სტუდენტმა დამიტოვა, სტუმრად იყო სოფელში...
- პალტოიანი — წაეთხულო გაქვს?..
- პილატე — (გატაცებით) კი, „საგანი არსებობს თავისთავად“... სამავიეროდ ეს გავიგე, „საქართველოს ისტორია“, მთელი ჩვენი უბედურება თურქების ბრალი ყოფილა.
- მდევარი — მილიონები!.. ჩემი მილიონები!.. (ბიჭს წიხე გადმოუბრუნდა).
- პილატე — არც ერთი მილიონი არ წამიღია, ქურდებს ხვრეტენ...
- მდევარი — (სიტყვა გაუსწორა) ხვრეტდნენ, შე არამზადავ...
- პალტოიანი — დამოუკიდებელი საქართველოს მილიონები თბილისში აღარ ვაღიან...
- პილატე — სად მაქვს მილიონი, დღეს მატარებელი უფასოაო, ამიტომ მივდივარ... დედაჩემის წერილის მეტი არაფერი გამაჩნია. (გაისმა დრუზინის ხმა. მორიგე გადმოვიდა კვერთხით, ლიანდაგი გადსერა. დრუზინა წამით შეჩერდა და გზა ვანაგრძო. მგზავრების ყურადღება მიიპყრო. მორიგე დაბრუნდა, მის სააღმოსვლავით მოცულ სახეს მგზავრები თვალს არ აშორებენ).
- მორიგე — მოქალაქნო, რამდენიმე წუთში თბილისიდან ჩამოვიღის საგანგებო მატარებელი!..
- ქაღ — (ძუძუთა ბავშვით) გვეშველა!.. (სამგზავროდ განეწყო).
- მორიგე — დაიცავით სრული წესრიგი და დიდსულოვნება!..
- ბა — საგანგებო!.. (წამიერი სიჩუმე კუთხეში ორმა ებრაელმა დაარღვია).
- სიმონა, ნამღვეს დაედებ, შენშევიკები ვარბიან...
- სამავიეროდ ბოლშევიკები ებრაელს და ქრისტიანს ერთნაირად ამდიდრებენო...
- არ ვაბრიავედ, ვიტყუელი მოდიან...
- რუსეთის ბურჟუაზია გამძარცვეს, სიმდიდრე მოაქვთ...
- სიამანდა, წასაღებად შოდის, ჩამოსატანად ვინ ჩამოვსელოა...

მორიგე — (მგზავრების მოძრაობას თვალს ადევნებს) მოქალაქენო, ცდუნებას არ აყვეთ, სისხლს მოვრიდეთ!..

(სამორიგეოში ყველა აპარტი წივის და გმინავს, მორიგე გაეშვრა).

მგზავრთაგანი — (მგზავრს, მორიგეს მისამართით) რა თქვა ამ კაცმა?!..

(ბაქანზე მენშევიკური მთავრობის ოფიცერი, ლეიტენანტი რევაზ მალაშვილი გამოხანდა, შეიარაღებული ზუთი ჯარისკაცი მოსდევს, მოლიან მოშვეხულნი, არაორგანიზებულნი, ლეიტენანტს გახსნილი მანარის ჯიბეებში ხელები ჩაუწყვია).

პილატე — (ქუბიანს ხმამალა უპასუხებს) საგანი არსებობს თავისთავად, მისი შეცნობა არ შეიძლება...

ქუბიანი — გადამრევს ეს კაცი!..

პილატე — ნუ გადაირევი, წიგნში სწერია...

ხმა — არმელები!..

მღვეარი — (დროს იხელთებს, ლეიტენანტს ჩისჩურჩულებს) ბატონო ოფიცერო, ეგერ, ნაბლიანს რომ უყურებთ, თეთრ ჩაბალახში, აღფესია სურებელია, პირდაპირ ტყიდან სადგურში მოვიდა.

ლეიტენანტი — შე კაი კაცო, ტყიდან ყაჩაღი გამოვიდა, მიესალმეთ, პატივი დსდეთ.

მღვეარი — ბოლშევიკიაა!..

ლეიტენანტი — აიძულეს, ტყეს შეფაროდა... შენ კი, ბებერო, გაეშვობა არ გეცადრება. ზღალ დღით, ჩვენი, აი, ამ კაი ბიჭებს რევკომში დაგვაბეზლებ, — შენშევიკია და ჩამოახრჩოთო!.. კი, ასე იჩენება... მოშორდი აქაურობას!.. (გაშვობილებული მღვეარი მიიმალა) პოლიტიკური შარლატანები! (ლეიტენანტი თითქოს თავისთვის ზუნუნებს) ისიც კი არ იციან, რომ მენშევიკები და ბოლშევიკები ერთი დედის შვილებია, ერთი ძუძუ უწოვიათ.

ჯარისკაცი — (გაკვირვებულ, შეშპარავი ხმით) ლეიტენანტო, რაღასთვის ივირძოდიო?..
ლეიტენანტი — მამები გყავთ სხედასხევა, მამები!.. (თავის ტყავში ვერ ეტევა, ბაქანზე გააბიჯა).

ქუბიანი — (პილატეს თეზისმა დაინტერესა) შე კაცო, საგნის შეცნობა რაეა არ შეიძლება, ჩემს გაქედილს შე ვერ ვიცნობ, რას ამბობ?..

პილატე — არ ვიცი. „საგანი არსებობს თავისთავადო“, ასე წერია ამ წიგნში... (ფუთა დამოწმმა) ამას ქვია „წმინდა გონების კრიტიკა“.

ქუბიანი — ეინ დაწერა ე წიგნი?..

პილატე — კანტმაი... ემანუელ კანტმაი!..

ლეიტენანტი — (პილატეს მიუხლოვდა, აღგზნებული, თვალბში ჩააშტერდა) კანტიანელი ვირთავა! ქეყანა გაწყდა და ამას საგანი ვერ შეუცნია. მიპასუხე, რა არის მარტ-სიზმა, (იუვირებს) სწრაფად!..

პილატე — (თავზარდაცემული) რაც არ ვიცი რა ექნა... მარტსიზმი?!

ლეიტენანტი — დასაზრეტი ხარ!..

პილატე — დასაზრეტი რა ვთქვი?..

ლეიტენანტი — რომელიღაც ფილოსოფიურ წიგნში ცხვარი ჩაგყვია, შე კანტიანელო ვირთახე, საგანი ვერ შეგიცნია... (ჯარისკაცებს მიუბრუნდა) ახლა სამტრედლის ბაქანზე ნახეთო!.. ლაწირაკები ჰეგელს დალექტიკაზე გაჰკვირან, ენას იმტრევენ. ქუთაისში ქვეყნის რევოლუციურ გარდაქმნაზე ყრანტალებენ. პოლიტიკური პრიპონები ქვეყანას წარღვეით ემტრებიან. აღამიანებს ღმერთი გაუწყრაო!.. (რევოლვერი ამოიღო, მიწას სამჭერ დაახალა).

ჯარისკაცი — ლეიტენანტო!..

ლეიტენანტი — (თითქოს დაცხრა) შემინია, ვინმე არ შემომავედეს. ცარიელი რევოლვერი უენებელია.

ყრუ ხმა — ძამა, ტყვია ბოლომდე შემოგენახა.

მორიგე — (გამოვიდა, სადგურის ზარს სამჭერ ჩამოყრა გაუბედავად) ლეიტენანტო, მატარებელს მეორე ლიანდაგზე მივიღებთ. (მორიგე გაეშვრა, მატარებლის შემოსვლას ელოდება).

ლეიტენანტი — ოცუელო, სმენა!.. ჩემი ოცუელის შემადგენლობიდან მხოლოდ თქვენმა ზუთუელმა უერთგულა დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას და მის ლეიტენანტს, რისთვისაც მადლობას გიბადებთ. ჩვენი უკანასკნელი მოვალეობაა ამ მატარა სადგურიდან უენებლად გავისტუმროთ დამოუკიდებელი საქართველოს მთავ-

რომა, რომელიც უცხოეთში მიემგზავრება. გაგაცილოთ ისე, როგორც ერთგულ ჯარისკაცს ევადრება. გაგაცილებთ და შემდეგ... ჩემი ბრძანებით, თქვენ ყველანი დემობილიზებული ხართ, ვალდებული ხართ მოხდით მეომრები, დაუბრუნდებით თქვენ სახლიანს, მიწას და მამულს...

(ბაქანზე ყველა თავისებურად განიცდის ამ ცნობას, კმაყოფილი სახეები ჭარბობენ, შორიდან საარტილერიო გასროლის ყრუ ხმამ მიიპყრო საყოველთაო ყურადღებას. ჯავშნიანი მატარებლის შიშველ გუგუნში ნათლეთებად მოისმის მენშევიეტი მთავრობის ჰიმნი. ბაქანზე თითქოს ჩამობნედა. საღღაც შორს, უკან სიბნელეში ცალთვალა უჩნებულმა გამოაჩინა. ქვეშევების გრაღში იფლეთება ჰიმნის აკორდები და შერეული სამხედრო მარში. აგონიაში ჩავარდნილი ავადმყოფის თვალცივით ფართოდება უჩნებულს სინათლე. ვაკანების მწვანე-მოყვითალო სინათლე საღვთოს გადმოედო. ჰიმნის დაფანტული, მორღვეული ფერცლები შიშველ ჯავშნის ხმაურში მიწყდა. ორთქლმავალი მიძიმვლ სუნთქავს, ჩაცხრა, ბაქანი მინამდე უხილავს უმზერს).

ხმა — ჯავშნოსანი...

ქალი — (ხელში ბავშვით) უფსკრულში...

— ჩუქ... (იყო პასუხი).

(ბაქანზე ამოვიდა ჯავშნიანი მატარებლის უფროსი, გვარდიის ოფიცერი, მკერდს წმინდა გიორგის ჯვრები და მედლები უმშვენებს, მას ორი შეიარაღებული ხელქვეითი ოფიცერი ახლავს).

ოფიცერი — ჯავშნიან მატარებელში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით, მაქვს ბატონი გაცნობათ: თბილისზე ბოლშევიეების დროშა ფრიალებს... საქართველოს დემოკრატიული მთავრობა უცხოეთში წააყენის და მფარველობას გაუწევს ყველა პატრიოტს, მამულმწიფს, რომელთაც ძალმომრეობისაგან თავის დახსნა და საამისო მოქმედება განუზრახავთ.

ხმა — მართლა თუ დემოკრატიული მთავრობაა, სამშობლოში დარჩეს, დემოკრატიასთან!

ოფიცერი — (ხმას აუწევს) დემოკრატიამ არსებობა შეწყვიტა, ბოლშევიეებმა თბილისი დაიპყრეს...

პილატე — (უნებლეთ წინ გამოხტება) „კაპიტანო“, გამავეზინეთ, ბოლშევიეები თურქებს ხომ სჯობია?

ოფიცერი — (ირონიით) თურქებს ნამდვილად სჯობიან.

პილატე — (ველურფულად) ანა არაფერ წამოგვეხატო... (ხალხში მიიშალა).

ჯუზიანი — ბატონო ოფიცერო, ჩვენს წინამძღვრს თურქობის დროში არ მიუტოვებთ სამშობლო, როცა გამავეზინებ არაფერ იყო... (სხვა ტონით) ე ბოლშევიეები მართო რუსები კი არა, ქართველებიც ბლომად არიან, თავის მტერი არაინა...

ოფიცერი — (ლეიტენანტს) გაიხუმრეთ ეს არამზადა...

ლეიტენანტი — (ჯუზიანს) გაიხუმრეთ, თორემ ბოლშევიეური ავტიციისათვის ჩემი ერთი ბრძანებაც საკმარისია...

ოფიცერი — (ბავშვიან ქალს) თქვენ საით მიემგზავრებით?..

ქალი — არსად, ჩვილი პარზე გამოყოფიან, ყოვან ხველა აწუხებს...

ოფიცერი — (ბრძანების კელი შეერია) ვინც ბათუმში მოდის, მატარებელში ჩაჯდეს... (პაუზა) რაო?..

ხმა — არაფერ მოდის...

ოფიცერი — ლეიტენანტო. ოცეული ბათუმში ჩაგაცილებს, თქვენ კი ჩვენთან წამოხვალთ, როგორც ოფიცერი და მამულიშვილი.

ლეიტენანტი — სწორი იქნებოდა, ხუთეული, ოცეულის ნარჩენი, რომელმაც ბლომდე დაიცვა სამხედრო ფიცია... ესენი ბათუმამდე ვერ ჩაგაცილებენ, რადგან ჩემი ბრძანებით დემობილიზებულიები არიან ამ წუთიდან, რა წუთშიაც ჯავშნოსანი საღვთოს დასტოვებს.

ოფიცერი — ტეიტენანტო. ვიბრძანებთ სავანგებო მატარებლის უფროსი, გვარდიის ოფიცერი...

ლეიტენანტი — (ოფიცერს სიტყვა შეაწყვეტინა) არ არსებობს გვარდია, გვარდია სობოში შექმრა. ძალა რომ მქონდეს, თქვენ და თქვენს მთავრობას საველე სასამართლოს წესით დაგსჯიდით...

ოფიცერი — ლეიტენანტო!

ლეიტენანტი — ლალისათვის! (ბაქანზე მყოფთ მიუბრუნდა) არც ერთი კაცა უცხოეთში, აქ დაეხოცეთ, საკლთარ მიწაში ჩავეაროთ ძელები, ვადრე სხვის კარზე მოწყალების ხელს გავაწვდიდეთ!

ოფიცერი — მაღალშვილი... (შეუშინებლად ხელი იარაღისკენ გააპარა).

ლეიტენანტი — პეშმარტი პირთველს უცხოეთში რა ესაქმება!..

(ოფიცერმა ლეიტენანტს ტყვია დაახალა. რუჯო მაღალშვილი დაეცა, მისმა ჯარისკაცებმა თოფები მოიპარვეს).

ოფიცერი — (ჯარისკაცებს) ყმაწვილებო, ვაგშნოსანიდან ზარბაზნები ვიმზერენ, ნურავის იშხებრპლებთ.

(ჯარისკაცებმა თოფები დაუშვეს. მატარებლას უფროსი ოფიცერი და მისი მძლებლები ბაქანს სტოვებენ. ვაგშნოსანი ავუგუნდა, მას ჰამინისა და სამხედრო მარშის შერეული ნაფლეთები მიაცილებენ).

ლეიტენანტი — (მიწაზე დასვეს) კვაყებო!.. ურჩი კვაყებო!..

პილატე — (თავს დატრიალებს) ლეიტენანტო, ხომ ვაგაფრთხილეს, ტყვია ბოლომდე შემოგენახა...!

ლეიტენანტი — სად არის სამართლიანი ტყვია, სად?..

სინათლე ქრება

სურათი მორბო

თბილისი, ქალაქის ცენტრი. მაღალშვილების ბინა მგორე სართულზე. მაღალჭრიანი დარბაზი. მარმარილოს ბუხარში ცეცხლი ბეუტავს. დროს შესაფერისი მდიდრული კომფორტი. შესამჩნევ ადგილზე თამარ მეფის ღვრადი სურათი მოჩანს. დარბაზში მკრთალი სინათლეა, ფანჯრებს გობელენები ფარავს. პლანანი ნათოს ლამაზა გამურულია. როიალზე მაუდის ნაქერია გადაფარებული, ზედ წიგნებისა და გაზეთების გროვა დევს. შემოსასვლელში სამხრეთგადაღებული მზარა და უკოკარდო ქუდი ჰკიდია, იქვეა პლატონის შავი პალტო და ცილინდრი. რბილ ტახტზე ნინო ზის, გიტარაზე ამღერებს ძლივს გასაგონი ხმით:

„არ ვაგეცილი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ ვაგეცილი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“

პლატონი მოძახილს ეუბნება, ცალა ხელით ბუხარის სითბოს ელოლიავება. ნინომ ტახტზე გიტარა დაადგო, ჩაემბო. ისტერიული განწყობით ამოიკენსა:

ნინო — ო, ღმერთო დიდებულო!..

პლატონი — ნინო, ძვირფასო, თქვენ და ტირილი?!

ნინო — (წელში გასწორდა) პაპირთსი მომამოდეტ.

პლატონი — (ბუხარის თავზე პაპირთს ჩამოიღებს, აწვიდის) თქვენს თითებში პაპირთსი?! ნუ დაფრევიო...!

ნინო — ცეცხლი... (ასანთს უკიდებს).

პლატონი — თქვენ რომ პაპირთსს ამოღებთ, ასე მგონია, მადონები იწვიან, ასე მგონია, ჩინგის-ყავინი შეიქრა იქ, სადაც შედეგებია, რაფაელის მადონა იწვიის, ჯოკონდა იწვიის... ცუდი ჩვეულებაა.

ნინო — ბატონო პლატონ, თქვენ უარესი ზნე დაგრძედათ...!

პლატონი — ოღონდაც ვითხარით, მოვიშლი.

ნინო — მოსვენებას არ მაძლეეთ... სულს მიხუთავთ.

პლატონი — ნინო, მე ზომ თქვენი გულისთვის დავრჩი საქართველოში... თქვენ რომ არა, პარტოში ვიწინებოდი, თქვენს ქმართან ერთად.

ნინო — სამშობლო?..

პლატონი — თვენ ხარო ჩემი სამშობლო...!

ნინო — რა სამაგელი თამბაქო... (პაპირთსი ბუხარში შეავდო).

პლატონი — ჩემი ქარისმზლიანი და ბოზოქარი ცხოვრების ხომალდმა თქვენთან დაისადგურა.

ნინო — სხვა თამბაქო არა გაქვთ?

პლატონი — რომ არ ვიწვიო?

ნინო — მერე რატომ? უნდა ვწყოდე... ამოღებ, ამოღებ, თითქოს ორთქლმავალი ხარ, საკვამურა, მეტანოქერი არსება, გრძნობაც დაიწყო, გონებაც, სიჩვენები ჩაერთვიან, ფსევრჩი ავუგუნდება, მთები გულაღმა წამოწვებიან; ზღვები ამფინვარდებიან, ერთი ძლიერი ტალღა ქალაქებზე, ყველა პარტიულ კომიტეტზე, ბაც... ქვეყნელში ჩაიტანს და მორჩა, რა ტუბილად დავიძინებ, აო, ასეთი თამბაქო კარგი.

პლატონი — თუ ასეთი აზრები ვაქვთ, რატომ არ იფაქრეთ უცხოეთზე, ჩემი ძველი ნაცნობი, — პარიზი! თან გამოგვეუბოდი.



ნინო — რა განსხვავება იქ — შენშევეყებთან, თუ აქ — ბოლშევეყებთან.

პლატონი — თუ ღმერთი გწამთ... (სხვა ტონით) რაკა ბოლშევეყებს ასხენებენ, ასე მგონია, გულში ტუყის მიმიზნებენ.

ნინო — ბატონო პლატონ, შე შქამს მხოლოდ ერთი პარტია — სამშობლო..

პლატონი — უტოპიაა, ძვირფასო, სადღა არს სამშობლო.

(უკანა ოთახიდან შემოდის რევაზი. ყოფილ ლეიტენანტს თეთრი ნაჭრით ჩამოუციდნია მარცხენა, ნაჭრილობევა ხელი. შემოდის მძიმედ, ტკივილით).

რევაზი — კვლავ პოლიტიკური ლაქლაქი...

პლატონი — პირაქით, უპარტოო საქართველოზე ოცნებობს.

ნინო — როგორ ხარ, ძმაო?..

რევაზი — უკეთ, იოლად გადავჩინი... შემხივიე... (ნინოს მკლავი უჩვენა) რა ამბავია ქუჩაში?..

პლატონი — სადღაც „ინტერნაციონალს“ მღერიან.

რევაზი — „ინტერნაციონალი“ რა შინაარსის ლექქია, ვახსოვთ?..

პლატონი — იწუება ასე... ნგრევა, მოსოდომება, შერე აშენება...

რევაზი — ნგრევა ვიცი, მაგრამ რა უნდა ააშენონ?

ნინო — დიდი ეშაფორი.

პლატონი — (სიტყვა გაუსწორა) გილიოტინა, დიახ, ერთი დიდი გილიოტინა, ელექტრომქანაკათ იმუშავებს.

რევაზი — მაშ, თედოს რატომ არ ეჭაზიან, ელექტრო-ინჟინერია.

ნინო — ბოლშევეყებს ინჟინერი?..

პლატონი — ნუ თუ არ შეგიძლიათ ბოლშევეყების გარეშე ვილაპარაკოთ...

რევაზი — გადახედეთ ფანჯარაში, რესპუბლიკა ბოლშევეყებისაა.

პლატონი — (კისერი წვიგრძელა) ვილაც მოვიდა, ვინ არის?

თამარ — (შემოდის, ხელში შეხვეულებით) თამარიკო ვარ, თქვენ კიდევ აქა ხართ?.. გამაჩრბათ! (კითხვაცა და მისალმნებაც პლატონს ეუფუნის).

ნინო — მამაშენი სად დატოვე?

თამარ — ქვემოთ, ვილაც კაცი ელაპარაკება... საქმისით მალაზიამ არაფერი არ დაიტოვა. (შეხვეულები მაგიაზე დასდო, პლატონს იხდის). ანტიკვარულ ნივთებს აღაჩინე ყოფილობსო... აი, ქარვის ჩიბუხი, პაპანემის ჩიბუხი — ნახევარი გირვანქა შეჭრის ფასი. ეს... (ვერცხლის დიდ ლარნაკზე უფითებს) ერთი გირვანქა პურის ფასი... ესენი, ესენი, არც ეს... (ოქროს ვარაუში ჩასმული წიგნი ასწია) არაფერი არ მიიღეს. ოქრო-ვერცხლის მალაზია საეუკნაოს ჰავას... არ მიიღეს!.. (სხვა ტონი) მამას უთხარეს, დაპატიმრებები დღეს ღამით დაიწყებაო.

პლატონი — დაპატიმრებები, ესე იგი დახვრეტა!.. (შემოსასვლელში თედომ გაიხვერა).

რევაზი — ვინ არის?..

თედო — (შემოდის) მე ვარ.

პლატონი — (გახარებული, რომ შინაურია) თედო!..

ნინო — შეგავიანდა.

თედო — შემოსასვლელთან ფედერალისტების ვაზეთის რედაქტორი შემხვდა, ქრონიკის ვან-ყოფილებში ადგილი შემომთავაზა.

ნინო — რა ადგილი?..

თედო — ქალაქში თუ საღმე ხანძარი გაჩნდა; ან ტრამვას ვაჩრებზე ჯიბგირმა მოქალაქეს საფულე ამოაცალა, ვაზეთს ცნობას მივაწვდი.

პლატონი — ქვეყანა ინგრევა, ცნობალი ინჟინერი ქრონიკის რეპორტიორადა!..

თედო — არ დავეთანხმე...

თამარ — რატომ? ხომ ხელდა, შენს ძველმანებს მყიდველი არა უავს და არც ეყოლება.

პლატონი — დიახ, დოქტორუა ყოველგვარი ხელოვნების მტერია, მით უმეტეს ანტიკვარისი, ეს ხომ პიროვნების ნებივრობის ხელოვნებაა.

თამარ — მაგრამ ცნობები ხანძრისა და ჯიბგირის შესახებ უპარტოო საქმეა.

თედო — ჩემო გოგონი, პარტიულ ვაზეთში მე არ ვიმუშავებ, მონტიორადაც არ ვიმუშავებ.

რევაზი — ფედერალისტები და მათი პარტია... ისე მოაღრჩობენ, რომ ამოკენსასაც ვერავინ შეიტყობს.

ნინო — სიამოვნებით ვიმუშავებდი ისეთ პარტიაში, რომელიც ყველა პარტიას მოსაობდა.

რევაზი — სწორედ ბოლშევეყების პარტიაა ასეთი... რად ვარწმუნი? სასწაელებელში თავისუფალ მოაზროვნედ გაცნობდნენ.

ნინო — კარგია, კარა...

თამრო — (გულბრწყვილოდ) არ მიიღებენ, პოლკოვნიკის ნაცოლარია...

თედო — შეილო, რატომ ნაცოლარი, ის გაიქცა, თორემ დაიპტრდნენ.

თამრო — რომ გაიქცა, ეს უკვე ნაცოლარია.

ნინო — (შაკარად) თამრო, სუფრა ვაშალე.

თამრო — ახლავე... (მიიმალა).

თედო — ამბობენ, დღეს ღამით დაბატირებები დაწყებია...

პლატონი — (შეიმშენება) თუ დასახერხებია ვარ, ბარემ ჩემს კუნძულში მომავნონ... (აღგა).

რევაზი — ისე აჩქარდით, რომ დასახერხებია, მგონი, აქ უფრო გვეულება, ვიდრე თქვენს კუნძულში.

პლატონი — აღარ წავალ, და ჩემი მიზნებით უხერხულ მდგომარეობაში თუ აღმოჩნდით?..

რევაზი — არა მგონია, წრაპინა კალმოსნებს არ ზერტენ.

პლატონი — მე რაინდი ვარ, ბასრი კალმოსანი, მას თქვენს ზარბაზნებზე ნაკლები ძალა როდეს ჰქონია. (ისმის გაუბედავი აკყენი).

ნინო — ვინ არის?... (კვლავ უფრო გაბედული კაყენი) რევაზ, მოეფარე, შენც, თედო.

თედო — მე არაფერი დამიშავებია.

პლატონი — გავიდეთ, გავიდეთ, კატაკლიზმებისა და ერუპციების დროს უდანაშაულობა საფარველად არ გამოდგება. (შეშინებული რევაზს და თედოს წაუბძვებს და გაახრებს უკანა ოთახში).

თამრო — (შეშოდის) მამიდუტ, მუადი ყველას გვეყოფა, მაგრამ ძეხვი ერთი ციქნა... (სუფრაზე თევშები გამოაწყო, კაყენი ძმის).

ნინო — შემობრძანდით.

(გამოიხდა პლატე, ხელში ფუთა უპირავს, წელზე შალის ნაგლეჯი შემოუხვევია, შარვლის მაგიერ გრძელი, დაკერებული ნარჩის საცეალი აცვია, ცალი ტოტი წინდას ვერ წვდება, მოუჩინს ვალურაგებული წვივი, ბლუნის ამარა, სიცოვისაგან მოკუნტულა).

პლატე — შეიძლება?..

ნინო — ვინ გნებავთ?..

პლატე — მალაშვილები აქ ცხოვრობენ?

ნინო — დიახ...

პლატე — თედო, რევაზი და ნინო...

ნინო — დიახ, დიახ...

პლატე — რა კარგია, გუშინს აქეთ დაგვქვით... მგონი, ნინო პრძანდებით?

ნინო — დიახ!.. თქვენ?

პლატე — მე პლატე ვარ, თიანამე.

ნინო — პლატე თიანამე... თედოს და რევაზს იცნობთ?

პლატე — დედინებისაგან გამოგონია.

ნინო — დედათქვენი?..

პლატე — მე გურგენა თიანამის შეილი ვარ, მამათქვენის მონათლული...

ნინო — მამაჩემის მონათლული?!

პლატე — ერთხელ მამათქვენს ჩვენს სოფელში ჩამოუვლია, კი ხასიათზე ყოფილა და უთქვამს, ყველაზე ღარიბი კაცის შეილი მომანათელიეთო, და არჩევანი მე მერგო...

ნინო — თქვენ მამაჩემის მონათლული ხართ?..

პლატე — დიახ...

ნინო — საწყალი მამა, ის ზომ გარდაიცვალა.

პლატე — ვიცი, ნათლის სიკვდილი დედაჩემმა რომ გააგო, სულ დახოკა ორივე ღოყა, ჩვენი ხათრით ნახევარმა სოფელმა შეიმცხადა... მამაჩემი, გურგენა, ნათლაზე ცოტა გვიან მოკვდა.

ნინო — მოიცა, მოიცა, შენ ბავშვობაში რაღაცას ვეძახდნენ...

პლატე — ყურბატას ვეძახდნენ.

ნინო — ო, ყურბატა!.. მომავონდა... (პლატე სიხარულით ივრისება). მახსოვს, ერთხელ სოფელში ვიყავი...

პლატე — მეც მახსოვს, ვიცანიო კოდეც...

ნინო — ერთხელ, მგონი, ჩემი მიზნებით ხიდან ჩამოვარდით...

პლატე — (გახარებული) ტოტიდან ტოტზე ღიწინ-ღიწინით მოგვტარავედ.

ნინო — პო, პო...

პლატე — კენწეროზე თქვენი აშვეებული საფრენელა გამოგხსენი, კინალამ სარზე დავესვი, შენ ჰკიოდი და ჰკიოდი...

ნინო — პო, პო...

თამარ — (დატრიალდა, გარბის) მამიკო, ყურბატა გვესტუმრა, ყურბატა!...

ნინო — დედათქვენი ხომ ცოცხალა?

პილატე — კო, წერილიც გამოგვგზავნით, მარა გზაში ჯუბა მომპარეს, წერილი შეგ იღეს, ჯუბა ისე არ მწყენია, როგორც წერილის დაკარგვა.

ნინო — რას იწყებოდა, არ გახსოვთ?..

პილატე — როგორ არა, წერილი მე დაეწერე, დედაჩემი მკარნახობდა.

(რიგით შემოდინ თედო, რევაზი და პლატონი).

ნინო — (თედოს) გაიცანით, ყურბატა, იგივე პილატე თეიანაძე... (პლატეს) აი, ეს არის თედო.

პილატე — ინიენერი! პეტროგრადში სწავლობდით, ხარკოვში მსახურობდით, შერე ხელახლა პეტროგრადში. 1917 წელს ცოლი ტიფით მოგიკვდათ. ყველა ვიცი, თქვენი ამბავი დედამეგობრებს სახარებასავე დაიმახსოვრათ... (რევაზი შენიშნა) ლეიტენანტო!..

რევაზი — ეს სადღაც მინახავს...

პილატე — ბაქანზე. „საგანი არსებობს თავისთავად“.

რევაზი — ფილოსოფოსი, ბაქანის გმირი.

ნინო — მამას მონათლული.

რევაზი — ო, რატომ მამას არ ვიცოდი, ამ გმირმა დიდად იზრუნა, როცა დამპრეს...

პილატე — ანა, ის სულაღლი „კაპიტანი“, ერთი შემხედეს...

ნინო — პლატონ, თქვენც გაიცანით.

პლატონი — პლატონ რაშისპირელი.

პილატე — რაშისპირელი?.. „პ. რაშისპირელი“ გაზეთში წავეიოხებ, ხელს აწყრდით, ძალიან მომეწონა სიტყვები: ერთბედა, კინტენსენცია, კატალიზმი და ჩინვის-ყენი...

პლატონი — (ნასამოვნები სახით) დიახ, დიახ...

თამარ — შამილზე, ტყეშალი გათავებულა!..

პილატე — ტყეშალზე გაქირებია?!.. (ფუთას მივარდება) აფერტმ. დედაჩემს!.. ერთი კოთხო წითელი ტყეშალი ძალიან გამომატანა, სირცხელია ამის წაღება მეთქი, თურმე ტყეშალზეა გაქირავება, (კოთხო გაუწოდა) ისეც ტბილი კვებები, დედაჩემის ხელობაა...

თამარ — აჲ, რა კარგია სოფელი!.. (ძღვენი მაგიდაზე დააწყო).

რევაზი — რა საქმეზე ჩამოსულხართ?..

პილატე — (ნინოს ეკითხება) თავიდან დაეწყო, თუ განვაგრძობ?

ნინო — განაგრძეთ!

პილატე — წერილზე გაეჩრდი.

თედო — ეისი წერილია?..

ნინო — დედამისის.

პილატე — ჩემი დაწერილია, დედაჩემი მკარნახობდა, წყალივით ვიცი, დაეწყო: „ძვირფასო ნათლაშვილებო, პირველყოფისა, ნინო!.. ღმერთმა ბედნიერად მიმყოფოს თქვენი თავი. შთელ სოფელში მუშაყება, რომ ჩემი ყურბატას ნათლაშვილები ხართ, ამ ჩემმა ბიჭმა ქალაქი აიტეხა, როგორც კი შეიტყო, მატარებელი უფასოაო, სახლში ვეღარ დავაბი, იწყვიტა ამ არეულ დროში კაცის გამოშვება, რომ ძნელია, ვიცი. დედამიწამ ქვის გული ჩაიდგა და ძალის ტყავი ვადაიკრა, ყველას უჭირს და იმაზე ფიქრობენ, თავი როგორ ვადაიჩინონ, მაგრამ ჩემი დაუდგეჯარი ყურბატა — იგივე პილატე, ყმწვილია და ასე შორს რომ იმზირებოდეს, რაღა მიჭირდა მე უბედურს, ამაზე ამომდის შუე და მთავარ, ესაა ჩემი მთავარანგელოზი, ხატი და სანთელი... (პილატეს ცრემლი მოერია, ატირდა).

თამარ — ტბარა?..

პილატე — დედა მეცოდება, თურმე როგორ წუხს!..

ნინო — დამწვიდდა... კმარა...

პილატე — (თვალი ამომშრალა) წერალს დავამთავრებ... (წერილი უნდა განეგრძონ) ზოგ-ზოგიერთ ადგილს გამოვტოვებ...

თამარ — (თანაგრძნობით) გამოტოვე, გამოტოვე...

პილატე — (წერალს განაგრძობს) საყვარელო ჩემო ნინო, ჩემო უნახავო ბატონო თედო და უნახავო ბატონო რევაზ, ახალმა სიომ შემოებრა, ვლესობა იმედით შეყურებს მომეალს, ახალი დროების კაცებმა ე ჩემი ბიჭი ყველაზე უმალ გამოაღვიძეს, სწავლა და კეთილი საქმე სწყურია, ნუ დაიშურებთ მამისაგან მომადლებულ სიკეთეს, ჩემი ყურბატა საქმეში ჩააყენეთ, ან იქნებ რამე ასწავლით. სულ ურთია, ოღონდ

გზაზე დააყენეთ. გიგზანით ნელნელად მოდღებულ ტყეში, ტყეში ავარს, ამ წერილს და ჩემს წიგნს — ყურბატას, იგივე პილატეს... თქვენთვის, საკეთის მლოცველი ელსაბედ თიქანამე... ესა სულ... (მცირე პაუზა).

რევაზი — ბიჭო, შარვალი რა უყავი?..

პილატე — ქული?.. ქული არ იყოთავო, სამტრედიაში მომპარეს, ქვასავით ძილა ვიცი, ამან დამღუბა. მუხიანში ვუბა რომ ვადამპარეს, შორაბანში სცივემ ბუქიდან ბუქზე ვადამპარუნა. ის იყო ვადამპარუნდი და ვილაცამ შარვალი გამაძრო, ნამეტანი ფართო თავი ქონდა. თვალის დახამხამებში გამაძრო, კიდევ კარგი... (წამით საცელს თავი მოსინჯა) ვიწროა და მიშველა... წამოვევარდი, შარვლის ტოტს ხელი ვტაცე... ტაცება ასე არ უნდაო, და ქურდმა ვაპარალებული დანა ზედ თვალზე ამოფარა, ვადარაჯა და ჩამწერჩულა: ხმა არ დამარა, — მდგომარეობა ქმნის შეგნებასო... იციტსლე, მე იმას შევაყვებოდი, მარა დედაჩემი შემეცოდა...

ნინო — კარგი ბიჭია... (პილატეს ყველა თანაგრძნობით უმზერს).

თედო — პილატე, პირველყოფილისა იბანავეთ. ნამგზავრი ხართ, წამოღეთ. (პილატე ძონძს ხელს მოხვევს, თედოს გასდევს).

ნინო — რა ჩაეცეთო?.. სად მოვაწყეთო?..

რევაზი — სად უნდა მოაწყო, ინიერის ქრონიკის რეპერტიორი შესთავაზეს, ჩვენ ვარე მსყაროსაგან მოწყვეტილები ვართ.

პლატონი — მე შემძლია, ძველი ფრეკი დავუთმო.

ნინო — ფრეკი არა, დაცინებენ... (რევაზს) შენი ფრენი და შარვალი რომ ჩაეცვა, ოფიცრის ტანსაცმელი აღარ გვირდება.

რევაზი — (მკვხედ) მე იქნებ დამპირდეს, შენს ქმარს კი ნამდვილად აღარ პირდება, მას იქნებ ფრეკიც აღარ დამპირდეს და საერთოდ აღარაფერა მხდლი, ნახანა კატა ენათგაერფელია იმდენი ივანელა, რომ იმის დაწყებამდე, რაღაც სამ წელიწადში მთავრობას პოლიტენიკობა გამოძალა, ბრძოლის ველიდან ყველაზე ადრე გიქცა, მისმა უნიკობამ და სიმზღვრემ უღანაშულო ქარისკაცები ამსხვევრლა. მცოდნე-ნოდა, საგანგებო მატარებელში იჯდა, ჩემი ხელით ჩავამალე მდი, თუმცე ქვრ კაცის სისხლი არ მადევს... საერთოდ, ჩემო დაო, მისი ნურაფერი ნუ გინდა; რაც მის სახელთანაა დავაუშინებელი, ყველაფერა მოსპე... (თავი იმ კარებისაკენ გაიქნია, პილატე რომ გაეღდა) ჩაეცი, ვათბობს მაინც... (რევაზი გადის).

თამარ — (სასიეროდ განწყობილი) ოფიცრის ტანსაცმელში ყურბატა... იფ!..

ნინო — გიჩემდი, ყურბატა კი არა, პილატე!

თამარ — (გიიქმება) პილატე თიქანამე, სმენაა!..

(ხმაური, ქვაფენილზე ცხენების ფლოქვების ხმა მოისმია).

პლატონი — (ყურდაცქვეტილი) რა ამბავია?..

თამარ — (ფანჯარასთან მიიჭრა, ფარდა ვაღსწია) ჩვენს სახლთან ცხენოსანი ესკადრონი შეჩერდა, ძაბრულაქუდებიანი, შუბლზე წითელი ვარსკვლავებით!..

პლატონი — ბოლშევიკები!..

თამარ — საქართველოს გამოთავისუფლებელი არმია!.. ნაბიჯით!

ნინო — თამრო!..

თამარ — იცინიან!.. ხედავთ, ბოლშევიკები იცინიან, თქვენ კი, თქვენ რას ამბობდით?!..

(ხმაური მატულობს, დარბაზში რამდენიმე ქალი და კაცი, მეზობლები შემოიკვივდნენ, შემოთქმულნი).

უღვაწეფართხილი კობუდა-წარბეზიანი — სახლი ალყაშია, ტერორი დაიწყო!.. ნინო თქვენ გკითხულობენ, დამალეთ რევაზი, დამალეთ თედო!..

წაწვრილებულცხვირიანი დედაკაცი — მთავარია თამრო, თამრო დამალეთ, თქვენსმეტი წლის ვოგონებს ერჩიან!

ნაოფიცრალი, განიერი ვალაფით, თეთრ პერანგში — (ჩიბიდან რეველერი ამოატრიალა) — იქნებ კობდეს პირველი ჩვენ ავუტეხით სროლა, ცხერები ხომ არა ვართ, რას იტყვის რევაზი?..

პლატონი — (ფარდაში იშხირება) ის კაცი ორჯონიძემია!..

ნინო — არა, პეკის მხოლოდ, ბოლშევიკები ყველანი ერთმანეთს პეკანან, როგორც თევზები.

თამარ — არაფერიც, ორჯონიძის დიდი უღვაში აქვს, ამას მე რომ ვხატავ ისეთი...

(ზარის ხმა. მეზობლები ერთ კუთხეში მოიუყვნენ, პლატონი უკანა კარით გაეღდა, თამარ გაიყოლა. ნინო მიფარებული დგას. ცვლავ ზარის ხმა).



- ტიმოფეი** — (კარი შემოაღო, ძაბრულა ქუდი ახურავს) ამხანაგო კომისარო, კარი ღიაა, მობრძანდით.
- ბეჯანი** — (შემოდის ბეჯან ქარცივაძე, აცვია ტყავის მოკლე პალტო, ახურავს ჩვეულებრივ ქუდს) ტიმოფეი, მოყვარე და კეთილისმყოფელი დიდებულთა დარბაზში იარაღაყრილი შედიოდა, ასე იყო ძველად, საქართველოში. ეს მოწინააღმდეგე და პატივსცემის მშვენიერი გამოხატულებაა. (ხმალი და რეველვერი კაბურთი მოიხიდა, შემოსასვლელში შევიდა და აწყობა). ტიმოფეი, შეასრულე ქართული წესი.
- ტიმოფეი** — შე არც ქართული ვიცი და არც რუსული, სამხედრო საბჭოს წესდებით ჯარისკაცი ვალდებულია მეთაური იარაღით დაიცვას, ბასტა! (მანაზიდან შემწვარი სიმინდის მარცვლები ამოიღო, ცალობით პირში იყრის).
- ბეჯანი** — ტიმოფეი..
- ტიმოფეი** — ნუ მიჭაერდებით, მე საგუშაგოზე ვარ.
- ბეჯანი** — ისე მოიქციე როგორც შენი უფროსი.
- ტიმოფეი** — ოო, ისე მოიქციე, როგორც შენი უფროსი, ეს იმას ნიშნავს, უფროსიც მოიქცეს ისე, როგორც მისი ერთგული ჯარისკაცი იქცევა. ბასტა!
- ბეჯანი** — იარაღი აიყარე.
- ტიმოფეი** — თუ იარაღს ამყრით, დემობილიზაციის წესით სახლში წავალ, ჩემს ღუნიაშას..
- ბეჯანი** — დაგახეროს ეშმაკმა.. (კუთხეში მიჩნეული მებრძოლები საფრთხიდან იქცევიან).
- ტიმოფეი** — ოო, შენ ამბობ ეშმაკმა, აქ კი რამდენი კონტრებიდა.. ოო! რუსეთიდან რომ გაერკეთე, იმათი ჯიშისაა, ლაქო ლაქოს ჰგავს.. (მზრიდან თოფი გადმოიღო).
- ბეჯანი** — (ამასობაში ყველა სათითაოდ იცნო) ტიმოფეი, თოფი დაუშვი, ესენი შეშინებულ ადამიანები არიან, გაჭაღარავებულან კიდეც.. ის ქვედა სართულზე ცხოვრობს, ეს წყელი გვერდით, პირისპირ.
- ტიმოფეი** — დაღაბეროს ეშმაკმა, საიდან გახსოვთ, კომისარო, ათი წელიწადია რუსეთში ხართ.
- ბეჯანი** — მანამდე, სანამ გიმნაზიდან გამორიცხავდნენ, ამ სახლს წინ ხშირად ჩამივლია. ფანჯარასთან გავაშვი თეთრი შაშვი გავლობდა..
- ტიმოფეი** — დაღაბეროს ეშმაკმა, თეთრი შაშვი პირველად მერმისი.
- ნინო** — (აქამდე რომ გაფართოებულა, მტრული თვალებით იშხირებოდა ევლარ მოთმინა) რისთვის მოსულხართ!..
- ბეჯანი** — (შევახედ) უნდა შეგქამო.. „პაპ“!.. ასე.
- ნინო** — შენგან დაიქვას არ მოუთმენს.. ბეჯანი!..
- ბეჯანი** — (მტკიცედ) თქვენმა სიყვარულმა მომიყვანა, ნინო!.. მალაღმდეგობას იქაბის სიყვარულმა.. (მებრძოლებმა პირი დააღეს, საკვირველება ესმით)
- ტიმოფეი** — თქვენ, პეი, განა არ გესმით, სიყვარული გაიწელა, მოშორდით.. (მებრძოლები გადიან)
- ბეჯანი** — ტიმოფეი, უშაბლონოდი..
- ტიმოფეი** — არის, უშაბლონოდი!.. განა არ ვიცი, ვიცი, მხოლოდ შეიწყდება. ბევრი ომიანობა აღამიანს ატეინებს, წეკომ გული ვამიზო. (ჩიბებს ტენის, მოშორებით სკამზე ჯდება, რაღაც ვაჟისებო) თოფის კონდანს თუ შაბლონია, ის სადაური შაბლონია, რამესავით ვაგოსთან სიყვარულს წელავ და იმათ ცხვირებში ჩაუჩრიათ, დისციპლინა შეირყა.
- ნინო** — ამიტომ მოხვედო, რომ შენი ჯარისკაცის ბუზღუნე მომასმენინო.
- ბეჯანი** — ბრწყინვალე ჯარისკაცია, ნუკრის გული აქვს.. ტიმოფეი, კარგადაა დამელოდე.
- ტიმოფეი** — რომელ კარგადაა, ამ სახლს ბევრი კარი აქვს, წინ რომელიც ჩვენ შემოვდივით, თუ უკან, რომელიაღაც დისახლისები ეზოში ჩადან სანაგვეზე..
- ბეჯანი** — სადაც ვინდაღეს.
- ტიმოფეი** — ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, მე ძველი მეგობრე ვარ. პეტროგრადის ნაგავი ჩემი გატანილია, ერთი ენახო, აქ როგორაა წმენდენ (უკანა კარით გვიღო).
- ნინო** — ჩემს ძმებს მოაკითხეთ, მათი სისხლი გვეუწრათ?
- ბეჯანი** — შენთან მოვედი.
- ნინო** — საბჭოთა ხელისუფლებას არ ვცნობ!..
- ბეჯანი** — ვინც არ ცნობს, მათ დასტოვებს აქაურობა.
- ნინო** — იქნებ გაშვოთებს კიდეც, რომ მხოლოდ ერთი გემი აივსო მშინარებით და გზაბანეული ადამიანებით. როგორ ვაიხარებდით, რომ მთელი საქართველო აყრილიყო,

- როგორც ეღმეველი — განფანტული და მიუსაფარი. ქვეყანა თქვენ დაგრჩე-
ბოლად, ვინ არ ათრია სპარტელო უხსოვარ დროიდან, ამასაც გაუძლებს?
- ბეჯანი** — დამთავრდა, ველარავინ ათრევს!
- ნინო** — სატანა მისი მფარველია?..
- ბეჯანი** — იქნებ გგონია, შენზე ნაკლები ქართველი ვარ, დამარწმუნე და ნახე, რას მოვი-
მოქმედებ.. უსაზღვროა ჩემი სიხარული, მაღალაშვილების ოჯახს რომ ვხედავ-
ჯერ დედა მოვიკითხე, მერე შენ..
- ნინო** — ბეჯანი..
(რევანის გეამი მუქ ტილოგადაფარებული საყავეთი შემოიტანეს, საყავეს პილატე მოყვება, ზალათშემოხებული, ვატრუსული. ამ მძიმე ამბის მოწმე თითქოს ვაზრდილა. მეორე მხრიდან თედო და ბეენაი შემოდან. თედო, საკინძეგახსნილი, საყავესთან მიიჭრება).

თედო — რევაზ, ძმოს!..

პალატე — (თედოს წინ გადაუდგა)... ნუ დახედავთ, დაიხსოვით ისეთი ვარკვი, როგორც სწავლობდათ ცოცხლებში იყო.

თედო — (შეჩერდა) ძმოს, ჭიუტი იყავ, ასე უსიტყვოდ როგორ წახვედი.

პალატე — ჩემს მკლავზე დალია სული.

ბეენი — რაო, რა გითხრა?

პალატე — ყველა სიტყვა მახსოვს ზუსტად, იმ რიგით, როგორც ამბობდა სულმოძრძავე. დანაცრებულნი... ორი მოუტყავს, უამისოდ გზის გაყვანა გასწავრებია... იმასაც გეტყვით რაც დაფინაზე: როცა შობილდა, საწყობებთან ახლომყოფ ქალს, ბავშვს და ყველას უყვაროდა, გასამახოდა შეშარავე ხმით, „მოყრიდეთ, მოშორდითო მაქაურობას“. მეც შობილდა ვაგრობოდა, ამ შეძახილმა ბევრის სიცოცხლე გადაარჩინა. იმ პარეპარეს მარტოდ დარჩა, ეძებდა ზონარს, ვაგრობული მიწის პოტნიდა, ვეღარ იპოვა. სასიკვდილო აფეთქებამ ყველაფერი მოასოლომა... ცეცხლის და მიწის ბუღში სულთმოძრძავე, ნახშირწყარილი სინათლეზე გამოვიყვანე, ვეღარა მცნობდა, მხოლოდ ამბობდა: „უსუსურების იარაღი პატრუქია და ზონარი მოკლე!“ (თედოს) თქვენი სახელი კენისით აღმოხდა, — მალაშვილები ასახელო, ჩემი დაყო გამოქრდა, ბეენი ჩემი დაყო... საქართველო შირად იცოცხლებს, შირავე გაქრას!.. ამ სიტყვებით სული დალია. (ცრემლიანი ხმით) ო, ღმერთო, მან სიკვდილს გადაშარჩინა, მე ვერ დაეცივი მისი სიცოცხლე.

სინათლე ქრება

სურათი მიმდგმა

მალაშვილების ბინა. სამაროეტო მავადაზე ზაქსის მავეტი დგას. ფანჯარაში გამარცხულ ქანდრის შტოს ქარი არხვეს, კენწეროზე უკანასკნელი ფურცლები ცვივა. მწუხრის ეამია. ნადრევი თოდის ფიჭვი მინას მიეკრო. შავებში ჩაცმული ნინო ტახტზე ზას, გულხელდაკრული მუგუზლის ცილს ირიბად უმზერს, მხრებზე შალი შემოთხვია.

ნინო — რევაზ, ძმოს!..

(ამოიკენსა. ზუხარზე შემოდებულ პატარა სურათს თვალი მიჰაყრო. მერე ადგა, სურათი შეაბრუნა. ზარის ხმა მოისმა).

— თამრო!.. (თამრო გამოჩნდა) კარი გააღე!..

(თამრომ კარი გაიღო. არაინაა, იგი გაიხმეს, ელაე ექურჩულება).

— თამრო!..

დაუძახა დაეკვებულმა ნინომ. თამრო გამოჩნდა.

თამრო — მამიდუკ, ელაე უცნობია, თქვენ გკითხვობთ.

ნინო — შემოვიდეს.

თამრო — უარს ამბობს, მეჩქარებო.

(ნინო გაეშურა. მუნასიბს თვალი მოკრა, შემერთალა უკან დაიხვეს, მაგრამ უმალ სიმშვიდის მოთგონებს).

ნინო — თამრო, წადი. იქ მიეშველე. (თამრო სასადილო ოთახში გადის, მუნასიბი შემოვიდა) მკვლელი..

მუნასიბი — ჩემდა!..

ნინო — მკვლელი..

მუნასიბი — თავსაც დაღუპავთ.

ნინო — აქ მოსვლა როგორ გახედეთ?!

მუნასიბი — ვითვალთვლებდით. სახლში მხოლოდ თქვენი ძმისშვილია. რა, საშინოა?

ნინო — არამზადავ, რაში მუნაღულება, რომ ფრთხილი ხარო, პაციცივით ფეხაკრფით დაარბებო.

მუნასიბი — კმარას!.. (ოთახს თვალი მოავლო) პოლკოვნიკი ჯანდიერი საქართველოშია.

ნინო — როგორ თქვით, გაიმეორეთ!..

მუნასიბი — თქვენი ქმარი.

ნინო — ჩემი ქმარი?!. მე ქმარი აღარა მყავს.

მუნასიბი — თქვენი ქმარი წინადადებს გამღევს, ინახულოთ, დღეს, ახლავე.

ნინო — ჩემი ძმის მკვლელი. არამზადა, ცოცხლებსაც რომ გვემუქრება!..

მუნასიბი — იყურეთ... მომყევით!..

ნინო — რევაზის სისხლი აღარ გვეთო?!. ჰა, მომკალით, ბარემ.



- მუნახები — ჩემდა!.. ბრძოლას მსხვერპლიც თან ახლავს. მოწყვეით.
- ნინო — სამგლე ბურჯაგი, მზღალი.
- მუნახები — განსჯა ნაადრევია.
- ნინო — მომწორდიო!.. და თუ არ წახვალთ, ქვეყანას შევყრი.
- მუნახები — თუ არ წამოხვალთ, მე, პოლკოვნიკ ჩანდიტის ხელქვეითს, ოდესღაც შტაბ-როტმისტრს, ნაბრძანები მაქვს თქვენი მოკვლა, ქალის მოკვლა მიმიძის, ნუ ჩამოდენინებთ, გვემდარებით.
- ნინო — მძელს, მეზიზღება!..
- მუნახები — იცის, რომ გეზიზღებათ და არც არასდროს გყვარებოთ, ისიც იცის, რომ მალე ბეჯან ქარციოძის ცოლი გახდებით, მაგრამ მაინც ვაზიანობს... გიხმობენ, როგორც რაზმელს, პოლკოვნიკი ხალხს ავროვებს.
- ნინო — არ ვამოვლდები. შირაჯი გაქრა. ჩემშიაც გაქრა.
- მუნახები — დრო ამოთურა. ლალატისათვის ნაბრძანები მაქვს ვიმოქმედო. რევანის სახელი გაემართო ღმერთმა.
- ნინო — კარგი. თვითონ მოვიდეს.
- მუნახები — აქ, სხვებთან?!
- ნინო — ეზოდან. საჭალაბოში დაველოდებით.
- მუნახები — კარგი, თანახმა ვარ, მხოლოდ პოლკოვნიკის ნახვამ არ შეგაერთოთ, მენახშირის ტანსაცმელშია,
- ნინო — მესმის!..
- მუნახები — ცოტაც და... საჭალაბოში ვიქნებით. ეზოდან. (წავიდა).
- ნინო — თამრო!..
- თამრო — (გამოჩნდა) ეინ იყო, ძლიერ რომ სუნთქავდა.
- ნინო — არაეინ, ზამქსში მოწყობა მთხოვა, ტექნიკოსია... ბარგი აქ შეკაოთ.
- თამრო — სასტუმრო ოთახში?!
- ნინო — იქ ზარის ხმა ცუდად იმისი.. თუ მიკითხონ, სახლში არა ვარ. მეძინება.
- თამრო — ბეჯანი რომ მოვიდეს?
- ნინო — ბეჯანი?.. მაინც არა ვარ.
- (თამრო გავიდა. ნინო წამით შეფიქრდა, ბუზარს შეშა შეუღმატა და თავის ოთახში გადის. თამრომ ფანერის ჩემოდანი შუა ოთახში დადგა. პილატემ გახსნილი მატარაშა თავისი ლეიბით, სახნით და სხვა საოჯახო ნივთებით იატაკზე გააფინა, მქილროდ ახვევს).
- თამრო — რა უნდა გააკეთო მარტოხელამ?.. შენ მართალია ვაჯაკი ხარ, მაგრამ ჯერ რა ხარ!..
- პილატე — ყოველ შემთხვევაში ბავშვი იღარა ვარ... შეე ბაზარში რეველერი დამიმიზნეს, არ შეშინებია.
- თამრო — რინდი ხარ!..
- პილატე — ამიტომ არა, ის დამიზნება თამაში მეგონა. ბავშვობას ომიანობას რომ ეთამაშობდით ის მეგონა.
- თამრო — სიყვდილს თვალეში უმზერდი. (მაგიდაზე ჩამოქდა, სყამზე ფეხი შემოადგა. ოცნებაშია).
- პილატე — არა, თამაში მეგონა.
- თამრო — გმირი ხარ!..
- პილატე — არა მეტეი.
- თამრო — საწყალი ბიძაშემო, როგორ უყვარდა გმირები, როგორ უყვარდა სიცოცხლე, გესმით, სიცოცხლე უყვარდა!..
- პილატე — ეიცო, ამ მსხვერპლმა მიმახვედრა, რომ სიცოცხლის ყვაილი ეკალბრდებოდა ჩადლული. მანამდე მე, ბავშვი ვიყავი... ახლა ვხვდები, ჩემი ტოლი ბიჭები რატომ არიან ბიჭები და არა კაცები, — სიცოცხლისათვის ბრძოლა არ უნახავთ, მე თამაშ ვიღარა უნდა მქონდეს.
- თამრო — ნამდვილი მამაკაცი ხარ.
- პილატე — (სერიოზულად) ნამდვილი!..
- თამრო — ჩვენთან ხომ იელი?
- პილატე — რა თქმა უნდა.
- თამრო — რაღას აჩქარდი?!
- პილატე — (ბარგის შეყვრას თავი მიანება) ჩემი აქ ყოფნა არ შეიძლება, თედოს თვალს ვერ ვუსწორებ... მიყვარხარ.

თამარ — (ქვლავ ოცნებაშია) ვიცი.

პილატე — ვისად მუშავებს დაემთავრებ, იქნებ გვინია, სწავლასაც ამით დაეხატულვებ. ვის-
წავლი, ვისწავლი ზარბაზ, როგორც გათავისუფლებული მონა ეწოდებოდა ჰერს, მიწას,
მთელ ქვეყანას... დიდი მადლობელი ვარ შენი. „სპარტაკი“ შენ წამოიკახტე, „რო-
ბინზონ კრუზოც“, შენ წამოიკახტე, გეომეტრიაში შენ მეხმარებოდი, შენი წყალობით
როილზე ერთი სიმღერაც ვისწავლე... მადლობელი ვარ. (ბარგს ჰკრავს).

თამარ — რა სათქმელია, რევოლუციაში ქალის როლი შენ მასწავლე.

პილატე — (ბარგს თავი მიანება) თამარ, შენ თუ ვიყავარა?

თამარ — (თოქოს ოცნებაშია) მე, იმ შეტეობას არ დავუშვებ, რაც თავის ღროზე მამიდა-
ჩემმა ჩაიდინა... ბეჟანს რომ უარი უთხრა. მე, თანხმობას გეტყუო. ასლა კი არა,
როცა გიმანზიას დაემთავრებ.

პილატე — აბა, მე თავს არ დავზოგავ.

თამარ — შენ იქნები ბეჟან ქარცივაძე, ნომერი ორი.

პილატე — (ბარგს თავი შავრად შემოუჭირა) კი... გაწყდამ (წაიქცა ფუთა დაიშალა).

თამარ — „ქარვის კალთა ზაზღართული ჩაქვერ ჩავაკარბავე,
ყრმასა ფერხთით წავეტანე, თავი სეტესა შეუტარა“...

პილატე — რუსთაველი!

თამარ — სწორია. თოკი ხამზარეულშია, მოგინათ?

პილატე — მე თვითონ... (პილატე გადის. ზარის ზმა).

თამარ — მობრძანდით...

(ზორაბა და ბარაბა გამოჩნდნენ, ზორაბა ძალუშად შეიპარებულა, ბარაბა ახალ, ქვალ
ტანსაცმელში გამოწყობილი).

ზორაბა — პილატე თიანაძე აქ ცხოვრობს?

თამარ — დიახ...

ზორაბა — ჩვენ, ამხანაგ პილატე თიანაძის მეზობლები ვართ, ზორაბა და ბარაბა.

თამარ — ახლავ დაუძახებ. დაბრძანდით. (თამარ გადის. ზორაბამ სელის სკამი გასწვია, რბილ
საფარძელში ჩაქდა. ბარაბასაც რბილი საფარძელი ვერგო. ზორაბა ავეყვს ათვლიერებს,
ბარაბა ჰერს).

ზორაბა — ბარაბა ხელავ, რევოლუციის ნაყოფი ამ ბიჭს ვერგო.

ბარაბა — ჰეკს არ უყურებ? მეხი რომ ჩამოსკდეს, რას დააკლებს. კრამიტია?

ზორაბა — შე კაცო, სახურავს რას ეჩივი, ოჭროს სკამი ვერგო.

ბარაბა — აგერ ახტზე რა გვინია, — ქარაფების ჩამონგრევაზეა. ქარაფებიდან ხილზე, ხილ-
დან ლინდავზე, ლინდავიდან კაშხალზე, კაშხალიდან მანქანაზე.

ზორაბა — იფხუს, გურგენა თიანაძე მოსწერებოდა... (სხვი ტონით) ზაქსის შვენებლობა რომ
დამთავრდება, მერე რას იზამს?

ბარაბა — მანამდე, შე კაცო, ასე თუ იზარდა, ორჯონიძეც გაუშანავდება.

ზორაბა — არც გაგიკვირდეს.

ბარაბა — არა.

ზორაბა — ბარაბა..

ბარაბა — ზორაბა!.. (ამ შეძახილებით აღნიშნეს პილატეს გამოჩენა).

პილატე — (ხელში თოკი უჭირავს) ო!.. ბარაბა და ზორაბა..

ზორაბა — (ფეხზე დგას) მეჩვიდმეტე უბნის სამილიციო კომისარიატის რიგითი მებრძოლი
• ზორაბა კოძე.

პილატე — რამდენი იარაღი გიმოგინია.

ზორაბა — ეიზრქვი.

პილატე — დაქვეით. (ბარაბას) კრამიტი იშოვე?

ბარაბა — ქვეყნის..

პილატე — სამუშაოს როგორ შეეწყვე?

ბარაბა — ჩემი სურათი დაჭაზე გააწებეს.

პილატე — შენ ზორაბა?

ზორაბა — ერთ საქმეში კიდევ უნდა დამეხმარო... შენი და შენი უფროსის წყალობით კაცი
გატეხა. ეს პატრონსაცა მე რომ დაგიფიქრო, მამანემი, კალიოფა კოძე არ შეიბრუნეს,
ხელი ეღოოდა, სანამ დაკაცებულს მნაბავდა და მოვამწარი კიდევ. ზორაბა კომი-
სარიატში მუშაობსო, თურმე დღე და ღამე ქვიფობს.

პილატე — მერე?

ზორაბა — ნამეტანი რიგითი ვარ. დაწინაურება მინდა.



პილატე — შერე, გაინძერა.

ზორაბა — განძრევა და სირბილი მაკლია?.. საღვროდან ღრმა დღესთან ხალხურამდე, წინ და უკან ასე, პატრონის მძებნარი ძალღივით დავრბივარ და მაინც არაფერი გამოდის. უნდა დამეხმარო.

პილატე — შე რა შემიძლია?

ზორაბა — (შორწინებით) ვგება ვინმე დასაქვარი გვერუბა, კონტრარეოლუციონერი, ან ქვრივი მაინც.

პილატე — შავი ბაზარი ვაქვშოდა. კონტრარეოლუციონერები დაქვრივია, ქვრივი არ ვიცი.

ზორაბა — ერთ კაცს რომ დამაქვრინებდეს, რწმუნებულის ადგილი ხელში მიკავია, რეოლუციასაც საქშეს გავუკეთებ.

პილატე — კაცის დაქვრით?!

ზორაბა — ამხელა ქალაქში დასაქვრს რა გაწყვეტდა?!

პილატე — მომეშველა...

ზორაბა — კვ, შენი კირიბე... (ზორაბა და ბარაბა ბარგის შეკვრაზე ეხმარებიან) ჩვენს სოფელში, თუ ვახსოვს, ერთხელ არტილერიის უფროსმა ჩამოიარა, ქორივით კაცი იყო. უარაბრით ცხენზე იწვია, გულზე ათასი წონის და ზომის ჭვარ-შედლები ქონდა გადაიხინებულა. პო, რა იყო იმაზე ლაპარაკი კალიოფას წერაც არ გავთავებია. კაცი თუ ხარ, კი უნდა იყო ასე გადაიხინებულა.

პილატე — იმ კაცმა გერმანიისთან ომში შოიპოვა სახელი. ვახსოვს.

ზორაბა — ახლა, მედღეს და ორდღეებს მივიღებო, ომი არ მინდა. მტრის მოსპობა უომრადვე შეიძლებაო, — ამბობს ჩვენი უფროსო... (სხვა ტონით) ხანდახან თვალებს ისე დაწყურავს და ჩამაშტერდება, რომ ჩემი თავი სათაგურში გამოწყვედული მგონია.

პილატე — შენ რას გეტჩის?..

ზორაბა — ვინც კონტრარეოლუციონერს არ იტყვს, თვითონ კონტრარეოლუციონერიაო!..

პილატე — ბარაბა, შენ?..

ზორაბა — ბაბამ შემოითვალა, სახლი გადახურა, მარა ღაღარში ცეცხლი ჩაქრავ სულის საბერეელი გაიხინეო, ცოლი მინდა.

პილატე — შეირთე, ზაქესში ქალიშვილებიც ზღომადაა.

ზორაბა — ვინმე პატროსანს და გამარჯვს, შენ რომ შეაგულიანებდე...

პილატე — შეგერთო?!. დაგაქვრინო?!. ასეთ კაცად მიცნობო?!. ბარგი აიკიდეთ, შენ ჩემოდანი.

ზორაბა — საღ გადახველი?

პილატე — ზაქესში!..

ზორაბა — ზაქესში, შე კაცო, სულ ფიცრულებია.

პილატე — იქ ვიცხოვრებ, სადაც ვმუშაობ.

ზორაბა — ამ სახლს ვის უტოვებ?

პილატე — პატრონი.

ზორაბა — კი გამოიკვირდა, პილატე ასე ზურჯუაზიულად რატომ მოეწყო მეტქი, იქნებ სახლის პატრონია დასაქვარი?..

პილატე — შენ, შენი უფროსი გამოგათავებებს.

ზორაბა — ბიჭო, შეხედე გვირგვინოსანი ქალის სურათი

პილატე — თამარ მეფეა.

ზორაბა — მეფე-მეფეა!.. პატრონი დასაქვრია, ბიჭო!

პილატე — ვისი პატრონი, შე უპატრონო?!

ზორაბა — ამ სურათის.

პილატე — თამარ მეფე მუშათა კლასს კი არ ებრძოდა, — თურქებს!

ზორაბა — მაინც მეფეა!.. პატრონი მაჩვენე, გავქაჩავ!..

პილატე — ამ სურათის პატრონი, შე უპატრონო, ზაქესს აშენებს!.. (კიტლავი ამოცრა) ვაეთრიეს!.. (ზორაბა გააგდო).

ზორაბა — გაპანდურე?!

პილატე — იმ სულელთან არ დავინახო, ბარგი აიკიდე.

ზორაბა — (ბარგს აიკიდებს) ღიდაკობის მონატრული დამქვრად რავე დააყენეფ...

პილატე — ასეა, ზოგ ადამიანს ბელურა სასარგებლო ჩიტი მგონია და ფანჯარაზე სიყენს უყრის.

ზორაბა — შინაურებს დავერგვია!..

ზორაბა — (ყარებში თავს შემოყოფს) ჩემი სიტყვა დაიხსომე, ამ სახლის პატრონი დღეს თუ არა, როცა იქნება მიონც გავქაჩავ!..



- პილატე** — არაშინადა... (წასაღებელ დადგმულ თიხის სურას ხელი წამოთავლო, ესროლა, ზო-
რბამ გაასწრო, სურა გატყდა)
- თამრო** — (გამოხინდა) რა ამბავია?
- პილატე** — შშვილობა...
(თედოს და ბეჟანი შემოდიან, პალტოებს იხლიან).
- თედო** — (საყვედურით) თამაშობთ?... კარგი დრო შეგვიჩვენეთ.
- პილატე** — სათამაშოდ ვილას ცალია.
- თამრო** — (ნატყებები აკრიფა) რამ გატყება?
- პილატე** — თავისით გატყდა...
- თამრო** — სწორედ... (ნამტყერვეები გააქვს).
- პილატე** — (მარაბას) რას გამოშტერდი, საღვურშია.
პარკაყიდული ბარაბა ვაღის).
- თედო** — შე ახლა მჭიროდა ხმის გამოცემა, შენ კი წახვედი.
- პილატე** — მიინც თქვენთან ვარ... იქ, ჩემს ბინაში, დაისვენებთ.
- თედო** — დასვენება აღრეა, ჩემო კარგო... ტურბინებს რომ შიიღებთ, გენერატორის ობობას
შერე, ან შერე რა?.. ცოცხალი კაცის დასვენება ვინ თქვა... (სინანულით) აი, დასვენ-
ება, ჩემი საცოდავი მამა, ისვენებს...
- პილატე** — ნუ იტყვი, იგი ბევრ ცოცხალს სჭაბს.
- ბეჟანი** — (აქამდე რომ ზაქსის შაკეტს გატაცებით ათვლიერებდა) ერთი შეხედვით, საბჭოების
ქუშმარტი გზა. მილიონი მუშის ძალას მოგვეცემს. მილიონის, ჩაწუდება მგლებს
ლმელი. მტერი არ ედება, თავზარსა სცემთ ქუშმარტიება.
- პილატე** — ვილა დარჩა? შეი ბაზარი გაუქმდა.
- ბეჟანი** — (პილატეს შეამიტობა ღიმილს მოგვრის) შუა გზაზე ვართ.
- თედო** — ნინო სად არის?
- პილატე** — ძინავს.
(საქალაქოდან რევოლვერის გასროლა მოისმა ორგერ).
- ბეჟანი** — (შეშფოთებული) თქვენს სახლში!..
- თამრო** — (ნინოს ოთახში გარბის) საქალაქოში თოფი გაეარდა.
- თედო** — ღმერთო, რა უნდა იყოს!.. მიხატათ, რა ჩაიღინა, თვითმკვლელობისთვის შევა-
ჩვენებს!..
(თედოს არც კი უცდია ოთახში შესვლა, იგი ადგილზე დგას, თამრო ზურგიან მო-
დის, შამიღამის თვალს არ აცილებს. ნინო გამოხინდა თამაშოშლილი).
- თედო** — (ისტერიულად) რად დადუმდით!..
- ნინო** — (ხმა ამოიდგა) ღმერთს გფიცებით, არ მინდოდა, მხოლოდ დავასწარა...
- თედო** — (ზარდაცემულ სახეზე იმედის სხივი გაუჩნდა, ნინოს მოხედა) ვინ მოკლდა?!
- ნინო** — ღმერთმანი, არ ვიცი, ერთი მოკვდა, არ ვიცი რომელი... (თედოს მიუახლოვდა, მაგი-
დაზე რევოლვერი დასდო) პა, ერთხელ რომ გამოგაჯავენეს (ხმას აუწევს) ჩი-
ჩაღღნების წასაქრობად!.. (ნინო წაბარბაცდა, ბეჟანი მიეშველა, სკამზე დასვა,
ქუჩიდან მოისმის პაოეთიურნი მარში).

ფარდა

ჯონ სკინნერი

ზამთარი ჩვენი მღვდვარებისა

ნაწილი პირველი

თავი პირველი

როცა აპრილის მშვენიერმა თქროს დილამ მერი ჰოული გააღვიძა, ქალი ქმრისკენ გადაბრუნდა და ნახა, რომ მას ნეკა თითები პირში ჩაეყო — ცოლს ბაყაყივით ეჭყანებოდა.

— რას მაიმუნობ, ითენ, — უთხრა ქალმა, — ისევ შენი კომიკური ნიჭი გინდა გამოამჟღავნო.

— ცოლად არ გამომყვები, ქალბატონო თავუნია?

— ჯერ არ გაგიღვიძია და უკვე დაიწყე შენებური?

— დრო მიდის... ხომ ხედავ, რა დოლა გათენებულა!

— აკი ვთქვი. დაიწყო თავისებური. აღარც კი გახსოვს, რომ დღეა წითელი პარასკეია?

კაცმა ყრუდ დაიბუხუნა:

— ბინძური რომაელები გოლგოთასთან გაწკაპულან.

— ღმერთს ნუ ჰგმობ. დღეს თერთმეტი საათისთვის მარულო დუქანს არ დაგაკეტინებს?

— ჩემო ძვირფასო ყვავილო, მარულო ხომ კათოლიკი და ჩერჩეტი იტალიელია. დღეს, ალბათ, სათოფედაც არ მომეკარება. შესვენებაზე დავკეტავ, შუადღისას, და მანამ დასჯას არ მორჩებიან, არც გავადებ.

— რა პილიგრიმივით ლაპარაკობ. არ ვარგა ასე.

— კარგა ერთი. ეს დედაჩემის მხრიდან გამომყვა. მეკობრეებმა იციან ხოლმე ასე. ნამდვილა დასჯა კი იყო.

— მეკობრეები საიდან მოიტანე?! აკი ჩემი წინაპრები ვეშაბებზე მონადირენი იყვნენ და — სკონტინენტო კო-

ნგრესია თუ რაღაცა — იმისი საბუთებიც კი ჰქონდათო.

— ისინი რომ ცეცხლს უშენდნენ, იმ გემზე მეკობრეებად მიაჩნდათ. და რომაელი ჯარისკაცებიც დასჯა ეძახდნენ ამას.

— ხომ ხედავ, როგორ გაგაცოფე. მიყვარს, თავის გასულულებას რომ მოჰყვები.

— ვარ კიდევ სულელი. ვისაც გინდა, ჰკითხე.

— სულ ასე ამირეც ხოლმე დავთრებს. სრული უფლება კი გაქვს იამაყო — ერთ ოჯახში პილიგრიმებიც გყოლიათ და ვეშაბებზე მონადირე გემის კაპიტნებიც.

— იმათ თუ აქვთ?

— ვერ გავიგე, რას მეუბნები.

— ჩემს დიდ წინაპრებს თუ აქვთ-მეთქი საამაყო, რომ მათი უბადრუკი შთამომავალი მედუქნედა ჰყავს ვიღაც ოხერ იტალიელს სწორედ იმ ქალაქში, სადაც თვითონ ბატონ-პატრონები იყვნენ?

— სადაური მედუქნე ხარ, პატრონს უფრო ჰგავხარ — ანგარიშს შენ აწარმოებ, ბანკში შენ შეგაქვს ფული და საქონელსაც შენ უკვეთავ ხოლმე.

— მართალი ხარ. თან დუქანსაც მე ვგვი, ნაგაიცი შე გამაქვს, მარულოს ფეხქვეშ ვეგები... კატა რომ ვიყო, თავებესაც დავუჭერდი.

ქალმა ხელი მოხვია.

— მოდი მართლა ვისულულოთ თავი, — უთხრა მან, — ოღონდ ამ წითელ პარასკევს ნუ იგინები. მე შენ მიყვარხარ.

— ასეა. — თქვა კაცმა ცოტა ხნის შემდეგ, — ვისაც არ უნდა გამოეღობა-

რაკო, ამას გეტყვის. ოღონდ ნუ გგონია, რომ ცოლშვილიან კაცთან დედიშობილა წოლის უფლებასაც გაძლევდეს ეს.

— ბავშვებზე მინდოდა ახლა რაღაც მეტყეა.

— ციხეში ჩასვებს?

— ისევე აურია. ჯობს, თვითონვე გითხრან.

— შენ რატომ არ...

— მარჯი იანგ-ჰანტს დღეს კიდევ უნდა ვაკითხვინო.

— წიგნი? ვინ არის ეს მარჯი იანგ-ჰანტი, ყველანი რომ მოგხიბლათ...

— იცი რა გითხრა — ეპვიანი რომ ვიყო... ნათქვამია, კაცე რომ თავს იკატუნებს, თითქოს ვერც კი ამჩნევდეს ლამაზ გოგოს...

— ოჰო! მაგასაც თუ გოგოს ეძახი ორი ჭმარი გამოუცვლია.

— მეორე მოუყვდა.

— საუზმე მინდა. და შენც გჯერა ეგ ხისულელე?

— ძმაზე რაც მირჩია, ამხნდა. ვინმე ძალიან ძვირფასიო, ასე მითხრა.

— ვინმე ჩემი ძალიან ახლობელი და ძვირფასი კაი პანდურს მიიღებს, ახლავე საუზმე თუ არ...

— მივდივარ... ერბო-კვერცხი?

— შე მგონი ნეტა ვინ დაარქვა წითელი პარასკევი? რა აქვს წითელი და კარგი?

— ეჰ, რა კაცი ხარ! — უთხრა ქალმა, — ღლაბუცისათვის გაჩენილხარ.

როცა ითენ აღენ პოული სასადილო მაგიდასთან ჩივიდა, უკვე გამზადებული დახვდა ყავა, ერბო-კვერცხი და ხრამუნა პური.

— მშენიერ გუნებაზე ვარ, — თქვა მან, — მაინც რატომ ეძახიან წითელ პარასკევს?

— გაზაფხულია, — გამოსძახა ფილაქურასთან მდგარმა ქალმა.

— გაზაფხულის პარასკევი?

— გაზაფხულის ხურევაა. ეს რა ამბავია, ბავშვები აღგნენ უკვე?

— აღგნენ, როგორ არა! უქნარა ნაბი-

ჭვრები. უნდა წამოყარო და კარგად აუხურო გვერდები.

— რო წამოვივლის, შენ თუ მომხმე არ იცი, რას ბოდავ. შესვენებაზე არ მოხვალ?

— არა მგონია.

— რატომ?

— ქალების გამო. იქნებ ვინმე შევიტყუო. თუნდაც ის შენი მარჯი.

— ნეტა რას მივლ-მოვლები, ითენ. მარჯი ნამდვილი სამეგობროა. პერანგს გაიხდის და შენ მოგცემს.

— ოჰ? აცვია მერე პერანგი?

— ისევე პილიგრიმივით მოჰყვია.

— სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ის შენი მარჯი ნათესავად მომხვდება. მასაც მეგობრის სისხლი აქვს.

— ეჰ! კიდევ დაიწყო. აჰა, სია, — გულის ჭიბეში ქაღალდი ჩაუღო, — ბევრი მოგეჩვენება, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ აღდგომის კვირა მიიწურა... ოციოდე კვერცხიც გამოაყოლე, არ დაგავიწყდეს. დაგავინდება.

— ვიცი. დიდი ამბავი, ათცენტიანი მუშტარი თუ დაეუკარგე მარულოს. ოცი რად გინდა?

— შესაღებად. აღენი და მერი ელენი შემეხვეწენ. წადი ბარემ.

— მივდივარ, ჩემო კიამარია... მაგრამ ზემოთ არ ავირბინო — ტყავი არ გაეაძრო იმ შენს აღენსა და ელენს?

— სულ გააფუჭე ეგ ბავშვები, ით. თვითონაც ხომ ატყობ.

— მშვიდობით, სახელმწიფოს ბურჯო, — უთხრა კაცმა, ბადის კარი გაიჭახუნა და ოჭროთი შეფენილ მწევანე დილას შეერია.

თავის კოპწია ძველებურ სახლს ვა მოხვდა — მამის სახლს, დიდი ბაბის სახლს; ადამის* სტილზე მოჩუქურთმებული შენობა თეთრად შეეღებოთ, სადარბაზო კარს ზემოთ, ნახევარწრედ, მარაოსებური სარკმელი ჰქონდა დატანებული და სახურავსაც „ჭვრივის ბილიკი“ გასდევდა; ღრმად იყო ჩამჭდა-

* ივლისსმება ცნობილი ინგლისელი არქიტექტორი რობერტ ადამი.

რა მწვანე ბალში, ირგვლივ ასწლოვანი სქელი ისაამნები შემოხვეოდა, რომელთაც კვირტები დასკდომაზე ჰქონდათ. თელის ქუჩიდან თელებს კენწეროები გადმოედუნათ, ისაამნებს შეერთებოდნენ და ახალგამოდებული ფოთლები სიყვითლის იერს აძლევდა ისაამნის ბუჩქებს. მზემ ბანკის შენობიდან აკრიფა თავისი სხივები და გაზის ქარხნის ვერცხლისფერ კოშკს დააფრქვია. ჰაერში ძველი ნავსადგურიდან მონაბერი მარლისა და იოდის სუნი დადგა.

თელის ქუჩაზე ამ დილაადრიან მარტო ერთი სულეირი გამოსულიყო — მისტერ ბეიკერის წითელი სეტერი, წითლა ბეიკერი; ღირსეულის სიღინჯით მიჰყვებოდა ქუჩას და თელის ხეებზე მიკრულ სავიზიტო ბარათებს დიდის გულმოდგინებით სუნაგდა.

— დილა მშვიდობისა, სერ. მე ითვენ აღენ ჰოული გაზღავართ. ჩვენ უკვე შევხვდით ერთმანეთს, აი თქვენ რომ ფისი ინებეთ.

წითლა ბეიკერი შედგა და თავისი დინლა კუდის ნელი ქიციანით უბასუხა.

— აგერ ჩემს სახლს ვათვალისწინებ,— თქვა ითენმა, — სცოდნიათ ძველად სახლის აგება.

წითლამ თავი გვერდზე მიღრიცა და უკანა ფეხი ერთი-ორჯერ დაუდევრად ჩამოისვა ნეკნებზე.

— ანკი რატომ არ ეცოდინებოდათ? მე შენ გეტყვი, ფული არ ეშოვებოდათ! გეშაპის ქონი — ყველა ზღვაში მოგროვებულა... სპერმაცეტი. იცი რა არის სპერმაცეტი?

წითლამ ამოიხვნეშა.

— გატყობ, არ იცი. ეს არის კაშალოტის თავის ტვინიდან გამოწურული ზეთი — გამჭვირვალე და სასიამოვნო, ვარდის სუნი დაჰკრავს. „მობი დიკი“ წაიკითხე, გეტყუნა. ჩემი რჩევა იქნება.

სეტერიმა ფეხი ასწია და ტროტუარის რკინის მოაჯირზე ჩამოდო. ითენმა გზა განაგრძო და უკანმოუხედავად გამოსძახა წითლა ბეიკერს:

— მერე შენი მოსაზრებაც დამიწერე

ამ წიგნზე. შენ უნდა მოგაბარო ჩემი ბიჭი. „სპერმაცეტი“ კი ვერც დაგიწვამ სწორად... ვერც სხვა რამეს.

ითენ აღენ ჰოულის ძველებური სახლიდან ორიოდ კვარტალს გაივლი და თელის ქუჩა ირიბად ერთვის მთავარ მაგისტრალს. ჯერ ერთი კვარტალიც არ გაეგლო, რომ ელგარების სახლის წინ, ახლადამოწვერილ ბალახზე, ინგლისური ბელურების თავაწყვეტილ გუნდს ერთი ყოფა გაემართათ; კი არ თამაშობდნენ—გამწარებით იბრძოდნენ: მიწაზე აგორებდნენ ერთმანეთს, თვალებსა თხრიდნენ, გაცოფებულებს ისეთი ჰყვილი აეტებათ, რომ ითენიც ვერ შენიშნეს. შედგა და ყურება დაუწყო.

„ჩიტებსაც თუ ტყბილად სძინავთ პაწაწინა ბუღეში, — თქვა ითენმა, — ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება, ველარ ვპოვეთ ნუგეში“. ჰმევაც ამას ჰქვია! ამ მშვენიერ დილასაც კი ვერ მორიგებულხართ, ყმაწვილებო, ერთმანეთში?! ნეტა, რა ღირსი იყავით, თქვე ნაბიჭვრებო, რომ წმინდა ფრანცისი თავს გველებოდათ. ჰმა!.. — შეუტია და ფეხი მოუქნია. ბელურები ფრთების გამძაფრებული მხულით წამოიშალნენ და ცაში აიჭრნენ; გაუსაბნავე კარივით აწრიბინდნენ და თავიანთი მწარე უკმაყოფილება ამითლა გამოხატეს, — იცი რას გეტყვით — მიამახა მათ ითენმა, — შუადლის ეამს მზე დაბნელებდა, მიწას წყვილიადი დააწვება და თქვენ მოგიაკვთ შიში უღმობელი, — ისევე ტროტუარზე გადავიდა და გზა განაგრძო.

მეორე კვარტალში ფილიპსების ძველი სახლი იდგა, სადაც ახლა პანსიონი გაეხსნათ. სადარბაზო კარებიდან პირველი ნაციონალური ბანკის ადგილობრივი განყოფილების მოღარე ჯოი მორფი გამოვიდა. კბილი მოიჩინქნა, ყილუტი გაისწორა და ითენს გასძახა:

— სწორედ თქვენთან უნდა შემომეგლო, მისტერ ჰოული.

— რატომ ეძახიან დღევანდელ დღეს წითელ პარასკევს?

— ეს ლათინურიდან მოდის, — მიუ-

გო ჯოიმ, — წითლიუს, წითლისიუს, წითლიუმ.

— სინამდვილეში კი საძაგლობას ნიშნავს.

ჯოი ცხენსა ჰგავდა, და გაცივებაც ცხენს მიუგავდა — ზემოთა ჩამოგრძელებულ ტუჩს გადახსნიდა და დიდ, კვადრატულ კბილებს გადმოყრდა. ჯოზეფ პატრიკ მორფი, ჯოი მორფი, ჯოი-ბოი, ანდა უბრალოდ „მორფი“ სულ რამდენიმე წლის ჩამოსული იყო ნიუ ბეიტაუნში, მაგრამ მთელი ქალაქი იცნობდა. ხუმარა კაცი იყო, ოღონდ თვითონ ისე იხუმრებდა, პოკერის მოთამაშესავით ერთი კუნთი არ შეერხეოდა სახეზე. სხვის ხუმრობაზე კი წარამარა იკრიჭებოდა, თუნდა ათასჯერ ჰქონოდა მოსამენილი. ჰუისკოლოფი იყო ეს მორფი, ყველაფერი იცოდა, რაც კი ჰქვეყანაზე ხდებოდა — მაფიათი დაწყებული და მანტაბატენით გათავებული, მაგრამ ისე გაფაციცებით იცოდა ხოლმე ახალი ამბების მოყოლა, თითქოს თვითონ კი არა ჰყვება — სხვასა ჰკითხავსო. ამ გაფაციცებულ ტონის წყალობით, მას თავდაჯერებული კაცის შთამაგონებლობა აკლდებოდა, მსმენელებს კი ისეთი გრძნობა ეუფლებოდათ, თითქოს მისი ამბის მონაწილენი ყოფილიყვნენ, და სხვებს შემდეგ ისე უამბობდნენ, როგორც საკუთარ ამბავს. საოცარი კაცი იყო ჯოი — ახარტული მოთამაშე, (მაგრამ კაციშვილი არ მოსწრებია, ოდესმე სანაძლეო დაედოს ვინმესთან), კარგი ბუდალტერი და შესანიშნავი მოლარე. მისტერ ბეიკერი — პირველი ნაციონალური ბანკის დირექტორი — ისე ენდობოდა, რომ მთელ თავის საქმეს მას აკეთებინებდა. მთელს ქალაქში ყველასთან პირადი ნაცნობობა ჰქონდა ჯოის, მაგრამ სახელით არავის არ მიმართავდა. ითენი — მისტერ ჰოული იყო მისთვის. მარჯი იანგ-პანტი — მისის იანგ-პანტი, მიუხედავად იმისა, რომ ხმა დადიოდა, ლოგინში ერთად წეანანო. უცოლ-

შვილო და უთვისტომო კაცი იყო, ფილიპსების ძველ სახლში ერთ-ერთად ეკირა, საკუთარი სააბაზანოთქალაქში მელს, უმთავრესად, რესტორანში შეეკცეოდა. მის ნამსახურობას კარგად იცნობდა მისტერ ბეიკერიცა და მთელი გამგეობაც, და ბანკში მთელი მისი წარსული სამსახური სავსებით უმწიკვლო იყო. მაგრამ ჯოი-ბოი ისეთნაირად ყვებოდა ხოლმე სხვის თავგადასავალს, რომ უნებურად იფიქრებდი — ეს თვითონ ჯოის ხომ არ გადახდომია თავსაო, და თუ მართლაც ასე იყო, მაშინ კი გამოქეჩილი ვაჟბატონიც ბრძანებულა. თავდაბლობის გამო ხალხს კიდევ უფრო უყვარდა იგი. ფრჩხილები მუდამ სუფთა ჰქონდა, ტანსაცმელი კობტად და ლაზათიანად ადგა, გაქათათებული პერანგი და გაპრიალებული ფეხსაცმელი ეცვა.

დინჯად დაუყვნენ ორივენი თელის ქუჩას, მთავარი მაგისტრალისაკენ.

— სულ ეს მინდა გკითხოთ და მავაწყდება — აღმირალი ჰოლგეი ხომ არაფერი ყოფილა თქვენი?

— აღმირალ ჰოლსში ხომ არ გეშლებათ? — კითხვა შეუბრუნა ითენმა, — კაპიტნები ბევრი გვყოლია გვარში, მაგრამ აღმირალი არ გამიგონია.

— ვიცი. პაპათქვენი ვეშაპებზე მონადირე გემის კაპიტანი ყოფილა. ალბათ, ამას ვფიქრობდი და აღმირალში ამერია.

— ამისთანა ქალაქში ლეგენდებს რა გამოლევს, — თქვა ითენმა, — იმასაც კი ამბობენ, თითქოს მამაჩემის წინაპრები მეკობრეები ყოფილიყვნენ, ხოლო დედაჩემისა — „მეიფლაუტერს“ მოჰყოლოდნენ ამერიკაში.

— ითენ ალენ? — შესძახა ჯოიმ, — ღმერთო ჩემო... ისიც ნათესავად მოგხვდებათ?

— ადვილი შესაძლებელბა. ნამდვილად ასე იქნება. — მიუგო ითენმა, — რა მშვენიერი დღეა... უკეთესს ვერც ინატრებთ კაცი. რას მეძებდით, რა უნდა გეთქვათ?

— ჰო, მართლა. თქვენ, მგონი თორმეტიდან სამამდე უნდა კეტავდეთ მალახიას. იქნებ, ორი სენდვიჩი მომიშვადოთ თორმეტის ნახევრისათვის. შემოვირბენ და წამოვიღებ. ერთი ბოთლი რძეც.

— ბანკი არ იკეტება?

— ბანკიც იკეტება. მე — არა. საწყალი ჯოი იქ უნდა ეგდოს, დაეთრებზე მიჯაპეული. აღდგომის კვირია — ძალი და კატა სულ ბანკში გამოიბის, ხელში ჩეკ-მომარჯვებული.

— არც კი წარმოგიდგინა, — თქვა ითენმა.

— რა ბრძანებაა! აღდგომა, ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე, ოთხი ივლისი, შრომის დღე... ერთი სიტყვით, ყველა დიდი დღესასწაულის წინ. ბანკის გაქურდვა რომ გადავწყვიტო, უსათუოდ დიდი უქმეების წინა დღეებში ვიზამ. ფული კაცაკაცად აწყვია, წამლებს ელოდება.

— შენსობას გაუქურდავთ?

— არა. ერთი მეგობარი მყავს, ორჯერ გაქურდეს.

— რაო, როგორ მოხდაო?

— საშინლად დავფეთდიო. რასაც მიბრძანებდნენ, ყველაფერს ვაკეთებდიო. ძირს გავაშორტე და — წაიღეთ, რამდენიც გინებოთ. ფული კარგად იყო დაცული, შენ ჩემი გეკითხაო.

— როცა დავკეტავ, სენდვიჩებს მაშინ მოგიტანათ. უკანა კარებზე დაგიკაკუნებთ. რის სენდვიჩი გინდათ?

— ნუ შეწუხდებით, მისტერ პოული. ქუჩის გადმობრუნას რა დიდი რამე უნდა... ერთი ლორით იყოს, მეორე ყველით, კვავის პურზე. სალათა და მაიონეზი. იქნებ ერთი ბოთლი რძეც მომიზღვს, და მერე კოკაკოლა.

— მშვენიერი სალიამი გვაქვს — მარულო რას არ გააჩენს.

— არა, მადლობელი ვარ. როგორა სწევს ეს ერთი კაცი მაფიობას?

— მე მგონია, არა უშავს რა.

— რას იზამ — ძალიანაც რომ არ გიყვარდეს უფროსები, ამისთანა კაცს მაინც უნდა სცე თაყვანი: ორთვალაზე მო-

ვაქრე მეწვრილმანე — აგერ რა ქონების პატრონი გახდა. უკვიანი კაცია. ხალხმა რომ იცოდეს რამდენი დააგროვებ, თუმცა მე არ უნდა ვამბობდე ამას. ბანკის თანამშრომლებს სიჩუმი მართებთ.

— თქვენ არაფერი ვითქვამთ.

ამასობაში ისინი მიადგნენ კუთხეს, საცა თელის ქუჩა მთავარ მაგისტრალს უერთდება. უნებურად შედგნენ, მოზრუნდნენ და ძველი სასტუმროს მოვარდისფრო ნანგრევებს შეხედეს. ამ სასტუმროს აღგილზე ახლა ვულვორთის განყოფილების აგებას აპირებდნენ. ყვითლად შეღებილი ბულდოზური და ვეებერთელა ამწე მდუმარედ იდგნენ, როგორც დილაადრიან მსხვერპლის მოლოდინში განაბული მხეცები.

— რამდენს შევხედავ, იმდენი მომიწდება ხოლმე, — თქვა ჯოიმ, — დავაქრო ფეხი ამ რკინის მხეცს და მთელი კელევი ჩამოვანგრეო.

— რაც მე საფრანგეთში ნგრევა მიწახავს! — თქვა ითენმა.

— ჰო! თქვენი სახელი ხომ ობელისკზეა ამოკვეთილი, სანაპიროსთან.

— მერე არ დაიჭირებ ის ქურდები. თქვენს მეგობარს რომ დაესხნენ? — ითენი დარწმუნებული იყო, რომ ეს მეგობარი თვით ჯოი იყო. ამას ვინ არ მიხედებოდა.

— იცოცხლე. თავგებივით გაძაგრეს. მადლობა ღმერთს, უქუო ხალხია ეს ქურდები. აბა, ჯოი-ბოის რომ დააწერიონო წიგნი ბანკის გამქურდველთა სახელმძღვანელოდ, პოლიცია თავის დღეში ვერ აღმოაჩენს ქურდს.

ითენს გაეცინა.

— საიდან გაიგეთ ამდენი რამე?

— პირველწყაროებიდან, მისტერ პოული. გაზეთებს ვკითხულობ და ეს არის. თანაც ერთ ბიჭს ვიცნობდი, პოლიციაში მუშაობდა. გინდათ, ორდოლაროან ლექციას წავგიკითხავთ.

— სამოცდათხუთმეტ ცენტიათ იყოს — მალაზია უნდა გავალო.

— ქალბატონებო და ბატონებო, — დაიწყო ჯოიმ, — დღეს ჩვენ... არა,

თქვენ დააკვირდით! როგორ გაებმებიან ხოლმე ბანკის გამძარცველები? პირველი — აღრიცხვაზე ჰყავთ ძველი ნასამართლობისათვის. მეორე — ნადავლის გაყოფის დროს ჩხუბი მოუვათ და ვინმე წამოუგება. მესამე — ქალები. უკალოდ რა გამოვა, და ეს მეოთხესაც უკავშირდება — ფულის ფლანგვას მოჰყვებიან. კარგად უთვალთვალეთ ამ მფლანგველებს და ჩაალებთ კიდეც.

— თქვენი მეთოდი მაინც რა არის, ბატონო პროფესორო?

— ბევრი არაფერი. თავის დღეში არ იფიქრო ბანკის გაქურდვა, ადრე თუ შენიშნული იყავი, ან აღრიცხვაზე თუ ხარ გატარებული რამე საქმის გამო. არავის არ გაენდო—მარტო უნდა გააკეთო ყველაფერი და მერე კრინტიც არ დასძრა. ქალები უნდა გადაივიწყო. ფულს ხელი არ ახლო. იქნებ წლობითაც მოგიხდეს გადანახვა. მერე, მიზეზს რომ იშოვი—ეს ფული საიდან ჩავიგებარდა — გამოიტან და ცოტ-ცოტას დააბანდე. დახარჯვით არ დახარჯავ.

— რომ იცნონ უცებ ეს მძარცველა?

— სახეს თუ დაიფარავს და ხმას არ ამოიღებს, ვინ უნდა იცნოს? მოწმეების ჩვენება თუ წაგიკითხავენ როდესმე? ნამდვილი ყვეჩრები არიან — რამდენჯერ უთქვამს იმ ჩემს ნაცნობ პოლიციელს: დაკითხვას რომ დაავალებდნენ თურმე, დახარალებული ამას ადებდა ხელს, ამან მიყო ყველაფერიო. თვალები დამთხარეთ, თუ ეგ არ იყოსო. აჰა; თქვენი სამოცდათხუთმეტ ცენტიანი ლექცია.

ითენმა ხელი ჩიბეში ჩაიყო.

— ჩემზე იყოს.

— სენდვიჩებში გამიქვითეთ, უთხრა ჯოიმ.

მაგისტრალი გადასჭრეს და ზეივანში გავიდნენ, რომელიც მეორე მხრიდან ირიბად ერთვოდა მთავარ ქუჩას. ჯოი გვერდის კარიდან შევიდა პირველ ნაციონალურ ბანკში, ითენმა კი მარტლოს მალაზია გაალო — ხილთა და სხვა წვრილმანი საქონლით სავაჭრო, რომე-

ლიც ბანკის პირდაპირ იდგა, ზეივანის მეორე მხარეს.

— ლორი და ყველიმ გმსმსხან მან.

— ჰევის პურზე... სალათი და მათონეზი.

რკინის ლარტყულით აქედლით, გამტვერილი პატარა სარკმელი კიდეც უფრო ამკრთალებდა ისედაც მკრთალ შუქს. რომელიც მალაზიის საწყობში ვიწრო ზეივანიდან ატარებდა. ითენი ერთხანს დაყოვნდა ამ ჩაბნელებულ ოთახში, საცა ჰერამდე ჩამწკრივებული თაროები გამოტენილი იყო მუყაოსა თუ ფიცრის ყუთებით. ყუთებში ხილის, ბოსტნეულის, თევზის, ყველისა და ხორცის კონსერვები ეწყო. ყნოსვით მოსინჯა — ამ ფქვილისა თუ გამხმარი მუხუნოსა და ლობიოს, აშშორებული ყველისა და ძეხვის, შეზოლილი ლორისა და ბეკონის, ამქაგებული კომპოსტოს, სალათისა და ჰარხლის, კარების უკან მიგდებულ აყრლებული ვერცხლისფერი სანაგვე ყუთის სუნში თავისი სუნი ხომ არ ურევიო. როცა დარწმუნდა მომწარო აშშორებული ობის სუნი არსაიდან არა მცემსო, განის კარი გააღო და მკიდროდ ხუფდაცული სანაგვე ყუთები ქუჩაში გააგორა. ნაცრისფერმა კატამ დააპირა მალაზიაში შემოვარდნა, მაგრამ ითენმა გააგდო.

— ვერ მოგართევს, — უთხრა მან კატას, — კატებისათვის ღმერთს თავგები და ვირთაგები გაუჩენია, შენ კი ძეხვს უფრო ეწყობი, მოუსვი! მოუსვიმეთქი, შენ გეუბნებიან! — კარებთან ჩაცუქებული კატა თავის მოვარდიტრო თათებს ილოკავდა, მაგრამ მეორედ რომ უთხრეს, „მოუსვიო“, წამოდგა, კუდი აპრინა და ბანკის უკან მესერს გადაეწყო. — ჯალო ჰქონია ამ სიტყვას, — თქვა ითენმა ხმამაღლა. საწყობში შებრუნდა და კარი მიიკეტა.

ვაიზა მტვრიანი საწყობი და მალაზიის კარისკენ გაემართა, მაგრამ უცებ საპირფარეშოს ავზიდან წყლის წანწყარი შემოესმა. ფირფიცრის კარი შეაღო, სე-

ნათლე ჩართო და წყალი ჩამოუშვა. მერე საწყობში გამოველ ფართო კარს წაპკრა ხელი, — რომელსაც მავთულის ბადის პატარა სარკმელი ჰქონდა დატანებული, — ფეხის ტვირთით ხის სოლი გამოაცოცა და კარს შეუყენა.

ორი დიდი ვიტრინის ფარდებიდან შემოსული სინათლე მალაზიაში მწვანედ ირეკლებოდა. აქაც ჰერამდე აეყვანათ თაროები და ზედ კოხტად დაეღაგებინათ პრილა თუნუქისა და მინის კონსერვები — მშვენიერი ბიბლიოთეკა კუქისათვის. ერთ მხარეს დახლი იდგა, იქვე სალაროს აპარატი, ქაღალდის პარკები, კანაფის შულო, და ეს დიდებული რამე — უფანგავი ლითონითა და თეთრი ემალით მოპირკეთებული დიდი მაცივარი, რომელშიაც კომპარესორი თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. ითენმა ამომრთველი გაატაკუნა და ვიტრინაში ჩალაგებულ ჩაიცებულ ლორებს, ყველს, ძეხვებს, ბიფშტექსებსა და დაბეგვილ კატლეტებს ცივი, მოცისფრო ნეონის შუქი გადაედგარა. მალაზიაში ერთბაშად ისეთი ზომიერად გაზავებული სინათლე დადგა, როგორც შარტრის ტაძარში არის ხოლმე. ითენს ეამა და თვალი შევებით გადაავლო ტომატის კონსერვების საორღანო მილებს, ზეთისა და მღოგვის ჭილების კაპელებს, სარდინების ასობით თვალურ საფლავეებს.. *Unimium et unimioium*, დუღუნით გააგრძელა ლიტანიის კილოზე, *Uni unimore quod unibug in omnem unim, domine ahhhhhimeu*, — დაბოლავა მან. და თითქოს ცოლის გაკიცხვა შემოესმა. „რა სისულელეა! არ იქნება, რომ ვინმეს გული არ ატკინო. ყველაფერი კი არ უნდა გააბიაბრუო“.

საბაყოლო დუქნის ნოქარი — მარულის საბაყოლო დუქნისა — რომელსაც ცოლი და ორი საყვარელი შვილი ჰყავს. როდის არის ხოლმე მარტო, როდის შეუძლია მარტოდმარტო დარჩეს? დღისით მყიდველები, საღამოზე ცოლი და შვილები; ღამით ცოლი, დღისით მყიდველები, საღამოზე ცოლი და შვილები.

— სააბაზანოლა დარჩა... — ხმამაღლა თქვა ითენმა, — და ისეც ვინამდე, სანამ რაბს გავხსნიდე. *ოჰ, ეფლოი, მყუეულო, მყარლო და ბრლო, ბითურ-მითურო დროო — ულაზათ-უმარიფათო დროო. — ახლა ვილასა ვტკენ გულს, ჩემო შაქარზე უტკენსო? — მიმართა მან ცოლს. — აქ ხომ არავინ არ არის. არც გულსატკენი და არც გასაბიაბრუებელი! მხოლოდ მე ვარ და ჩემი „უნი-მუმ უნიმორუმი“, მანამ ამ ოხერ კარებს გავადებდე.*

დახლის უჩრიდან, ზედ სალაროს გვერდით, სუფთა წინსაფარი ამოიღო, გაშალა, თასმები გაუსწორა, ვიწრო წელზე აიფარა, თასმები წინ გამოიტანა და ისევ უკან გაატარა, მერე ორივე ხელის ცეცებით შეიკრა ზურგზე.

წინსაფარი გრძელი იყო, წვივებზე სცემდა. ხელები თასივით მომუქა, მალა ასწია და წარმოთქვა:

— ყური მომაყარით, თქვენ, მსხლის კონსერვებო, მწინლებო და მუჭუქებო! „და ვითარცა განსთენა, ზრახული ჰყუეს ყოველთა მღუღელთ-მთავართა და მოხუცებულთა ერისათა“... ვითარცა განსთენა! ადრე კი შეუდგნენ საქმეს ეს დედლები! ერთი წუთიც არ დაჰკარგეს უქმად. მერე რაო? „ხოლო მეექსუთთ ეამითაგან დაბნელდა ყოველი ქვეყანა“... ეს იქნებ ჩვენი თორმეტი საათი იყოს... „დაბნელდა ყოველი ქვეყანა ვიდრე მეცხრე ეამამდე“. საკვირველია, როგორ მახსოვს! ღმერთო დიდებულო, რამდენ ხანს აწამეს... რა საშინლად გააგრძელეს. — ხელი ჩამოუშვა და გაკვირვებით გადახედა დატვირთულ თაროებს, თითქოს პასუხს მათგან მოელოდა. — აღარაფერს მეტუნები, მერი, ჩემო სეფისკვერო? შენც ერუსალიმელი ასული ხომ არა ხარ? „ნუ ჰსტირთ ჩემ ზედა. — თქვა მან, — არამედ თავთა თქუენთა ჰსტიროდეთ და შვილთა თქუენთა... რამეთუ უკეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, ხმელსა მას რაიმე ეყოს?“ ახლაც კი გულს მიწურავს. პაპიდა დებორა ვერც კი წარმოიდგენს როგორა

მტკენს ეს გულს. თუმცა ჯერ არ მოსულა შეექმნე საათი... ჯერ არა.

ვიტრინის მწვანე ფარდები ასწია და განაგრძო:

— შემოდი, დღეო? — მერე ქუჩის კარებშიაც გადაატრიალა გასაღები, — შემობრძანდი, ქვეყანავ! — რკინის ურდულებით გამაგრებული კარები გახსნა და გამოაღო. დილის მზე ქვაფენილს ეალერსებოდა, და ეს არც იყო უჩვეულო ამბავი, რადგან აპრილში მზე სწორედ იქ ამოდის, საცა მთავარი ქუჩა ზღვის უბნს ერთვის. ითენი გამობრუნდა და სპირიტუალურიდან ცოცხი გამოიტანა, რათა ტროტუარი დაეგავა.

დღე, — მთელი გრძელი დღე, დილიდან საღამომდე, — ერთნაირი როდია; ათსნაირად იცვლება ხოლმე. იცვლება არა მარტო მზის შუბის ტარზე ანულით და დასავლეთისაკენ გადახრით, არამედ მთელი თავისი ქსოვილითა და ხასიათით, ფერებითა და მნიშვნელობით, წელიწადის დროთა ნაირნაირი ცვლილებებით; ყველაფერი მოქმედებს — სიცხე იქნება თუ სიცივე, ქარი თუ სიწყნარე; საამო სურნელი თუ შხამი ბალახისა, კვირტისა, ფოთლისა თუ შავად გატიტვლებული ტოტებისა. იცვლება დღე და მასთან ერთად იცვლებიან მისი ქვეშევრდომებიც — მწერები და ფრინველები, კატები, ძაღვები, პეპლები და აღამიანები.

ითენ აღენ პოჟულია წყნარი, ნისლიანი და შინაგანი განცდების შემცველი დღე იწურებოდა. ეს კაცი, რომელიც ხელის თანაბარი მოძრაობით გვიდა დილაობით ტროტუარს, არაფრით არა ჰგავდა იმას, ვინც ქადაგებას უკითხავდა ხოლმე კონსერვეს არც *saumon saumonum*-ს და თვით იმ „ბითურ ბითურ“ კაცსაც კი, ცოცხით მოაგროვებდა პაპიროსის ნაშუქებს, საღებო რეზინის ნარჩენებს, ხიდან ჩამოცვენილ დამსკლარ კვირტებს, მტვერს და წყლის არხთან მიხვეტდა, საიდანაც მერე მენაგვეებს უნდა წაეღოთ ვერცხლისფერი საბარგო მანქანით.

მისტერ ბეიკერი დირსეულად მოემართებოდა შინიდან — ნეკერჩხლის-ქუჩაზე მდებარე სახლიდან *22-ბირკველი* ნაციონალური ბანკის წითელი აგურით ნაგებ შენობისაკენ. და თუ მისი ნაბიჯები თანაბარი სიგრძისა არ იყო, აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს ძველი ცრურწმენით მოსდიოდა, რათა დედის ხერხემალი გადატეხინაგან ეხსნა.

— დილა მშვიდობისა, მისტერ ბეიკერი, — უთხრა ითენმა და ცოცხი მოარიდა, რათა ბანკირისათვის კოხტა სარეჯის შარვალზე მტვერი არ შეეყარა.

— დილა მშვიდობისა, ითენ. კეთილი დილა ნუ მოგეშალოს.

— კეთილი დილა, — გაიმეორა ითენმა, — გაზაფხული დაგვიდგა, მისტერ ბეიკერი, თხუნელა ამჯერადაც მართალი გამოდგა.

— ნამდვილად, ნამდვილად, — მისტერ ბეიკერი ცოტა ხანს გაჩუმდა, — რამდენი ხანია რაღაც მინდა ვითხრათ, ითენ. თქვენმა ცოლისძმამ რომ ფული უანდერძა თქვენს მეუღლეს... ხუთიათასზე მეტია მგონი, არა?

— გადასახადების დარიცხვით ექვსიათას ხუთასი გახლავთ, — მიუგო ითენმა.

— და ამდენი ფული ტყუილუბრაოდ დევს ბანკში. უნდა დააბანდოთ რამეზე. სწორედ ამაზე მინდა მოგელაპარაკოთ. ფული უნდა ამოქმედოთ.

— ექვსი ათას ხუთასმა დოლარმა რა უნდა გააკეთოს, სერ, შავი დღისთვის თუ შეინახავს კაცი.

— უქმად დადებული ფული არა მწამს, ითენ.

— რატომ, ესეც საქმეა — დევს და ელოდება.

ბანკირს ხმაში ყინული ჩაედვარა.

— არ მესმის. — ხმაზე ეტყობოდა, ჩინებულად ესმოდა, მაგრამ ეს შენიშვნა სისულელედ მოეჩვენა, მისმა ტონმა ითენს უჩხვლიტა, ჩხვლეტის სიმწარემ კი სიცირე წარმოშვა.

ცოცხმა ნახევარწრე შემოხაზა ტროტუარზე.

— ეს ფული ხომ დროებით ხელმო-

სათბობად დაუტოვეს მერის. მე თუ რა-
მე მომივიდა, იმ შემთხვევაში.

— მაშინ ნაწილი უნდა აიღო. და თა-
ვი დაიზღვიო.

— მაგრამ ეს ხომ დროებით აქვს გა-
დმოცემული, სერ. მერის ძმის ფულია.
დღემადი ისევ ცოცხალია. ჭერ არც აპი-
რებს სიკვდილს.

— მესმის. მოხუცი ხალხი ხშირად
ტვირთად იქცევა ხოლმე.

— და ფულსაც ხშირად ასხე-
დან, — სიცრუე, რომ თქვა ითენ-
მა, ბანკირს გადახედა და შენიშნა,
რომ საყულოს ქვემოდან მისტერ ბეი-
კერს სიწითლემ გადაუარა, — ხომ
იცი, როგორ ხდება ხოლმე, სერ. ვაი
თუ დაეპანდო მერის ფული და ერთ-
ბაშად დაეკარგო, როგორც ჩემი საყუ-
თარი დაეკარგე, ან როგორც მამახემი
გაეკოტრდა.

— წყალი ერთ ადგილას ხომ არა
დგას, ითენ... წყალი ერთ ადგილას ხომ
არა დგას. ვიცი, რომ გაეკოტრდით ერთ-
ხელ. მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შე-
იკვალა, ახალი შესაძლებლობანი გაჩნ-
და.

— შესაძლებლობანი მაშინაც ბევრი
მქონდა, მისტერ ბეიკერ. კეჟა არ მქონ-
და იმდენი, თორემ შესაძლებლობანი
იციოხლე! ნუ დაგვიწყდებოთ, რომ ეს
მალაზია ომის გათავებისთანავე გაეხსე-
ნი. მთელი ნახევარი კვარტალი უძრავი
ქონება გავყიდე საქონლის შესაძენად.
უკანასკნელი სახსარი გავიმეტე.

— ვიცი, ითენ. ჩემს ბანკში არა
გაქვთ ანგარიში! როგორც ექიმმა იცის
თქვენი პლუსის ამბავი, იბევე მე თქვე-
ნი ანგარიშისა.

— როგორ არ გეცოდინებათ. ორი წე-
ლიწინადაც აღარ დამცალდა — ერთი-
ნად გავკოტრდი. სახლია დამარჩა, თო-
რემ დანარჩენი ყველაფერი ვალებში წა-
ვიდა.

— თქვენ კი ნუ იბრალებთ ყველა-
ფერს. ჭარიდან ახალი დაბრუნებული
იყავით... გამოცდილება გაკლდათ. ისიც
ნუ დაგვიწყდებოთ, რომ საშინელი კრი-

ზისის დროს მოგიხდათ საქმეზე ხე-
ლის მოკიდება. ჩვენ გავიძახით შეფერ-
ხება იყო, თორემ გახურებული დეჰ-
რესია იყო. გაქნილი ხალხიც კი გაეკურ-
და.

— მე გაეკურებაც ვერ მოვახერხე —
პირდაპირ ფსკერზე დავეშვი ისტორია.
ში ჭერაც არ მომხდარა, რომ ჰოულის
გვარიდან გამოსული კაცი, ვილაც იტა-
ლიელს ედგეს დახლში ნოქრად.

— ეა კი მართლაც ვერ გამიგია, ითენ.
მარცხი ვის არ მოსვლია, მაგრამ ამნაირი
გულისგატეხა პირველად მესმის. ასეთ
ოჯახიშვილს, შეძლებულს, ნასწავლს.
ეტყობა, საბოლოოდ დაძაბუნებულ-
ხართ, თუ ფიქრობთ, რომ საშველი აღარ
არის. ასე რამ გავხნიქათ, ითენ? გავხ-
ნიქათ და ვეღარც გამართულხართ.

ითენმა შედაგება დააპირა — შენ რა
გესმის, თავის დღეში ასეთი რამე არ გა-
მოგიცდია და რაა გაიგებო... მაგრამ ამ-
ის ნაცვლად ცოცხით ერთად დაახვავა
სიგარეტების ნაწილები და საღებუი რეზი-
ნების ნარჩენები, არხისკენ გახვეტა.

— კაცს ერთბაშად ვერ დაასამარებ.
მე ის მინდა ვთქვა, რომ რა გინდ დიდი
გასაჭირი შეხედეს ადამიანს, მაინც შეე-
ბრძოლება და გაუმკლავდება. ერთად-
ერთი, ერთხია სპობს კაცს. უფსკრული-
საკენ ჰკრავს ხოლმე ხელს. თანდათანო-
ბით მოიცავს შიში. მეც მეშინია. ლონგ
აილენდის ელექტრო კომპანია სინათ-
ლეს გამოომირთავს. ცოლს ტანსაცმელი
სჭირდება, ბავშვებს — ფეხსაცმელი და
გართობა. სწავლაც რომ ვერ დაეძმთა-
რებინო? ახლა ყოველთვიური ხარჯიც,
ექიმი, კბილები, ნუშიანებური ჭირყე-
ლების ამოკვეთა... ვთქვათ უცებ ავად
გავხდი და ამ ოხერი ტროტუარის დაგვა-
ვეღარ შევიძელი ამას თქვენ რას გაი-
გებთ. ნელნელა გსპობს ხოლმე. სულ
გამოვიხრავს გულგვამს. აღარ შემიძ-
ლია მაციერის მომავალი თვის ვადასა-
ხალზე ფიქრი. მძულს ეს ჩემი სამსახუ-
რი და თან კი მეშინია არ დაეკარგო.
ამას თქვენ რას გაიგებთ?

— მერის დედა?

— აკი ვითხარით. მაგრად აზის

ფულს. ასევე მოკვდება — ფულზე მკდომარე.

— მაგას ვერ წარმოვიდგენდი. ღარიბი ოჯახის შვილი მეგონა მერი. მაგრამ ავად რომ გახდები, ცხადია, წამლები გინდა, იქნებ ოპერაციაც დაგჭირდეს ან ელექტროშოკი. ჩვენი წინაპრები მამაცი ხალხი იყო. ეგ ხომ თქვენც იცით. არავის დააჩაგვრინებდნენ თავს. ახლაც ვეღვაფერი შეიცვალა. ისეთი შესაძლებლობანი გაჩნდა, ჩვენს წინაპრებს არც მოვლანდებოდათ. მაგრამ უცხოელები სარკებლობენ ამით. გაგვისწრეს უცხოელებმა. გაიღვიძეთ, ითენ!

— მატივარს რა ვუყო?

— წაიღონ, თუკი ვერაფერს უშვებო.

— მერი? ბავშვები?

— დაივიწყეთ ცოტა ხნით. ამ ორმოდან რომ ამოძვრებით, კიდევ უფრო შეგიყვარებენ. ზედმეტი ზრუნვითა და თავის შეწუხებით ვერაფერს უშვებო.

— მერის ფული?

— უნდა გარისკოთ, თუნდა სულ დაეკარგოს. კეთილ რჩევას თუ ათხოვებთ ყურს და ფრთხილად მოიქცევით, არაფერსაც არ დაკარგავთ. რისკი სულაც არ ნიშნავს დაკარგვას. ჩვენი წინაპრები მუდამ წევდნენ გონივრულ რისკს, მაგრამ ერთხელაც არ წაუფრიათ. გადავწყვიტე. მაგრად შეგანჯღრიოთ, ითენ. თქვენ სულაც არა სცემთ პატივს ძველ კაპიტან პოულის სახელს. ნუთუ არფერს გავალებთ მისი ხსოვნა? იყო დრო, რომ მასა და მამაჩემს ეკუთვნოდა „ბელადერი“ — ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი ხომალდი ჰუკანასკნელ დროს აგებულ ვეშაპებზე მონადირე ხომალდთა შორის. გამოფხიზლდით, ითენ. „ბელადერიც“ ბევრ რამეს გავალებთ, მის წინაშეც ვალდებული ხართ. მაცივრის გადასახადი და მთელი საფინანსო კომპანია ფეხზე დაიკიდეთ.

ითენმა ცოცხის წვერით გამოითრია გაჯიუტებული ცელოფანის ნაგლეჯი და ნაგავს შეუერთა.

— „ბელადერი“ ზედ წყალხაზზე და-

იწვა, სერ, — წყნარად თქვა მან.

— ვიცი. მაგრამ რა წავაგვიჩვენებო?

— დაზღვეული იყო და იმიტომ.

— რა თქმა უნდა.

— მე კი არ ვყოფილვარ დაზღვეული. სახლილა შევინარჩუნე და მორჩა.

— აღარ დაივიწყებთ ამას? რაც მოხდა — მოხდა, წუწუნე აღარას გარგებთ. გული უნდა გაიმაგროთ. გაბედულად მოჰკიდოთ საქმეს ხელი. იმიტომაც გეუბნებით, მერის ფული დაბანდეთ-მეთქი. მიხდა დაგვხმაროთ, ითენ.

— მადლობელი ვარ, სერ.

— ეს წინსაფარი უნდა მოგაძროთ. კაპიტან პოულის ხსოვნა გავალებთ ამას. თვალებს არ დაუჭერებდა, ასე რომ დაენახეთ.

— მეც ასე მეგონია.

— ასე უნდა. ამ წინსაფარს მოგაძრობთ.

— მერი და ბავშვები რომ არ იყვნენ...

— ეგაც დაივიწყეთ. აკი გეუბნებით

— მათივე კეთილდღეობისთვის-მეთქი. მაღე ამ ჩვენს ნიუ-ბეიტაუნში საინტერესო რაღაცეები დაიწყება. შენც შეგიძლია მიიღო მონაწილეობა.

— მადლობელი ვარ, სერ.

— ჯერ კარგად მოვიფიქრო.

— მისტერ მორფიმ სენდვიჩები დამიკვეთა — ბანკი რომ დაიკეტება შუადღისას, მე მაინც უნდა ვიმუშაოო. თქვენც ხომ არ მოგიტანოთ?

— არა, მადლობელი ვარ. ჯოისთვის მაქვს საქმე მინდობილი კარგი კაცია. მიწის ნაკვეთებს უნდა გადავხედო. აქვე, სამმართველოში, რა თქმა უნდა. თორმეტიდან სამამდე იქ სიწყნარე და მყუდროებაა. იქნებ თქვენთვისაც შეგარჩიო რამე. მაღე მოვილაპარაკოთ ამაზე. ნახვამდის — გრძელი ნაბიჯი გადადგა — გახეთქილ ტროტუარს ფეხი აარიდა, ქუჩა გადასჭრა და პირველი ნაციონალური ბანკის კარებში შევიდა.

ითენი მაღე მორჩა დაგვას, რადგან ხალხმა იწყო სამსახურებისაკენ დენა.

შესასვლელში ხონჩით ახალი ხილი გამოდგა. მერე, როცა ხალხი შეთხელდა, და ითენი დარწმუნდა, რომ მალაზიის წინ არაიენ მიდიოდა, თაროდან სამი კონსერვი გადმოიღო — ძაღლის საკვების კონსერვი — თაროში ხელი შეჰყოს და ფულის პატარა ჩანთა გამოათრია. კონსერვის ქილები ისევ თავის ადგილზე დააწყო, სალარო გამოაღო და დოლარიანები, ოცდოლარიანები, ათიანები და ხუთიანები ცალცალკე დააღაგა. მუხის პაწაწინა უჯრებში კი ასევე ცალცალკე ეყარა მონეტები — ორმოცდაათცენტიანები, ოცდახუთიანები, ათიანები, ხუთიანები და თითო პენიანები. მყიდველები კანტიკუნტად შემოდიოდნენ — ბავშვები თითო კვერა პურისა და რძისოთის გამოეგზავნათ, ზოგს ყავა დავიწყებოდა და ვირვანქა ყავა მიჰქონდა — უმთავრესად გოგონები იყვნენ, ლოგინიდან ახლად ამდგრებს თმის დეარცხნა ვერც კი მოესწროთ.

მალაზიაში მარჯი იანგ-მანტი შემოვიდა — თევზიანფერი სვიტრი ეცვა, მერღი უტიფრად წამობურცვოდა. ტვილის ქვედაკაბა მიშხიდველად შემოტმასნოდა თეძოებზე. თავისი მეტიჩარა უკანალი კიდევ უფრო გამოებზიკამაგრამ მხოლოდ თვალბში, მარჯის თაფლისფერ თვალბში ხედავდა ითენი იმას, რისი დანახვაც მის ცოლს არანაირად არ შეეძლო, რადგან ცოლების თანდასწრებით არასოდეს არ სჩანს ამისთანა რამეები. ეს იყო ქორი, მტაცებელი, შარველებზე მოხადირე არტემიდა. „თვალბი აქეთიქით გაუბრბო“, ასე იტყოდა ხოლმე ძველი კაპიტანი პოული ამნაირ გამოხედვებზე. ხმაც თვალბის შესაფერი ჰქონდა — ხავერდოვანი, ღუღუნა ხმა, რაც ცოლებთან ხელადვე მინაზებულ, სანდომიან კუჭკუჭად გაღაჩქეოდა.

- გამარჯობა, ით, — თქვა მარჯიმ.
- რა საბიკნიკო დღეა!
- გამარჯობა სანადლეოს ჩამოვალ — უყავოდ დარჩებოდი!

— მართლაც თუ გამოიცნობთ, რომ უსელტეროდ დავრჩი, მაშინ ერთ კელიმეტრზე არ მოგეკარებთ.

— წუხელ მაგრად გადაგიკრავთ.

— არც ისე. ვილაც სავაქრო აგენტი იყო. ერთი რომ დაიქოქა, აღარ გაჩერდა. ქმარგაყრილი ქალებიან არაიენ ეშინია. პორტუგელი სულ სარეკლამო საქონელით ჰქონდა გამოტენილი. მაგეებს თქვენ, მგონი, კომიფიოიფორებს ეძახით. იქნებ იცნობთ კიდევ: გვარი აღარც კი მახსოვს — ბიგერია თუ ბოგერი. „ბ. ბ. დ. და დ.“ — სფირმის აგენტია. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ თქვენთან შემოვლასაც აპირებს.

— ჩვენ თითქმის სულ ვეილანდებისაგან ვეიდულობთ საქონელს.

— ეს მისტერ ბაეკრი ახლა, ალბათ, თავის საქმეზე დაჩიქჩიქებს, თუ ჩემსავით არა აქვს გამოყოლილი წუხანდელი. ერთ ჰიქა წყალს ვერ მომამწოდებთ, ბარემ აქვე გავხსნი სელტერს.

ითენი საწყობში გავიდა და მუყაოს ჰიქით წყალი გამოუტანა. ქალმა სამი აბი ჩაჰყარა ჰიქაში და აშიშინებას დაუცადა.

— თქვენ გაგიმარჯოთ, — თქვა მერე და გადაჰკრა, — ჯანდაბას შენი თავი, ჩქარა მიშველე.

— გავიგე, რომ დღეს მერის უნდა უმკითხათო.

— ღმერთო! კინალამ არ დამაეიწყდა. ნეტა რას დავწანწალებ; თუ რამე შემძლია, ბარემ ჩემს თავს ვუშველო.

— მერის ძალიან უყვარს ამისთანა რამეები. მართლა იცით მკითხაობა?

— რა ბევრი რამე მაგას უნდა? ჯერ უნდა დააფქვევინო ხალხს — ქალებს, რა თქმა უნდა — თავიანთი თავგადასავალი, მერე კი მოსდგე და შენ თვითონ უამბო... გულთამხილველი ეგონები.

— შავტუხა ბიჭებსაც უკითხავთ?

— რალა თქმა უნდა. ეკ, მამაკაცის გულების წაკითხვაც რომ შემეძლოს, ამდენი იაღლიში აღარ მომივიდოდა. იმიტომაც იყო, ორჯერ მაგრად რომ დავიწვი პირი.

— პირველი ქმარი მოგიკვდათ მგონი, არა?

— არა, მეორე. ღმერთმა უღბინოს იმ ძალღის გაგა... თუმცა მოგეშვათ ღმერთმა აცხოვროს.

ითენი დიდის ამბით მიეხალმა მალაზიაში შემოსულ მოხუც მისის ეზიზინსკის და სკადა რაც შეიძლება გაეკიანურებია ასი გრამი კარაქის აწონა, ერთი-ორი სიტყვით ამინდიც კი შეაქო. მაგრამ სელტერით გუნებაგამოყვებელი მარჯი იანგ-ჰანტი წასვლას აღარ ფიქრობდა, ღიმილით ათვალეირებდა ოქროს ეთიკტიან პ.მტეტის ქილებსა და სალააროს უკან ჩაშვრივებულ ხიზილალის პაწაწინა კოლოფებს.

— ჰა? — თქვა მარჯიმ, როცა დედაბერი მალაზიიდან წაფრატუნდა პოლონურის დუდღუნით.

— რა ჰა?

— რაღაც გამახსენდა... მამაკაცებსათვისაც ისევე რომ შემეძლოს მკითხოვბა, როგორც ქალებს ვუმიკითხავენ, მაშინ აბრის გამოკვრაც კი შემეძლებოდა. რატომ არ მასწავლით, ით, კაცების ხასიათს?

— საკმაოდ იცით. იქნებ საკმაოზე მეტრც.

— კარგით ერთი. ხუმრობაც აღარ გესმით?

— ახრავე დავიწყოთ?

— სალამოს აჯობებს.

— ეთილი, — უთხრა ითენმა, — მთელი ჭკუფი შეგროვდება. მერი, თქვენ და ორი ბავშვი. თემა: მამაკაცები — მათი სისუსტე და უქკუობა და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს.

მარჯის ყურადღებაც არ მიუქცევია მისი ტონისათვის.

— ზოგჯერ ხომ გვიანობამდე გავიგრძელებდებოთ ხოლმე მუშაობა?... თვიური ანგარიშებით თუ ათასწორი ამისთანები?

— როგორ არა. შინ მიმაქვს სამუშაო.

ქალმა ხელები მალა ასწია და ათივე თითი თმაში შეაცურა.

— რატომ? — ჰკითხა მან.

— რატომ და იმიტომ, რომ ზოგჯერ ბატიც აღარ ბატობს.

— ხომ ხედავთ, რამდენი რამე შეგიძლიათ მასწავლოთ.

ითენმა თქვა:

— „და ოდეს განჰკიცხეს იგი, განსძარცვეს მას ძოწეული იგი და შეჰმოსუნა თვისივე სამოსელი, და განიყუანეს იგი, რათა ჭუარს აცუნან და პაპრავად წარიყუანეს თანა წარმავალი სვიმონ ვინმე კვირინელი, რათა აღიღოს ჭუარი მისი. და მოიყუანეს იგი გოლგოთას, ადგილსა, რომელ არს გადმოთარგმნებით თხემისა...“

— კარგი, თუ ღმერთი გწამს!

— დიახ, დიახ, სწორედ ასე იყო...

— ნეტა თუ მოგეხსენებათ, რომ ძალიშვილი ბრძანდებით.

— ო, როგორ არა, ერუსალიმის ასულა.

ქალმა უცებ გაიღიმა.

— იცი, რა უნდა ვქნა? ერთ კაცს უნდა ვუმიკითხო ამ დილა, სულ თავებდი ვაწეველინო. თქვენ დიდი ვინმე გახდებით. იცით თუ არა? რასაც ხელს შეახებთ, წამსვე ოქროდ იქცევა, ხალხის წინამძღოლო; — სწრაფად მივიდა კარებთან, მოიხედა და გაიქყანა, — ვნახოთ, თუ გამართლდა. მშვიდობით, მაცხოვარო. — რა უცნაური ხმა აქვს ხოლმე ქუსლების ტყაბუნს ტროტუარზე, როცა გაბრაზებული მიდიან.

ათი საათისათვის ყველაფერი შეიცვალა. ბანკის დიდი მინის კარები ყურთამდე გაიღო და ხალხმა ნიაღვარივით იწყო დენა ფულისათვის. იქიდან მოსულუბი მარულოს მალაზიაში შედიოდნენ და სააღდგომო ნაირნაირი საქმელები გამოჰქონდათ. ითენი ექვს საათამდე ისე იყო გაფაციცებული, როგორც საზღვაო თხილამურებზე შემდგარი კაცი.

გაბრაზებულმა სახანძრო ზარმა კომიკიდან ექვსის დაწყება ამცნო ქალაქსანოვავით პარკამოტენილი მყიდველები თანდათანობით შეთხელდნენ. ითენმა ხილის მოძრავი ვიტრინა მალაზია-

ში შეიტანა, ქუჩის კარები მიკეტა და არა სხვა რამ მიზეზით, — გარდა იმისა რომ ქვეყანაზე და მის სულშიაც სიბნელე ჩამოწვა, — მძიმე, მწვანე ფარდები ჩამოუშვა. ახლა მალაზიაშიც ჩამოწვა სიბნელე. მხოლოდ ნეონი აფრქვევდა მზებუთვ ცისფერ შუქს მაცივრიდან. დახლში შევიდა, ჭვავის პური დასჭრა სქლად და ოთხ ნაჭერს ბლომად კარაქი წაუსვა. მერე მაცივრის კარი გამოაღო და ორი ნაჭერი შევიცარიული ყველი და ლორის სამი ნაჭერი გამოიღო.

— ყველი და სალათი, — თქვა მან, — ყველი და სალათი. სამჯერ დღეში, ვინც ცოლს შეირთავს, იცხოვროს ტყეში. — პურს ზემოდან მაიონეზი წასცხო. მერე რძე გამოიტანა მუყაოს ქილით, რომელიც გასანთლულ ქაღალდში იყო გახვეული. წკიბად მოჰკიდა ხელი ქაღალდს და გახსნა დააპირა; ამ დროს, კლიტის ქუჭრუტანაში გასაღებმა გაიჩხაკუნა და შემოვიდა მარულო — დათვივით ჩასკვნილი და ისეთი მსხვილი, რომ ხელები ტანთან შედარებით მოკლე გეჩვენებოდა. ქუდი კეფაზე დაეკოსებინა და ქვეშ ისეთი ჯაგარა ქოჩორი მოუჩანდა, გეგონებოდა შლიაპის ქვეშ კევი ახურავსო. ნამძინარეები ცბიერი თვალები დანამული ჰქონდა, წინა კბილების ოქროს გვირგვინებმა მაცივრის შუქზე გაიღვავა. შარვლის ორი ზემოთა დიდი გახსნოდა და თბილი, ნაცრისფერი საცვალი მოუჩანდა. კოტიტა ცერები ღიბზე მომდგარ შარვლის საბრტყელში ჩაეყო და თვალების ქუბრით სიბნელეს ეჩვეოდა.

— დილა მშვიდობისა, მისტერ მარულო. თუმცა აგერ შუადღეც გადავიდა.

— გამარჯობა, ბიჭუნო. ძალიან კი დავიჩქარებია დაკეტვა.

— მთელი ქალაქი დაიკეტა. მე თქვენ წირვაზე მეგულებოდით.

— ღღეს წირვა არ იციან. ერთადერთი დღეა მთელს წელიწადში, როცა არა სწირავენ ხოლმე.

— მართლა? არ ვიცოდი. ხომ არაფერს დამავალბებთ.

კოტიტა ხელები რამდენჯერმე გაიშალა და მოიხარა ნიდაყვებზე.

— მკლავები მტებს, ბიჭუნო, არტერიტი! სულ უფრო და უფრო მაწუხებს.

— არაფერი ეშველება?

— რა არ ვცადე — ცხელი სათბურებიო, ზვიგენის ქონი, აბები... მაინც მტებს. კაციშვილი არ გვაწუხებს, ჩაქეტილი ვართ. იქნებ მოვილაპარაკოთ, პა, ბიჭუნო? — კვლავ გაიღვავს კბილებმა.

— ცუდი ხომ არაფერი მომხდარა?

— ცუდი? რა უნდა მომხდარიყო?

— იქნებ ცოტახანს დამიცადოთ. ბანკში გადავირბენ. მისტერ მორფიმ სენდვიჩები მთხოვა.

— ყოჩაღ, მარჯვე ბიჭი ხარ. კარგი მომსახურება იცი. ასე უნდა.

ითენი საწყობიდან გავიდა, ქუჩა გადასჭრა, ბანკს განის კარიდან მიადგა და დააკაქუნა. რძე და სენდვიჩები მიიტანა ჯოის.

— მადლობელი ვარ. თქვენ რატომ შეწუხდით.

— სამსახურია. მარულომ ასე მითხრა.

— ორი კოკაკოლაც შემიდგი მაცივარში, კარგი? ამ ციფრებმა პირიც გამიშრეს.

ითენი მალაზიაში დაბრუნდა — მარულო სანაგვე ყუთს ათვალეირებდა.

— სად უნდა მომელაპარაკოთ, მისტერ მარულო?

— აქვე დაეიწყოთ, ბიჭუნო, — სანაგვე ყუთიდან კალნაბის ფოთლები ამოქექა, — ძალიან ბევრს აყოლებ.

— ხომ უნდა გავასუფთაო.

— კალნაბი წონით გაღის. ნავაგს ფული კი არ უნდა გააყოლო. ერთ ჰევიან ბერძენს ვიცნობ — ბარე ოცამდე რესტორანი აქვს გახსნილი. იმან იცის ხოლმე თქმა: ყველაზე დიდი საიდუმლოება ის არის, სანაგვე ყუთები ხშირ-ხშირად დაათვალეირო. რასაც გადაყრი — იმას ვეღარ გაჰყიდო. ჰევიანი კაცია.

— დიან, მისტერ მარულო, — გულმოსულობის დასაფარავად ითენი მალა-

ზიამი შევიდა, მარულო მას გაჰყვა — ხელებს კვლავ შლიდა და კეცავდა ნიდაყვებში.

— ბოსტნეულს ხომ ასტურებ წყალს, როგორც გასწავლე?

— როგორ არა.

მარულომ დახლიდან სალათის კონა აიღო.

— შემქნარა.

— რა ჯანდაბა უნდა ვუყო, მარულო? კიდევ წყალი დავასხა? ისედაც სინახევროდ წყალია.

— წყალი გააცოცხლებს, ვახალინებს, პეწს მისცემს. შენ გგონია ამდენი არ მესმის! მე პატარა ორთველათი დავიწყე, უბრალო ორთველათი. რა გამომეპარება! უნდა ისწავლო, საქმე, ყმაწვილო, თორემ, ფეხს წაიმტვრევ. ახლა ხორცი — ძალიან ბევრს უხდი ყასბებს.

— ქვეყანას ყურები გამოვუშვებოთ — პირველი ხარისხის ხორცი გვაქვსო.

— პირველია თუ მეორე, ვინა გყავს მაგის გამგები! ზედ ხომ აწერია, და მორჩა. ახლა კი ყური მიგდე — მოვალეებმა სული ამოგვხადეს. ვინც თხუთმეტამდე არ გაასწორებს ანგარიშს, ნულარაფერს მისცემ.

— როგორ იქნება. ოცი წელიწადი ჩვენი მუშტარია ხალხი.

— მე დამიჯერე, ყმაწვილო. ვულვორთის მალაზიები ხუთი ცენტის საქონელსაც კი არ ანდობენ — ნისიად თვით ჯონი როყფელერს.

— ჩვენი მუშტარები საიმედო ხალხია. ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა.

— საიმედო რას ჭეიხ? ფულს გვიჩვენებენ. ვულვორთის მალაზიები ვაგონობით საქონელს ყიდულობს. ჩვენ ვერ ვახერხებთ ამას. უნდა ისწავლო, ყმაწვილო. კარგი ხალხია — რა მეტქმის. მაგრამ ფულიც კარგია. აგერ ყუთშიაც რამდენი ნაჭერი გვია.

— ცარიელი ჭონი და ტყავია.

— წინასწარ რომ სწონიდე და მერე აცლოდე ჭონსა და ტყავს, ვინ მამაძაღლი იტყვის რამეს. ჯერ თავიო, ხომ გაგიგონია. შენ თუ არ გახსოვს შენი თავი,

სხვას ვის გაახსენდები! უნდა ისწავლო, ყმაწვილო. — კბილებს ახლავენ ღდარ გაუელვია, რადგან ტუჩებისაწაწინისადახესავით ჭკონდა მოკუმული.

უცებ ისე აენტო გაგულისებულ ითენი, რომ თვითონვე გაუკვირდა.

— მე ყალთაბანდობას ვერ ვიკისრებ, მარულო.

— ვინ გეუბნება, იყალთაბანდო? ეს ვაქრობაა და თუ ვაქრობ, როგორც წესი და რიგია ისე უნდა ივაქრო. შენ რა გგონია — მისტერ ბეიკერი უბრუნებს ხალხს ხურდას?

ამან მთლად გააცოფა ითენი.

— იციო, რა ვითხრათ, — შესძახა მან. — ჰოულები აქ მეთვრამეტე საუკუნიდან ცხოვრობენ. თქვენ უცხოელი ხართ. ეგ არ უნდა დაიფიქროთ. ჩვენ მუდამ კეთილი ურთიერთობა გვქონდა მეზობლებთან და პატიოსნებისათვის ერთხელაც არ გვიღალატნია. იმას თუ ფიქრობთ, რომ, სიცილიიდან ჩამოსული კაცი, ყველაფერს უკუღმა შეატრიალებთ, ძალიან ცდებით. იქნებ სხვისთვის გინდათ ეს ჩემი ადგილი — სიამოვნებით. ახლავე. ამ წუთშივე. და ცხვირს მოგამტვრევთ. კიდევ თუ გაგიბედიათ ბიჭუნას დაძახება...

ახლა უკვე ყველა კბილი აუელვარდა მარულოს.

— კარგი. კარგი. გეყოფა. ნუ გაგიყდი. მე შენთვის სიკეთე მინდა.

— ბიჭუნას ნუ შეძახით. ორასი წელიწადია ჩემი გვარი აქა ცხოვრობს. — თვითონვე ბალღურად მოეჩვენა ეს სიტყვები და წამსვე გაგულისებამაც გადაუარა.

— ინგლისური კარგად არ მეხერხება. შენ, ეტყობა, ძალიან აგდებულად უყურებ მარულოს გვარს, სულელი იტალიელი გგონია — უოპი და დეიგოუ* არა, ჩემო genitori, მარულუსის გვარს ბარე ორი-სამი ათასი წლის ისტორია ექნება, ვალერიუს მაქსიმუსსა ვყავართ

* ამ სიტყვებით ამერიკელები დასცილიან ზოლზე იტალიელებს (მოაზრვნელის შენიშვნა).

მოხსენებული. ორასი წელი რა დიდი ამბავია!

— თქვენ უცხოელი ხართ.

— ორასი წლის წინათ თქვენც უცხოელები იყავით.

ითენს სავსებით მოუღბა გული და უცებ ისეთი რამე შენიშნა, რამაც ადამიანი შეიძლება გარესამყაროს არარეალობაში დაეპყვოს. მან შენიშნა, რომ ეს ემიგრანტი, ვიღაც გადამთიელი, ხილის ვაჭარი ერთბაშად შეცვლილიყო — ხედავდა მისი შუბლის გუმბათს, მოკაუჭებულ ცხვირს, ღრმად ჩამჯდარ მძვინვარე და უშინარ თვალებს, დაძარღულ კისერზე შემდგარ თავს, და სიამაყეს, ისეთ ღრმასა და თავდაჭერებულ სიამაყეს, რასაც თავისუფლად შეუძლია თავდაბლობის როლი გაითამაშოს. ისეთი აღმოჩენა იყო ეს, რამაც შეიძლება ადამიანს გაკვირვებისაგან თავზარი დასცეს: თუკი ეს აქამდე ვერ შენიშნე, მაშ გინ იცის, რამდენი რამ გამოორჩენია შეუქმნეველი ცხოვრებაში.

— თავი არ უნდა დაიგლახაკოთ, — უთხრა მან წყნარად.

— ვაჭრობა ასე უნდა. მე შენ ვაჭრობას გასწავლი. სემოცდა რვა წლისა ვარ. ცოლი მყავდა — მომიკვდა. აგერ არტრიტიც დამეტყავა. საშინლად მაწამებებს. მინდა, ვაჭრობა გასწავლო. იქნებ არ შეგიძლია. ყველას კი არ შეუძლია ამის სწავლა. იმიტომაც იტეხენ კისერს.

— რაჲი ერთხელ მოვიტეხე კისერი, აღარ უნდა მომეშვა.

— რა ბრძანებაა. განა მაგას ვამბობ. მე სწორედ იმას ვცდილობ, კარგად შეგასწავლო ვაჭრობა, რომ მერე კისერი აღარ მოიტეხო.

— მაღლობა ღმერთს, კისრის მოსატეხად აღარ იქნება საქმე — სავაჭრო არაფერი მექნება.

— შენ ჯერ ბიჭუნა ხარ.

— ამოიხედეთ, მარულო, — უთხრა ითენმა, — ბოლოს და ბოლოს, ამ მაღაზიაში ხომ ყველაფერს მე ვაკეთებ. ან გარიშს მე ვაწარმოებ, ბანკიდან ფული მე გამომაქვს, საქონელს მე ვუყვეთავ.

ვცდილობ მუშტრები შევიწარუნო. სხვებისგან ჩვენიკენ გადმოვიჭირო. მეტი რაღა უნდა ვქნა?

— მართალი ხარ... ზოგი რამე მართლაც შეისწავლე. უკვე აღარა ხარ ბიჭი. ცოფდები, ბიჭუნას რომ დაგიძახებ. მაგრამ რა დაგიძახო? ყველას ბიჭს ვეძახი ზოლმე.

— სცადეთ და ჩემი ნამდვილი სახელი დამიძახეთ.

— შინაურული ვერ გამოვა. „ბიჭუნა“ უფრო შინაურულია.

— სამაგიეროდ პატივისცემა არ გამოდის.

— პატივისცემა შინაურული აღარ არის.

ითენს გაეცინა.

— იტალიელს რომ უდგახარ ნოქრად, ღირსეულადაც უნდა გეჭიროს თავი... ცოლის ხათრით, შეილების ხათრით. ხომ ასეა?

— ეს ხომ მოჩვენებითი იქნება.

— რა თქმა უნდა. ამა ნამდვილად ღირსეული რომ ვიყო, ამაზე არც ვიფიქრებდი. ლამის დამავეიწყდეს, სიკვდილის წინ რა მითხრა მამაჩემმა. განათლებულ და თავის თავში დაჭერებულ ადამიანს აგრე რიგად არაფერი ეწყინებაო. „ძაღლის გაგდებულო“ მარტო იმას თუ ეწყინება, ვინც დედის პატიოსნებაშია დაეკვებუელი, თორემ ალბერტ აინშტეინის რითი უნდა აწყენინოო. მაშინ ცოცხალი იყო აინშტეინი. ასე, რომ, მეძახე ბიჭუნა, მანამ მოგწყენდებოდეს.

— ხომ ხედავ; რომ „ბიჭუნა“ უფრო მეგობრული გამოდის.

— აგრე იყოს. საქმეზე რაღა უნდა გეთქვა, რას ვერ ვაკეთებ?

— საქმე — ფულია. ფული და მეგობრობა კი შორიშორ დგანან. იცი რა, ბიჭუნა, შენ იქნებ ძალიან მეგობრულადა ხარ, ძალიან შინაურულად... ფული მეგობარს არ ეძებს, ფული ფულს ეძებს.

— სისულელეა. მარულო. რამდენ საქმოსანს ვიცნობ — კარგბ მეგობრებიც არიან და პატიოსანი ხალხიც.

— თუ საქმეს არ ეხება, დიხაც არ იან. შენ თვითონვე მიხვდები. მაგრამ გვიანდა იქნება. ახლა კარგად უძლებები საქმეს, ბიჭუნა, მაგრამ შენი საკუთარი რომ გახდეს, მეგობრობით იქნებ დალუპო. მე, როგორც მოწაფეს, ისე გასწავლი. მშვიდობით, ბიჭუნა. — მარტულომ მკლავები ნიდაყვებში მოხარა, სწრაფად გავიდა ქუჩაში და კარები მიიჯახუნა, და ითენმა იგრძნო, როგორ ჩამოწვა სიბნელე ქვეყანაზე.

კარებზე ვილაცამ დააკაუნა. ითენმა ფარდა გადასწია და გასძახა:

— სამამლე ვისვენებთ.

უცნობი მაინც შემოვიდა — ხმელხმელი, მარად ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავისდღეში ახალგაზრდა არ ყოფილა, კობტად გამოწყებოლი, თავზე გადაგულესილი პრაალა თმა, მხიარული და მოუსვენარი თვალები.

— ბოდიში, შეგაწუხეთ. მალე უნდა გავიდე ქალაქიდან. მინდოდა მარტოკა მენახეთ. ბერიკაცის წასვლას საშველი აღარ დაადგება-მეთქი, ვფიქრობდი.

— მარტლო?

— დიახ. გადამა ტროტუარზე ვიდექი.

ითენმა ქათქათა ხელებზე დახედა. არათითზე ოქროს ბეჭედში ჩასმული დიდი „კატის თვალი“ შენიშნა.

უცნობმა მისი მხერა დაიჭირა.

— ჯიბვირი არ გეგონოთ, — თქვა მან. — წუხელ ერთ თქვენს მეგობარს შევხვდი.

— ჰა?

— მისის იანგ-ჰანტს. მარჯი იანგ-ჰანტს.

— ო-ო!

ითენმა იგრძნო, რა გაფაციცებულ უნოსვით ცდილობდა ეს უცნობი კაცი ისეთი ხელისჩასაქიდებელი ადგილის მოძებნას, საიდანაც შემდეგ კავშირის გაბმა იქნებოდა შესაძლებელი.

— დიდებული ქალია. ცაში აგიყვანათ. იმიტომაც ვიფიქრე... მე ბიგერსო გახლავართ. „ბ. ბ. დ. და დ.“-ს აგენტი ვარ და ეს ქალაქიც ჩემს სააგენტოში შემოდის.

— ჩვენ ვეილანდებისაგან მოგვქვს საქონელი.

— ვიცი. იმიტომაც მოვედი. მიფიქრე, იქნებ ცოტათი მაინც ვააფართოროს ვაჭრობის სფერო-მეთქი. ამ ქალაქში ჯერ ახლები ვართ ჩვენ. მაგრამ სწრაფად ვმკვიდრდებით, და ფეხის უკეთ მოსაკიდებლად ცოტ-ცოტა შეღავათებსაც ვამლევთ ჩვენს კლიენტებს. იქნებ თქვენც გესარგებლათ ამით.

— მარტლოს უნდა მოელაპარაკოთ. მუდამ ვეილანდებისგან იღებს ხოლმე საქონელს.

— საქონელს ხომ თქვენ თვითონ უკვეთავთ? — ხმისთვის არ დაუწვევია, მაგრამ საიდუმლო ნოტები კი გაჩნდა მის კილოში.

— დიახ, მე ვუკვეთავ. მარტლოს არ ტრიტი აწუხებს, ხომ იცით, თან სხვა საქმეც ბევრი აქვს.

— ცოტათი დავუკლებდით ფასებს.

— მე მგონი, იმათაც დაუკლეს მარტლოს, რამდენიც კი შეიძლებოდა. ჯობს, მას მოელაპარაკოთ.

— სწორედ ეგ არ მინდოდა. მე იმას მინდა მოველაპარაკო, ვინც უშუალოდ უკვეთავს ხოლმე საქონელს — ესე იგი, თქვენ.

— მე უბრალო ნოქარი ვარ.

— სამაგიეროდ, საქონელს თქვენ უკვეთავთ, მისტერ ჰოული. შემოიძლია ხუთი პროცენტი დაგიკლოთ.

— არა მგონია, მარტლომ უარი გითხრათ, თუ ისეთივე ხარისხის საქონელი იქნა.

— მაინც ვერ გამიგეთ. მარტლოსთან რა მესაქმება? ამ ხუთ პროცენტს ხელზე მიიღებთ — არც ქვითარი, არც ანგარიში, არც არავითარი დაქვითვები. ნამდვილი მწვანე ყლორტები ჩემი ხელიდან თქვენს ხელში გადმოვა, თქვენი ხელიდან კი — თქვენს ჯიბეში.

— მარტლოს რატომ ვერ დაუკლებთ?

— საერთო ფასებს ვერ დავარღვევთ.

— კეთილი, ვთქვით მივიღე ეს ხუთი პროცენტი და მარულოს გადავეცი!

— ეტყობა, ჩემსავით ვერ იცნობთ მაგათ. ეს ფული რომ იმას მისცეთ, თვითონ რამდენსღა ჩაიჯიბავდაო, მაშინვე იმას იფიქრებს. ვერც გაემატყუნებ.

ითენმა ხმას დაუწია:

— თქვენ გინდათ, ის კაცი მომატყუებინოთ, ვისთანაც მე ვმუშაობ.

— მოტყუება რა მოსატანია! ის კაცი არაფერს კარგავს, თქვენ კი ფულს აკეთებთ. ფულის გაკეთების უფლება ვის წაურთმევია. მარჯომ მითხრა თქვენზე, ძალიან მარჯვეაო.

— ჰოი, რა სიბნელეა! — თქვა ითენმა.

— სულაც არა. ფარდები გაქვთ ჩამოშვებული და ეგ არის. — დაყნოსვამ საშიშროება აგრძნობინა. თავესაც ასე მოსდის ხოლმე, როცა სათაგურის მავთულისა და ყველის ერთმანეთში არეული სუნი სცემს. — იცით, რა გითხრათ, — უთხრა ბიგერსმა, — მაინც იფიქრეთ და ასწონ-დასწონეთ. იქნებ ჰკეიში დაგეძდეთ და ჩვენც დაგვიკეთოთ ზოგი რამე. მეორე ჩამოსვლაზე კიდევ შემოგივლით. ყოველ ორ კვირაში აქა ვარ ხოლმე. აჰა, ჩემი ბარათიც.

ითენმა არ გაუწოდა ხელი. ბიგერსმა ბარათი დახლზე ჩამოდო.

— ამ სამახსოვრო ნივთებსაც ახალ შეძენილ მეგობრებს ვუტოვებთ ხოლმე; — ბიჯაის გარეთა ჯიბიდან საფულე ამოიღო — ძვირფასი და კონტა საფულე, ისიც დახლზე დადო, ბარათის გვერდით, თეთრ ფაიფურზე, — დიდებული რამეა. შოფრობის ნებართვისთვისაც არის ადგილი და საკლებო ბარათისთვისაც.

ითენი ხმას არ იღებდა.

— ორ კვირაში ისევ შემოგივლით, — თქვა ბიგერსმა, — მოიფიქრეთ. მე მაინც უნდა შემოვიარო. მარჯისთან პავმანი მაქვს დათქმული. დიდებული ქალია, — პასუხი რომ ვერ მიიღო, ისევ განაგრძო, — მე თვითონ გავალეხ. ნახვამდის. — მერე უცებ ითენთან მივიდა, — სისულელეს თავი დაანებეთ. ყველა ასე

ვერება, — უთხრა მან, — სუყველა! სწრაფად გავიდა მალაზიიდან და კარი წყნარად გაიხურა.

ბნელ სიჩუმეში ითენს მაციერის ტრანსფორმატორის ნელი გუგუნი ჩაესმოდა. მძიმედ მოტრიალდა და მრავალსართულიან თაროებზე ჩამწკრივებულ მსვენელებს მიუბრუნდა.

— მე თქვენ მეგობრები მეგონეთ! თითოც არ გაანძირეთ ჩემთვის. აი, თქვე ორგულო ხამანქნებო, ორგულო მწნილებო, ორგულო ნამცხვარის ფქვილებო. მორჩა, აღარაგითარ Unimu-ს თქვენ აღარ მოისმენთ. ნეტა წმიდა ფრანცისი რას იტყოდა, ძაღლს რომ ეკბინა მისთვის ან ჩიტს დაესკინტლა თავზე? ნეტა თუ იტყოდა: „გმადლობ შენ, ბატონო ძაღლო. grazie tanto, ქალბატონო ჩიტუნია“. — უკანა კარებზე ბრაზუნე; ჯახუნე და ტკაცუნე გაისმა, და ითენიც იქითვე გაეშურა დღულუნით.

— როცა ვალეხ, კიდევ უფრო მოსვენებული ხარ ამ მუშტარებისგან.

ჯოი მორფი შემობარბაცდა, ხელი ყელთან მიეტანა.

— იწამეთ ღმერთი. — ამოიკენესა მან, — მიშველეთ... პესიკოლა მაინც გამოიმეტეთ, თორემ მოვეკედი, გამიშრა ხაზა. ასე რატომ ჩაგობნელებით? თუ თვალეხმაც მილაღატეს?

— ფარდები ჩამოვუშვი. მოწყურებულ ბანკირებს ხასიათი უნდა გავუფუტო.

მაცივართან მივიდა, დაჭირბულნი ბოთლი გამოიღო, საცობი მოხსნა და მეორე ბოთლის გამოსაღებად დაიხარა.

— მეც დაველეე.

ჯოი-ბოი განათებულ დახლზე გადაწვა და ნახევარი ბოთლი სულმოუთქმელად გამოსცალა

— ეჰ! — წამოიძახა მან, — ვილაცას ზაზინა დარჩენია.

დახლიდან საფულე აიღო.

— ეს „ბ.ბ. და დ. დ.“-ს აგენტის მცირედი ძღვენია. ჩვენს გადაბირებას ცდილობს — უნდა, რომ ზოგი რამე მათგან ვიყიდოთ.

— ტყუილებრალოდ არ გამოიდებდა თავს. თხილის ნაჭუჭი კი არ გეგონოს — ძვირფასი რამეა. თან შენი ინიციალებიც ამოუკვეთია ზედ, ოქროთი.

— მართლა?

— არ გინახავს?

— ეს წუთია გავიდა.

ჯომ ტყავის საფულე გახსნა და ცელოფანის გამჭვირვალე ჭიბეები ჩაათვალიერა.

— ახლავე უნდა შეხვიდე რომელიმე კლუბში, — უთხარ მან. მერე უკანა ჭიბე გახსნა, — ეს კი მწამს! — ჭიბიდან ორი თითო ოცდოლარიანი ამოაცოცა. — შემოტევაზე რომ გადმოდიოდნენ, ამას კი ვგრძნობდი, მაგრამ ახლავე თუ დაძრავდნენ ტანკებს, ეს არ მეგონა. ამისთანა სამახსრეროს მართლაც რა დაგავიწყებს.

— ეგეც შიგ იყო?

— აბა მე ჩავდე?

— ჯოი, რალაც უნდა ვითხრა. ამ ვაე-ბატონმა ხუთი პროცენტი შემომთავაზა, საქონელს ცოტას ჩვენც თუ დაგვიკეთათვით.

— ყოჩაღ! როგორც იქნა გავიღიმა ბედმა. ტყუილებრალოდ არ შეგპირდებოდა. მაშ კოკა-კოლას ჩამოდი. დღეს შენი დღეობაა!

— ხომ არ მიჩქევ, რომ დავთანხმდე და...

— რატომაც არა. ფასი ხომ იგივე დარჩება. არც არავინ იზარალებს.

— მართლაც ნურც ვააგებინებო, თორემ ეგონება, მეტს იღებო.

— მართალიც უთქვამს. რა მოგივიდა, პოული? სულ წახვედი ხელიდან! სინათლის ბრალი თუა! ერთიანად გამწვანდი. მეც ასე მწვანე ვჩანვარ? უარის თქმას ხომ არ აპირებ?

— ცოტას გაწყდა, პანდური არ ამოეკარი.

— აბა რა! შენგან სხვას რას უნდა მოელოდე — შენგან და დინოზაურებისაგან?

— ყველა ასე შვრებაო, მითხრა.

— ყველას ასე არ გაუღიმებს ბედი. იღბლიანი კაცი ყოფილხარ.

— უსინდისობა გამოდის.

— ვითომ რატომ? ვის რა უშავდე-ბა?! ან კანონს რითი ეწინააღმდეგება?

— მაშ, შენ დათანხმდებოდი!

— დათანხმდებოდიო? დავიჩოქებდი და ხეეწას დავუწყებდი. მე იმისთანა საქმეში ვარ, საცა ყველა ჰუმბრუტანა დაგმანულია. სულ უმნიშვნელო გადახვევაც კი ბანკში, თუ თვითონ არა ხარ მმართველი, კანონის დარღვევაა. შენი კი გერაფერი გამიგია. ნეტა რას ზოზინებ: შენი აღფიოსათვის რომ წაგეღლიტა, კიდევ პო — უსამართლოდ მოქცეულა-მეთქი, ვიტყვოდი. მაგრამ ეს ხომ სულ სხვა საქმეა. შენ იმათ სცემ პატივს, ისინი — შენ გცემენ, და კარგ პატივსაც გცემენ. ჰკუდიდან ხომ არ შეიშალე. ცოლშვილის მატრონი ხარ. ბავშვების გაზრდა უფრო იაფი კი არ გამხდარა.

— ნეტა ახლა მომშორდებოდეთ.

— ჯოი მორფიმ ცარიელი ბოთლი ხმაურით დასდო დახლზე.

— მისტერ პოული... უკაცრავად, მისტერ ითენ ილენ პოული, — თქვა მან გულგრილად, — თქვენ თუ გგონიათ, რომ უსინდისობის ჩადენა შემძლია, ან თქვენ გაქვ ზებთ საამისოდ... მაშინ იცით რა, ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ.

— ჯოი შედიღურად გაემართა საწყობის კარებისაკენ.

— მაგას კი არ გეუბნებით. ვანა მაგას ვამბობ. ღმერთს გეფიცებით, ჯომ მაგრამ რალაც უემური დღე გამითენდა... ამისთანა დღესასწაულიც შევარცხვინე.

— მორფი შედგა.

— მაშ, რას მეუბნებით? აჰ, ვიცი, ვიცი. გასაგებია. ხომ გჯერათ, რომ ვიცი?

— ყოველ წლიურად, ბავშვობიდან მოკიდებული, სულ უარესი და უარესი... იმიტომ, რომ... იქნებ იმიტომ, რომ, რაც დრო გადის, მეტს გვებულობ და მესმის ეს განწირულების სიტყვები „lama-sabach thani“¹⁾

1) ღმერთო, რაისათვის დამიტყვე მე (სახარება).

— ვიცი, ითენ, განა არ ვიცი. მაგრამ ცოტაც და ყველაფერს ბოლო მოეღება, ითენ. გეშველებათ. ოღონდ ჩემს გაფხუკიანებას ნულარ გაიხსენებთ, კარგი?

და რკინის სახანძრო ზარმა ამჯერად მხოლოდ ერთჯერ დაიგუგუნა.

— მორჩა, — თქვა ჯოი-ბოიმ, — ვათავდა... ერთი წელი კიდევ გაილია. — ჩუმად გავიდა საწყობიდან და ჩუმადვე გაიხურა კაიი.

ითენმა ფრედები ასწია და კვლავ გაალო მაღაზი, მაგრამ დიდი ვაჭრობა აღარ ყოფლა — რამდენიმე ბოთლი რძე და პური ბავშვებმა წაიღეს, ბატონის დაბეგვილი ხორცი და ერთი მუხუდოს კონსერვი — მისს ბორჩერმა, ვახშმად. ქუჩაში კაცის ჭკანება აღარ იყო. ეჭვისი ნახევრიდან ეჭვსამდე, მანამ ითენი მაღაზიას ალაგებდა დასაკეტად, კაციშვილი არ ამოჩენილა. დაკეტა მაღაზია, ქუჩაში ამოვიდა, და ახლავა გაახსენდა, რომშინ რაღაცეები უნდა წაეღო. სხვა რა ზა იყო — ისევ დაბრუნდა, ორ ჩანძში ჩაალავა ყველაფერი

და ისევ დაკეტა. სანაპიროზე გასვლა მოუნდა, ნაცრისფერი ტალღების და ნახვა, ნავსადგურის სვეტებს შორის რომ ირხევიან; ზღვის წყლით გაქლენთილი პაერის შესუნთქვა... მოუნდა გამოლაპარაკებოდა ტივტივაზე ჩამომჯდარ თოლიას, რომელსაც ნისკარტი ქარისთვის მიუშვერია. ერთი პოეტი ქალის ლექსი გაახსენდა, რაც, თოლიას სპირალისებური სრიალით აღფრთოვანებულს, დაეწერა დიდი ხნის წინათ. ლექსი ასე იწყებოდა: „ოი, ფრინველო, ბედნიერო — ნეტა რას თრთობარ?“ მაგრამ ამის გარკვევა მაინც ვერ მოახერხა პოეტმა ქალმა, ალბათ არც ძალიან გამოუღვია თავი.

სეირნობის გუნება სადღესასწაულო სანოვავით გამოტენილმა ჩანთებმა გაუფუჭა. ისევ მთავარ მაგისტრალს გაჰყვა, თავჩაქინდრული, მერე თელის ქუჩაზე გავიდა და ჰოულები ძველ სახლს გაუპირდაპირა.

თარგმანი ინგლისურიდან
ზაზუნა მელიძისა

(გავრძელება იქნება)

გიორგი ლომიძე

ღავა საბჭოთა ეროვნული კულტურის შემდგომი
განვითარების გზების შესახებ

უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ ცალკე წერილებსა და გამოკვლევებში გვხვდება ძალზე თანამი და არც ისე კარგად მოსაზრებელი მსჯელობანი ეროვნულ ლიტერატურულ ფორმათა ბუნების შესახებ. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქაში მათი მოპოაობის დიალექტიკის შესახებ. ამ, მაგალითად, როგორი მოსაზრება გვხვდება ზ. ა. იშმენაშვიტოვის წერილში — „სულიერი კულტურის შინაარსისა და ეროვნული ფორმის კატეგორია“. ზ. ა. იშმენაშვიტოვი წერს: „ამასთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს ხელოვნებაში „მხატვრული ფორმისა“ და „ეროვნული ფორმის“ კატეგორიებს შორის განსაზღვრული მიჯნის გავლენის ადგილებლობა.

ჭერ ერთი, მხატვრული ფორმა ინტერნაციონალურია, ხოლო ეროვნული ფორმა ხელოვნებაში როდი დაიუენება საკუთრად მხატვრულ ფორმად. მხატვრული ფორმა არის ყველა ეროვნული ხელოვნების საერთო ფორმა და იგი იარსებებს და სრულყოფილდება, სანამ არსებობს საზოგადოება, იმ დროს, როცა ეროვნული ფორმა ხელოვნებაში დაკავშირებულია გრებისა და ეროვნულ განსხვავებათა არსებობასთან და ამოისპობა“ მომავალში ერებისა და ეროვნული ენების შერწყმის შედეგად.

მეორეც, ეროვნული ფორმის კატეგორია ხელოვნებაში, მხატვრული ფორმის კატეგორიისაგან განსხვავებით, საზოგადოებაში მხატვრული ფორმის კატეგორიითი ეროვნული სპეციფიკის გარდა, შეიცავს ხელოვნებაში არეკლილ საშუალებათა ეროვნულ ცხოვრებასა და ეროვნულ ხასიათს“.¹

ეს ამონაწერი ძალზე გრძელია, ხოლო აზრი მაინც ვერ გახდა მკაფიო. ჩვენს წინაშე დრიად ორიგინალური სურათი: არსებობს რაღაც საერთო მხატვრული ფორმა ყველა საბჭოთა ლიტერატურისათვის და არსებობს კიდევ ეროვნული ფორმა, თითქოსდა გამოთიშული ამ საერთო ფორმიდან. თერზე, ეროვნული ფორმა მხატვრული ფორმის კატეგორიიდან იმით განსხვავდება, რომ შეიცავს ეროვნულად სპეციფიკურ საზოგადოებაში მხატვრული ფორმის, ეროვნულ ცხოვრებას, ეროვნულ ხასიათს. სწორედ უცნაურია, როგორ ახერხებს ფორმა შეიცავდეს ეროვნულ ცხოვრებას ხელოვნებაში არსებობს ორი ფორმა — ზოგადი და ეროვნული, რომელნიც გათიშული იყენენ ერთიანობისაგან რაღაც სასაზღვრო ხაზით. ეროვნული ფორმაში, სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებითა და განვითარებით, შეიცავენ ზოგადსაც და ეროვნულსაც. ისინი განუყოფელი არიან და ერწყმან ურთაერთს ესა ახალი ეროვნული ფორმაში, რომლებშიც თავისუფლად, პარმონულად „ეტევა“ ჩვენი ადამიანების ცხოვრების ახალი შინაარსი.

სხვა წერილებში გამოსქვივის რაღაც უნდობლობა ეროვნული ფორმისადმი. მათში ამყარად მკლავდება მისწრაფება ეროვნული ფორმის შინაარსი შეიცვალოს, კრიტიკოსთა აზრით, ეროვნული თავისებურების უფრო ფართო ცნებით. ასეთი აზრისა, მაგალითად, ხელოვნებათმცოდნე შ. შახნაზროვა. წერილში — „მუსიკის ეროვნული თავისებურების შესახებ“ ის ამტკიცებს: „მუსიკაში, როგორც ხელოვნებაში საერთოდ, უფრო სწორა იქნებოდა, გველაპარაკნა ეროვნულ ფორმაზე კი არა, არამედ ეროვნულ თავისებურებაზე, სპეციფიკაზე, ეროვნულ განსაკუთრებულობაზე. საბედნიეროდ, ასეთი თვალსაზრისი სულ უფრო და უფრო იხვევს

1. Учение записки. ტ. 121. წიგნი 1, გვ. 219. გ. ი. ულიანოვ-ლენინის სახ. ყახანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1961.

მოქალაქეობრივ უფლებას ჩვენს თეორიულ ლიტერატურაში.¹

ხელოვნებათმცოდნე მ. ნიკოლაევი, ნ. შინაჩაროვის პასუხად, დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ „ეროვნული სრულიადი ვერ ამოსწორავს ხელოვნების შინაარსს და მასში ეროვნულის გარდა აირკვლებიან სოციალურ-კლასობრივი მომენტები. სწორედ ასევე მხატვრულ ფორმაშიც შედარებითაა არა მარტო ეროვნული, არამედ ინტერნაციონალური ელემენტები. მრავალი სტრუქტურული ფორმის ინტერნაციონალური შინაშენილობა ხშირად უკვე განისაზღვრება ხელოვნების მოქმედელი სახეობის კანონზომიერებებით. ამგვარად, ფორმაც და შინაარსიც ხელოვნებაში წარმოადგენს ეროვნულისა და ინტერნაციონალურის დალექტაჟურ ერთეობას.“² თითქმის ყველაფერი ცხადია. მაშ რაზეა დავა და კამათი? არავის უღვია და არც ცდილობს დაუბიძგოს შინაარსიდან გამოთიშულად, რომლის მხატვრული გამოხატულებაც იგი წარმოადგენს. ჩვენმა მეცნიერებმა არ მიიღო და არ აღიქურვა ზოგიერთი თეორეტიკოსის მიერ შემოთავაზებული „ეროვნული შინაარსის“ ცნებით. იყო ცდები სკვპის პროგრამის სრული უფლებით შესული სწორი მარქსისტული ფორმულა შეეცდათ ახალი, ბუნდოვანი და შედარებით ფორმული: „საბჭოთა კულტურა, ფორმით და შინაარსით ნაციონალური“. ცხოვრებაში არ დასაბუთა მისი სისწორე. ცოცხელი გამოცდილი და დაკვირვებული ლიტერატურათმცოდნე რატომღაც ინერციით ემხრობიან ამ „ახალ“; მაგრამ სწრაფად მოქველდებულ აზრს სოციალისტური შინაარსისა და ნაციონალური ფორმის თანფარდობის შესახებ. სოციალისტური შინაარსისა და ნაციონალური ფორმის ცნება მათ ადვილად შესაღებავი და არასწორი ჰგონათ. იგი, მათი აზრით, თითქმის აფერხებდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის აზრის წარმატებით განვითარებას. ეს ეკვივა გამოთქვა ე. დობინმა წერიალი — „ეროვნული საწყისი ხელოვნებაში და აღექვანდრე პროყოფივის სიუზია“. წერიალი ცოტა როდია ახალი აზრი და დაკვირვება. საბჭოთა კრიტიკის მესამართი მიმართული საყვედური კი ასე ეღერს: „უკანასკნელ წლებში შესამჩნევი გახდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში ეროვნული შინაარსის პრობლემისადმი ინტერესის მატად ნაციონალური აღმავლობა.

მაგრამ ამ მნიშვნელოვანი თემისკენ მობრუნება რატომ განისაზღვრა უკანასკნელ დროს? ხომ არ ითამაშა აქ შემაჯერებელი როლი „ეროვნული ფორმის“ ცნებამ? ეროვნული მიუწერებლობა მხოლოდ ფორმას და არა შინაარსს. როგორც ჩანს, ეს ზედდავად და ამჟამად საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის აზრს.

შესაძლებელია წარმოვიდგინოთ „ეროვნული“ როგორც გამოთიშული კულტურისა და, კერძოდ, ხელოვნების ცოცხალი და მთლიანი შინაარსისაგან? ჩვენ თითქმის საყვედური ეუბოთხებთ პატარცემული კრიტიკოსის პათოსს. მართლაც, ვინა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ „ეროვნული“ როგორც გამოთიშული კულტურისა და, კერძოდ, ხელოვნების ცოცხალი და მთლიანი შინაარსისაგან? არა, შეუძლებელია, ბოლო, ვინა შეიძლება წარმოვიდგინოთ ინტერნაციონალური, სოციალისტური, როგორც გამოთიშული კულტურის ცოცხალი და მთლიანი შინაარსისაგან? როგორც ჩანს, აგრეთვე შეუძლებელია. ასეთი გზით რომ ვიპოვოთ, რისკს გავწევთ და ხელოვნების ნაწარმოებში ვეღარ ვიპოვოთ ვერც ინტერნაციონალურსა და ვეღარც ეროვნულს, არამედ უსასრულოდ გვიემოვრებთ ერთსა და იმავეს იმაზე, რომ იგი ყველაფერში ინტერნაციონალურია და ყველაფერში ეროვნულიაო. ჩინებულაია აღინაზნო სპიხით თავის ტეხა რთულ თეორიულ პრობლემათა გადასაწყვეტად. ჩვენ მაინც ასე გვგონია: ეროვნული ფორმის კატეგორია უსაქმურობით დაქანცულ თეორეტიკოსთა გამოწავნი რიგია. იგი რეალურად არსებული ობიექტური ესთეტიკური კატეგორიაა. ლტერატურის თეორიაში მოხლებულია ცოცხალი, მთლიანი მხატვრული ნაწარმოები დაიყოს ფორმად, შინაარსად, ფაბულად, სუფეტად და ა. შ. ასეთი მკრუნებლობა რატომღაც არავის აყენებს უხერხებლობას. შეგვივინე! „ეროვნულ ფორმაზე ლაპარაკისას ვინმის და ამჟამად უკვე შეძახილები: რატომ, რისთვისაა საჭირო ყველაფერი ეს, ნუ დააქვემდებებთ ცოცხალ სხეულსა და ა. შ. უფრო ფართოდ, თავისუფლად და ფხიზლად შევხელოთ საყთხს. მაშინ ვაქრება ბევრი გუფებობა. ჩვენ თანახმა ვართ: ეროვნული პოულობს თავის გამოხატულებას არა მარტო ფორმაში; და სოციალისტური — არა მარტო შინაარსში, და არც კი ღირს შინაარსისგან გამოთიშოთ ფორმა. მაგრამ აგრეთვე შეუძლებელია მათ შორის სრული იგივეობის ნიშნის ვაღებუბა. ფორმულა — შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული უნდა გვესმოღეს როგორც საბჭოთა კულტურების იფეთრი ერთობა, ესთეტიკური მრავალფეროვნება და სურათოვნება. ესაა ფორმულის ძირითადი აზრი. რა საჭიროა ზედმეტი ჰყვის ჰყვარა!

¹ ეტრნალი „სოვეტსკაია მუჰავა“, 1960, № 5, გვ. 28.

² ეტრნალი „სოვეტსკაია მუჰავა“, 1961, № 3, გვ. 72.

რა ცვლილებებს გავლიან ეროვნული ფორმების კომენიზმის მშენებლობის ეპოქაში, შენარჩუნებული იქნებიან თუ არა ისინი შეზღვევაში? ცალკეულ „ველიოდეგინ“ თეორეტიკოსებს ჰგონიათ, თითქოს უკვე დადგა დრო სიძველეთა არქივის ჩაებაართ ეროვნული ფორმისა და ყველაფერის დანარჩენი, რაც დაკვირვებულია ხალხთა კულტურების ეროვნულ თავისებურებასთან. ისინი შზად არიან ახლავ, დაუყოვნებლად ვაუქმონ ეროვნული. მათი აზრით, ეროვნული ხელს უშლის ერთიანი ზოგადსაკაცობრივი ინტერნაციონალური კულტურის ფორმირებას და განმტკიცებას. რა არის ეს? ნუთუ ესაა ინტერნაციონალიზმი და ზრუნვა საბჭოთა კულტურის გაფორმება-აყვავებისათვის? ამ მოსაზრებას ენტერნაციონალიზმის სენიცი კა. არ უღის. არანაყოფი ველიოდეგინ დამცველებს, რომლებიც მკადარად და დამახინჩებულად განმარტავენ ეროვნულ კულტურას, ყოველ შემთხვევაში, არ ესმით ერთ ფრიალ არსებითი ამბავი: არ შეიძლება ისტორიის ზღუდეებზე გადახტომა, არ შეიძლება ხელოვნურად დავაჩქაროთ კულტურათა მომართობისა და შესაძლებელი შერწყობის მსვლელობა. გაუგებარია მეოცეც: რას ეყვარება უნდაბლობა ეროვნული მომენტისადმი ხელოვნებაში? რატომ ეტყვნებათ მათ ეროვნულის ექონლობა სოციალისტურის სავალდებულო ნიშანდ? საბჭოთა კულტურების ეროვნულმა ფორმებმა დამტკიცეს თავიანთი დიდი სასიკეთლო ძალა, თავიანთი უნარი სოციალისტური შინაარსის ესთერტიკურად ათვისებასთვის. რაში ედებთ წყენს ის რად მოგვანინა არსაბედლესთენად ეროვნული ფორმები, რომლებიც გარდაიქმნენ სოციალისტური სინამდვილის პირობებში, რომელთაც აღიქვეს და აითვისეს ყოველდღე ახალი სხვა მომწე ხალხების კულტურათაგან და ეყვარდნენ ჰველი, ესაიოცხლო, დახავსებელი? საბჭოთა ეროვნული კულტურების სპეციფიკურ კანონზომიერებათა უყოღნელობით, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის დინამიკის თავისებურებაში გარკვევის მთუნდამდლობით უნდა აიხსნას ნიპოლისტური დამოკიდებულება ეროვნული ფორმებისადმი. სწორად წერდა ი. კეზინი: „წიგნების კითხვისას, მუსიკის მოსმენისას, მხატვართა სურათების დათვალიერებისას და ა. შ. ჩვენ სრულადაც არ ავირევეთ“ ესტონეთის საბჭოთა მხატვრული კულტურის ნაწარმოებებს მომწერესი, უკრაინელი, ქართველი, უზბეკი და ა. შ. საბჭოთა ხალხის კულტურასთან. და ამვე დროს გვესმის და ვგრძობთ, რომ ეს თავისებური ნაწარმოებები წარმოქმნილია ერთიანი პათოსით, რომელიც საერთო ყველა საბჭოთა ადამიანისთვის. სწორად ეს გარემოება ხდის და აქცევს მთავარად, ჩვენთვის — ესტონელთათვის — ვასავებად, ახლობლურად, მშობლიურად

და ჩვენს ნაწარმოებებმად მოსკოვში, კიევში, თბილისში, ტაშკენტში, რიგასა და კ. შ. ადრეუცნებულ ქმნალებებს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოთა კულტურების ეროვნული თავისებურება რიდი უშლის ხელს კულტურათა შორის ურთიერთობას, ინტერნაციონალური სოლდარობის განმტკიცებას. ეროვნული მხატვრული სახეობის/საშეალებები ის მატერიალური ბაზალია, რომლის მეშვეობით იქედება და იწრთობა საბჭოთა ეროვნული კულტურების მრავალფეროვნება.

სხვაგვარად თქმულია სიტყვა და ლექსი, მთარბმ ერთთა არსი და ფესვი.

პავლო ტიჩინს ამ სიტყვებში მისი შესანიშნავი ლექსიდან — „ერთიანი თქახის გრძნობა“ — მხატვრულად გადმოცემულია ჩვენი კულტურების. რაობა და დედაარსი.

თუ საზიანოა ნიპოლიზმი ხალხთა ეროვნული მხატვრული გამოხატულების მიმართ, არა ნაკლებ საზიანოა ეროვნული შეზღუდელობა, კარჩაქტილობა, კონსერვატიზმი, ფართო ერთაშორისი გაეშორის შიში, ერთაშორისი გაეშორისა და ურთიერთდაახლოებისას სავეთარი ეროვნული საწყისის დავარგვის შიში. სოციალისტური ერების ყოველმხრივი დაახლოება, რის შესახებაც ასე ნათლად და მკეთილდა თქმული სკვპ პროგრამაში, პირობადებულია ერების შემდგომი განვითარების, გამდიდრებისა და სრულყოფის ინტერესებში. იდეურ-ფელოსოფიურად და საზოგადოებრივ-სოციალური ერთიანობით შეშვიდრებული, მრავალფერადოვანი, ძლიერ განვითარებული ეროვნული კულტურების დაახლოება სასიკეთო გავლენას ახდენს კულტურათა ბედზე, ხელს უწყობს მათ სიმწიფეს, სულიერი ენერჯის განუწყვეტელ განახლებას.

კულტურათა დაახლოება უმსუბუქებს თითოეულ მათგანს გამოწახოს უფრო მეტად ქმედობა გზები შემდგომი მომართობისათვის, ზოგადსაკაცობრივი ინტერნაციონალური მნიშვნელობის ღირებულებათა შესაქმნელად ახალი მხატვრული საშეალებების მოპოებისათვის. ერებისა და ეროვნულ კულტურათა ურთიერთდაახლოება — თბიქტური, ისტორიული და სასიკეთლო პროცესია. იგი ბუნებრივად წარმოიქმნება სოციალისტურ სახელმწიფოში ერთა შორის ურთიერთობის ხასიათისა და თავისებურებათაგან.

ურთიერთდაახლოების გარეშე შექმნილია სოციალისტური ერების თანამეგობრობის არსება. ურთიერთდაახლოების გარეშე წარმოუდგენელია თვით ერის, როგორც სოციალისტური ერის, არსებობაც! საბჭოთა სოციალისტური ერების ისტორიამ, რომელიც მომდინარეობდა, ურთიერთდაახლოებისა და ერთიანობის პირობებში, დამტკიცა მართლაც გადსწერა ძალა ამ ერთიანობისა. საბჭოთა ხალხის უდიდესი გა-

მარჯვენები ეკონომიურ, კულტურულ, სულიერ, სამხედრო და სხვა დარგებში — არის ხალხთა ურთიერთდახლოების შედეგი, მათი უმტყვესი მგვაბრობის გვირგვინი.

ეროვნული ლიტერატურული ფორმების ბედ ეხებთან უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული თეორიული წერილები, წერილში — „დიდი კულტურული რევოლუციის საბოლოო ეტაპი სსრ კავშირში“, შ. იოხიჯემა გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: კომუნისმის ვაშლილი მშენებლობის პირობებში და მამინაც, როცა საბჭოთა კავშირში ძირითადად აგებული იქნება კომუნისმი, ზოგადსაყოფობრიო კულტურა ჯერ კიდევ ვერ იქნება ფორმით არანაციონალური. „ინტერნაციონალური შინაარსის მჭინე სოციალისტური კულტურის ნაციონალური ფორმები, რომელიც ვადიზრდება კომუნისტურში, როდი უმწდებიან, მაგრამ არც უძრავად რჩებიან, არამედ ვითარდებიან კულტურის ზოგადსაყოფობრიო მხარეებსა და ფორმებთან დიალექტიური ურთიერთმოქმედებითა და ურთიერთ მიოდრო კავშირით, თავისუფლდებიან რა ყველადერ იმისაგან, რაც დრომოქმედია და უპირობიზრდება ცხოვრების ახალ პირობებს“. 1 ნ. მაქიევის ამოსავალი თეორიული პოზიციები როდი ეწინააღმდეგებიან შ. იოხიჯემის შეხედულებებს. ნ. მაქიევი წერს: „ყველა საფუძველი გვაქვს ეფიქროთ, რომ სოციალისტური ერების კომუნისტურად გარდაქმნის შემდეგ უკანასკნელთა კულტურები გარკვეული პერიოდის მანძილზე იქმნებიან შინაარსით კომუნისტური და იმავე დროს ჯერ კიდევ შეინარსებენენ ეროვნულ ფორმას.“

ხალხთა ნაციონალური კულტურის კომუნისტური შინაარსი გამოიხატება კომუნისტური მსოფლმხედველობის, კომუნისტური ოღების ყოვლისმომცველ ბატონობაში. რაც შეეხება ეროვნულ ფორმას, იგი, ცხადია, განვითარდება, ვაფართოვდება და განდგება სრულყოფილი. მის განმასხვავებელ ნიშნად, აღბათ, დიდხანს დარჩება ეროვნული ენა, დიდად შეიცვლებიან ეროვნულ კულტურათა სხვა თავისებურებებიც. ისინი მიიღებენ უფროდაუფრო ინტერნაციონალურ ხასიათს. 2 ვფიქრობთ, ძირითადში სწორია ამ წერილებში გამოთქმული შეხედულებები ნაციონალურ კულტურათა ბედზე. რასაკვირველია, მნელია განესაზღვროთ მოვლენათა ყველა ხვეული და პერიპეტია მომავალში, ვიცარაფდით ფაქტების რთული ნაირფერკონება; მათი მოძრობის დიალექტიკა, ყველა პროვოზი როდი შეიძლება გამართლდეს აბსოლუტური სიუხესტით. შ. იოხიჯემის და ნ. მაქიევის წერილთა საერთო . მათისი ჩვენს სამართლიანად მიგ-

ვანია. ვერ დავეთანხმებით ნიპილისტებსა და უარყოფლებს, რომლებიც მიიღებენ ეროვნულ ფორმათა ახლავი, დაუყოვნებლურ გავრცელებას. ვერ გავიზიარებთ იმ ადამიანთა მისმაც, რომლებიც შეუპირობლნი არიან ნაციონალური ეგოიზმის ავადმყოფობით, ეწინიით კულტურათა ურთიერთდახლოების, მათი ინტერნაციონალური ბაზების განმტყციებისა და გაფართოებისა.

რუსულ პრესაში, „ლიტერატურნაია გაზეტისა“ და „ლიტერატურა ი კიზნის“ ფურცლებზე ცნობილ რუს პოეტ ს. სლოუნიხინსა და დიდებულნილ მწერლის — ა. ავაევის შორის გაიმართა დისკუსია ეროვნულ კულტურათა განვითარების პრობლემებზე. თვით ა. ავაევის ფიგურა არც იმდენად მნიშვნელოვანია. და, ცხადია, არც ღირდა ამ დავა-კამათის არსში ჩარევა, მხოლოდამხოლოდ ა. ავაევის რომ გამოთქვა მარტოოდენ თავისი საყოფობრიო შეხედულებები. რაღაც იმის მიგვარს, რასაც წერს, ა. ავაევი, ამბობენ სხვებაც, ანდა ფაქრობენ იმგვარადვე, ა. ავაევი საინტერესთა როგორც იმ ადამიანთა გარკვეული წრის შეხედულებათა გამომხატველი, რომელნიც მცდარად და ყალბად განმარტავენ საბჭოთა კულტურის ინტერნაციონალური რაობისა და დედაარსის ცნებას.

ზოგიერთმა დოგმატიკოსმა და მემარცხენე ფრანხის მოყვარულმა ცალმხრივად და პირდაპირ გაიგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის მითითებები. პარტიის პროგრამაში ნათქვამია ეროვნულ კულტურათა ყოველმხრივი ინტენსივობა და გაერთიანების შესახებ, მათი ინტერნაციონალური საფუძვლის განმტყციების შესახებ, მომავალში ზოგადსაყოფობრიო კომუნისტური კულტურის შექმნის შესახებ. დოგმატიკოსებაც სწორედ იმტომაც არიან დოგმატიკოსები, რომ ისინი ებღუებებიან ცალკვლად ფრანხებს, არ ერკვევიან მთლიანად პრობლემის დედაარსში მის დიდ დიალექტიკურ სიოთულში. ეროვნულ კულტურათა დაახლოება და მათი სოლიდარობა როდი აუჭმებს ამ კულტურათა შინაგან კანონზომიერებებს, მათი, როგორც ეროვნული კულტურების განვითარების საკირობებს. ფსევდოინტერნაციონალისტები კვლარ ითმენენ. მათ სურთ ამ საათშივე განახორციელონ ის, რაც თანდათანობით, ისტორიულად კანონზომიერად მომზადებული უნდა იქნას საზოგადოების მოძრობის მთელი მსვლელობით. ა. ავაევის წერილში ამკარად გამოსტყვივის ნაციონალური ნიპილიზმი, რაღაც უცნაური დამოკიდებულება ეროვნული კულტურული ავლადიდებისადმი.

ვიმ იღავეს იმაზე, რომ რუსულში ენამ შეასრულა და ასრულებს მნიშვნელოვან როლს თოთოეული საბჭოთა ხალხის კულტურულ ცხოვ-

1. „ტერნალი კომუნისტი“, 1961, № 18, გვ. 52.

2. „ტერნალი კომუნისტი“, 1962, № 1, გვ. 66-67.

რებაში? რუსული ენის როლზე, მის სიყვარულზე შექმნილი მრავალი ლექსი სხვადასხვა ქვეყნის პოეტების მიერ, მათ შორის ქართველებსაც. მაგრამ იმან, რასაც წერს ა. ავაგი რუსული ენის შესახებ, არ შეიძლება არ გამოიწვიოს უფრადღების დაძაბვა. წერიალი — „ისტორიის ნაგებობა“ — ა. ავაგი გააფთრებით ეკამათება ე. სლოტინს. აგი ნოტაციებს ეკითხავს მას: „ე. სლოტინს უნდა გახარებოდა, რომ დღევანდელი სწავლება წარმოქმნილი მასების ახალი გრძნობები ახლა არ იძლევიან საფუძველს მსგავსი კითხვებისათვის, რომ ახლა რუსულის აუღოს, რომლის შესახებაც მოვითხოვდით ზემს წერიალი, მშობლიურზე მშობლიური ვახლა რუსი ადამიანი, რუსული სიმღერა, რუსული ენა. ცნობად ე. სლოტინისათვის: რუსულის ყველა სკოლაში პირველი კლასიდანვე სწავლება: რუსულ ენაზე მიმდინარეობს, ისე როგორც მოსკოვის სკოლაში?“ დღემდის კი რაშელ ენაზე მიმდინარეობდა სწავლა რუსულის სკოლაში? დიდიკურს, ლაქურ, ყუმბიხურ და ავარულზე, ხომ? ეროვნული ენები რუსულმა ენამ შეცვალა. ასეა ხომ? მაგრამ სად ამოიკოხა ა. ავაგივმა, თითქოს დადგა ეროვნულ ენათა არსებობის აღსასრული და მათ ადვილად უნდა დამყარდეს მხოლოდ რუსული ენათ? თუნდაც თვალის ერთი ვადღელებით ვადფერკლავთ კომუნისტური პარტიის პროგრამა. პროგრამაში ვითხოვლობთ სულ სხვა რამეს: „შემდეგში უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, სსრ კავშირის თვითიერ მოქალაქისათვის არცთუ თავისუფლება ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ყოველ ენაზე. არ თუქვას არავითარი პრივილეგია, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. ხალხის მშვიდი შეგობრობისა და ურთიერთობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდობარების საფუძველზე.

დღევანდელთან ერთად რუსული ენის ნებავითობითი შესწავლის პროცესს, რაც ეპოვრებაში ხდება, დადებითი შინაგნობა აქვს. რადგან ის ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და თვითიერი ერისა და ეროვნებისათვის სსრ კავშირის ყველა სხვა ხალხის კულტურული მოღწევებისა და მსოფლიო კულტურის გაცნობას. რუსული ენა ფაქტურად გახდა ერთა შორის ურთიერთობისა და სსრ კავშირის ყველა ხალხის თანამშრომლობის საერთო ენა“.

ეთანხმება თუ არა სსრპ პროგრამაში ნათქვამი იმას, რასაც ა. ავაგი ქადაგებს? საქართველოში

როდია იყო დიდი ბრძენი იმისათვის, რომ ვთხოვო: არა, არ ეთანხმება! კომუნისტური პარტიის პროგრამაში ვერ იპოვიე იმ აზრს, თითქოს დადგა ენაი თვითი მკითხვეროვნებათა საციონხალური ენის გაუქმებისა და თვითიკვადაციისათვის, რომ მათი მშობლიური ნაციონალური ენა უნდა შეიცვალოს დიდი ერის ენით, ამ შემთხვევაში რუსი ხალხის ენით. ვანა რუსული ენის სიყვარული და პატივისცემა უნდა წარმოიჭმნას როგორც საკეთარი ენის სიძულელი? საეკვია, რომ რუსულ ენის დევიტირობოდეს ასეთი პატივისცემა. შესაძლოა, რუსულის აუღოს მიმდინარეობდეს ის პროცესი, რომლის შესახებაც ასეთი სიხარული ვეამცნობს ა. ავაგი. მაგრამ არ შეიძლება ცალკეული ფაქტის აყვანა ისტორიულ კანონზომიერებად და მათეწოლით ყველას, მიმაპირ რუსულელებს. თავისი ერის თავისი ენის, საკეთარი ხალხის და წარუღლისა და აქმყოს საყვარული ყოველთვის იყო სხვა ხალხთა სიყვარულის საფუძველი და ადაგი. ზენ ინტერნაციონალისტები ვართ და არა კოსმოპოლიტები, ხალი ინტერნაციონალიზმი გულისხმობს ნაციონალურის კავშირს ზოგადკაცობრიულთან.

1946 წელს დაწერილ წერიალი — „ჩემი ძმა“, ცნობილია გერმანელმა ბელეტრისტმა პაინრაბ მანმა გამოთქვა საინტერესო აზრი ზოგადკაცობრიულისა და ეროვნულის თანფარდობაზე. პ. მანის აზრით, მშობლიური ნიადაგით გაზრდილი ეროტიანობა, თავისი ენისა და ლიტერატურის უანჯარო საყვარული როდია დაბრკოლება და ხელისშეშმული მიზეზი. არამედ საიზედო გარანტია სხვა ხალხთა კულტურული ღირებულებების აღსაქველად. ეროვნული შეგნება დიდი, სასიყვითო გრძნობაა. თუ იგი არაა დაბრკოლებული და დამალ-დაფეხული ყველაფერი იმისადმი ანგარიშიყოველი ერთგულებითა და სიბეჭითით, რაც ვაანჩია თავის ერში, თუ იგი არ ზაყეტება თავისი ერის განსაკუთრებულად ფიზიკური და მორალური ფარგლებით. ამასთან ერთად თავისი ერისადმი განუყვრელი სიხილოვის შეგრძნება სრულიადაც არ წარმოადგენს ზღუდეს ერების სხვა ფსიქოლოგიურ და ესოტოტურ სპეკიალობა შესაქრულად. მსოფლიოს კულტურის საუკეთესო მხარეთა ასათვისებლად, ამგვარად ეროვნულ ინტერესთა სფერათოვე სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა უნდა უარყოს თავისი ერა და ამ უარყოდის ხარჯზე გახდეს თითქოს მსოფლიოს მოქალაქე-ნაციონალური ჰემინიზმისაკენ მიმავალი გზა სულ სხვაგვარია. პ. მანი ამ სტატიაში წერდა: „ჩენი — და მასთან ყოველი კულტურისათვის, ჩენი წარმოშობა ერი არის ის ამოსავალი პუნქტი და საბაზი, რაც აუცილებლად გვესაქიროება ჩენ სრულფასოვან ევროპულებად გახდომისათვის. თუ არ ვაგანჩია დაბადების ადგილსამყო-

1 გაზეთ „ლიტერატურა ი ეჩენა“, 1962 წლის 2 მარტი.

ფაქტ. შექმნილია გახდეს მსოფლიოს მოქალაქე. შექმნილია შეიქმნეს სხვათა ენებში, ლიტერატურაშიც კი, თუ იმავე დროს — უაღრესი შეფასება მათა და ნატურებით არ შეუძლებლობა შენს მშობლიურ სიტყვას — დამწერლობას და ზეპირსაყვეს¹.

არ ვგინდა ვთქვათ, რომ ეურნალ „ეპაროსი იაზიკონანისა“ (1961 წ. № 1) მოწინავე წერიალი ეურნალთა ა. ავაივის მოსაზრებებში. მაგრამ მინდა არსებობს აზროთა რაღაც თანხმობა ა. ავაივსა და მოწინავეს ავტორს შორის.

ეურნალის მოწინავე წერილში ბევრი სწორი აზრია. იქ აღნიშნულია, კერძოდ, ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაახლოებით 50 ეროვნებამ პირველად მიიღო დამწერლობა თავის მშობლიურ ენაზე; საბჭოთა კავშირში ათავსდება 130-ზე მეტი ერი, ეროვნება და ეთნოკურთა ქვეყნი და ა. შ. მოწინავე, რომელიც ურჩავს მრავლის აღმოქმედებას დასათურებულად, ასევე XXII ყრბობა და საბჭოთა კავშირის თანამედროვე ეროვნული ენების განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის ამოცანებში², აყენებს შეტყობილად საყურადღებო მნიშვნელობის მქონე შეტყობი: როგორია ეროვნულ ლიტერატურულ ენათა ბედი, თანამართა თუ არა მათი შემდგომი მოძრაობის პერსპექტივა? მოწინავე საჭიროებისამებრ არ უყვითებს ანალიზს თვით ნაციონის დედაქალაქსა და საბურჯაო გამგეობათა და უცილობლად ახალევა კერძოგორეულ პასუხს: მიუხედავად საბჭოთა კავშირის ყველა ენის თანასწორეფლებიანობისა, მათი შემდგომი მოქმედების სფერო არა თანამართა, ნეთე?

მიუხედავად თანასწორეფლებიანობისა, მოწინავეს აზრით, რომელ ენებს გააჩნიათ განვითარების უმცირესი პერსპექტივა? მოწინავე იტყვას სხვადასხვა ეროვნული ენის კლასიფიკაციას. არსებობენ მდიდარი ლიტერატურული ტრადიციის მქონე ენები. მათ მიეკუთვნებიან უწინარეს ყოვლისა, რუსული ენა, და აგრეთვე იმ ენათა ენებიც, რომლებიც შეადგენენ საკავშირო რესპუბლიკებს, როგორცაა სომხური, ქართული, ლტევიური, ტატარი, ესტონური და სხვ. ისინი ასრულებენ ლიტერატურული ენების ფუნქციათა მთელ კომპლექსს, ქ. ი. მოსახლებებს უწევენ ამ ხალხების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროს. მოწინავე ალაიებს რომდენიმე ეროვნულ ენას საესებით ცხოველმოქმედებად, რომელსაც უნარი შესწავლს თვით ვართვის ხალხთა ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროს. უაღრესი ეურნალეობის ღირსია ენათა ენის მნიშვნელობის განსაზღვრა ამ ენების წარმომდგენ მოკავშირე რესპუბლიკათა ნიშნავისე-

ბის მიხედვით. ამა თუ იმ ნაციონალური რესპუბლიკის გამოყოფა მოკავშირედ, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია ამ რესპუბლიკის ვითარებულ თავისებურებებთან, მის სასაზღვროებთან, განა ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებში მცხოვრები და ავტონომიური რესპუბლიკებში ვერთთანხმებული ხალხები თავინათ კულტურათა და თავინათ ენით სწორედ იხირობენ აზრთა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი და უფრო ნაკლებად თვითამოყვადენი? ასეთი მოსაზრება ნაციონალური დისკრიმინაციის იქნებოდა. და ავი არავითარ შემთხვევაში არ ეთანხმება ჩვენი პარტიის ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას. ეურნალის მოწინავეში, რასაკვირველია, არ არის ასეთი მტკიცება, მაგრამ მისში გამოყენებული ენათა კლასიფიკაცია არაა ზუსტი და ავი ადვილად დასარღვევია. და შემდეგ, ამ პრინციპს რომ გავყვით, უნდა დავიცვათ თანხმდებულობა. სად წავიდნენ ენები ისეთი დიდა მოკავშირე რესპუბლიკებისა, როგორც იქიან არიან უერთანისა და ბელორუსის რესპუბლიკებში? ნეთე უერთანისა და ბელორუსის იმ ხალხთა ენები, რომლებიც მოსახლეობის თითქმის 50 მილიონს შეადგენენ, მოთავსებულია იმ ყოველ-სმსხნელ „და სხვა“-ში? ეს, ყოველ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს როგორც უერთანული და ბელორუსული ენებისადმი საესებით გაუმართლებელ და ყოველმხრივ გაუგებარ უპატიველობად.

მართალია, ყველა ცოტათი მაინც წივირთა იდამიანს, განსაკუთრებით ლინგვისტს, ვარჯად ესმის: რუსული, უერთანული, ბელორუსული, და აგრეთვე სომხური, სლოვაკური, ბელგარული, პოლონური და რომდენიმე სხვა ენა შეადგენენ სლავური ენების ქვეყნს. ამ ენათა შორის ბევრია ნათესაური, ახლოლურთა. და მაინც თითოეული მათგანი დღემდის რჩებოდა და რჩება დამოუკიდებელ ნაციონალურ ლიტერატურულ ენად. მათი დამოუკიდებელი ნაციონალური არსებობის ისტორია რომდენიმე საუკუნეს ითვლის. ნეთე უკვე დედაც ამ ენების ერთ ენად შერწყმისა და ვერთთანხმების ენაში? საშართლიანობა მოათხოვს აღინიშნოს: მოწინავეში ამ პროცესზე არაფერი ვარჯევითი არაა თქმული. მაგრამ ტყუილად ხომ არ ამბობენ: დემოლიც აგრეთვე არის შესელობის ფორმა, თავისი შეხედულებების გამოთქმის ფორმა. ის, რომ ჩამოთვლილი სია მდიდარი ტრადიციის მქონე ენებისა, ქ. ი. იმ ენებისა, რომლებიც მოსახლეობებს უწევენ ხალხთა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროს, და აქ არ არიან შეტანილი დიდი ხალხების — უერთანული და ბელორუსი ხალხების ენები, უნებურად ვვაფიქრებინებს იმას, თითქმის ეს ენები ჩათვალნი არიან ენებად, რომელთაც არ გააჩნიათ შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის რეალური პერსპექტივები. იქნებ,

¹ პარტიის მანი. თხზულებანი, რუსულ ენაზე. მოსკოვი, 1958. ტ. 8, გვ. 289.

ამის თქმა სურდა მოწინავე წერის? ალბათ, მას სურდა ეთქვა ერთი; გამოვიდა კი მეორე, საწინააღმდეგო. არა, ნუ ექნებოდა მეტისმეტად ეჭვიანი, უარი ეთქვათ იარაღების მიკრებაზე. ზოგჯერ ასეც ხდება: აზრის ბუნდოვანებისა და არასაკმარისი სიზუსტის გამო თვით ეს აზრი ხანდახან შედარად და, ყალბად ჩანს, დიას, ხდება ფიქრობ სწორად, ზოლო წერ ეძღაღ და ამიტომაც, დაუდევრად გამოთქმულ აზრს შეუძლია ცდილ საქმე დავმართოს. მთელი ვაუგებრობა გადავამარალოთ ცუდ სტილისტიკასა და ცალკეულ ფრაზათა მოუფიქრებლობას. განვავარაუთ კითხვა: ეხვედებით ახალ და ახალ უცნაურობებს, და ეძვივებთ ძველ გვეჯარბიან. მერე და რა უცნაურობანი არიან ისინი? მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენელ ერთა ენების ვადა, როგორც ნათქვამია მოწინავეში, არსებობს კიდევ რაღაც შეუღელი ენები, რომელთა ფუნქციები არ ვსა-ცალკეობა ლოკალური საწარმოო და საოჯახო სფეროს წრეს. შევეცადოთ ჩაეწვდეთ საკითხის დღედატარს. ეს ენები მოქმედებენ წარმოებაში, ოჯახურ ურთიერთობაში, ზოლო აღამიანთა საქმიანობის სხვა სფეროებში ჰქარავენ ძალას. ტომ არიან გამოსადგენი ისინი მხოლოდ და მხოლოდ პირველი ორი შემთხვევისათვის, და არა ყველა დანარჩენისათვის? თითქოსდა, საწარმოო ურთიერთობისა და ოჯახური ცხოვრების სფეროში მოცალკე ესოდენ ბევრს აღამიანის ცხოვრებაში. რაღა აკლიათ ენებს იმისათვის, რათა თანატონი იყვნენ იმ ენებისა, რომელნიც მომსახურებას უწევენ აღამიანთა საქმიანობის ყველა მხარეს? მაინც და მაინც ვერაა ნათელი აზრი. უნდა ვაღიაროთ: ზოგიერთ ენათმეცნიერს უყვარს ასეთი გართულებული ენით წერა, რომ ერთბაშად ვერ გაიგებ, თუ რაზე მსჯელობს ავტორი, რა შემსარტებას ემზრობა, ან რომელს ეარყოფს. შეიგრაენებთან უსარგებლო სპეციფიკური ენათმეცნიერული ნისლით. ასეა აქაც. მაგრამ რაღა ლაპარაკია ენათა შესამე ქველზე, ეს ნისლი თანდათან იწყებს გაფანტვას. გასაგები ხდება მოწინავეს მიერ დაცული თეზისის შინაარსი. ზოლო ეს თეზისი გამოყურება ამგვარად: არსებობს კიდევ ენათა შესამე ქველზე, რომლებმაც ერთი მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიიღწიეს საჭიროდ მაღალ განვითარებას, მეორე მხრივ, აგრეთვე საჭიროდ შეზღუდულნი არიან თავიანთი გამოყენების სფეროს შემდგომი გაფართოების პერსპექტივით. ამით განეკუთვნებიან, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციის შემავალი მრავალი ერისა და ეროვნების ენები, ისეთები, როგორცაა ავარული, ადიღური, ბაშკირული, ინდუშური, ყაბარდოული, ყარაჩაული, კომის, ყუმიზური, მორდოველი, ნოღაური, ოსური, ჩეჩნური და სხვ. მათი განვითარების დამახასიათებელია ლიტერატურულ ენათა შემდგომი გამდიდრება და სრულ-

ყოფა* (ეფრანლი „კოპროსი იაზიკოგრაფია“, 1962, № 1, გვ. 5). სიმართლე რომ ვერცხვია, კე ყველაფერი არეულია. ეს გარემოება განსაკუთრებით გვეცხვით თვალში, როცა კითხულობთ ამ მოსაზრების მომდგენი აზრებს. ირკვევა: ზემოთხამოთვლილ მშობლიურ ენათა მთავარი ფუნქცია ისაა, რომ ისინი რჩებიან ეროვნული კულტურის ძირითად ფორმად. სხვაგვარად რომ ეთქვათ, ამ ხალხთა ეროვნული მხატვრული ლიტერატურა არსებობს და ვითარდება ეროვნულ ლიტერატურულ ენაზე; ამ ენაზე გამოთქვამენ ხალხურ სიმღერებსა და დამენ სპექტაკლებს, ეროვნულ თეატრებში, ნაწილობრივ ამ ენაზე: სწავლა-განათლება, საქმისწარმოება, რადიოგადაცემა, კიდევ უფრო მყარი პოზიციები უჭირავთ ეროვნულ ენებს ყოფა-ცხოვრებაში, სადაც ისინი აგრეთვე იმართებიან დილაუტებში, კოლოკაებში და ი. შ. ყველაფერ ამის შესახებ ნათქვამია მოწინავე წერაში. კარგია და მშვენიერი! კიდევ რაღა გვიინდა? მოწინავე აკეთებს მოულოდნელ შემობრუნებას. თუ კი საქმე სწორედ ასეა, თუ ეროვნული მხატვრული ლიტერატურები არსებობენ და ვითარდებიან ეროვნულ ლიტერატურულ ენაზე და იმით გამოთქვამენ ხალხურ სიმღერებს, დამენ სპექტაკლებს და თუ მათ იყენებენ ყოფა-ცხოვრებაში, მაშინ რატომ არიან ეს ენები „საკმარის შეზღუდულნი თავიანთი გამოყენების სფეროს შემდგომი გაფართოების პერსპექტივაში?“ რა სურს თქვას მოწინავე წერაში: რადგან მათ უკვე აღარა აქვთ განვითარების პერსპექტივა, ამიტომ უნდა მოისპონ და ეაქრნენ? რაღაც ჭკუას ძალას ატანს მოწინავეს ავტორი, ნუთუ დასაშვებია ასეთი დაუფიქრებლობით დაეწესოთ სრულფასოვანი და არასრულფასოვანი, სიცოცხლისუნარიანი და უნარი მოკლებული ეროვნული ენების ყალბა, ერთ მათგანს ეუწინარმეტყველოთ გარდუვალი სიკვდილი უახლოეს მომავალში, ზოლო სხვებს — დროებითი წონასწორობა? მოწინავეში ააია გამომდგენებელი ის მოწინავე, გამკრაობა და სიფრთხილე ენობრივი ნაციონალური პოლიტიკის გადამწყვეტის საქმეში, სითყუენც მოგვიყოლებს სკეპტიკობაში.

როგორია მხატვრული შემოქმედების პრაქტიკა? ვალდებულაა თუ არა საბჭოთა მწერალი შეგნებულად ჰქმინდეს და თხზავდეს ყველა სხვა ხალხისათვის? პირველი შეხედვით, ეს წმინდა რიტორიკული საკითხია. მაგრამ აგაევი ამ მერყევი ნიადაგზე უშიშრად ავებს მიერ ფილოსოფიურ შენობას. ამა, ერთი უფრო დაუგდეთ: „საბჭოთა მწერალი სწორედ იმიტომია საბჭოთა მწერალი, რომ იგი პასუხისმგებელია მთელი ჩვენი სახელმწიფოსათვის. პ. ტიჩინი, მ. ბრაგმოვი, მ. თურსენ-ზადე, ა. კომოკოვი გულგრილად როდი ეყიდებიან იმას, თუ როგორ აღიქვამენ მათ ნაწარმოებებს მთელი ჩვენი ქვე-

უნის (და არა მარტო ჩვენი ქვეყნის) ყველა კუთხეში. ნაციონალურ მწერალს დიდ პატივად უნდა შიანდეს იყო მკითხველის სასურველი დამარცხებელი, მეგობარი და ამხანაგი, და არა მარტო დიდ სტუმარს ყირგიზის იურტაში, უკრაინელის ხატაში, ჩეჩნის სახლში, მოსკოველ-ყაშირელის კარავში¹.

უპ, რა სიტყვებითაა შირდაპირ თეალებს გიბრამეებით, დიხ, უმაღლე ვეთანხმებით ა. აგაევს. მის რაზეა დავა? ვის არ მოესურვება იყოს საერთოდ აღიარებული და ფართოდ ცნობილი არა მარტო სამხეთა ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს იქითაც? ეს, მერწმუნეთ, ვეღვაწერი მერისმეტად ნათელია. ვუფებარია მეორე: როგორ უნდა შექმნას და თხზოს მწერალმა შეგნებულად ყველა ხალხისათვის ნათელ ის საყურადღებო, მნიშვნელოვანი და დიდი, რაც ხდება საყოფარი ხალხს ცხოვრებაში, რამდენიმედ არ წარმოადგენს საერთო საბჭოთაო სისოცხელო პროცესის შემადგენელ ნაწილს? მწერალი, თუ ვის თვისი ხალხის ნამდვილი შვილია, ცდილობს თავის ნაწარმოებებში აღბეჭდოს ეროვნული ცხოვრების, ეროვნული ფსიქოლოგიის, ზნე-ჩვეულებებისა და ყოფის საუკეთესო მხარეები. რატომ მოიპოვა, მავალითად კონსტანტინე ვამსატორიანს „დიდოსტატის მარკვენაში“ მსოფლიო მკითხველთა ასეთი ფართო აღიარება? მწერალმა თითქმის ახლად გადაშალა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ფურცლები. რომანის კებადონებიდან ისახება საქართველოს ცოცხალი სახე, მისი მძლავრი, შემოქმედებითა, ცხოველყოფილი სული. დიდოსტატის ისტორია ესაა ერთი ისტორიის ნაწილი, მისი უკვდავ გეგმის ნიშანთვისება, მისი მაღალი გონების, მისი შეუღრაველი ნებისყოფის, სულიერი გულუბნობის და სიმდიდრის გამოხატულება. ასეთი ისტორიული რომანების დიდი მნიშვნელობა ისაა, რომ ისინი, ეროვნული სიამაყის გრძობის განმტკიცებით, გვეხმარებიან უფრო ფრთხილად გამოვიცნოთ, რაც საუკეთესოა ჩვენს წარსულში, დავამყაროთ შინაგანი შემკვიდრებობა ქვეშობი იმის შორის, რაც იყო წინათ და რაც მოხდა ახლა. ფიქრობდა თუ არა კ. ვამსატორიანი, რომანის დაწერისას, იმის შესახებ, თუ როგორ აღქვამდნენ მის ნაწარმოებს ყველა სხვა ხალხები? ჩვენეი აზრით, ის უწინარეს ყოველის ფიქრობდა იმას, რომ ყოველივე ისტორიის სიმართლის ერთგული, ქართველი ხალხის ეროვნული სიამართლის ერთგული, სწორედ ამან განსაზღვრა კიდევ „დიდოსტატის მარკვენას“ წარმატება.

მოუცნინოთ მწერალს:

„უნდა ვალიარო, შე თავად წარსულს ჩემი ერისას როდეს განვიციდოდ რთვორც „წარსულს“; ვალდებულნი ვართ ჩემი გულსაყური იქითკენ იყო მიმართული, რომ იგი აწყვამში ვადა-

მენერგა და უკვე ლანდაღმცოვილი გვირევი ან წარსულის გამოცოცხლებინა.

თავისთავად ცხადია, ვამის უსრულყოფილი, ხეთმეტრ, გინდა იგი საუკუნე ეს ერთი დაფახულებაა თვალისა.

შე ბედნიერად ვუვლი ჩემს თავს, როგორც ხელოვანი და მამულიშვილი ჩემი ქვეყნისა, რომ მე და ჩემს ხალხს შეგვიძლია უკან მოვუბედოთ და თვალთ დავინახოთ, თუ როგორ უბრძოლია ქართველ ხალხს თავისი კულტურისა და თავისი ენის თავისთავადობისათვის.

ამ ხნის მანძილზე მრავალი ვრი, მრავალი ტომი შეწერია არსებობისათვის ბრძოლას. მართალია, ჩვენს ხალხს ახარი შემოაცვდა პერმანენტულ რეჟიმში, მაგრამ მისი შეუღრაველი სული თავდაპირველად იბრძოდა მუდამ.

თავდაპირველად აგრე მეგონა, თითქმის მე ეწერა: მარტოოდენ ქართულ ენაზე მტყუველ-თათვის, მაგრამ მრავალმა ვულთილმა გამოახილმა პრესაში ან კერძო წერილმა, რომელიც მომდოდა და მომდის დღემდრ, ოთხი ოკეანის ნაპირებზე მდებარე ქვეყნების ხალხთა შიღუბისაგან, ვამახარეს და დამარწმუნეს, რომ ჩემმა შრომებმა თანაგრძობა გამოიწვიეს არა მარტო საბჭოეთის, არამედ ევროპისა და აზიის სხვადასხვა ერების გულში¹.

ეს ვაგვება, ეს თანაგრძობა არა მარტო საბჭოეთის, არამედ ევროპისა და აზიის სხვადასხვა ერების გულში, ჩასაკვირველია, იმით კი არაა გამოწვეული, თითქმის „დიდოსტატის მარკვენა“ იწერებოდა წინამწარგანზრახული მიზნით, — მისაღები ყოფილიყო ყველა ხალხისათვის. კ. ვამსატორიანს თვითონ აღიარებს: თავდაპირველად ასე ვგონა, რომ წერდა რომანს მხოლოდ ქართველ ენაზე მთლამარაკე აღმართათვის. მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რაც მოუვდა ნაციონალური ხელოვნების ყოველ ქვეშობარე ნაწარმოებს. აზრის მნიშვნელოვნობამ და რომანის ჰუმანისტური შინაარსის სიღრმეობამ და ტყეადობამ თითქმის შეუღრველად ააბლა „დიდოსტატის მარკვენა“ და გახდა იგი დიდი კულტურული მნიშვნაბის მოვლენა, რომელიც ვსაგებია და ახლაველი მსოფლიოს მრავალი მკითხველისათვის.

ერთ-ერთ სტატიაში ამოვიკითხე აზრი, რომელიც ძალზე სწორედ მომეჩვენა. სამწუხაროდ, ვერ დავიხსოვე იმ წერალის ავტორის გვარი, მაგრამ მისი მსჯელობის მსველელობა დამალოებით ასე იყო: ხელოვნება და ლიტერატურა ხალხთა შორის უღალტესად გულითადი და უშუალო ურთიერთობის წყაროა. საუკეთესო ნაციონალურ შემოქმედება შეშვეობით ჩვენ ვცნობით სხვა ხალხებთან იმას, რასაც ისინი ამბობენ თვითონ თავიანთ თავზე. ჩვენს დროში უცნობად

¹ „ლიტერატურული ვახუთი“, 1962 წლის 1 ივნისი.

და გავგებრად გვეჩვენება: როგორ შეიძლება ექსპლუატაცია გვეწყოთ საციობის იმის შესახებ, თუ ვისთვის ჰქმნის მწერალი — თავისი ხალხისათვის თუ უცხოელისათვის, რის შესახებ უნდა წერდეს იგი — „თავის საყუარზე“ თუ „სხვებზე“. სასურველია, რომ მწერალმა წეროს იმაზე, რაც უფრო იცის, და შეძლებისამებრ ისე, რომ უფრო მეტი შეიძველი ჰყავდეს!

მართლაც, უმჯობესია იმაზე წერო, რაც იცი და რასაც იცნობ, და ისე, რომ შენ გუაფდეს უფრო მეტი შეიძველი, სასიკეთო იქნებოდა საციობის ასე დაყენება: როდის მოიხივებს მწერალი საყოველთაო საყუარს და მსოფლიო მნიშვნელობას, როცა ის ზატაჟს საკუთარ ხალხს, თუ მაშინ, როცა იგი წერს ეგრეთწოდებულ საუკუნო ზოგადკუთხოვლულ თემებზე, შორეულ კონტინენტთა ხალხებზე? ჩვენ გვახსოვს გალაკტიონს ტაბიძის და ტიციან ტაბიძის ზეგებნი ვინ რიღმა და როლად იმედსენზე, ალიო მირცხულავას, იოსებ გრიშაშვილის, ალექო შენგულას ლექსები რუს ხალხზე, ვიოტავი ლეონიძის ლექსები უნგრეთზე, ირაკლი აბაშიძისა — ინდოეთზე, სიმონ ჩიქვინიანსა — პოლონეთზე, იოსებ ნინუაშვილისა — სომხეთისა და ეახსებოთ ბებია ბერძენავას ნაწარმოები რუსი და ქართული ადამიანების მგებობობაზე, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მთაწარმეები ბელორუსიაზე. ამ სიონ გავრძელება დაუსრულებლად შეიძლება. მაგრამ იგივე მწერლები წერდნენ და წერენ თავიანთ საკუთარ ხალხზე, საქართველზე, მის ადამიანებზე, მის ბუნებაზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. სადაა მათ შემოქმედებაში „სხვისი“ და „თავისი“, სადაა აქ ნაწარმოებები, შექმნილი მხოლოდ და მხოლოდ თავისი ხალხისათვის და ნაწარმოებები, ნაგაბრუნად ყველა ხალხისათვის? სიტყვის ჰემწერებზე ზატაჟის არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს „სხვისი“ და „თავისი“ თემა. და გარეგნულად „სხვისი“, სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ, მისთვის ხდება მშობლიური, მისი არსების, მისი მსოფლმგებნების, მისი ფაქტების, კიბისა და დაღბინების ნაწილი. სხვაგვარად რა აზრი ექნება მიმართოს მწერალმა „სხვის“ თემას, „სხვის“ მასაჟს? და, პირიქით, აბლოგელს, დედის ჩიქვანიან ერთად შეგნებაში შეწოვილსა და შესისხლბორცებულს, მწერლის არსებიდან გენუსოფტად, იგი აღიქვამს იმავე დიდი იდენტურ-სტრუქტურით პოზიციებოდა. თემის მიხედვით კი არ აღის ზევით ანდა ძირს ეშვება ზოგადკუთხოვნიულობის კინებზე მწერალი, არამედ ნიჭის ძლიერების, აზრისა და თვალთახედვის გამჭვირბობის მიხედვით. თემა როდი თამაშობს ვადამწევრად როლს. თემისა გვიანდა ეთქვამ, მწერალი, რასაც იყრევდელია, პირველ რაგში ისახავს ხას, რასაც იცნობს ჩინებულად ყველა დეტალებში, მის ყოველ უწერლობანეს გამოვლენებებში — საკუთარი ხალხის ცხოვრებას. მავალითები? აბა

რად გვიანდა ისინი. მსოფლიო ლიტერატურის მთელი ისტორია მვერებერყვილურად დაუდგმს ამას. მაგრამ ვაბუდავს ეინმე დამატკრეს; რუმთითქოს საქართველოზე შექმნილი ირ. აბაშიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქვინიანის, ა. მირცხულავას, ე. კალაძის, ვ. აბაშიძის, ა. ვოშიაშვილის, ჩ. მარგინანის, თ. ნუნუაშვილის, თ. კულანდის, მ. მკვაჯირიანის, მ. ქვეციანის, ა. კულანდისა და მრავალ სხვათა ლექსები ღირსებით ჩამოუფარდებიან სხვა ხალხებზე თუ საზღვარგარეთული თემისადმი მიძღვნილ მათსავე ლექსებს? შეიძლება დავასახელოთ სხვა უფრო მკაფიო მაგალითი. ქართული კლასიკური რეალიზმის ერთ-ერთმა უბრწყინველესმა წარმომადგენელმა დავით კლდიაშვილმა მთელი თავისი შემოქმედება მიძღვინა საქართველოს გარკვეული კუთხის — იმერეთის ცხოვრების ასახვას, ვანა ამ გარემოებამ რამეთი მინც შეზღუდა მისი მძლავრი და მწვეფარი ნიჭის შემოქმედების ძალა? მწერალი ეთნოგრაფი ან ყოფა-ცხოვრების აღმწერელი როდია. მას საქმე აქვს ადამიანთან. ტყვილად კი არ უწოდა ვოკიმ ლიტერატურას „ადამიანმეტყუნებომა“. დ. კლდიაშვილმა ზუსტად ასახა იმერეთის ყოფა-ცხოვრებისა და დეტალური გაჩემის თავისებურებები და დეტალური და სალომონ შორბელაძის, ოტია ქიმუშიასა და პლატონ სამანიშვილის ხასიათებით გვეჩვენა ძველი ცხოვრების საუქველთა რღვევის ძირითადი თავისებურებები, ადამიანთა შორალური ღირებულებების დაცემა და ვანდაგურება. ი პლატონ სამანიშვილი, იგი აღერსიანი და მჭრუნველი შვილია. მაგრამ მვეჯიდრობაზე ფიქრმა ბოროტმოქმედი, მამისა და ძმის მღვენელი გახადა. იგი უღმობელია ყველას მიმართ, ვინც კი ეთუქტება მის სასიციოსლო კეთილდღეობას. უსამართლო და სასტიკ სამყაროში, სადაც ადამიანი ადამიანის მტერია და დღემანი, იგი თეთონეე ზდება სასტიკი და უსამართლო. დ. კლდიაშვილი სამანიშვილის გაკიცხვით მსჭავრს დებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ სისტემასაც, რომელიც უბრძობა პლატონს ზისაძევისა და არამზადული საქცილის ჩისადენად. ეს მოხორბობა შეიცავს დიდ ჰუმანისტურ ფილოსოფიას: ადამიანის თვისებები უაბობდება გარკვეული სოციალური გარემოებებით, ადამიანის ტაბს შეიმუშავებს ცხოვრება და მხოლოდ მასში უნდა ეკითხოს ადამიანის ყოფაქცევის საიდუმლოებათა ამოსხნა; შეცვალებთ მატერიალური არსებობის პირობები, გარდაქმნით საზოგადოების საუქველუბი და მაშინ შეიცვლება თეთონ ადამიანი, მისი ზასიათი, მისი მიდრეკილებანი. თვით საუქეთესო მხარეებიც, კი, რაც სუბიექტურად შეანერგოლია ამა თუ იმ პირობებაში, ისობა და ქრება ვარეშე პირობათა განაღდებრებული შემოქმედებით. ადამიანს უეთთარდება მტაცებლური, მიღწი ინსტიტუტები, რა-

დგან ასეთია ცხოვრება, ასეთია ცხოვრებისეულ გარემოებათა ვარდუელი სასტიკი ლოცვა.

როგორი თანადროულია და ამტბილი მწერლის ეს პეპინსტერი იღვას განა „სამანაშვილის დღეინაცვლის“ დწერისას? კლდიაშვილი ყველა ხალხებს გულისხმობდა? მან მოგვითხრო იმის შესახებ, რაც საკუთარი თვლით დაინახა საქართველოს გარკვეულ კუთხეში — იმერეთში. მაგრამ ამ დანახულში მან, როგორც დიდი დღიანობის მხატვარმა, განსტერება აღმანაწერი ცხოვრების მნიშვნელოვანი თავისებურებები ბატონმურა-ბურკეზიული საზოგადოების პირობებში. მისი ნაწარმოები მისი აღორძლი პირობებში სიღრმით ხელოვნურ დამკრატთა ყოველგვარი დამხრებით უმისოდ ძალადუტანულად ავიდა ზოგადსაყოფრთა სიამაღლება, და დ. კლდიაშვილი ამ სრულიად რთული გამოწვევის.

რას ნიშნავს „შეგნებულად ქმნიდეს და თმზადეს ყველა ხალხისათვის?“ ხომ არ არის ამ მოთხოვნით გამოთქმული მოსაზრება საკუთარი ერის არასრულფასოვნების შესახებ? იმას, რაც ზღვება თითოეული საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, აქვს საყოველთაო, მსოფლიო მნიშვნელობა. თუ მწერალი საკუთარი ხალხის ცხოვრების ერთგულია, თუკი მას შეუძლია დანახვის ამ ხალხის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი, უაღრესად საყურადღებო და საინტერესო ანბები, სწორედ ამით მიაღწევს იგი ზოგადნაციონალურ და საყოველთაო მსოფლიო აღიარებას. განა ზოგადსაყოფრთი იმით მოიპოვება, რომ მწერალი დღივითავეს უპირობო სიერტეში, წერს ყველაფერსა და ყველაზე და თან აიტაცებს და კრებს ცალკეულ ნაკეთებს სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებიდან? მწერალი, უწინარეს ყოვლისა, ერთგულია. ის დღივით თავისი ხალხის სიღივით, და არა — პირიქით. ერთი ერის მწერალი საინტერესოა მეორე ხალხისათვის, როცა ის (მწერალი) ნაცობსა და ზეუღლში აღმოაჩენს რაღაც ახალს, მანამდე აღმოუჩენელსა და გამოუკვლეველს, როცა იგი ამღიღრებს აღმინის შეხსტერებას რაღაც თავის საკუთარით, განუყოფრთებით, რაც წარმოქმნილა თავისი ერის ცხოვრებასა და მდგთან ერთობის ნიღაგზე. დეო ქიანღლში რთი დასწერა „გვაღი ბიგა“ ინგლისელი, ფრანგი, ინდონეზიელი და მსოფლიოს სხვა ხალხებისათვის. მაგრამ გვადის სახე მრავალმა შეიყვარა, არა თავისი ნაციონალური განუხლდერლობითა და ამტრატუტული აღმინური თვისებებით. გვადიმ მსოფლიო მკითხველების თვალთა წინაშე გადამალა ქართული სინამდვილის, ქართული ერთგული ხსიათის ცალკეული, უაღრესად არსებითი მხარეები. გვადის ღრმა თავისთავადობასა და მომხიზველულობაში, მისი ბედის, მისი ზნობრივი იღვივნების სამაგილითობაშია ბიგვან ზოგადსაყოფრთი ხსიათის საი-9. „მნათობი“, № 10.

დღმლო. მოამორეთ გვაღი მის გარემოსა და წრეს, ჩამოაცილეთ სასიცილსტუკეველსა, რომელშიც მის უხდება ცხოვრება დღმლომდებ, და ვვადი წინაშე გავფრულდება. ღერებში გახუნდებია. ის, რომ გვაღი ქართულია და ქართული სინამდვილის შეიღია, ხელს არ უშლის მას ვასაგები თუკი სხვა ერის მკითხველისათვის. პირიქით. და იგი სწორედ ამით არის საინტერესო. ზოგადისა და კერძოსი, ნაციონალურისა და ზოგადსაყოფრთილის ეს ურღვევი კავშირი არ უსმის ა. ბიგავეს. ვ. სოლოუხინი სტატიაში „რაცანათსაგებებს ზეუენ“ (ლიტერატურისათვის ვახუტა, 1962 წლის 6 თებერვალთ) მართლმომივად უარყოფს ბიგავეის მცდარ თეზისს. ადა სერთოდაც მე მინდოდა, რომ ბიგავემა ოღესმე უფრო დამწრილებით, განმომარტოს, თუ, ვთქვით, მე, რესმა, როგორ უნდა „შეგნებულად შეგნებულად ყველა ხალხისთვის“. ეს ჩემს ძალღონეს აღეშტება. საქობს უწერო ჩემს რუსულ ბუნებაზე, ჩემს რუსულ სოფელზე, ჩემს რუს იდამინებზე“. უაღრესად დამიწრებელი პასუხია. მაგრამ ბიგავემა ვადწევიტა კონტრირიწმე ვადსელა. ჩეენს მიერ დასახებულ წერილში იგი სასტიკად სტექსიეს სოლოუხინს და წერს: ამაჟამად, როცა ყველა ლიტერატურა პირით შეგობრუნდა ჩეენი თანადროულობისაკენ, და თავიანთ მთავარ გმირად აირჩიეს თანამდროვე და ახალი ნიშანთვისების მქონე აღმინი, ყველა მწერლის წინაშე მყოლი სიგემ-სიმაღლით აღმინათა ამოცანა — ერთგულ პირობებებს, ერთგულ ტიგებს, ერთგულ სახეებს შეინიჭოთ ზოგადსაყოფრთი, ნამდვილად მოქალაქეობრივი და ზოგადსაყოფრთი ქვარაღობა თავის მშობლიურ იღმშიც და მის ფარგლებს გარტეთ. ერთგული მწერლებისაგან მოთხოვენ, რასაკერძეულა, ასეთი ზოგადსაყოფრთილი მოხიკეზიად დამწერილი ნაწარმოებებს“.

ბერქმენი მწერალი კოსტას ვარნალისი ერთერთ წერილში წერდა: პრინციპში ინტერნაციონალური მკვლევანება არ უშლიან ხელს მკითვრის ნაწარმოებებს გახუნენ ორიგინალურისა და ნაციონალური. იმავე დროს ნაწარმოები შეიღება არ გახდეს ზოგადსაყოფრთი, თემცა იგი ერთგულიყა. რატომ? აღნათ, არა იმიტომ, თითქოს ნაწარმოების ნაციონალური განსახლდერლობა და თავისებურება ხელს უშლიდეს მის ერთობლობის ზღდებზე გსასილელად. ერის ცხოვრებაში არსებობს სხვადასხვა მხარეები: უაღრესად მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანი და უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი. საქირთა უაღრესად თვალსაჩინო უაღრესა და მოვლენათა შერჩევა, მთლიან ღრმა გაზრინება, კვლავიერის ის, რაც ზეუენ და შემორჩენილია ერის ცხოვრებაში, ავტომატურად ვერ ვახდება ზოგადსაყოფრთილი ღირებულებად. ეს სწორია. და ამაზე რთი დაეა. მაგრამ რას ნიშნავს

ეროვნული პრობლემებისათვის, ეროვნული თემებისათვის, ეროვნული სახეებისათვის ნამდვილად მოქალაქეობრივი, ზოგადკაცობრიული ელემენტობა მინიჭება? წინდა ეროვნულს მოეყოლოთ ზოგადკაცობრიული მარტილი და მამინ იგი ეარგისი იქნება სპეციალად? ნუთუ ასეა? ზოგადკაცობრიული კი არ უნდა „დედამეტოს“ ეროვნულ თემებს, ეროვნულ სახეებს, ეროვნულ პრობლემებს, არამედ ორგანიზალად, ძალდაუტანებლად აღმოიზარდოს მათგან. განა წარმოსადგენია ლიტერატურულ ნაწარმოებში ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის დიზონანსი? ეროვნული პრობლემები და ეროვნული სახეები თუ ისინი ნამდვილად ეროვნული არიან, თუ ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ეროვნული გაერთიანების სასიცოცხლო საკითხებთან, არ საჭიროებენ იმას, რომ მათ კიდევ მივანიჭოთ მოქალაქეობრივი, ზოგადკაცობრიული ელემენტობა. ყველაფერა ეს სწის და უნდა იყოს თვით პრობლემათა შიგნით, თვით სახეთა შინაარსში. მსგავსი თეორიების ავტორები, სეროთუ არა ეს, ეროვნულსა და ზოგადკაცობრიულს პოუფენ ორ დამოუკიდებელ არსებით ნაწილად. გამოდის, რომ: ეროვნულ, როგორც ძალი, ევრ შეძლებს გახდეს ზოგადკაცობრიული. ამისათვის მას აუცილებლად უნდა მიენიჭოს ზოგადკაცობრიული ელემენტობა. გუგუბარია, საიდან ღებულავენ ამ ზოგადკაცობრიულ ელემენტობას იგი (ზოგადკაცობრიული) რაღაც უბილატი სელაით ზამ არ დასტრიალებს თავს ეროვნულს? დავითანხმო, იმას, რომ არსებობს სხვადასხვა ხერხი და საშუალება ზოგადკაცობრიულის გამოსახატავად. უდავოა, რომ ზოგადკაცობრიული ყოველთვის როდია დაკავშირებული კონკრეტულ ეროვნულ სინამდვილესთან, კონკრეტულ ეროვნულ სახეებთან. ზოგჯერ ზოგადკაცობრიული თითქოს გამოიშვლია გარკვეული ეროვნული ნიადაგიდან. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ — ეს აღმნიშნული თაქსტულების მიმინა, გამბედაობისა და დაუტყობიელ წინსვლის ხოტბაა. ამ ლექსში უდიდესი სიმბოლავითაა გამოხატული პოეტის მიმანისტური იდეალი: მამაყისა და გამბედავის მიერ დამღეული და გაღალატული ფათერაკებით აღსავსე ნარტულიანი გზა აღმინანებს შთაუწერგავს იმედსა და ნუგეშს აღმნიშნული გონებისა და ნატ-

ვრასტრელების დაუოკებელ ძლიერებაზე, აღმინანის უნარზე შეთქმულბელს ქრისადუნად. დიდი გმირობა და თავდადებულება ლოდ როდი გაქრება. ის იქნება ჩირადდანი, რომელიც გზას ვაკვირათებს უცნობი სივრცეებისავე. „მერანი“ ძველი მოთქმისის ქართული სინამდვილის, ქართული ყოფისა და პეიზაჟის ადვილად განმასხვავებელი მხარეებია. პოეტის ეროვნული თვითშეგნება შერწყმულია ზოგადკაცობრიულთან, აქილით „ფიქრი მტკვრის პირას“, — სათაფრშივე აღნიშნული ადგილმდებარეობა. ესაა ნაქართვლო, თვით მისი გარკვეული კუთხეც კი. ამ ლექსში ეროვნული გამოსკვირვის ზოგადკაცობრიულში, ხოლო ზოგადკაცობრიული ეყრდნობა ეროვნული სინამდვილის ფაქტებსა და მოვლენებს. ნ. ბარათაშვილი როდი „ანიჭება“ თავის ლექსებს ზოგადკაცობრიულ ელემენტობას. აქ ზოგადკაცობრიულია თვით პოეტის მიღგობა პრობლემებთან, ახროვნების საშუალება და ხასიათი, ღროის რთული, დიალექტიკური კავშირის დანახვის უნარი. ეროვნული ცხოვრების ფუნათა ყოველმხრივად მომცველი ნაციონალური არ საჭიროებს ფეხზე წამოყენებას, არ მოითხოვს იმას, რათა მას დამატებში მიენიჭოს ზოგადკაცობრიული ელემენტობა.

უკანასკნელ ხანებში ბევრს ვლამარკობთ და ეწერთ ზოგადკაცობრიულ მომენტზე ხელოვნებასა და ლიტერატურაში. მაგრამ ყოველთვის უესტად როდი გვესმის ზოგადკაცობრიულის დედარის და რაობა. ზოგადკაცობრიულის საზომი განისაზღვრება მწერლის მიერ აღჩრული პრობლემების საზოგადოებრივი და სოციალური მნიშვნელობით, სულ ერთია, რომელი ნაწილის ცხოვრებიდან იქნება აღებული პრობლემები, ემივორებთ: ზოგადკაცობრიული არ დაემატება ეროვნულს, როგორც უმადლესი გამოძლიერებელი, არამედ ვანუერელადა დაკავშირებული მასთან. უიმედო სქოლასტიკოსი და თაღმუდისტი უნდა იყოს აღმინანი, რომ ეძიოს მიენა: სად თავდება ნაციონალური, და სად იწყება ზოგადკაცობრიული. ხელოვნებაში ასეთი დაუოფთა არ არსებობს და არც იქნება, იგი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი დაბნეული თეორეტიკოსის გონებაში.

(დასასრული იქნება).

შავე ნაშაბიძე

განიმკვებლობა საქართველოში და რუსთაველის
შემოქმედება

მანიქველობას გარკვეული ადგილი უჭირავს აღმოსავლეთიდან მომდინარე სხვადასხვა სინკრეტისტულ თუ მონოლითურ რელიგიურ მიმდინარეობათა შორის. აზროვნების ასტორიის თვალსაზრისით მანიქველობა, ისე როგორც სხვა რელიგიური მოძღვრებები, შეიქმნა მსოფლგაგების ელემენტებად. თუ ერთი მხრივ, მანიქველობას ზორასტრიზმისაგან ნასესხები ელემენტები ახასიათებდა, მეორე მხრივ, იგი მისი დროის ფილოსოფიურ-მისტიკური მოძღვრებებითაც სარგებლობდა, როგორც იყო, მაგალითად, გნოსტიკურა ფილოსოფიური მიმართლება. შეცნობრებაში არსებობს ისეთი შეხედულება, რომ მანიქველობას იყენებდა ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლგაგება, როგორც საფარს თავისი გავლენის განვრცობისათვის. მანიქველობა, ამ მხრივ, უთუოდ ხელსაყრელი წაფარა იყო, როგორც იმდროინდელი სხვადასხვა მსოფლგაგების ელემენტების, კერძოდ ქრისტიანობის ელემენტების შემცველიც.

„ბალავარიანის“ კვლევათა დაკავშირებით, შემთხვევა მქონდა შევხებოდი საკითხს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გამწე იდეურ მიმდინარეობათა „ქართული გზის“ შესახებ (იხ. ჩემი წერილი ბალავარიანის შესახებ გერმანულ ენაზე, გამოცემა ბერლინის აკადემიისა, „კლასიკა ორიენტალიას“ პუბლიკაციაში, ბერლინი, 1961). დღესაც იმავე „ქართულ გზასთან“ (აღერ გეორგიშე ვეგ“) გვაქვს საქმი, რომელიც, სხვა ანალოგიური გზების გვერდით, დამახასიათებელია იმ „შეტრევისათვის დასავლეთისაკენ“ (დრანგ ნახ ვესტენ), რაც მანიქველობის განვრცობის გზასთანაა დაკავშირებული.

დამახასიათებელია, რომ ქართული გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, გამწე იდეოლოგიური მოძრაობისათვის არ იყო უბრალო ეტაპი. იგი, თითქმის ყოველთვის, ან ძირეულად გადაამუშავებდა ხოლმე გარედან მოწოდებულ იდეურ ვითარებას, ანდა გზას გადაულობავდა მას. საამისოდ დამაყრებელი ფაქტები გააჩნია თანამედროვე შეცნობრებას, ქართულში აზროვნებაში არ მიიღო ანტიკური ფი-

ლოსოფიური შემვიდრება და იგი არეკავდა გიტრულ ქრისტოლოგიად გადაამუშავდა. ასევე მოეჭვა იგი ბალავარიანის ცხოვრების ინდოეთიდან მოწოდებულ ისტორიას. ორივე აღნიშნულ შემთხვევაში ანტიკური ფილოსოფიის შემვიდრება გზის მიმართულებად გადაეცა შუა საუკუნეებს, როდესაც ძირითადი ფილოსოფიური საკითხი მანთისტური მატერიალიზმისა და მანთისტური იდეალიზმის ბრძოლად გაიშალა. იგივე მოხდა „ბალავარიანის“ შემთხვევაში: იოანე მოსხის მიერ ქრისტიანობის ინდური თქმულება, ქართველი მოაზროვნე-შეიქმნობის ექვთიმე ივერის მიერ ქართულიდან ბრძნულად გადაკეთებული, თითქმის მთელი პეტრეტრული კაცობრიობის საკითხავ წიგნად გადაქცევის ამოსავალი მომენტი გახდა.

თანამედროვე შეცნობრებაში თანდათან დამკვიდრდა აზრი, რომ III საუკუნეში აღმოსავლეთიდან, კონსტანტუპოლში, მანთისტური ირანისა, სირიის, სომხეთისა და საქართველოს კულტურათა შიგნის მთავარი რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ შეხედულებათა ეს ახალი ნახა-ვი, რომელიც მანის სახელს უკავშირდებოდა.

ახალი მოძღვრება მანის იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის თავისებური სინთეზი, რომლის ქადაგებაც, დასავლეთისაკენ გაქრის მიზნით — მწერლობის თუ აგიტაცია-პროპაგანდის გზით — კერ კიდევ მანის სიცოცხლეშივე ცვალებადი წარმატებით წარმოებდა. თუ ამ მოძღვრების ქრონოლოგიურ ფარგლებად ჩაითვლება მანის გამოსვლა ირანის მფლობელის — შაფერ არ-დამირის ძის კერთხების დროს (240 წელი), ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, შაფერის შემვიდრის ბარამ I დროს მანის დატესტება და მისთვის თავის მოკვება (275 წ.), მანიქველობის ჩასახე-განვითარების პერიოდი ერთი საუკუნის მესამედზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

მანი საქმიოდ ორგანიზებულად ევეთა აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით მდებარე ქვეყნებს, მას ჰყავდა საქმიოდ ძლიერი აპარატი — 12 მოციქულის, 72 ეპისკოპოსისა და სხვებისაგან შემდგარი. ამათ გარდა, მის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილი „ჩიულები“ და

„მსწენელები“, ლათინურად „აუდიტორები“. როცა მანის ქალაქებში აფრიატს მილაწია, მის მსწენელთა რიცხვში აღმოჩნდა თვით ავგუსტინე (IV ს.), მომავალში დასავლეთის ერთი წამყვანი მოაზროვნე, რომელშიც დასავლეთის ბერეუბანიული მეცნიერება აქამდე ზედას ანტიკური ფალოსოფიური შემკვიდრების დასავლეთისათვის ვადაძეგლს. მართალია, ეს შეხედულება დასავლეთის ბერეუბანიული მეცნიერებაში არაა დასაბუთებული და დღევანდელს მეცნიერებაში გრძელდება დღეა ამ საკითხზე (რასაც მე მიუთითებ ჩემს წიგნში — აბერტე იბერი და ავგუსტინე, მნალობა, 1961 წ.), მაგრამ მიუხედავად ამისა, ადვილი ვთავაზობა, რომ თვით ფაქტს ავგუსტინეს მიერ ერთ პერიოდში მანიქველანობის მომხრეობისა და მქადაგებლობის, მინიშნებითი მნიშვნელობა აქვს მანიქველანობის დიდ გავლენიანობისათვის, როგორც ქრისტიანობის მეტოქისა შუა საუკუნეთა აზროვნების განვითარების გზებზე.

თუ შემდეგში საქარსტიანო მოღვაწედ ქვეულის ავგუსტინე ხანგრძლივად ებრძოდა მანიქველანობას და ამით გზას იკავებდა ფალოსოფიური შეიქცევის როლისათვის ანტიკურობასა და შუა საუკუნეთა შორის, ნათელია, შუა საუკუნეთა ფალოსოფიის შესახებ გვერდს ვერ ადგლის ავგუსტინეს ამ მოღვაწეობას. თავის პრაქტიკა, ეს დიდი ამბავი ნათელსა ჰქვენს სხვა ქვეყანათა და მათ შორის საქართველოს ბრძოლას მანიქველანობის წინააღმდეგ, დაწყებულს იმავე IV საუკუნეშიდან.

წარწერა ირანის მბრძანებლის შაფურისა, რომელიც 272 წ. ვარდაიცილა, იძლევა ცნობას მანის ენერგიული მოწილის შესახებ სხვადასხვა მეზობელ ერთა მიმართ. მანის ცდა ზოგჯერ წარმატებით მიმდინარეობდა, და მისი გავლენა არა მარტო აფრიატს, არამედ უფრო შორსაც (თვით დასავლეთ ევროპაზე) აღწევდა. მეცნიერება დღემდე სარგებლობს ავგუსტინეს მიერ შემონახული ცნობებით. მანის წიგნების შესახებ მას დაუცუა ცნობა: „ი წიგნები — ჩანსაღი სწავლით. რომლის წყაროა ცოცხალი და მარჯული, მისი მკითხველი ეზიარება მარადიულ ცხოვრებას და დიდებას“ (იხ. ავგუსტინე, მანიქველანთა წერილების წინააღმდეგ, 12, დასაწყისი, ლათინურად). პირველი წიგნთაგან, დაწერილი სპარსულ ენაზე, მანამ შაფურს მიუძღვნა, ხოლო შემდეგ დაიწერა სირიულად. შაფურის წარწერა შეიცავდა ცნობებს, საიდანაც ჩანს, რომ მანიქველანობის საქადაგებლად და მეზობელ ქვეყნებში მიმდევართა წერების დასაარსებლად იგზავნებოდნენ სავანებო პირები, გამოირჩეოდა, თანახმად ცნობისა, მანიქველანო საზოგადოება სომხეთში, აფრიატში და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ შაფურის წარწერის იყვედნენ დიდი სპეციალისტები (ჰენანიგ და

სხვ.), საქართველოში მანიქველანობის გავრცელება არ იქნა ამოკლებული უკანასკნელ დრომდე, რაც ქართული ადრინდელი ქვეყნებისა და აზროვნების შესწავლის სძველესი მასალები კარგად აჩვენებს. როგორც ცნობილია, იმავე IV საუკუნიდან არსებობს ცნობა, შემონახული „ქრისტიანული ცხოვრების“ მიერ, მოზიდანის შესახებ სახელდობრ, რომ „წიგნი მოზიდანისა“ მხილებულ იქნა და დაწვეს, რის არგვლოცა სიამოითქმა-მოთქმა ყოფილა ადრინდელ საქართველოში. არანაკლებ გვეს ჰქონდა ადგილი ქართულლოგიაში, სადაც, თ. ვოლანისა „ქართონების“ შემდეგ, ავად. ი. ა. ჯავახიშვილმა და ავად. კ. ს. კეკელიძემ თავისთი აზრი გამოთქვეს საქართველოში მანიქველანობის შემოსვლის შესახებელი კვლევის შესახებ IV საუკუნეში.

თუ მხედველობაში მიღებული იქნებოდა ირანის მეზობელ ქვეყნებში III-IV საუკუნეებში შექმნილი სიტუაცია, მათლოდნელი იყო, რომ საქართველოშიაც შემოიქცა მანიქველანობა „მობიდანის წიგნის“ სახით. ქართული ფალოსოფიის ისტორია ამ ფაქტობებს გვერდს ვერ აუვლიდა და მეც ასეთ აზრს დაუქვირე მხარი (იხ. ჩემი „ქართული ფალოსოფიის ისტორია“ ტ. 1).

ჩემი მეცნიერების საეგებისო მოსაზრებებს მტკიცე დასაყრდენი გაუჩნდა მას შემდეგ, რაც მიმდინარე წელს ავად. გ. ვ. წერეთელმა წაიკითხა შაფურის III საუკუნის წარწერის ტექსტი და ნათლად ამოკითხა, რომ მანის წიგნთაგანებში მის მომდინარეს ავრცელებდნენ საქართველოშიც და აქ მიმდევართა წრეც ჰყავდათ.

ავად. გ. ვ. წერეთლის მაჯორიტული მიღწევა საშუალებას იძლევა იდეოლოგიური ვითარების მთელი სურათის წარმოდგენისა. ყოველ შემთხვევაში, ის, რაც მოხდა სხვაგან, ცხადი ვამხდარა საქართველოსათვისაც. ამავე დროს ადვილი ჰქონდა განსხვავებასაც, როგორც ითქვა, აფრიატზე მიღწევლმა მანიქველანობამ დიდ წარმატებას მილაწია ავგუსტინეს მიმხრობით, თუმცა ეს შემდეგ საპირისპირო მდგომარეობით შეიცვალა და ავგუსტინემ — უფრე საქარსტიანო ხელისუფლამა — რამდენიმე ნაწარმი გამოაქვეყნა მანიქველანო წინააღმდეგ; სომხეთში, როგორც ჩანს, მანიქველანობის მიმდევართა საკმაოდ დიდი საზოგადოება დაასრებულა, რამაც IV-V სს. რეიქცია გამოიწვია. სომხეთის გამოჩენილმა მოღვაწემ ეზნიკ კბეციამ დასწერა წიგნი სათაურით — „ერეტიკოსთა წინააღმდეგ“. რომლის დიდი ნაწილი მიმართულია მანიქველანო წინააღმდეგ.

„ქართლის ცხოვრებას“ არ შემოუნახავს უფრო ნათელი ცნობები „მობიდანის წიგნის“ შესახებ. ხელთ არა გვაქვს ეპისკოპოს მიქაელის მხილების ტექსტი, რომლის შედგება დასწევს მოზიდანის ნაწარმოები. შეიძლება ქართულს დასწერლობაში, როგორც ფიქრობენ ავად. გ. ვ.

წერეთელი, ბევრი ინგოროყვა და სხვ. შემონახული იყოს ზოგიერთი კვალი მანიქეურთა სიტყვა-ხმარებისა, მაგრამ ეს გარემოება არ დაუყვანება ქართული თარგმანების ორიგინალში (ყერძოდ საეკლესიო ძეგლებში) თითქმის უკვე იმ თავითვე შესულ მანიქეურ რელიქტებზე, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს.

„ესისრამიანის“ ტექსტში, თანხმად გ. ვ. წერეთლის მითითებისა, მოცემულია კვალი მანიქეურთა გაელენისა. დასავლეთ ევროპულ მეცნიერებაში მითითებულია ასეთივე მანიქეურ კვალზე „ქილილა და დამანაში“, ევროპულ დამატებით თავზე, სადაც აღნიშნული იყო გზა მანიქეველობის რწმენის მიღებისა (იხ. ბიბლია, „ინილა“, სავოს თარგმანი, 1, გვ. 159, ფრანგულ ენაზე).

ყველა ამ გატყობებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში მანიქეველობის აღრიხნული შემოსვლის შესწავლისათვის. ზოგადი აღრიხვნების ისტორიის თვალსაზრისით, ევროპულ, ქართული აღრიხვნების ისტორიული შეფასებებისათვის გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ, მიუხედავად მანიქეველობის საქართველოზე გულტურულ-იდეოლოგიური მოწოდების, V საუკუნეში ქართულ აღრიხვნებაში შემუშავდა ძლიერი, პირინეპული ხასიათის ჭებირი, რომელიც უნ აღუდგა მანიქეველობის შემოტევას და შეუწინაღობელო ვახადა მისა შემკვობა განეთარება.

საკითხი ეხება ისევ ორ დიდ ფიგურას აღრიხვნების ისტორიაში: ავეუსტინეს, რომლის მებაიარახტრებას დასავლეთის აღრიხვნებაში მხარს უჭერს ოფიციალური დასავლური ისტორიოგრაფია, და არეოპაგიტის ნაწილად ავეტროსს — პეტრე იბერის, რომელიც, აბც ისევ დიდი ხანია, რაც მიგნებულ იქნა საბჭოთა მეცნიერებებს მიერ და დადასტურებულ დასავლეთის მეცნიერის, ბელგელი აკადემიკოსის პონივმანის მხრივ, ავეუსტინე კარგად იცნობდა მანიქეველობას პირველწყაროების მიხედვით და დასავლეთში მანიქეველობასთან ბრძოლა დროს თითქმის ყველა მის მასალებს ეყვარებოდა. რომის პაპი ლეონი, რომელმაც, სხვათა შორის, დამწვა საწაროდ მანის ნაწილები, თავის პოლემიკაში ავეუსტინეს მასალებს იყენებდა, ასევე იმეცოდა სვეტრ ანტიოქიელი, პეტრე იბერის შემცვლელი, რომელიც, მანიქეველობა წინააღმდეგ თავისი წიგნის წერასს, იმავე ავეუსტინეს იყენებდა. დიდი ერულიტი იოანე დამასკელი (VIII საუკ.) თავის „დილოგს მანიქეველობა წინააღმდეგ“ ავეუსტინეს მასალებზე დაყრდნობით წერდა.

ავეუსტინე თავის პოლემიკაში მანიქეველობა წინააღმდეგ, მართალია, ფილოსოფიურ საკითხებსაც ეხებოდა, რადგან უამისობა არ იქნებოდა სიკეთისა და ბოროტების ცნებაზე აკებული მოძღვრების განხილვისას, მაგრამ იგი უფრო

საეკლესიო მწერლობის განმარტებებს ეყვარებოდა (იხ. მისი „პოლემიკა მანიქეველობა წინააღმდეგ“, თხზულებები, ტ. 1, გვ. 64-68). საზარების ტექსტების განმარტებაში მოშველიებით ებრძვის ავეუსტინე მითითებულ ადგილებში მანიქეველობა რიც დებულტებებს.

ამიტომაც იყო, რომ ავეუსტინემ ვერ შეიხერა მანიქეური მოძრაობა აფრიკაში, სადაც ის მოღვაწეობდა: მანიქეიზმი ადვილად მივიდა საფრანგეთამდე და ე. წ. კათარების მწვალებლობის სახით, მებრძოლ ძალად იქცა სამხრეთ საფრანგეთში.

თუ საქართველოში IV საუკუნეში ქრისტიანული ოფიციალური ეკლესიის წარმოადგენლებმა დასწვეს „წიგნი მოზიდანისა“, როგორც ეს შეგნევი გაიგებოდა პაპი ლეონ მესამემ უკვე, მანის თხზულებათა დაწივით V საუკუნეში, არეოპაგიტული წიგნების ავეტროსმა, პოკლეს მოძღვრების სათანადო გადამწვაებით, სიკეთისა და სინათლის შესახებ თავისი დროსითის ისეთი დამოავრებელი, მთლიანი და არგუმენტარტებულ სისტემა წარმოაყენა, რომლის გადმასხვა ადვილი არ აღმოჩნდა. როგორც თავისი სისტემის შესავალიში, რომელსაც თვითონ პეტრე თავისი მეორე წიგნის („საღმართო სახელთათვის“) პარეგლსავე პარაგრაფში იხსენიებს სათაურით — „საღვთისმეტყველო სახის მოღვატა“ (ბიბლიულად — „პაპო ტამიზის თეოლოგიკე“), თვით შეგნევა შეა საუკუნეებში მას „მოზეზთა წიგნს“ უწოდებდნენ, ისე სხვაგანაც სიკეთის ამსოლუტურობას ამტკიცებს, რომელიც ყოფიერებაში დგომით გამოხატებოდა. ამიგვერდით ბოროტი არ არსებობდა ანუ „უღვრთ იყო“. რადგან სიკეთე, როგორც მიხვს, იყო ერთადერთი წყარო სიკეთის გამოღვინისა.

ასეთი იყო მიზნთა ფილოსოფია, რომელმაც არისტოტელეს წყალობით შესცვალა პლატონიზმის იდეათა ფილოსოფია, და უმაღლესი ანუ „პირველი მიზნე“ გახდა სიკეთე, რომლის გარტე არ იყო ბოროტი, როგორც არსებული. ეს აზრები უმაღლესი სიკეთის“ შესახებ IX საუკუნეში ითარგმნა ქართულიდან არაბულად.

მხოლოდ იმავე არაბულიდან ითარგმნა ქართულად XI ს. თხზულება „ეესტრატეიკისის მარტეობობა“, რომელშიაც უკვე დახვეწილად სწერია: აბა აბს ბოროტი, ეინაი დან აბა აქვს მიზნე. ამ ატმოსფეროში მზადდებოდა ქართული რენესანსი, რომლის იდეოლოგიური დროში პეტრე იბერის ნაზარევის აღმარტინება იყო. ამ რენესანსის ერთი ბოროტი ამოცანა გახდა ქართული აღრიხვნებაში მანიქეველობისათვის განმეორებითი შეტევა, რომლის შემდეგ მას აღას უღდა ეხეირტინა საქართველოში.

სიკეთის ამსოლუტურობისა და ბოროტების უარსობის შესახებ მოძღვრების გვერდით, პეტრე იბერი ასწავლიდა უმაღლესი სინათლის მ-

ხეობა

რადიულობისა და ბნელის უარსაბის შესახებ. ამდენად, ამ მუხლითაც პეტრე არსებითად ეწინააღმდეგებოდა მანიქეურ შეხედულებებს. ავგუსტინესა და სვეერ ანტიოქიელის მიერ შემოხსულ მანიქეურ დებულებათა მიხედვით, ჰიზის თვალსაზრისი წერაფერად სიყვითლსა და ბოროტების თვალსაზრისს, სადაც სიყვით იგივე იყო, რაც სინათლე, ზოლო ბოროტება — ბნელი (იხ. ზემოთ დასახელებული ავგუსტინეს „მანიქეველთა წერილების წინააღმდეგ“, აგრეთვე სვეერ ანტიოქიელი, ჰომელია, თავი XX). ამის შესაბამისად ქვეყანას ვინაველებ კეთილთა ნაწიხით — ღმერთი და ბოროტი — ეწმკაი (პრასპერ აღფარიც, „მანიქეველთა ნაწერები“, ტომი I, II, პარიზი, 1918-19 წელი, ფრანგულად).

მანიქეველობის შემოტევა დასავლეთისაკენ საქმიად ძლიერი აღმოჩნდა. მასთან ბრძოლა ერთნაირი ეტაპებით მიმდინარეობდა ძირთად ხაზგზზე, ვერც ავგუსტინემ, როგორც აღინიშნა და ვერც სვეერ ანტიოქიელმა ვერ შეაძრეს მისა შეტევითი იდეური შესვლელობა. VIII სუტუნეში საჭირო შეიქნა საქმეში ჩარეულიყო იოანე დამასკელი, რომელმაც გარდა ზემოთდასახელებული ოხზულებისა, მანიქეველბთან ბრძოლას უძღვნა „დისკუსია იოანე ორთოდოქსისა მანიქეველბთან“. იოანე დამასკელის არც ერთ ამ ნაწარმოებში არ ჩანს მანიქეურ ნაწარმოებთა ორგინალბის ცოდნა (ისინი დასახელებულიც არ არიან). დამასკელი თვითონ აფორმებდა, როგორც აღინიშნულია მეცნიერებაში, მანიქეველთა დებულებებს კრიტიკის გასაადვილებლად.

მანიქეველობა გავსებლად დამასკელის კრიტიკას და XII საუკუნის პირველ ნახევარში, ისევე როგორც საქართველოში, საჭირო შეიქმნა მის წინააღმდეგ ბრძოლის ვანახლება. საქმე ებება შარასტანის ნაწარმოებს — „რელიგიური სექტები და ფილოსოფიური სკოლები“ (თარგმნილია გვიმარტულად თ. პაპაბერიტვიკის მიერ, პლან. 1850 წ. ტ. 1), რომელშიაც მოცემულია მანის დღეაწმის კრიტიკა (დას. ნაშ., გვ. 285-290). მიუხედავად ამისა, მანიქეველობის იდეებმა განაგრძო დასავლეთისაკენ სელა. ამის მიზეზი უნდა იყოს ის გარემოება, რომ მანიქეველობის წინააღმდეგ, მიუხედავად კამათის ობიექტის ოგივეობისა (დღეაწმის წინააღმდეგ ბრძოლას), ვერ იქნა მიყვებული ისეთი პრინციპული პოზიცია, როგორიც არეომაგეტიკის ნამდვილმა ავტორმა წარმოაყენა.

უნდა ითქვას, რომ მანიქეველობისა და ქართველი მოაზროვნის — პეტრე იბერის იდეათა დამირისპირება არ დამთავრებულა სიციეთისა და სინათლის მონიშნის საბოლოო გამოაყვებით. როდესაც VII საუკუნეში ბუღას ბიოგრაფიის სახათ ინდური მსოფლგაგება შემოიღდა საქართველოში, მან მონც მოახერხა მანიქეველობის

საფარის გამოყენება (შეად. დევიდ ლენგე, „ბალაერიანის“ ინგლისური თარგმანის წინასიტყვეობა).

თუ სვეერ ანტიოქიელმა ვერ მოახლოდა იოანე დამასკელის ბრძოლა მანიქეველობის წინააღმდეგ ჩრის გამოყენებაც ვამოღებებდა მის ბრძოლას მანიქეველთა წინააღმდეგ, ქართველმა მოაზროვნე-მწიფნობარმა იოანე მოსხმა შესძლო არეომაგეტიკის ავტორის მეთოდით ვამოსულიყო მანიქეველობის დროშის საფარით ვულტურის კარზე მოამდგარა ინდური მსოფლგაგების წინააღმდეგ. ეს მეთოდი იყო ქრისტიანისზაციის მეთოდი და იოანემ სცადა ბუღას ბიოგრაფიის თავისი მიზნებისათვის გამოყენება, ისე, როგორც პეტრე იბერმა ანტიეფრი ფილოსოფიური მეწყვიდრეობა ქრისტიანული კულტურის ნიადაგზე გადმოიტანა პროტესტს, როგორც „ნეომაღატონიზმის მწიფრეაღის“, სათანადო გადაამუშავებით.

მანიქეველობის ნარევი იდეური აღნაგობა იმითაც ვამოიხატა, რომ ზორთასტრიზმის, ვნსოტრიციზმის და სხვ. ერთად, მის ინდურ მსოფლგაგებასთან კავშირით ახასიათებდა. ეს ელემენტრ შემოყვა ბუღას ცხოვრების აღწერილობას ქართულ ლატერატურულ ეთარებაში. ინდოთ მეფე აბუნესი მონც თავისი ღმერთისაგან იღებს ვედრების საწყაულს — ეს ინდური ფენა შერბა საბაწმინდურ ტექსტსა. მაგრამ მთავარია ის, რომ შოტას ძველში ერთი მეორეს ვასდევს დღეაწმური ნაკადი სიციეთისა და ბოროტების ბრძოლასა. აბუნესთან ვამასეებისას მეტის წული იოდასათი დაპარაკობს ქვეყნის იტარტიულ აღნაგობაზე, სადაც სიციეთის თვალსაზრისით ნაქმეღთა წყობა საფეხურებათა ვანლავებულა. ეს არეომაგეტიკულ ნაკადი ძველსა ვათემერბოლებულია ბოროტების სიმღიერის დამოლოთ, რის შესუსტებას მხოლოდ ღვთაების კეთილგანწყობა თუ უშეეღის რსმე.

მანიქეური შეხედულება ნათელია ისეთ დეტალში, როგორციაა სქესის პრობლემა. აბუნესის მიერ იოდასაფის ამ ქვეყნისაკენ შემოსაბრუნებლად დაქორწინება ასეტიკიზმის უბნალო ამბავი არაა, აქ ვამოღენილია ის დამოკიდებულბა შეუღლებობისადმი, რომელმაც აღწერა ავგუსტინე, როგორც მანიქეურ უარყოფას შეუღლებობას, რის წინააღმდეგაც ავგუსტინეს საგანგებო საბუთები მოჰყავდა საბარებიდან.

„ბალაერიანის“ ტექსტში ეს მანიქეური რელიტი, როგორც ჩანს, იმდენად ძლიერ ვავლენას ატენდა, რომ საქართველოში მანიქეველობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ საფებრზე იოანე პეტრიწმა, არეომაგეტიკის აღორძინებისა და ძირველ მსოფლმხედველობრივ საციობებთან ერთად, საჭიროდ მიიჩნია სავანეებოდ დაბრუნებობა ამ საკათსს. ეს ფაქტი მეტად საგელისხმია. როგორც ეტყობა, ვერც აღრი-

დელ საქართველოში ვერ შეაჩერა მანიქველიზმის გავრცელების ისეთმა ძლიერმა იდეოლოგიურმა ჯგუფმა ვი, როგორც იყო პეტრე იბერიის მოძღვრება სავციანა და სინათლის მინიზმის შესახებ. ეს მოვლენა ადვილი ვსაგებია, თუ არ იქნება დავიწყებული, რომ ვერც ავეუსტინემ (IV) და ვერც იოანე დამასკელმა (VIII) ვერ შეაჩერეს მანიქველიზმის სვლა და XII საუკუნის პირველ ნახევარში უცხოეთში შარსტანის თეზისები შეიქმნა საპისოდ საქართველოში.

საბოლოოდ, როგორც ვიცი, მანიქველიზმამ მიაღწია ვიკელია ვზა დსაველეთისაკენ. თუ ადრინდელ საქართველოში ვმაცე კანონზომიერებით შემოჭრილი მანიქველიზმი, შიუხედავად სიკეთისა და სინათლის აბსოლუტურობის განმტკიცებისა არეოპაგისტულ წიგნებში, VII ს. „ბადავლონიში“ მიაღწია ცოცხლობა, ვრძელდება თუ არა მისი ვავლენა მომდევნო დროშიც და შეიქმნა თუ არა სპირო მის წინააღმდეგ რამე ვანსავერებული და ახალი ვამისვლუბა?

მანიქველიზმის ნასახვა-ვანეთარების ისტორიული ვზის მნიშვნელობა ანტიკური აზროვნებიდან შუა საუკუნეებში ვადასვლის შესწავლისათვის მერად მნიშვნელოვანია. დამახასიათებელია, რომ მანიქველიზმი, ქრისტიანობიდან ვამსხვედრებით, ვი არ სარგებლობდა ანტიკური ფილოსოფიის მიწვევებით და იგი შედიოვართი კელტურის ნიადაგზე ვი არ ვადაქონდა, არამედ ამ პროცესს წინ ვადავლობა და სინერტიზტული, ნახავე მოთვლებით ცდილობდა აზროვნების ვანეთარების შეჩერებას. ასე თუ ისე, ეს ვამსხვე დსაველეთის ვზას და ერთვარი შედეგსაც ვაღწევა.

რა მოხდა ქართული აზროვნების ისტორიაში სავმე ისა, რომ XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში სავმარისი შეიქმნა პეტრე იბერიის მეგვიდრეობის აღორძინება, რაც ქართული რენესანსის შემზადების პროცესში შედიოდა. ფილოსოფიის ისტორიას დსაველეთში ვადავდება ისი ცოდნა, რომ XII საუკუნის დსაწყისში ქართული აზროვნება, მანიქველიზმისა და ყოველგვარი დანართის თვისი გზიდან მოხსნისათვის, დაუბრუნდა ფილოსოფიის ისტორიის იმ ვინიალურ ხაზს, რომელიც ანტიკური აზროვნების უკანასკნელი წარმომადგენლის, პროკლეს მიერ (V ს.) ვადაწმენვებულ იქნა სიკეთისა და ყოველგვების დამთხვევის სახით.

ამ იყო მთავარი დებულება ნეოპლატონიზმის არეოპაგისტული ვადამწვეების: სიკეთე უღრიდა ყოფიერებას, ბოროტება ვი არ არსებობდა და სწორედ ეს იყო ბოროტების ვამოსატლება. შეეხო რა კეთილობისა და ყოფიერების ანუ, სხვანაირად, მიზეზისა და კეთილობის მიმართების საკითხს, XI-XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, პე-

ტრე იბერიის მეგვიდრე და მისი მოძღვრების რენესანსის ქართული რენესანსის შემზადების ხანაში, ვამსავერებთი შესწავლის პროკლეს წინაშე — „კავშირნი თეოლოგიურნი“ სავმე თავზე. ამ თავის ერთ-ერთი დებულება პროკლეს წიგნში იკითხება ასე:

„ვიინა, რაოდენთავე, მიერ ჰქონდის მყოფობა, ვგოდენთავე მიერ კეთილობა თითოველისა, ანუ თუ წინა — „ეჟო“. ამ ნახევრებია თანაფარობა ყოფიერებისა და კეთილობისა როგორც მიწვევითი, ისე შექვევითი მიმართებით. პროკლესათვის, ჩანს, ამ დამოკიდებულების დადგენა იყო მთავარი. ეს ვანემოვება ვამგორებული აქვს იოანე პეტრიწის თავის დანმართებაში, ვავრამ პროკლეს ტექსტში იოანე პეტრიწის მიერ ზამატებული სიტყვა „მიზეზთა“, რის ვამო ტექსტი ახლა იკითხება ასე: „რაოდენთავე მიზეზთა მიერ (ზანი ჩენია შ. ნ.) ჰქონდის მყოფობა“, ხოლო რადგან სპირო ვახდა მიზეზის მოხსენება, სპირო ვახდა „კეთილობა“ ს მიზეზ-წვევებარე ვრთიერობაში წარმოდგენა, ე. ი. რაც არის მიზეზი მყოფობისა, იგივე და იმავე ხარისხით არის მიზეზი ვანკეთილებისა (შ. ნ.). ამიტომაც პროკლეს ფრანის მერავ ნახევარი იოანე პეტრიწთან იკითხება: „გოდენთავე მიერ ვაკეთილდეს მის შორის კეთილობა“ (იხ. ი. პეტრიწი, შრომები, ტ. II, ვე. 92).

პეტრიწის ვანსხვაება პროკლესთან შედარებით მდგომარეობს არა იმ პროკლეს ხაზგასმარ, რომ „ყოფობა“ ვაკივებულია კეთილობასთან, არამედ იმაში, რომ „ყოფობა აკეთილება“ ყოფიერის ვამსადავამე, აქედან ვამოდის, რომ სიკეთე, ანუ „კეთილობა“ მყოფობს და ის, რაც არ მყოფობს, რასაც არა აქვს მიზეზი, არ არსებობს საკეთარი ბუნებით, ე. ი. ბოროტება უღრის არ არსებობას.

ამისათვის ფილოსოფიის ისტორიაში დრმად შესვლა არაა სპირო. რადგან ცხადია, რომ IX-XII საუკუნეთა მიჯნაზე, ქართული რენესანსის საზოგადოებრივი და კელტურული ისტორიულ შემზადების პროცესში, ქართული აზროვნების მემბარისტრე—იოანე პეტრიწი—ადადგენს V ს. ქართული აზროვნების ტრადიციას ბოროტების არ არსებობის და სიკეთის აბსოლუტურობის, ე. ი. მონისტური არსებობის შესახებ.

ქართული აზროვნების ამ ვითარების ნათელსაყოფად კიდევ უფრო ხელსაყრელია არა იოანე პეტრიწის კომენტარები პროკლეს ცნობილი თხზულებისა „კავშირნი თეოლოგიურნი“ (ანუ პეტრე იბერიის ტერმინით — „ყოფიერებანი შენივებანი“), არამედ თვით პეტრიწის საკეთარი ვალსაქება მანიქველიზმის მოძღვრების წინააღმდეგ — მის მთავარ დებულებათა დარღვევის სახით.

ახლა უკვე ნათელია, რომ ეს დებულებები ეხებოდა სიკეთის ანუ, ჩვენი ფილოსოფოსების თქმით, კეთილობისა და ბოროტების დღაღობს და ამეფ დროს მათი კეთილმდა გამოცემის წინაობას — სინათლესა და ბნელს, ზემოთ ვაბრკვა, რომ სწორედ ამ მთავარ დებულებებს ებრძოდა უკვე მეოთხე საუკუნეში ავგუსტინე, მაგრამ მანიქეველობის არგუმენტებს ვერა დააკლარა და იგი განმეორებით ორჯერ შეიქმნა შეტყვის ობიექტი: VIII საუკუნის სავლესიო მოაზროვნის — იოანე დამასკელის მიერ და განმეორებით XII საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ჩანს, იშვიათი კანონმდებრებით მამლინარობდა მანიქეველობის წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ დასაწყისის მეცნიერებმა იცეს მის მხოლოდ ერთი ასპექტი, დაწყებული ავგუსტინეგან, (რომელიც, როგორც ითქვა, თვითონ იყო ქრ მანიქეველთა თანამოაზრე, მხოლოდ შემდეგ — მოწინააღმდეგე) ვიდრე XII საუკუნემდე.

ქართულმა აზროვნებამ, ზუსტად ასეთივე ეტაპები გააჩა მანიქეველობის წინააღმდეგ ბრძოლაში: IV საუკუნეში, როგორც ჩანს, მობილინი დაწყებული (რომელმაც სათანადო წიგნი დაწერა, რასაც ადსტურებს ქართლის მატანად), შემდეგ კი მისი საწინააღმდეგო პოზიციის წარმომადგენელი — პეტრე მბერა, ახანე ვერ შეაჩერა მანიქეველობის მოქოლა „ქართულა გზით“. VII—X საუკუნეებში იოანე მოსხის მიერ ბუდას ცხოვრების ისტორიის საფარქვეშ ინოვითიდან შემოჭრილი მანიქეველობის რეციდივების ქრისტოლოგის საშუალებით გადამშვივება და მისი ბერძნული მეტაფორებმა იმავე ტენდენციით, ვიდრე XII საუკ. დასაწყისში იოანე პეტრიწის მიერ მანიქეველობის შებრძოლება („ქართული გზის“ შესახებ იხ. გამოცემაში: „ბიბლიოთეკა კლასიკა ორიენტალის“, 1957).

თუ „წინა მობილინი“ დაწვის შემდეგ არც ერთი ცალი არ ვადარჩენილა, ზედმეტია ლაპარაკი ოდესმე მისი აღდგენის შესახებ, მაგრამ შინაარსი, — რადგან ის აყო „წიგნი“ მობილინის მიერ დაწერილი, არ უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი მათქმეთა „ლოცვათა კრებული“ და შესაესი უნდა ყოფილიყო მანის სხვა მოწაფეთა ნაწერებისა (ადამანტისა და სხვ.), რომლებიც ეხებოდა სიყვითლსა და ბოროტების, სინათლისა და ბნელის და სქესის-საკითხებს.

პეტრე მბერამ, როგორც ითქვა, ავგუსტინეს, სევერ ანტიოქიელისა და სხვებისაგან განსხვავებით, ააგო პრინციპული დასაბუთების სისტემა, რომლის გდაღება მანიქეველობამ კერძოდ საქართველოში ვერ მოახერხა. XI—XII საუკუნეთა მიწანზე იოანე პეტრიწმა მიზნად დაისახა ამ პრინციპების სპეციალურად მანიქეველობის წინააღმდეგ მიყენება — ქართული რენესანსის იდეოლოგიური შეიარაღებისათვის ანტიცურ

ფილოსოფიური მიმკვიდრების აღდგენისათვის პეტრე მბერის ნააზრების აღორძინებით. პეტრიწის მიერ ეს მოცემულია პროკლეს „კავშირის“ კომენტარისათვის დაბრუნდეს მანიქეველობის მდგომარეობის გასარკვევად საქმარისა საშიშოდ ვეერდის მოკლე მიმოხილვა (პეტრიწი, შრომები, II, გვ. 212-214). პეტრიწი პირდაპირ მიუთითებს, რომ აღნიშნულ ადგილას ლაპარაკია „ბოროტთა უარსობისათვის და ერთითვე საყოველთაო მიზეზთა დადებისათვის“, ესე იგი, იქ, სადაც ლაპარაკია ბოროტის არ არსებობაზე, ეს ნიშნავს ერთი მიზეზის აღიარებას („დადების“), ეს კი იგივეა, რაც „ერთისა ღმრთისა ზესთა მგქონება“.

პეტრიწი საკითხის ისტორიულ მიმოხილვას იწყებს საღეთო შერჩეობით, ვადაღის შამინეე მესიოდზე, რომლის მიხედვით — „ღმერთი ერთი მიზეზი ყოველით“, რასაც ეთანხმებიან, „დაედსებთან პლატონ და პლატონურნი მონაცელებნი საყდართანი ყოველი“. აშკარაა, რომ პლატონის მონაცელებთა („დაადობებს“) შორის პეტრიწი, უწინარეს ყოვლისა, უდავოდ პროკლეს ვულისხმობს, მაგრამ ძნელია იმის თქმა, ვის ვულისხმობს იხ, როცა ლაპარაკობს ყოველთა პლატონურ მონაცელებთა შესახებ (იხ. დას. ნაშრომი, გვ. 214).

მართალია, პეტრიწი პლატონურის მონაცელებთა მოძღვრების გამსხვოლებებისათვის არისტოტელეს ბოლოში ასახვებს, მაგრამ იგი ხაზს უსვამს ერთი მიზეზის „მეფელებობას ყოველთა“ (გვ. 215); რის ნიშნავზეა „სიტყვიერებითი ყოველი და ბუნებრივი შემდგომად ბუნებითთათასა, რომელ არს „ღმერთის მტკეველებით მისი“ სიტყვა (გვ. 214-215).

აშკარაა, რომ პლატონის მონაცელებ, რომელმაც არისტოტელეს მოძღვრება ერთი მიზეზის შესახებ „ღმერთის მეტყველებითი“ სიტყვისათვის გამოიყენა, არის პროკლე, რასაც პეტრიწი მიუთითებს, როცა ლაპარაკობს — „მწუხობი ესე ფილოსოფოსისა მონაცელებთა, რომელთა ერთი არს პროკლე (შ. 5). იმავნობა, ეს ხაზგასმა ფილოსოფოსის ერთი მონაცელოსა პროკლეს სახით, აყენებს საკითხს — ვინაა ის მეორე, პროკლესაგან ამოსული მონაცელები პლატონისა, „ღმერთის მეტყველების“ არისტოტელეებურ ერთ (პირველ) მიზეზთან დაამკვირვებელი. აქ ის მგება დიდის საკითხი, რომელიც პეტრე მბერის (დომინისე არეოპაგელს) უტრიალებს.

აღნიშნულ პლატონურ მონაცელებთაგან იოანე პეტრიწი განსხვავებს მანიქეველობის ფუძემდებელს III საუკუნეში — „მანეს და ყოველთა წყაღებისა მისისა თანამოსუმერთა, რომელნი ორთა წარადგედს მიზეზთა ვითავე კეთილისა, ესთავე და წინამეწყვისა ბოროტისასა და მყოფობისა არსებასა მიუქმან მას (ე. ი. ბოროტებას) (შ. 5), ვითავე კეთილბას“ (დას.

ნაშრ., გვ. 213). ნათელია, ეს არაა ავგუსტინესებური არგუმენტაცია: აქ ნახვევებია, რომ მანის შეიკვდება უარესად პრინციპულ ხასიათს ატარებდა და მიზნობა და მყოფობის აღრევანზე იყო დაღუფებული. მეორე შეტეობა იყო ის, რომ მანისათვის მოხსნილი იყო განსხვავება პრეტორსა და კეთილს შორის, რომელიც მყოფობაში იგულებოდა.

„ერთისადმი სიმრავლენი მყოფობანი მიერთდებიან“, ე. ი. მყოფობაში განფენილი კეთილობის სიმრავლე ერთში იქცევიან მხოლობად და ვერავითარ „მიზნობა წარრევას“, ე. ი. სიმრავლის არსებობას ერთიანობის გარეშე ვერ ეგუებინან. რაც შეეხება სინათლეს, მისი ერთიანობის მტკიცება არაა ლოგიკური ხასიათისა, რადგან „ნათელა მისთა აქუს ერთი... საქცეველია დისკი, რომელსაც უტყუანთ თვალად მზისა“ (იქვე).

ამრავად, წინააღმდეგ მანის მოძღვრებისა, არ არსებობს დედანიში კეთილისა და ბოროტისა, სინათლისა და ბნელისა. ამ სახით მიუღმა პეტრე იბერი დასახლებულ პრობლემას, რომელიც დამირისპირებულია სახით გაიშვა ანტიკური ფილოსოფიის მიწურულში და რომლის დაძლევა ვერ მოახერხა ანტიკურმა მეგავიდრებომ, რადგან ვერ მიაგნა უარყოფითის დადებითობას, რომელიც წინააღმდეგობიდან მავალ გზას გაიწინა.

ამის საუკეთესო მაგალითები მოყვანილი აქვს პეტრე იბერს (ფსევდო-დონისეს) თავისი წიგნის — „საღმრთობა სახელათების“ შესავალში. მაგალითები: კეთილი — არა კეთილი — ზეკეთილი, კარგი — არა კარგი — უკეთესი (პეტრენული — კალის — უ კალის — ა პერკალისა).

რამდენად დიდი და პრინციპულია ეს არგუმენტაცია, ამანუ სიტყვის გაგრძელება აქ არაა საქირთ, რადგან ალავე რუსთაველის მახვილ მაგალითებს გამოიყენებ, საიდანაც ნათელი გახდება, რომ ქართულმა აზროვნებამ სძლია მანიქველობას და იგი, როგორც სააზროვნო-მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, უკუაგლოცება. ცხადია, რომ ეს არ მომხდარა ერთს ამ თრ ასეულ წელში. მანიქველობამ დიდი სააზროვნო გამძლეობა გამოიჩინა თავისი არსებობის თანხვედრით. აღრინდელ საქართველოში, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით (სომხეთი, სირია, აფრიკა და დასავლეთის გზები), მანიქველობას ვხვდებით ანტიკური შემკვრელობის ნიადაგზე შემოშვებულმა მაღალპრინციპულიმა მოსაზრებებმა და მართალია, დიდი ხნის შემდეგ იგი დაიშრება.

ამის საუკეთესო საბუთია XII ს. ქართული შემოკმელების უდიდეს ძეგლში მისი არ დაშვება.

ცხადია, რომ აღრინდელ საქართველოშიც მანიქველობა, როგორც ითქვა, რეა საუკუნის განმავლობაში ასე თუ ისე არსებობდა. გამო-

ჩენილმა ქართველმა მეკლევარმა პავლე ინგოროვამ აღრინდელ საქართველოში მანიქველობის ასეთ თუ ისეთ კვალს მიაგნა: შისი ნამუშევარი მეტი ყურადღების ღრსნია, ვიდრე ეს აქამდე ჩანს იმათ მხრივ, ვისაც ამის გაკეთება ევალბოდა.

საკითხის კვლევა, რომელიც აქაა წარმოდგენილი, იფულისწინებს მანიქველობას, ყოვლის უწინარეს, როგორც სააზროვნო მოვლენას და შოთა რუსთაველთან მის დამოკიდებულებას ასეთი მიდგომა ახასიათებს.

მეკლევარი პავლე ინგოროცა მართალია, როცა წერს, რომ „მანიქველობა საქართველოში ძველი დროიდანვე უნდა არსებულებოდა, მაგრამ მიადწია თუ არა ქართულმა მანიქველობამ წმინდა სახით შოთას ეპოქამდე, ამის გადაჭრითი თქმა ძნელია“. (ეს პავლე ინგოროცა, რუსთაველიანა, თბილისი 1926 წ., გვ. 223). აქ საკითხი გართულებულია ავტორის მიერ „ქართული მანიქველობის“ ცნებით, როცა ლაპარაკია, მაგალითად, „ქართულ ნეობლატონიზმზე“, იგულისხმება, რომ ისტორიულ ნეობლატონიზმში ქართულმა გადაუშვავებამ თავისებური ელემენტები შეიტანა. შეიძლება იმავე მნიშვნელობით ქართულ შენატანზე ლაპარაკი მანიქველობის მიმართ? ძნელია, რადგან ავტორი „ქართული მანიქველობის წმინდა სახის“ ცნებით ათულებს მდგომარეობას.

ამჟამად, რომ პ. ინგოროცას მიერ საკითხის დაყენება მოთხოვს ქართული და არაქართული მანიქველობის განსხვავებას და უკანასკნელ შემთხვევაში დამატებით გელისხმობს „ქართული მანიქველობის“ წმინდა და არაწმინდა სახის განსხვავებას. ასეთ პირობებში ძნელია ავტორის განცხადებით დაემაყოფილება. — თითქოს ადვილად შესაძლოა, რომ შოთასზე გველენა ჰქონდა ამ ძველ ქართულ მანიქველობასაც“. (იქვე).

„წმიდა სახის“ ძენა სახითათო ხაზია მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, რადგან ძნელი მოსასაზღვრავია ამიტომ შეუძია ჩვენი ავტორი იძულებულია ლიტერატურული გველენებით დაემაყოფილების დროსაც ისევე ეწერა, რომ აქ შეუძლებელია დაინახოთ შეტრეველი მანიქვიზმი პირველდელის სახით“ (გვ. 224).

თუ, როგორც გაირკვა, პეტრე იბერმა (ფსევდო-დონისეს) მანიქური მსოფლგაგების წინააღმდეგ ველებზე უფრო პრინციპული არგუმენტები წამოაყენა, ვასაგებია, რომ ქართულმა რენესანსმა ეს საბუთები იმავე დებულებათა წინააღმდეგ აღადგინა. ძნელი საფიქრებელია, რომ მანიქველობის პრინციპულ მოსაზრებათა წინააღმდეგ შემბრალ ქართულ აზროვნებას მიეღო მანიქველობა გადავარებულის სახით.

აკადემიკოსი ნ. მარი მიხვდა ნეობლატონიზმის რალე სახეობით პოეტურ თვისებას რუსთაველის მსოფლგაგებაში, მაგრამ მაშინდელი მე-

წიერებისათვის ფსევდო-დიონისეს საიდუმლოების გაფხნელობის გამო, ვერ შეამჩნია, რომ რუსთველმა არა თუ გადმოგვცა „დადაპრლის განცხადება“, საიდუმლოება, არამედ პირდაპირ დაასახელა მისი ავტორი, ნ. მარმა ყურადღება მეორეხარისხოვან მოვლენებზე შეაჩერა, სადაც მეორად გარემოებას წააწყდა, როცა გადმოცემული იყო კავშირთაგან, ე. ი. სინამდვილის, „სოფლის ელემენტებისაგან“ განთავსდებულ სულ თავის ადგილზე. ამადღება, რომელსაც ბერძნული სახელი — „სირა“ (წყობა, რიგი) უწოდა (იხ. ამის შესახებ პეტრე იბერის თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის“, თავი II, III და სხვ.).

სოფლის კავშირთაგან „დახსნა“ მარადიული „შრომისაგან“, ე. ი. ტანჯვისაგან განთავსდებულბან ნიშნულა, და პირბა იყო ღვთისმის ქვეყნისაკენ აღფრენისა, სადაც მოხსნილი იყო წინააღმდეგობა სიკეთისა და ბოროტებისა, სინათლისა და ბნელისა. „კავშირნი“, რომლებიც მხოლოდ ნახსენებია ტანჯული ტარიელის რაბლიკაში ათაბაღილისადმი, ჩამოთვლილია ისევე ტანჯული ნესტანდარეკანის წერტილზე მიჯნურობისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ეს უმაღლესი წერტილია რუსთაველის მიერ უდიდესი ფილოსოფიური იდეების მსატარებელ გარდათქმაში. თუ კავშირთა შიგან სოფლის შრომისაგან დახსნილი ნესტანი მიიღებს სიკეთის წყალობას, იგი აღდგინდება თავისი ნდომის მისაღწევად, რაიადღისით და დამით ხედვიდეს ციურ სინათლეს, რომელმაც არ იცის წინააღმდეგობა ნათლისა და ბნელისა.

თავის საყურადღებო მოხსენებაში ავად, ვ. ვ. წერეთელი მართებულად შეხერდა ქართული სასულიერო მწერლობის მანიქეურ ინტელექტზე. ამ მხრივ საინტერესოა პველ ნივლოყვას მიერ მოთითებული ტერმინი „იადგარი“, რომელიც ქართულ მწერლობაში იდრე დამკვიდრებული ჩანს და, როგორც ირკვევა, მანიქეველობასთან ერთგვარ კავშირში უნდა ყოფილიყო (ამის შესახებ ვაჩაბა ნ. მარის ადრინდელი შეხედულებისა, ასტეობის უფრო მოკვიანო ენობებიც, იხ. დ. ლენგის წინასიტყვიანა „ბაღვაჩაინის ინგლისური თარგმანისათვის“).

ერთი-სიტყვით, მანიქეველობის კვალის ძიება საქართველოში პეტრია საკითხი არაა, მაგრამ რაც არ უნდა ვაირკვეს ამ მიმართულებით, იგი, როგორც კვალის ძიება, ვერ მიგვიყვანს „ქართულ მანიქეველობამდე“. მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობა ქართულ აზროვნების ისტორიისა მანიქეველობის მიმართებით, იმ არგუმენტაციის შემთხვევაშია მანიქეველობის ძირითადი მსოფლმხედველობრივი ელემენტების წინააღმდეგ, რაც ვერ კიდევ V საუკუნეში შექმნა პეტრე იბერის ნაზბრების სახით, როგორც აინიშნა, ეს არგუმენტაცია სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და ბნელის შესახებ,

განსხვავებით ყველა სხვა ანალოგიურ მსგელობისაგან, აღდგენილ იქნა ქართული რენესანსის შესავალში არეომაგიტიკის სათანადო არგუმენტების აღდგენის სახით და შიით დიონისფიურ-პოეტური გარდასახვით რუსთაველის შემოქმედებაში. „ცისა ელეათა ქრომა“ ისეთივე მარადიული სინათლა რუსთაველისათვის, როგორც ერთი საუკუნის დაგვიანებით მსოფლიოს მეორე გენიოსის — დანტესათვის. თუ რუსთაველმა მას „მზედაველი“ უწოდა, დანტემ მარადიული სხივი (იტალიურად „ლენტე ეტერნა“ პოეტურად „ცისა სხივად“ (ლენე დ ჩიოლოდ) გამოაცხადა.

არც რუსთველი და არც დანტე ფალოსოფოსები არ ყოფილან და მათი ნათქვამის შედარება არ შეიძლება ცნებათა საშუალებით სრულდებოდეს. აქ პოეტურ ხატებშია საქმე და მარადიული სინათლის სახის მისაღებად საჭირო იყო სწორედ, სინათლისა და ბნელის წინააღმდეგობის გაჩეყე. ერთი აბსოლუტური სინათლის საკერეტიდ მსეთი ადგილის მიღწევა, სადაც „დავეალი მზე“ იხილევბა. დანტემ იცის წინააღმდეგობა მარადიული სინათლისაკენ საეალ ვახზე: მისი „დივიანა კომედია“ უღრან ტყისა და მხეციების წინააღმდეგობით იმლება სინათლისაკენ მისწრაფებულ პოეტის წინაშე. მაგრამ ეს იყო გარეგნული წინააღმდეგობა, რომელსაც მიზნისეულ (ციურ, ღვთაებრივ) სინათლესთან კავშირი არ ჰქონდა.

მეორეჯერ დადგა დანტე მარადიული სინათლის პირისპირ, მაგრამ ბეატრიჩეს რჩევით, სინათლის თანდათანობით შეჩვევით, ოდნავადაც არ გამოყვინდა ციური სინათლის აბსოლუტურობა.

რუსთაველისათვის „რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „თაველი მზე“ სინათლისა და ბნელის წინააღმდეგობის დაძლევის მიღმა არ იგულისხმებოდეს. სინათლე და ბნელი, როგორც წინააღმდეგობა, მოხსნილია იმ სიმბოლეში, სადაც ღვთაებრივი ფრთებით მიწვედომილ სიერკეში მზე „დავეალია“ და სინათლე აბსოლუტური.

დანტემ ვერ მოახერხა სინათლისა და ბნელის შინაგანი დაძლევით აბსოლუტური სინათლემდე მიხვლა. რუსთაველმა ეს შესძლო და მისი მიღწევა არეომაგიტიკული დიალექტიკის პოეტური გარდაქმნისა უმაგალითოა მსოფლიო შემოქმედებაში.

თავისთავად ცხადია, რომ რუსთველი არ მიყვება პეტრე იბერის ნევაციური დიალექტიკის ლოგიკურ აღნაკობას. თუ არეომაგიტიკის ფუძემდებელი მოიხმარს ლოგიკურ წყარულულ „ნათლე — არა ნათლე — უნათლესი; კეთილი — არა კეთილი — უკეთილესი“ და სხა (იხ. საღმრთო სახელთათვის, II, 9), რუსთველი არ სთვლის საეალდებულოდ დაიცეას უარყოფის

მისაღებად ნეგაციის გზა. იგი სიმბოლოებს მიმართავს წინააღმდეგობის გამოსახატავად. ასე, მაგალითად, ნეგატიური დიალექტიკისათვის საჭირო იქნებოდა არა დღის, როგორც სინათლისა და ღამის, როგორც ბნელის სიმბოლოა, რადგან ლოგიკურად დღე და ღამე დაპირისპირებულია და არა მოწინააღმდეგე.

ეს განსხვავება რუსთაველს კარგად ესმოდა (შუალ. ვუფხისტყაოსანი, 1183, 1184), იგი შეგნებულად არ გაეცა ლოგიკურ გზას და მარადიული სინათლე, ბნელს გამოფრთხილავი წარმოადგინა, როგორც დღისათვის და ღამით ერთნაირად ხილული უწყვეტი და აბსოლუტური სინათლე.

ასეთია ეს ნიმუში რუსთაველის ანტიმანიქეური დებულებისა. იმავე გზითა აგებული სიკეთის აბსოლუტუტობის თეზისი, რომელიც ყველაზე ნაილად ასახულია ვუფხისტყაოსანის 1492 ზტროფში. ამ შემთხვევაში რუსთაველმა საჭიროდ დაინახა დაესაბუღებინა ოფიციალურად მიღებული სახელი არეოპატიკის შემქნელისა — დიონოს, რაც ფსევდო-დიონისეს უდრიადა, რომლის საიდუმლოება რუსთაველის დროისათვის ქართული მწერლობისათვის ცნობილი იყო, მაგრამ მისი ოფიციალურად ითვარება ვერ კიდევ არ შეიძლებოდა. საინტერესოა, რომ რუსთაველი დასაბუღებულ სტროფში პირდაპირ ლაპარაკობს მოძღვრებაზე, თეორიაზე, რაც ანტიკური ტერმინოლოგიით „დაფარული საქმის“ „განცხადებად“ იწოდებოდა (ბერძნულად — „ა ლეთია“). შემდგომში სამი პერკარი — იმეათი სიმბოლით გადმოგვეცემს არეოპატიკის მოძღვრებას სიკეთეზე და მის უპაყოფთის დამოკიდებულებებზე ბოროტებისადმი, რაც აღდგენილი იყო ზემოთაყვანილი სახით იოანე პეტრიწის მიერ და პეტრიწად ზუსტად ვარაუდობენ რუსთაველის ამ სტროფში: „ღმერთი არგისა მოაღინებს და ბოროტსა არ დაბადებს“; ასეთია ეს ანტიმანიქეური თეზა. ამას მოსდევს რუსთაველის ფრაზა: „აქვს წამიერ შუამოკლებს, კარგსა ხანგრძლიად გააკვადებს“, სადაც მოცემულია ბოროტისა და კარგის ონტოლოგია. დამასრულ ასახულია სიკეთის გამოვლინების უმაღლესი საფეხები — თავსა მისსა (კარგისა — შ. 5.) უცეთესსა უხადო ყოფს, არ აზადებს“.

1492 სტროფის მწიგნობრული წარმოშობა, რომელიც „დაფარულ საქმის“ განცხადებას ეხება, თავის საბოლოო დადასტურებას იღებს უკანასკნელ დებულებაში. პეტრე იბერის ანუ დიონოსის (ფსევდო-დიონისეს) წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“. ნეგატიური დიალექტიკის ნიმუშად მოყვანილია წყვილული „კარგი“ და „ბოროტი“. რადგან რუსთაველს ამ სტროფში მწიგნობრული წყარო აქვს დასაყრდენდ მთელად, იგი აქ არ ლაპარაკობს „კეთილზე“ (ბერძნულად „აგათოს“-ზე), არამედ „კარგზე“ (ბერძნულად „კალოს“-ზე). რუსთაველი

სხვა შემთხვევაში ლაპარაკობს „კეთილსა“ და „ბოროტის“ წყვილულზე. მაგ., ბერძნულშია რად შეეკნა კეთილისა შემოქმედსა და ცუდისიტყაოსანი, სტრ. 113).

თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის“ ნეგატიური დიალექტიკის ერთი ნიმუში ასეა გამართული: „კარგი-არაკარგი-უცეთესი“ (ბერძნულად „კალოს-უ კალოს-აპტკალოს“). გასაგებია, რომ რუსთაველი იცნობს პეტრე იბერის ტექსტს და „უცეთესი“ გარკვეული მნიშვნელობის ტერმინია, რომელიც გამოხატავს აბსოლუტურ სიკეთეს, ყოველი ბოროტის ვარაუდ. ე. ი. „უხადოს“. ასეთია ეს უძლიერესი საბუთი პეტრე იბერისა (ფსევდო-დიონისესი) წინააღმდეგ ბოროტისა და კეთილის დუალიზმისა, რომელიც მანიქეელობის სულს შუადგენდა და რომელიც არ მიიღო რუსთაველის მსოფლგაგებაში.

ამრიგად, ქართულმა აზროვნებამ და შემოქმედებამ, ლოკუმენტურად წარმოდგენილი V-XII-XIII სს. არ მიიღო მანიქეური დუალიზმი მართლაც, მან ყველაზე ძლიერი და პრინციპული ზღუდე აღუშობია მანიქეელობის განვითარებას. მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ ქართული აზროვნების არგუმენტებს შილილდ საკაცობრიო მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეთა აზროვნების წარმართულებისთვის. პანთეისტური მსოფლგაგების შემქმნელ ქართულ აზროვნებებს ისტორიულად, უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნოდა შუა საუკუნეთა აზროვნებისათვის გზის ზეგნება. ამ საქმეში ქართულ აზროვნებას მანიქეური ელემენტური დუალიზმი არაერთაშ შემთხვევაში არ გამოადგებოდა. ვერაგერთარ სახეობას დუალიზმისა პანთეისტური მატერიალიზმი შუა საუკუნეთა გამწვრივ წარმოებულ ფილოსოფიურ დისკუსიებში ვერ დაუშვებდა.

ამიტომაც, ვერაგერთარი ლიტერატურულ-კულტურული გავლენა, საიდანაც უნდა მოსულიყო იგი, მედიეველურ აზროვნებასა და შემოქმედებაში საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებდა. ამითივე უნდა აიხსნას ის სიმწიფარი, რომლითაც მანიქეელობის წინააღმდეგ წარმოებდა ბრძოლა მამინდელ საქართველოში.

ამ სიმწიფავის ერთ-ერთი შემადგენელი მომენტი, შესაძლებელია იყო ის გაჯერებუბაც, რომ საქართველოში V-XII საუკუნეებში, სხვადასხვა სახით, მაინც იოცებლობთა მანიქეიზმის რადიკალიზმები, რომელთა დოკრინათა იყო დიალიზმი იყო ქართული აზროვნების დიდი პერსპექტივებისათვის. სადაც შუა საუკუნეთა საზბოროვნო ქაჩეთიდან განთავისუფლებული აზრის, პანთეისტური მატერიალიზმის ახალი პერსპექტივები ისახებოდა.

ამაზე შუა საუკუნეთა აზროვნების ახლებურმა ისტორიამ უნდა გვიამსახვოს.

თანავისუფლო ღმრთეობა

ღმრთეობა მთელი ეპოქის შემქმნელია ჩრდილო და მსოფლიო ლიტერატურაში. მისი შემოქმედება და მოღვაწეობა ჩრდილო პირველი რევოლუციის — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის — მომზადების ეპოქის ემთხვევა. ვ. ი. ლენინის გამოთქმით, ტოლსტოის, როგორც გენიალურ მხატვარს, არ შეეძლო არ აესახა „რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე“. ლენინმა მას რუსეთის რევოლუციის საჩუქრად უწოდა. ამდენად ტოლსტოის მნიშვნელობა, როგორც მხატვრისა, მისი მსოფლიო სახელი, როგორც მოაზრთენისა, მოქალაქისა, რუსეთის პირველი რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობით განისაზღვრება. ვ. ი. ლენინმა ტოლსტოის შემოქმედება მკიდრად დაუკავშირა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ განვითარებას და წინ გადადგმულ ნაბიჯად აღიარა იგი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ტოლსტოის „პირთი ლაპარაკობდა რუსი ხალხის მთელი ის მრავალმილიონიანი მასა, რომელსაც უკვე სძულდა თანამედროვე ცხოვრების ბატონობა, მათგან რომელიც ჯერ კიდევ არ მისულა შეგნებულ, თანამიმდევრულ, ბოლომდე მიმავალ შეუროგებელ ბრძოლამდე მთ წინააღმდეგ.“

რუსეთის დიდი რევოლუციის ისტორიამ და შედეგმა ცხადყო, რომ სწორად ასეთი იყო ის მასა, რომელიც აღმოჩნდა შეგნებულ, სოციალისტურ პტოლუტარიატსა და ძველი რეჟიმის გლახრით დამცველთა შორის. ამ მასამ, — უმოთარგუნად გლახობამ, — რევოლუციის დროს ცხადყო, რაოდენ დიდია მასში ძველისადმი სიძულვილი, რაოდენ ცხოვლად განიცდის ის თანამედროვე რეჟიმის მთელ სიმძიმეს, რაოდენ დიდია მასში სტიქიური მისწრაფება განთავისუფლდეს ამ სიმძიმისაგან და მოიპოვოს უკეთესი ცხოვრება.

და იმავე დროს ამ მასამ რევოლუციაში ცხადყო, რომ თავის სიძულვილში ის არასაკმაროდ შეგნებულა, თავის ბრძოლაში არათანმიმდევ-

ერულია, უკეთესი ცხოვრების თავის ძიებაში შემოზღუდულია ვიწრო ფარგლებით.

დიდი ზღა-ზაღბი, რომელიც უდიდეს სიღრმეებამდე ასვითადა, მთელი თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით აისახა ტოლსტოის მოძღვრებაში.¹

ტოლსტოი უარყოფდა ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს, მაგრამ შემოქმედების ძლიერი მხარეებით იგი ახლოს იდგა რევოლუციონერ დემოკრატებთან — თავისი დროის ყველაზე მოწინავე ადამიანებთან. ვ. ი. ლენინმა გენიალურად გააშუქა ტოლსტოის შემოქმედება, შეაფიქრო გვიწინა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, მიგვიითო მათ წარმომშობ სოციალურ მიზნებზე.

ერთი მხრივ, გენიალური მხატვარი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბაღლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებებიც. მეორე მხრივ, — შემამულე, რომელიც თავს იგლახავებს ტრისტეს გულსაბაღის. ერთი მხრივ, საოცრად ძლიერი, უშუალო და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებრივი სიცრუისა და სოციალისტის წინააღმდეგ, — მეორე მხრივ, „ტოლსტოელი“, ვ. ი. გაცივითლი, ისტორიული მოწუწუნე, რუს ინტელიგენტად წოდებული, რომელიც საქვეყნოდ თავში ზელს იცემს და გაიძიხის: მე საბავლი ვარ, მე საზოგადოებრივი ვარ, მაგრამ ზნობრივი სრულყოფისათვის ვიწვი, ხორცეულს აღარა ვუპა და ძალა ბრინჯის კატეგორიით ვსაზრდობო. ერთი მხრივ, კამბიტალისტური ექსპლუატაციის უღმრთელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოს და საბუღმწიფო მმართველობის კომუნიის მხალეობა, სიმდიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მოწამოვრებისა და მუშათა მისების სიღატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წყალეების ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა; მეორე მხრივ, — სალოის ქადაგება, რომ „პოროტებს წინააღმდეგობა არ გაუწიოს“ ძალადობით. ერთი მხრივ, უიღრესად ფხიზელი რეალობი, ყველა და ყოველგვარი ნი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 226.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 440, 441.

ღაბის ჩამოგლეჯა, — მეორე მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე სახიზლარი ჩამის ჭადაგება, რაც კი არის ჭვეყნად სახელდობრ: რელიგიისა, მისწრაფება, რომ სახაზინო სამსახურის ხეცების ადგილას წინაშეობიერ რწმენას ხეცები დადგენენ, ე. ი. დაინერგოს უაღრესად ვაჭნილი და ამიტომ განსაკუთრებით საძაგელი ხეცობა¹.

მწერლის ეს წინააღმდეგობანი მხოლოდ მისი პირადად თვისებებით რომ ყოფილიყო გამოწვეული, მათ არ ექნებოდათ ის დიდი მნიშვნელობა, რომელმაც მის გენიალურ შემოქმედებას განმეორებელი დადი დაასვა. ე. ი. ლენინმა შესანიშნავად განმარტა, რომ „წინააღმდეგობანი ტოლსტოის შემოქმედებაში მარტო მისი პირადი აზროვნების წინააღმდეგობანი კი არ არის, არამედ იმ უაღრესად რთული წინააღმდეგობრივი პირობების, სოციალური გავლენების, ისტორიული ტრადიციების ასახვა, რომლებიც განსაზღვრავდნენ რუსეთის საზოგადოების სხვა-დასხვა კლასისა და სხვადასხვა ფენის ფსიქოლოგიის რეფორმის შემდეგდროინდელ, მაგრამ რეცედივი ამ დელ ეპოქაში“².

დიდი ლენინის მიერ მოცემული დახასიათება გასაღები ტოლსტოის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის ღრმა გაგებისათვის.

სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ტოლსტოიმ ისეთი მოაზროვნის ყურადღება მიიქცია, როგორც ე. გ. ჩერნიშევსკი იყო. დიდი ჯიბრტიკისა და რევოლუციონერმა ტოლსტოის მხატვრული შემოქმედების თრ არსებით მხარეზე მივიდით. პირველი — „ფსიქიკური ცხოვრების იდეალური მოძიებითა ღრმა ცოდნა“, თვისება „ს უ ლ ი ს დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს“ გადმოცემისა, რომელიც ასახავს ფსიქიკური ცხოვრებაში არა მხოლოდ შედეგს, არამედ თვით პროცესის მსვლელობას; მეორე — „ზნეობრივი გრძნობის უშუალო სიწმინდე“, ჩერნიშევსკიმ სწორად უწინასწარმეტყველა ახალგაზრდა მწერალს, რომ ეს თარი ნიშანი ტოლსტოის ნიჭის ძირითად თვისებად დარჩება, რა ახალი თვისებებიც არ უნდა განუეთადრდეს შემდეგმ მას.

არ დარჩენილა მსოფლიოს თითქმის აბც ერთი მწერალი, რომელსაც აღტყება არ გამოეთქვას ტოლსტოის შემოქმედების გამო.

ტოლსტოის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის, მოღვაწეობა იმ პერაოდში მიმდინარეობდა, როდესაც ბატონყმური რუსეთი ბერყუაზიულ ჭვეყნად იქცეოდა, როდესაც რუს ხალხში გროვდებოდა ძაღები მოშავალი რევოლუციური ბძობლებისათვის, რომელთა ციციბალი მოწვევ ტოლსტოი შემდეგმ გახდა.

ტოლსტოის ლიტერატურული შემოქმედების დასაწყისი დამთავრა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში მის ყოფნას.

საქართველოსთან ბევრი გამოჩენილი რუს-მწერლის ცხოვრება იმ შემოქმედება დაკავშირებული. აქ იყვნენ და შთაგონებელი ლექსებით უმღერეს ჩვენს ჭვეყნას პუშკინმა და ლერმონტოვმა, საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გადმოსახლებულ დეკაბრისტთა მთელი პლეადა: გრიბოედოვი, პოლონსკი და სხვები.

„პუშკინის წყალობით, — წერდა ბ. ბელინსკი, — რუსებისათვის კავკასია იქცა აღთქმულ ჭვეყნად, არა მარტო ფართო, უდი თავისუფლებით, არამედ აგრეთვე დაუშრეტელი პოეზიის, შფოთვარე ცხოვრებისა და თამამ თქვანათა ჭვეყნად! პუშკინის მუხამ თითქოს აკურთხა დიდბინიდან არსებული ნათესაობა რუსეთსა და ამ მხარეს შორის და კავკასია — ეს პუშკინის პოეზიის აკვანი—შეიქმნა შემდეგ ლერმონტოვის მთუზის აკვანიც“.

ამ კვლავ წავიდა ლევ ტოლსტოიც.

თბილისში ტოლსტოი ჩამოვიდა 1851 წლის 1 ნოემბერს და დაჰყო აქ ორ თვეზე მეტ ხანს. საქართველომ და მისმა დედაქალაქმა ახალგაზრდა კაცზე დიდი გავლენა მოახდინა. იგი არა ერთხელ მეთითებდა ამ გარემოებაზე.

„მე ვგრძნობ, — წერდა ტოლსტოი თავის ნათესავ ტ. ა. ერვოლსკაიას, — რომ ჩემში დიდი ცვლილება მოხდა... მე ვგრძნობ, რომ უკეთესი ვაგხდამ“...

„არ ვიცი, არის თუ არა კავკასია შთაგონების ჭვეყნა, მაგრამ იგი უმძველად სიყვარულის ჭვეყანაა“, — აღნიშნავდა იგი მეორე წერილში.

თბილისში წერდა ტოლსტოი თავის პირველ ნაწარმოებს — „ბავშვობას“, აქ დაიწყო მისი დიდი შემოქმედების აკვანი, მწერალს სერდა სამუდამოდ დაჩენილიყო საქართველოში, შესულიყო სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურში, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება ვერ მოახერხა.

1894 წლამდე ტოლსტოი კავკასიაში დარჩა. „ბავშვობის“ გარდა აქ დაიწერა „ყრმობა“. მოთხრობები „თავდასხმა“ და „მარკერის ჩანაწერები“, აქვე დაიწყო „რუსი მემამულის რომანი“, რომლის საფუძველზე შემდეგ შექმნა „მემამულის დღის“, აგრეთვე „ტყის ჩხვება“ და „კახაყები“. 1852 წელს „სოვრევენიკში“ გამოქვეყნებულმა „ბავშვობამ“ მამინევე მოუბოვა ტოლსტოის სახელს.

აქტიური მონაწილეობა მიიღო მწერალმა ყირიმის ომში. იგი უშუალოდ იბრძოდა სევასტოპოლის დამცველთა რიგებში. სევასტოპოლის გმირული დაცვის ეპოპეა შესანიშნავად ასახა ტოლსტოიმ „სევასტოპოლის მოთხრობე-

¹ ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 237-238.

² ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 404.

პირველმა რუსულ ლიტერატურაში ასახა ომი, აბა როგორც ბრწყინვალე, საზეიმო შესივით და მოყვრით ცხენებით შეღებულ მსვლელობა ჯარისა, არამედ გვიჩვენა ის სისხლი, ტანჯვა და სიკვდილი, რაც სინამდვილეში ახალათებს ომს.

სამივე მოთხრობაში, რომლისგანაც ეს ციკლი შედგება, განსაკუთრებით „სევასტოპოლი მისში“, ტოლსტოი არ ემაყოფილება იმის ობიექტური აღწერით, რითაც ხასიათდება ქ. სევასტოპოლის გირჩული დაცვა. იგი იძლევა საკუთარ, სუბიექტურ შეფასებას იმისას, თუ რა შედეგებზე მოიხდარი ამბების არსა და აზრს, გვეუბრება ომის, როგორც ასეთის, მოწინააღმდეგედ, ომისა, რომელსაც ცაკობრობისათვის აუტყხელი უბედურება მოაქვს, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანთა არსებობის ბუნებრივ კანონსა და ყოფას, აღაპირად მორალს და იმ კანონებს, რომლითაც ცხოვრობს ადამიანის გარემომცველი შესანიშნავი ბუნება.

განვლო თხუთმეტოთხედ წელში და ტოლსტოიმ შექმნა თავისი გენიალური ეპოპეა „ომი და მშვიდობა“, რომლისთვისაც მისი სამხედრო მოთხრობები ერთგვარი მოსაზრებელი ეტაპი გახდა.

II

ყიროპის ომის დასაფარების შემდეგ ტოლსტოი პეტერბურგს ჩაივდა. აქ იგი დაუახლოვდა ლიტერატურულ წრეებს, გაეცა რუს მწერლებს — ნეკრასოვს, ტურგენევს, ჩერნიშევსკის და სხვებს, რომლებიც დიდი ინტერესით შეხედნენ ტოლსტოის როგორც ახალგაზრდა, მეტად ნიჭიერ მწერალს. იგი მჭიდრო კავშირშია აქრნალ „სოფერმენითან“, რომელსაც იმ პერიოდში არ ბანაკს შორის განხეთქილება ბინათაგი. ერთა მხრივ, ეს იყო ლიბერალთა ბანაკი, რომელსაც დრევიჩინი ხელმძღვანელობდა, ხოლო მეორე მხრივ — რევოლუციონერ-დემოკრატი ბანაკი ჩერნიშევსკის მეთაურობით.

დაპეტერბურ ტოლსტოი არც ერთ ბანაკს არ მიეკუთვნება. იგი არ იყო დრევიჩინის ჯგუფში. მაგრამ ამავე დროს უარყოფითად ეკიდებოდა იმ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, რომელთაც ჩერნიშევსკი დაბეჭდილებით ქადაგებდა „სოფერმენის“ ფურცლებიდან. ჩერნიშევსკისთან ცუდმა დამოკიდებულებამ ტოლსტოი მოკლედ დროით დრევიჩინის ჯგუფს შიავდლა, მაგრამ, დარწმუნდა რა მათი „წმინდა ხელოვნების“ იდეების უსუსურობასა და უსიციოცლობაში, მალე მიატოვა ისინი.

მწერალა სერიოზულად შეუდგა თავისი სოფლის-ოასნაია პოლიანას ყმა-გლეხობის განთავსულების საკითხის გადაჭრას. მოაერობასა და შემამულეთა წრეებს მეტად აზინებდათ ყიროპის ომის შემდეგ ვადიერებული გლეხთა გამოსვლები და აჯანყებები. მოაერობას ახალი

საყოველთაო „პუგაროვენიის“ ეწინააღმდეგა და სწრაფად ეძებდა რაიმე გამოსავალს. ტოლსტოი დაინტერესდა გლეხთა განთავსულების რამდენიმე პროექტით, მონაწილეობა იღებდა მათ განხილვაში, ეჭიარა რა ამ საკითხში კომპრომისული პოზიცია, მან თვით დაწერა გლეხთა განთავსულების რამდენიმე პროექტი, მოაწყო ჩასნაია პოლიანაში გლეხთა კრებები, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო, რადგან გლეხები ფიქრობდნენ, რომ ტოლსტოის პროექტი შემამულეთა ინტერესების დამცველი იყო და ეწინააღმდეგებოდა მათ მიწაწილებებს. გლეხობას იმედი ჰქონდა, სულ მალე ისინი მიწასა და თავისუფლებას უსასყიდლოდ მიიღებდნენ. ამიტომ არ თანხმდებოდნენ ტოლსტოის პროექტზე, რომელშიაც მიწის გამოსყიდვა იყო ნაპირადევი. თუ როგორ გაუმართლა გლეხობას ეს იმედი შეფის მოაერობამ, საყოველთაოდ ცნობილია.

სევასტოპოლიდან დაბრუნების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ტოლსტოი დაძაბულ ლიტერატურულ შემოაბას ეწეოდა, ამ პერიოდში მან დაამთავრა ადრე დაწყებული ნაწარმოებები, დაწერა ახალი მოთხრობები — „პარტიუტი“, „ორი ქუსარი“, განაგრძობდა შემოაბას „კახაელებზე“.

მოთხრობაში „ორი ქუსარი“ მწერალმა დაავიხატა რუსული სამხედრო არისტოკრატის ორი თაობის წარმომადგენელი. ესაა მამა—გრაფი ტურბინი, დაუდგარი, ბოძოქარა ხასიათის კაცი, რომლისთვისაც უცხო ყოველგვარი წერილმანი ანგარიშანობა და პრაქტიკაში, მისი შვილი, რომელიც მოკლებულია შაის არა მარტო დაუდგროშობას და გეაქნებას, არამედ ზეუფლებზე პატიონსებასაც კი.

ამ პერიოდში მწერალმა მოკლედ ხნით სასულერგარეთ იმოგზაურა. იყო საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიაში. პარიზში მან დაათვალიერა მუზეუმები, იყო თეატრებში, მოისმინა რამდენიმე ლექცია სობრბონის უნივერსიტეტში, მაგრამ პარიზის ერთ-ერთ მოუდინზე ხელშია პურათმა — გილიოტინით კაცის დასაწამი — იგი იმდენად აღაშფოთა, რომ მიატოვა საფრანგეთი და შვეიცარიაში წავიდა. საზღვარგარეთ შექმნილ ნაწარმოებებში აღსანიშნავია „თავად დ. ნახლეუდოვის ჩანაწერებიდან „ლიუცერნი“, რომელშიც მწერალმა მწეავედ გააკრატა ვეროპის ბერკუაზიული ციცილიზაციის ფარსელობა და აახილა მისი საუფულებების მანკიერება.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ ტოლსტოი წერს მოთხრობებს „სამი სიკვდილი“, „ალბერტი“ და მცირე ზომის რომანს „ოქსურ ბუნდირებას“.

„სამ სიკვდილში“ ნაჩვენებია, თუ როგორ ცუდებიან მოხუცი შემამულე ქალი, გლეხკაცი და ზე. მოხუცი ქალბატონის სიკვდილი, რომლის მთელი ცხოვრება ძალიან დაშორებული იყო

ბუნების კანონების მიხედვით ჩვეულებრივ სიცოცხლეს, რაღაც შეშარავია. გლეხი, რომელიც სწორედ ბუნების კანონებით ცხოვრობდა და შრომობდა, ყველა მშვიდად და წყნარად, მაგრამ ზის სიყვარული მშვენიერი, რადგან იგი გვევლინება არა როგორც მხოლოდ სიყვარული, არამედ როგორც მარად უკვდავი ბუნების აღორძინება ახალი სიცოცხლისათვის. მშვენიერია და ბრძნული ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ბუნებასთან და არსებობს მისი კანონების მიხედვით; ყალბია, სუსტია და შინაგანად უწყალოა და უნიჭო ყველაფერი ის, რაც არსებობს ამ კანონების დარღვევით, მის გარეშე — ესაა ამ მოთხრობის ძირითადი აზრი.

მწერალი აღნიშნავდა „სამი სიყვარული“ გამო: „ჩემი აზრი იყო — მოკვდა სამი არსება — ქალბატონი, გლეხკაცი და ზე. ქალბატონი საწვალის დეა სახიზლარია, იმიტომ, რომ მივლ სიცოცხლეს ტყუილი და ტყუის სიყვარული წინ. ქრისტიანობა, ისე როგორც იგი მას ესმის, არ წყვეტს შისთვის სიცოცხლისა და სიყვარულის საკითხს... გლეხი ყველა მშვიდად სწორედ იმიტომ, რომ იგი არაა ქრისტიანი. შისი რელიგია სხვაა, თუმცა ჩვეულების მიხედვით იგი ასრულებდა ქრისტიანულ წესებს. მისი რელიგია ბუნებაა, რომელშიც იგი ცხოვრობდა. იგი თვით ქრიადა ბუნება, თესდა და მკობდა ქუეხს, ხოცავდა და ამწენდა საჭონელს, აჩენდა ბავშვებს... და მან მტკიცედ იცის ეს კანონი, რომელსაც არასოდეს ზურგს არ შეაბრუნებდა, როგორც ქალბატონი, პირდაპირ და უბრალოდ უურყრებდა მას... ზე ყველა წყნარად, პატოსნად და ღამაზად. ღამაზად იმიტომ, რომ არ ტყუის, არ იბრანძვება, არ ეშინია, არ დარბობს“. ამრიგად მწერალი ამ მოთხრობაში გვერღს უღლის თავისი ეპოქის მწვავე სოციალური პრობლემებს და დამატარებულია განყენებული, რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის საკითხებით.

რომანი „ოქაბური ბედნიერება“, თვით მწერლის აღიარებით, ავტობიოგრაფიულია; მისში აისახა მწერლის დამოკიდებულება არსენიევის ქალთან, რომლის ცოლად თხოვდა ერთ პერიოდში იგი აპირებდა. რომანში მომხდარ ამბებს ნაწარმოების შთავარი მოქმედი გმირი — ქალი მოგვითხრობს ნაწარმოების თემა ქალის რომანტიკული ენება — სიყვარულის შესხრევებას უყვარს თავისი საქმრო შთელი ვატაკეობით, მშვილი ვრწმობით. ვაიელის დრო და ეს სიყვარული ბავშვებისა და ქმრის მიმართ მოვალეობის ვრწმობით შეიქცელება. უწინდელი ბედნიერი ცხოვრება ამ ქალისა სამდამოდ ჩაბარდა წარსულს და შეცვალა ახალა, ბედნიერი ცხოვრებით, რომელიც ახლახან დაიწყო და რომლის არსებობაზე წინათ ქალმა არაფერი იცოდა. ამ თემაზე მწერალი შედგევ „ანა კარენინაში“ გააღრმავებს, ჩაურთავს მას სოციალურ-საზოგადოებრივ თემას, რისაც სიყვარულებით მოკლებულია „ოქაბური ბედნიერება“.

1859 წლის დასასრულს ტოლსტოი გაიტარა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, იგი შთელი შინა-დომებით შეუდგა გლეხთა შეიღობის სწავლას აღზრდის საქმეს ისე, რომ მორალურ-ახარებულ ხელის აღებას ლიტერატურულ შემოქმედებაზე. 1860 წელს მწერალი შეორედ გაემგზავრა საზღვარგარეთ. ამჯერად ტოლსტოი ყველა ინსულა გერმანია, საფრანგეთი და იტალია; იყო ლონდონში და ბრიუსელში, ყველაზე უფრო მეტად მას პედაგოგიის საკითხები აინტერესებდა. იგი დადიოდა სკოლებში, ლონდონში გაეცნო გერკენს, რომელსაც ყოველთვის დიდად აფასებდა, როგორც მწერალსა და მოაზროვნეს, იყო პარიზში, მოსონია დიკენსის ლექცია აღზრდის შესახებ; ბრიუსელში იგი შეხვდა პრედონს და სხვა მოღვაწეებს.

ტოლსტოი სამშობლოში დაბრუნებისთანავე, გაიმსვენა დახმარების სურვილით გლეხებისადმი, რომელიც ის-ის იყო განთავისუფლდა ბატონობის უღლისგან, ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში და მომრავებულ-შემაჯავლის თანამდებობა იკისრა. მაგრამ შალე იძულებული გახდა ხელი აეღო მასზე, რადგან შემამუღეთა დიდი სიძულელი დამამხურა. ისინი თვლიდნენ, რომ ტოლსტოი თავის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში გლეხობის ინტერესებს უღიჯავდა.

ამივე პერიოდში ტოლსტოი ერთი გაათვართოვა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა. არ გამოყოფილდება მართო ისინია პოლიანას სკოლაში მუშაობით, რომელიც გლეხთა ბავშვებისათვის გახსნა, იგი არსებობს რამდენიმე სკოლას, ხლო 1862 წელს სემსუპედაგოგიურ ეურნალს „იასნია პოლიანას“, რომელშიც ათავაზებს თავის წერილებს. ამ ეურნალის დამატების სახით გამოდიოდა ბავშვებისა და უბრალო ხალხის საკითხები წიგნები, რომელთა შედგენაშიც აქტიურად მონაწილეობდა მწერალი.

ტოლსტოი განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება გლეხობისადმი 1861 წლის რეფორმის შემდეგ. იგი მიხვდა, რომ ამ რეფორმის არ შეეძლო გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება. გერკენისადმი მინაწერი წერილებში რეფორმის იგი უწოდებს „სრულად გამოუსადეგარ დავებობას“, რომ არც ერთი მისი სიტყვი დაეწერება არ შეიძლება, რომ ამ მანიფესტით „გლეხები უმყოფლონი არიან“, რომ მისში, ვარდა დაპირებებისა, არაფერია და სხვ.

თავისი პედაგოგიური მუშაობით ტოლსტოის გულწრფელად სურდა ხალხს დახმარებოდა განათლების საქმეში, ისე როგორც მომრავებულ შემავალად ყოფნის დროს ეხმარებოდა გლეხობას. მტკიცედ სწამდა, რომ მისი პედაგოგიური თეორიები ხალხის საქართვებას პასუხობდა. მართალია ამ თეორიებს უკავებდა ხალხისადმი დიდი სიყვარული, მისი შთელი ზნეობრივი თვისებების აღიარება, რწმენა ხალხის ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნაჩისადმი. მაგრამ, ამივე დროს, ტოლსტოის პედაგოგიური

თეორიები ანტიკატეხული და არათანმიმდევრული იყო, ბევრ რამეში ეწინააღმდეგებოდნენ ეპოქის მოწინავე იდეებს. თავის პროგრამულ წერტილში „სახალხო განათლების შესახებ“, რომელიც „ისინია პოლიანის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა, ტოლსტოი საესებით სწორად მკაცრად აკრიტიკებდა უსუღღლო კაზიონერ პედაგოგებს. სკოლის მოწყვეტას ცხოვრებისაგან, მაგრამ ამავე დროს ტოლსტოი ამტკიცებდა რომ ხალხი წინააღმდეგა განათლების, რომელსაც თავს ატყუებს მის საზოგადოება თუ შთაეობა, რომ ხალხს სჭირდება მხოლოდ ისეთი განათლება, რომელიც მის პრაქტიკულ ინტერესებთანაა დაკავშირებული, არ სცოდნება მისი ყოფის საზღვრებს და არ ეწინააღმდეგება მის მსოფლმხედველობას. ტოლსტოი იცავს მოსწავლეთა სრულ თავისუფლებას განათლების არჩევაში, მოითხოვს, რომ მათ მიეცეს სრული თავისუფლება ისწავლონ, რაც სურთ, როგორც სურთ, ან სულ არ ისწავლონ, ამავე დროს უწყვეტს გამოწვევის რელიგიური განათლების მართა „რომლის ქეშმარიტებაში და კანონზომიერებაში, — წერს იგი, — ევერ არაფის ეპარხება“. და მხოლოდ რომლის მიმართაც დამაშვებია ძალდატანება.

ყურნალ „სოცრემენიკი“ ჩერნიშევსკიმ ტოლსტოის თხოვნით თავისი აზრი გამოთქვა მისი პედაგოგიური შეხედულებების შესახებ. დიდა კრიტიკოსმა დადებითად შეაფასა „ისინია პოლიანის“ სკოლაში დაყენებული პრაქტიკული სწავლება, აღნიშნა ყოველგვარი ძალდატანების უარყოფა მისწავლელის მოსწავლეთა მიმართ, მაგრამ მკაცრად გააკრიტიკა ტოლსტოის აზრები სახალხო განათლების თაობაზე. ჩერნიშევსკისათვის ნაწილი იყო, რომ ხალხი არ წარმოადგენს რაიმე მთლიანს, რომ მასშიც არის კონსერვატული და პროგრესული ტენდენციები, რომ განათლებისადმი წინააღმდეგობის გაწევა ხალხის სწორედ კონსერვატულ, ჩამორჩენილ ნაწილს ახასიათებს, ხოლო ტოლსტოისათვის ხალხის მხოლოდ ეს ნაწილი იყო მიზეზი გლეხობის წარმომადგენელთა. ჩერნიშევსკის გაკვირება გამოიწვია ტოლსტოის მტკიცებამ, რომ არაფერ არ არის, რა და როგორ ვასწავლოთ ხალხს, და საერთოდ საქარია თუ არა, ვისწავლოთ მას, რომ აუცილებელია ძალდატანება რელიგიურ სწავლაში და სხვა. ჩერნიშევსკის ამგვარი კრიტიკა სრულად სამართლიანი იყო ტოლსტოის პედაგოგიურ შეხედულებაში მიმართ. რაც შეეხება მწერლის მხატვრულ შემოქმედებას, ჩერნიშევსკი თვითდანვე ძალიან დიდად აფისებდა მას.

დაოჯახების შემდეგ ტოლსტოი სულ უფრო გაერთო სამეურნეო საქმიანობით, რაც ხელს არ უშლიდა დასაბუღ ლიტერატურულ შრომას, რომელშიც იგი თანდათან ისევ ვაიბატა და ღრუბით ხელი აადებინა პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. ტოლსტოიმ დაამთავრა დიდი ხნის წი-

ნათ დაწყებული „კაზაკები“. აგრეთვე მოთხრობა „პოლიციეჟი“.

„კაზაკებს“ ტოლსტოი ათი წლის განმავლობაში წერდა. ამ ნაწარმოებში ასახულია ქვეყანა, მათი მცხოვრებნი; ეს ნაწარმოები უპირისპირდება რუსულ ლიტერატურაში მანამდე გამეფებულ რომანტიკულ მოთხრობებს, დაწერაღს ზეაქველ-ემოციური სტილით, მთავილების ეგზოტიკური ფიგურებით, რომლებიც მშვეთხარე ვნებებში შეპყრობილი, ათასწირ ვაფიონარ თავგადასავალს ეძებენ. დამახასიათებელია, რომ ტოლსტოი მიიზიდა სიუჟეტმა არა მთავილების ცხოვრებიდან, არა კავკასიის ძირითადი მოსახლეობის ცხოვრებიდან, არამედ იგი დაინტერესდა აქვრთა რუსი ხალხის ცხოვრებით. ესენი არიან გრებენის კაზაკები, რომლის სტანიცაშიც დასახლდა ქალაქელი არისტოკრატი ოლენინი. კაზაკების ცხოვრება დასაბუღია რეალისტი მწერლის თვლით, რომელიც ვაუბრის ყოველგვარ ყაბ პოეტურ მათეტიკას, შეღამაშებას და რომელმაც მკითხველს უჩვენა სრულიად ახალი საყარო, აღააწყებსები და ცხოვრება მანამდე ნაყლებად ცნობილი კავკასიის კაზაკობისა.

„კაზაკები“ ტოლსტოის ერთ-ერთი ყველაზე პოეტური ნაწარმოებია, რომელშიც დიდი მხატვრული ძლიერებითაა ასახული ჩრდილოეთ კავკასიის ბუნება და ხალხი. ზიბია ეროშკა, ღამაში კაზაკ ქალი მარაანა, კაზაკი ლეკაჟა — დიდებული და უღამაშესი ბუნების ძლიერი და თვისუფალი შეილება არიან, მათთვის სრულიად უცნობია ის სულიერი დრამა, რომელსაც ქალაქელი ოლენინი განიცდის. ეს უკანასკნელი გამოქცევიია თავის წიხტის, რათა რომანტიკული ცხოვრებით დამტკბარიყო კავკასიაში. მაგრამ ისე, როგორც ბუშეინის ალექო, სხვა წერეში, ცივილიზაციის პირობითობას მოკლებულ გარემოცვაში ჩავარდნილი არისტოკრატი ოლენინი მარტოს განაცლდა თავის მისწრაფებაში.

პრივილეგიებული კლასების ცხოვრების შინაგანი სიყალბე მხატვრულად მეტად ძლიერად ვეიჩვენა მწერალმა 1863 წ. დაწერილ მოთხრობაში „ბოლსტომერა“. მასში მოთხრობილია ერთი სუეფთესის ცხენის ამბავი, აწერლია მთელი მისი ცხოვრება, და რაც საოცარია, მის მრავალ მებატრონეთა მოქმედება აღქმულია ნაწარმოებში თვით ცხენის მიერ, რომლისთვისაც ვაუფებარია და მოუწვდომელი ყველა ის სიმამჩნე, რაც აღამიანთა ცხოვრებას ახასიათებს, რაც ლუბავს აღამიანებზე და უმლოაფერ მას, რაც მითთანაა დაკავშირებული. მისთვის გაუგებარია არსებული ეჭრო მესაკუთრებობა, რასაც თვით მესაკუთრებისთვისაც არ მოაქვს არაფერი კარგი. ცხენის ცხოვრება, რომელიც ბუნების კანონების მიხედვით მიდის, გამართლებულია თავიდან ბოლომდე, ხოლო ცხოვრუ-

ბა შათი, ვისაც ეს ცხენი ეკუთვნოდა — თავიდან ბოლომდე სამარცხენოს და ყალბია.

ამრიგად, „სამ სიყვდილში“, „ქაჩაქაში“ და „პოლსტომერში“ ტოლსტოი იცავს ვანყენებულ ამულღივ“ სელიერ საწყისებს და უარყოფს ცივილიზაციისა და პროგრესის სიკეთეს.

ტოლსტოის გამოჩენილ ნაწარმოებთა რიგს, რომელიც მან „ოშისა და მშვიდობამდე“ დაწერა, მიეკუთვნება აგრეთვე მოთხრობა „პოლიკოშკა“. ეს უკვე მეორე ნაწარმოებია „მემამულის დილის“ შემდეგ, რომელშიც მწერალი „ნატურალური სკოლის“ საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით, კვლავ მიმართავს გულგება ცხოვრების აღწერას, ტოლსტოიმ აქაც გვიჩვენა ის ღრმა უფსკრული, რომელიც ახსებობს მემამულესა და დამოკიდებულ გლეხს შორის. პოლიკოშის თვითმკვლელობა, რომელიც მან ჩაიდინა, რათა აღედგინა პატიოსანი კაცის რეპუტაცია ფულის დიდი თანხის დაკარგვის შემდეგ, და ყველა უმბედურება, რაც ამის შემდეგ მის თქმას დაატყდა, — ყველაფერი ეს საბოლოოდ შედეგი იყო იმ დიდი უფსკრულისა, რაც არსებობდა მემამულეთა და ხალხს შორის, იმ ხალხს შორის, რომელთა ბედობალი მემამულეთა ხელში იყო.

III

გრანდიოზული რომანი — ეპოპეა „ოში და მშვიდობა“ ტოლსტოიმ 1863-1869 წლებში დაწერა. ეს იყო მეფის რუსეთის კრახის პერიოდი — ყირიმის ომში დამარცხების შემდგომი პერიოდი, რადესაც მთლიანად გამოვლენდა მანშინდელი წესწყობილების სიღამაღე. ტოლსტოი, როგორც ცნობილია, მეტად მწვავედ განიხილდა ყირიმის ომში დამარცხებასა და სევასტოპოლის დაცემას, მისთვის ვასაგები იყო, რომ სევასტოპოლის ტრაგედია გამოწვეული არსებულ წყობილების მთელი სისტემის რღვევით. ამიტომ თავის შემოქმედებებში მიმართა იმ პერიოდს, როდესაც გადაწყვეტა ძალად, რამაც რუსეთს ნაპოლეონზე გამარჯვება მოუტანა, ხალხი მოგვევლინა; სწორედ ხალხმა დაიმორჩილა მამინ რუსეთის საზოგადოების ქანსალი და სიყოცლობისენარჩინი ფუნები, მან ითამაშა პირობადი როლი შემოსული მტრის განადგურების საქმეში. ამ პერიოდში ხედავდა დიდი მწერალი რუსეთის ცხოვრების აღორძინების, განახლების მთავლითებს, აჭედან ეჭებდა იგი იმ ახალ გზებს, რაც მის სამშობლოს ხსნას მოუტანდა. ამიტომაც იყო, რომ ტოლსტოიმ განიხილა შექმნი ეპოპეა 1812 წლის პირველი სამამულე ომის თემაზე.

რომანზე მუშაობის პროცესში მწერალმა გამოიყენა უამრავი ბეჭდური და ხელნაწერი წყაროები, ისტორიული შრომები და სააქტიუო

მასალები. მან ინახულა ბოროდინოს ველი, რომელზედაც ისტორიული ბრძოლა მოხდა ტოლსტოის დანტერესება 1812 წლის ბოლოში ხანმოკლეად გამოწვეული იყო იმის სურვილით, რომ ეჩვენებინა რუსეთის უახლესი წარსული, რუსი ხალხის გმირული ბრძოლის ამბები, რომელსაც უნდა ვაეჭარწყულებინა ყირიმის ომის მიერ მიყენებული მძიმე ჭრილობები. მწერალს სურდა მოენახა და ყველასათვის ეჩვენებინა ის მორალური ძალები, რომელიც რუს ხალხს საზოგადოებრივი აღორძინების საშუალებას შეუქმნიდა ყირიმის ომში შეფის რუსეთის დამარცხების შემდეგ. მაგრამ „ოში და მშვიდობა“ არა მარტო ხობითი, არამედ მამხილებელია წარმომადგენელია. მასში მითხველი ხედავს რუსი ხალხის სტაქის, მისი პატრიოტის ძალის აბოთეობს, ამავე დროს უმაღლესი წრეების წარმომადგენელთა, კარიერისტებისა და უნამუსო დიდებულების მწვავე კრიტიკას.

„შე ვეცდობიდი ხალხის ისტორია დაწერა“, — წერდა ტოლსტოი ერთ წერილში. მართლაც, „ოშისა და მშვიდობის“ კენშარტი გმირი — ხალხი, რომელიც ესწრაფვის დაიცვას და იცავს კიდეც მშობლიურ ქვეყანის მანამდე დამარცხებულ ნაპოლეონის ჭარბის შემოსვისაგან. ეს ომი ტოლსტოის მიერ ნაჩვენებია როგორც სახალხო ომი, ხოლო მისი შედეგი, როგორც ხალხს პატრიოტული აღგზნების, მის მიერ ბრძოლის თავისებური ორგანიზაციის, გმირული პარტიზანული რაზმების შექმნის ბუნებრივი შედეგი. ხალხი, ტოლსტოის გავებით, არის ისტორიის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ამრიგად, 1812 წლის სამამულე ომის მთავარი მამოძრავებელი ძალაც. დიდი დამარჯვებულები ძალით გვიჩვენებს ტოლსტოი, რომ 1812 წლის ომი იყო არა დაპყრობითი, არამედ განმთავისუფლებელი, ხალხი იცავდა თავის ნაციონალურ დამოკიდებლობას, თავის ისტორიულ უფლებას-თვითვე ვადამწყობდა თავის ბედს. ამაში იყო რუსი ხალხისათვის ომის არსი, მისი პატრიოტული აღმავლობისა და ნაციონალური თვითშეგნების ვალდებულების მიზეზი.

ამავე დროს მწერალი დასციროდა ფსევდო-პატრიოტიზმს, შევიარა და მორჩენებით პატრიოტიზმს, რომელიც ჩასტოპინის ზარბაზნი იშუაში და მთავარდროვან სიტყვებში მკვინდებოდა. ამასთან ერთად ტოლსტოი არა ერთხელ დაპირებოდა რუსი ხალხის პატრიოტიზმის დაფარულ გრძნობაზე, რომელიც მელანდებოდა მეტრთან პირისპირ შეხვედრის დროს, უარს ამბობდა მასთან ყოველგვარ შეთანხმებაზე, სანამ იგი სამშობლოს სასტოგრებდა არ განდიდებულა. ამგვარ გრძნობას მოკლებულნი იყვნენ რომანის ის პერსონაჟები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ კარიერასა და კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ.

ბოროდინის ბრძოლის შეფასებისას ტოლსტოი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს იყო რუსეთის ჯარის მორალური გამარჯვება ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ, რომელიც თავიანთი ჯარის ნახევარი დაეარტეს, ისევე მტკიცენი იყვნენ ბრძოლის ბოლოს, როგორც მის დასაწყისში. ფრანგებმა იგრძნეს თავიანთი მოწინააღმდეგის მორალური უპირატესობა, და ამავე დროს მიხედნენ, რომ თვითონ ისინი მორალურად გამოფიტულნი იყვნენ. სწორედ ამან განაპირობა საბოლოოდ ფრანგების დამარცხება. მოსკოვამდე მისული ფრანგების არმია უკვე თავისთავად უნდა დაღუპულიყო იმ ქრისტობისაგან, რომელიც მან ბოროდინის ველზე მიიღო. მცხოვრებთა მიერ მოსკოვის დატოვება, ვუბერნატორ ჩასტოპინის ბრძანების საწინააღმდეგოდ, ტოლსტოიმ შეაფასა, როგორც „დაფარული პარტიოტიზმი“ გამოვლინება რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენის მხრივ. ისინი მიიღობდნენ იმტომ, რომ „მათთვის არ არსებობდა კითხვა: კარვად იქნებოდნენ თუ ცუდად ფრანგების მმართველობის დროს მოსკოვში. ფრანგთა მმართველობის ქვეშ ყოფნა შეუძლებელი იყო: ეს იყო ყველაფერზე ცუდი“.

1812 წლის ომის სახალხო ხასიათი ჭეფიოდ გამოვლინდა პარტიზანული რაზმების სტიქიურ ზრდაში, პარტიზანული ომი ფრანგების მიერ ჯერ კიდევ სმოლენსკის აღების დროს დაიწყო, მაგრამ უფრო გამწვავდა მოსკოვიდან მტრის დახვეწის შემდეგ. ეს იყო ომი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ომის ხელისუფლების ჩვეულებრივ თეორიულ წესებს, — შით უფრო საგრძნობი და მწვავე იყო ამჯერად ომით მიყენებული ზარალი მტრისათვის. ტოლსტოი მოკვიბობს არა მარტო ისეთ გამოჩენილ პარტიზანებზე, როგორც იყო ვასილ დენისოვი, რომლის პროტოტიპად აღიარებულია ცნობილი პოეტი-პარტიზანი დენის დავიდოვი, იგი ვეაზმობს გლეხთა ტიპონ შერბატზე, რომლის რაზმმა ერთ თვეში ასეული ტყვე ჩაიგდო ხელში, გვირ ქილ დასრლისაზე, რომელმაც ასობით მტერი დახოცა.

ხალხის სულიერი აღმავლობა წარმოშობს გამოჩენილ მხედართმთავრებსაც, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ხალხის სურვილს ასრულებდნენ. ჰუმანიტარული ხალხისათვის საჭირო საქმეს, რასაც საბოლოო გამარჯვება მოაქვს, ასრულებს ის მხედართმთავარი, რომელსაც, ტოლსტოის აზრით, შესწევს ძალა ჩასწვდეს ხალხის სულს, უფრო მიუგდებს და გაათავისუფლებს ჯარისკაცთა მსახურის განწყობილებას. ამჯერად იყო კუტუზოვი, აღზრდილი სუფოტაოვის ღარი სამხედრო გენით, რომელიც თავის მეომარულ პრაქტიკაში ასახეობდა მთელი ხალხის სულს, თავის თავზე იღებდა გრანდიოზული

ომის შედეგების მთელ სიმძიმეს და მასწავლებლობას ამ შედეგებზე.

ტოლსტოი ვაჯივრებებს გამოქვეყნებულ „გამოცემას, რომელიც ნაპოლეონის „ისტორიის“ [ეს] უმწვენილო იარაღი“, რომელსაც არსად და არასოდეს, გადასახლებშიც კი, არ გამოუმტკიცებია თავის მოქმედებაში მაღალი ადამიანური ღირსებები, მთელი რიგი რუსი ისტორიკოსებისათვის აღტაცებისა და თავიანთსიყმის საგნად იქცა, მაშინ, როცა კუტუზოვი, რომელსაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე არ გადაუხვევია თავისი პრინციპებისაგან, რომელიც უმავალითა თავიანთი, ისტორიული მომენტის დროს ვაჯივრებდა და ვათავისუფლებდა იმპერიად, აღიარებული იყო მათ მიერ გავრცეებულ და უმნიშვნელო პიროვნებად. ტოლსტოი წერს: „ამავე დროს კი ძველი წარმოსადგენია ისტორიული პირი, რომლის მოღვაწეობა ასე უცვლელად და მუდმივად მმართული იყო ერთი და იგივე მიზნისაკენ. ძველი წარმოსადგენია ამაზე უფრო ღირსეული მიზანი, რომელიც ამაზე მეტად დამთავრებულია ხალხის ნებასურვილს“. ტოლსტოი სჯამს კითხვას: „მაგრამ როგორ მოხდა, რომ ეს მოხუცი კაცი, მარტო-მარტო, ყველას აზრის საწინააღმდეგოდ, ასე ზუსტად მიხვდა დატრიალებულ ამბავთა ხალხურ აზრს და თავისი მოღვაწეობის მანძილზე არც ერთხელ არ უმტყუნა მას?“ ამ კითხვებზე სპასუხად მწერალი ამბობს: „მომხდარ ამბავთა ისში ამ არაჩვეულებრივი ძალით ჩაქველდნის წყარო მდგომარეობდა იმ ხალხთაგან ვრძინდაში, რომელსაც იგი თავის თავში ატარებდა მთელი სიწმინდითა და ძლიერებით, მხოლოდ ამ გრძნობის აღიარებამ მასში აიძულა ხალხი ასეთი უცნაური გზით, მეფის კარის მიერ შეირისული მოხუცი, მეფის სურვილის საწინააღმდეგოდ, აერჩიათ სახალხო ომის წინამძღოლად“.

ბერეჟაზიული ისტორიოგრაფიის საწინააღმდეგოდ, რომელიც ზედმეტად აღიღებდა პიროვნების როლს ისტორიულ პროცესში და არავითარ როლს არ აუთვინებდა ხალხის მისებზე, ტოლსტოი პროგრესულ პოზიციებზე იდგა, ანიშნებდა რა ვადამწვეტ როლს მსოფლიო ისტორიის პროცესში ხალხს. მაგრამ ამავე დროს ტოლსტოი ამ საკითხს განიხილავდა რამდენადმე სწორხაზოვნად, განუყენებლად, მთელი ეს რთული საკითხი დაჰყავდა იქამდე, რომ ისტორიულ პროცესებს იგი ხალხის მხოლოდ იარაღად მიიჩნევდა, ტარყოფდა მხედართმთავრის სამხედრო ინიციატივას. ტოლსტოის მსჯელობებში ამ საკითხზე წინააღმდეგობები შეიძინევა: ერთი მხრივ, კუტუზოვის ესმის, რომ ერთი კაციისათვის შეუძლებელია უხელმძღვანელოს ასობათასობით ადამიანის მოქმედებას, ხოლო მეორეს მხრივ, — იგი მაინც, რამდენადაც შეუძლია, ხელმძღვანელობს ამ ძალას, რომელსაც

ლენს მათ ხასიათში ქანსად ზნეობრივ ძალებს; უარყოფითი პერსონაჟებისათვის იგი ყველაზე უფრო მოსახერხებელი საშუალებაა მათი სულიერი სიღატაკის გამოსამკლავებლად.

თავისი შესანიშნავი ნიჭი აღამიანის ხასიათის შექმნისა ტოლსტოიმ გამოავლინა რომანის უამრავ მოქმედ პირობა ხატვისას. სულ ნაწარმოებში 558 მოქმედი პირობა და მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად სხვადასხვა წარს ბალებია, სრულად ვაშსხვავებული თვისებების მქონე აღამიანები, ისე არიან წარმოსახულნი, რომ წინაშე მდებარეობს სხვადასხვა ტიპების მკითხველზე. ტოლსტოის, როგორც მხატვრის, უდიდესი ნიჭი ელონდება უპირველეს ყოვლისა ნაწარმოების ორი ცენტრალური ფიგურის წარმოსახვაში. — ესენია — ანდრია ბოლკონსკი და პიერ ბეჟუხოვი. მათში შეესხა ზოგჯერ შესანიშნავი შინაგანი ფსიქოლოგიის ორ ტიპს, რომლებშიც საკმაოდ ფართოდ აისახა თვით ავტორის სულიერი ცხოვრების პრაქტიკები.

„ომისა და მშვიდობის“ მხატვრულ სახეებში ბევრ გვიზიდავს არა მხატვრი აღმიანების ხასიათებში მხატვრის ღრმად ჩაწვდომა, ისტორიული ყოფის შესანიშნავი ჩვენება, არამედ სიუცხლის ის მაკოცლებელი ძალა, რომელიც უდიდესი ზეგავლენის მომხდენია. ნაწარმოები იქმნებოდა ტოლსტოის შემოქმედებით ნების მთლიანი გაფურცლების პერსონაჟში, რაზეც ეს ნაწარმოები უკენობ მხატვრულ ძეგლად აქცია.

თავის დროზე კრიტიკა მიუთითებდა, რომ „ომისა და მშვიდობაში“ თავდაზნაურული ყოფის შესანიშნავი ასახვის ფონზე ტოლსტოიმ ნაკლებად გვიჩვენა დამონებული ყმა-ვლევობის ცხოვრება. ამაში კრიტიკა მართალი იყო. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი თავისი საერთო ჩანაფიქრის, რომანის მთლიანი იდეურა მიმართების მიხედვით, არ ისახავდა ამოცანად ეჩვენებინა მთელი სისავსით დამონებული გლეხობის მდგომარეობა 1812 წლის სამშვიდობო ომის ეპოქაში. ამასთან ნაწარმოებში მაინცა ასახული ყმა-ვლევობის მძიმე მდგომარეობა, მკაფიოდ, იმ თავში, სადაც აღწერილია პიერის მოგზაურობა კიევის გუბერნიისაში, საკუთარ მშველში. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ნაწარმოებზე მეშობის დროს ტოლსტოის

ქერ კიდევ არ ჰქონდა გაწყვეტილი კეთილი თავის კლასთან და ბევრ რამეში იზიარებდა მის სოციალურ და მხარგავლოვნარე მსებულელებებს.

„ომისა და მშვიდობის“ ენარის განსაზღვრისას, მას ტრადიციულად რომანს, ან, უფრო სწორად, ისტორიულ რომანს უწოდებენ. ეს ძირითადში სწორია, თუმცა თვით ავტორი ამის შესახებ წერდა: „რას წარმოადგენს „ომი და მშვიდობა“? ეს არ არის რომანი, მით უმეტეს ისტორიული ქრონიკა. „ომი და მშვიდობა“ არის ის, რისი გამოხატუაც სურდა და რისი გამოხატუაც შესძლო ავტორმა იმ დროში, რომელშიც იგი გამოიხატა“. აღსანიშნავია, რომ რომანის ცნება, ისე როგორც ყველა სხვა ლიტერატურულ ენარისა, არ არის რაღაც კანონიერი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და ყოველი დიდი მხატვარი უფლებამოსილია საბე უცვალოს მას, გაართულოს, გადაასხვავდეს იგი იმ ამოცანებისაგან გამომდინარე, რომელიც მას დაესახავს. ასე მოიქცა ტოლსტოი „ომისა და მშვიდობაში“. ეს ნაწარმოები მაინც ისტორიულ რომანად რჩება, კიდევ უფრო სწორად — ისტორიულ ეპოპედ. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულობის თვალსაზრისით მისი ზოგიერთი პერსონაჟი საკმაოდ შეიძლება მათივალოს.

ტოლსტოის მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებურება, რომელიც ქერ კიდევ ჩერნიშევსკის მიერ იყო შენიშნული და ახსნილი, აისახა „ომისა და მშვიდობაში“. ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმე, „სულის დიალექტიკის“ გაბედული ასახვა, შინაგანი მონოლოგის საშუალებით გაბედული შესვლა პერსონაჟთა სულიერ სამყაროში, მათი ეესტების, შორაობის, თვალების, „უხმო“ ხაუბრის, დიშალოს გადმოცემით, ცალკეული დაზახსიითებელი დეტალების გამოყენება პორტრეტულ ფერწერაში, ბუნების სურათებისა და ბატალური სცენების მოცემისას, დაბოლოს, მანამდე ეცნობი მთლიანი რეალისტური ხელოვნება — ყველაფერი ეს „ომისა და მშვიდობაში“ გვევლინება როგორც ახალი ნაბიჯი ტოლსტოის მხატვრულ შემოქმედებაში.

(გაგრძელება იქნება)

მინიორ ქანიშვილი

დიდი აზერბაიჯანელი მწერალი-განმანათლებელი

მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში აღინიშნება მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის დიდი განმანათლებლის, დემოკრატი მწერლისა და მოღვაწის მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავი.

მირზა ფათალი ახუნდოვი იყო თავისი დროის ფრიად განათლებული ადამიანი, რომელმაც თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ მთელი მუსულმანური აღმოსავლეთის მასების გათვითცნობიერებისა და მოწინავე მოღვაწეთა იდეური ფორმირების საქმეში. მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლამ, რომელსაც განსაკუთრებული ინტენსიურობით აწარმოებდნენ ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე აზერბაიჯანის საბჭოთა მეცნიერები — ლიტერატურათმცოდნენი და საზოგადოებრივი აზრის განვითარების მკვლევარნი, ცხადყო, რომ მირზა ფათალი ახუნდოვი ახლო იცნობდა მე-18 საუკუნის ფრანგ მატერიალისტთა ნაწარმოებებს, მაგრამ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და პოლიტიკურ მრწამსზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონიეს რუსულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, განმანათლებლობამ და დეკაბრისტულმა მოძრაობამ, რომლის

თვალსაჩინო წარმომადგენლებს ა. ბესტუევე-მარლინსკის და ა. ოდოევსკის იგი პირადად იცნობდა.

მ. ფ. ახუნდოვის მატერიალისტური შეხედულებები განსაკუთრებული სიცხადით და სიმკვეთრით გამოჩნდა მის ცნობილ ფილოსოფიურ ტრაქტატში — „ინდოეთის პრინციის ქემალ-უდ-დაფლეს სამი ბარათი სპარსეთის პრინციის ჯალალ-უდ-დოვლესადმი და ამ უკანასკნელის პასუხი მათზე“.

ეს ტრაქტატი, რომელიც თვითონ ავტორმა თარგმნა აზერბაიჯანულიდან რუსულ და სპარსულ ენებზე, წარმოადგენს მატერიალისტური ფილოსოფიის თვალსაჩინო ნაწარმოებს და მებრძოლი პუბლიცისტიკის შესანიშნავ ნიმუშს, რომელსაც იდეური ღირებულება და პოლიტიკური სიმახვილე არ დაუკარგავს დღემდე, რამდენადაც ამ ნაწარმოებში მზის სინათლეზეა გამოტანილი ყველა რელიგიის, მათ შორის, ისლამის რეაქციული ხასიათი და აღმოსავლეთის ქვეყნების მმართველთა ტირანია.

მ. ფ. ახუნდოვი ამ ტრაქტატში და თავის სხვა პუბლიცისტურ ნაწარმოებში მატერიალისტურად წყვეტს ფილოსოფიის ძირითად საკითხს — ყოფიერების და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულებას. მატერია, — ამბობს იგი, — ერთიანი სუბსტანციაა, ხოლო გონიერება და ცნობიერება მატერიის პროდუქტებია. ბუნება, რომელიც პირველადია და არსებობს თავისთავად,

შედგება ატომებისაგან, რომელთა რაოდენობა განუსაზღვრელია. ატომები არავისაგან არ არიან შექმნილი და არასოდეს არ მოისპობიან. შეერთება თუ გათიშვა ატომებისა წარმოადგენს ნივთიერების ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის მიზეზს. სამყაროს, რომელიც უძლიერესი და სრულქმნილი ერთიანობაა, არ ჰქონია დასაბამი და არც დასასრული ექნება.

ალიარებს რა შემეცნების თეორიის საფუძვლად მატერიის ყოფიერების ობიექტურობას, ხოლო შემეცნების წყაროდ — შეგრძნებებს, მირზა ფათალი ახუნდოვი უდიდეს როლს ანიჭებს ადამიანის გონებას სამყაროს შემეცნების პროცესში.

ახუნდოვი ფილოსოფიის და მეცნიერებას გადაჭრით გამოყოფს რელიგიასა და თეოლოგიისაგან, უარყოფს ღმერთის არსებობას და სულის უკვდავებას, მოითხოვს ბუნების მოვლენათა მეცნიერულ შესწავლას. პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ის აუცილებლად მიიჩნევს დაუნდობელ ბრძოლას დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ, ბრძოლას ადამიანის პიროვნების ფიზიკურ-სულიერი თავისუფლებისა და სრულყოფისათვის.

ახუნდოვის ღრმა რწმენით, ადამიანი, თავისი ბუნებით ცოდნისმოყვარე და გამომგონებელი, მუდამ ისწრაფვის პროგრესისაკენ, თავისუფლებისაკენ, მაგრამ მისი გონებრივ-მორალური წინსვლისათვის აუცილებელია აზროვნების თავისუფლება, რაც მიუღწეველი რჩება დესპოტიზმის და რელიგიური ფანატიზმის ბატონობის პირობებში. როგორც პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, მ. ფ. ახუნდოვი გამოდის ხალხის მმართველობის მომხრედ; მოითხოვს შეიცვალოს აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ-საზოგადოებრივი წყობა, ძალით იქნას დამხობილი მჩაგვრელთა ბატონობა. ჩაგვრის მოსპობისათვის, — წერდა იგი, — საქირთა ან თვითონ მჩაგვრელმა შესწყვიტოს ჩაგ-

ვრა ან ჩაგვრელმა უკუაგდოს მორბინება და მოსპოს მჩაგვრელი. ათეული და ასეული წლების მანძილზე, აღნიშნავს მ. ფ. ახუნდოვი, ხალხის გულშემატკივარი მოაზროვნენი, მგოსნები, სწავლულები, ფილოსოფოსები ფიქრობდნენ, რომ ჩაგვრის მოსასპობად საკმაოა მჩაგვრელთა შეგონება, ჩაგვრის მოსპობის აუცილებლობაში მათი დაწმუნება, მაგრამ ხანგრძლივმა ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ მსგავსი ცდები უნაყოფოა. ამიტომ საქირთა, რომ თვით ჩაგვრულს შეეაგნებინოთ, რომ იგი (ჩაგვრული) თავისი შემტობითა და ნიჭიერებით ბევრად აღემატება მჩაგვრელს, რომ ჩაგვრულს შესწევს ძალა დაამხოს მჩაგვრელთა ბატონობა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი გამოიღვიძებს და ერთხელ და საბოლოოდ უკუაგდებს მორჩილებას, მოთმინებას და ხელს აღმართავს ამ ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ.

ამ პროგრესული იდეების გახსნასა და პროპაგანდას ემსახურება მირზა ფათალი ახუნდოვის მთელი მხატვრული შემოქმედება. ემყარება რა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის ესთეტიკურ მრწამსს, ახუნდოვი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ებრძვის თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის,“ ებრძვის უიდეობას და ფორმალიზმს იმდროინდელ აღმოსავლურ მწერლობაში. ხელოვნების უმთავრეს და ძირითად ამოცანად მ. ფ. ახუნდოვი აღიარებს ხალხის სამსახურს. მისი ღრმა რწმენით, ხელოვნება, მხატვრული შემოქმედება უნდა იყოს რეალისტური, ამხილებდეს ხალხის მჩაგვრელებს და მისი წინსვლის შემადგურებლებს, ქმნიდეს მისაბამი გმირების სახეებს, პროგრესისა და ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი ადამიანების სახეებს. დიდი რუსი რეალისტი მწერლების, უწინარეს ყოვლისა, პუშკინისა და ლერმონტოვის ზეგავლენით, მ. ფ. ახუნდოვი თავგამოდებით იბრძოდა

აღმოსავლური პოეზიის დახვეწებული ხერხების და ნორმების წინააღმდეგ და თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით პროპაგანდას უწევდა ფართო წრეებში სათვის გასაგებ და მისაწვდომ რეალისტურ ლიტერატურულ ენარებს. დაემყარა რა რუსული რეალისტური მწერლობის მდიდარ გამოცდილებას, ახუნდოვმა საფუძველი ჩაუყარა ახალ აზერბაიჯანულ ლიტერატურას, მიმართა იგი ფეოდალური წეს-წყობილების, ადამიანის პიროვნების დამონების, ისლამური რელიგიის დამღუპველი გავლენის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მ. ფ. ახუნდოვის ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ლექსით „ა. ს. პუშკინის გარდაცვალების გამო“, რომელშიაც ნათლად გამოჩნდა ახალგაზრდა ახუნდოვის იდეურ-პოლიტიკური მრწამსი და მისი დამოკიდებულება რუსეთის თვითმპყრობელურ-ბატონყმური სინამდვილისადმი. ეს ლექსი არის მგზნებარე პუბლიცისტური ლარიკის შედეგრი, სადაც მაღალი პოეტური ფორმით გამოხატულია არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ მთელი კავკასიის მკვიდრი ხალხების მოწინავე საზოგადოებრიობის გულისწყრომა და მწუხარება რუსეთის უდიდესი პოეტის ვერაგული მკვლელობის გამო. უღრმესი გულისტკივილით აღბეჭდილ ამ ლექსს ახალგაზრდა პოეტი ასეთი სტროფებით ამთავრებს:

გმინავს მინა რუსეთისა,
გლოვობს ხშითა დამღალველით
ჯალათების წმინდა მსხვერპლისა,
გულგაგმარულს მტრების ხელოთ,
და მალარა კავკასიათ
კრძალეთა და მოწიწებით
მწირ საბუხის! ლექსით გლოვობს
მის უღროოდ დამიწებას.

გამოხატავს რა თავის მოწიწებას პუშკინისადმი, ეს ლექსი თვით ახუნდოვი-

სათვის წარმოადგენს ერთგვარ სპაროგ-რამო ნაწარმოებს, რომელმაც უკვე ამთავითვე მისცა გეზი მ. ფ. ახუნდოვის მრავალმხრივ ლიტერატურულ შემოქმედებას, თუმცა ლირიკა არ იყო წამყვანი ენარი მ. ფ. ახუნდოვის მხატვრობაში.

მმართველი წრეების, შეძლებული სოციალური ფენების მხილება არის მთავარი თემა და მოტივი ახუნდოვის მხატვრული შემოქმედებისა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სატირიკული მოთხრობა „მოტყუებული ვარსკვლავები“, ხადაც ფეოდალური სპარსეთი წარმოსახულია როგორც მშრომელი გლეხობის ფიზიკური და სულიერი ნაგვრა-წამების, აუტანელი სიღატაკის, ფეოდალთა და მეწამულეთა განუკითხავი თარეშის, პარამხანებისა და რელიგიური ფანატიზმის ქვეყანა. ავტორი გესლიანად დასცინის დესპოტ შაჰ-აბასს, მის მლიქვნელ ვეზირებსა და დიდებულებს, რომლებიც ფიზიკურად და სულიერად ანადგურებენ ხალხს და კატასტროფამდე მიყავთ ქვეყანა. მტარვალ შაჰაბასს და მის ერთგულ დამქაშებს მწერალი უპირისპირებს ხალხის წრიდან გამოსულ უბრალო ხელოსან-მეუხანარეს იუსუფს, რომელიც დროებით მოხვდა რა ხელისუფლებს სათავეში, ხალხის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად გაატარა რადიკალური რეფორმები, რითაც იგი მწერლის უღრმეს სიმპათიას იმსახურებს.

შესანიშნავი პროზაიკოსი ახუნდოვი იმავე დროს არის აზერბაიჯანული ეროვნული დრამატურგიის და თეატრის ფუძემდებელი.

მ. ფ. ახუნდოვი დრამატურგიასაც იმავე საზოგადოებრივ აღმზრდელით ამოცანებს აკისრებს, როგორც საერთოდ მთელს მხატვრულ ლიტერატურას. დრამატურგიის მიზანია, — წერდა იგი, — ადამიანის ყოფაქცევის გაკეთილშობილება, ზნეობრივი გაკვეთილის მიცემა მაყურებლისა და მკითხველისათვის. დრამატურგიის დარგში მისი შემოქმე-

* საბუხი — ახალგაზრდა მ. ფ. ახუნდოვის ლიტერატურული ფსევდონიმი. ლექსის თარგმანი ეკუთვნის ი. გრიშაშვილს.

დება ფრიად ნაყოფიერი იყო. რაღაც შეიღიწლი მანძილზე (1850-1856) მან შექმნა ექვსი კომედია: „მოლა იბრაჰიმ ხალილი — ალქიმისი“, „მუსიო უორდანი და დერვიში მახტალი შახი“, „ლენქორანელი ხანის ვეზირი“, „ავახანების მძლეველი დათვი“, „ჰაჯი ყარა“ და „თავრიზელი ადვოკატები“. ამ კომედიებში, სადაც მოცემულია გასული საუკუნის შუა წლების აზერბაიჯანის ყველა სოციალური ფენის ცხოვრების რეალისტური სურათები, მწვევედ მიხილებული და გაკრიტიკებულია ფეოდალურ-მატრიარქალური ურთიერთობანი, ვაჭართა ჩამორჩენილობა და უმეცრება, პროვინციელი მმართველების — ხანების გონებრივი სიჩლუნგე, უზუნობა და თავგასულობა, მოხელე ჩინოვნიკების უსულგულობა და დანაშაულებრივი მოქმედებანი. მისი კომედიის გმირები დიდი განზოგადოებული ძალით არიან აღჭურვილნი, მაგალითად, მთავარი გმირი ჰაჯი ყარა ამავე სახელწოდების კომედიიდან იქცა სიხარბისა და სიმხდალის აღმნიშვნელ ზოგად სახელად აზერბაიჯანის ყოფაცხოვრებასა და ლიტერატურაში. ამ უარყოფით პერსონაჟებთან ერთად მ. ფ. ახუნდოვმა თავის კომედიებში დახატა კარგი ადამიანების სახეებიც, მათ შორის, პოეტი განმანათლებელი ჰაჯი-ნური და შახ-ბახბეკი, რომლებიც გულწრფელი გატაცებით და უანგარობით იღწვიან იმისათვის, რომ ხალხს გაუხსნან გზა კულტურისა და პროგრესისაკენ. ამასთან, ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ მ. ფ. ახუნდოვმა მთელს აღმოსავლურ ლიტერატურაში პირველად დახატა აზერბაიჯანელი ქალების მეტად მიმზიდველი სახეები, რომლებიც ავტორის მიერ აღჭურვილი არიან კეთილშობილებით, გამბედაობით, ნიჭით და უნარიან თამამად იბრძოდნენ თავისი უფლებებისათვის.

მეტად ცოცხალი ენით, გონებახვეილობით დაწერილმა, კომიკური ხასიათებითა და სიტუაციებით სავსე მ. ფ.

ახუნდოვის კომედიებმა მალე მთიანეთს პოპულარობა არამარტო აზერბაიჯანში, არამედ მის გარეთ, 50-იან და 70-იან წლებში ყველა კომედია ითარგმნა, რუსულ და ევროპულ ენებზე. ცნობილია, რომ 1898 წელს „ლენქორანელი ხანის ვეზირი“ შესანიშნავად გადმოაქართულა აკაკი წერეთელმა და მისივე რეჟისორობით არა ერთხელ დაიდგა ქართულ სცენაზე. ახუნდოვის კომედიების მაღალმა მხატვრულმა ღირსებამ, სოციალურმა სიმსხვილემ მისცა საფუძველი ქართული დრამატურგიის მამამთავარს გიორგი ერისთავს, ზოლო შემდეგ, რუს ლიტერატორ-კრიტიკოსს აპოლონ გრაფგორიეეს, ერთი შეიქრისაგან დამოუკიდებლად, მ. ფ. ახუნდოვისათვის ეწოდებოდათ აზერბაიჯანის მოლიერი. უნდა ვიფიქროთ, რომ ახუნდოვს ახლო ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა, საქართველოს პროგრესიულ მწერალ-მოღვაწეებთან, კერძოდ, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და გიორგი ერისთავთან. ეს საკითხი ჯერჯერობით საკმაოდ გარკვეული არ არის და მოითხოვს გულდასმით შესწავლას.

დიდა მირზა ფათალი ახუნდოვის როლი როგორც განმანათლებლისა იმ მხრივ, რომ მან პირველმა აღძრა საკითხი არაბული დამწერლობის შეცვლისა უფრო პროგრესული დამწერლობით. ახუნდოვი თავის პრაქტიკული მოღვაწეობით და გამოცდილებით დარწმუნდა, თუ რა დიდ დაბრკოლებად ეღობებოდა მასებში წერაკითხვის გავრცელებასა და განათლების შეტანას ძნელად შესათვისებელი არაბული ალფაბეტი, და მან ლათინური და რუსული ალფაბეტების საფუძველზე შექმნა ახალი აზბანი და იმთავითვე გააჩაღა ენერგიული მუშაობა მის დასანერგად აზერბაიჯანულად, თათრულად, თურქულად და სპარსულად მოლაპარაკე ხალხებში, მაგრამ მას იმდენად ძლიერი, პირდაპირ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ფანატიკურმა სამღვდელოებამ, მემამულეთა და ბურჟუაზიის რეაქციულ-რე-

ტოგრაფულმა წრეებმა, — რომ მისი პროექტი დიდხანს განუხორციელებელი დარჩა; მისი გატარება მოსახერხებელი შეიქნა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა აზერბაიჯანში. ახუნდოვის ამ დეაწლს, მის სხვა დიდ დამსახურებასთან ერთად, აღნიშნავს დღეს მთელი მოწინავე კაცობრიობა.

მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრება და მოღვაწეობა მიმდინარეობდა საქართველოში, მის დედაქალაქ თბილისში. აქვე ჰპოვა აზერბაიჯანის დიდმა მწერალმა-განმათავისუფლებელმა თავისი სამუდამო განსასვენებელი ადგილი. მირზა-ფათალი ახუნდოვმა ჯერ კი-

დეე ცარიზმის სულისშემტველ ატმოსფეროში, გვიჩვენა მწიგნობრივი აზერბაიჯანელი ხალხის დიდი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შესაძლებლობა ფილოსოფიური, მეცნიერული და მხატვრული აზროვნების ყველა სფეროში, შესაძლებლობა, რომელიც ჩვენს დროში იქცა უცილობელ სინამდვილედ, უცილობელ ფაქტად — საბჭოთა აზერბაიჯანი თავისი ეკონომიკით, მთელი თავისი კულტურით — მწერლობით, ხელოვნებით, მეცნიერებით გახდა ერთერთი მოწინავე რესპუბლიკა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში და ერთი პირველთაგანი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის.

მირზა ფათალი ახუნდოვის ერთი ღვაწლის გარშემო

აზერბაიჯანის დიდი მწერალი მირზა ფათალი ახუნდოვი დიდხანს მუშაობდა მთავარმართებლის სამოქალაქო კანცელარიაში, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის ადმინისტრაციის მაშინდელ ცენტრში თბილისში იყო. 22 წლის ახალგაზრდა ახუნდოვი 1834 წელს დაიწყო მუშაობა კანცელარიაში აღმოსავლური ენების მთარგმნელად და მთელი სიცოცხლე ამ თანამდებობას შეერჩა. 44 წლის მანძილზე მან განავლო რუსულა წოდებრივი იერარქიის რთული კიბე — იცვლებოდა ზინები და უმდაბლესიდან პოლკოვნიკობამდე მიიღწია, მაგრამ არასოდეს შეცვლილა მისი თანამდებობა და სიკვდილამდე კანცელარიის მთარგმნელად დარჩა. „არაერთი შემოსავალი, მხოლოდ ხელფასი“ — აღნიშნავს ხშირად ახუნდოვი თავის ხელნაწერებში, და ეს იყო რეინსებური იძულება, რომელმაც აზერბაიჯანელ განმანათლებელს საოცრად დიდი დრო გაატარებინა კანცელარიაში, მტვერსა და ქაღალდებში, აღმოსავლურ ენებიდან თარგმნის მომქარავე შრომაში.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა ისტორიის საკითხებზე მუშაობისას ყურადღება მიაქციეთ XIX საუკუნის მეფეეფარის ვ. ხლებნიკოვის ცნობას იმის შესახებ, რომ XVI საუკუნეში მიტაცებულ სამხრეთ საქართველოსთვის თურქი დამპყრობლების მიერ შედგენილი ადგილობრივი მოსახლეობის აღწერისა და გადასახადებით დაბეგერის პირველი დავთარი, რომელიც 1578 წლით უნდა თარიღდებოდეს, ხელდაჭერისა მ. ფ. ახუნდოვს და თურქულიდან უთარგმნია კიდევ რუსულ ენაზე.¹ ვ. ხლებნიკოვის მიერ მოყვანილი რამდენიმე დეტალი საყრდენით საკმაოდია იმის დასადასტურებლად, რომ მ. ფ. ახუნდოვის მიერ თარგმნილი წყარო არ არის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც უკვე ჩვენს დღეებში თარგმნილია, გამოსცა და შეისწავლა პროფესორმა სერჯაქიამ.

ამრიგად, სამხრეთ საქართველოს ისტორიის დღემდე უცნობი და დიდმნიშვნელოვანი პირველწყარო — „ოსმალური საქართველოს“ პირველი თურქული საგანგებო დავთარის ტექსტი ხელთა პქონია მ. ფ. ახუნდოვს, დიდი ყფა გაუწევია (ოსმალური დავთრების თარგმნა უაღ-

რესად შრომატევადი საქმეა) და შეუქმნია ამ წყაროს რუსული ვარიანტი. მაგრამ ეს მოხდა დაახლოებით ასი წლის წინ...

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიო არქივში დაცულია მასალები მ. ფ. ახუნდოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობაზე, აქვეა სახუთები მთავარმართებლის კანცელარიის მთარგმნელად მისი მუშაობის შესახებ. ზსენებული დავთრის ტექსტის ან მისი ახუნდოვისეული თარგმნის ძიებას სწორედ აქედან შეუდგეთ და შეძლებისდაგვარად სრულად გავეცანით საარქივო მასალას, რომელიც მ. ფ. ახუნდოვის მთარგმნელობით მუშაობას შეეხება.

ამიერკავკასიის ქვეყნების რუსეთთან შეერთების შედეგად მუდმივ მთავრობის წინაშე ადმინისტრაციული მართვის სხვა პრობლემებთან ერთად დაისვა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, სპარსულ და სხვა ენებზე მოლაპარაკე ადგილობრივ მოსახლეობასთან ენობრივი ურთიერთობის პრობლემა. ამიტომ იყო, რომ მთავარმართებლის და საგუბერნიო კანცელარიაში, სსამართლოებში, პოლიციაში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში მთარგმნელების სპეციალური შტატები დაწესდა. კვალიფიცირებული მთარგმნელები საჭირო იყო საგარეო-დიპლომატიურთ საქმეების მოსაგვარებლად. ამიერკავკასიის შეერთების შემდეგ რუსეთი უშუალოდ დაუმეზობლდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს და მისმა ურთიერთობამ თურქეთთან, ირანთან და ზოგიერთ არაბულ ქვეყანასთან უაღრესად ინტენსიური ხასიათი მიიღო. შეიქმნა დიპლომატიური კანცელარია, რომელიც მთავარმართებლის უშუალო გამგებლობაში იყო.

კონკრეტული საარქივო მასალის შესწავლამ დავარწმუნა, რომ თბილისის დიპლომატიური კანცელარიის უფუნა-მოსილება და საქმიანობა ფართო ხასიათს ატარებდა; იგი ავტარებდა სსახლგრო ინციდენტებს თურქეთთან და ირანთან; რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-ირანის ომების შედეგად მომხდარი ტერიტორიული ცვლილებანი დასაბამი აძლევდა საზღვრისპირა მოსახლეობის უამრავ ქონებრივ დავას, რაც აგრეთვე დიპლომატიური კანცელარიის მოსაგვარებელი იყო; დიპლომატიური კანცელარია აწარმოებდა რუსეთის ქვეშევრდომებზე საზღვარგარეთული პასპორტების გაცემას და შეეძლო უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების რუსეთის მფარველობაში მიღება.

კავკასიის დიპლომატიურ უწყებას მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის 3 ძირითადი

¹ В. Хлебников, О тапном праве мусульманских провинций Закавказского края, Журн. „Юридическое обозрение“ № 291 1886 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 187.

საშეღებმა გაანდა: I—რუსეთის საკონსულოები ტრაპიზონში, ერზერუმში, სამსუნში, თაგრიზში, თორანსა და სხვა ქალაქებში, II—თურქეთის და ირანის საკონსულოები თბილისში, ბათუმში, ფოთში და სხვაგან, III—საქიროების შემთხვევაში კანცელარია დიპლომატიური მისიით აჯახავდა თავის მოხელეებს მახლობელი აღმოსავლეთის ამა თუ იმ ქვეყანაში.

გასაგებია, რომ დიპლომატიური კანცელარიის მეშვეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსულიდან აღმოსავლურ და აღმოსავლურიდან რუსულ ენებზე თარგმნის საქმეს. იმდროინდელ თბილისში აღმოსავლური ენების კარგი მკოდნენი მრავალ მოძებნებობდნენ. მაგრამ დიდა უმრავლესობამ არ იცოდა რუსულ ენა და ამდენად ოფიციალურ სამსახურში ვერ გამოდგებოდნენ. თარგმნები, რომელთაც კარგად იცოდნენ როგორც აღმოსავლური ენები, ასევე რუსულიც, თითებზე დასათვლელ იყვნენ. ამიტომ რუსეთის აღმინისტრაციის მუდამ უჭირდა და სამებნი ყუდა კვალიფიციური მთარგმნელები.

ასეთ ვითარებას უნდა გავპირობებინა ის, რომ თბილისის გიმნაზიაში XIX საუკუნის 30-40-იან წლებში სპარსულ და თურქულ ენებს ასწავლიდნენ.¹ 1844 წელს თბილისის გიმნაზიის აღმოსავლური ენების მასწავლებელს ლახარე ბუდაგაგის თათრული და თურქული ენების სახელმძღვანელოც კი შეუდგენია „თბილისის გიმნაზიისა და საერთოდ ამიერკავკასიის სამაზრო სასწავლებლებსათვის“.² ბუდაგაგის ხელნაწერი პეტერბურგში აკადემიკოს დორნისთვის ვადაუზავინით სარეცენზოლოდ ამ უკანასკნელს უარყოფითი რეცენზია დაუწერია და რეკომენდაციას უწევდა ყახანის უნავერსიტეტის პრინციპლის კახემ-ბეგის მიერ შედგენილ თურქული ენის გრამატიკას.³

ასეთი იყო ისტორიული ფონი, რომელმაც გააძირბა თბილისში პირველად ჩამოსული 22 წლის აზერბაიჯანელი ასალგაზრდის მირზა ფათალი ახუნდოვის საქმიანობა და მომავალი.

1834 წლის 1 დეკემბერს⁴ მ. ფ. ახუნდოვი დაინიშნა მთავარმართებლის სამოქალაქო კანცელარიის შტაბიანი მთარგმნელებს თანამოწმედ. საბუთების ერთი რომ ვთქვათ „პუყაფი და შრომისმოყვარე“ მ. ფ. ახუნდოვი სულ მალე, 1835 წლის დასაწყისში უკვე შტაბში ირიცხება

და იკავებს წერილობითი მთარგმნელის თანამდებობას.

ის ფაქტი, რომ „დიდ ქალაქში“ პირველად ჩამოსული მ. ფ. ახუნდოვი ასეთ მოკლე ვადაში შტაბში ჩარტყვის და ისიც წერილობით მთარგმნელად, 23 წლის ასალგაზრდის საქაშო ვანათლებისა და მუყაითობის უტყუარი დადასტურებაა. მაგრამ მ. ფ. ახუნდოვის ჩამოყალიბება როგორც მოაზროვნისა, მაინც აქ, თბილისში მოხდა.

ბუნებრივი ნიჭით უხვად დაწილოებულ და კარგი მეხსიერების მქონე მ. ფ. ახუნდოვი დაუშრეტელი ენარგითა და შეუპოვრობით იწყებს თვითგანათლებას, პირველ რიგში რუსული ენის შესწავლას მოყდა ხელა. როგორც მისი ბიოგრაფი მიუთითებს, „ახუნდოვი რუსულ ენას სწავლობდა კანცელარიაშიც, ზახარაშიც, ქუჩაშიც და ყველგან, სადაც შეიძლებოდა რუსული სიტყვის გაგონება, სადაც შეიძლებოდა თუნდაც ერთი ასალი სიტყვის გაცნობა“.⁵ განუწყვებელიც კითხულობდა თბილისის ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს. სწავლობდა ისტორიას, გეოგრაფიას. „ზხოლოდ შეუპოვარმა შრომამ, ზხოლოდ თავის ჩამორჩენილობისა და შეზღუდული განათლების სიმცირის დაძლევისადმი უდიდესმა მასწარაფებამ შეაძლებინა ახუნდოვს მიეღწია საქეთარი თავის წინაშე დასახული სსიბიციბლო მიზნისათვის— დაძლიერეყო თავისი ეპოქის“ დონეზე და გამზადარყო განათლებული კაცი რუსული, ვეროპული გაგებით“.⁶

მაგრამ მ. ფ. ახუნდოვი თავისი დროის ყველაზე ზვირფას და დიდ ნაწილს სამსახურში. მთარგმნელის მავდასთან ატარებდა. იგი თარგმნიდა სპარსულიდან, თურქულიდან, არაბულიდან, და თარგმნიდა რუსულიდან ამ ენებზე. თარგმნიდა არა მხოლოდ თავისი კანცელარიის საქმეებს, არამედ სხვა უწყებებიდან (არმიის შტაბი, სახელმწიფო ქონების სამმართველო, სასამართლოები და სხვ.) გადმოკზნავილ საბუთებსაც. საქართველოს ცენტრალურ სსიბიციბლო არქივში დაცულია მ. ფ. ახუნდოვის მიერ ნათარგმნი საბუთები — აქ არის ოფიციალური მიმოწერა, უპარავი საბუთი ქონებრივი დავის შესახებ, სსიბიციბლო და სხვ.⁷ იგი ასწროებდა და კორექტურას უკეთებდა აღმოსავლურ ენებზე თბილისში დაბეჭდილ ტექსტებს.⁸

¹ საქ. ცსსა, ფონდი 2, საქმე 11818, ფ. 1; საქმე 11821, ფ. 1-3.

² საქ. ცსსა, ფონდი 2, საქმე 11768, ფ. 2.

³ იქვე.

⁴ საქ. ცსსა, ფონდი 2, საქმე 5670, ფ. 204. მ. ფ. ახუნდოვის ბიოგრაფი მ. რაფილი 1 დეკემბრის ნაცვლად 1 თებერვალს მიუთითებს, რაც მდდარი უნდა იყოს, იხ. М. Рафили, М. Ф. Ахундов, Баку, 1957 г. გვ. 74.

⁵ საქ. ცსსა, ფონდი 11, საქმე 1323, ფ. 2.

⁶ М. Рафили, М. Ф. Ахундов, Баку, 1957. გვ. 75-76.

⁷ იქვე, გვ. 75.

⁸ საქ. ცსსა, ფონდი 11, საქმეები 1445, 1448, 3x36, ფონდი 2, საქმეები 4x60, 5034; 7110, 7878, 8193, 8921, 10621 და სხვა; ფონდი 5, საქმეები 114,736.

⁹ საქ. ცსსა, ფონდი 11, საქმე 1323, ფ. 10

1843 წლის 2 აპრილით დათარიღებული წერილიდან, რომელიც მ. ფ. ახუნდოვის ეკუთვნის, შემდეგი არტყევა: დიპლომატიურ კანცელარიის სპარსული ენის მთარგმნელი არა უოლაამიტომ ძალიან ხშირად მ. ფ. ახუნდოვის ეკუთვნებოდა. კანცელარიის საბუთების თარგმნასაც. თვით ახუნდოვის სიტყვით:

„С начала 1835 года, я находясь в службе при канцелярии Главного Управления Закавказским Краем в звании письменно-го переводчика языков: турецкого, персидского и арабского, кроме прямой своей обязанности занимался и переводами бумаг на сказанных языках, присылаемых в канцелярию как из Штаба отдельного Кавказского корпуса и прочих мест, так и из Дипломатической канцелярии Господина Главноуправляющего Закавказским краем. Переведенные мною бумаги, принадлежавшие делам сей канцелярии заключали в себе, исключая разные письменные акты, переписку ея с сановниками иностранных Держав, а именно: с правителями Азербейжана и Арзерюмским сараскиром и подведомственными ему пашами“.

დიპლომატიური კანცელარიის საბუთების თარგმნის ყველა შემთხვევას, განაგრძობს ახუნდოვი, ვერ გაეცხენებოდა და მხოლოდ შემდეგს აღენიშნავთ: „1. в 1841 году я командирован был канцелярию для перевода как грамот турецких Султанов... так и письма на арабском языке; 2. еще недавно командирован был туда для перевода писем персидскому шаху и главным его сановникам. Письма эти были переведены мною и рассмотрены и одобрены Г. полковником Абас Кули Агою Бакихановым.“ 3. недавно же я переводил три грамоты представленные туда туркменским старшиною...“

В прошлом году² я был командирован при Г. Контр Адмирале Путятине в качестве переводчика персидского языка в персидской город Астрабат...³

თუ ვაჯიხენებთ, რომ ამავე დროს ახუნდოვი თბილისის სამაზრო სასწავლებელში აღმოსავლურ ენებს ასწავლიდა, ნათელი გახდება ის მშობი და რთული შრომა, რაც ახუნდოვის არსებობისათვის იყო საჭირო.

მთავარმართებლის კანცელარიის მთარგმნელებს აღმოსავლურ ენებზე დაწერილი წიგნების თარგმნაც უხდებოდათ, წინა აზიის ხალხებთან

უშუალოდ დამუშობლების შემდეგ რუკით აღმინისტრაცია დაეინებით ცდილობდა ამ ქვეყნების-სამართლებელი ნორმების, კანონმდებლობის შესწავლას. საელჩოებისა და სპარსულ ენების მმწველობით მეფის მთავრობა საჭირო წიგნებს უიღულობდა თურქეთისა და ირანში და მთარგმნელების დახმარებით ეცნობოდნენ მათ შინაირს. არქივში დაკულია მთელი ერთი საქმე, რომელიც თავირობის საკონსულტო მმწველობით სწორედ ასეთი, მუსლიმანური სამართლის ნორმების შემცველი წიგნების შექმნას ეხება. 1843 წელს ერთ-ერთი ასეთი წიგნის თარგმნა დაუვალებიათ მ. ფ. ახუნდოვისათვის, რელიგიურად კანონმდებლობის შესახებ მწელი არაბული ენით დაწერილი წიგნის თარგმნა ახუნდოვს ვასტირება და შრავალა ცდის შემდეგ მოტოვებოდა. ამავე მტყველებს თვით ახუნდოვის მიერ დაწერილი მოხსენებითი ბარათი ახუნდოვი პირდაპირ მოუთხოვს, რომ ამ წიგნის ენა მტკად მწელიყო, მიტომ ჩვენითვის საინტერესო ნაწილები მუსლიმან ახუნდებს ვათარგმნინთო, სპარსულიდან მე გადმოვარსულეზო.⁴

შრომისმოყვარე და შეუპოვარი ახუნდოვი განუწყვეტლავ იმუშავებდა ცოდნას და შედეგებით კარგი მიიღწა: აქადემიკოსმა გ. წერეთელმა შამიის მიერ არაბულ ენაზე დაწერილი წიგნების დედნები შეუდარა 1877 წელს ახუნდოვის მიერ გაკეთებულ თარგმნებს და დაასკვნა, რომ „თარგმანი, ძირითადად სწორადია შესრულებული“⁴.

მ. ფ. ახუნდოვის მთარგმნელობით მოღვაწეობაში უნდა განვასხვავოთ პირველი და მეორე პერიოდები — ის, რაც მწელი იყო პირველში, იოლი და ადვილად დამატლევი ხდებოდა მეორე პერიოდში.

ცნობილია, რომ არაბული ანბანის რეფორმის ერთ-ერთი პირველი ცდა მ. ფ. ახუნდოვის ეკუთვნის. არაბული დაწერილობის უარესად მწელი და რთული ხასიათი განსაკუთრებით კარგად უნდა შეეგრძნო მთარგმნელ ახუნდოვს, რომელსაც სრულიად სხვადასხვა ხელითა და სტილით ნაწერ საბუთებზე უხდებოდა მწეშობა. ბევრ არაბულ ასოს თბინ მოხაზულობა აქვს და ხშირად ერთიდიგივე მოხაზულობის ასოება მხოლოდ წერტილებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სიტყვებში ხშირად ბგერები არ იწერება და მკითხველს უხდება მათი ვაზარება, აღდგენა. განსაკუთრებით მწელია უწერტილო ტექსტების წაითხება, რასაც, როგორც თვით მ. ფ. ახუნდოვი მოუთხოვს, ხშირად

¹ საქ. ცსსა, ფონდი 11, საქმე 2144

² საქ. ცსსა, ფონდი 2, საქმე 0914, ფ. 1—2.

³ იქვე.

⁴ Г. В Церетели. Вновь найденные письма Шамия, Труды Института востоковедения, XXIV, М.-Л. 1937 г., 36-98.

¹ ცნობილი ახერბაიჯანელი მოაზროვნე, ისტორიკოსი და პოეტი მ. ფ. ახუნდოვის უფროსი მეგობარი (1794—1847).

² ე. ი. 1842 წელს.

³ საქ. ცსსა, ფონდი 11, საქმე 1323, ფ. 2—3.

თვეობით მუშაობა დასჭირებია. მაგრამ თვით ახუნდოვი ამ ანბანზე უკვე 30 წელი მუშაობდა. იგი სრულყოფილად ათვისა და შეეგუა კიდევ დიდ განმანათლებელს სხვა აწუხებდა. რგი გრძობდა, რომ ხალხის ფართო მასებში კულტურისა და განათლების დანერგვას არაბული ანბანი ამტკიცებდა. 1857 წლის 12 ნოემბერს დაწერილ საბუთში მ. ფ. ახუნდოვი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაწერლობის სირთულის გამო მუსლიმანურ მოსახლეობაში 10 ათას კაცზე წერა-კითხვის ერთი მცოდნე თუ მოაქმენებო, ბავშვები ანბანის შესწავლის დასაწყისშივე მისდამი სიძულელით იმსჯელებიანო! და დიდი აზერბაიჯანელი პედაგოგი აღგვს არაბული დაწერლობის რეფორმის პროექტს. მ. ფ. ახუნდოვის ერთ-ერთი ხელნაწიდან ნათესი ხდება, თუ რავორ წარმოედგინა ავტორის არაბული დაწერლობის რეფორმის პრაქტიკული მზარე. ი ეს საბუთი:

„(Я) отбросил все точки, ввел в азбуку не пишущиеся гласные буквы, избрав для них красивые фигуры дополнил азбуку недостающими буквами, нашел для каждой буквы особую фигуру без помощи точек, учредил некоторые необходимые знаки препинания, для ясности речей и выражений с указанием правил для правописания и легчайшей методы для преподавания и таким образом составил для языков арабского, персидского и турецкого, новую азбуку, которая по характеру своему, совершенно не нуждаясь в старой, будет вполне соответствовать цели“.¹

როგორც ამ საბუთიდან ირკვევა ახუნდოვის მიერ შემუშავებული პროექტი რადიკალურ ხასიათს არ ატარებდა, ვინაიდან პრაქტიკულად ისევ არაბულ ანბანს ეყრდნობოდა და არ თვალისწინებდა ლათინური ანბანით მის შეცვლას. მიუხედავად ამისა იმ პერიოდში არაბული დაწერლობის რეფორმის საკითხის დაყენებასაც კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და სწორედ ამისა მ. ფ. ახუნდოვის ისტორიული მისიის პროგრესულობა.

ამ წერილის დასაწყისში ჩვენ შევნიშნეთ, რომ მ. ფ. ახუნდოვის მთარგმნელობით მოღვა-

წეობას გვეცინით ვარკვეული შიზნიტ — გინდოდა მოგვეცია მის მიერ მთარგმნი ოსმალურის საგადისახადო დავთრის ტექსტი მთავრობის შედეგი? ჯერჯერობით პენსიონტურაქ მხარჯას ისტორიული წყაროს ბედი ჯერ კიდევ საიდუმლოებითაა მოცული და ამდენად მისა შინაარსი ჩვენთვის უცნობი რჩება. თუმცა შივაკლით ერთ საბუთს, რომელზე მრავალმხრივ ყურადღებას იმსახურებს და ერთგვარად ძალს ვემატებს მუშაობის განსაგრძობლად.

სახელმწიფო ქონების სამმართველოს უფროსის მიერ 1869 წლის 4 ოქტომბერს დაწერილ მოხსენებაში ვკითხვლობთ:

„С разрешения Вашего Превосходительства, поручено было переводчику Департамента главного управления, подполковнику Мирзе-фет-Али Ахундову, перевести с турецкого на русский язык книгу Джаба, составляющую в себе описание имений бывшего при Турецком правительстве ахалцихского пашаляка, для того, чтобы воспользоваться ею при защите интересов казны, как по делам судебным, так и межевым.

По мере приготовления г. Ахундовым этого перевода, он в отдельных тетрадях был препровождаем в Ахалцихе... В настоящее же время г. Ахундовым переведена вся эта книга.

Докладывая об этом Вашему Превосходительству я покорнейше прошу не изволите ли Вы признать возможным исходатайствовать у Великого князя наместика г. Ахундову за этот большой труд подарок, по усмотрению Вашего Превосходительства“.¹

ამრიგად ირკვევა ჩვენთვის საინტერესო საბუთის მთარგმნის თარიღი (1869 წელი) და მართალია მიახლოებით, მაგრამ მინც მისამართიც — ახალციხე... რაც მთავარია, ამ საბუთით უტყუარად დასტურდება ის ფაქტი, რომ მ. ფ. ახუნდოვს დიდი შრომა გაუწევია ქართული ხალხის ისტორიის შესანიშნავი წყაროს მთარგმნელად, რაც კიდევ უფრო ზრდის მომვე აზერბაიჯანელი ხალხის სამაყო შეილის, დიდი განმანათლებლის, მოზაროვნის და დრამატურგის სსოვნისადმი ჩვენს პატივისცემას.

¹ საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 7, საქმე 624, ფ. 1.

² საქ. ცსსა, ფონდი 4, აღწერა 7, საქმე 624, ფ. 2.

¹ საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 95., ფ. 3.

თაბაგ პეპსიკოვი

კოტე მარჯანიშვილის დაღმვა „კაკაღ გუღღი“

1928 წელს კოტე მარჯანიშვილი დააარსა მეორე ქართული სახელმწიფო თეატრი, რომელშიც ქეთაისში დაიწყო მუშაობა. თეატრის პორტფელში საკმაოდ იყო ქართული, რუსული და საზღვარგარეთელი კლასიკური დრამატურგიის ნიმუშები, მაგრამ საბჭოთა პიესების დიდი ნაკლებობა იგრძნობოდა. ამიტომ შალვა დადიანის პიესის — „კიკელ გულში“ გამოჩენამ მებრძვავაბარა კოტე მარჯანიშვილი და მთელი თეატრი. კოტეს ყოველთვის ახასიათებდა უნარად გამოეჩნა სათანადო გასაღები ნაწარმოების გახსნისათვის. ამ თვისებამ მას ამკერადაც არ უმეტუნა. შ. დადიანის მსუბუქ კომედიას კოტემ უბოვა ასეთივე მსუბუქი და საზუმარო ფორმა.

რა იყო დამახასიათებელი მარჯანიშვილის ამ დაღმვისათვის? — უბრალოდ, სისადავე და სისალივე. კ. მარჯანიშვილი არ მიმართა გროტესკსა და ბუფონადას, მისი გმირები არ იყენენ გამოყენილა როგორც ბოროტმოქმედნი ან დაუძინებელი მტრები; მარჯანიშვილი ამ პერსონაჟებით მყოფრებელს დაანახა სიესებით რეალური ადამიანები: თალითები, არამზადები და უქნარა, უნაითო ხელმძღვანელები.

მასსთვის, როგორ დაიწყო კ. მარჯანიშვილიმა სპექტაკლზე მუშაობა. პიესის კთხვებზე მარჯანიშვილიმა დაიბარა მთელი დსი, მხატვრები პ. ოცბელი და ელ. ახვლედიანი; დირიჟორი ალ. გველესიანი, ქორეოგრაფი დ. მამავარიანი და მე. თეატრში შემთხვევით შემოსული გარმონის დამკერელი სუბელნიკიცი კი დაასწრო. სუბელნიკი არა მარტო გარმონის კარგი დამკერელი იყო, არამედ სმენით შესანიშნავად უკრავდა როიალზე მსუბუქი ქანრის იმ დროის ვავრცელებულ რომანსებსა და საცეკვაო მუსიკას. მოწვეული იყო ავტორიც. პიესა წიგნიკთხვთ. როლები დარვიდა. მარჯანიშვილიმა სპექტაკლის რეჟისორად დანიშნა ელ. ლილობერიძე, მხატვრად პ. ოცბელი, კომპოზიტორი მე ვიყავი. მარჯანიშვილიმა გამოგვიცხადა: მაგიდასთან მუშაობა არ გვექნება, პირდაპირ გადავალთ სცენაზე.

უნდა ითქვას, რომ პიესა „კიკელ გულში“ შევიდა შუა სეზონში, უკვე შედგენილ რეპერტუარში, ამიტომ მისი დასაღმველი თანხა არ იყო გათვალისწინებული. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ნახა მხატვარმა პ. ოცბელმა; შემოგ-

ვთავაზა, ვასაფორმებლად გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ ორი საგანი — თეატრის და უკანასკნელ მოქმედებაში შექცარი. კოტეს ეს აზრი მოეწონა და სპექტაკლი გადაწყვიტა მხოლოდ ერთი შავი პანორამის ფონზე. სურათიდან სურათზე გადასვლა კი ხდებოდა შემანქანე ქალების მაგიდებისა და საწერი მაგიდის მახვილგონივრულად მოფიქრებულ მოძრაობით — ადგილების გადანაცვლებით.

პიესის მიხედვით, პირველი მოქმედება სოლოლაკში მიმდინარეობს, დაწესებულებისათვის ახლად დაცილლ მდიდრულ ბინაში. ცარიელ სცენაზე იღვდა მარტოოდენ დიდებული იპაონერი თეატრი. მარჯანიშვილს უნდოდა ეჩვეებინა, რომ ამ ბინაში დაწესებულადა გაღმონის, ამიტომ სპექტაკლში შეიყვანა კურტნიანი მუშები, რომელთაც მოქმენდათ ზურგზე მოკიდებული საკანცელაროი ნივთები.

— კურტნის მუშებისთვის მუსიკა მჭირდება, ვინ იცის რაიმე ქურთული სიმღერა? — იკითხა კოტემ.

— მე! — უპასუხა მხატვარმა ელ. ახვლედიანმა, — ჩვენს ეზოში ქურთები ცხოვრობენ და ქორწილში ასე მღეროან ხოლმე! — (წამოიწყო სიმღერა).

— ჩაწერე! — მოთხრა კოტემ.
მე ჩაწერე ეს მელოდია, — ასე დაიბადა კურტნის მუშების სიმღერა.

კოტემ წამსვე დაიწყო მიზანსცენების დაღმვა და გზადაგზა ახვენდა მუსიკალური ნომრების ფიქსირებას. მუშაობის ტემპმა ყველა ჩავეითოდა. სულ მალე გამოიჩინათა პერსონაჟთა სახეები, მსახიობის მოქმედების ძირითადი ხაზა, ბრწინავალე მიზანსცენების საშუალებით ყველა და ყველაფერი ამოქმედდა. უჩვეულო რებეტიციებით გატაცებული სპექტაკლის ყველა მონაწილე გეთავაზობს იმ დროს გაერცილებული სიმღერების ახლ-ახალ ვარიანტს. ჩაწერას მე მარტო ვერ ვასწრებდი, მეზმარებოდა დირიჟორი ალ. გველესიანი. ასე, უკვე პირველ რებეტიაზევე დაიბადა პირველი მოქმედება.

კოტე მარჯანიშვილს კურტნის მუშები სპექტაკლში ისე შემოჰყავდა, თითქმის ისინი ვარედან, ქუნიდან მოდიოდნენ. მუშები სიმღერას აწყებდნენ კულუარებში, შემდეგ იღებოდა მკურებელთა დარბაზის კარები და საწერა მაგი-

დებით, ყუთებით და სხვა საქანცლარით ნივთებით დატვირთული წელში მოხრებილი სიმღერით შემოდიოდნენ. ისინი გაივლიდნენ პარტერს, გადავიდნენ ორკესტრულ ვადებულ ფიცრის ხიდას, აღიოდნენ სცენაზე და იხსნიდნენ ტერასს.

სცენაზე მათ დახვდებოთ: დაწესებულების დარაჯი — ეს ახმახი სოფელი ოტროველა (შსახ. შ. ჩხეიძე) უძრავად იდგა წარმოსახვით ნაგარადღევ კარის საღარაჯოზე, რამდენიმე თანამშრომელი ქალი და კაცი — უსაქმური ახალგაზრდები, რომლებსაც სამსახურში თავი აქვთ შეფარებული, და, ბილოს, თავადი ირაკლი (შსახ. შ. დამბაძე) ეს უკანასკნელი სინანულით გრძობით იგროვებს თავის წარსულ ცხოვრებას, ახლა მას გარშემოცემილი ჰყავს დაწესებულების ახალგაზრდა თანამშრომლები, თვითონაც ერთობა და მათაც აბოხოს, რაც უსაქმურობისა და ჭორაობის ატმოსფეროს ქმნის. მაგრამ, ამასთანავე, ირაკლი ვალმოსანია, წერს ყოველგვარ პროექტს ყოველგვარ საქითზე, სამშობლიო სახლისა და ჭირბოგარაფული სკოლისთვისაც კი.

მუშები ტეროისაგან რომ განთავისუფლდებიან, გასაშრკელის მოითხოვენ, მაგრამ თანამშრომლები პასუხად ვინმე ირინარხის გასამახარებელ შიარებს მდგრიან, ეს სიმღერა შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა:

გენაცვალე კაცალ გულში,
როგორც ყველა ხეპატირში.

ვინ იყო ეს ირინარხი? — შევითამებ და თაღლითი, რომელმაც ყოველგვარი ხრიკებით შეძლო განყოფილების გამგის თანამდებობის ხელში ჩაგდება. თბილი ადგილის შესანარჩუნებლად იგი ყველაფერს იტანს: დაცინვას, მისხრად ვადებებს, ყველა ამ ამბავს ვიგებთ სცენაზე მის გამომჩნეამდე. როდესაც მათურების ინტერესი ამ პიროვნებისადმი საქმითდ იზრდება, მარჯანიშვილს გამოჰყავს ღვთი ირინარხი.

ირინარხ პარასკილას გამოსვლისათვის მარჯანიშვილმა მელთაღის შერჩევა დაიწყო. ამიტომ მან სუბელნიკი დასვა რთილთან:

— აბა, ერთი დაეპირე რაიმე დარდიმანდულა! — უთხრა კოტემ.

სუბელნიკიმ თხოვნა აღარ გაამეორებინა და ზედზედ მოგვაყარა ოდესის სიმღერების ურჩიები შელოდა.

კოტე აღტაცებაში მოვიდა:

— ჩაწერე! ჩაწერე! აი, ესეც ჩაწერე! — მიიხრა მან. — თორემ ხვალ სულ სხვა რაფის მომიტანო... გიციობ, რაცა ხართ! — თქვენც აღინიშნეთ აა, ეს შელოდა, — უთხრა ელ. დოლობერიძეს, — ამას ირინარხის ყოველი გამოსვლის დროს შეასრულებენ.

მარჯანიშვილის მიერ შერჩეული მუსიკა მეტისშეტად ორგანული აღმოჩნდა, რამაც განაპირობა სახეების გამოკვეთა.

აი, სცენაზე შემობრძის გაუჩვენებელი ასატოს

კაცი. დამარგვალებული, მოფესფესე, გააცუხლებული თვალებით. მას მოაძებებენ:

— ირაკო, ვირიკო, შემობრძის დაწვევებს დროს! — მაგრამ ირაკო მათ თხარდნა იტოლებს, მას უფრო სერაოზული საწვე აქვს — კაბინეტი უნდა მოაწყოს. სწორედ ამ დროს ის შენიშნავს იქვე მდგარ თეჯირს, ძალიან მოეუწონება. უბრძანებს მუშებს, დაუყოვნებლად გადიტანონ მის კაბინეტში და გაბრძის, მუშები ცდილობენ წაიღონ თეჯირი, მაგრამ თნავარი თანამშრომლები გზას ვადაღობავენ. მუშები თეჯირს ხელს უშეგებენ.

კვლავ იწყება ჭორები, ლაუბობა, რაც არ წუღდება მღივანი ქალი მაროს (შსახ. ხ. ქვიჩინაძე) შემოსვლითაც კი. მარო ცდილობს შეაწყვეტიონ ლაუბობა, მაგრამ ისინი პასუხს სიმღერით აძლევენ:

მარო, მარო, მარუსია,
ქართულია მა რუსია?
მარო, მარო შე უქნარო,
გენაცვალე კაცალ გულში,
როგორც ყველა ხეპატირში..

სიმღერა ვადადის ორკესტრში და ამ პანზე შემოღის კომისია.

დამახასიათებელია, რომ კომისია შემოდის ქარაფშეტული მუსიკის („გენაცვალე კაცალ გულში...“) თანხლებით. ამასი იყო როგორც არსნია, ისე მხიარული ხუმრობა.

კომისიის გამოსვლა დაეწვეწვარია. თავისი ვარეგნული გამოსახულებით ეს ჩვეუი შეტად ტიპიური იყო. სცენაზე პირველად გამოჩნდება ახლად დანიშნული დაწესებულების უფროსი ქალბა. იგი მოდის დანეი და დამბის-ლერი ნაბეით. იკრიბობა, რომ ქალბა არ არის ცუდი ადამიანი, თავის ხელშეყოფითან უბრალო და კეთილია. სულ სხვანაირად გამოიყურებან მისი მოადგილე და ვანყოფინებების გამბედავით ერთი მათგანი ჩვენთვის უკვე ცნობილი ირინარხია. მას მეტისშეტად სერაოზულად მოსდევს ორი კომიკური სახე — რინკელი (შსახ. ალ. კორეულიანი) და გორლოვა (შსახ. ზ. კომელაური), რინკელი ტიპური თბივატელია, ტრამბას; გორლოვაც მსგავსი ტიპად ოლონდ ცოტა ქალაქური იერი დამკრავს; მოგვაგონებს მენშევიკების დროინდელ ჩინოვნიკს. კომისიის საზეიმო გამოსვლას აკვირვებებს ქალბრას მოადგილე კვეციანძე (შსახ. უ. ჩხეიძე). მარჯანიშვილის სიტყვით, უ. ჩხეიძის კვეციანძე მისი რეპერტუარის ერთერთი სრულყოფილი სახე-თავანია.

გრიმი უმნიშვნელო ჰქონდა (პატარა ვაზბე-კილი უღვაში, დავიწროებული თვალები), ხმა ჩახლჩილი, სიარული მოშებული, გამოწყობილი იყო ნახევრად სამხედრო ტრასაცვლეში. გაშვარი ხელში ეივებოდა პარათული ევაპრომელსაც არსოდეს ხელიდან არ უშვებდა. ეს პორთფელი თავის სხეულისაგან გარკვეულ მანძილზე ეჭირა და კი არ ატარებდა არამედ შე-

მოქონდა როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ატრიბუტი თავის ფრიალ საპასუხისმგებლო სასახურებრივი მღვთმარებისა. ეს იყო მსახიობის ქემარატივი ვარდასხევა — ჩვენს თვალწინ ცოცხლად წარმოდგებოდა იმდროინდელი დღეისაზრებულ პასუხისმგებელი მუშაოს სახე.

სახეების გამოძერწვაში მარჯანიშვილმა მსახიობებს სრული თავისუფლება მისცა და უკვე რეპერტიციებზე შეიქმნა ანსამბლი: რინკველმა — ალ. ჟორჯოლიანმა, გიორგიამ — ზ. გომელაური და კვეციანემ — უ. ჩხეიძემ ურთიერთ მოქმედებაში ისე შეითვისეს განსაზღვრებული პერსონაჟების ხასიათი, რომ მ. დადიანის გონებასამახებლურ ტექსტს გზადგა თავისი შიორებით ავსებდნენ. ეს შიორები მირითად ტექსტს ორგანულად შეერწყუნენ. ალ. ჟორჯოლიანი მეტი მედიდრობისათვის ყოველი წინადადების შემდეგ ამატებდა რუსულად „ясно дальше“, რაც ხშირად უდავლოდ ადგოვასაც კი ზღვდებოდა. გამოვლური კ, რომელიც ცდილობდა რუსული ენის სრულყოფილი ცოდნით იქვე გაენადგურებინა თავისი მოწინააღმდეგე, ყოველ ქართულ ფრაზას წამსვე რუსულად თარგმნიდა და, ამრიგად, ერთსა და იგივეს ორ ენაზე წარმოსთქვამდა.

კვეციანემ — უ. ჩხეიძე ასახიერებდა ისეთ ადამიანს, რომელიც თავისი მონაცემებით არ შეეფერებოდა თავის თანამედრობას; კვეციანეს იმის წინაშე, რომ არაფერ მოუწყოს ხიკო, გამდებებით კითხულობს რუსულად „в чем дело?“

კომისიის შემოსვლისას თანამშრომლები დაწყნარდებიან. ჭკარა გამოცხადებს მათ, რომ დაწესებულება ცუდად მუშაობს, ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და რომ ის დანიშნულია ამ ორგანიზაციაში წესრიგის დასამყარებლად. ყველამ იცოდეს, რომ ამიერიდან თავის მოვალეობას სერიოზულად უნდა მოეკიდოს. ჭკარას მოადგილის, განყოფილებების გამგებლისა და თანამშრომელთა ინდივიდენტული სახეები მეტყველებენ, რომ ჭკარას სიტყვები მათზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს. მარტო ირაკლი პირმოთხედ უღამის და მთელი არსებით აჩვენებს, რომ მზად არის ყოველგვარი სასახურისთვის.

კომისიის გამოსვლის სცენაში კოტემ თითოეული წევრი ისეთი მახვილგონიერული დეტალებით დახასიათა, რომ სრულყოფილი სურათი შეიქმნა „ავტორიტეტული“ კომისიის მობრძანებისა. მთელი ეს პროცესია უფრო მოგვაგონდება სახეობო სელს, ვიდრე ორგანიზაციის შეშოაში საქმნის ჩაბრუნებას.

კომისიის თავისი „მისისა“ შესრულების შემდეგ მიემართება სხვა განყოფილებებისკენ. მხოლოდ რინკველი და გიორგიამ დაყოვნდებიან, რადგან შეამჩნიებენ ჩინებულ თეატრს რომელსაც გატაცებით ათვლიდებენ. გიორ-

ლია მყისვე კატეგორიულად გამოაცხადებს, რომ თეატრი მის კაბინეტში უნდა დიდეს.

გიორგიამ: ახანაგო, შე გიმტკიცებ, რომ შენი კაბინეტი 10 კუბიკური მეტრისა და ეს შირმაც შეგ თავისივედ უნდა მოთავსდებოდა, ясно дальше.

რინკველი: კაცო, დაარწმუნეთ ეს ქეციანი...

убелите этого паршивца, ну мещужурба, пусть не торгуется... შირმა ჩემს ოთახში უნდა მოთავსდეს... ширма должна быть помещена в мой комнате.

გიორგიამ: რაა ეხლა... ოღონო მკობნისარ, სიგრძობო, სიმაღლით თუ დამსახურებით: ясно дальше.

რინკველი: შე უბედურო ты несчастный! შენ ყველაფრით გჯობივარ, я всем лучше тебя, არ იცი? не знаешь?

თეატრის დაუფლებისათვის ამ ცხარე კამბოში ირკვევა, რომ, თურმე ერთი მთავანი შემოვიკების დროს ყალბ ფულებსა სჭირად, მეორე კი თავისთავს პერეკობს ბრძოლების გმირად აცხადებს. ამ მიძვილობაში (რაც გამაჩრებულია) თვითველი მთავანი ცდილობს თეატრი მეორეც გამოიტაცოს. ვინ იცის, რათ დამთავრებოდა ამათი ჩხუბი, თეატრისათვის მოსული ირინარჩი რომ არ გამოჩენილიყო. ის ამით ყურადღების არ აქცევს და მუშებს უბრძანებს ეხლავე თეატრი წამოიღოს და წამომოყვითო. მუშები ეშხადებიან წასაღებად, მაგრამ თეატრის მეორე მხრიდან რინკველი დაუწყებს გაჭურს, მას სიცოლით ჩამოეკონწიალება ირაკლი, ირაკლის კი სათითაოდ ყველა თანამშრომელი, დარჩაიკ კი. მუშებიც თავის მხრივ ასევე ჩამოეკონწიალებულები განაგრძობენ გაჭურს; თანამშრომლები დასძლევენ, მუშები თეატრს ზელს უშვებენ და ერთმანეთზე წაწყობით დაიციემა.

ეს სცენა მიდის მთლიანად მუსიკის თანხლებით. სწორედ ამ დროს გამოჩნდება ჭკარას გამბრძელი მაცა (მსახიობი ც. წულუნავა) მის მიერ შექმნილი სახე იყო ტიპიური პროვინციური მდამბო ქალის განსახიერება, რომელიც მოხვდა ახლად წარჩინებულ მინდილისანთა წრეში. ეს თავხედი, ხარბი და გამორჩენის მოყვარული დედაცაიკი თავის იახალგაზრდაებს, კოხტაობს; ჭკარას მდგომარეობით ვათამამუბელი, მთელ თანამშრომლებზე მბრძანებლობს, გარბან ირაკლისა, რომელსაც ვარსოყება. მის მოსწონს ირაკლის არისტოკრატიული წარმოსობა. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ერთდებდა მას, მაცა მაინც სასოებით წარმოთქვამს სიტყვას „თავადო“. ირაკლის ეს „ფილიალური“ გამოთქმა ამინებს. მაცა ვადაუკრავს ირაკლის რამდენიმე ფრიკოლურ ფრაზას, დანარჩენებს დაასაჩუქრებს მფარველური ღიმილით. ის არის წასვლას აპირებს, რომ შეამჩნევს ამ უხადლებულ თეატრს და სრულად მოყოლდნელად ავადებს გოთილავას, რომ თეატრი წაიღოს მის

ბინანზე, გოგოლაყა ცდილობს მკაცრად დააწმენოს, რომ თეატრი დაწესებულებას გუთუნის, ამას მხარს უჭერს რინკელიც, რომელსაც საბუნად ჰქვია მოჰყავს. მაგრამ მკაცრს ამის გაგონება არ უნდა, ვაჟა და თეატრის მოყვარულნი კერძის მუშებსაც თან წაიყვანოს.

ამრიგად, თეატრისთვის ატეხილი „ბრძოლის“ ფონზე ეხედება მთელი აპარატის „მოღვაწეობას“. თუმცა თეატრი უკვე წაიღეს, დაწესებულების თანამშრომლები მუშაობის დაწყებას მაინც არ ფიქრობენ. მათ საამისოდ „საპატრო“ მიზნები აქვთ: შენობა ჯერ წესრიგში არ არის მოყვანილი. ერთი მათგანი მოხერხებულად ქდება მაგიდაზე, დანარჩენები თავს იყრიან მის ირგვლივ, ხოლო ირავლი ჩვეულებრივად იწყებს ამბების მოყოლას. მისი მუღმივი შესწავლილი არიან ახალგაზრდა თანამშრომელი გვონაშვილი, რომლებიც მანამდე უცხოეთში ჰქონდათ ირავლი წარმოადგენს ოდესღაც ამ ბინანში მცხოვრებ ბურჟუაზიულ ოჯახს. აქ, ამ ყველაფერს ნაცნობ თეატრის უკან რა საშიშროება სურათები შეიძლება ყოფილიყო... რა ვალსებში... (ხელს მოკიდებს ერთ გოგონას და ეძიებს) რა ცეკვები... რა მუსიკა... (მასთან ერთად ყველა ეძიებს).

კ. მარჩანიშვილს უყვარდა კომიკურის სერიოზული შენაცვლება. ირავლის სცენის შემდეგ გამოდის მართლაც, ამ პიესის ერთადერთი დღეებითი პერსონაჟი. სამწუხაროდ, აეტრის მართლაც რეჟისორი რაჟაყვანიშვილი, რაც ნათლად ზანს მის სიტყვიერ მასალიდან და მოქმედებაში, ამიტომ პიესის საერთო კომედური სტილიდან მართლაც ერთგვარად ამოვარდნილია. მოსიღისთანავე მართლაც ყველას წესრიგისკენ მოუწოდებს. მაგრამ ირინარხის შემოსვლა ზღვს შეუშლის. ირინარხი კვლავ თეატრისთვის დაბნის. რინკელი იმტყობა, რომ ადგილკომის სხდომაზე დასვამს საკითხს.

მართლაც, — ადგილკომის სხდომა იმ დღისთვის იყო დანიშნული. ცხარე კამათის დროს შემოღობს კომპოზიტორების მსუბუქი კავალერია. პიესაში კომპოზიტორის ორგანოზეცაა მამულბლის როლის შესრულება. მაშინ კომპოზიტორებს ავალდებუნს ორგანიზაციების შემოვლა-შემოწმებას და საინტერესო მასალების შეგროვებას შემამოსამსახურეთა ოჯახური მდგომარეობისა, ყოფითი პირობებისა, განმარტობებისა და სხვათა შესახებ. სამწუხაროდ, ეს ანკეტები ხშირად დაუდგურად იყო შედგენილი, აქ იყო ხოლმე უაზრო კითხვები, ამიტომ „მსუბუქი კავალერია“ არც თუ სხარტლად იღებდნენ. კოტე მარჩანიშვილი არ მოერიადა ეჩვენებინა „მსუბუქი კავალერია“ რეჟისორ კომიკური მხარე. მარჩანიშვილი ამ სცენაში ქმნიდა მათერ კომიკურ სიტუაციას: ასეთი დაუდგურაკითხვებიანი ანკეტებით მომარტებული კომპოზიტორები ზღვრებენ პატროსანს, მაგრამ გონებაშეზღუდულად

მანს — კვეციანებს. ძნელია გადმოიყვანო კვეციანისა და „მსუბუქი კავალერია“ წყვეტა ლოგის სიმამრზე. კვეციანის უმეტესი კავალერია „კავალერისტების“ ასეთივე უაზრო კითხვებზე, ყოველ წუთს გამოვარებული შეკითხვა *в чем дело*, მისწრაფება იმტყობს, რომ „ძალე გაითავისებლოს თავი ამ „ჩაიკეთებ“ კომპოზიტორებისაგან, იწყებს როგორც სიცილე, ისევე სინანულს, რომ ესოდენ კეთილშობილური წამოწყება გაბიბრებულია.

კვეციანისთან რომ ვერაფერს ვახვებთ, კომპოზიტორები დახმარებისათვის მართლაც მიმართავენ. მათ მტკიცედ აქვთ გააწყვეტილი ბოლომდე იბრძოლოს ამ დაწესებულების საკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მსუბუქი კავალერია გადის. სცენაზე დარჩენილები განაგრძობენ უქმად ყოფნას, ადგილკომის კრებზე არ აპირებენ წასვლას. თვითველი მათგანი ცდილობს შეუმჩნეველად გაიპაროს. კოტე მარჩანიშვილმა ამ სურათში კვლავ წარმოვიყვანო დაწესებულებაში თავმოყრილ ხალხის ყალბიანობა: თანამშრომლები მხოლოდ სამსახურებზე მოვალეობას კი არ ეკიდებიან უფრო, არამედ საზოგადოებრივად. ისინი იმუნდნი არიან ვერც ცხელში პირად ინტერესებით, რომ ვერც ამნივენი მსუბუქი კავალერის შემოხრებებს.

მსუბუქი კავალერია ნაწევრები იყო იმავე კომედიაზე ხერხებით, როგორც მთლიანად სექტაკლი, ისევე მომზადებულად და მიმზიდველად. ისინი არ იყვნენ არც რეჟისორები და არც ავტორები, მათი გამოხენა სცენაზე საკუთრივ ლოკური იყო. ხალხისი მუსიკის აკომპანიმენტზე გაიფანტებოდნენ სცენაზე, მსუბუქი მომართებით აკეთებდნენ სტაჟასზე იღებებს, ცენტრში აღნიშნებოდა პირამიდა (მსახიობები ს. ზაქარიაძე, ს. ქელიძე, ი. დონაძე) და სათრთაოდ მიყვარებულს მიმართავდნენ მამილებელი სიტყვებით.

მეორე მოქმედება რამდენიმე სურათისაგან შედგება. ისევე, როგორც პირველ მოქმედებაში, დეკორაცია არ იყო. შვეთ ხვერდის ფონზე მარჩანიშვილი სურათიდან სურათზე გადადიოდა პატროსანს მავიდეობის ადგილად ადგილზე გადატანით. მოქმედება ასე იწყებოდა: რამის გასწვრივ სხედან მემანქანე ქალები, მარცხენა კულისის პირას განმარტობით დგას მავიდე საბუქი მანქანით, რომელსაც მართო უბის და განუწყვეტლოდ მუშაობს. ეს მემანქანეთა ოთახია. მანქანის მუშაობის გამოშხატვლი მუსიკის თინსუბით, გამოშხატვლი მხიარული მემანქანე გოგონები სოციალისტური მუშაობენ. მალე მოხერხდებათ და ყველა ერთად იწყებს იმ დროისათვის გავრცელებულ სოპრანს: „სიმონოვა გოციაჟი... მთა აყვებიან მარცხნივ და მარცხნივ მსხდომი თანამშრომლები. ისინი ამავე რიტმით მიემართებიან ავანცენისაკენ, აღებენ მემანქანის სკამებს, და თავიანთ ადგილებზე ბრუნდებიან. ამის

შემდეგ პირველ პლანზე გამოვარდება სწორი და ბრტყელი პატარა დანადგარი, რომელზედაც ეტევა მხოლოდ საწერი მავალი და საეპიქური. ეს დანადგარი ყოველთვის სცენის სიღრმეშია, გამოვარდება და შევარდება საკირობებს მიხედვით. იგი პირობითად აღნიშნავს სხვადასხვა ვანოვარდებების ვამპების კაბინეტს. შეუახოს ნაქვრზე წაჭერილია გვარი თანამდებობის იმ პირისა, რომელსაც ეკუთვნის მოქმედების მიხედვით კაბინეტი.

პირველად გამოჩნდება რინკელოს კაბინეტი. მაგიდას უზის თეთრ რინკელო. მარჯვნივ კი დარაჯი ცოხით ხელში წარმოსახვით ნაყარულზე გას დარაჯობს. მის მიუახლოვდება ერთი თანამშრომელი. დარაჯი „კარს“ ალებს. ორკეტრის glissando-თი ჯიშის მოძრაობით დასრულია აქვენებს კარის ვალეზა-დახტრავს. ეს მოქმედება შევარდება ყოველ საკირო შემთხვევაში. glissando-ც ამის მიხედვით იცვლება, მოქმედების ხასიათიდან გამომდინარე ხან ხმადაბალია, ხან ხმადაბალი. თანამშრომელს შემოაქვს ქალაქები, რომელსაც რინკელი თამი აუტის; რინკეულს ვზარება ამ ქალაქების სახეობა „...რა წაგივითხით ძმობლიო что читать брат, რამდენი დაგიწერია სკოლი ко ты написал, ამას ვინ წაიკითხავს, кто это прочтет.“

დანადგარს უკან გაავარდებენ. მოქმედება გადადის თანამშრომელში. ორკეტრში კვლავ ისმის საბეჭდი მანქანების კაქუნის, გამოხსახველი მუსიკა, რომლის თანხლებითაც მიდის მთელი შემდეგი სცენა. გომოლაკა უახლოვდება ერთი თანამშრომლის მაგიდას და მოითხოვს, რომ მისი ხელმოწერილი ქალაქების სწრაფად იქნას გვეზარელო. მუსიკა შეწყდება. დანადგარი კვლავ გამოვარდება, — ახლა ეს ირინარბის კაბინეტი, დარაჯი კარს კვლავ იმავე წესით ალებს და ხტრავს. მაგიდასთან საეპიქულზე აჭერად ირინარბია. იგი უტარდებას არ აქცევა შემოსულ მთხოველს. ირინარბი შეწყვეტაბეჭდება ყოველგვარი საქმისათვის ფულია სკიარი.

დანადგარი უკან მივარავს. ორკეტრში კვლავ ისმის საბეჭდი მანქანების კაქუნის გამოხატველი მუსიკა. ისევ კანკელარიაში ვართ, სადაც შემოდის ახალი მთხოველი, ის ხან ერთხა და ხან მეორეს ვაუწყვის რაღაც ქალაქს, მაგრამ თავს არაფერ იწყებებს, რომ გავოს რა უნდა ამ ადამიანს; ყოველი მთავანი ხმაყოფილებლივ მეზობლად მქდომ თანამშრომელზე მიუთითებს, იმას მიმართო. შემოსული მთხოვენი კერ კიდევ არ იყო მიახლოებული უკანსტრელ მაგიდას, რომ მისთან მქდომი წინასწარ ვამზადებულ ცენტრთ გზივარს მეზობლად თანამშრომელთან. იმასთან, ვისთანაც ეს ვაჭარბებული მთხოველი უკვე იყო უვალას. რომ უწყვეტად ზამოვლის, დაბნეულია. ამ დროს მარო ზაერევა საქმეში და მისცემს მას საჭირო ცნობას.

ავანსცენაზე ისევ ირინარბის კაბინეტი. დარაჯი ვაუწყვლი ხელში კვლავინებულად უტრავს ცოხი და არ უშვებს ირინარბის მთხოველს. მთხსაზრებელი დარაჯი ხელში ხელდარა, რომ ეს სწორედ ის კაცია, ვისაც ირინარბისათვის ქრთამი აქვს მიცემული და დიდხანს ექვლდებება — კაბინეტში მყოფი ირინარბი ხმაურზე „კარს ვამოალებს“ (ორკეტრში ამ მოქმედების გამოხატველი სწრაფი glissando-ა ხეით და ქვევით, დარაჯის ცოხიც იმავე ტემპში ავთებს „კარის ვალეზისა“ და „დახტრვის“ ეტსტს) გამოდის, მაგრამ მთხოველს არ აძლევს იმ ქვითარს, რომლისათვისაც არის მთხოველი; ეტხნება, დაეთარი თან არა მქვესო.

გარემოება კვლავ იცვლება. ამ ვერად „კაბინეტში“ კუჩინაზე ზის. შემოვა არაკელი და მო... აქვს კვევინაძის დავალებით შედგენილი პროექტი. ამ უკანასკნელს არ ახსობს რომელი პრაექტზეა ლაპარაკი და გაოცებული კითხვობს „# чем дила“. ახულებული არაკელი სწრაფად „გამოალებს კარს“ (ორკეტრში ისევ ძალიან „#“ ვი glissando, დავაჯის ჯიშით შესაბამის ტემპში მოქმედებს), გამოვარდება კანკელარიაში, სადაც თანამშრომლები ეგებებიან სიმღერით.

— Утром чай, вечером чай,
Ира-ли, душка, не скучай!

ამის მოსდევს დარაჯის განცხადება: „პერეკრია!“

ირინარბი დროს იხელებს და მაროს მიუბოძდება საარშოელ, მაგრამ ამაოვ. მარო სილით აქილდება. ეს ეპიზოდი შეიცვლება არანავლედ პიეტეტური სცენით, მოვა შორთელ-მოქმედული მკაჟ. მის ახლავს ახალგაზრდა ქალი „კინიანა“, რომელსაც იგი მჭარეულობს. „კინიანას“ (მსახ. ს. ვინანძე) ვერ კიდევ შენარჩუნებული აქვს არისტოკრატიული იერი. მის ძეწყვე გამობეული ძალი მოჰყავს, რომელსაც „გუმოვალს“ ეძახის. დაწყებულების თანამშრომლები ამ უკვე სანახაობას ვარს შემოეგვიანი, ეს ხომ ნამდვილი თავადის ასულია, რუსულადაც კი ძლივს ლაპარაკობს, საზღვარგარეთ არის აღზრდილი.

მკაჟ ყუქლას ენატეება თავისთან ვახშამზე. სხვათა შორის აცნობებს მათ, რომ ამ „ოსობნიკის“ ყოფილი მეპატრონე ვინმე მარტიოსოვი მოვიდა და თვარის თხოვლობს.

შესვენება მოვარდება. მაგიდას ისევ ვაივამოიწვიან. დანადგარიც ამოჭარება, ცფროსება მოწყველებების მიღებას იწყებენ. მოვა აგრეთვე უცხოელი ეტრნალისტო, რომელსაც კუენენაზე მიიღებს. ეტრნალისტის უპარო კითხვებზე კვეენაზე უსუტარ პასუხებს აძლევს.

სხვათა შორის ერთერთი მომსგელის როლს ასრულებდა იმ დროს სრულიად ახალგაზრდა გიორგი შავკელიძე. ეს მისთვის პირველი როლი იყო. შავკელიძის მოსგლას თეატრში ყველა

გულთბილად შეხვდა და თვითველ ჩვენგანს აინტერესებდა როგორ ჩააბარებდა ამ გამოცემას. უნდა თქვას, რომ გ. შვეველიძემ ეს თითქმის უსიტყვო როლი ბრწყინვალედ შეასრულა. სახეობა დაწესებულებაში რიგითი შემსრულებლის სახე დამახასიათებელი შტრიხებით მოხაზა და სპექტაკლის ანსამბლის ერთერთ დასამახასიათებელ სახედ აქცია. ვოკემ ახალგაზრდა მსახიობში დინახა ნიჭი და ამის შემდეგ ყოველ პაუზის დაღვამაში როლს აძლევდა ხოლმე.

ამ მომენტში, როდესაც კვეციანძე უცხოელ ტურისტებს ესაუბრებდა, შემოვი ორი ექვსევი-შირელი. ისინი უნებლად მოწმენი ხლებიან ამ ე. წ. „ინტერეისი“. მათ მოყვება მარტიბრსოველი, რა თქმა უნდა, თეატრის თაობაზე: ეს რა ამბავია... „ცო-მამადახანობა“ — ყვირის მარტიბრსოვი. კომპაგშირლები ამ შემთხვევასაც ჩაიწერებენ, მარტიბრსოვის კი საკითხს შესწავლას პირადებიან. მარტიბრსოვის წასვლის შემდეგ მაგილები გაიწევა და გათავისუფლებულ ავჯონს დიკავებენ მსუბუქი კავალერის ახლად მოსული წევრები. ასეც როგორც პირველ მოქმედებაში, „კავალერისტები“ პირამიდის შეადგენენ და მსუბუქებელს მოახსენებენ, რომ დავალება პირინათლად შეასრულეს.

მეორე მოქმედება, საოცრებრი ხაზის გაღაწყვების თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო-თავანი იყო ამ პიესაში, ბაწყინვალედ მოფიქრებელი მიზანსკენებით, მაგილებს გადაადგო-ლებით და დინაღუარს შეგორებდა-გამოგორებდა. მარჩანაშვილი ქმნიდა გარემოს შეცვლის სრულ შთაბეჭდილებას: ეს ხან „კანცელარია“ იყო, ხან კი „კაბინეტები“.

მესამე აქტში მოქმედება მიმდინარეობს ნელ ტემპში. აქ მელაენდებიან გმირები. ამბავი ხდება მკაცრი ოქანში მოწყობილ ვაშმამზე, სადაც დაბატებულთა იმ დაწესებულების ყველა თანამშრომელი. შავი პანორამის ფონზე მოწყობი-ლობა მიჩნეულია: ღვას ხალიჩავადაფარებულ ტაბატა, რომელზედაც უხვად ყრია პატარა ბალიშები. რამდენიმე ბალიში იატაკზეც გვლია. ტაბატის ღვას ზედათის ნაცვობის თეატრი, უჭირბიან ჩაშორებულთა უზარმაზარი, თითქმის მთელი სკენისოღუნა შეჭჭარი.

ფარდის გახსნისას მხოლოდ დაწესებულების დარაჯი. პატარა ინტროდუქციის შემდეგ, მუსიკა გადვლის სტუმრების საგრანდო სამღერაში. სცენაზე განთქვევულ მღერაბს მრავალმე-ორის, ჩემბლანის, საცეკვაო მანგებს. მარცხენა კულისიდან გამოდინა ევეკი შეზარბოშებულ სტუმრებებს ხან ერთი და ხან მეორე წყვილ და სასულულეებზე ლაპარაკით გელსწყურებს შემდეგ ექვს მიჯიან. ერთხანობას სცენა ცა-რილია შემდეგ შემოდის მოსამსახურე გოგო თეკა (მსახიობი ნ. მკვეციანძი). მას უკან მოს-დეფს დარაჯი, რომელსაც კვეციანძისთვის პაკე-ტი შემოაქვს. თეკა და დარაჯი არშეიბანს იწყე-

ბენ, რატომ უნდა ჩამორჩნენ თავიანთ პატრო-ნებს, ახლა ზომ აღარ არიან პატრონებზე პირიქით. ყველაფერი ევეთვინის ისეთ ხალხს, რაგორებიც არიან თეკა და დარაჯი.

სცენის უქანიდან ამისი თავბრუდამბვევი „ქაბო-თელი“ და დარაჯი სთხოვს თეკას ეცეკვოს. მარ-ჩანაშვილისთვის ცეკვა საერთოდ არ იყო ხა-ღიერტმანგნო ნომერი, არამედ იყო ამა თუ იმ ეპიზოდის ორგანული ნაწილი. თეკას (ნ. მა-კვეციანძისა) და დარაჯის (მ. ჩხეიძის) ცეკვა იყო მათი სახეების გამომყვანების ერთ-ერთი ტიპიური მომენტი. პატარა ტანის ოსის გოგო გაჭვიშული დარაჯის გვერდით მათი ე. წ. „არ-შეიყობა“ ხდებოდა ცეკვის დროს, როდესაც „კა-ვალერი“ თავის „უამას“ გამოდებით ეძებდა ხან თავისავე ზურგს უკან, ხან კი იღლის ქვეშ. ეს იყო არა მარტო სმასხელო, არამედ იქმნებო-და შესანიშნავი ეანრული სურათი სოფლელი წყვილისა, რომლებიც ცდილობენ ქალაქელებს მიბაძვას.

ისინი შუა ცეკვაში არიან, როდესაც გამოდის ირაკლი. დარცხენილი შეეჯარებულები სხვადა-სხვა მხარზე გაჩნდებიან.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! — ამხნევეს მათ ირაკლი.
— როგორ მოჩითლხარ თეკა, ამა ერთი მით-ხარი, უწინ უფრო კარგად ცხოვრობდი თუ ახ-ლა?

— რა ეცი, — პასუხობს თეკა, — ეწინ პა-ტრონები მჩქებტადნენ, ახლა კი ისინი. — თავით ანაჩნუნა მარცხენა კულისსაკენ.

შემოდის მკა, მოვარდება მოსამსახურე გო-გოს:

— რა ნება აქვს ამ სოფლელ გომბოს ჩემ სტუმრებთან ყოფნისა, — ეუვირის მკა; გუბო-რით აქედან.

თეკა და დარაჯი გადიან, მკასა და ირაკლის უბრუებერ სამოქმედო აპარატს. მათი დილო-გი შედგება ისეთი სიტყვებით რაგორიცაა „ევე-ლიე მკაყოვლი“ ან „არა გრცხენია, კმალუცობ და ზღუღი კი ჩაგჩინავია...“ და ა. შ.

ირაკლი მკას ხელს სთხოვს და ერთად მი-დიან დარჩენილ სტუმრებსთან. იქ კი ყველა მღე-რის. ამ დროს შემოდის „მსუბუქი კავალერია“ და კვლარა, რომელიც სადგურიდან პირდაპირ აქვთ წაოთიყვანეს, ყველა თეატრის უკან იმა-ლება. სცენაზე გამოდიან მკა, შეზარბოშებულ კაცები ლინის ბოთლებითა და კიჭებით, ხლის-მომარტებულ და ატრეცილი გოგონები ზილი-თა და კამფეტებით. სტუმრებს შორის გამოირჩე-ვა კვეციანძე-ჩხეიძის კოლორიტული ფიგურა. ამ საღამოს იგი მოარშეყე კავალერის როლშია. მისი დამაა ერთერთი მემანქანე — ნადიკო (მხაბ. ივლ. ჟორჯაძე), რომელიც კვეციანძე-ჩხეიძის კათინარებათ აღტაცებელი კისკისებს.

სიკულისაბარბარი, მხეური, ყველის სხდებიან — ვინ ტაბტზე, ვინ იატაკზე დაყრილ ბალიშებ-ზე. კვეციანძე ნადიკოს ფერბითთ გაიშხლართე-

ბა. სობოვენ რაიმე იმეორეს; კვებენაჲ ამოარჩევს მკანდელ გავრცელებულ რუსულ რომანსს“ где бы не считался...“ უმ. ჩხეიძის ამ რომანის შესტელება, რა თქმა უნდა, მიმართული ნადიკოსადი — ეს მსახიობური წარმართების ამოგვა იყო. მთელი სერიალულობით, ლენინსაგან გამოთავიანებული სახის ვაიმეტკაველებით კვებენაჲ-ჩხეიძე პროფესიულად კი მღერის, მაგრამ ისეთი პროვინციული ინტერპრეტაციითა და რუსული სიტყვების საშინელი ვაიმეტკით, რომ ნადიკოს ხარბობა საესტეებით გამართლებული იყო.

— „в чем дело, нандику?“—გაიოცებს კვებენაჲ, და როგორც სცენაზე, ისე დარბაზში მყოფთა სასიამოვნოდ განაგრძობს თავის მუსიკალურ ნოშერს.

კვლავ გამაბრებელი მხიარულება, მასლაითი ერთბაშად ერთერთ თანამშრომელს გაასხენდება, რომ დღეს კომკავშირელთა განუთხი სტატია მოთავსებული მათი დაწესებულების ირგვლივ ყველა დაინტერესდება რას წერენ მათზე; ვაკვანადგურეს, მთლიანად გაგვანადგურეს, ამბობს ერთერთი თანამშრომელი. ყველაზე და ყველაფერზე წერია, თეჯირის ირგვლივაც კი, რომ შეველოს თეჯირს აღაპარადეს, კიდევ ბევრ რამეს ვადმოგვეცუდაო — სწორია სტატიაში. შემოდის მართა: თეჯირის ნაცულად მე ვილაპარაკებ — ამბობს იგი; ამოიღებს ვაზეთსა და კითხულობს მამხილებელ წერილს, რომელსაც ქვეშ ხელწერა აქვს — „მუხებუქი კავალირია“. ამ სტატიაში დაზარალებულია ყველა თანამშრომელი, მათი მკენიაციები, აღწერილია მათი სიზარბაცე, ცუდღუტობა და შემთხვევა თეჯირის ირგვლივ, საერთო დაბნეულობა, ვაშტერებულნი ერთნანეთს მისჩერებიან.

თეჯირის უკანადას მოქლოდნელად გამოვა კვალარა. იგი აღწეოთებულია იმის გამო, რაც გაიგონა, რაც მკავს „მეჯღოსზე“ თავისი თვითლად ღირსება, ამიტომ ყველას სათანადოდ გაკლავს: — მკავს ეტყვის, რომ დაუყოვნებლივ დამტყოფს ქალაქი და სოფელი დაბრუნდეს, ყველა დარჩენს კი იმათ, ვინც ქრთაშს იღებ-

და, და იმათც, ვინც თაღლითობდა, ამ ვალთაბანდობდა, ანდა, უბრალოდ, დოკლამობას ირენდა, ყველას საკონტროლო კომისიას ვადასცემს. შემდეგ გასცემს განკარგულებას, რომ ეს უბნადღებულ თეჯირი მოსპონ-განადგუროს.

როცა თეჯირს მოაშორებენ, სცენაზე გამოჩნდება „მუხებუქი კავალირის“ ჩვედი. ისინი სიცილით წინ გამოვლენ და კვლავ აღმართავენ პირამიდას, საზეიმო მუსიკის თანხლებით აცხადებენ, რომ კომკავშირი ახალი ცხოვრების მშენებელია, რომ იგი მზად არის მხარში ამოუდგეს უფროს თაბას და აღმოგვხვას ყოველგვარი ბოროტება და მტერს მახელი შიგ კაკალ გულში“ ჩასცეს.

სპექტაკლი „კაკალ გულში“, ისევე როგორც კოტე მარჯანიშვილის მთელი რიგი სხვა დადგმა, ვარკვეულ ეტაპს წარმოადგენდა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში.

რომ არაფერი ითქვას იმაზე, თუ როგორ შეხმლო კოტე მარჯანიშვილმა თითქმის ცარიელ სცენაზე მსუბუქი, საოკრად ცხოველყოფილო, მარწყინვალ მიზანსცენებით აღსავსე სპექტაკლის შექმნა, ქართული ხელოვნების წინაშე ამ სპექტაკლის დიდ დასახურებას ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ კოტე მარჯანიშვილმა თავისი ამ დადგმით ბიძგი მისცა დრამატურგებსა და მსახიობებს საქართველოში ახალი თეატრალური ეანრის შექმნისათვის — ეს იყო მუსიკალური კომედია და საბჭოთა ესტრადა.

თავდაპირველად, როგორც ცნობილია, ეს იქიდან დაიწყო, რომ ეასო გომიანვილმა, აღ. ყორს ეოლიანმა და ზ. ვომელაურმა სპექტაკლიდან გამართაჩენს მკურებელს მიერ განსაკუთრებით მოწონებული ადვოლები და კონცერტზე შეასრულეს სულ მალე „კაკალ გულში“-ს გმირთა სახელები საზოგადო ვახდა.

შალვა დადიანის ბიძგას „კაკალ გულში“ საყოველთაო მოწონება ჰქონდა არა მარტო საქართველოში, არამედ უკრაინასა და მოსკოვში გასტროლებს დროსაც. ყველგან განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ თანამედროვე კომედია ის დადგმის პრობლემა კოტე მარჯანიშვილმა მტრად საინტერესოდ ვაღწევატა.



სიმონ თბილისელი

გონგოტის ბრძოლა

საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში, იაპონე-ლი ინტერვენტების წინააღმდეგ, წითელი არ-მის 1920 წლის 7-12 მაისის ბრძოლას, სადგ-გონგოტას რაიონში, გადაწყვეტი მნიშვნელო-ბა ჰქონდა. მიუხედავად ამისა ის ბრძოლა, სა-ისტორიო ლიტერატურაში, საარქივო დოკუმენ-ტებზე დაყრდნობით, დღემდე გაშუქებული არ არის.

1920 წლის აპრილის დამდეგს იაპონიისა და ატამან სემიონოვის ჯარები ქ. ჩიტას რაიონიდან შეტევაზე გადავიდნენ. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის* სახალხო-რევოლუციური არმიის ნაწილები მტრის ჯარში და კარგად შეი-არღებულნი ძალების წინაშე უკან იხედიდნენ. წარმოიშვა იმიერბაიკალის ფრონტი.

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სა-ხალხო-რევოლუციური არმიის დასახმარებლად, ქ. ირეუტსკიდან, ნესტორ ალექსანდრეს ძე კა-ლანდარაშვილის სარდლობით, 1920 წლის 1 მაისს, ორ ეშელონად გაიგზავნა წითელი არ-მიის რაზმი, რომელიც კავკასიის კავალერიის პოლკისა და ტაივის კავალერიის მე-2 პოლკისა-გან შედგებოდა.

იმიერბაიკალის ფრონტზე, იაპონელი ინტერ-ვენტებისა და სემიონოველების წინააღმდეგ საბრძოლველად, სხვა მომხმე ხალხის შეილება-თან ერთად, წავიდნენ ქართველი რევოლუციო-ნერები: ალექსანდრე ბარბაქაძე, სალომონ ბაბ-ტრიაშვილი, ივანე ბუნეშვილი, ალექსანდრე ბუხაშ-ვილი, მიხეილ განიაშვილი, მელიქსედეკ გორ-დღვაძე, ნიკოლოზ ზოიძე, იოსებ თაყვაიშვილი, იოსებ კლუბაძე, პეტრე კვარაცხელია, იოსებ კოვალაშვილი, ივანე კობულაშვილი, პეტრე კობრაქაძე, აბნელ კობახიძე, იასონ მალაზო-ნია, ვლადიმერ მალაზონია, სანდრო მათურაძე, არჩილ მემეღაშვილი, ალექსანდრე მეცხეა-რიშვილი, ივანე ნახარაძე, ვლადიმერ ნიკოლა-ძე, ვასილ პუხაშვილი, კონსტანტინე სანიციძე.

* შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა შე-იქმნა 1920 წლის მარტ-აპრილში ვ. ო. ლენინის წინადადებით. შემდეგ ის რსფს რესპუბლიკას შეუერთდა.

ივანე სეინაძე, ნიკოლოზ სხირტლაძე, ინოკენ-ტი ფიჩხაძე, იოსებ ზუბინიძე, ლუკა ცინკაძე, მიხეილ წერეთელი, ივანე ხარშილავა, საფარ ხოხაძე და სხვები.¹ კავკასიის კავალერიის პოლ-კის მეთაური იყო მიხეილ პაველეს ძე ასათიანი. ფრონტზე მიმავალი კალანდარაშვილი დიდ სააგუტაციო მუშაობას აწარმოებდა ფრონტის-პირა შოსახლოებაში, რომელიც პანიკას მოეცა და აგრძელებდა ჯოგსა და სხვა ჭონებს, ჩათხ გასცლოდა იქაურობას. კალანდარაშვილმა დაამ-შვიდა და ფრონტზე გაგზავნა პანიკურად, გამო-ქცეულ ქარისკაცები; მან შეაჩერა და ფრონტ-ზე გააბრუნა ტორბოგატაისკის პარტიზანული პოლკი.

კალანდარაშვილის რაზმი გზაში ახალი ძაღე-ბით შეივსო, მარტო პეტროვსკის ზვივლთან მას 100 მუშა შეუერთდა.

1920 წლის 3 მაისს იაპონელები და ზემოთ-ნოველები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე დიდ ძალებით. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლი-კის სახალხო-რევოლუციური არმიის ირეუტსკის მე-2 დივიზიამ უკან დაიხია ბეკლემიშვილის რაი-ონში, სადგურ იაბლონოვსკაისთან. 5 მაისს უკან დაიხია ირეუტსკის პირველმა დივიზიამაც იაპონელთა ჯავშინაში მატარებელმა მდინარე ხილოვან ძღვრის ცეცხლი ვახსნა. იაპონე-ლებმა სადგური სოხონდო, დაიკავეს.

კალანდარაშვილის რაზმს, რომელმაც იდრე სახელი მოიხვეჭა სემიონოველებთან, ზეს-სლო-ვაკთა კორპუსთან, თეთრგვარდიელებთან და კოლჩაკელებთან ბრძოლაში, იმიერბაიკალის ფრონტზე დიდის იმედით ელოდნენ. ფრონტზე მისვლისას, ოპერატიულად, ის ირეუტსკას

სსრკ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახელ-მწიფო არქივი, ფონდი 414, აღწ. 1, ფ. 39-56; ფონდი 7975, ახლად შესული მასალები, აღწ. 1; ფ. 14; ს. 7, ფ. 1-3; ს. 8, ფ. 4-5; ფონდი 207, აღწ. 1, ს. 6, ფ. 17; ფონდი 118, აღწ. 1, ს. 48, ფ. 17, 51; აღწ. 2, ს. 3, ფ. 51-52; ფონდი 7606, აღწ. 1, ს. 198, ფ. 110; ფონდი 1091, აღწ. 1, ს. 169, ფ. 58.

2. იქვე. ფონდი 1021, აღწ. 1, ს. 9, ფ. 12-13; ს. 13; ფ. 6; ს. 5, 4, ფ. 44, 45; ს. 57, ფ. 154.

მე-2 მსროლელ დივიზიას უნდა დაქვემდებარებულია.

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო რევოლუციური არმიის მთავარსარდალი, გამოჩენილი საშხედრო მოღვაწე, პენიონჭრისტეფორეს ძე ეიხე, ირკუტსკის მე-2 მსროლელი დივიზიის სარდალს, 1920 წლის 6 მაისს დაიწყო, გითხრობდა: „სადა კალანდარაშვილის რაზმი, რა გავიქცა გონგოტა-მოზგონის უბნის დაციხისათვის“. კალანდარაშვილი ვერ კიდევ არ იყო მისული ფრონტზე, ის გზაში იმყოფებოდა. დივიზიის სარდალს ცნობა არ ჰქონდა მისი აღვილსამყოფელის შესახებ და ეიხეს უპასუხა, რომ მიღებულია სასწრაფო ზომები კალანდარაშვილის რაზმის აღვილსამყოფელის გამოსარკვევად. „ოქტენ, — შენიშნა ეიხემ, — ლაპარაკობთ იმის შესახებ, თუ რა განკარგულმა გაცივთ ამ საყიფებზე. მე კი გვითხებთ — სად იმყოფება ის რაზმი“. ნემთვის ეს უცნობა, უპასუხა დივიზიის სარდალმა. ეიხემ მას დარიგებები მისცა, თუ რა გაცივებინა ფრონტის გამამარებლად და თან დასძინა — მისვლისთანავე „კალანდარაშვილის რაზმი წაყენა“ ფრონტის წინა ხაზზე.

6 მაისს საღამოს 8 საათზე ირკუტსკის მე-2 მსროლელი დივიზიის სარდალმა იტყობინებოდა, რომ „კალანდარაშვილის რაზმი იმყოფება მოძრაობაში, სადგ. ტაიდუტის აქეთ“ 7 მაისს დილის 10 საათზე გადავიქცეულა იქნა ცნობა, რომ „კალანდარაშვილელთა რაზმი მივიდა სადგურ მოზგონზე 6 მაისს, დაახლოებით 24 საათზე“.

კალანდარაშვილის რაზმი სწორედ იმ მომენტში მივიდა ამიერბაიკალის ფრონტზე, როცა მდგომარეობა უარესად დაძაბული იყო. უკეთებდა რა ანალიზს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობას, ნ. ა. კალანდარაშვილი მე-2 წითელი არმიის საშხედრო რევოლუციურ საბჭოსთან მიმოწერაში აღნიშნავდა: „რაზმი... მივიდა იქ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ყველაზე მძიმე წუთებში, როცა ფრონტის მარცხენა ფლანგია... განადგურებული, ცენტრი მოზგონთან გადმოსაცლებული, ზოლო მარჯვენა ფლანგში მოწყვეტილი იყო. იაპონელებმა სოხონდოში იყენეს და უოველწუთს შემოტყვიით იძუტრებოდნენ. პანიკურად განწყობილი ჯარები ფრონტიდან ეშვლონებად გამოხრბოდნენ. რაზმს დეიქისრა მძიმე ამოცანა — შეეკავებინა ფრონტის უკან დახეული ჯარები და გაეჭლო იაპონელთა შემოტყვის შექარისათვის. რაზმმა პატროსნად შეასრულა ეს ამოცანები და ამით გადაწყვიტა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ბედარ“.

1920 წლის 7 მაისიდან კალანდარაშვილის რაზმი უკვე ზაბა ბაძოლაში. 7 მაისს იაპონელთა ჯავშნიანი მატარებელი სადგურ გონგოტას 3 კალმეტრზე მიუახლოვდა. ჯავშნისაქრს ცეცხლის საფარს ქვეშ იაპონელებმა რკინიგზის დაზარეული ხაზისა და ზიდის აღდგენა დაიწყეს. იმავე დროს იაპონელთა ასეულმა გონგოტას ახლოს დაიკავა დსახლებული პუნქტი. კალანდარაშვილის რაზმის ესკაღრონები სადგურ მოზგონიდან ჩრდილოაღმოსავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით ღრმა დაზღვრვისათვის გაიგზავნენ“ — ვითახულობთ ირკუტსკის მე-2 დივიზიის 7 მაისის ერთ-ერთ ამერატულ ცნობაში.

საღამოს „24 საათზე დასახლებულ პუნქტ ჩტობში, სად, გონგოტასთან, გაგზავნილი იქნა როტა კალანდარაშვილის რაზმის კავალერიით, მოწინააღმდეგის ცხენოსან რაზმზე თავდასხმისათვის“. „შეუთხულობთ მეორე ამერატულ ცნობაში. კალანდარაშვილის რაზმის იმ თავდასხმის შედეგად, იაპონელები განდევნილი იქნენ ჩტობიდან. 9 მაისისათვის გონგოტა-მოზგონის შორის სახალხო-რევოლუციური არმიის ნაწილები ვან-ღვანენ თავდაცვის 1-ლ და მე-2 ნაზზე. 10 მაისის, დღის 1 საათისათვის, ისინი გადაიგუფებას ახდენდნენ. ამერატულ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ „კალანდარაშვილის რაზმი მოზგონიდან №47 ცხებრისაკენ გავიდა“. 3 საათზე სახალხო — რევოლუციური არმიის ნაწილებმა შეტევა დაიწყეს. იაპონელთა ჯავშნიანი მატარებლის ძლიერი ცეცხლი შეტევას აფერებდა. მიუხედავად ამისა, 10 მაისს, ნაწუ-აღდევს, მე-14 პოლკის ორმა ბატალიონმა „კალანდარაშვილის რაზმის ორი ესკაღრონით სადგური გონგოტა დაიკავა“ და იქიდან იაპონელებში განდევნა. მტრის ჯავშნოსნებისათვის გონგოტასკენ წაწევის საშუალება რომ არ მიეცათ, სახალხო რევოლუციური არმიის ნაწილებმა სადგურ გონგოტის აღმოსავლეთით რკინიგზის ლინდაგი აქყარეს. იაპონელებმა თავიანთი ჯავშნოსნების ცეცხლის საფარ ქვეშ რკინიგზის ხაზს აღდგენა შესძლეს და გონგოტას ძლიერი ცეცხლი დაუშინეს. სახალხო-რევოლუციური არმიის ნაწილები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ გონგოტა. თავისი მხრით მათ რკინიგზას ხაზი აღადგინეს, რამაც საწუალება მისცა საბჭოთა ჯავშნოსნებს გაეხსნათ ცეცხლი იაპონელთა ჯავშნოსნებისათვის. 10 მაისს „დაახლოებით 20 საათზე, მე-14 პოლკი კალანდარაშვილის კავალერიით 49-ე ცხებრიდან ხელახლა გადავიდა შეტევაზე, გონგოტიდან მტრის განდევნის მიზ“.

ჩვეულის მოწაფეები, მგონი, ცდილობდნენ, რომ დანარჩენ მოწაფეებს მონაწილეობა მიეღოთ რომელიმე დემონსტრაციაში, მაგრამ, რაჟი ამას ვერ დითანხმეს, გაყავრდნენ და აღევნებულემა დაახლოებით შემდეგი სიტყვებით მიმართეს გამგეს — შ. ჩიტაძეს: ეს სასწაულებული ჩვენ ათარ გვაქმყოფილებს, ეტოვებთ სასწაულებებს და ამიტომ გმოთვთ საბუთები მოგვეტოო. შ. ჩიტაძე ვერ ამოიღებდა, არიგებდა და საბუთებს არ აძლევდა, მაგრამ მოწაფეები თავისას არ იმლოდნენ, ყოველდღე საბუთების დაბრუნებას მოითხოვდნენ. თავებებურებულმა ვამგემ ბოლოს ვასკო ვანკარგულმა — მიუკითხა საბუთებო, და თან დაუმტა:—მალე ენახავ, საბუთებს ისევე უკან მოარბენინებდნენო. მართლაც, არ ვასკოა დიდი ხანი, რომ მოწაფეები ისევე უკან დაბრუნდნენ და თხოვეს გიმნაზიაში კვლავ მიღება. პედაგოგიურმა საბუთო ისინი უკანვე მიიღო. ამ მოწაფეებში ერთგუნე, როგორც მასხოეს, შემდეგში ტრობოიული ინსტრუქტის უთფილი დირექტორი პოთფ. სიმონ კანდელაკო, გეოლოგის პოთფესორი ნ. ყუფიანი, ქიმიკოსი გ. ბარნაბიშვილი, ვ. რციხიძე და სხვა.

ამავე დროს გამათავისუფლებული შობრობა თანდათან ფართოვდებოდა. ვასშირდა ვაფიეები, რასაც მოჰყვა რევიოლუციური ჩვეულების ჩამოყალიბება და აქაიქ ტერორისტული აქტებიც.

ერმოლოვის ქუჩაზე მოთავსებული ქართული გიმნაზია სულ ქარის, პოლიციისა და ეანდარშუროის ბინებში იყო გარშემოშტრქმული: გიმნაზიის პირდაპირ მოთავსებული იყო ვაკეასისი მეფისნაცლის თანამშემუს (საპოლიციო ნაწილში) შირაჩინის კანცელარია, სადაც ერთერთ დანქარაში ფოტოგრაფიული აპარატი იდგა და გიმნაზიაში თითქმის ყოველ შემსწავლელსა და გამომსწველს სურათს უღებდა; ცოტა ქვემოთ, იმავე ქუჩაზე მოთავსებული იყო მეფისნაცლის მცველი რაზმი; პეტრე დიდის (სხლა ძეგლისის) ქუჩაზე ცხოვრობდა თბილისის პოლიციისტერი მარტინაივი.

გამათავისუფლებული შობრობის დროს ჩვენი გიმნაზია მფურობას პირდაპირ თვალში ჰყავდა ამოღებული. ჩვენი გიმნაზიის მოწაფეებს სახაზინო თეატრის ადმინისტრაციე არც პარტერში და არც ამფითეატრში არ უშვებდა, მათ მხოლოდ ქანდარაზე ტომობდა ადგილებს. ცარშიში ადგილობრივ ეროვნებათა შორის პოყოვიცოლად თესდა შედლსა და შტრობის, რათა ეს ერები ერთმანეთს ვადაპოიებოდნენ, ამიტომაც მამინ თბილისში ვამატონებული პლუტოკრატია ჩვენდამი შტრულად იყო ვანწყობილი...

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი თბილისში 18 ოქტომბერს გამოცხიდა რასაც მოჰყვა დიდი სიხარული და აღტაცება ხალხისა,—

აღრიალდა წითელი დროშები, ვამართა მიტინგები დიდუბეში, ნაძალადევი და სხვა ადგილებში... 19 ოქტომბრის გამოცხადდენინსტრუქცია: მაგრამ ხალხის სიხარული ხეგრეტლივით იყო: მალე ქუჩებში ვამოვიდნენ რუსის შავრაზმელები და თან მოავრობის ვამოგზავნილი პოლიცია და ქარი და დამყო შეტაკებები და სისხლის ღვრა.

22 ოქტომბერს ყველა პარტია დიდუბეში ვემართა მიტინგზე, ასე რომ რუსთაველის პრასპექტზე მხოლოდ მოსციენნე ხალხი დარჩა. მოხედავად ამის „შავრაზმელოა“ მანიფესტაციამ ვარების დაშვარბები ვამოიწვია საბინდო სისხლის ღვრა: ესროდნენ მოსციერნე ხალხს, ირგელოე საუღმწიფო პირველ გიმნაზიის, შეყვიდნენ გიმნაზიის ვტოში, სადაც მოკლეს მეორე კლასის პატარა მოწაფე ცირიელნიკოვი. ამ დარბევამაც ბევრი სრფიად უდნანაშვილო ხალხი ამსიერბლა... ჩემი ვარკე ნაცნობები ახლად შეუღლებულნი ქალ-ვაი ელ. ჟორჯაძისა და გ. ვიანიძე აქ დაიღუნენ. ისინი ახალგაზრდული აღტაცებით ყოველ მიტინგს ესწრებოდნენ. ეს ქალ-ვაი მე, მიტინგზე დიდუბეში მიმავალს, პარიატინსკია ტუნახე (ახლა ვორჯაიშვილი) შეხვდა,—რუსთაველის პრასპექტზე მიდიოდნენ. მიუეკით ერთმანეთს სალაში და მე დავაპირე მათთვის დიდუბეში მიტინგზე წამოსვლა შერჩია და კიდევაც შემოვტრიალიდი ამ წინადიდების მისაწოდებლად, რომ უცბად ვადავიფიქრე — როგორ შევლებს სუსტი და ნახა ქალი დიდუბე-ნაძალადევიში ფეხთა წამოსვლას მეთქი. არავითარი ტრანსპორტი არ მოქმედობდა: ვინ იცის, იქნებ რჩევას მიიღებდნენ და წამოვიდოდნენ მიტინგზე — ასე ვადარჩებოდა ეს შვენიერი ქალ-ვაი, სხვათა შორის, კანდამ დაიღუპა იმ დღეს იაკობ გოგუბაშვილი, მას ხნალამოწველი კახაი ვამოცილებობდა, მაგრამ იაკობა წიგნების შუავს ამოფარებოდა, ხოლო კახაი სხვა ოთახებში შევარდნილიყო. იმ დღეს ხიჯათს ფილიპე გოგინაშვილი იმით ვადარჩა, რომ კახავს ოქროს საათი მისცა და ასე თაი ვადარჩინა.

იმავე დღეს ჩვენი გიმნაზიის პანსიონში 14 პანსიონერი დაატუსაღეს.

ამ ხანებში, ერთ საღამოს, შ. ჩიტაძის ბინიდან (გიმნაზიის შენობაში ცხოვრობდა) ვამოვიდა შოთს აზნაწიე და მეგობარი იურისტე ვ. თუმანიშვილი და ერმოლოვის ქუჩას დაუყვა ამ დროს თუმანიშვილს უცნობმა ვადაუტარა გზა და უფხრა: მალე ვამოიროდით აქავრობას, ყუბარას ისერიათო. თუმანიშვილმა ამ სიტყვებს ყურადღება არ მიიქცია და გზა ვანავრო. ამ დროს ყუშმარა ვავარდა (მეფის ნაცელის დაუვის „კონფიის“ სადღოში ვადავაფეს). ყუშმარის ნატეხი თუმანიშვილს ფეხში მოხვდა და წაქცია. ყოველოე ეს დანახა ჩვენი გიმნაზიის მეყარეს აღქსი ანტონოვს. იგი მამინვე მეგ-

ველა დეპრესიას, აიყვანა გიმნაზიის შენობაში და იქ დაშალა. შემდეგ ალექსიმ სველი ტილო მოატანა და დაღვრილი სისხლი ყველგან მოშინდა. პატარა ხანს უკან გაინდა პოლიცია და განდარმირა და, რასაკვირველია, მაშინვე გიმნაზიის შენობას ეცნენ, დაიწყეს ჩხრეკა, მაგრამ დამტრიალეთ თუმანიშვილი ალექსის ისე დეგრადაცია, რომ ვერ იპოვნეს. ხოლო საქმით იყო თუმანიშვილის შემთხვევად გიმნაზიის შენობიდან გასვლა, რაც უბალოეს კერა დღეს მოხსენიდა. როცა პანიონერები აღმზრდელბის თანხლებით ეკლესიებში წავიდნენ, თუმანიშვილი, როგორც აღმზრდელი, თან გაიყოლეს.

1906 წლის აპრილში ჩემი რედაქტორობით თბილისში გამოვიდა რუსული გაზეთი „Весенний поток“, რომლის მიზლით ითხილინოვარი გამოვიდა, შემდეგ გაზეთი დაიხურა, ხოლო მე, როგორც რედაქტორი თბილისის გენერალ-გუბერნატორმა თბილისიდან ერთი თვით გამასახლა მცხეთაში...

1906 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში, როცა მასწავლებელთა ძირითადმა ჯგუფმა ის იყო შემოთხილი დასარტულა და დასასველებლად წასვლა-წამოსვლას აპირებდა, მე შიოსთან ბინაზე ვიყავი და მასწავლებლებს არჩევნებზე ვბა-სობდი, როცა ჩვენთან გაფითრებული მეკარე — ალექსი ანტონოვი — შემოვიარდა და მოგვანახლა: ამა და ამ კლასში ფანჯარაზე ყუმბარებია ენახეთ. მაშინვე ჩავედი კლასში და ფანჯარაზე სამი ყუმბარა ენახეთ. მე და შიომ სასწრაფოდ ქალაქის ქუჩებს მივამხრეთ, რომ ჩვენი გიმნაზიის ახალ კურსდამთავრებულნი, განათავისუფლებული მოძრაობის აქტიური მონაწილენი ვუბოგნა და მათი დახმარებით გიმნაზიიდან ყუმბარები გავგვრებთ. მართლაც, ეი-ბოვნეთ ნაშრომარები და გიმნაზიიდან ყუმბარებიც გატანილ იქნა.

შეგობრები შიოს ხშირად ვეტყვოდი ხოლმე: წალი, დასვენე ცოლშვილმა (ქეიშეთში უკავდა, აგარაკზე), მაგრამ შიო ყოველთვის უკარზე იყო და ამბობდა: ჩვენი გიმნაზია ველ-კანაა, ამისთანა დროს მე ზენობრივად უფლებია არა მიქვს გიმნაზია უბატრონოდ დეტო-კო“.

ესკრებმა ჩამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მოისყიდეს გიმნაზიის დარბაზი და შენობაში ყუმბარები შემოიტანეს. 4 ივლისს პეტრე დიდის (ახლა მეკარისის ქუჩაზე) მიმავალ მარტინოვს გიმნაზიის შენობიდან ყუმბარა ესროტეს (მარტინოვი ხელში და ფეხში დაიჭრა), რასაც მოჰყვა ორი ოფიცრის მეთაურობით გიმნაზიაში ენაკების შემოჭრა და შიოს გერა-

ვულად მოკლა. საროლასა და ხმარობაზე შიო თერმე თავისი ბინიდან გაქრესკვლევლისაგან მიეჭრებოდა, რომ ამ დროს უდღესტრეფე უკვე ბინაში შეკრუნენ. ოფიცრების შეკითხვებზე — ვინა ხარო, შიომ უპასუხა — გიმნაზიის დირექტორიო. ვერც კი მოასწრო ამის თქმა, რომ შიოს პირდაპირი თავში ესროლეს ოფიცრებმა და ისიც უსულოდ დაეცა. ამ ორი ოფიცრის ენაობა შიოს ვერაგულად მოკვლის შემდეგ ვამბობდა მაშინდელი პეტროგრადიდან საგანგებოდ ჩამოსულმა შიოს ცოლისმამამ, გვარდიის პოლკოვნიკმა. სხვათა შორის, სხენებულ ოფიცრები მაშინვე, ამ უბედურების შემდეგ, სადღაც შორს გადაიყვანეს სამასხურში.

შიო ზიტაძე პირველი ვაცინებისთანავე იზი-დავდა ადამიანს და, რომ გავიციანი და დავუბა-ლოვდი, ის აღმოჩნდა ყოველმხრივ შემქული პირაფუნა — ნიჭიერი, პატოსანი, გულმარ-თალი, პირდაპირი, შებრძოლი. თვითონ გულ-ბილი მოსიყვარულე ადამიანი, სიყალბეს სრულად ვერ იტანდა და საშინელი სიმკაცრით ექცეოდა ყველას, ვისაც კი ამას შეამჩნევდა...

შიო, როგორც მასწავლებელი, პირდაპირ ოსტატი იყო... ვყოფილვარ შიოს რუსული ენის გაკვეთილებზე. ვაყვითილი იყო მოხევი-ვით ჩამოსხმული, შეკრული, ვერც მიუმატებ-დი და ვერც გამოაკლებდი რამეს, ისე იყო ყო-ველმხრივ გამართული. ამასთან შიო ვაყვეთილს ატარებდა თავისუფლად, დინჯად, იუღელებ-ლი; ამ ვაყვეთილებში ჩანდა საგნის ღრმა ცოდნა და თან მიკიცი დისციპლინა — სულ-განაბრული უსმენდენ მოწაფეები, სიხარულით თვალეგაბარწყინებულნი აღევენდნენ თვალ-უტრს შიოს ყოველ მიხტარა-შოხტარას.

ხოლო მასწავლებლის საგნის ვადაკემის უნარს, კლასში თავის დეტერას და მის ქვევს დიდი მნიშვნელობა აქვს; ყოველივე ეს ახლავ-ნებს მასწავლებლებსა და მოწაფეების ურთი-ვრთ დამოკიდებულებას, ამფავენებს; თუ ჩამდ-ენად უუვიარს მასწავლებელს თავისი მოწაფეები და, პირიქით, მოწაფეები — მასწავლებელი... შიოს ვაყვეთილი იყო ცოცხალი, მიმზიდველი, რა-ნაღ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თბილი... სწე-ლების წარმატებისათვის ცოდნის ვარდა საქი-როს კიდევ „რალიც“ რასაც ასე უძებს ყოველი მოწაფე მასწავლებელში და რომლისთვისაც მოწაფე მასწავლებელს „ჩემს მასწავლებელს“ ეტახის. ჩვენი აზრით, ეს „რალიც“ ის თვისებაა, რომელსაც ადამიანობას ეტახიან. ადამიანობა კიდევ — სხვა პირაფენებისადმი გულსხმიერი მოპერობაა. მოკლედ, მხოლოდ ყარე ადამიანს შეუძლია იყოს ყარე მასწავლებელი. შიო ყარ-გი ადამიანი და ამიტომ ყარე მასწავლებ-ლიც იყო...

(დასასრული იქნება).

„აქანეებული გული“*

„აქანეებული გული“ — ისე ჰქვია ნიქიერი ქართული პოეტის ოთარ ჭელიძის ლექსებსა და პილანეტის ახალ წიგნს. ეს სახელწოდება მისი ერთი ლექსიდან მომდინარეობს. ამ ლექსიდან ჩანს, რომ ოთარ ჭელიძე იღვწის პოეტური თქმის სიხალისივეს, სურს, „აღორძინოს სტრიქონების ძველი ზარნიში“, დაამზობლოს „ლექსი და გული“... როგორც წერს პოეტი, „უცებ მოვარდა ობოლივით ერთი სწული პატარა ლექსი, გახვეულა ჩიბობის ხანძარში, გულთან მიიჭრა და ვაითხო აქანეებულო, ჩხვლტას, ნუღარას, დაეყვდრებას გადაარვი, მას შემდეგ ველში ხანძარი მაქვს გაიღებულო ლექსის, რომელიც უგულომას ვადამარჩინა“. და ამ ალალი და მართალივარე გულთო, ლექსის კოცონით გამთბარი გულით, განიცდის ოთარ ჭელიძე დედა-სამშობლოს სუნთქვას, მისი აღმავალი ცხოვრების რიტმს, გამოღებულ მაფისცხმას.

ლექსი „და-ღეგენდა“, როგორც სათაური მიგვანიშნებს, ქების პიშია „შესანატრელ საქართველოსადმი“, რომელიც ვადარჩა საუკუნეთა ქარციხლს, მრავალ ქარტეხლს და გამარჯვებული მოვიდა ჩვენს ვმირულ ღღვანდელობაშიღე.

საქართველო დასაბამიდანვე მეღვრად ზღვებოდა ვარტეშ მტრებს, ყველა ჭურის დამპყრობლებს; ხშირად მარტოღმარტოდაც მღვარა „პარპაროსობის ზღვაში ეულ ქენძელად“. მაგრამ არასდროს არ დაუცარგავს თავისი სიწმინდის ერთგული სახე და იერი. ახლა კი, ახალი საქართველო აღმართულა თვალმუდგვამ სიმაგრედ, რომელსაც ველარ შეამინებს სპარსეთის ჩისხვა და რიდი; კრძალივით „შემოსტკერის დიდი თურქეთა“.

დიდ საყვარელში შემოგვადონ,
ღმეს შორის დაო სამგალითო,
შენ, საქართველო, ჩვენო დედაო.

აღმოსავლეთის თვალმარგალიტო,
აყენის და კუბოს ერთად გამთლელი,
დიდო ლეგენდავ, შენ საქართველოვ!

როდესაც სამშობლოზე წერს, ოთარ ჭელიძე-სათვის უცხობა ე. წ. უსვედომინერულობა, ცრუ პათეტიკა, ისეთი ტონი სინდრისა, რომელიც მოყლებული იქნება ადამიანურ გრანობას და მსატრელ სინართლეს. მის პატრიოტულ ღირებვაში, პირველ ყოვლისა, შეიგრანობა სოციალური და ეროვნული მოტივების თვალანობა, თანაც აქ პირად-სუბიექტური შეერწმულია ერთგულ-პატრიოტულთან.

ოთარ ჭელიძის „მონოლოგი“ ღირველ აღმსარებლასა შეგვს. მის თვალწინ რეტროსპექტულად ვაირბენს ვანელილი დღეები. დედის თბილი უბე და ბუბის კიბის კალთა, ახალგაზრდა პამა, შეილისაყენ რხმ მიეშურება შორეთიდან, ქართლის შევანე ველები და ღურჯი ყანების ტყე, მარადიული სივოცხლის სიხარული რამ ავსებენ ქაზეტის ვულს, დატარტლებული სიმღერის ვანწყობილებას ჰქმნიან და პოეტიც მთელი ხმით ვადიხის: „შეც ვადღვინებ, შეც ვავტუნებ, შეც ვავივი და თქმა მინდა ვავმხელი სათქმელისა, სავლესაი ჩავტულ ს“. სამშობლო ო. ჭელიძეს მშობულ დედად ჰყავს დისაბული. აი, რას ამბობს იგი ლექსში „დაეყვდრება“:

დედაბაღვს ღვდისერთა*
შვილად ვეყავარ აყენილი,
მეტყერი მშობას შევიცება,
ქუნა მარწვენს აყენივით,
კა და მიწა ლექსში მშველს,
მოაწმინდავ მთვარეს ვებამ,
წყურავილს ვიკლავ მშვენიერის
ვადაპობილ მაგეთავან.

ლექსში „ერთდღიანი ძეგლი“ მამულის ტრფობა ვამოთქმულია აბლებურად. პოეტი ნატრობს ერთდღიან ძეგლს, თოელის ბაბუას სახით რომ აღმართება ყოველ ზამთრობით, და მხოლოდ ერთი ღლით, ეინ იცის, კიდევ უფ-

* ოთარ ჭელიძე, აქანეებული გული, თბილისი, 1962.

რო მიერ დროით, ისე სწრაფმავალი იგი. „ერთი დღით... მეტი ყველამ გამოვლო, ქარში მომგლოვოს თეთრი ფაფარი, კიდევ მიუვალ ჩემს საქართველოს გიხსად, როცა მოვა ზამთარი“. უფრო ძლიერად, მაეორულ მანგებად იღვრება პატრიოტული გრძნობა შემოქმედისა მომდევნო სტრეიქონებში:

და, სიცოცხლეში შევად დამწვარი,
ერთი დღით ვიდგე თეთრ ქანდაკებად;
რადგან სამშობლო ერის ხაცარი
არ მყვარებია სხვაზე ნაკლებად.
პოეტი გაირწინაპართა ზეცისა საფლავებს
იყვარებდა და ამ დროს არ შეუძლია ერთად
არ დაიფიცოს სამშობლოს სიყვარული.

სამბედისწერის სიმღერით დამწვარს
ამდებია დღურა ცრემლის მალულის,
რადგან არ მინდა, არ მოყვარს, არ მწამს
სხვა წმინდა, გარდა ჩემი მამულის.

ოხარ ქელიძე შენატრის სამშობლოს უბედ-
ნიერეს ხვალნდელ დღეს, შექმალგმული ძრავ-
ების მძლეურ გზგუნს რომ მოაქვს დღეკანდ-
ლობისაგან:

ცხენისმალბებს შევად ვაცოცრენილს,
როგორც ნავე სეხილს რტომრთიელს,
ჩემი იყნება ჩემად დავოცნის
ფსევებდალოცვილ ქვიცნის მომავალს.

სამშობლოს თომავლის ამ ასექტშია აღქმ-
ული ლექსები „რობირაობა“, ფიქტი სამშობლოზე,
მის მომავალ ბედნიერებაზე, ამავე დროს გუ-
ლისმობის თავისუფლებასა და მშვიდობაზე
ზრუნვაზე, ამის აღვეთისათვის ზრპოლას: „და
ფიქტობ ამ გზაზე შემდგარია რად ვერ შეე-
ძელით ამის აღვეთა, თუ ერთ მილიარდ ცხე-
ნის მხედარნი და გამხედნადე იყენეთა“.

სარკეებილი ლექსების წიგნში ყურადღებას
იპყრობს პალადები: „ომი, ძალი და ქება“,
„ბოლიში“, „დამწვიდება“, „მღუმარე მასპინ-
ძელი“ და სხვ.

თითარ ქელიძეს, როგორც მოწინავე პოეტს,
შეგნებული აქვს, თუ რა საშინელება მოაქვს
ომს ხალხისათვის. ომი წგრევისა და ზორტე-
ვის საწყისია, იგი ხაზის უტევის ყველაფერს:
ცემლით ბურავს მწვინე ტყეებსა და ლერჯ
ქედებს, ევლარც აღამიანი დატკებუა ზუნების
მწვენიერებით. ლექსში „ომი, ძალი და ქება“
მეტად შეშაჩაბე სურათია გადამლილი.

ლექსი „პაუტრის რევილუტია“ ნიოაზს ზდის
ომის გამალებლებს, რომლებმაც ჩვენში შე-
მოგზავენს ამერიკელი მწვერადე პაუტრის. მას
აღმომანდა უხმოდ სასროლი რევილუტარი, ახ-
ლა „ტყევილიაგარნილი პაუტრისს“ იარალი,
პოეტის თქმით, სიმწრით მოკრუნხებულა“,
„ბოლმას ანთხვის მტუენეში“, და მიინც ყვე-
ლა პატროსან მოქალაქეს, იმას, ვინც „ქვეყა-

ნაზე დღის მართალ ქარისკვად“, უქვერის
„პნელი თვლით“, ზიზლითა და სიძულვილით;
„რომ შევილოს შაშს და ტყევილითავე მე და
მამულს გვესერისა“, მაგრამ „მამულს“ მადერ-
სი და მისი რევილუტარი ტყევიანაშია, სტუნდებ-
დადებულა, როგორც პოტოტებისა და ომის
მთესაენი, პოეტის თქმით, გუმინ იგი მესსს
აეღებდა თავრუფლებსათვის მებრძოლ ლორ-
კა ენაქანთში, და არა მხოლოდ მას, არამედ
ყველა იმით, ვისაც „შეუქი ენთი ახლის შექ-
ნის ანდ ლექსის“, პაუტრისს აზრდილი ზოი-
გავდა ყველგან, და ახლა იგი აღმართულა
აღლმართალი სამკითია პოეტისა და მოქალა-
ქის წინაშე, როგორც მომავლის საწინი მაცენი.
— „შენგან ერთი უნდა მატრთ — ზურგნი ჩუ-
ვად ტყუია ჩაგეცს, ანდა შენს თავს უღალტო,
შენს სიწმინდეს — სივაგაცეს“.

ქუმინსტრის იდეითაა განათებული ლექსი
„უბედური შემოსევა“. კაცთმყვარებობის
მძლეური გრძნობა მოიცავს პოეტის მთელ არ-
ეზას და საყვებით გერათ, მისი შემოფოთებისა,
როგორც დანიხა, უნრობ მოქალაქეს როგორ
კიხებამ ემეა ერთი პატარა გზაყვარედინი
იოელი სიცოცხლის გზაყვარედინად“. მაგრამ
მოქალაქე გადარსა, მან ფრთხილად გადსტრა
გზაყვარედინი და გავდგა თავისი ცხოვრების
გზა. პოეტი კი ყველა განაგრძობს ფიქრს უც-
რმისე, რომელიც „შეუფარდა მამსაგეთა“, იმ-
ებმ იგი უქიმი იყო და ავადყოფის ნახავს ჩქა-
რობდა, ამ იტნე მასწავლებელი და ახლა
ბრუნდებოდა სკოლიდან. ასე ფიქრობდა იგი
და ბოლოს ეს ფიქრი ჩამოყალიბდა ლექსის
სტრეიქონებად:

მისი ზომის ვეყვე ზიარი,
ეთვლიდი მსაგით თავს ბედნიერად,
და მე ვიგარენი, აღამიანი
რომ მყვარებია ასე ილოერად.

„მღუმარე მასპინძელი“ მეტყველებს ამაზე,
თუ როდენ, ერთეულებს იჩენს ქართული კა-
ცი ეროვნული წეს-ჩვეულებისადინი, უდიდესი
ბირადული განსაცდელის დროსაც, მწუხარებებს
კავს, სტუმარს არ მოაკლებს აღამიანი სითბო-
სა და გულითადობას, არ დაარღვევს სტუმართ-
მოყვარებობის მტკიცე ტრადიციას. მეტად მძი-
მე განცდა ეუფლება მოგზაურ პოეტსაც, რო-
დესაც გებულობს ოქანის ტრაგიკულ მდგომარეობას,
— თერმე მასპინძელს ამ ღამეს შინ
გარდაცვლილი ვეყავი ესეენი.

ჯანში სისხლი ამიღელდა,
გულში მწვევე წვა ვიგარენი,
თურმე ვარამს არ მიმხელდა
ნამგზავრ სტუმარს მასპინძელი.
კიდ ცხედართან იდგა, თითოდა
ბერკაცი თავდახრილი,
ერთ ღამეში წმობრდოდა
წიერი თეთრი, პალახიელი.

„დაშვილებაში“ ავტორი წარმოსახავს ახალ-
ვაზრდა დედის შეშფოთებას პირშროს ავადმ-
ყოფობის გამო. პოეტი კარგად აბერხებს ფსი-
ქოლოგიურ ნოთანების დანახვას და გამომზე-
ვებას.

ცალკე უნდა მოვიხსენოთ ლექსების ციკლი—
„ათას ერთი ღამის წერილებიდან“, რომელიც
შეკრულია ერთ სიუჟეტურ რაკლად და წარ-
მოადგენს პირად-ინტიმურ გრძელბოძოთ თავა-
სებურ მხატვრულ განვითარებას.

ათას კელიძე თავის ლექსებში არ ერთდევ-
ბა პიპერბოლურ თქმებს, თამამად ეძებს ორი-
გინაღობ შედარებებს, შეტადორულ სახეებს
და ხშირად ეიდევაც პოელობს მათ, მარამ
ნოვგერ იგი გადაღის ზომიერების საზღვარს
და, რაც მთავარია, სათქმელს ვამოსახავს ძნე-

ლად შეხაცნობი თუ წარმოადგენი სახებრბოვი
ფორმებით.

ათას კელიძის პოეტური სტილი წარმოადგენს
გამჭვირვალეა, ენობრივი ქსოვალე დახვეწილ
და მდიდარი, მოკნილი და პლასტიკური. ბევრ
ლექსში იგრძნობა შინაგანი რითმების სიუხვე,
რაც აძლიერებს ლექსის მელიოდიურ ელერადო-
ბას.

ერთ-ერთ ლექსში ათას კელიძე მოკრძალე-
ბით ამბობს: ის, რაც საოცნებო და უწმინდე-
სია, ხეალ დსაწერი ქართული ლექსით, უმ-
შარტად სარწმუნო და დსასჯერია. „აგანყებუ-
ლი ვულის“ ავტორი კვლავაც გაეცხახრებს
ახალი ლირიკული ლექსებით, ბალიდებითა და
ეპიკური ქმნილებებით.

სიმონ არმელაძე

მონოგრაფია ქუთაისის შესახებ*

ქართული გეოგრაფიული ლიტერატურა ვერ
კიდევ ღარბია სპეციალური მონოგრაფიებით
საქართველოს ცალკეული აუბიებებისა და ქა-
ლაქების გეოგრაფიის შესახებ. ბოლო წლებში
ამ მიმართულებით ზოგი რამ გაკეთდა. ნაყო-
ფიერ შემოაბას ეწევა ვახუშტის სახელობის
გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიური გეოგ-
რაფიის განყოფილება, რომელმაც უკვე მოგეცა
საქართველოს ცალკეული ეკონომიურ-გეოგრა-
ფიული (აუბიებების) საქმოდ სრული გეოგრა-
ფიული აღწერა. მეორის მხრივ ქერ კიდევ
ცოტა გვიქვს კარგი მონოგრაფიები საქართვე-
ლოს მსხვილი ქალაქების შესახებ. 1957 წელს
გეოგრაფიის ინსტიტუტმა გამოსცა დიდი ნაშ-
რომი თბილისის შესახებ, რომელიც საქართვე-
ლოს დედაქალაქის 1500 წლის იუბილეს
მიეძღვნა. ვარდა დსახელებული ნაშრომისა,
საქართველოს ქალაქების შესახებ მოგვეპოვე-
ბა რამოდენიმე ბროშურა: ვ. ჭაიშვილის „ქაი-
ათურა“ (1959 წ.) და ნ. ნაჭყელიას „ფოთი“
(1957 წ.).

გეოგრაფიულ დისციპლინათა შორის დღეი-
სათვის განსაკუთრებით სწრაფად ეთარღება
მხილი მხილი გეოგრაფიული დისციპლინა „ქალაქების
გეოგრაფია“. აშშ-ში, ინგლისში, ჩეხოსლოვა-
კიაში, იპონიაში და სხვაგან, გეოგრაფიის
საკვლევი ინსტიტუტებთან შექმნილია ქალაქე-
ბის გეოგრაფიის სპეციალური განყოფილებე-
ბა. საქმეობო გეოგრაფიულ საზოგადოებასა
და მის მოსკოვის ფილიალთან არსებობს ქალა-
ქების გეოგრაფიის შემსწავლელი სექციები.
გეოგრაფიული საზოგადოების მოსკოვის ფი-
ლიალმა თავისი სამეცნიერო შრომების სამი

ტომი მიუძღვნა ქალაქებისა და მოსახლეობის
გეოგრაფიის საკითხებს. ბოლო მ. ლომონოსო-
ვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის
გეოგრაფიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის
იუბილეს სპეციალური ტერსი „სსრ კავშირის
ქალაქების გეოგრაფია“.

იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს საქართვე-
ლოს ქალაქების გეოგრაფიის ერთი, საჭიროა
სპეციალური მონოგრაფიები ქალაქების გეოგ-
რაფიის შესახებ. ამიტომ მისხსალმებელია ვახ-
ტანგ ჭაიშვილის საინტერესო ნაშრომის გამო-
ცემა, რომელიც ქალაქ ქუთაისის ვრცელ ეკო-
ნომიურ-გეოგრაფიულ დასახლებას შეიცავს.

ვ. ჭაიშვილის ეს ნაშრომი წარმოადგენს სა-
ჭართველოს მეორე დიდი სამკრეველო ცენტ-
რის — ქუთაისის კომპლექსურ გეოგრაფიულ
დასახლებას. ავტორმა მიზნად დასახს მოე-
ცა ქალაქ ქუთაისის ისტორიული წახსულის,
ბუნებრივი გარემოსა და შექრნობის ვრცელი
დასახილება, და უნდა ითქვას, ძირითადი და-
სახლე ამოცანას წარმატებით გაართვა თავი.

ავტორს წიგნი განხილული აქვს ქუთაისისა
და მისი მიდამოების ბუნებრივი პირობები და
რესურსები. აღნიშნული მონაკვეთი შედარებით
სრულ წარმოდგენას იძლევა ქუთაისის გეოგრა-
ფიული მდებარეობის, რელიეფის, კლიმატის,
შიდა წყლების, ნიადაგებისა და მცენარეული
საფარის შესახებ. სწორად მოიქცა ავტორი,
როდესაც ნაშრომს წაუძმდგარა ქალაქ ქუთაი-
ის ისტორიული მიმობილეა, მართალია, ორი-
ვე წლის წინათ გამოვიდა ვ. ჩაყვტაძის სა-
ყურადღებო ნაშრომი „ქუთაისის ისტორიიდან“
(თბილისი, 1960). მაგრამ თანდართული მოკლე
ისტორიული მიმობილეა უთუოდ კარგია და
ზოგად წარმოდგენას აძლევს მკითხველს სა-
ჭართველოს უძველესი ქალაქის მდიდარა ის-
ტორიის ღირსშესანიშნავ მოვლენათა შესახებ.

* ვახტანგ ჭაიშვილი. ქუთაისი. ეკონომიურ-
გეოგრაფიული დასახილება. თბილისი. 1962 წ.

როგორც ცნობილია, ქუთაისის საინტერესო აღწერილობას იძლევა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ფრანგი მეცნიერ-მოგზაური დიდი იმპერატორ, რომელმაც თავი შეაფარა იმდროინდელი ქუთაისის გეგმა. მკითხველსათვის უფროდ საინტერესოა თანდართული სქემა, რომელიც დიდუბას მიერაა შედგენილი 1833 წელს (გეგმა მოცემულია ქალაქის უძველესი უბნების აღწერით).

თანამედროვე ქუთაისის მოსახლეობის რაოდენობით მეორე ქალაქია საქართველოში თბილისის შემდეგ, და სწორედ მოიქცა ავტორი, რადგანც ნაშრომში მოგვცა ქალაქის მოსახლეობის დახასიათება და მოსახლეობის დინამიკა უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში. 1772-1785 წლებში ქუთაისის მოსახლეობა არ აღემატებოდა ათას სულს, რაც იმ პერიოდში თურქთა ბატონობით აისხნება. ამ დროს ქალაქის ნგრევისა და თურქთა გამუდმებულ თავდასხმის გამო ქალაქის მოსახლეობა სოფელს აფარებდა თავს.

ნაშრომის მეოთხე და მუხუთე თავებში გავშქებულა ქალაქი ქუთაისის მრეწველობა, მისი ძირითადი დარგები და საგარეუბნო სოფლის მეურნეობა. ავტორმა დიდალი ფაქტორი მასალის საფუძველზე კარგად დაგვიხატა ის დიდი ძვრები ქალაქის მეურნეობაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრი — ქუთაისი ამჟამად მანქანათმშენებლობის, ქიმიური, საფეიქრო და გემო-კვების მრეწველობის მძლავრი კერაა. ქუთაისის მამრადილებელი დარგის ზოგიერთ პროდუქციას საყვებო მნიშვნელობა აქვს, და დიდი რაოდენობით გადის მოამე რესპუბლიკესა და უცხოეთშიც.

თანამედროვე ქუთაისი მანქანათმშენებლობის მსხვილი ცენტრია: აქ მუშაობს საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში ერთადერთი მეორე გაბარტიანი ტრანქტორებისა და საავტომობილო ქარხნები, ავტორი ვრცლად აღწერს ქალაქის მსხვილ საწარმოებს და იძლევა მათ ფართო სამეურნეო კავშირთაერთობას ჩვენი საშობლოს სხვა მსგავს საწარმოებთან.

თანამედროვეობათა განხილული ქალაქის კომუნალური მეურნეობა, საგარეო ტრანსპორტი ეკონომიური კავშირი და ვაჭრობა, კულტურა და განმრთვლების დაცვა, ქალაქის გარეგნული სახე და შიდა სხეობანი. შრომის დასასრულს ავტორი აღნიშნავს: „ქუთაისის დახასიათება სრული არ იქნება, თუ მოკლედ მიაჩნ არ განვიხილავთ თვით ქალაქსა და მის მიდამოებში

არსებულ ღირსშესანიშნაობებსა“. ნაშრომის ბოლოში დართული აქვს ისეთი ცნობილი ისტორიული ძეგლების განხილვა, როგორცაა ბაგრატიან ტაძარი, ციხე-სიმაგრე უმეჯრობის, სკანდლე, ვარციხე, მოწამეთა, ველათი, გვერთი და სხვა.

ნაშრომის ყარვი დამატება და გაგრძელებაა ქუთაისთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია, გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები, ფოტოსურათები, რაც საუკეთესო თვალსაჩინო მასალა ქალაქის გასაცნობად.

გ. ქაოშვილის ნაშრომი „ქუთაისი“ უფოდ დადებითი მოვლენაა ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში, და ის ნაწილობრივ შეეგებება არსებულ ხარვეზს გეოგრაფიულ ლიტერატურაში. წიგნი დაწერილია კარგი ენით, განკუთვნილია მეცნიერი მუშაკების, გეოგრაფების, გეონომისტების, უმაღლესი და საშუალო სკოლელების პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. საქართველოს ქალაქების გეოგრაფიის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველს მდიდარი მასალის ნახავს სარტყენიო ნაშრომში ძველი და ახალი ქუთაისის მეურნეობისა და კულტურის შესახებ.

საკირთლ მიგვანია გამოთქვით ზოგიერთი მოსაზრება ნაშრომის სტრუქტურის შესახებ.

ეკონომიურ გეოგრაფიას ისევე, როგორც სხვა მეცნიერულ დისციპლინებს, გააჩნია თავისი კვლევის მეთოდი და გარკვეული ობიექტი. ცნობილია ქალაქის ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათების სქემა, რომელიც აღიარებულია საბჭოთა გეოგრაფების ნ. ბარანსკის, ი. საუშკინის, თ. კონსტანტინოვის, გ. დავილოვის, რ. კაბოს, ე. პარკშიშვილისა და სხვათა მიერ. კრებულში „Вопросы географии“ (География городов“ сб. 38, М. 1955) მათაგებულა ი. მერკათიხის საინტერესო სტატია „К экономико-географическому изучению городов“ (გვ. 5-26), რომელშიც მოცემულია ქალაქის კვლევის მეთოდიცა. ვარდა ამისა, საბჭოთა კავშირში გამოიცა ბევრი წიგნი ქალაქების შესახებ — ი. საუშკინის „მოსკოვი“, ა. ეროფევის „ვიენა“, მ. რუსაკოვისა და მ. ზიხუნდის „კიევი“, ნ. ბარსამოვის „ფეოდოსია“, ფ. ჩერბოვის „ბარანული“ და სხვა მრავალი. გეოგრაფიული საზოგადოების მოსკოვის ფილიალის მეცნიერულ კრებულში („Вопросы географии“) იბეჭდება ცალკეული სტატიები საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქალაქების გეოგრაფიის შესახებ. უფრო მეტიც, — უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ინსტიტუტებში დაეუღლ იქნა ორმოცზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია ქალაქების გეოგრაფიის შესახებ. უფლა ამის გამო უნდა აღინიშნოს, რომ სარტყენიო ნაშრომში უაღვალოდ

მივიანია ეკონომიური გეოგრაფიისათვის არასაპირო თავები „კომუნალური მეურნეობა“ (რომელშიც ლაპარაკია ქუჩების ქსელზე, საბინაო ფონდზე, წყალსადენსა და კანალიზაციაზე, სასტუმროებსა და აბანოებზე), ქვეთავი „ავტობობა“, თავი „კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა“. ნაშრომი დიდად მოიგებდა, თუ ქალაქის კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები (რომელთაც 55 გვერდი უყავათ) ძალზე მოკლედ იქნებოდა მოცემული მოსახლეობისათვის ვრთად. ჭერ ერთი, ნაშრომი განიტვიტებოდა იმ საკითხებისაგან, რომელთაც ეკონომიურ გეოგრაფიისთან ძალზე ზეარულე დამოკიდებულება აქვთ და მხოლოდ დამატებით მასალას წარმოადგენენ, მეორე — შეივსებოდა თავი ქალაქის მოსახლეობის შესახებ ცნობილია, რომ კომუნალური მეურნეობა, კულტურა და ჯანმრთელობა უშუალოდ მოსახლეობის საკითხია და მასთან ერთად მოკლედ უნდა ყოფილიყო ვანხილული. ქალაქების გეოგრაფიისადმი მიძღვნილ ვერც ერთ ნაშრომში ვერ შეხედდებით კომუნალური მეურნეობის (ისიც ცალკე თავად), ვაჭრობის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხების განხილვას, ისიც ასე ვრცლად.

გვირდა აღნიშნით ზოგიერთი უზუსტობა. მაგალითად, ადგილი აქვს განმეორებებს, გეოგრაფიულ თიხებსა და ბარიტზე ლაპარაკია როგორც ქალაქის ბუნებრივი რესურსების განხილვას, ისე მრეწველობისა და ქალაქის ეკონომიური კავშირების განხილვისას. ავტორი რატომღაც საამქროს ნაცულად ხმარობს სიტყვა „ცეხს“.

და, ბოლოს, ვერ დავთანხმებთ ავტორს იმ მოსაზრებაში, თითქმის „კაპიტალისტური ქვეყნებიდან მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი, საფრანგეთი და იტალია ამხადებენ ავტომობილებს“ (გვ. 153). ცხადია, ეს სწორი არ არის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ავტომწებლობა საქმად განვითარებულია ავრთვედ ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორცაა კანადა, იაპონია, შვეიცია, ბელგია და ავსტრია.

ვახტანვ ჯაფარიძის ხარეცენით ნაშრომის გამოცემა უთუოდ დადებითი მოვლენაა, ქართული გეოგრაფიული მეცნიერების კარგი შენაძენია და მას დიდი ინტერესით წაითხოვთა ზეენი მკითხველი.

პ. ზარდალიშვილი

აშხაზი პოეტის რჩეული ლექსები ქართულ ენაზე

30-იანი წლების ახსნურ მწერლობაში ღრმა ვანცდებითა და მხატვრული გამოხატვის მრავალფეროვანი საშუალებებით განსაკუთრებით გამოჩნეოდა იმ ღრის ახალგაზრდა პოეტი შალვა ჯიფია.

თავის პირველსავე ლექსებში პოეტი აშედიენებდა დიდ შინაგან ძალას, ვანთხარს ახსნეთის ბუნებისა და ხალხის ვანუყოფელი სიყვარულით. ამასთან ეს სიყვარული არასოდეს არ ყოფილა ვანყენებელი, სქემების სხით წარმოდგენილი. იგი იყო დიდი ძალა, ცოცხალი, ბუნებრივი, ადამიანური. შალვა ჯიფიას პოეზიაში რეალური და თანატანადური ყოველთვის ადამიანის სულის უტბებს პანგებთან იყო შეხმტკბილებული. ამანე მებტყველებს 1930-1934 წლებში დამერილი ღმესები, რომლებიც ნაწილობრივად წარმოდგენილი სარეცენიო წიგნში — „ჩრეული“.

შალვა ჯიფიას შემოქმედება კიდევ უფრო ნაკეთიერი იქნებოდა, რომ ხელის შეშლულ ვარემოებებს თითქმის 20 წლით არ ჩამოეშორებია ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი თავის საქვარელი საქმისთვის. მხოლოდ 1954 წელს ვახდა შესაძლებელი, რომ იგი კვლავ შესდგომოდნ ლტერატურულ მოღვაწეობას. დიდი სულიერი

ტკივილებს დაძლევის შედეგად მოხდა ეს, რაც მწვენიერად გამოხატა პოეტმა ერთ-ერთ თავის ლექსში:

ბეჭეტი ვარამი ვამოივილია,
დავმოზრნივარ ყველა ჩემიანს,
მანც შეეი არ ვამოილია
და ველს ტკივილი არ დამჩენია.
მხოლოდ მწეავს ფქერი დარდის
მითველა,—

არ მიმღერია — ოცი წელია...
მავს მანც ცეცხლი ჩაქრობელი
და ერთ პოეზად დახაწერილი

ამ ჩაქრობელი ცეცხლითა ვამთხარი შალვა ჯიფიას მთელი პოზიკია. ამ შინაგან ცეცხლის მძლურ. მისთვის ადვილად მისაწვდომია იმ მოვლენები, რომლებიც ზენი თვალწვენი სამშობლოს შორეულ კუთხეებში ხდება. ეს მას აღაფრთოვანებს და სხვისაც ვანაცდევინებს ზენი სამშობლოს ყველა კუთხეში მოპოვებული წარმატებებით გამოწვეულ სიხარულს. ამიტომ გვიჩნა პოეტის მრადლო სიტყვების

როცა სოხუმში ვათენდა
და მზემ ინათა აღოსტრად,
მე ერთმა ცნობამ ვანუთში
საოცრად ვამახალხა.
ცობირის ვრთ ხეობაში,
საქ ბიცივეა უნვევი,

**ქალაქი გაშენებულა
ფართოდ გაშლილა ქუჩებით.**

ალანინინაია იეროი ვარგოიებიც. შალვა წვი-
ჭმა ახლანდელ პოეტთან შორის, შეიძლება ითქვას,
ქველანდელ აქტიურად მოღვაწეობს საბავშვო ლე-
ტერატურის დარგში. იგი წერს ჩვენი ნორჩი
თაობისათვის საინტერესო თემებზე, ამ საგნებ-
სა და მოვლენებზე, რომლებიც აღადგინოვ-
ნებს ჩვენს პატარებს, განაწყობს მათ ფიქრს,
გონებასა და გულს საინტერესო მომავლის გამარ-
ჯებაში აქტიური მონაწილეობის შევსებით.
შალვა წვიჭმას საბავშვო ლექსებში: „გვიან ვშე-
ნებელი“, „პატარა შევილინი“ „პატარა გეო-
ლოგი“, „მომავალი მიჩურაინელი“, „მოფიქრი“,
„დაბადება“... მან ავტორის მიერ ჩვენი ნორჩი
თაობის სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნა. ამ
ნაწარმოებების მზებუდობა იგრძნობა, რომ პოეტი
ახლოს იცნობს ბავშვთა ცხოვრებას, განწყობი-
ლებას, ინტერესებსა და სასიამოვნო. შალვა წვიჭმა
ეყარება ბავშვთა ბუნებაში ჩამატებულ საუკუ-
თესო თვისებებსა და მიდრეკილებებს და მათი
გამტკიცებისა და გაღრმავების ამოცანას ის-
ნაეს მიზნად. ამასთან რაც ლექსებში პოეტა
კობაეის ზოგიერთი ასაღვარდის უხეშ ქვეყას.
(„ვილის ქულა“).

სარეცენზიო წიგნში ყურადღებას იმსახე-
რებს სიუჟეტური ლექსი „ნაქორწილარზე“,
ამ ლექსში დაგმობილია ზოგიერთი უარსაყო-
ფი წეს-ჩვეულებანი, რომელიც შემთვრებულ
ფაქტორად გვევლინება ასაღვარდის ცხოვრების გზა-
ზე.

შალვა წვიჭმამ ჟურნალზე 1934 წელს დაიწ-
ყო წერა მოზრდილი პოეზიისა — განთიადი
მოტბოვით, რომელიც იგი წლის შემდეგ განაგრ-
ძო და დაასრულა. ამ ნაწარმოებში შალვა ბატ-
ერულ სახეებში ნაწევრები კულაკობისთან

ბრძოლის პროცესი აფხაზეთში და შორეული
გლეხობის გამარჯვების სურათები. პოეტი რე-
ალისტრად გვიხატავს შუენისა და მსგავსი ტემ-
ური დღეებს, მის ექსპლოატრებს ველურ მანა-
ბანას მიერ და ბოლოს ასაღვარდის ცხოვრების
ფართო გზაზე ამ აბოლი ბიჭის გამოცანას. პო-
ემაში გამოკეთილადია დანატრული სოციალის-
ტური ყოფის აქტიური შევსების სტეფანე
სევეტოვის, ავტორთმ გულისის, ბადრის, შამ-
სირისა და სხვათა სახეები პოემაში ნაწევრები
სოციალიურ ქალთა ბრძოლის დანატრული მო-
შენებები. ეს ნაწარმოები აფხაზეთი ლეტერატუ-
რის ისტორიაში შეევა, როგორც საუკეთესო ნო-
ვეში სოციალისტური ეპოსისა. პოემა გამოირ-
ჩევა შალვა ბატერული სახეებითა და პოეტური
სურათოვნობითაც.

**შვენიერი მხატვრული სურათია გამოძერ-
ვილი სტიქიონებში**

ჩანჩქერი იყო ვიჩანს
შორიდან, თითქოს იგი
კლდით გაღმთვარების შემდეგ
გაქვებულა უმალ.
მხატვრული გაზრება შალვა წვიჭმას ლექ-
სებში ზნირადაა დამთხვეული ბუნების ფშვენი-
ერეს სურათებთან. ამ მხრივ შთანხვეული ში-
ნაარსობა სტიქიონები:

მე წავიშლები შენს გულში, როგორც
ზოლი, გეშა რომ დატოვა ზღაზე-
ქართულ რენზე თარგმანილი შალვა წვიჭმას
ლექსები კარგ შთანხვეულბას ტოვებს, რაც
პირველ რიგში მოაჩვენებებს ნ. ვაგუას, მ. მი-
რნელის, დ. გვიგინასა, შ. ავალიასა და მ. ჩაბუ-
ას მიერ სათარგმნი მასალისაზე სერიოზული
და კეთილხანდისიერა დამოკიდებულებით მი-
ხნება.

შალვა ლლონია

აფრიკელი მხარლის მალაღი მისია*

არსად და არსადროს რასიული დისკრიმი-
ნაცია ისე არ გავრცეებულა, როგორც მრავალ-
ტანჯული აფრიკის პატარა სახელმწიფოში —
სამხრეთ-აფრიკის კავშირში. ეს საკითხი სამიარ-
ილიანად აღმწერიებს დღეს კაცობრიობას და
ამიტომაც მრავალჯერ დაისვა გენერალური ან-
სამბლის სხდომებზე. მკვრამ ანაიდ. ნიციტერი
სკოლა — გამოვლილი პრემიერ-მინისტრი პენ-
დრიც ფერდერლი ანუ „უფროსი განდაკმი პო-
ლიტიკური სახელმწიფოში“, როგორც მას ჩვეუ-
ლებრივ უწოდებენ, არავითარ ძალას არ იშუ-
რებს, რათა ეს ქვეყანა ფანოზის ბუდედ გადა-

აქციოს და მოსწყვიტოს მსოფლიო ცივილიზ-
ბულ სამყაროს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხარე
ფერდერლი, ეს სამხრეთ-აფრიკელი ფიქტური,
მთლიანად ამართლებს მის ჩრდილო-დასავლ-
ეთად კოლეგების იმედებს. სამხრეთ-აფრიკის
კავშირში ეიზიტად მყოფმა ბონის რესპუბლი-
კის პრეზიდენტმა ლიბერტმ საქმის ციფნითა და
კმაყოფილების გრძნობით განაცხადა: „რასტული
პრობლემა აქ სამიგდო ხელშია“.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ სამხრეთ-აფ-
რიკელ მწერლებს, ისევე როგორც მთელ ასაღ-
ვარდის აფრიკულ ლიტერატურას. არც შეიძ-
ლება გაანდეს სხვა ძირითადი პრობლემა, ვარ-
და პოლიტიკურისა. ეს თავისებური, ისტორიუ-
ლი ბედუღელმარობით გამოწვეული სპეციფი-
კრობა, იმ წამსვე თვალში გვეცემა, როგორც

* პოეტის აზრამახი, „ქვეა-ქუხილის მილი-
კით“, თარგმნეს ნ. ბადრიაშვილმა და ე. თვა-
რამეშ, თბილისი, 1981 წ.

ყოფილ ვიდეოგამოცემებთან ამდროვე აფრიკელ ლიტერატურას. გაინდუნე ავტორები და რომანები, რომლებიც მთელ მსოფლიოს აცნობენ, თუ რა სამწიფო ტრიპლუმს დღეს აფრიკის კონტინენტზე. ასეთ წიგნთა რიცხვს განეკუთვნებამ: პეიტონის „ტირე, საყვარელო მხარე“, ალტმანის „ფსიქონების კანონი“, გორდონის „ას დღე დაიქცეს“ (მარშან ვამოვიდა ქართულად), ჟეკობსონის „ციკლე მზის ქვეშ“ და სხვა. თანამედროვე აფრიკელ მწერალთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს პიტერ ანკამასი, რომელიც ეყრდნობა მეთოდურ სტრუქტურას დასაზრულ, მაგრამ ქედ-მთედრეულ ხალხის სამსახურში. მან განვლო ცხოვრების რთული და მძიმე გზა. განათლების მიღების შემდეგ მუშაობდა ცეცხლფარეზად, წიგნების გამყიდველად, ფერადკანონთა პრესის რეპორტიორად. ახალგაზრდა მწერალმა საკუთარ თავზე გადაიტანა ის ყოველდღიური დამცირება, აბუხალ ავღება და უფლებობა, რაც ყველა შავ და ფერადკანონის ხეუღრია კაპიტალისტურ სამყაროში. მაგრამ ეს შიენ ბრძოლა იყო, ბრძოლა ადამიანური უფლებისა და ღირსებისათვის, ბრძოლა, რომელიც ყურად ღირსდება. „ლიტერატურული მოღვაწეობის გამო, — წერს პ. ანკამასი — მე არასდროს არ განემარტოებულარი სხალოს ძვლისგან ავებულ ზღაბრულ კომპია. ჩემთვის იგი ყოველთვის იყო ნაწილი იმ პროგრესული მოძრაობისა, რომელსაც აფრიკის ფერადკანონი ხალხები და მთელი მსოფლიო ეწევა“.

ახლახან გამოქვეყნდა „ნაჯაღღმა“ ქართულ ენაზე გამოსცა ანკამასის გამაჩრებული რომანი „ქვეაქების ბილიკით“.

რომანის სიუჟეტი არც ახალი და არც რთული, მაგრამ მისში ნათლად ასახული ის სერაონული ძვრები, რაც კოლონიური ქვეყნების ახალგაზრდა თაობაში მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ახალგაზრდა მეღატი ლენი სეარცი განათლების მისაღებად კეპტაუნში გაავხენა პრობლემამ სოფელმა, რომლის მკვიდრთაგან არც ერთმა, თვით მოძღვრებამც არ იცის წერა-კითხვა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლენი ჩამოვს სოფელში მტკიცე გადაწყვეტილებით — მთელი თავისი ცოდნა მშობლიური ხალხის განათლების საქმეს მოახმაროს. აქ მას შეუყვარდება თერთკანიანი ქალღმწერი სარი ვილერი. შეყვარებულნი გადასწყვეტენ ფარულად გაიქცენ და უცხო მხარეში პაოონ სიმწიფე. სარი ვილერის ნათესაგები „გათავებულნი“ მეღატს ფიზიკურად სპობენ. „ლენისა და სარის ტრაგედია—სინაწული შეინიწავს ავტორი, — მთელი ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი დროის ტრაგედია, რადგან „შენ“ გიქცევიან როგორც ზანც, როგორც მეღატს, ებრაელს, არაბს, ინგლისელს, ჩინელს და არა როგორც უბრალოდ ადამიანს, არ, რა

არის ჩვენი დროის დანაშაული და ბოროტმეტყველება“.

რომანის მთავარი მოქმედი პირი, თითქოს, ლენი სეარცი, მაგრამ ჩვენ მას ვერ შევიხიენთ ნამდვილ გმირად. ვაკვარს კადეცი, ილუზიებით რომ იტყუებს თავს ეს ახალგაზრდა, პროგრესულად განწყობილი აფრიკელი ინტელიგენტი. რომელიც წლების მანძილზე სწავლობდა კეპტაუნში და ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწვდებოდა უსამართლობას. მაგრამ, ავტორისეული სიტყვებით რომ ვთქვათ, „თუ მტერს წარმეტებით ვინდა ებრძოლო, უნდა გქულეს იგი.“ ლენის კი არაეინ სძულს, თვით თერთკანიანებიც კი. მას სეცრა მონებისა და მიწათმოქმედების — თერთებისა და შავკანიანების მშვიდობიანი თანახმობა. იგი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ თავისიანების დიდი პროგრესის გზაზე გასაყვინად მთავარი და საჭიროისა მათი, ე. ი. ხალხის განათლება, ამაში ზედაეს იგი თავის მხალ მისიას. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ამას აყვებს ლენი. საყვარელმა აიძულა პეცრა რომ საზოგადოებრივი დავიწყებია და საკუთარ ნიქტში ჩაეყვინა. ბოლოს აეცრა ხდება: ლენის სიტყვა სხვაა, საქმე კი სხვა. თვღამირველად თუ მტკიცედ ქქონდა გადაწყვეტალი ხალხის განათლებისათვის შეეწირა მთელი თავისი ძალა და ცოდნა, ახლა გრძნობს აყოლილი ლენი საზოგადოებრივ მღლა აყენებს პირადულს, სურს გაექცეს ბრძოლის ველს, სადაც ახლახან შეღდა ფეხი და შეება პაოონს უცხო მხარეში.

ანკამასმა, როგორც პროგრესულმა მწერალმა და პატრიოტმა, ლენი სეარცს დუბორისებრა ნამდვილი გმირი, რომელიც გამოხატავს ავტორის აზრს. ესა ახალგაზრდა ზანცი მსწავლებელი მქაო, დიდი ინტელექტისა და მებრაველ გულის ადამიანი. მას აქვს მოქმედების ვარკვეული, თუმცა არა მთლიანად ნათელი, გეგმა. მისი აზრით, ავტილობრივი მეამედლეებისა და უცხოელი იმპერალისტების ბატონობის დასახობდა, საჭიროა ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალის გაერთიანება და ბრძოლა. „მისინეთ სვარც, მე და თქვენ, მთელი ჩვენი თაობა დაბადებული ვართ ბრძოლისა და მეგობრობისათვის, მიჯნრობისათვის კი დრო აღარ გვრჩება, — მიმართავს იგი ლენის. — რა ჩვენი საქმეა წყნარი, გულისამატიკობელი სიმღერები სოღამოთობით... ჩვენ გულები უნდა გვაეყოფოს წინააღმდეგ შემთხვევაში, ცოცხლებიც რომ დავრჩეთ, დავიღუპებით და მოპაეალ თაობებისა დაეღუპათ“.

მაქათს ხასიათში მთლიანად გამოქვდავდა ავტორის მსაფლმზეგულობის ძლიერი და სუსტი მხარეები. მართალია, იგი მოუწოდებს ბრძოლისაკენ, მაგრამ ვერ ზედაეს ამ ბრძოლის კონკრეტულ გზებს. „არა, მამო, საჭიარისა არ არის

მეზღუბე დაეცე და ღმერთს გვეღრო“, — მიმართავს მკით მოძღვარს, სწორედ იმ დროს, როდესაც ლენი სვარცი უთანასწორო ბრძოლას აწარმოებს თეთრკანიანი რასისტების განხეცილებულ ბრბოსთან. „საჭიროა რაღაც ვიმოქმედოთ“, — ამბობს მკით. სწორედ ამ „რაღაცის“ გამო დაჰკრავს მის ხასიათს ერთგვარი სქემატისმის აერია.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ ის დიდი გამარჯვება, რომელიც მოიპოვა ავტორმა ფაეტასა და შეშლილი სემის მხატვრული სახეების შექმნისას. უხვაც ეს რომანი წიუქითხაეს, დავეთიანებება, რომ ეს არი სახე თანაბრად დამშვენებდა უოველი თანამედროვე დიდი მწერლის პერსონაჟთა გაღერებას.

აბრაჰამის ენა ისე მარტივია, რომ არა გვეგონია ამ მხრივ მთარგმნელები რაიმე სიძნელეს წაუყდომოდნენ. ამიტომაც, მათ მთელი გულსაყურით იქითვე მოუბყობათ, რომ რაც შეიძლება ლაღა და თავისუფალი ყოფილიყო თბარობა ქართულ ენაზე. მთარგმნელებმა ამ ძნელ ამოცანას ისე კარგად გაართვეს თავი, რომ ამის დასამტკიცებლად აღარც მოვიყვანთ ადგილებს თარგმანიდან. მოწონებას იმსახურებს ანზორ აბულაშვილის შიერ თარგმნილი პოეტური ნიმუშებიც.

საერთოდ, მთელ წიგნს ეტყობა, რომ მთარგმნელებსა და რედაქტორებს (ელ. მალრაძე და ნ. დონაძე) დიდი სიუჯარულობა და მონდომებით უმუშავეიათ, რათა ენობილი აფრიკელი მწერლის — პ. აბრაჰამის პირველი რომანი ქართულ ენაზე დედანის შესატყვისი ყოფილიყო ყოველმხრივ. წიგნის ასე უკომენტარებოთა

და უწინასიტყვოდ გამოცემა, ჩვენი აზრით, მიზანშეუწონელი იყო მით უმატეს, რამე რეგლარულ დედანს, ასევე რუსულ თარგმანს თანაგრეთვეს აუცილებელი კომენტარები.

თანამედროვე აფრიკელი მწერლის მაღალ მისიაზე წერდა გამოჩენილი აფრიკელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე პ. მატინი: „აფრიკელი მწერალი უნდა იბრძოდეს და იბრძვის კიდევ ხალხის მთლიანი განკურნებისა და განახლებისათვის. ამავე დროს იგი უნდა იყოს და არის კიდევ ექიმი, რომელიც გამოსწერს აუცილებელ შანსაწინააღმდეგო დოზას, რაც სჭირდება აფრიკის კოლონიალიზმის კიბოსაგან განსაყურნებლად. აფრიკელი მწერალი უნდა იყოს ჯარისკაცი, რათა ბრძოლით მოუპოვოს აფრიკის თავისუფლება და ღირსება, ურთმლისოდაც ვერ იარსებებს აფრიკის ნამდვილი კულტურა. როგორც მისი ხალხის შემოქმედებით შესაძლებლობათა გამოხატულება, და კიდევ ერთი ვაღი, ეალა იმისა, რომ თვითონ ამაღლდეს და ამით ააშალოს თავისი ლიტერატურაც მსოფლიოს თანამედროვე კულტურის საუკეთესო მიღწევათა დონემდე“.

სწორედ ასეთი მწერლები, უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი, მედგარი ჯარისკაცები სჭირდება დღეს აფრიკას. აფრიკას აქვს მომავალი, ნათელი და ბედნიერი მომავალი, რომელსაც თვით აფრიკელები გამოსჭედენ. ამ მომავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ღვას პ. აბრაჰამსი, რომლის მხატვრულ შემოქმედებაში ისახება აფრიკელი ხალხის ცხოვრებაში მომზდარა დიდი გარდატეხები.

გიორგი ღოლიძე



ლია წერილი „მნათობის“ კვლავსიას

„მნათობის“ მე-7 ნომერში ე. ი. 1962 წლის ივნისის ნომერში დაიბეჭდა შოთა ბაღრაძის წერილი „ლეონტი მროველის ავტორობის საკუთხისათვის“. იქვე სწორადვე ბეჭდვის სახელით მიწერილია, რომ შოთა ბაღრაძის ეს სტატია „ბეჭდვება განხილვის წესით“.

შოთა ბაღრაძის სტატია მიზნად ისახავს დამტკიცებს, რომ ლეონტი მროველი არ არის ავტორი იმ გამოჩენილ საისტორიო შოთაში, რომელსაც ეწოდება „ავტორება ქართული მეფეთა“ და რომ ამერიდან ამ თხზულებას არ უნდა ეწოდებოდეს ლეონტი მროველის სახელი. უკანასკნელი სიტყვები შოთა ბაღრაძისა არის: „ცხადია, ლეონტი მროველი ავტორია არაა, ამიტომ არქაული ნაწილი ანონიმური იქნება; თუ ვინმეა ლეონტი სახელს, უნდა ეწოდოს ფსევდო ლეონტი მროველი“ (ამ სიტყვის დაყოფა ზენ გუგუშვილის).

ამგვარად, შოთა ბაღრაძემ საქართველოს ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს, ქართული ისტორიოგრაფიის პირველ და თვალსაზრისწარმომადგენელს უწოდა „ფსევდოლეონტი მროველი“.

ლეონტი მროველის საკითხს შეხებია რამდენიმე მკვლევარი, რომელთაგან პირველ რიგში დაეახებოდები ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, პ. ინგოროყვას, ს. ჯავახიძეს და მ. თარხნიშვილს. არც ერთ ამ მკვლევარს ეპყრობის საკითხი. ახრთა სხვადასხვაობა არსებობს იმს შესახებ, თუ როდის ეტყობოდა ლეონტი მროველი: მეთერთმეტე საუკუნეში, როგორც ფიქრობენ მარი, ჯავახიშვილი და კეკელიძე, თუ მეორე საუკუნეში, როგორც ფიქრობენ ინგოროყვა, ჯავახიძე და თარხნიშვილი. ახრთა სხვადასხვაობა ზოგჯერ ეხება იმასაც, თუ რა მოცულობისა ეს საისტორიო თხზულება, რომელიც ლეონტი მროველს მიეწერება: კ. კეკელიძე ფიქრობს, მავალია, რომ ლეონტი მროველს ვერა იმისა, რასაც მას მიაკუთვნებენ ფრედა დანბარნი ისტორიკოსები, უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ვახტანგ გორგასალის „სტორება“.

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენს თანამედროვე ისტორიკოსებს კამათი აქვთ

ლეონტი მროველის თხზულების შედგენილობაზე და თვით ლეონტი მროველის ცხოვრების თარიღზე და არა იმაზე, არის ლეონტი მროველი ამ პირველბარისხოვენი საისტორიო თხზულების ავტორი, თუ ნხოლოდ ვადამწერი.

მე საჭიროდ ვთვლი, მოვახსენოთ, რომ ლეონტი მროველს მალა შეფასება აქვს მიღებული ჩვენს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. პართალია, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ლეონტი მროველის ცნობები ერთგვარად გადაჭარბებულია და ლეგენდარულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ეს აზრი დღეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში განიარაღებული არაა, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ჩვენი ცნობები საქართველოს წარსულის შესახებ გამოიდრდა არმაზში წარმოებულნი არქეოლოგიური გათხრების მონამოვართა გამოცენებით. თვით ივ. ჯავახიშვილიც, რასაკვირველია, თავის ძველს აზრს ლეონტი მროველის შესახებ აღარ მიამნიედა კემარტებელ. მე პირადად შემიძლია მოგანსენოთ შემდეგი: როდესაც 1940 წლის ნოემბრის პირველ დღეებში აღმოჩნდა პირველი ნივთები სამარხებისა (მე, პიტაბშ ასპარუქისა და სხვ.) ივ. ჯავახიშვილმა რომ ვადამოცა ბერძნულწარწერებანი ნივთები, თანვე თქვა: ჩანს, მოგვიხდება ზოგიერთი ძველი შეხედულების ვადასინჯვა.

ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნივთები აღმოჩნდა არმაზში და ეს ნივთები ჩვენი მკვლევარების მიერ იქნა ზედმიწევნით შესწავლილი და ამ შესწავლამ შედეგად მოგვიჩანა ის, რომ ჩვენს საისტორიო მეცნიერება ლეონტი მროველის შეფასებაში ახალ გზას დადგა, იმ გზას, რომელიც, რასაკვირველია, ივ. ჯავახიშვილიც დადგებოდა. პირველი ამ ახალი შეხედულების ლეონტი მროველზე იყო აკადემიკოს ვიორჯი ვანილის მეწიეროლოგიკური თვის სალოტროო დისერტაციაში „არმაზის ბილინგვა“ შესწავლა ლეონტი მროველის ცნობები დაკავშირებით არმაზს წარწერებში მოხსენებულ ფაქტებთან და ეს სწორი დასკვნა გამოატანა, რომ ლეონტი მროველის თხზულება დიდი ნდობის ღირსია. და დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში უდავოდ განმტკიცებულია ის აზრი, რომ ლე-



ონტი მროველი არის ქართული ისტორიოგრაფიის პეროდიტი. როგორც პერიოდიტიმ საფუძველი ჩაუყარა ანტიკურ საისტორიო მწერლობას და მის შემდეგ ეს საისტორიო მწერლობა სულ აღმავლობის გზით მიდიოდა (თუკი აღდგ, კსენოფონტი, პოლიბიოსი, ლივიუსი, ტაციტუსი და პროკოპი კესარიელი), ისე ლეონტი მროველიმ მიერ დაწყებული საქმე, მის მიერ საფუძველზეა ჩაყარა. ისტორიოგრაფიული შემოქმედება გაგრძელებას პოულობს მომდევნო ისტორიკოსების სახით (ჯვანშერი, დავითის და თამარის ისტორიკოსები, სუმბატ დავითის ძე) და ეს ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ლეონტი მროველის მიერ საფუძველზეა ჩაყარა დაგვირგვინებულია მე-14 საუკუნის სწორეპოეზიის ისტორიკოსთა, რომელსაც პირობითად ეწოდება „ქამთა აღმწერელი“.

მე არ დამისახავს მიზნად გამოვხატურბოდი და რეცენზია დამეწერა „მნათობენ“ შემდეგ და ნომერში მოთავსებულ სტატიაში „სტატია ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის“.

მე ვფიქრობ, რომ ზემოთქმულის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი არ შეიძლება გახდეს განხილვის საგანი. ჩვენ ველოთ, რომ ლეონტი მროველის მიერ დიდის ტალანტით დაწერილი საისტორიო თხზულება ვახდება (ისე, როგორც აქამდისაც იყო) რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების თემა. და არ არის საჭირო, რომ ლეონტი მროველს ეწოდებოდეს ფსევდო ლეონტი მროველი.

სთ. ყაუხჩიშვილი



ახალი წიგნები

„ნაბაღალი“

- ირაკლი აბაშიძე — ვადვინადიროთ ქედები, რედაქტორი მ. ჭაჭავაძე, გვ. 30, ფასი 30 კაპ.
 ბესარიონ ელენტი — დავით კლდიაშვილი, ცხოვრება, შემოქმედება, მოღვაწეობა, რედაქტორი
 ს. ქილაია, გვ. 101, ფასი 25 კაპ.
 დავით კლდიაშვილი — სამსნიშვილის დედინაცვალა, რედ. ნ. აჩუგენიძე, გვ. 102, ფასი 42 კაპ.
 ს. გოლუბოვი — ბაგრატიონი, თარგმანი ვლადიმერ შვალბლიშვილისა, რედაქტორი
 რიხტა ბერტლავა, გვ. 442, ფასი 1 მან.
 არკადი გაიდაჩი — რჩეული ორ ტომად, ტომი პირველი, მთარგმნელები: ვ. ძიძიგურაძე,
 ნ. შელია, რ. ქორჭია, რედაქტორები: ვ. ძიძიგურაძე, ნ. ჩიჩაძე, გვ. 442, ფასი 1 მან.
 ალენ ზომბარი — უზომოდ ლეკანეში, თარგმნის ვენერა კობიაშვილმა და რომეო
 არონიშვილმა, რედაქტორები მ. ჭაჭავაძე, ლ. ქანტურია, გვ. 242, ფასი 85 კაპ.
 ხალხური ლექსები, დაუკარ ჩემო ჩონგურო, რედაქტორი: რ. ორჭონიძე, გვ. 72, ფასი 30 კაპ.
 ანტუან დე სენტ ეჯიუბერი — პატარა უფლისწული, ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ჭი-
 შაკაძემ, რედაქტორი ლ. კალანდარიძე, გვ. 66, ფასი 15 კაპ.
 კოსტა გერხელია — ნაპარი, რედაქტორი გ. ქანტურია, გვ. 18, ფასი 3 კაპ.
 ლიტერა მოთხრობები — რედაქტორი ნ. მიჭავაძე, გვ. 184, ფასი 70 კაპ.

„საბავთა მწერალი“

- ქეთევან ელისაბუდაშვილი — მოთხრობები, რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე, გვ. 200, ფასი 31
 კაპ.
 ვასილ ბარნოვი — თხზულებანი, ტომი 6, რედაქტორი ბ. კოპლატაძე, გვ. 719, ფასი 2 მან. 44 კაპ.
 ალიო ადამია — დედის ზმანება, რედაქტორი ა. გაბესკირია, გვ. 85, ფასი 14 კაპ.
 ელზა ტრილიე — ვარდება ნინიად, თარგმანა ფატი გოკიეღლისა, რედაქტორი ელ. მა-
 ქაეარიანი, გვ. 26, ფასი 78 კაპ.
 ბესიკი — თხზულებანი, ტექსტი შენიშვნები ლექსიკონი, ელ. ბარამიძისა და ე. თოფუ-
 რიის რედაქციით, რედაქტორი ც. ჩხეიძე, გვ. 358, ფასი 1 მან. 5 კაპ.
 ვარლამ მალაქიაშვილი — სამსნი, შოთა ბროლიძე, სოფლან სურათები, რედაქტორი გრ. ჩიქოვ-
 ნი, გვ. 382, ფასი 81 კაპ.
 ჯანსუღ ჩარკვიანი — ამოღის, ნათდება! რედაქტორი გრ. აბაშიძე, გვ. 61, ფასი 10 კაპ.
 გრიგოლ იმედაძე — ბრძოლა და სიყვარული, რედ. ა. გაბესკირია, გვ. 141, ფასი 3 მან. 05 კაპ.